


ნოღარ  
ნულეისქირი



ბრემოლა  
საჭანასთან

(წერილები, სიტყვები, აკრძალული, თვითგამოცემით  
გავრცელებული წერილები და სიტყვები, კოლუმბიკა)

სატანა სხვათა სიტყვაა, ქართულად „მქდომად ითარგმანების“.

ერთ მხარეს სატანა-მქდომი დგას, სხვა მხარეს – ქართული ენა, ქართული სოფელი, საქართველოს კულტურის ძეგლები და ის ადამიანები, ვინც მათ დასაცავად აღმსდგარა.

სატანა ყველაფერს წალეკვით ეშუქრება, პირისაგან მიწისა აღგვას უქადის. ქართული სული მას მასველით ლახვრავს. ამ მარადიული ბრძოლის ეპიზოდებია ამ წიგნში აღწერილი.

რედაქტორები: ბ. გვერდწიფელი  
მ. ხეიავური

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

4702017200-347

წ ————— 90

8604(08)-90

© გამომცემლობა „მერანი“

## ენის წიალში

---

### ენის წიალში

#### გულის სიტყვა

ქართული ენა ქართველ კაცსა ჰგავს — ადამის დროიდან ხმალამოლებული ტრიალებს კავკასიაში და გააფთრებით იცავს თავს.

ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, თვით ქართველი ხალხის ისტორიაა, ენის წიალში ჩამარხულია ამ ისტორიის სწორედ უძველესი ფურცლები, ენა მიწაზე უკეთ ინახავს წარსულს.

ქართულ ენას თითქოს უკვდავების წყაროსთვალისთვის მიეგნოს, მოედინება და მოედინება საუკუნეთა ჯურღმულე-ბიდან, ვერაფერი მას ვერ სცვლის, ვერც სისხლის წვიმები, ვერც ქარნი ხორშაკნი, რაკრაკით, კასკასით მოწანწკარებს მარადიულად.

საიდან მოედინება, სადა აქვს ის ჯადოსნური სათავე, ვინ ჩაბერა მარადიული სული!

უკვდავების წყაროს ადგილსამყოფელი ქართველ ხალხს თდითგანვე დამალული ჰქონდა.

გმირები მიდიოდნენ უკვდავების წყაროს მოსატანად. მაგრამ არ ამხელდნენ, სად მიდიოდნენ.

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვ-ლისა მესიისა საწამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ (იოანე ზოსიმე).

მარად გამოუცნობი, მარად ტრაგიკული, მარად მშვენიერი — ასეთია ქართული ენა.

ჩვენ არ ვიცით დასაბამი ენისა. იმის გარკვევაც გაჭირდა, რომელ ენას ენათესავება, რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. ციდან ხომ არ ჩამოვარდა?

ლეგენდებსა და თქმულებებს თავი რომ გავანებოთ (თუმცა თქმულებაც საბუთიანად უნდა უარვყოთ) და მეცნიერებს დავუგდოთ ყური: ქარაყელების წინაპრებად მიჩნეულია ასურული წყაროებით მცირე აზიაში ძვ. წ. მე-12—17 სს. დამოწმებული თუბალები და მუშქები. სხვა წყაროებით — კარდუხები („ქართუ“), ქაშქები, ხეთები, ურარტელები, ელამელები და მცირე აზიის სხვა უძველესი ტომები.

ერთხანს ქართული ენა ურალურ-ალთაურ ენათა მონათესავე ეგონათ.

იაფეტურმა თეორიამ, ქართული ენა სემიტურ ენათა ოჯახს მიაკუთვნა.

მეცნიერები მსგავსებას პოულობდნენ და დღესაც პოულობენ ინდო-ევროპულ ენებთან.

ქართველმა ისტორიკოსებმა და ენათმეცნიერებმა, გამოჩენილ ევროპელ ქართველოლოგებთან ერთად, ქართველი ხალხისა და ქართული ენის სამშობლოდ და ნათესავად კავკასია და კავკასიური ენები მიიჩნიეს.

უკანასკნელ წლებში მეცნიერებმა ახალი საენათმეცნიერო ხერხებითა და მეთოდებით კვლავ სცადეს ქართული ენის წარსულის გამოჩხრეკა, ხან ინდო-ევროპული ენებისაკენ გაიხედეს, ხანაც აღმოსავლეთის უძველეს ენებს მიწვდნენ, ხეთურ, ეტრუსკულსა და ბასკურ პარალელებზეც იოცნებეს. გარკვეული წარმატებაც მოპოვებულია, დაწერილია მრავალი ტომი, მაგრამ ქართული ენის ფესვებს ძირისძირამდე ვერც პალეონტოლოგიური, ვერც ისტორიულ-შედარებითი და ვერც გლოტოქრონოლოგიური მეთოდი ვერ ჩაწვდა, მომავალი, ალბათ შემოგვთავაზებს მრავალ ახალ მეთოდს, მრავალი თეორია გაუქმდება, მრავალი „იზმი“ დაგვიძველდება, ქართული ენა კი მარად იკაშკაშებს მზესავით მიუწვდომელი, შეუცნობელი, საბას სიტყვით რომ ვთქვათ: „ხედვა და წვა“.

ქართული ენა მდიდარი ენაა, ლამაზი ენაა, ძლიერი ენაა, ქართულ ენაზე ყველაფერი გამოითქმება და გადმოითარგმნება, ყველა ტერმინის, ყველა უცხო სიტყვის გაქართულება შეიძლება.

ქართული ენის მრავალ კარგ თვისებათა შორის გამოირჩევა კიდევ ერთი თვისება — კონსერვატორობა, ან ქართულ ენაზე რომ ვთქვათ ძველკობურობა.

ქართული ენა ნელა იცვლება. ძველ სიტყვებს, ძველ ფორმებს ვერ ელევა. ახალს, თანამედროვეს, უცხოს ხარბად ითვისებს, მაგრამ ძველს ამგვანებს, საერთო ქართულის ცეცხლში აწრთობს, ამიტომ მეხუთე საუკუნის ენა მეოცე საუკუნისათვის გასაგებია: იაკობ ცურტაველს დღეს თავისუფლად კითხულობს სკოლის მოსწავლე. წინაპრის ენა გვესმის! — განა ეს ბედნიერება არ არის?

გასაკვირია კია, ქართულმა ენამ, აითვისა უამრავი თურქულ-არაბული, სპარსული, რუსული, სომხური და სხვა მეზობელი ენების ლექსიკური სიასლენი, სიტყვათა წყობილება, ფონეტიკური კანონებიც კი, მაგრამ მაინც არაფერი დაიმჩნია, ნირი არ შეიცვალა, არ ჩამორჩა, ისტორიას და ცხოვრებას ფეხდაფეხ გამოსდია და, მეოცე საუკუნის მოქალაქეებს, როგორც თანამედროვეთ გამოცველაპარაკა.

„უამნი ჩემნი ვიოარცა რაჲ სიზმარნი  
განქარდებიან,  
და დღითი დღე მოაკლდების რიცხუსა  
აღრიცხულსა მათ დღესა ჩემთასა.  
და ყოველისავე დამიხსნელ არს სიკუდილი  
აწ ვიღუწოთ მოსვლაჲმდე მისა!“

ამ ლექსში ყველაფერი გასაგებია. ერთი სიტყვაც არ არის „არქაული“. რაც მთავარია, აზრიც გასათვრად ნათელია და მისაღები. მეათე საუკუნის ქართველი ადამიანის სულიერ აღსარებას მეოცეშიც არ სჭირდება ახსნა.

ეს უცვლელობა და მარად „ნათელობაც“ ის თვისებაა, რასაც ჩვენი წინაპრები ზენაარსს მიაწერდნენ.

დღეს ჩვენ ენასაც, მის შემოქმედსაც, ზენაარსსაც მიწიერის თვალთ ვუყურებთ, მაგრამ უცვლელი რჩება

ჩვენი დამთკიდებულება დედაენისადმი; მასზე დიადი და მშვენიერი არაფერი მოგვეპოვება, ამიტომ დავეუწყე ძებნა „ღვთაებრივ თვისებებს“.

დედაენა წინაპრებივით ჩვენც უნდა გავალმერთოთ, ლამპრად და სანთლად წავიმძღვართო წინ, მისთვის ვიღვაწოთ მანამ, სანამ „ჟიმნი ჩვენნი ვითარცა სიზმარნი განქარდებიან“.

ქართული ენა მარტო სალიტერატურო ქართული როდია. ძველი ქართული, ქართველური ენები: ჭანურ-ლაზური, მეგრული, სვანური, ჩვენი მდიდარი დიალექტები: ქართლური, კახური, იმერული, გურული, ხევსურული, მთიულურ-გულამაყრული, მესხური, რაჭული, აქარული და ა. შ... ერთად ქმნიან დიდ ქართულ სახელმწიფო ენას, ანუ როგორც წინაპრები იტყოდნენ „ყოველი საქართველოს“ ენას.

ღვთაებრივი თვისებებით შემკული, უკვდავი, უცვლელი, მარად ნათელი „ყოველი საქართველოს“ ენა, — ჩენი მშობლიური ქართული დროის შესაფერისად თუ გვაქვს შესწავლილი?

ამ კითხვას უფრო კონკრეტული კითხვებიც მოჰყვება: თუ გვაქვს გამოცემული ქართველური ტექსტები შედარებით სრულად, ყველა კილოს გათვალისწინებით, ქართული თარგმანებითა და კომენტარებით, თაროებზე თუ გვიწყვია მეგრულ-ჭანური და სვანური ლექსიკონები. სათანადოდ შესწავლილი თუ გვაქვს ამ ენათა სტრუქტურა, ისტორია...

ფუძემდებლურ ნაშრომებსა და დიდ ანალიზებს თავი რომ დავანებოთ, ჯერჯერობით ჩვენ სვანურისა და მეგრულ-ჭანური ლექსიკის ემპირიული აღნუსხვაც კი ვერ მოგვიხერხებია.

რასაკვირველია, ცალკეული ძვირფასი წიგნი სვანურზეც და მეგრულ-ჭანურზეც მოგვეპოვება. მარტო ბასკურ-ქართულის ურთიერთობაზე ათეული სამეცნიერო ნაშრომია დაწერილი, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად ეს დიდი ქართველოლოგიური საკითხი უკანასკნელ ხანამდე მაინც მოყვარულების ხელში იყო.

ბასკურ-ქართული ურთიერთობები კი არა, ქართველური

ენები გ. კლიმოვის ეტიმოლოგიური ლექსიკონის ამარაა დარჩენილი.

თუ ვაპირებთ ნამდვილად მეცნიერულ დონეზე ქართული ენის შესწავლას, ალბათ დროა, შეიქმნას ქართველური ენების ეტიმოლოგიური, დიალექტოლოგიური და შედარებით-ისტორიული ლექსიკონები, ამ ენათა შედარებითი გრამატიკები.

ჩვენმა დიდმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა, ნ. მარმა, აკ. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, გ. ახვლედიანმა, ვ. თოფურიამ, გ. წერეთელმა, ს. ყაუხჩიშვილმა და სხვებმა დიდი ღვაწლი დასდეს მშობლიური ენის შესწავლის საქმეს, მათი დიდი დამსახურება საქვეყნოდ ცნობილია და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

შეიქმნა კავკასიოლოგთა და აღმოსავლეთმცოდნეთა ძლიერი ქართული სკოლები. დიდ წარმატებას აღწევენ საზღვარგარეთელი ქართველოლოგებიც. ყველაფერი ეს იმის იმედს იძლევა, რომ ბოლოს და ბოლოს შეიქმნება ქართული ენის საკადრისი მრავალტომიანი წიგნები, სადაც სრულად აისახება ისტორია ენისა, სტრუქტურა და კანონზომიერებანი. თანამედროვე ენათმეცნიერთა ერთი, რომ ვთქვათ — საჭიროა ქართველური ენების შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა.

სათავე, საიდანაც ეს დიდი საქმე უნდა დაიწყოს, ძველი ქართული ენა გახლავთ. აკაკი შანიძის მეთაურობით, მრავალი წლის მანძილზე, ჩვენი მეცნიერები თავს დასტრიალებენ ძველი ქართული ენის ძეგლებს, ბევრმა ძვირფასმა ძეგლმა დღის სინათლე იხილა.

შეიქმნა მრავალი კარგი წიგნი ქართულ ენაზე.

მაგრამ „ქართული ბიბლიის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ქართული ენის, მწერლობისა და მეცნიერების გადაუდებელი საქმეა. სხვა არა იყოს რა, ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი პერიოდის სურათი შეუძლებელია ნათლად წარმოვიდგინოთ თუ მკვლევარს ხელთ არ ექნება კრიტიკულად შესწავლილი და დალაგებული ტექსტი (ხაზგასმა ჩემია ნ. წ.), თუ არ არის სხვადა-

სხვა რედაქციები თავმოყრილი და ერთმანეთთან შეჯერებული“ (ივ. იმნაიშვილი, შ. ძიძიგური).

არა მარტო ბიბლია, ყურანიცა და სხვა აღმოსავლური ძველი წიგნებიც უნდა გამოვცეთ, რადგან ქართული ენა სწორედ მათ გარემოცვაში, მათთან ერთად მოქმედებდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. მათთან შეჯიბრებასა და ბრძოლაში იწრთობოდა, მდიდრდებოდა და ღარიბდებოდა, იფურჩქნებოდა და ჭკნებოდა, კვდებოდა და ისევ ცოცხლდებოდა.

ქართულ ენას სჭირდება კომპლექსური შესწავლა. „კავკასია წარმოადგენს ენათა მიკროკოსმოსს და ერთმანეთის მონათესავე ენათა გარდა აქ მრავალი სხვადასხვა სისტემის ენა (ინდოევროპული, თურქული, სემიტური) იყრის თავს. მისი სტრუქტურული მოდელების დადგენა, პირვანდელი არქეტიპების რეკონსტრუქცია და ურთიერთმიმართების გარკვევა მნიშვნელოვანია არა მარტო თითოეული მათგანის შესწავლისათვის, არამედ—ენათა განვითარებისა და ურთიერთობის ზოგადი საკითხებისა და უნივერსალების პრობლემების კვლევისათვის“ (გ. წერეთელი).

განსაკუთრებით გადაუდებელი საქმეა დიალექტოლოგიური მასალის ჩაწერა და გამოცემა. „ლიტერატურული ენა სკოლის, პრესის, რადიოს მეშვეობით და სოფლისა და ქალაქის მჭიდრო ურთიერთობის გამო მკვიდრდება ფართო მოსახლეობაში და ნიველირება ხდება დიალექტებისა, იშლება კუთხური მეტყველების თავისებურებები, ხმარებიდან გამოდის ძველი ყოფის დამახასიათებელი სიტყვები და შემოდის ახალი, თანამედროვეობის ამსახველი ლექსიკა. ბევრი სიტყვა და ტერმინი, გუშინ ცოცხალი და აქტიური, დღეს უკვე მივიწყებას არის მიცემული“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე).

ყველაფერი ეს, როგორც ვხედავთ, ენათმეცნიერებმა ჩემზე უკეთ იციან, ბევრი რამ ამ მიმართულებით კეთდება და მომავალშიც გაკეთდება; მსოფლიო სახელის ჩვენი მეცნიერების წყალობით, მომავალს იმედის თვალით ვუყურებთ.

ასეთ ვითარებაში მოყვარულობანა შესაძლოა საჭირო



არც იყოს, მაგრამ მშობლიურ ენაზე ფიქრი იწვევს ცდუნებას.

ვისაც თავის დროზე ენები უსწავლია, აღმოსავლური ენების სარკმლებიდან ჩაუხედავს ქართული ენის ამღვრეული ლექსიკის უძირო ზღვაში, ვისაც ქართულ სიტყვაზე ფიქრში არა ერთი და ორი ღამე უთევია, იმის ძალა მაინც შესწევს ენის ჭეშმარიტ მცოდნეთა ყურადღება მიაპყროს ზოგიერთ ქართულ სიტყვას, ზოგიერთ გრამატიკულ მოვლენას, თუ ეს შეეძლება, მიზანი მიღწეულია.

### ქრები

აპოლონიოს როდოსელის თხზულებაში — „არგონავტიკა“ — ნახსენებია: კოლხებს „მამათაგან ნაწერი კირბები“ ჰქონდათ. რა არის კირბები. სად არის ის წიგნი, ის ლექსიკონი, რომელსაც გადავშლით და კირბის განმარტებას ამოვიკითხავთ. ასეთი სიტყვები ბევრია. ძველ ანტიკურ და აღმოსავლურ წყაროებში ხშირად გვხვდება კოლხები ან იბერიელები ამა და ამ საგანს ამას ეძახდნენო. ჩვენის აზრით ამ სიტყვებს გულდაგულ მოძიება, თავმოყრა და გაანალიზება სჭირდება. ეს სიტყვები მეტად საინტერესო ფიქრებს აღძრავს და შესაძლოა ძვირფასი დასკვნებიც კი გაკეთდეს.

აკაკი ურუშაძის აზრით, აპოლონიოს როდოსელის ცნობა კირბების ანუ კვრბების თაობაზე პირველი ცნობაა ძველ ქართველ ტომებში (კოლხებში) არსებულ დამწერლობის შესახებ.

რახან ეს ასეა, მაშ, ამ ცნობის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის განუზომელია. მართლაც, პატივცემული მეცნიერი დიდი სიფრთხილითა და მეცნიერული სიზუსტითა უტრიალებს კირბებს.

„ბერძენი ავტორების დამოწმებულ ცნობათა კომპლექსში უადრესად საყურადღებოდ და რეალური სინამდვილის შემცველ ცნობად მიგვაჩნია ის, რომ

კვრები ძველისძველი ფირფიტები იყო (ქვის, თიხის ან სპილენძისა: კრატინე, ლისია, თეოპომპე, პლუტარქე, კომეტა) რომლებიც საკრალური ხასიათის ჩანაწერებს შეიცავდნენ (ლისია, თეოფრასტე, პლუტარქე) და ის, რომ კვრების აღმოჩენა მიეწერებათ კორიბანტებს (თეოპომპე, თეოფრასტე, აპოლოდორე, სვიდა)...

ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტონთონური ტომებისა და წინაელნიურ პერიოდში კრეტაზე მოსასლე პელასგების პატრიარქალური ღვთაების კვბელეს ქურუმები იყვნენ. დიოდორე სიცილიელის ცნობით, კორიბანტების მამამთავარი კორიბანტი — კორიბანტი კვბელესა და იასიონის ძეა“.

ივანე ჯავახიშვილი კვბელეს ერთგვარი სიფრთხილით უკავშირებს ქარიველ ტომთა ძველისძველ ღვთაებას კოპალას ანუ კოპალეს, რომლის მსგასად „კვბელეც ხან დედამიწის ღვთაებად ითვლებოდა, ხან ბუნების ღვთაებად, ხან შვილიაერებისა და ნაყოფიერების ღვთაებად, ხან ადგილისა და გორა-მთის დედად.“

„როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი ხანის ბერძნულ წყაროებში კორიბანტები ჩვეულებრივ იდენტიფიცირებულია კაბირებთან“.

„კაბირთა კულტის საკითხი უძველესი მითოლოგიის ურთულესი პრობლემათაგანია. კორიბანტულ-კაბირული კულტის შესახებ ანტიკური ეპოქის წყაროები მეტისმეტად ძუნწ ცნობებს გვაწვდიან. ამის მიზეზი ამ კულტის უაღრესად მისტიკური ფორმა იყო. კაბირთა მითის გენეტიკური ანალიზი, კორიბანტულ-კაბირული კულტის რაობის გარკვევა ჯერ კიდევ მომავალი კვლევა-ძიების საქმედ რჩება. ერთი რამ, რაც დავას არ უნდა იწვევდეს, ისაა, რომ კაბირები არაელინური, აღმოსავლურ-პელასგური წარმომავლობის, ღვთაება ქურუმები“.

ეს ვრცელი ამონაწერი მოვიტანეთ აკაკი ურუშაძის წიგნიდან „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“.

არსებობს სხვა მოსაზრებაც: როცა „კირბებს“ უკავშირებენ კარს (კარეფი), კირიბს (კრავს), კერპს და ა. შ.

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ვლ. სიჭინავას მოსაზ-

რება როცა კირბის ბერძნულ დაწერილობაში მეგრულ კირბს (კრავს) კითხულობს. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეტრატის ძველი კოლხური (ზანური) სახელწოდება კირბი (კრავი) კირბიში (იგულისხმება კრავის ტყავი) დაცულია სწორედ აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკაში. თქროს საწმისი ეს იგივე კირბი — კირბიშია, რომელზედაც თქროს მოპოვების და დამუშავების რთული ქართული — კოლხური ტექსტოლოგიური პროცესი იყო აღნუსხული.

აკაკი ურუშაძე არ ეთანხმება ვლ. სიჭინავას იმ მოტივით, რომ კვრებზე არსებული ყველა წყარო კვრებს მაგარ საგნებზე (ქვის და ხის დაფებზე ან თიხის ფირფიტებზე) შესრულებულ წარწერებად წარმოგვიდგენს და არა ეტრატებზე არსებულ ჩანაწერებად. როგორც ცნობილია, ეტრატი (პერგამენტი) შედარებით გვიანდელი ხანის საწერი მასალა იყო, კვრების წარმოშობა კი სავარაუდოა იმ ხანებში, როდესაც ასეთ მასალად მაგარ ნივთიერებას იყენებდნენო.

ასეთია მოკლედ კირბების ისტორია და შეიძლებოდა აქ დაგვესვა წერტილი, კიდევ რამდენიმე ქართულ მეგრული სიტყვა, რომ არ გვეგულებოდეს, სადაც ის ძველი კოლხური კვრბი ილანდება, ეს სიტყვები გახლავთ: რაჭულ დიალექტში დაცული — ყვერბი და მეგრული — კებური<sup>1</sup>ყე-ბური.

ყვერბი და ყებური ანუ კებური ქართულად კერაა. თითქოს რა კავშირი უნდა ჰქონდეს ყვერბს, კებურს და კერას კირბთან, ანუ კვრბთან, აქ უნდა გავიხსენოთ ქართული კერა: ვ. თოფურიას განმარტებით ქართული კერა ან კერია არის შუა ცეცხლის დასანთები ადგილი. თავში ჰორიზონტალურად დადებულია გ რ ძ ე ლ ი ქ ვ ა ( ქ ვ ა კ ე რ ა ), რ ო მ ლ ი ს ო რ ი ვ ე თ ა ვ ზ ე მ ზ ი ს ს ი მ ბ ო ლ ო ა გა-მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი. ქვაკერაზე მუგუზლებს (გრძელ შემას) აწყობენ დასანთებად. წინ ფილაქანია დაგებული და ყვერბს უწოდებენ". ვისაც სოფელში ამ თციოდე წლის წინ უცხოვრია, საკუთარი თვალთ უნახავს, ალბათ, ქართულ კერაზე სიმბოლოებიანი ქვები ან ყვერბები. ამ ქვებზე ჩვენს წინაპრებს ხან მზის, ხან მთვარის, ხანაც

გაურკვეველი გამოსასულებანი ჰქონიათ ამოტვიფრული.

რატომ, რა საჭირო იყო კერიის ქვაზე სიმბოლოების გამოსახვა?

ეს კითხვა აღძრავს სწორედ იმ ფიქრს, რაც მეცნიერებს არ უყვართ, აქ მხოლოდ ვარაუდითა და წარმოსახვით შეიძლება მსჯელობა: ქვაზე წერა ან ხატვა თავშესაქცევი საქმე არ გახლავთ. როგორც ჩანს, ქართველ კაცს ჰქონდა რაღაც დიდი და წმინდა ტრადიცია, რომელსაც ვერ ელეთოდა, რომელიც რწმენად, რელიგიად ჰქონდა ქცეული. ამიტომ ამზადებდა ასე საგულდაგულოდ კერას, ყვერბის ქვას. წინაპრების მსგავსად რაღაც ნიშნები გამოჰყავდა მასზე. ასე აკეთებდა მისი პაპა და პაპისპაპა, ასეთი იყო ტრადიცია ეს ტრადიცია მოდიოდა ოდითგან, თუმც არც პაპებს, არც პაპისპაპებს არ ახსოვდათ რატომ ხატავდნენ კერიის ქვებზე მზესა და მთვარეს, რატომ გამოჰყავდათ გაუგებარი სიმბოლოები.

ყველაფერი კი სწორედ იმ კვრების ბრალი გვგონია, აპოლონიოს როდოსელს რომა აქვს ნახსენები „არგონავტიკაში“.

როცა ახალმა რელიგიამ ახალ საუკუნეებში ახალი რწმენა, ახალი ცოდნა, ახალი წიგნი მოიტანა, ძველს, თავისთავად, გამოეცალა საფუძველი, წინაპართა ნაწერი წიგნები, ახალი სარწმუნოების წიგნებმა შეცვალა, ქართველმა კაცმა მამაპაპური იადიგარი მაინც ვერ გადაადგო, ვერ მოსპო, ვერ მოიშორა, თუმცა ძველი ფუნქცია დაკარგა და როგორც ყვერბის ქვა კერაზე შემოდო, ზედ ნაცარი მიაყარა და ცეცხლი დაავზნო. სევდამორეული მიუჯდა კერას და წინაპრის დანატოვარი საყვარელი ნივთი, მისი ბუდის ყველაზე საყვარელი ადგილის შემადგენელ ნაწილად აქცია, სულმთლად ვერ მოიშორა, ვერ გადაადგო.

კვრებს ძველი აზრი და დანიშნულება დაეკარგათ, ისინი კერიის ქვებად იქცნენ. ამის მაგალითი ქართულ ყოფაში უამრავია: სახელგანთქმული ქართული ხმალი დიდხანს ეკიდა კედელზე როგორც წმინდა საგანი, ბოლოს ფუნქციადაკარგული ხორცის საკეპადაც კი იქცა. დღეისათვის საერთოდ გამქრალია ყოფიდან.

დავუბრუნდეთ ისევ აკაკი ურუშაძის ნაშრომს: „სქო-  
ლასტიკოსისა და პოეტის კომიტას ცნობით კვრბები  
არის ძველისძველი ფირფიტები, რომლებ-  
ზედაც ჰომეროსის პოემებიც იყონაწერი“.

„სოლონს და დრაკონს გეფიცები, თუმცა მათ კვრბებს  
დღეს ქერის მარცვლის მოხალვისათვის იყ-  
ნებს ხალხი“ (პლუტარქე).

როგორც ვხედავთ, ისეთი დიდად მნიშვნელოვანი ძვე-  
ლისძველი ქვის ფირფიტები, რომელზედაც დრაკონისა და  
სოლონის კანონები, ჰომეროსის პოემები იწერებოდა, ქე-  
რის მარცვლის მოხალხად გაუმეტებიათ, რა გასაკვირია  
ჩვენი კვრბები — მამათა ნაწერი წიგნები ხალხს ყვერბად,  
კერის ქვად გამოეყენებინა.

ახლა კვრბი ფონეტიკურადაც გავანალიზოთ. იქნებ  
მართლა ვამყარებთ ღრმა კავშირს კვრბსა და ყვერბს ანუ  
კვერბს შორის.

მაგრამ ვიდრე ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა კე-  
რის ძველი სახელი აღვადგინოთ.

არ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით  
ლექსიკონში“ კერის ფუძეებად მიჩნეული აქვს: ჭან.  
კერა||კირა, მეგ. კერიე. ქართ. კერა; ნიკო მარიც  
ჭანურში კერას ადასტურებს.

ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ მეგრულსა, ჭანურსა და სვა-  
ნურშიც კერის აღმნიშვნელად გვაქვს სხვა სიტყვებიც: კერ-  
ძოდ, მეგრულში ყებური||კებური, ჭანურში თ-კრებულე,  
ხოლო სვანურში იმ ადგილს, საცა კერა ანთია, ყვერბს  
ეძახიან.

სულხან-საბამ კერა — მუგუზლის თავის დასადებით, ასე  
აგვიხსნა, მაგრამ „საცეცხლე კერის ადგილად“ — ყვერბი  
მიაჩნია.

ახლა დავუბრუნდეთ რაჭულ ყვერბს||კვერბს და აპო-  
ლონიოს როდოსელის კვრბს||კირბს.

დიდი დაკვირვება არ უნდა იმას, რომ კვრბი და  
კვერბი კვინთრ-კვერნას ტიპის ქართული სიტყვე-  
ბია. ხოლო, ამ სიტყვების უძველეს ფუძეს — არქეტიპს ჩვენ-  
თვის მეტად საინტერესოდ აღადგენენ თ. გამყრელიძე და

გ. მაჭავარიანი. კვერნა-კვინორი მათ სხვა კუთხით აინტერესებთ. ჩემთვის მთავარია ამ სიტყვათა საერთო ქართველური არქეტიპი და, მართლაც, ის არის რასაც მოველოდი, — კუენრ, თუ კურბსა და კვერბსაც ამავე მეთოდით აღვადგენთ, მივალთ სწორედ სულხან-საბამდე — კუერბ-ყუერბ. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ ქართულში ყურბეული ყუერბეული პურის კვერი გახლავთ, ხოლო პურის კვერს და საერთოდ ყოველნაირ კვერს კერაზე, სწორედ ყვერბზე აცხობდნენ ჩვენი წინაპრები.

იხატება ქართველი კაცის ყოფის ნაღვლიანი სურათი: მოვიდა ახალი რწმენის, ახალი რელიგიის კულტურა, შეიცვალა ძველი ყოფა, დაემხო ძველი კერპები, სალოცავები, შეიცვალა მატერიალური და სულიერი ფასეულობანი.

ადამიანმა მამა-პაპათა სახსოვარი ძვირფასი კვრებები — ქვაზე ნაწერი წიგნები, სალოცავიდან (ოხვამედან) შინ წამოიღო, დროთა განმავლობაში, გაუქმებული, უბრალო ქვა, მთიანხარა როგორც საყოფაცხოვრებო ნივთი, გამოიყენა ბრტყელი ქვა, თანდათან ამ „ქვამ“ პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ და მხოლოდ კერიის ქვად — ყვერბად იქცა.

ვინ იცის ეგებ ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარი ხელით ცეცხლში დაწვა ზოგჯერ წარსულის იშვიათი ძეგლიც. ეგებ ასე უაზროდ დაიღუპა საუკუნეების წინათ შექმნილი, „მამათაგან ნაწერი კირბები“, ქართული წარმართული კულტურის უკანასკნელი ნაშთებო.

ჩვენი წერილობითი ძეგლები, საისტორიო მატრიანეები ერთხმად, დაუფარავად გვეუბნებიან: დამწერლობა, წიგნები, ლიტერატურა, ქრისტიემდე გვეკონდაო. არქეოლოგები მიწისქვეშ პოულობენ წარმართობის დროინდელ ქალაქებს, აბანოებს, საკულტო ნაგებობებს, ხსნიან ძველისძველ სამარხებს, მაგრამ არსად არ ჩანს ნაწერი, არსად არ ჩანს ძველი წიგნი. სად გაქრა, სად დაიღუპა? ნუთუ მართლა საკუთარი ხელით დასწვა, ხალხმა, რაც თვით შექმნა? ან რაღაც ამის მსგავსი მოხდა და საბოლოოდ წაიშალა ქართული წარმართული კულტურის კვალი?..

ასევე დიდ ინტერესს იწვევს სიტყვა „ცა“. „კვირების“ მსგავსად მასაც შორეულ წარსულში გადაყავარ და ჩვენს წელთაღრიცხვამდე ზღაპრული კოლხეთის ამბებს მიყვება. არნოდდ ჩიქობავას აზრით „ცა“ ფუძე საერთოა ქართველური ენებისათვის. ქართული – ცა, ჭანური – ცა||მცა, მეგრული – ცა, სვანური – დე-ც. სვანურში „ცა“ ფუძეს გვაძლევს ხუთშაბათი – ცა-შ, (ცისა).

ივანე ჯავახიშვილი როცა ქართველთა წარმართობას იკვლევს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ქართველ ტომებს სათავისთავო სათიემო ღვთაებათა გარდა ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა“.

თუ გვქონდა საერთო ქართული წარმართობა, თუ გვყავდა საერთო ქართული ღვთაებები, საერთო ქართული ენაც უნდა გვქონოდა. „ცა“ სწორედ ამ მხრივაც საყურადღებო სიტყვაა. მეგრულ-ჭანურში, სვანურის მსგავსად, ხუთშაბათს ცააშხა||ჩაჩხა ჰქვია. ე. ი. ცის დღე, ივანე ჯავახიშვილის აზრით „საფიქრებელი ხდება რომ ხუთშაბათი დღის სახელში „ც“, ზეცისა კი არა, არამედ მნათობი აფროდიტეს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“..

„ც“ ფუძის ვარსკვლავის აღმნიშვნელობა შვიდეულის ხუთშაბათი დღის ქართულ სახელში დაცული ძველის-ძველი ხანის ნაშთი უნდა იყოს“.

ივანე ჯავახიშვილს გენიალური უბრალოებითა და წინასწარმეტყველური ინტუიციით დადგენილი აქვს ქართულ მნათობ-ღვთაებათა შემადგენლობა და სახელები:

კვირა – მზის დღე, ბჟაშ დღა, მიშლადელ (მნათობი ღვთაება – მზე, მზირა).

ორშაბათი – მთვარისა, თუთაშ დღა, დოშდიშ (მნათობი ღვთაება – მთვარე, თუთე).

სამშაბათი – არიასი, თახაშ დღა, თახაშ (მნათობი ღვთაება – თახა).

ოთხშაბათი — ერმისა, ჯუმაშ დღა, ჯუმაშ (მნათობი ღვთა-  
ება — ჯუმა).

ხუთშაბათი — აფროდიტისა, ცაშ დღა, ცაშ (მნათობი ღვთა-  
ება — ცა).

პარასკევი — დოისისა ობიშ დღა, ვებიშ (მნათობი ღვთაება —  
ვობი).

შაბათი — კრონოსისა, საბატონო, საფტინ (ამ დღის ღვთა-  
ება არ ჩანს. ქართ. ენებში).

როგორც ვხედავთ „ც“ აფროდიტაა, ქართულად მთიები, ცისკრის ვარსკვლავი, თითქოს სათქმელი არაფერი დარჩა, ყველაფერი გამორკვეულია და დამტკიცებულა. დიახ ეს ასეა, მაგრამ არის რამდენიმე სიტყვა, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით, კერძოდ: ზეცა, ცაიში, და წარმართული ლოცვა ოცაშხური.

თუ ცა ვარსკვლავი-ღვთაებაა, ზეცა რაღაა? რაკი ზეცა არსებობს, საპირისპირო ცნებაც იარსებებდა. ზე-სკნელისა და ქვე-სკნელის, აღმართისა და დაღ-მართის დარად. თვით ზე-ცის შინაარსი გვეუბნება, რომ რომელიღაც ცა კიდევ არსებობს. ასეთი მეორე ცა გახლავთ მი-ცა, ანუ მი-წა, გულუბრყვილო ეტიმოლოგიას ჰგავს, მაგრამ თუ გულდინჯად დავაკვირდებით, შესაძლოა, სწორი დასკვნაც კი გავაკეთოთ.

ნ. მარს და გ. კლიმოვს მიწის აღმნიშვნელ სიტყვად ქართველურ ენებში მიაჩნიათ მეგრული — დიხა, ქართული — თიხა, ჭანური — ნდიხა. ეს სიტყვა დაცულია სოფლის სახელებში: ნოღადიხა და წენდიხა (წალენჯიხას მეგრელები დღესაც წენდიხას ანუ ჭანის მიწას ეძახიან). სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონაშიც იპოვება, ამ სიტყვის ძირი. „დიხაშხო — მიწა დახეთქილი“. ე. ი. სხვანაირი მიწა, დიხაშხვა (სხვა-მიწა). მართლაც, სოფელ დიხაშხოს ხალხის რწმენით იმიტომ ჰქვია ეს უცნაური სახელი, რომ იმ სოფელში სხვა მიწაა, სხვანაირი მიწაა (დიხა შხუ) მსხვილი, ე. ი. ნაყოფიერი, კარგი მიწა. (ცნობა მომაწოდა ნ. აგიაშვილმა), თიხა მიწის მნიშვნელობით ძველ ქართულ სამწერლობო ენაშიც, რომ იხმარებოდა დამოწმებული აქვთ გ. კლიმოვს, ილ. აბულაძეს და სხვ. „შექმნა თიხად ნერწ-



ყვისაგან". იოვ. 9,6 „თიხისაგან შექმნილ ვართ მეცა და შენცა“, იობ. 33,6.

როგორც ვხედავთ, თიხა-დიხას მიწობა ქართველურ ენებში უეჭველია, მაშ, მიწა რაღაა? სწორედ, რომ მიწა და სხვა არაფერი. ც-ს წ-დ ქცევა ქართული ფონეტიკისთვის უცხო ხილი არ გასლავთ, ეჭვს იწვევს მი მორფემა. თუ ზე წინდებულის როლი „ზეცაში“ ვარკვეულია (მიმართულება ქვევიდან ზევით) „მიწაში“ ზეს საპირისპირო აზრის (მიმართულება ზევიდან ქვევით) დანახვა ჭირს. როგორც ვიცით „მი“ ზმნისწინია და მოქმედებას მიმართულებას აძლევს ძირითადად აქედან იქით, მი-აქვს, მი-ვიდა, მი-უახლოვდა და ა. შ.

წინდებული კი ქართულ ენას მაინცა და მაინც არ უყვარს, „წინდებულების ხმარება ძველ ქართულში გვხვდება, მაგრამ იქაც მეტად შეზღუდული სახით“ (აკად. აკაკი შანიძე). ყველაფერი ეს აძნელებს მი-წაში, „მი“ წინდებულის დანახვას. მაგრამ აკაკი შანიძეს იქვე მოაქვს მაგალითები ძველი ქართულიდან „აცადეთ თანად აღორძინებად მიმკამდის“ (მათ. 13,30) „ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს მი-მუნ დღემდე, რომელსა შევიდა ნოვე კიდობნად (მათ. 24,38).

„დაარღვიეთ, დაარღვიეთ მი-საფუძვლიმდე მისა (ფს. 136,7) ამ მაგალითებში „მი“-ს ნაწილობრივ მაინცა აქვს შერჩენილი „ზმნისწინური“ თვისება. მაგრამ ილ. აბულაძეს თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ აღიშის ოთხთავიდან მოაქვს სწორედ ის მაგალითი, რომელიც „მი“ წინდებულს სხვაგვარად წარმოგვიდგენს. „განიპო... ზენა-ათგან მი-ქუნამდე“. აქ „მი“ ზევიდან ქვევით მიგვანიშნებს. ჩანს ძველ ქართულში „მი“ წინდებულს ეს ფუნქციაც ჰქონდა, როცა ქართველმა კაცმა ცას მეორე სახელი ზე-ცა დაარქვა, ქვედა ცას მის საპირისპიროდ მი-ცა უწოდა. მი-ს მაშინ შეეძლო მიმართულება ზევიდან ქვევით გადმოეტა. ამავე ტიპის სიტყვა უნდა იყოს რი+წა←რი+ცა...

უნდა ვიფიქროთ, რომ დასაბამიდან ცა მნათობი-ღვთაება კი არა, საერთოდ ღვთაება, ცის ღვთაება იყო. დანაწევრება: მზე-ღვთაება, მთვარე-ღვთაება, და ა. შ. შემდეგ მოხდა.

ცა-ღვთაების დღე ხუთშაბათი (ცაშ დღა) იყო, მისთვის ლოცვას „ოცაშხური“ ერქვა, ეს ლოცვა ანუ ხვამა „ოცაშხური“ ს. მაკალათიას აქვს ჩაწერილი, მოგვაქვს მისი ქართული თარგმანი:

„ცაშხა დიდებულო, შენ გამრავლე ჩემი საქონელი, დაცავი ყოველივე ცუდისაგან, ავადმყოფობა შორს გაუქარვე, ძროხას კარგი წველა მიეცი, ყურისა და ხარებით აავსე ჩემი ოჯახი“.

ს. მაკალათიას ჩაწერილი აქვს სხვა წარმართული ლოცვებიც „ოთუთაშხური“, „ოჯუმაშხური“, „საღმრთო-საოსლო-რო“ ანუ კვირის ლოცვა, „მირსობა“, „ჟინი ანთარი“ და ა. შ. „ოცაშხური“ ყველაზე ღირები, ფრაგმენტული და ძუნწი ლოცვაა. ესეც მის სიძველეზე მიუთითებს. მლოცველი, ღვთაება-ცაშხას ავედრებს თავის საქონელს, კერძოდ, მსხვილფეხა პირუტყვს. მისი წინაპარი, ალბათ, სხვაგვარად ლოცულობდა. „ცაშხას“ (ცის დღეს) კი არ მიმართავდა, თვით „ცას“ შესობოვდა შემწეობას და შევრდომას, უფრო ვრცლად, უფრო დალაგებულად. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ლოცვის ამ ფრაგმენტშიც ჩანს ნაწილობრივ ღვთაება „ცას“ როლი ზეცაში: მას საქონელს ავედრებენ. ასლა საჭიროა გავიხსენოთ, რომ კვირაში ერთი დღის — ცის დღის, ხუთშაბათის გარდა, ამ ღვთაებისთვის გვქონდა უფრო დიდი, მთავარი დღესასწაული — დიდი ხუთშაბათი ანუ ცაშხადიდი.

დიდი ხუთშაბათი აღდგომის წინა ხუთშაბათია. ამ დღეს, თურმე, სამეგრელოში იცოდნენ მდინარეში ტანის დაბანა — „გერიში რჯგინა“, გაზაფხული მოვიდა და ტანის დაბანა მგელს უნდა დაასწრო — ეს აზრი იდო ამ რიტუალში.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. ელიავამ მომაწოდა ცაშხადიდის რიტუალის აღწერა ისე, როგორც დღეს ახსოვს ხალხს. ქვემოთ ცაშხადიდის ამბავს ვაქვეყნებთ შეუცვლელად, ვფიქრობ რომ მხოლოდ ასეთ პუბლიკაციას აქვს რაღაც მნიშვნელობა, თორემ როცა ჩვენს მიერ შეთხზულ თქმულებას, ლეგენდას, ანდაზას ხალხს ვაბრალებთ ეს იწვევს დიდ არეკ-დარევას და გაუ-

გებრობას. ჩვენს პრესაში ჯადოსა და ტელევიზიაში ხშირად გაიგონებთ „ლეგენდა ამბობს“, „ხალხი ამბობს“, სინამდვილეში კი ხალხი მსგავსს არაფერს ამბობს, ასეთ ლეგენდებსა და თქმულებებს, არავისთვის და არაფრისთვის, სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

ჟურნალისტსა და მწერალს, რა საკვირველია, შეუძლია შეთხზას ლეგენდაც, თქმულებაც, მითიც, მაგრამ ეს სულ სხვა „მთხზველობაა“. ასეთი თხზულება საბუთად არ გამოდგება. სწორედ ამიტომ, „ცაშხა-დიდობას“ ვაქვეყნებ ისე, ენობრივ შეცდომებსაც კი არ ვასწორებ.

„ცაშხა დიდს – დიდხუთშაბათს აღნიშნავდნენ ვნების კვირის ხუთშაბათში. თუ რატომ უწოდებდნენ დიდხუთშაბათს ეს ვერ დავადგინე. ისე კი ამ დღეს იცოდნენ მდინარეში ტანის დაბანის გასსნა, ეგრეთწოდებული „გერიში რჯვინა“. ამ დღეს ძველად ცოდნიათ ნაცრის სხვის ოჯახში (ეზოში ჩაყრა). ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი ოჯახის რწყილი იქ დაეფუძნებო. ძველად სწამდათ, რომ სწორედ ამ ცაშხადიდიდან თბებოდა მდინარის წყალი და ყოველი სულიერი არსება ზამთრის შემდეგ პირველად ამ დღეს იბანავებდა წყალში და ადამიანიც ცდილობდა არ დაესწრო ცხოველებს ტანის დაბანაში. მათ შორის – მგელსაც და პირველად მდინარეში ტანის დაბანასაც „გერიში რჯვინა“ ეწოდაო.

ჩემს მახსოვრობის დროს „გერიში რჯვინას“ მიზნით მდინარის წყალში მობანავედან ორი ადამიანი დაისრჩო, ეს იმიტომ რომ მობანავენი ქალები იყვნენ და საიდუმლოდ განმარტოებულად შესულან წყალში, რომლებმაც ვერ გამოზომენ წყლის მდინარება და სიღრმე. ღრმა მოსუცთაგან გამიგონია, რომ ისინი ვერ მოსწრებიან, მაგრამ ამ დღეს ცოდნიათ როგორც „ოთუთაშხური“ და „ოჯუმაშხური“ ხუთშაბათის სადიდებლად ლოცვა, რომელსაც შემდეგ „ოჯაშხური“ დაერქვა და გადატანილ იქნა ხსნილ დღეზე მის სწორ ხუთშაბათზე (აღდგომასა და ახალკვირას შუა).

გამოცდილი თვალი შეამჩნევს, რომ არც ეს ჩანაწერია მცენიერულად სრულყოფილი, მაგრამ დაცულია „ცაშხადიდობის“ ბუნდოვანი სურათი მაინც.

ახლა ვიკითხოთ რა კავშირი აქვს მგელთან გაჯიბრებას,

ნაცრის სხვის ეზოში ჩაყრას და ა. შ. ქრისტეს აღდგომას-  
თან? დიდი მისნობა არ ჭირდება იმას, რომ „ცაშხადიდობა“  
წარმართული დღესასწაულია, ერთერთი მთავარი დღესას-  
წაული, რომელიდაც მთავარი ღვთაების პატივსაცემად. ის  
ხომ ცაშხადიდა, თანაც გაზაფხულზე ბუნების გამოღვიძების  
და გამოცოცხლების დროს იმართება. მთავარი წარმართუ-  
ლი დღესასწაულები უმეტესად ამ დროს იმართებოდა.

რაკი ვიცით ლოცვა „ოცაშხურეს“ შინაარსი, გავეცანით  
ცაშხადიდობის რიტუალს (ნადირთა გაჯიბრება, სიტყვასიტ-  
ყვით „ჯობნა მგლისა“, „მკბენარის მოცილების მიზნით ნაც-  
რის სხვის ეზოში გადაყრა“ და ა. შ.). თავისთავად ნათე-  
ლია, რომ „ცა“ მეჯოგის, კერძოდ მენახირის მფარველი  
ღვთაებაა. ლოცვა ოცაშხურე, ანუ ოცაშხურე — ამ ღვთაები-  
სათვის განკუთვნილი ლოცვაა. ერთი დღე კვირაში — ცაშ  
დღა, ანუ ხუთშაბათი ამ ღვთაების დღეა. ცაშხადიდი კი,  
ხუთშაბათთა შორის ყველაზე მთავარი ხუთშაბათია ისევე,  
როგორც ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის (შობა, ამალ-  
ლება, ფერისცვალება და ა. შ.), მთავარი დღესასწაული აღ-  
დგომაა.

ამის შემდეგ გასაგებია „ქართლის ცხოვრების“ (მარია-  
მისეული ნუსხა) შემდეგი სტრიქონები: „რომელნიმე უგ-  
დებდეს ც ა ს ა და სხუანი მზესა და რომელნიმე მთვარესა,  
რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე მფრინველთა და  
რომელნიმე ქვეყანასა და მხეცთა და ნადირთა და ხეთა“.

ამ ცნობაში არეულია კოსმოსური მითოლოგია და ტო-  
ტემიზმი. როგორც ჩანს ცხოვრებაშიც ასე იყო, მითოლო-  
გიის დაბალი საფეხური და მაღალი საფეხური ქართულ სი-  
ნამდვილეში არ ირჩეოდა, მაგრამ ჩვენთვის ამ ცნობაში უფ-  
რო საინტერესოა ის, რომ „რომელნიმე უგდებდეს ც ა ს ა“...  
„ცა“ რომ ღვთაება იყო ეს უეჭველია, უფრო მეტიც — „ოცაშ-  
ხურე“ და „ცაშხადიდობა“ იმასაც კი გვეუბნება „ცა დიდე-  
ბული“ მსხვილფეხა პირუტყვს მფარველობდაო.

მსხვილფეხა პირუტყვის მფარველ ღვთაებად „ცა“ იმი-  
ტომაც მიგვაჩნია, რომ ხალხის წარმოდგენით თხას და  
ცხვარს ძველ სამეგრელოში სხვა ღვთაება ჰყავდა.

ზუგდიდის მკვიდრმა, პენსიონერმა პედაგოგმა ბესარიონ

ქირიამ თავისი ხელით ჩაწერილი მრავალი ლეგენდა, მეტად საინტერესო ხალხური თქმები და ლექსიკური მასალა გამომიგზავნა. თხის ღვთაების ამბავი ბ. ქირიას ასე ჩაუსწორია: „თხა სწრაფად მზარდი ცხოველია, ადვილი მოსაკლელია, ძველად ხელმოკლე გლეხების მარჩენალი თხა ყოფილა. თხას თავისი მფარველი ღმერთიც ჰყოლია — მ ა გ ი დ ე უ შ ი.

თხის მწყემსებს დილით ლოცვის დროს კვერები უნდა შეეჭამათ. როცა ძროხა ნახა ადამიანი, თხას ძროხა ამჯობინა, თხის მწყემსიცა და ღმერთიც აბუნად აივდო.

ერთხელ, თურმე, გამოაცხვეს კვერები, თჯახის უფროსმა წესისამებრ ლოცვა-ვედრებით მიმართა „მაგიდეშ“ და კვერი გადასცა თხის მწყემსს. მწყემსმა გატეხა კვერი და რას ხედავს. შიგ ყველი აღარ არის! მწყემსმა გაოცებულმა. წამოიძახა:

„ღორონთ სქან სახელქ  
დიხვამ მაგიდეშ,  
ვარწყექო მუჭო ავირღეს,  
კვერიშა ყვალი ვემაგიდეშ“.

„ღმერთო შენი სახელი  
დაილოცოს მაგიდეშ,  
სომ ხედავ, როგორ ავირღეს  
კვერში ყველი აღარ ზავიდეს“.

მამ, თითქოს გამოიკვეთა ზეცაში „ცა“ ღვთაების სახე: ძველისძველი კოლხური ღმერთი მფარველობს კოლხი მწყემსების მსხვილფეხა პირუტყვს, ეს ხუთშაბათობები და დიდი ხუთშაბათიც — ცაშხადიდიც ხალხს მის სადიდებლად დაუწესებია, ლოცვა ოცაშხური მისთვის აღუვლენია.

მაგრამ ახლა ახალი კითხვა იბადება, სად ხდებოდა ყველაფერი ეს, ღმერთი, მართალია, ზეცაშია, მაგრამ მას კუთვნილი ადგილი მიწაზეცა აქვს, სხვაგვარად კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის ვერ დამყარდება.

ეს ადგილი გახლავთ ცა-ში. დღევანდელი სოფელი ცა-იში და მისი შემოგარენი, ზუგდიდთან ახლოს. ეს ისეთივე მოვლენაა, როგორც ოდი და ოდი-ში.

თავის დროზე ვუკოლ ბერიძემ შესანიშნავად დაამტკი-

ცა, რომ „ოდი“ ქართული წარმართული ღვთაებაა, მიწათმოქმედებისა და მოსავლიანობის მფარველი ღმერთი. ოდიში მისი საკულტო ადგილი, „ოდოია“ და „ოდური“ კი ამ ღვთაების საგალობლები. ისევე როგორც ღვთაება ჰერაკლეს სახელი ეწოდა ქალაქს თესლიაში, — ჰერაკლია. ღვთაება ქალდეს სახელი ქვეყანას — ქალდია, ღვთაება ჰათენას სახელი — ათენს და ა. შ. „მაზასადამე, ჯერ ღვთაება ქვეყნის პატრონი და შემდეგ ღვთაებისგან თვით ქვეყნის სახელწოდება“ (გ. ბ.). ღვთაება ოდი, მისი ქვეყანა — ოდიში, ღვთაება ცა, მისი ქვეყანა — ცაიში. გვარიც გვაქვს ოდი შვილი, ალბათ ღვთაება-ოდის მსახური გვარი და ცაავა, ანუ ცაა (მეგრ.) ღვთაება-ცას მსახური გვარი.

ზოგი მეცნიერი ვუკ. ბერიძეს არ ეთანხმება, ზოგს იშ, (შ) სუფიქსიანი ტოპონიმები სვანურად მიაჩნია და მის „ზანურ“ ახსნას სწორად არ მიიჩნევს. ამას, ცხადია, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ეს წერილი სხვა მიზნით იწერება, მართალია, ყველა იშიან ტოპონიმში მაგ. „ჭყვიშში“, ღვთაებას ვერ იპოვის მოწადინებული კაციც კი. ჭყვიშში ან ჭყვიში მეგრული სიტყვაა და ნიშნავს მწყემსს. მაგრამ როგორ უნდა აიხსნას ქუთეში, ხაიში და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება სიტყვა ქუთ-ეში. ქუთაისს მეგრელები დღესაც „ქუთეშის“ ეძახიან. „ქუთ-ე-შ-ი“ სწორედ ზუსტად „ქუთ-ა-ის-ი-ა“ა. საერთო ქართველური კანონი მოქმედებს, და არა სვანურ-ზანური.

როგორც ზემოთ აღვნიშნე ვუკოლ ბერიძემ თავის მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო წერილში „ოდი, ოდიში“, ოდოიას საკითხი ძალზე ნათლად და დამაჯერებლად გადაწყვიტა. ამის შემდეგ ცოტა არ იყოს მეჩოთირა ლაღო ბახტრიონელის ცდა „ოდში“ „ოდისეას“ დაუკავშიროს.

მაგრამ თუ ამ სიტყვებს ასო-ასო გავჩხრიკავთ, თითქოს შეიძლება კავშირის დამყარება. უფრო მეტიც, შეიძლება ღრმა ფესვების დაძებნაც; თუ ბიზანტიელ მწერალს, ოდისეას კომენტატორის ევსტათი თესალონიკელს დავუჯერებთ ქალაქი „ოდისეია“ იბერიაშია. „ამათ (საუბარია ოდისევისისა) და კირკეს შვილებზე) დაიპყრეს მათი თანამოსახელე ქვეყანა და თავიანთი სახელების მიხედვით ხალხებსაც უწო-

დეს. ამათ ემოწმება, აგრეთვე, იბერიაში ქალაქი „ოდისეია“. (გეორგიკა, 13). ამ კომენტარს აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: ყველას მიერ აღიარებულია, რომ აქ იგულისხმება ისპანის იბერია, მაგრამ რადგან ევსტათი ამას იხსენებს ოდისევსისა და კირკეს შვილებთან დაკავშირებით, იქნებ ეს საკითხი გადასინჯული უნდა იქნესო.

ჯერჯერობით, ვიდრე სპეციალისტების მიერ გადასინჯული არ არის ეს საკითხი, შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა: მეცნიერულად რომც დამტკიცდეს კავშირი „ოდისა“ და „ოდისეიას“ შორის, ეს მაინც ვერ შეცვლის ვუკოლ ბერიძის მოსაზრებას „ოდიში“ წარმართული ღვთაება „ოდი“ დაინახოს. და თუ ეს ასე იქნება, მაშინ ჩვენს ო დ ი ს ო დ ი შ ს ა და ო დ ო ი ა ს ფასი დაედება და ოდიშის ფარგლებსაც გასცდება.

როგორც ვხედავთ, ლადო ბახტრიონელის პატარა წერილმა გარკვეული ფიქრი აღძრა, კონკრეტული საკითხებისაკენ წარმართა ჩვენი ყურადღება.

ამ წერილში კიდევ არის რამდენიმე სიტყვა, რომელიც ო დ ი ს ო დ ო ბ ა ს ამტკიცებს.

ვუკოლ ბერიძემ ოდის, ოდიშის და ოდოიას კვლევისას ყურადღება მიაქცია შემდეგ სიტყვებსა და გამოთქმებს: „ოდი მოედო ყველაფერს“, „დააოდა“, „ქარი უქროდის ოდისა“ (დ. გურამიშვილი), „ოდური სიმღერები“, „დაოდვილი“, „მოოდვილი“, „ოდოში“, „ოდოჟღერი“. ლადო ბახტრიონელმა კი მზის სინათლეზე გასაჩხრეკად გამოიტანა „ოდინდელი“ და სვანური „ოდი“, „შიოდი შამორერა“. მაშასადამე „ოდი“-ს მკვლევართ მწერალმა მცირეოდენი სამსახური მაინც გაუწია. სწორედ ამ იმედით იწერება ეს სტრიქონებიც.

დავუბრუნდეთ ისევ „ცა“-ს. თუ „ცა“ ღვთაებაა, მაშინ რატომ დაერქვა ღვთაების სახელი მიწას? ჩემი ვარაუდი ასეთია. თავდაპირველად „ცა“ ღვთაება გვქონდა ყველა ქართველი ტომისთვის თუ არა, კოლხური ტომებისთვის მაინც. შემდეგ დიდი ცა დანაწევრდა, ცალ-ცალკე „წარმოიშვნენ“ მნათობი ღვთაებები მზის ღვთაება — მზირა ან არდი, მოვა-

რის ღვთაება — თუთე, მარსის ღვთაება — თახა||თარხონ, ჰერმესის ანუ მერკურისა — ჯუმა ჯიმალი, დიოსისა ვობი||ვები, ხოლო აფროდიტას ანუ ცისკრის ვარსკვლავს შერჩა ძველი სახელი. მთავარმა და ასალმა ღვთაებებმა ახალი იდეოლოგია და ახალი სახელები მოიტანეს, ძველი სახელი ყველაზე უმნიშვნელო ღვთაებას შერჩა.

ასეთი ჩამოყალიბებული მითოსურ-ასტრალური აზროვნება მარტივი იდეოლოგიისა და კულტურის ხალხს ვერ ექნებოდა, ცისა და მიწის სახელი კი არა, ამ დროს ალბათ ქვის კირბებზე იწერებოდა მამათა ნააზრევი, შესაძლოა ამირანის მითიც, კი. მაშ, ცისა და მიწის სახელები სავარაუდებელია უფრო ადრე, ვიდრე ადამიანი ბუნების ძალებში, ღვთაებების ძებნას დაიწყებდა: პირველად „ცა“ იყო, მხოლოდ ცა და მეტი არ..ფერი, მაგრამ როცა ციდან წამოვიდა წვიმა, თოვლი, ცეცხლიც კი მაშინ ადამიანმა ის გააღმერთა. რაკი სიტყვა „ცა“ ღმერთად იქცა, ცის კამარისათვის ახალი სიტყვა ზეცა, ხოლო ზეცის მიწიერ ხატს ქვე-ცა ანუ მი-ცა ეწოდა, მაგრამ ამ დროს ქართველ ტომებს მიწის სახელი უკვე ჰქონდათ თიხა||დიხა||ნდიხა, ამიტომ, ქართულში თიხის მნიშვნელობა თანდათან დავიწროვდა და ძველი სახელი მიწისა მხოლოდ ერთი სახეობის მიწას — თიხას შერჩა.

ასეა თუ ისეა, ერთი რამ დღესაკვიტ ნათელია: ცა, ოდი, ცაიში, ოდიში, ზეცა, მიწა, დიხა, თიხა, ცააშხა, ოცააშხური სწორედ რომ თ დ ი ნ დ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ა .

#### ოხვამე, ხუმერთი, თანაშა

მეგრულ-ჭანურმა და სვანურმა ენამ ბერძნული სიტყვა „ეკლესია“ არ იცის. ამ მხარეში ეკლესიას დღესაც ოხვამე||ოხვამბე||ლაჯუამს ეძახიან, „ხვამ“ ანუ „ქუამ“ (ლოცვა) ფუძიდან.

ეს ფაქტი ყურადსაღებად მეჩვენება. როგორი მძლავრი



წარმართული სალოცავები უნდა გვქონოდა, რომ ქრისტიანობამ მრავალი საუკუნის მანძილზე ვერ შეძლო ვერც ბერძნული „ეკლესიით“ და ვერც ქრისტიანობის დროინდელი ქართული სიტყვით საყდრით (საყუდარი) მისი შეცვლა. ქართულ ეკლესიაში კი ყველა რიტუალი ყველა წესი ოდესღაც ბერძნულად, ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე სრულდებოდა, ტერმინოლოგიაც ქართული გვქონდა, ან ბერძნული.

საეკლესიო ტერმინოლოგია ცალკე შესწავლის ღირსია. თუ მეგრულ-ჭანურ, სვანურ და ქართულ სასულიერო ტერმინებს დროზე ჩავიწერთ და გამოვცემთ (ვიდრე ხალხს დავიწყნია ეს სიტყვები) ვფიქრობ ქართული ენისთვის სასარგებლო საქმეს გავაკეთებთ.

აკად. არნ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ „ოხვამე“ წარმართობის დროინდელი ტერმინია. სვამ||კუამ, ხ-უ-ამ ძირი საერთო ქართველური გვეჩვენება.

დღეს უკვე მეცნიერებაში ეჭვს არ იწვევს ის აზრი, რომ ქართველებს ქრისტიანობამდე პქონდათ კულტურა, რელიგია, დამწერლობაც კი. ივანე ჯავახიშვილი ქართულ წარმართულ პანთეონში ყველა ქართველი ტომის საერთო მთავარ ღვთაებასაც კი გამოპყოფს — მ თ ვ ა რ ე ს. და თუ ეს ასეა, იმ ძველისძველ კოლხურ მთვარის ტაძრებში შესაძლოა, სწორედ „ხუამ“ ძირის ქართული სიტყვები გაისმოდა, თვით საკულტო ადგილებს ოხვამე||ლაკუამ (სალოცავი) ეწოდებოდა. შემდეგ როცა ქრისტიანები მოვიდნენ, იმ ნაოხვამუებზე ააგეს ახალი სალოცავები — ეკლესიები. ხალხმა მამაპაპური, სისხლსა და ხორცში გამჯდარი სიტყვა ველარ დაივიწყა და ჩვენს დრომდე მოიტანა.

გარდა ეკლესიისა, მეგრულმა არ იცის აგრეთვე, მღვდელი, ლოცვა, აღდგომა, მათ მაგივრად გვაქვს პაპა, ხვამა, თანაფა და ა. შ.

მაგ. ჯვეშო წირუა ღო ხ ვ ა მ ა უჩქუდეს, პ ა პ ა ხვამას გერე, გოთანდუ თ ა ნ ა ფ ა ორდოქ (ძველად წირვა და ლოცვა იცოდნენ, მღვდელი სალოცავად დგას, გათენდა აღდგომა დილა). „წირუა“ და ქართული „შეწირვა“ ერთი და იგივე ფუძეა, პაპა ბერძნულიდან მოდის (ი. ყიფშიძე). დარ-

ჩა თანაფა და ხვამა. ამ ორ სიტყვაზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ.

ძველ ქართულში აღდგომისათვის შემდეგი ტერმინები გვქონდა:

ახუსება||ადვსებე („გალობანი ადვსებისანი“), პ ა ს ე ქ ი, ზ ა ტ ი კ ი, ვ ნ ე ბ ა, კ ვ ი რ ი ა კ ე, უფრო გვიან აღ დ გ ო მ ა.

როგორც ვხედავთ, მეგრ. თ ა ნ ა ფ ა, (ქართ. თ ე ნ ე ბ ა) ძირი ამ სიტყვებში არსად ჩანს. მეგრული თ ა ნ ა ფ ა დღეს გა-თ ე ნ ე ბ ა ს (გოთანაფა), და ღამის თევასაც ნიშნავს. აკად. არნ. ჩიქობავა ამ სიტყვებში გამოჰყოფს თ, თე-ძირს, მეგრ. სინ-თ-ე (სინათლე), ქართ. სი-ნა-თ-ლ-ე, ნა-თ-ელ, უმარტივესი სახით ეს სახელი ჭანურშია წარმოდგენილი — თ ე (სინათლე, ნათელი), ნ. მარიც „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკაში“ ადასტურებს ამ სიტყვას.

მამასაღამე, თ ა ნ ა ფ ა ს საერთო ქართული წარმომავლობა შეჭველია.

ახლა დავაკვირდეთ აღდგომის ტერმინებს: პასექს, ზა-ტიკს, ვნებას, კვირიაკეს, აღდგომას... ეს სიტყვები ან ს ს ვ ა -თ ა სიტყვებია. ან კ ა ლ კ ი ა. რაც მთავარია, ისინი აღნიშნავენ დღესასწაულს, ზეიმს, ან უშუალოდ ქრისტეს უკავშირდებიან, მაგ. „ვნებაში“ ქრისტეს ტანჯვა, დასჯა, ვნებაა სავარაუდებელი (ვნების კვირა), „აღდგომაში“ კი ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა. დაგვრჩა ერთი ქართული სიტყვა — ა დ ვ ს ე ბ ა.

რა არის ადვსება? კავშირი „ადვსებასა“ და ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს შორის მეტად ბუნდოვანია. სააღდგომო ტერმინებს გამოეყოფა, — აგრეთვე, ზემოთხსენებული მეგრული — თ ა ნ ა ფ ა. მასაც არა აქვს პირდაპირი აზრობრივი კავშირი აღ დ გ ო მ ა ს თ ა ნ, დღესასწაულთან.

მაგრამ ა დ ვ ს ე ბ ა ს ა და თ ა ნ ა ფ ა ს შორის კავშირის დამყარება შეიძლება. ა დ ვ ს ე ბ ი ს პირველი მნიშვნელობა ილ. აბულაძის განმარტებით ა ვ ს ე ბ ა, გა ვ ს ე ბ ა ა. საფიქრებელია, რომ ამ სიტყვაში მთავარის ა ვ ს ე ბ ა. ივარაუდება. როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია „სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთავარის თაყვანისცემის კვალი შერ-

ჩენილა; ამის გამო მთვარის ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომის უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“ (ქ. ერ. ისტორ. 60).

ივანე ჯავახიშვილი ქართულ თქმულებებზე, ადამ-წესებზე, საეკლესიო რიტუალებზე დაკვირვებით მიდის იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში მთვარეს თაყვანს სცემდნენ, ვითარცა მთავარ ღვთაებას, მის სახელზე მრავალი ტაძარი იყო აგებული და ამ ტაძრებში სათანადოდაც ემსახურებოდნენ თავიანთ ღმერთებს. სწორედ ერთერთი ყველაზე მთავარი ღმერთის — მთვარისათვის გაწეული სამსახური გასლდათ ღამის თევა. ივანე ჯავახიშვილი განიხილავს თეთრი გიორგობის ხატობას და დასავლეთ საქართველოს წმ. გიორგის დღესასწაულებს. ამ დღესასწაულებში „ღამის თევას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ — ასკვნის პატივცემული მეცნიერი, — თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა, მთვარე კი, რასაკვირველია, მწუხრის დროს, საღამოთი გამოჩნდება და ღამე ანათებს ხოლმე. ამის გამო მთვარის ხატობა ღამით უნდა იყოს ხოლმე და არა დღისით. ამას გარდა ყველამ კარგად იცის რომ 15 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინებაა. სოფ. აწყურსა და საქართველოს სხვა ადგილას კი 14—15 აგვისტოს თეთრი გიორგობა იცინა ხოლმე. რათა? იმიტომ რომ 14—15 მთვარის აღვსებაა“.

ასეთივე მაგალითი მოაქვს ივანე ჯავახიშვილს დასავლეთ საქართველოდანაც, განიხილავს სუჯუნის წმინდა გიორგის დღეობას. „23 აპრილს აქ მთელი სამეგრელოდან მრავალზე უმრავლესი მლოცავი ხალხი მოიყრის ხოლმე თავს. დღესასწაულის წინა დღეს ერთს სათნოებით და სიწმინდით განთქმულს მოხუცებულს ამოირჩევდნენ ხოლმე. მთელ ღამეს ეკლესიაში დასტოვებდნენ. ის ღამე მას ღოცგაში და ოცნებაში უნდა გაეთენებინა“ (ქ. ერ. ისტ. 56).

გარდა ღამის თევისა, ამ დღეობაში ჩემთვის საყურადღებოა ის, რომ დღეობა გაზაფხულზე აპრილის თვეში იმართებოდა.

ახლა გავიხსენოთ ქრისტეს აღდგომა: როგორც ვიცით თთხივე მახარებელი თითქმის ერთნაირად მოგვითხრობს

ამ ამბავს: ქრისტეს ფარულმა მოწაფემ იოსებ არიმეთიელმა ჯვარცმულის გეამი გამოთხოვა პილატეს, პილატემ ნება დართო. იოსებ არიმეთიელმა და ნიკოლიმოსმა „შეგრაგნეს“ ქრისტეს სხეული სუდარაში და კლდეში გამოკვეთილ საფლავში შედეს, ზედ ლოდი მიაგორეს და წავიდნენ. ამ დროს იქ იყვნენ ქალები მარიამ მაგდალინელი და სხვები. ღამე არავის უთევია. პირიქით, „ერთსა მას შაბათსა“ „განთიად“ მოდის ჯერ მარიამ მაგდალინელი, შემდეგ მორბიან მოწაფეები და ცხედარს ვერ პოულობენ. თურმე მომხდარა „ხილვა მისი, ვითარცა ელვა“, პილატეს მცველები შიშისაგან ქცეულან „ვითარცა მკუდარნი“.

საპატივცემულო „ლამის თევა“, ისეთი, როგორც იციან ჩვენში: მიცვალებულს რომ ღამეს უთევენ, ქრისტეს არ ჰქონია.

ეჭვი არ არის, რომ თანაფა წარმართული დღესასწაულია, კერძოდ მთვარის დეტაებისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი, მთელი ღამის გათენება, ღამის თევა — თანაფა... ეს ხდებოდა, ალბათ, ბუნების, ცოცხალი არსების გამოღვიძების დროს, გაზაფხულზე, როცა მთვარე გაივსებოდა, მთვარიან ღამეში, კვირა ღამით, ორშაბათს — მთვარის დღეს (თუთაშ დღას) ხვდებოდნენ ზეიმით. უქმე დღე იყო ორშაბათი. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში დღესაც ადევს ტაბუ ორშაბათობით საქმეზე წასვლას (ვაშინერს).

მაშ, თანაფა, შესაძლოა თენაფა და აღვსება აღდგომის ძველისძველი ტერმინებია. ახალმა რელიგიამ დღესასწაულიცა და მისი სახელიც გამოიყენა, ქართულ წარმართულ სალოცავებში შევიდა და ახალი რწმენა შეიტანა, მაგრამ ენამ შეინარჩუნა ძველი.

## ხვათა

როგორც ვთქვით, მეგრულმა ენამ სიტყვა „ლოცვა“ არ იცის. სალოცავს ო-ხ ვ ა მ-ე ჰქვია. „ქართულში ეს ფუძე არა გვაქვს. საფიქრებელია, რომ ქრისტიანულმა საეკლესიო ნო-

მენკლატურამ განდევნა ის ქართული ლექსიკიდან“ (არნ. ჩიქობავა). ხვამ — ფუძის შესატყვისად მიმაჩნია სვანური ლა-ჭუამ, (სალოცავი, ეკლესია), მეგრულს ჭანურიც უჭერს მხარს ო-ხვამ-ე||ო-ხვამ-უ||ო-ხვამბ-ე. როგორც ვხედავთ ხ-უ-ამ, ან ხ-ვ-ამ ძირი საერთო ქართული ჩანს, მაშ, ქართულში სადღაც მიმაღულა ეს სიტყვა და ზედ დროის ნაცარი აყრია.

დავაკვირდეთ სიტყვის შინაარსს. ხ ვ ა მ ა ლოცვაა ღმერთისადმი აღვლენილი, ო-ხვამ-ე-ში ხდება ეს აქტი, ხოლო ღმერთი მალაა, ზეცაში. რამე კავშირი ხომ არ არსებობს ხ ვ ა მ, ხ უ ა მ და ღმერთს შორის? პირველი, რაც ამ კავშირისაკენ გვიბიძგებს, ვინაა, როცა სიტყვა ღმერთს, ნათესაობითში მოვაქცევთ — ღ-ვ-თის, ან ვაწარმოებთ სა-ღ-ვ-თ-ო, ღვთა-ებ-ა „ღ“-ს შემდეგ ჩნდება ვინი. საიდან ჩნდება ვინი ამ სიტყვებში?

მეგრულად ღმერთი ღორონთია. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი სიტყვა ქვას არქეტიპად მიიჩნევენ ქუალ-ს. ამ სიტყვის „ისტორია“ მათ ასე ესახებათ: ქუალ→ქოლ (ჩაქოლ-ვა)→ქვა. მაშასადამე, ჩვენი მაგალითისათვის რაკი გვაქვს მიერთებები ღ ვ, ღ ო, ბუნებრივია გვექნება ღუც, ე. ი. ღუმერთი. უფრო მეტიც, თ. გამყრელიძეს და გ. მაჭავარიანს მიაჩნიათ, რომ „ისტორიულად დამოწმებულ ქართველურ ენებში მოხდა საერთო ქართველური (ჴ) ფონემის გახლეჩა დამოუკიდებელ ფონემურ ერთეულებად მისი ალოფონების ფონოლოგიზაციის შედეგად: საერთო — ქართველურ (ჴ) სონანტს სვანურში დაუპირისპირდა (ჴ), და (უ) ძვ. ქართულში — (ვ), (ჴ) და (უ), მეგრულ-ჭანურში — (ვ) და (უ), ჭანურში (ძ) ელემენტები, როგორც დამოუკიდებელი ფონემები.

ჩვენის აზრით, რაკი ღორონთ, ღვთის, ღვთაება ფუძეებში ო და ვ დასტურდება, ხოლო ძვ. ქართულში გვაქვს ღჴთის, საერთო ქართველური ჴ-საკენ ნაბიჯის გადადგმა შეიძლება. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, ღორონთ-ფუძეში ო-ს გაჩენას რ და მ სონანტების ვოკალიზაციით ხსნიან. რაკი ეს ასეა, ისტორიულად ღ-ს შემდეგ მოსალოდნელია — უ, ღუმერთი ან ხუმერთი. ღ-ს ხ-დ ქცევა, ან პირი-

ქით, ხ-ს გამჟღერება ქართულისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ასუსება ხანმოკლე ლექციონარში აკაკი შანიძის მიერ დადასტურებული, სწორედ ამის მაგალითია, აღვსება — ასუსება: ვახტანგ იმნაიშვილის ასუსება „მამათა ცხოვრებან-შიც“ უპოვია, ხოლო „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრების“ ერთ-ერთ ხელნაწერში ასოსება ფორმაც ყოფილა. მაშასადამე, ასუსება → ახასება → აღვსება: ღ → ს და უ — ო — ვ.

ვახტანგ იმნაიშვილი ასუსებაში ღ-ს დაყრუებას ს-ს გავლენით ხსნის.

ივანე იმნაიშვილს თავის „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში ღ, ყ, ხ, ბგერების შენაცვლებების მრავალი მაგალითი მოაქვს. ჩვენთვის საინტერესო ღ-ხ-სთვის სიტყვა ბაღდიად — ბახდიად შეურჩევია.

ახალ ქართულში დიას||დიად-იც ხომ ამის კარგ მაგალითს იძლევა. ა ხ უ ს ე ბ ა, ბ ა ხ დ ი ა დ, დ ი ა ხ, მაინც სხვა ფუძეებია, დავუბრუნდეთ ისევ ღ მ ე რ თ ს ა და ღ უ მ ე რ თ ს.

ხალხურ მეტყველებაში, კერძოდ, მთის კილოებში შენარჩუნებულია, ჩვენის აზრით, ღ მ ე რ თ ფუძის ის ფორმები, რომლებიც გამოგვადგება ხ უ მ ე რ თ არქტიპის აღსადგენად.

მაგალითებს მოვიტანთ თ. თრიაურის წიგნიდან „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“ და „სადიდებლებიდან — (ქართული ხალხური პოეზია ტ. 1, შემდგენლები: მ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე).

„ხ თ ი შვილ დაბადებიდგეს დაიჭერს“... „ერთი ხ თ ი სია იყენ ჭეჭეთიონი“.

„აემ ჭიქა ბარძიმზედა თქვენ გადიდასთ და თქვენ გაგიმარჯოსთ, ლაშქარნო ხ თ ი სანო, ხ თ ი შობლისანო“.

„ღმერთო, გაუმარჯოს ს ა მ ხ თ ო ს მაღალსა“.

„ს ა ხ მ თ ო ბერო ბადურო“..

„გაგიმარჯოსთ, კევსურელნო ხ თ ი შვილნო...“

თითქოს ხელს არაფერი გვიშლის კუმერთ → ხუმერთ ფუძე აღვადგინოთ, მაშინ მეგრულ ს ვ ა მ ა ს ა, სვანურ ჯუამ (ლა-ჯუამ)-სა და ხ უ მ ე რ თ ფუძეებს შორის კავშირი უდავოა. ჯუამ → ჯუმ ფუძეს კი მივყავართ მეტად საინტერესო ქართული ფუძეებისაკენ: სა-ჯუმილ-ი.

ილია აბულაძის განმარტებით საჯუმილი ან სახ-  
მილი, ღუშელია, ქურაა, სადაც ცეცხლი წარმოიშობა. ცე-  
ცხლის ღმერთობა კი უძველესი რწმენაა ქართველთა. მა-  
შასადამე სა-ჯუმ-ილ-ი ის ადგილია, სადაც ღმერთი იმყოფე-  
ბა, თავდაპირველი მისი ადგილი კი ზეტაში იყო — ხვამ-  
ლი→ხომ-ლი. ხომლი დღეს ვარსკვლავთ კრებულია. ო-ხ-  
ვა მ-ე-ცა და ლა-ჯ უ ა მ-იც ხომ ღმერთის ადგილია დედამი-  
წაზე.

ჩვენი ინტერესი ხვამ||ხუამ ძირისადმი უფრო შორს მი-  
მავალია ხვამ||ხუამ||ხუმ მორფემებში ალბათ გამოიყოფა  
სკ, სკ→ხ ძირი.

ილია აბულაძეს „მეფეთა წიგნში“ უბოვია „ღუერთი“. ეს  
სიტყვაც ჩვენს ვარაუდს უჭერს მხარს ღუ-ერთი ხუ-ერთი  
ხ-ე-ერთი. თუ ხვამა ჭამა ტიპის ზმნაა, მაშინ ხ-ვა-მა-ში  
ხ-ძირი ილანდება.

ახლა დავაკვირდეთ ჭ-ძირიდან მიღებულ სახელებს სა-  
ჭ-მე-ლი, ჭ-ამ-ად-ი, ჭ-ად-ი, და წ-ძირიდან წ-ვა-ა — წ-ვა-  
ამ-ა მიღებულ სახელებს სა-წ-ვა-ავ-ი, წ-ვა-ა-დ-ი და ა. შ.

ხომ არ გვაქვს მსგავსი წარმოება ხ-ძირიდანაც ხ-ვა-ამ-ლი,  
ხ-ად-ი||ხ-ატ-ი. ვ-ს დაკარგვა ამ პოზიციაში მოულოდნელი  
არ უნდა იყოს. რაც მთავარია, ძველ ქართულში გვაქვს ხ ა-  
და ზმნა, რაც „ღაღად-ყოფას“, „ე. ი. ღმერთის გამოძახებას,  
ღმერთის გამოსმობას ნიშნავდა თავის დროზე. „ელიას ჰხ ა-  
დის“... „ხადიან სახელსა უფლისასა“... „ჭირსა ჩემსა ვხა-  
დე უფალსა“ და ა. შ.

ხადა ნასახელარ ზმნად მიმაჩნია ხ-ად-ი→ხ-ატ-ი→ხ-ად —  
ხ ა და.

ეტიმოლოგია ენათმეცნიერების ყველაზე ვერაგი დარ-  
გია. გგონია, ყველაფერი დაამტკიცე და სწორედ ამ დროს  
ისეთი სიტყვა წამოჰყოფს თავს, ისეთი ფონეტიკური მოვ-  
ლენა გადაგელობება წინ, თავდაყირა დააყენებს შენს ნააზ-  
რევს. ყოველშემთხვევაში, ხ ა ტ ი ს დაკავშირება არაბულ  
ხატტ-თან (ხაზი, ნაწერი) სპარსულ კატაკთან (სახლი), ქართ.  
ქადაგი და ა. შ. ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე მისი ქართუ-  
ლი წარმომავლობა.

ხ-ძირის უფრო ფართო, უფრო ღრმა ფესვების დაძებნაც

შეიძლება, მაგრამ ჩემი ფიქრი ხუმერთ-არქექტის დასტრიალებს. რამდენადაც სიტყვის პირველ ნაწილში, აურაცხელი ფონეტიკური მოვლენების გათვალისწინების შემდეგ, თითქმის უჩინარ სიტყვას კუმ||ხუმ-ს ვხედავთ, იმდენად მეორე ნაწილში ნათლად იკითხება — ე რ თ ი. ხომ არა გვაქვს რთული სიტყვის მარტივი წარმოება ხუმ-ერთი→ხმ-ერთი→ლმ-ერთი. ასეთი წარმოება ქართულისათვის უცხო არ არის. მაგ.: წამ-ერთი: „ავსა წ ა მ-ე რ თ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს“ (რუსთაველი). თუ ეს ასეა, ხუმერთ ფუძეში ერთის გაჩენა შემთხვევითი ვერ იქნება. ღმერთის ერთობა, ღმერთის სახელის ერთად გააზრება უკვე თავისთავად მიუთითებს ქართული მონოთეიზმის რომელიღაც მაღალ საფეხურზე.

ერთღმერთიანობა ქართველთა წარმართობის ბოლო საფეხური უნდა იყოს, ქრისტიანობას წინ უსწრებდა ქართული ერთღმერთიანობა.

რასაკვირველია, იმ ერთ ღმერთს — ხ უ მ ე რ თ ს, არ გაუძევებია, სხვა ღმერთები, ის იყო მთავარი, ზეცაში სინათლედ მსუფვეი ერთადერთი ყველაფრის შემქმნელი ღმერთი. დანარჩენი ღმერთები კი „ხთის შვილები“ იყვნენ და იმ ერთს ემორჩილებოდნენ. ასეთ ფიქრს აღმიძრავს ქართული ხალხური შემოქმედება, ლოცვები, სადიდებლები:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია.

მემრე ვადიდოთ კვირაე, კვირაე კარაღვთისია,

მემრე ვადიდოთ ფიწალე, ლაშქრისა წინამძღვარია,

მემრე ვადიდოთ კობალე, კობალე კარატიისა,

მემრე ვადიდოთ გიორგი, გიორგი ხახმატისია“... და ა. შ.

(თუშური ჯვარული).

პირველად „ღმერთის“ ხსენება, ქართული ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელია. ვთქვათ, პირიმზეს ადიდებს ქართველი კაცი, ის იწყებს შემოქმედი ღმერთით, შემდეგ გადადის „თავის“ ღმერთებზე:

„ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი და ღმერთო შენა ხარ

საკედრებელი...“

რამანაც ცანი დახურე და ქვეყნიერება შემოქმენდი...“



ღმერთო, გაუმარჯოს სამსთოს მაღალსა...  
ღმერთო, გაუმარჯოს დუმიანის სამსთოსა...  
ღმერთო, გაუმარჯოს კვირიე პრიელსა,  
ხაის იასულსა სორციალთ ელუფელებარსა.  
ღმერთო, გაუმარჯვე მთაგარანგელოზსა,  
მთაგართ სახსენებელ-სავედრებულსა.  
ღმერთო, გაუმარჯოს სელმწიფეს პირიმზესა — ახალციხათ

მთბრძანებულსა... და ა. შ.  
(პირიმზის სადიდებელი).

როგორც ვხედავთ, პირიმზე მეხუთედ იხსენიება, ანდა ვნახათ ლომისის სადიდებელი:

„ღმერთო დიდება შენსაჲნიათ.

ღმერთო, შენსაჲნიათ.

ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისასაო... და ა. შ.

(ლომისის სადიდებელი).

აქ ლომისა მეორედ იხსენიება, პირველი კი კვლავ ის ღმერთია, რომელსაც ქართველი კაცი განსაკუთრებული მადლით ეპყრობა. ცხადია, ეს სადიდებლები იგი ღოგებები ჩვენამდე პირვანდელი სახით არაა მოღწეული. ამის თვალსაჩინო მაგალითია ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი ქმადისთავის წმინდა გიორგის სატობის დროს ხევისბერის მიერ მასვეწარის დამწყალობლება: „წმ. გიორგიმ გაუმარჯოს შენის ოჯახის კეთილ ანგელოზებს, იყოს მფარველი და მცველი შენის სახლ-ჯალაფის, შენის კაც-საქონლის, ოთხფეხორფხის ყველა კეთილის გულის მამსვლელ-წამსვლელს შენ გაუმარჯვეო“.

ამ სამწყალობლოს დღევანდელი ხევისბერი მოკლედ ამბობს, — წერს ს. მაკალათია და აღადგენს მის პირვანდელ სახეს:

„ღმერთო, წინა ძალი და ბრძანება შენია, შენ გააჩინე და ააუროთხე ცანი და კნეყანანი“.

დიდება შენდა, კვირიათ კარავიანო, ღვთის და მეუფის კარზედ მდგომელო, სიმართლის პასუხის გამცემელო ღმერთთანა და წყალობის გამომტანელო სმელზე სორციელთათვის:

„დიდებაჲ შენდა, კობალავ შვენიერთო!

დიდებავ შენდა მთაწმინდის მთავარ-ანგელოზო"... და ა. შ. გრძელი ლოცვაა ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ პირველად აქაც ცათა და ქვეყანათა შემოქმედი ღმერთი ხსენიება, ხოლო შემდეგ კვირია.

შესაძლებელი რომ იყოს ყველა ქართული ლოცვისა და სადიდებლის აღდგენა, ალბათ პირველ ადგილზე კვლავ და კვლავ ის მთავარი ღმერთი აღმოჩნდებოდა:

— „ჟერ პირველ ღმერთი ხსენებულა,

პირველად ღმერთი ვახსენოთ.

ის უფრო დიდებულია.

მე უფრო დიდებულია.

მე უფრო დიდებულია.

ყველაძთან და წილდებულიაო“.

(ფერქისა).

როგორც ჩანს, ღმერთების ხსენების მკაცრად განსაზღვრული წესი და რიგი გვექონია ოდითგანვე:

„წინა ჭიქა-ბარძიმითა შენ გადიდას,

გაგიმარჯოს, მაღალო ღმერთო!

მეორე სანთელ-ჭიქა-ბარძიმითა შენ გადიდას

გაგიმარჯოს, დიდო კვირეა...“ და ა. შ.

(წინა ჭიქა-ბარძიმითა).

ამ მაგალითებში პირველი ღმერთის „ვინაობა“ მთლად გარკვეული არ არის, ვიცით მხოლოდ ის, რომ ის შემქმნელი, შემოქმედი ღმერთია. მომდევნო ღმერთები კი მეტწილად წარმართული ღმერთებია.

ამ მხრივ განსხვავებულია „მონეური სადიდებო“.

„დიდება ღმერთსა და მოწყალესა.

დიდება ჰქონდეს სამებას ერთარსებას.

დიდება ჰქონდეს ბეთლემის ყოლაწმიდას.

დიდება ჰქონდეს ნინოწმიდასა,

დიდება ჰქონდეს ყირენის წმიდა გიორგის“... და ა. შ.

აქ „კვირე ღვთისშვილი“ იხსენიება ქრისტიანული წმინდანებისა და ნათლისმცემლის შემდეგ, მაგრამ პირველი „დიდება“ კვლავ იმ უცნობ და უსახელო ღმერთს ეკუთვნის.

ახლა ვიკითხოთ ვინ არის ეს ღმერთი?.. ქრისტიანი?.. მაგრამ ქრისტეს ხსენება შეიძლებოდა მამა ღმერთის წინ?.. სამების მამა ღმერთია?.. მაშინ მამის შემდეგ მლოცველმა ბე არ უნდა ახსენოს? რას უნდა ნიშნავდეს „სამება ერთაღმების“ წინ რომელიღაც „მოწყალე ღმერთის“ ხსენება?..

როგორც ზემოთ ვთქვით, ივანე ჯავახიშვილი, ქართულ წარმართულ პანთეონში მთავარ ადგილს მთვარეს აკუთვნებს, ქრისტიანობის შემდეგ მთვარის ადგილი წმ. გიორგიმ დაიკავაო, ამტკიცებს. წმ. გიორგის უპირატესობა ქრისტიანთან, თვით მამაღმერთთან ქართული ხალხური მისტიკების ანალიზის შედეგად მართლაც უდავოა.

ქართველი კაცისთვის მთავარი ქრისტიანული ღვთაება წმ. გიორგია. მაგრამ ის ერთადერთი ღმერთი, რომელსაც, როგორც წესი, ყოველთვის პირველად ახსენებენ, „პირველ ხსენებულა“, არც წმინდა გიორგი, არც თეთრი გიორგი, არც სხვა რომელიმე წმინდანი არ უნდა იყოს.

მაშ, ვინ არის ის პირველი და ერთი ღმერთი?..

ერთ ღმერთამდე — ხ უ მ ე რ თ ა მ დ ე რომ მივიღეთ, საჭიროა სარწმუნოების სათავეებს ზერელედ მაინც გადავავლოთ თვალი.

ჯემს ფრეზერი თავის განთქმულ წიგნს „ოქროს ტოტს“ მცენარეული ღმერთებით იწყებს.

სხვა ხალხების მსგავსად ქართველ ტომთა პირველი ღვთაებები, ალბათ, მცენარეები და ცხოველები იყვნენ.

ჩვენთვის დამახასიათებელი ყოფილა დიდი ხეების: მუხის, ცაცხვის, ძელქვის, კაკლის და სხვა ხე-მცენარის კულტი.

დიდი მუხის (ჭყონდიდის) საკულტო ადგილები და მასთან დაკავშირებული რიტუალები საკმაოდ ცნობილია ლიტერატურაში.

არანაკლებ ინტერესს იწვევს სახალხო-რელიგიური დღესასწაულები, რომელთა სახელები უკავშირდება მცენარეებს — ტილიფობა (ტირიფს), ალერტობა, ალავერდობა (ალერდს), ჭვენიერობა (მეგრ. ჭვეს — ჭვავი), ბაიობა (ბაიას), იორდასალებობა (იორდასალებს) და ა. შ.

ქართულ ნიადაგზე უთვალავი ასეთი ძველი დღესასწა-

ულის გამოძებნა შეიძლება. მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას პირველყოფილ ღვთაებებზე, ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულს — ჭვენიერობას აღვწერ ისე, როგორც ეს დღესაც ახსოვთ მოხუცებს სოფელში.

ჭვენიერობა იცოდნენ ჩემს მშობლიურ სოფელ ბანძაში. იმართებოდა ახალკვირის მეორე დღეს ოხვამეკარის ეკლესიის ეზოსა და ეკლესიის წინ მდებარე მინდორში.

ამ დღეს ბანძაში ჩამოდიოდნენ სხვა სოფლებიდანაც. ხალხი იკრიბებოდა დილიდანვე ძელქვების ძირას.

წირვის შემდეგ იმართებოდა სახალხო თამაშობა, ლელობურთი და სხვა. თამაშობას წინ უძლოდა ხის მოგლეჯა.

წირვიდან გამოსული ხალხი (კერძოდ, კეკელიები, მათ გვარს ვალად ედო ხის მოგლეჯა), მიესეოდა ეკლესიის ეზოში მდგარ რომელიმე ხეს. ხეს რამდენი ტოტიც ჰქონდა, იმდენი მამაკაცი გავიდოდა ზედ, დაიწყებდნენ სიმღერას „კირია დო ეისას“ (ასე ამბობენ დღეს: ეს ალბათ კირიელეისონია — უფალო შემიწყალე!), და ნელ-ნელა არწევდნენ ხეს, თანდათან უმატებდნენ ქანს, უმატებდნენ სიმღერას, ხეს სულ მთლად მთარყევდნენ და ბოლოს ფესვიანად ამოგლეჯდნენ მიწიდან. ამის შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და ხალხს უსასყიდლოდ უმასპინძლებოდნენ. პურობა და ლხინი ოჯახებში იმართებოდა, ვინ ვისი მოკეთე და ახლობელი იყო, იმისდამიხედვით განაწილდებოდა მთელი ეს ზღვა ხალხი სოფელში და სადამომდე სუფრას უსხდნენ, სადამოს კვლავ შეიკრიბებოდნენ ოხვამეკარის ეკლესიის წინ, მინდორში და იმართებოდა ლელობურთი, ჯარობა, ცეკვა-თამაში.

ამ დღესასწაულში საინტერესოა ის, რომ „კეკელიებს ვალად ედოთ“ ხის მოგლეჯა. რატომ ედოთ ვალად, რა დააშავეს ასეთი?.. ან ის ხე რა ხე იყო თავდაპირველად, რომელიც ამ გვარს უნდა მოეგლიჯა?..

დღეს ბანძაში ოხვამეკარის სასაფლაოზე ძელქვის ასწლოვანი ხეები დგას. ასეთი ხეები არა მარტო ამ არე-მარეში, მთელ რაიონში არ მოიძებნება, როგორც ჩანს, ძელქვა ამ სოფლისათვის წმიდა ხედ იყო მიჩნეული, ისე როგორც

მუხა — მარტვილისათვის და დიდი ჭყონისათვის. ამიტომ შეინარჩუნა ხალხმა ისინი ჩვენს დრომდე.

საფიქრებელია, რომ ამ სოფლის უძველეს მკვიდრო კეკელიებს თავიანთ მფარველ ღვთაებად — ტოტემად — სწორედ ძელქვა ჰყოლიათ. ახალმა რელიგიამ ახალი ღმერთი დააპკვიდრა, ძველის მოსპობა (ამოთხრა ძირუესვიანად) იმ გვარს დააკისრა, ვისი მფარველიც იყო უშუალოდ ის ძველი ღვთაება. ამიტომ თხრიდნენ კეკელიები სეს ძირუესვიანად თხვაბეკარის ეკლესიის ეზოში მითაჟამიდან ჩვენ დრომდე, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. მაგრამ თხრიდნენ არა ძელქვას, არამედ სხვა ხეს, ნებისმიერს, გულში მაინც პკონდათ მოკრძალება ძველი ღვთაებისადმი.

მცენარეულ ღვთაებებს მოჰყვა ცხოველთა გაფეხტიშება. ჩვენში მეტად პოპულარული ყოფილა ვეფხვი, ტერა, ცხვარი, ხარი და ა. შ.

ვეფხუზე ხალხს არა ერთი და ორი ღვთაება ღეგენდა შეუთხზავს.

ვეფხვთან ბრძოლა ქართულ ხალხურ გენიას ისეთ მსატვრულ სიმადლეზე აუყვანია, შეუძლებელია ეს მხოლოდ მხეცისა და ადამიანის უბრალო შებრძოლება ყოფილიყო. „შაიბნენ ვეფხვი და მოყმე, შაიძრა დედა-მიწანი. კლდეები ჩამანგრია, შტონ დაილეწეს ტყისანი“. უფრო მეტიც, როცა მოყმემ ვეფხვი დაჭრა, ზეციდან ვარსკვლავები წავიდნენ:

„ვეფხვ მკლავზე გარმოვიწვინე, მასკვლავ დათხოდე სისანი“.

ასეთი დიდი კოსმოსური ძვრანი: დედამიწის შექერა, კლდეების ჩამონგრევა, ზეციდან ვარსკვლავების წასვლა (დათხოდე) შეიძლება მაშინ, როცა ღმერთები ებრძვიან ერთმანეთს, ან როცა ადამიანი ებრძვის ღმერთს. ასეთი ზრიალ-გრიალი ამირანის ბრძოლებს ახლავს ქართულ სინამდვილეში.

ვეფხვი რომელიღაც ქართული გვარის ტოტემი იყო, როგორც ჩანს მოყმემ გვარის ყველაზე რჩეულმა ვაჟკაცმა დაამხო თავისი ღმერთი, როცა უამი დადგა.

ვეფხვისა და მოყმის ბალადაში ასახულია ადამიანის პირველი შებრძოლება ღმერთთან, კავკასია და კავკასიონი

ტყუილად კი არ არის მიჩნეული ადამიანსა და ღმერთს შორის ბრძოლის სარბიელად, ამირანი და პრომეთე ორივე კავკასიონის მთებშია დაბმულ-მიჯაჭვული.

თვით ლექსის შინაარსიდანაც ჩანს, რომ ეს ვეფხვი ჩვეულებრივი მხეცი არ არის. „ვეფხვი რომ წამომიფრინდა, თვალნი მარისხნა ხთისანი“, გარკვევით სწერია ტექსტში, თანაც მრავალ ვარიანტში. ვეფხვისადმი პატივისცემისა და ვეფხვთან ბრძოლის პოეზიის დიდი ქართული ტრადიციით გამსჭვალულია ხელთუქმნელი ვეფხისტყაოსანიც.

წმინდა ცხოველად ითვლებოდა საქართველოში ხ ა რ ი ც. თავის დროზე ალბათ ისიც რომელიღაც გვარის ტოტემი იყო, შემდეგ მთვარის ცხოველად იქცა, ბოლოს — წმ. გიორგის.

ყურადღებას იქცევს თვით სიტყვის სტრუქტურა ხ-ა-რი. თუ ქართულ-ხარს, მეგრულ-სვანურ შესატყვისებს ამოვუყენებთ გვერდით — ხ-ო-ჯი, ჯ-ან, ნათლად გამოიკვეთება ხ-ს ძირეულობა. ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ძველ ქართულში გვქონდა კარი, ჯ-ანიანი ვარიანტი ამ ფუძისა დღეისათვის მხოლოდ მთის დიალექტებშია ცოცხალი (ი. ქერქაძე), როგორც ღვთის ცხოველის კავშირი ხ-მ-ერთ-ძირ-თან (შეადრ. აგრეთვე სა-ჯუმ-ილ-ი) თითქოს შეიძლება და ხართან დაკავშირებულ ლეგენდებსა და თქმულებებს მეტი ნათელი ეფინება.

ცალკე კვლევის საგანია ცხვრის კულტი, ოქროს საწმისის გასაოცარი თავგადასავალი და მასთან დაკავშირებული მითები; ოქროს საწმისი ხომ არესის ჭალაში მუხის ხეზე ეკიდა.

მეგრულ ზღაპრებსა და ლექსებში მეტად პოპულარულია — ტურა. მგელი მეგრულმა ფოლკლორმა თითქმის არ იცის. მგელს დიდ ტურას ეძახიან. სააკვნო სიმღერებშიც კი გაისმის ტურის სახელი.

ადამიანის პირველ რწმენა-წარმოდგენებს მცენარეთა და ცხოველთა სამყარო ქმნიდა.

ყველაზე მახლობელი ადამიანისათვის, სწორედ მცენარე და ცხოველი იყო. ხე ხილს აძლევდა, ცხოველი საკვებს. როცა უნაყოფო ასწლოვან ხეს ნახავდა, ეს მას ანცვიფრებ-

და, აზრს აღუპრავდა, თუკი ხე ქარ-წვიმისგან დაიფარავდა, ცხადია, მას „მფარველად“ დაიგულებდა.

ასე ნელ-ნელა იქმნებოდა ხეთა და ცხოველთა კულტები. თანდათან ადამიანმა უფრო „შორს გახედვა“ დაიწყო, ხეთა, ცხოველთა კონკრეტულობამ არ დააკმაყოფილა და მათი მსგავსი კერპები შექმნა.

უფრო გვიან უფრო დიდ ბუნებრივ მოვლენებს დააკვირდა, მიწიერ არსებებს ზურგი უჩვენა და ცისკენ გაიხედა. მზე, მთვარე და ვარსკვლავები გააღმერთა. სული ვერც ზეცამ დაუშოშმინა, მისი აზრით ჭეშმარიტ ღვთაებას დაუწყო ძიება. შექმნა უამრავი ღმერთი მიწისა, წყლისა, მთისა, ტყისა და ა. შ...

ამასაც არ დასჯერდა და ყველაფერის შემქმნელი ერთი ღმერთის ძიებას მიჰყო ხელი. აი, ამ ღმერთს უწოდა სწორედ კუმ-ერთი→ხუმ-ერთი→ხმ-ერთი→ღმერთი.

თავიდან ხალხი ხუმერთს ადამიანის სახით ვერ წარმოიდგენდა, ის იყო ალბათ მარადიული ცეცხლი—ჯუამლი ზეცაში. ამიტომაც, პრომეთესაგან განსხვავებით ამირანმა ზეციდან უშუალოდ ცეცხლი კი არა, თვით ქალღმერთი ყამარი მოიტაცა.

ხუმერთმა დღევანდელი ღმერთის გაგება შემდეგ შეიძინა, მისი „გაადამიანება“ შემდეგ მოხდა.

მაშ, ხუმერთი ქართველთა ერთ-ერთი ძველისძველი ღმერთია.

ხალხურ პოეზიაში, მისტერიებსა და ლოცვებში სადიდებლებსა და საგალობლებში პირველ ხსენებული ღმერთი ეგებ სწორედ ის ხუმერთია და არა სამების მამაღმერთი.

თუ ეს ასეა, მაშინ რუსთაველის ღმერთისაც შეიძლება ამ კუთხით და ამ თვალთავე შევხედოთ.

უკანასკნელ წლებში მეტად საინტერესო კამათი გაიმართა მეცნიერებს შორის რუსთაველის მსოფლმხედველობით პრობლემებზე. ასალი თვალთ შეხედეს პოემის იმ ადგილებს, სადაც ნახსენებია „ღმერთი ერთი“ და ყველა მისი ეპითეტი. ახლებურად გაშუქდა რუსთაველის უზენაესის ვინაობა, ამოიხსნა ქრისტიანული თეოლოგიის ზოგი მანამ ამოუხსნელი ტერმინი „ვეფხისტყაოსანში“. „მიზან ღამეს“,

„უჯამო ჟამს“, „ერთარსებისა ერთისა“ და სხვა მათ მსგავს ფარული აზრის მქონე გამოთქმებს ახლებური შუქი მოეფინა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი რუსთაველის ღმერთში ქრისტეს ხედავს, სხვანი — სამების მამალმერთს.

შესაძლოა, ეს მართლაც ასეა, ვეფხისტყაოსანი დაიწერა ქრისტიანობის აყვავების ხანაში, ქრისტიანი მწერლისთვის ბუნებრივი ჩანს ქრისტე ქრისტიანული დოგმატიკის ენით „უჯამო ჟამით“, „მზიანი ღამით“ მოეხსენებინა, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსთაველი ქართველი იყო და ქართული ხალხური ტრადიციისამებრ, პირველად „თავისი მთავარი“ ღმერთი ეხსენებინა.

მართლაც, ვეფხის დიდი პოემის ავტორი, პირველ სიტყვას იმ პირველხსენებულ ღმერთს „ჰე, ღმერთო ერთო“ აკუთვნებს, პოემას მისადმი მიმართვით იწყებს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე  
ყოვლისა ტანისა,

შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,  
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,  
ცოდვითა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

შემოქმედი ღმერთის პირველად ხსენება არც მართლ ქართული, არც მართლ ქრისტიანული მოვლენაა, მით უფრო სავარაუდებელია, რომ რუსთაველის „ჰე, ღმერთო ერთო“ სწორედ ის უზენაესი არსებაა, რომელიც ხალხს ოდითგანვე ზეცაში ეგულებოდა ყოვლისა ტანის სახის შემქმნელად.

რუსთაველის ღმერთზე მრავალი ნაშრომი დაწერილა და მომავალშიც დაიწერება.

ამ წერილში აღძრული მრავალი საკითხიც დროთა განმავლობაში ალბათ უფრო დასაბუთებულად და ღრმად გაშუქდება.

ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, წინაპრების მსგავსად პირველად ღმერთი ვახსენოთ და ქართული ენის წიაღში შევიხედოთ ღრმად, შევიხედოთ მტკიცე რწმენითა და იმედით.



სოფლისა განგება

ქართული ენის წილში სისხლიან დანაშრევებს რომ წა-  
ვაწყდებით, ბერძნულ, არაბულ, თურქულ-მონღოლურ, სპარ-  
სულ ენათა მოძალების შედეგია, მრავალსაუკუნოვანი მო-  
ნობის ნაყოფი, ბედის უკულმა ტრიალის ნაბოძები სამსალა.

სამსალაო, წამომცდა, — არაბული სიტყვაა! განა არ შე-  
მეძლო დამეწერა: „საწამლავი“, „შხამი“, „გესლი“... „სამსა-  
ლა“ ვამჯობინე, ძველი სიტყვის ელფერი გადაჰკრავს, ში-  
ნარსითაც განსხვავებულია; სამსალა — ძლიერი შხამია, სა-  
წამლავზე უფრო ძლიერი საწამლავია, გესლიც შხამსამსალაა,  
რასაკვირველია, მაგრამ გესლი გველის მიერ დანთხეული  
შხამია, გადატანით ადამიანზეც იტყვიან გესლიანი კაციაო,  
და მაინც გესლს სამსალას, ვერ შეუნაცვლებ, ვერ იტყვი  
სამსალიანი კაციაო, ვერც სამსალის ნაცვლად დაწერ გესლს.

მაშ, უცხო სიტყვას ქართული სიტყვის კონაში მიუწ-მო-  
უწევია ტოლფარდი, შესატყვისი სიტყვები და მკვიდრად,  
შინაურივით ჩამდგარა სხვა ენის სამსახურში. რუსთაველს  
ქართული ენის დარჯაკში გაუტარებია ეს სიტყვა, და მოუწი-  
ნაურებია: შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალე-  
ბისაო.

რაკი ხალხსა და რუსთაველს მიუღია ეს სიტყვა, სელ-  
ხან-საბა, ვაჟა და აკაკიც ვერ ჩაუკეტავდნენ კარებს და არა-  
ბული „სამსალა“ ქართული ენის კუთვნილება გამხდარა.

ხალხიო კვლავ წამომცდა, კვლავ არაბული სიტყვაა ეს  
სიტყვა უფრო „თავსედი“ აღმოჩენილა, უფრო მოქმედი და  
შემტევი. თუკი სამსალა სხვა სიტყვებს შორის მოკრძალებ-  
ით ჩამდგარა, „ხალხს“ პირველობა დაუჩემებია, ქართული  
სიტყვა „ერი“ სიტყვათა რიგში უკან გადაუსვრია, მისი აღ-  
გილი უბოდიშოდ დაუკავებია.

ძველ დროში „ერი“ საკუთრივ ერისა და ყოველი ერის

მნიშვნელობითაც იხმარებოდა, დღეს არაბულმა „ხალხმა“ წაიღო ბურთი, „ქართველი ერის“ ნაცვლად ვამბობთ: „ქართველი ხალხი“. „ერი“ მხოლოდ წიგნებში შემოგვრჩა აწ რომელიმე ბეჯითად მოქართულე მწერლის ენაში, ერი თავისთავს ხალხს უწოდებს. დღეს „ერი“ ზოგს უცხო სიტყვაც კი ჰგონია, „ხალხს“ შეეჩვია, შეეგუა, მას წარმოსთქვამს და წერს.

არაბულ, თურქულ-მონღოლური ენის მძლავრობას ეტყობა საზღვარ-სამანი არ ჰქონია. იგი შემოჭრილია ქართველი კაცის საყოფელში, დედა-წულისა და სადგომისთვის, თჯახი დაურქმევია, გასაცოდავებული ერთი თვალი ბინისთვის, საცა სახლის პატრონი იყო შეყუჟული — თთახი, სარკმლისათვის, საიდანაც მტერს უთვალთვალებდა — ფანჯარა, ფეხი რაზედაც ედგა — იატაკი და, ასე და ამგვარად, მთლიანად დაუპყრია ქართველის ბუდე-სახლეული.

როცა საქართველოს თავს ესხმოდნენ მტრები, სწვავენენ ქალაქებსა და სოფლებს, მიჰქონდათ თქრო-ვერცხლი, მიჰყავდათ ცხვარ-ძროხა, სტაცებდნენ სარჩო-საბადებელს, ჩეხავდნენ ვაზს, ანგრევდნენ ციხე-ტაძრებს, ერს ძარცვავდნენ ფიზიკურად, სწორედ მაშინ მტრის ენა შემოიჭრა ქართველი კაცის საცხოვრისში, დასჭირდა ბატონის ენის ცოდნა და ნელ-ნელა შინ შემოუშვა უცხო სიტყვები. მტერმაც დრო იხელთა, — პყრობილის სულიერ ძარცვას მიჰყო ხელი.

სულიერი ძარცვა უფრო მრისხანე და დამთრგუნველი ძარცვაა, ვიდრე ფიზიკური, ფიზიკური დანაკარგის აღდგენას სწრაფად შეძლებს ერი, სულიერისას კი საუკუნეები სჭირდება.

მტრების მიერ გაძარცული სოფლები, გადამწვარი ქალაქები, დანგრეული ციხე-ტაძრები ქართველმა ერმა მალე აღადგინა, ცხვარ-ძროხაც გაიჩინა და ვაზიც ხელასლა ჩაყარა, მაგრამ მაშინ შემოსული, ერთი შეხედვით, უვნებელი სიტყვები: თჯახი, თთახი, იატაკი, ფანჯარა, დარბაზი, ხარჯი და მისთანანი დღევანდლამდე დარჩა და, ძალიანაც რომ გვინდოდეს მათი გაძევება, უკვე გვიან-და არის, ისინი ქართული ენის კუთვნილნი გამხდარან.

ენა სხვა ენებთან ურთიერთობაში ვითარდება, ახალი სიტყვის ათვისება სულაც არ არის საძრახისი ენისათვის, მაგრამ სხვათა ენათა მძლავრობას მშობლიურს ენაზედ სხვა ელფერი გადაჰკრავს, სხვა სიმწარე ახლავს, ვიდრე ურთიერთობაა.

როცა ქართველი კაცი მამა-პაპის სინონიმად სხვათა სიტყვებს მოიშველიებს: წინაპრებს, ვინც ჩვენს გადასარჩენად სისხლი დაღვარა, ვინც დღეს-აქამომდე მოიტანა ქართული ენა, თვით ქართული ენა მოიხსენიებს, თურქულად: ათადან ბაბადან მოდის ეს ამბავიო — ვამბობთ, ე. ი. ძველი ამბავიო — ამის თქმა გვინდა, თურქულ ათასა და ბაბაში თავისუფლებისათვის მებრძოლ წინაპრებს ვგულისხმობთ, ეს უკვე ბედის დაცინვაა.

ძალა აღმართსა ხნავს, ოდითგანვე ქართველი კაცის გარშემო თითქმის ყველაფერი: ო ჯ ა ხ ი, სადაც და ვისთანაც ის ცხოვრობდა, ო თ ა ხ ი, სადაც იძინებდა, ი ა ტ ა კ ი, რა-ზედაც ფეხი ედგა, ფ ა ნ ჯ ა რ ა საიდანაც დღის სინათლე შემოდოდა, ქ ა ლ ი — დედა, და, ან პეულლე; ჭ ა ბ უ კ ი — სახლეულთაგანი, ბ ე რ ი — მ ა მ ა სახლისა, წინაპრები — ა თ ა და ბ ა ბ ა (ამ სიტყვაში შესაძლოა არის ქართული ძირი) სხვათა სიტყვებია, უცხოა, მშობლიურ სიტყვებს არ გამოსცემენ, უფრო მეტიც, სხვათა ენა სულში ეჭვრება ადამიანს, მოძალადე ენა სინდის-ნამუსსაც თვით არქმევს სახელს.

ს ი ნ დ ი ს ი ბერძნული სიტყვაა.

ნ ა მ უ ს ი ც არ არის ქართული.

ასლა გარეშემო მოჯარულ სხვა უცხო სიტყვათა სადა-ურობა ვიკითხოთ, ჩავსდითთ ძირებს სიტყვებისას: ჯ ა ნ ი — ჯანმრთელობისა, ჯანსაღისა; ბაასისა, მუსაიფისა, მასლა-ათისა, დარბაზისა, ზალისა, ხალიჩისა, ბალ-ბალჩისა, სალისა, სალ-სალამათისა, ჩონისა, ახალუხისა, ბაშლაყისა, პერანგისა...

თავზარდამცემია ამ სიტყვათა ქართულ სიტყვის კონაში დამკვიდრების ამბავი. გულისმომკვლელია ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი წარტყვევნის ისტორია, როგორც რუსთაველი იტყობდა, ეს არის ს ო ფ ლ ი ს ა გ ა ს ა მ ს ა ლ ე -

ბ. ა. ამ გამწარებულ, გასამსალებულ წუთისოფელში ქართველმა ერმა დასაბამიდან დღემდე იცხოვრა, გადაარჩინა თვითმყოფობა, ენა და მშობლიურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა.

როგორ მოსდა ეს? რამ და ვინ გადაარჩინა ქართული ენა? დვრიტად რა დაედო მის მარადიულ სუფევას? რა ფარული ძალა იცავდა, ვინ იფარავდა და ვინ ანიჭებდა უკვდავებას? მეცნიერთათვის, სიტყვისმოქმედთათვის, თვით ერისთვის, ვინც ენა შექმნა, დღემდე უცნობია ეს საიდუმლო.

სხვა ენათა თარეში ქართული ენის წიაღში დღემდე არ შენეგლებულა, აღმოსავლურ ენებს დასავლური ენაცვლებოდა, დასავლურს აღმოსავლური, ნიაღვარივით მოედინებოდა ყოველის მხრიდან სხვათა სიტყვები, აძევებდა ქართულს, თვითონ მკვიდრდებოდა, სისხლიან დანაშრეებს სტავებდა ენის ქსოვილზე, ქართული ენა მაინც ცოცხლობდა.

თვით საღვთო საიდუმლო მჟღავნდება თანდათანობით, მორწმუნე მას ნელ-ნელა ეზიარება. ქართული ენის სიცხოველე კი მარადიული საიდუმლოა, მახარებელს უთქვამს: ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არსო. მართლაც, სიცხოველე ენისა ენის წიაღშია საძიებელი, სიტყვათა რიგში, სიტყვათა წყობაში, სიტყვათა შორის იდუმალ შემსჭვალებაში ფეთქავს უკვდავი სული ენისა.

ქ ა ლ ი, ო თ ა ხ ი, რ ა ზ ა, ფ ა ნ ჯ ა რ ა ცალ-ცალკე, ენაში მიმოფანტულნი მკვდარ სულებსა ჰგვანან, სხვათა ქვეყნებიდან ჩამოსვენებული. ცხედრებივით უძრავნი და უმოქმედონი დაცურავენ ენის წიაღში, მაგრამ საკმარისია, ერთი, ერთადერთი ქართული სიტყვა „შევიდა“, ამოუყენოთ გვერდით, უმალ გაცოცხლდებიან, ამოძრავდებიან, წინადადების წევრებად დალაგდებიან, თუ დასჭირდებათ, თავსართსაც დაირთავენ, ბოლოსართსაც და აზრს გადმოსცემენ. „ქალი ჩარაზულ ოთახში ფანჯრიდან შევიდა“. მკვდარი სულები „შევიდამ“ აამოძრავა. მან წარმართა და დაალაგა, დაბადა შემსჭვალება სიტყვათა შორის.

„შევიდა“ ზმნაა. ზმნა ენის ხერხემალია. ქართულ ზმნას ჭინჭველის ტვირთი აჰკიდა ისტორიამ და ჭაპანწყვეტი

დღემდე მოათრევს მთელ ქართულ ენას. ზმნა ერთ-ერთი დიდი საიდუმლოა ქართული ენისა.

„მესტა ზანიატია?“ — კითხულობს დღეს ავტობუსში ამოსული გლუხკაცვი. ამ წინადადებაში ერთი, ერთადერთი ბგერაა ქართული — ა. ამ ბგერის ქვეშ სიტყვა „არის“ იგულისხმება, — ჯადოსანი ქართული ზმნა! ბგერა ა-თი უდგას ამ წინადადებას სული, ა მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის, ენას უნარი შესწევს საკუთარი ყალიბითა ჩამოასხას, ჩამოქნას სხვათა სიტყვები, ბრძოლის დამწყები ეს უწყინარი ბგერა — ა, გახლავთ, მარტო იბრძვის, ხმალაძლებული დგას საკუთარი მეობის გადასარჩენად. ა ერთადერთი და უკანასკნელი ნიშანია იმისა, რომ ეს სიტყვები ითქვა არა ტამბოვში, არა ბაქოში, არამედ სამიტრედიაში.

ბრძოლა თვით ენის წიაღში იწყება, მებრძოლი სული იქ არის ჩამარხული.

„მესტა დაზანიატებულა?“ — შეიძლება ასეც იკიასოს იმ გლუხკაცმა. და-ზანიატ-ებ-ულ-ი — არის, — ენამ ამჯერად თავსართ-ბოლოსართები მოიშველია და უცხო სიტყვას ქართული სამოსი ჩააცვა, ქართულად ააქლერა. რუსს რომ ჰკითხო, „მესტა დაზანიატებულაო“ ვერ გაიგებს, ვერ ამოიცნობს. ვერც გასამსალებას გითარგმნის არაბი. თავსართ-ბოლოსართი ქართული ენის ხმალ-სატეგარია, ზმნა კი აბჯარია.

სადვთო საიდუმლოს შვიდს ითვლიან მორწმუნენი, ქართული ენის წიაღში კი აურაცხელი საიდუმლოა ჩამარხული; იოანე ზოსიმეს „ყოველი საიდუმლო“ ქართული ენის წიაღში ეგულებოდა. ყველაზე დიდი საიდუმლო მაინც გაძღობა და მარადიული სიცხოველეა ენისა. ენა თვით არის მებრძოლი და შემოქმედი, ყველა კანონი, ყველა თავსართ-ბოლოსართი, საგანთა ყველა ქმედება და ვნება იქითკენ არის მიმართული როგორმე საკუთარი სახე, თვითმყოფობა, არსებობა შეინარჩუნოს ენამ. იღუმალი უკვდავი ძალა ენის წიაღში სუფევს, ვით ბუნება მარადის კვდება, მიწაში იმარხება და იმავ მიწიდან ხელასლა აღმოცენდება, ქართული ენაც ბუნებასა ჰგავს სიდიადით, სიმშვენიერით და უკვდავებით.

მაგრამ კატასტროფა ბუნებასაც კი მოელის, დედამიწის მწვანე საფარს, წყალსა და ჰაერს უკვე თავს დაჰკანკალებს ადამიანი. ყოველი ძირი ხის მოჭრა, ყოველი წვეთი წყლის დაღვრა, ყოველი კუბური მეტრი ჰაერის გაბინძურება შიშსა და განგაშს იწვევს. ადამიანმა შეიგნო, რომ წვეთწვეთობით ზღვაც დაიღვევა, უკიდვგანო ზღვებსა და თკიანეებს წიავეს არ აკარებს, თვალუწვდენელ ტყეებსა და მდინარეებს დღე და ღამე დარაჯობს, ბუნების დაცვა სახელმწიფო საქმით უტოლდება.

ადამიანის გონება ისე შორს გაიჭრა, ისე ღრმად შესტოპა ბუნების წიაღში, თვით უკვდავ ბუნებას დაემუქრა სიკვდილი. რა გასაკვირია, შიშმა შეგვიპყროს მშობლიური ენისა გამო.

რაც უნდა მძლავრი და კულტუროსანი იყოს ენა, უკვდავებით მირონცხებული, მოვლა და პატრონობა მაინც სჭირდება, წვეთწვეთობით ენაც დაიღვევა, ენაც გადაიქცევა მკვდარ უდაბნოდ, სადაც „მესტა ზანიატიას“ დარად ცალკეულ ბგერებს თუ ვიპოვით მშობლიურს.

### გაძვეებული ძარბული სიტყვები

უცხო სიტყვათა შემოჭრა მშობლიურ ენაში სხვადასხვაგვარად ხდება. ერთნი მოდიან და თავისუფალ ადგილს პოულობენ, მათი შესატყვისი ენას არ მოეძებნება. მეორენი ახალ ნერგზე ახალ აზრსა და ელფერს იძენენ, ტოლფარდი სიტყვებისაგან მცირედ განსხვავდებიან, მსგავს სიტყვებს შორის მოკრძალებით დგებიან. მესამენი ჯიქურ აძვეებენ მშობლიურ სიტყვას და მის ადგილს თამამად იკავებენ, თუმცა ენას ეს სრულებით არ სჭირდება. ერთი შეხედვით უწყინარი საქციელია, კაცი იფიქრებს, რა უჭირს, სარკმლის ნაცვლად თუ ფანჯარას ვიტყვი, ამით რა წახდება, ჰირიქით, ენა მდიდრდებაო. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, დროთა განმავლობაში, გაძვეებული სიტყვა მი-

ვიწყებას ეძლევა და ბოლოს სულ ქრება. ჩვენ კი გაცე-  
ბულნი ხელებს ვშლით: ნუთუ ოთახის, იატაკის, სინ-  
დისის, ნამუსის შესატყვისი ქართული სიტყვები არ  
გვქონდათ. რაღა თქმა უნდა, გვქონდა. დრო-ჟამმა მიაყარა  
მივიწყების ფერფლი, გამოჩხრეკა და გამომზეურება კი უკ-  
ვე გვიანდაა. ზემო აჭარულსა და იმერხეულში მეცნიერებს  
უპოვიათ სიტყვა, და ფინვა — იატაკის დაგება. ეგებ ამ  
სიტყვის ძირი სწორედ ძველ ქართულ იატაკზე მიგვა-  
ნიშნებდეს. ის ძველი ქართული სიტყვა თურქულმა იატაკ-  
მა გააძევა და დროთა მდინარებას გადაჰყვა, ჩაიკარგა ჟამ-  
თა სვლაში.

ქართული ენის წიაღში ჯერჯერობით კვლავაც იპოვე-  
ბიან სიტყვათა ასეულები, გაძევებულნი, გასზე გამდგარნი,  
მაგრამ ჯერ გაუმქრალნი, გაუხუნარნი, მზადმყოფნი დაძახე-  
ბისთანავე ერთგულად ემსახურონ ენას. ამ სიტყვათა ბედი  
ბეწვზე ჰკიდია, თუ დროზე არ მივეშეველეთ, შესაძლაა  
„ფინ“ ძირის ღარად ჩაინავლონ ენის წიაღში.

ასეთი სიტყვებია: **ზესთა** — კოსმოსი; **წყურტი** —  
დიაბეტი; **ზემხედი** — ასტრონომი; **გარემოსაქცე-  
ველი** — კომპასი; **მოკიცხარი** — ნილილისტი; **გრემ-  
ლება** — თვალის შეღებვა; **საგრემნელი** — თვალთა  
შესაღები. **დამხედვარი** — პრარაბი; **ზმურდლი** —  
ეგზემა; **თათპაჭიჭა** — გეტრი; **გოთაობა** — ხოკეი;  
**კოჭურა** — შაიბა; **ჭაბურთა** — მინდვრის ხოკეი; **კრ-  
ჭი** — შკატულკა; **ზიპი** — რიბიჩირი; **თამასა** — პლანკა;  
**ძველკობურა** — კონსერვატორი; **ხილაბანდი** — კა-  
სინკა; **საგოგავი** — კალიასკა; **თავქედი** — მენინგი-  
ტი; **ხარბუსა** — ბრონქიტი; **არნაბი** — ნასილკა; **აკ-  
რება** („მიესაჯა ქონების აკრება“) — კონფისკაცია; **სატა-  
ლი** — დიზენტერია; **გარდანაკი** — კატალკა, **გეიშა** —  
კურტაკი, **გენძერი** — ნაჩოსი; **გოჟო** — რაქიტი; **გუგუ-  
ლისკაბა** — იორდასალემი, პიონი; **ჭუჭნიები** („ჭუჭ-  
ნიები გამიკეთე კაბაზე“) — პლისე; **დურა** — ქურქი, **დუბ-  
ლიონკა**; **ქაცვი-ჯღადა** — აბლიპისა.

ამგვარ სიტყვათა რიგი ქართულ სიტყვათა კონებში მარ-  
თლაც, რომ აურაცხელია. სიტყვის მეცნიერთ აღუნუსხავთ

ბევრი მათგანი, ენის წიაღში, ცოცხალ ხალხურ მეტყველებასი, უფრო ბევრი იპოვება.

რატომ ვაძეგებთ ქართულ სიტყვებს და უცხოურს რატომ ვამკვიდრებთ? როგორც ცნობილია ვ. ი. ლენინი „გვასწავლიდა“:

„რუსულ ენას ჩვენ ვაფუძვებთ, უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე. ვხმარობთ მათ უმართებულოდ. რისთვის უნდა ვამბობდეთ „დეფექტი“, როცა შეიძლება ვთქვათ ნაკლი, ნაკლოვანება ან ხარვეზი?“ (ლენინი, ტ. 30, გვ. 354). ამ მითითებიდან<sup>1</sup>. მეტად საჭირო დასკვნების გამოქანა შეიძლება; როცა გვაქვს სიტყვა — უ ა რ ყ თ ი თ ი, არ უნდა ვიხმაროთ — ნ ე გ ა ტ ი უ რ ი, როცა ქართული სიტყვაა შე მ ო წ მ ე ბ ა, ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა იმავე აზრს გამოხატავს, რასაც უცხო სიტყვა — კონტროლი, არ უნდა დავამკვიდროთ — კ ო ნ ტ რ ო ლ ი.

ასევე ზედმეტი სიტყვაა ქართული ენისთვის „რეგიონი“. ამ სიტყვის ნაცვლად შეგვიძლია ვიხმაროთ მშვენიერი ქართული სიტყვები: კუთხე, მხარე, ოლქი, რაიონი...

ჩვენი რესპუბლიკა, თითქოს ბუნებრივად, დაყოფილია „რეგიონებად“: ქართლი, კახეთი, იმერეთი... მეტიც, ქართლი, თავის მხრივ, იყოფა შიდა და ქვემო ქართლად. კახეთი კიდევ, — გარე კახეთად, ქიზიყად, შიდა კახეთად. იმერეთი: ზემო და ქვემო იმერეთად... დღევანდელი დარაიონებაც ხომ ხელთა გვაქვს, რაღა საჭიროა კიდევ ასალი დაყოფა, ახალი უცხო სიტყვის შემოტანა?...

რისი თარგმნაც შეიძლება, უნდა ვთარგმნოთ და ისე შემოვიტანოთ. ამის შესანიშნავი მაგალითები ქართულმა ენამ იცის, მაგ. რუკავადიტელ — ხელმძღვანელი, სპუტნიკ — თანამგზავრი და ა. შ.

სამწუხაროდ, თვით ლენინის მიერ უარყოფილ სიტყვას „დეფექტს“ წარამარა ვხმარობთ მეტყველებაშიც და წერაშიც. რესპუბლიკის თითქმის ყველა ძირითადი გაზეთი, ტელესედვა ამ სიტყვას ვერ ელევა. „ადამიანის გონება სძლევს ბუნებ-

<sup>1</sup> წერილი დაწერილია 1979 წ. ოლხნდ ქართული ენა დაკვიცვა, არ ვთაკილობთ ი. ვ. თ. ლენინის დამოწმებასაც კი.



რივ დეფექტებს", — წერს გაზეთი. საჭირო იყო დაგვე-  
წერა: „ადამიანის გონება სძლევა ბუნებრივ ნაკლს“. მანა-  
არსი არ შეიცვლებოდა, ერთ უცხო სიტყვას თავიდან ავი-  
ცილებდით.

ერთ ტელეგრაფში მინისტრმა თქვა: „აქ დეფექტებზე  
იყო ლაპარაკი...“ იმ დეფექტებს, რაც ვნახეთ... მინისტრს  
ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ენის სიწმინდეს არ იცავ-  
და. რა საკვირველია, იმ წუთებში არ ახსოვდა ლენინის  
ცნობილი წერილი: „რუსული ენის გაწმენდის შესახებ“, თო-  
რემ „დეფექტს“ არამც და არამც არ იტყოდა. იმავე გადა-  
ცემაში, გულმშვიდად ითქვა: „ეს ფესხაცემელი პრაქტიკა“,  
„ეს დაკავშირებულია არა „კაპრიზთან“, უნდა თქმე-  
ლიყო: „ეს ფესხაცემელი წუნდებულია“, „ეს დაკავშირებუ-  
ლია არა ჭირვეულობასთან“, და ა. შ.

სიტყვა „დეფექტზე“ ყურადღება განგებ გავამახვილე, სხვა  
უცხო სიტყვები უფრო აწუსებენ და ავიწროებენ ენას, ვიდ-  
რე „დეფექტი“, მაგრამ ეს სიტყვა შეგვახსენებს ლენინის  
დებულებას: „თმი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვების ხმა-  
რებას საჭიროების გარეშე“. „სწორედ ამ განწყობილებამ —  
წერს გაზეთი — ზემის ამ სულისკვეთებამ გამოაკვეთა საქარ-  
თველთს ახალგაზრდობის, თითოეული ქალიშვილისა და ქა-  
ბუკის სამომავლო პროგრამა, რომელმაც უნდა უზრუნველ-  
ყოს ჩვენი დიალექტიკური აღმასვლა, —  
ეკონომიკური ასპექტით;

ზნეობრივი ასპექტით;

პარტიულ-პოლიტიკური ასპექტით“.

(მრავალმნიშვნელოვანი აზრაცები, ტირე და წერტილ-  
მიძებებიც გაზეთისეულია).

„რა თქმა უნდა, — წერს ვლადიმერ ილიას ძე — როცა  
ადამიანი, რომელსაც ახლახან უსწავლია საერთოდ კითხვა  
და განსაკუთრებით გაზეთის კითხვა, იწყებს მის გულმოდ-  
გინედ კითხვას, ის უნებლიეთ ითვისებს გაზეთის ენას. მაგ-  
რამ სწორედ გაზეთის ენაც იწყებს გაფუჭებას. ჩვენი. თუ  
იმას, ვისაც კითხვა ახლახან უსწავლია, ეპატიება ისწროს,

როგორც ახალი რამ, უცხოური სიტყვები, ლიტერატორებს ეს არ ეპატიებათ“.

„დიალექტიკური აღმასვლა პარტიულ-პოლიტიკური ასპექტით“ მეტად რთული რამ გახლავთ წარმოსადგენად.

დიალექტიკა — უცხო სიტყვათა კონაში ასეა განმარტებული: მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების ცვლილების, მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; ბუნებისა და საზოგადოების მარად მოძრავ და ცვალებად მოვლენათა შემეცნების მეცნიერული მეთოდი.

ძნელი მისახვედრია რა ფიქრი, რა სურვილი ამოძრავებდა ავტორს, როცა „დიალექტიკურ აღმასვლას“ წერდა. ეგებ „თანდათანობითი განვითარება და აღმასვლა ერთად“ ამგვარი აზრის გამოთქმა ეწადა, მაშ, უცხო სიტყვა ტყუილ-უბრალოდ, უადგილოდ წამოუსვრია? სამწუხაროდ, აქ არა მარტო ენა მახინჯდება!

ასპექტი რაღა? — აქ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი, არც მეტი არც ნაკლები.

ჩემი აზრით, მშობლიურ ენაზე წინადადება დალაგდება უაბზაცებოდ, უწერტილ-მიძირებოდ, და, რაც მთავარია, უცხო სიტყვათა დაუხმარებლად. „ჩვენი აღმასვლა ეკონომიკური, ზნეობრივი და პარტიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით“. ან „ჩვენი თანდათანობითი განვითარება და აღმასვლა ეკონომიკური, ზნეობრივი და პარტიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით“.

ქართულ ენას უნარი შესწევს უფრო რთული ნააზრევიც გადმოსცეს დალაგებულად და ნათლად, რად დასჭირდეთ უცხო სიტყვათა უადგილოდ ხმარება? ნუთუ მკითხველის მოსატყუებლად და მოსაჩვენებლად, შემოგვხედეთ რა საქმიანი, რა ღრმად იდეური სჯა-ბაასი შეგვიძლიათ?

სხვა გაზეთები უფრო შორსაც მისტოპავენ, უცხო სიტყვათა ნიაღვარს აყენებენ. „მაგისტრალური მიმართულება“, — წერს გაზეთი. ლენინის ზემოთნახსენები დებულების მისხედვით უნდა დაგვეწერა: „მთავარი, ან ძირითადი მიმართულება“. ზოგი ახალ უცხო სიტყვას თვითონ ქმნის და ამკვიდრებს. „ე რ თ დ ი რ ე ბ უ ლ ი მიწები რომ გადავარჩინოთ“;

მსხვილი შრიფტით წერს გაზეთი, ეს სიტყვა ლექსიკონებში-  
გერ ვიპოვე. ალბათ ე რ ო ზ ი ა ქ მ ნ ი ლ მიწებს გულისს-  
მობენ გაზეთის მუშაკები, შეიძლებოდა გ უ ლ გ ა მ ო ჭ მ უ-  
ლ ი ც გვეხმარა. მაგრამ არა, ოღონდ უცხო სიტყვას წავე-  
ბოტინოთ და სულერთია რატომ, რისთვის, რის სათქმელად,  
რის გამოსახატავად წავეპოტინებთ.

როცა დღევანდელ ჩვენს გაზეთებს ენას ვუწუნებ, ეს  
იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ერთი გაზეთის ან ტელე-  
ხედვის, რადიოს ცუდი მუშაობა გამოვამხეურე, ვინმე გავა-  
კრიტიკე, არა, ჩემი შენიშვნები თანაბრად შეესება ყველას.

ასეთი „შეცდომები“ შეიძლება მოუვიდეს ამ სიტყვების  
დამწერსაც და თვით ქართველოლოგ ენათმეცნიერსაც.

ამისწინათ, მწერალთა კავშირმა და შოთა რუსთაველის  
სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოაქვეყნეს ერ-  
თობლივი განცხადება: „1979 წლის ლიტერატურული პრო-  
დუქციის განხილვა“.

საქართველოს მწერალთა კავშირი და ლიტერატურის  
ინსტიტუტი, ვინც რუსთაველის სახელს ატარებს, ამ ენით არ  
უნდა მეტყველებდეს და წერდეს, მაგრამ თუ ჩვენს ენათ-  
მეცნიერებს და მათ მიერ დაკანონებულ სალიტერატურო  
ნორმებს დავუჯერებთ, „ლიტერატურული პროდუქცია“ მა-  
ინცდამაინც დიდ შეცდომად არ ჩაითვლება, „პროდუქცია“  
ქართულ ენაში შემოსული სიტყვაა, დამკვიდრდა ენაში,  
რატომ არ შეიძლება მეცნიერმაც გამოიყენოს და მწერალ-  
მაც?.. გამოიყენეს კიდევ. მაშ, ნ. ბარათაშვილის „მერანს“,  
გ. ტაბიძის „ლურჯა ცხენებს“, თვით „ვეფხისტყაოსანსაც“ კი  
შეიძლება „პროდუქცია“ უწოდოს ადამიანმა? ეს ნაწარმო-  
ებებიც ხომ რომელიღაც ერთი წლის „ლიტერატურული  
'პროდუქციაა'?.. წინდაუხედავად, დაუფიქრებლად, ზოგჯერ  
სულ მთლად უაზროდაც კი შემოგვაქვს სსკვათა სიტყვები და  
მშობლიურ ენას ვანაგვიანებთ, ვაფუჭებთ, ვამახინჯებთ და  
საშინელ დანაშაულს ჩავდივართ.

ქართული ენის წიაღი ივსება უცხო სიტყვებით, ქართუ-  
ლი გაზეთები, ტელე და რადიოგადაცემები უხვად მოეზიდე-  
ბიან ყოველისმხრიდან უცხო ნიადაგზე, უცხო ნერგზე აღ-  
მოცენებულ ახალ სიტყვებს და მშობლიურში მიუურიდებ-

ლად აბნევენ: „მექანიზაცია, კონცენტრაცია, კონდინცია, სპეციალიზაცია, რეალიზაცია, კომპლექსური, ფუნქციონირებს, ფურაჟი, სენაჟი, სილოსი, საკოორდინაცია, კომბინირებულო, კომპეტენტური და ა.შ.

ამ ტიპის სიტყვების შემოტანას ტექნიკური პროგრესი აიძულებს ენას, ხოლო მისი შემომტანი ე. წ. „გაზეთის ენა“. ეს სიტყვები უფრო თავისუფლად იჭრებიან ენის წიაღში, მათ ქართული შესატყვისები არ მოეპოვებათ — ქართულ ენას კი მათი „მორჯულების“ უნარიც შესწევს.

მაგალითად, „კომბინირებული საკვების“ ნაცვლად შეგვეძლო დაგვემკვიდრებინა „ნარევი საკვები“, ან „ნაზავი საკვები“, ან „ნაერთი საკვები“. „კომპლექსური მექანიზაციის“ ნაცვლად „შეხამებული მექანიზაცია“, „კონცენტრაციის“ ნაცვლად „გაერთიანება“ ან „შეერთება“, „რეალიზაციის“ ნაცვლად „რეალიზება“ და ა. შ.

თითქოს დიდი ვერაფერი „მორჯულება“ რეალიზაციის ნაცვლად რეალიზება არაფერს ცვლის, — უცხო სიტყვა მაინც შემოვიდაო, — იტყვის მკითხველი. დიახ, შემოვიდა, მაგრამ მას ქართული ელფერი დაედო, „ება“ ბოლოსართმა ქართულად ააჟღერა, ხატ-ება, დიდ-ება, ტიპის ქართულ სიტყვებს დაამგვანა.

სამეგრელოს სოფლებში გარმონს „ბუწკანტიას“ ეძახიან, შესანიშნავი სიტყვაა! განა არ სჯობს თუშ გოგოს ხელში ბუწკანტია ეკავოს, ვიდრე გარმონი, ბუწკანტია სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი. ჩვენდა გასაკვირად „ბუწკანტიაც“ უცხო სიტყვაა, მის ძირში სიტყვა „მუზიკა||ბუზიკა“ ილანდება, მაგრამ ბუწკანტია თავისი ფორმით, ია დაბოლოებით, ჟღერადობით, შეიძლება ითქვას, დღეს უკვე ნამდვილი ქართული სიტყვაა. მისი დამკვიდრება სალიტერატურო ენაშიც კი შეიძლება.

როცა უცხო სიტყვა შემოგვაქვს, ან რუსთაველს მივბამოთ, — თავსართ ბოლოსართების ქართული სამოსი ჩავაცვათ გა-ს-ამ-ს-ა-ლ-ე-ბ-ა-ს-ა-ვ-ი-თ, ან ერს მივუგდოთ ყური, ბუწკანტიასებურად გარდავტეხოთ, გარდავთქვათ ყოველი სიტყვა, მაგრამ ყოველივე ამას დაფიქრება უნდა და დაფიქრებისთვის კი ჩვენ არ გვცალაია.

ენის ქსოვილს უცხო სიტყვა მუწუკივით აზის და ნელ-ნელა აწყლულებს, ასნეულებს, თანდათან მუწუკი გაარჯლდება და ზედ რჩება ღია წყლულად.

გაარჯლებული მუწუკი მარტო ქართულ ენას როდი სიტყვა. რუსული ენის ქომაგნიც გულმოკლულნი მისტირიან პუშკინისა და ტოლსტოის ენას.

უცხო სიტყვა კეთილი სურვილით შემოდის ენაში. რაც უფრო მეტი უცხო, ე. წ. საერთაშორისო სიტყვა დამკვიდრდება ენაში, მით უფრო გასაგები ხდება ეს ენა სხვათათვის. ურთიერთგაგება კი დროის მომსოუნაა. სიტყვა „კოსმოსი“ გასაგებია ქართველისათვის, რუსისთვის, სომეხისთვის, აზერბაიჯანელისთვის... მაშ, რა საჭიროა მისი სხვა სიტყვით შეცვლა, ეს ხომ ურთიერთგაგებას დააბრკოლებს, — ასე ფიქრობს ზოგი. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. ენაში უცხო სიტყვათა გაგებისათვის უცხო სიტყვათა დახვეწება საკმარისი არ არის. „უგლალში საპოუნიკი ბატინკებს აპაჩინკებს“ რუსისთვის მაინც გაუგებარია, თუმცა ყველა სიტყვა რუსულია. ასევე გაუჭირდებათ ფრანგებსა და ინგლისელებს შემდეგი წინადადების გაგება: „კომპლექსური მექანიზაცია ფერმაში ფუნქციონირებს“. მაშასადამე, ურთიერთგაგებისათვის, ან ენების დაახლოებისთვის საერთაშორისო სიტყვების შემოტანა მშობლიურ ენაში სრული გაუგებრობაა, ამით პროგრესი არ მიიღწევა. თუ ტექნიკური სიახლე ბადებს ახალ სიტყვას და ეს სიტყვა საფრანგეთში წარმოიშვა, ქართულში შესატყვისი უნდა გამოიძებნოს ან უსათუოდ უჩადა ითარგმნოს.

ერთ რომელიმე საგანს, მოელს დედაბიწის ზურგზე, ყველა ენაზე როცა ერთი სახელი დაერქმევა, ეს გამოიწვევს ერთფეროვნებას, სილატაკეს, ენისა, საერთოდ გააღარიბებს ადამიანის სულს.

გაზეთის ენა ყველაზე მძლავრად შემოქმედებს დღევანდელ სალიტერატურო ენაზე. ის არის ყველაზე წყალუხვი წყარო ენის წახდენისა, მაგრამ არის სხვა, ერთი შესედევი

უვნებელი წყაროსთვალნი, საიდანაც სასიკეთო რუები არ მოწანწკარებენ.

— მაროჟნი — გაჰყვირის ნაყინის გამყიდველი.

— დედა, აგე, მაროჟნი! — მიჰყავს ყმაწვილს დედა თეთრ-ხალათიანი მენაყინისაკენ.

— რა ღირს შენი მაროჟნი? — ეკითხება დედა მენაყინეს.

არც ნაყინის გამყიდველს, არც დედას, არც არავის გარშემო არ ახსოვს მშვენიერი ქართული სიტყვა „ნაყინი“, ეგებ ახსოვთ კიდევ, მაგრამ ნაყინის გამყიდველთან ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ქართული სიტყვა გაძევებულია, არავის სცალია მის მოსახრობად და აღსადგენად.

ვინ გააძევა ქართული სიტყვა, ვინ ბრძანა ქართული „ნაყინის“ ნაცვლად სხვა სიტყვა დაამკვიდრეთო? — მენაყინემ. მხოლოდ და მხოლოდ მენაყინემ, სხვამ არავინ, მენაყინეს რომ დაეყვირა — ნაყინი, ნაყინიო, არავინ ჰკითხავდა რა ღირს შენი მაროჟნიო.

თითქოს საგანგაშო დიდი არაფერია, ვილაც უვიცი „მაროჟნის“ გაჰყვირის, განა ამით ქართულ ენას ზიანი მიადგება? სწორედ რომ გამოუსწორებლად ამახინჯებს უვიცი მენაყინე ქართულ ენას.

ის ამ დროს მართლ ნაყინის გამყიდველი როდია, სიტყვისმოქმედაც გახლავთ, ენის კანონმდებელიც.

ენათმეცნიერები ამბობენ: ხალხია ენის შემოქმედი, ეს სიტყვა ხალხმა უკვე დაამკვიდრაო. ჩვენი მენაყინე გახლავთ სწორედ ის „ხალხი“. „მაროჟნი, პესოკი, კალბასი, სილიოტკა, აკოშკა, ბალკა, რუბანკა“ და ა. შ. მისი და მის მსგავსთა მიერ არის შემოტანილი ქართულ ენაში.

ქუჩაში, მაღაზიაში, ბაზარში „მაროჟნის“ თქმა თითქოს ენისთვის საშიში არ უნდა იყოს. სალიტერატურო ენაში რომ არავინ გააჭაჭანებს „მაროჟნის“. სამწუხაროდ, ასე არ არის, ზოთპარკის ეზოში დაძახებულ „მაროჟნის“ უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

ყმაწვილი სიყრმიდან ერგევა ამ სიტყვას, ბაღლობაში შეთვისებულ-შესისხლხორცებული ცხოვლად აჩნდება სულს და როცა გაიგებს, რომ „მაროჟნი“ სხვათა სიტყვაა, გვიან-ლაა, უჭირს მისი შეცვლა ახალი სიტყვით. გამეცადინებული

რომც იყოს, უსათუოდ წამოცდება ბაღლობაში ნასწავლი, განა მინისტრმა არ იცის რომ კაკრიზი კი არა, ჭირ-გეულობა უნდა თქვას? იცის, რაღა თქმა უნდა! იცის, მაგრამ, რაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ის ადკას ენის წვერზე. მსგავსი შეცდომა შესაძლოა მოუვიდეს ყველას, მინისტრსაც, მწერალსაც და ენათმეცნიერსაც.

ერთ მწერალს რომანში აღმოუჩინე „მაროჟნი“, როგორც რედაქციის მუშაკმა მოვთხოვე მისი „ნაყინით“ შეცვლა. არაო, მითხრა, დამაჯერებელი არ იქნება, დღეს „ნაყინს“ არავინ ამბობს, დიალოგი ბუნებრივობას დაკარგავსო.

ხელოვნებას თავისი კანონები აქვს. ნაწარმოები თუ ბუნებრივობას, დამაჯერებლობას დაკარგავს, რა აზრი აქვს ენის სიწმინდის დაცვას: ქუჩის ენა საიდუმლო ძაფს აბამს ხელოვნების კანონებთან და მას მოკავშირედ იხდის.

ამგვარად გაჩნდა დღევანდელის ქართულ კინოში ნატურალისტური ფილმები. „ნავისედო ჩემს სპისოკში“... „სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების მომენტში ვარ...“ — ასე მეტყველებენ ფილმის გმირები. ეს ბუნებრივი, დამაჯერებელი საუბარია ეკრანის გმირისა, ლექსიკაც და კილოც ცხოვრებისეულია, — სამეგრელოს სოფლებში მართლა ასე ლაპარაკობენ, რეჟისორი თითქოს სიმართლეს არ ღალატობს, რეალისტურად ასახავს სინამდვილეს, ამის გამო ქუჩის ენას გზას უხსნის ეკრანისაკენ, ცხოვრებისეული სიმართლე ქუჩის ენას თხოვს მას.

თავი და თავი უბედურებისა იქ არის, — ცხოვრებაში, სადაც მაროჟნის, სპისოკს, პესოკს, ასეტრინას, რუბანკას, სტამესკას და ა. შ. განუკითხავად ამკვიდრებენ, ხოლო შესანიშნავ ქართულ სიტყვებს: ნაყინს, სიას, შაქრის ფხვნილს, ზუთხს, შალაშინს, ხვეწს და ა. შ. მოურიდებლად აძევენ ენიდან, ქართული ენის უმწვენიერეს და უმდიდრეს წიაღს აღარბობენ, ამასინჯებენ, რყვნიან, შეგნებული კი არა აქვთ, რასაც სჩადიან.

— აგერ, შვილო, პატარა კუკურეკუ... — გავიგონე ზო-

ოპარკში ანუ ცხოველთსაუფლოში, თითით უჩვენებდა დედა შვილს ყვინჩილას. იხვებისა და ღერღეტების გალიასთან შევჩერდი და „პატარა კუკურეკუდ“ მონათლულ ყვინჩილას დავაკვირდი. მართლაც ლამაზი ყვინჩილა იყო, იხვებსა და ღერღეტებში ერია, ვინმე თავის ნამდვილ სახელს თუ დაუძახებს-მეთქი, დავინტერესდი.

— პატარა ქათამი! მოდი, განახო! — ახლა სხვა დედამ მოიყვანა ბავშვი და ყვინჩილას პურის ნამცეცები შეუყარეს.

— ეს შვილო, კუკურეკუს იძახის, — აუხსნა დედამ შვილს.

— პატარა მამალი — მამაკაცის ხმაც გაისმა.

„ყვინჩილა“ არავის გახსენებია. ქართულ ენას კი პატარა ქათმისთვისაც და პატარა მამლისთვისაც თავისი სახელები გააჩნია: ვ ა რ ი ა, ყ ვ ი ნ ჩ ი ლ ა, მამალი ყიყლიყოს გაჰყვირის და არა კუკურეკუს. ქართველის დედას როცა ამის ახსნა დასჭირდება, სასიკეთო მომავალს პირი არ უჩანს.

— ახლა, შვილო, წავიდეთ კ ა ჩ ე ლ ი ე ბ ზ ე... — ისევ იმ ქართველი დედის ხმა ჩამესმა.

— ჟუვარკა! ჟუვარკა! — ზოოპარკის შესასვლელთან მყიდველებს მოუხმობდა გადამთიელი გადამყიდველი.

ცხოველთსაუფლო მარტო სამხეცე როდია, საბავშვო დაწესებულებაა და დიდი აღმზრდელობითი მოვალეობა აკისრია. აქ ყმაწვილები ეცნობიან ცხოველთა სამყაროს, ეზიარებიან ბუნების სიყვარულს, ყალიბდებიან მომავალ მოქალაქეებად. „მაროჟნი, ჟუვარკა, კუკურეკუ, კაჩალიების“ ნაცვლად აქ ყმაწვილს ქართული სიტყვები: ნაყინი, კევი, ყიყლიყო, საქანელები“ უნდა ესმოდეს, ნორჩ გონებაში ქართული სიტყვები უნდა იწერებოდეს, უნდა გვახსოვდეს წინაპართა ანდერძი: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

დღეს ჩვენმა ბალებმა „ნუ პაგადი“ უკეთ იციან, ვიდრე რომელიმე ქართული ზღაპარი. ამ ფილმის ერთი რომელიმე კადრის ნახვა პატარებს მთელ შენს „ნაცარქექიას“ ურჩევნიათ. ნიჭიერად გადაღებული ფილმი მშობლიურზე უფრო ცხოვლად აჩნდება ყრმის სულს.

იმის ნაცვლად გადაგველო ასევე ნიჭიერი ქართული ზღაპრები, ან თუ ამას ვერ შევძლებდით, სასწრაფოდ გვე-



თარგმნა უცხოური და რუსული კარგი საბავშვო ნახატი ფილმები და ბავშვებისათვის მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე გვეჩვენებინა, ტელევიზორში, (ანუ ქართულად, შორმხედში) ყველა ნახატ ფილმს წინ „ნუ პაგადი“ უძღვის, ბავშვის სამოსს, საკვებს, სათამაშოებს, თითქმის ყველაფერს, რაც ყრმათათვის არის განკუთვნილი, ამ ფილმის გმირები ახატია.

თბილისის ორჯონიკიძის პარკის ხელმძღვანელობას ამ ფილმის მიხედვით მთელი სამყარო შეუქმნია. საბავშვო მატარებელი მხიარული ჟრიაშულით პარკის სადგურიდან რომ დაიძვრება, გზად ქართული ზღაპრების გმირები კი არ ხვდებიან, ყმაწვილები მატარებლის ფანჯრებიდან „ნუ პაგადის“ გმირებს ესალმებიან. თავისთავად ქების ღირსია ასეთი საინტერესო საბავშვო „სადგურების“ შექმნა, ბავშვები დიდი გატაცებით მოგზაურობენ ამ მხიარული მატარებლით, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა იყოს ქართული, რუსული საბავშვო ფილმები ისედაც ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ ბავშვებზე, მათ ჩვენი დახმარება არ სჭირდებათ.

ერთ ქართულ სოფელში ასეთ სურათს წავაწყდი: ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, თან ნაცნობ მელოდიას ღიღინებდნენ. სიტყვები ვერ გავარჩიე. კარგად მივუგდე ყური და ერთადერთი სიტყვა დავიჭირე „ტურიკოი, ტურიკოი“, ვიფიქრე ალბათ ტურაზე მღერიან ჩემთვის უცნობ ხალხურ სიმღერას-მეთქი. არაო — ღიმილით მისასრეს მშობლებმა, — ეს „პო ასვალტუ რეკოიუ“ — გახლავთ, ბ.ლდებს უცხო სიტყვები არ ესმით, ჩებურაშკას სიმღერა ასე გადააკეთესო.

ბავშვის გული მშობლიურ სიტყვას მითითსოვს, უცხო სიტყვებში მშობლიურს დაეძებს. „ტუ რეკოიუ“-ში ტურიკო ამოიკითხა და ის დაამღერა.

ტურა ქართული ზღაპრების გმირია, ყმაწვილისათვის ის ნაცნობია, მშობლები ტურაზე ათასგვარ ამბებს მოუყარობენ, აკვნიდან ესმით ტურის სახელი. „პო ასვალტუ რეკოიუ“ ამიტომ შეიცვალა „ტურიკოთი“.

„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან დაუხეველად ვასწავლობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — წერს ილ. ჭავჭავაძე, — ეგ მართო დედა-

ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უღედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია. მაშინ სკოლა, გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, — და განა ეს სასურველია ვისთვისმე?”

როცა სამი-ოთხი წლის ბავშვი, რომელსაც ჯერ ენაც კი ვერ აუდგამს ხეირიანად, თითქმის ყოველდღე რუსულ ნახატ ფილმებს უყურებს, ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან მისი საყვარელი გმირები: ყურცქვიტა, მელია კუდაგრძელია, მგელი-კრეჭია, დათვი-ბაჯბაჯა... ისინი ყმაწვილისთვის უცხო ენაზე საუბრობენ ერთმანეთთან. ბავშვი წრიალებს, მომიყევი — ეხვეწება დედას, მამას, ბებიას... შესაძლოა, სახელდახელოდ დედამაც კი ვერ უთარგმნოს, ან თუ უთარგმნის როგორ უთარგმნიან ჩვენს სოფლებში, ვფიქრობ, განმარტებას არ საჭიროებს.

ბავშვი იძულებულია „პო ასვალტუ რეკოიუ“ ტურიკოთი თარგმნოს. აი, ამას ეძახის ილ. ჭავჭავაძე „გონების დაჩაგვრას“.

მაშ, რა ვიღონოთ, რა მოვიმოქმედოთ, როგორ დავიცვათ ჩვენი მშობლიური ქართული ენა?

### ძარბაზული ენა დაგვეხმარება

როგორც ცნობილია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“. ამ დადგენილებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა რესპუბლიკის მოსახლეობაში, გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კო-

მისიის სხდომა, სადაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხები წამოჭრეს მეცნიერებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა. საქინფორმმა გამოაქვეყნა ამ სხდომის ანგარიში სათაურით: ქართული ენის სიწმინდისათვის. იქვე, ამ შესანიშნავ სათაურს ქვემოთ, მსხვილი შრიფტით მკითხველმა წაიკითხა ქვესათური: „მან (ე. ი. სხდომამ ნ. წ.) განიხილა პრესაში თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებულ ნორმების დამკვიდრებისა და დაცვის საკითხები“.

ცოტა ქვემოთ: „ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებულ ნორმათა მეცნიერული პოპულარიზაციისათვის, პერიოდულად გამოაქვეყნონ რესპუბლიკის ადგილობრივი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციების მიერ ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებულ ნორმების დაცვის მიმოსილვითი მასალები.“

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო თარგმნილი სასკოლო სახელმძღვანელოების, თარგმნილი ლიტერატურის ენისა და სტილის დახვეწის, მთარგმნელთა და სტილისტთა მომზადების, ქართული ენის პედაგოგთა კვალიფიკაციის შემდგომი ამალღების საკითხებს“.

კეთილი და პატიოსანი, ჩვენი მეცნიერები სასიკეთოდ შეყრილან, — ქართული ენის სიწმინდის დასაცავად ნაბიჯი გადადგმულა! ახლა ვიკითხთ რა არის სიტყვა „უნიფიცირებული?“ ფრიად განსწავლული, უცხო სიტყვათა ხმარებაში გაწაფული ადამიანი თუ მოგივებთ ამ კითხვაზე. მ. ჭაბაშვილის ლექსიკონში თუ ჩავისვლივთ, „უნიფიკაცია და უნიფიცირება“, გახლავთ საერთო ნორმაზე დაყვანა, გაერთიანება. ჩვენის აზრით, საქინფორმის კორესპონდენტს უცხო სიტყვა დანიშნულებისამებრ არ გამოუყენებია. წინადადებების შინაარსის მიხედვით უცხო სიტყვა საერთოდ აღარ იყო საჭირო. „მან (ე. ი. სხდომამ ნ. წ.) განიხილა პრესაში თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დადგენილი ნორმების დამკვიდრებისა და დაცვის საკითხები“. ქართულ ენაზე ასე გაიმართება ეს წინადადება. თუ მაინცა და მაინც უცხო სიტყვა მოგვინდებოდა, უსათუოდ მოვიწადინებდით უცხო სიტყვის ხმარებას, ოღითგანვე შემო-

სული, დღეს უკვე დამკვიდრებული და ყველასათვის გასაგებში, ქართული კაბითა და ხმაღ-სატყვრით; (ე. ი. წინსართ-ბოლოსართით), შეკაზმული სიტყვა: და-კ ა ნ თ ნ -ებ-ულ-ი უნდა დაგვეწერა უ ნ ი ფ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი ს ნაცვლად ეს უფრო უბრალო იყო.

ქართული ენის სიწმინდისათვის მზრუნველი კორექსპონდენტი ამ ამბავს მკითხველს უცხო სიტყვების გარეშეც აუწყებდა: „ქართული სალიტერატურო ენის დადგენილ (და არა უნიფიცირებულ) ნორმათა მეცნიერული პოპულარიზაციის (და არა ზაციისათვის), თანმიმდევრულად (და არა პერიოდულად) გამოაქვეყნონ რესპუბლიკის ადგილობრივი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციების მიერ ქართული სალიტერატურო ენის დადგენილი (და არა უნიფიცირებული) ნორმების დაცვის მიმსახილველი მასალები.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო თარგმნილი სასკოლო სახელმძღვანელოების, თარგმნილი ლიტერატურის ენისა და სტილის დასვეწის, მთარგმნელთა და სტილისტთა მომზადების, ქართული ენის პედაგოგთა და ხელოვნების (და არა კვალიფიკაციის) შემდგომი ამბავების საკითხებს“.

მაშასადამე, განეთსაც და მის კორექსპონდენტსაც დაავიწყდათ ლენინის ცნობილი მითითება: „ომი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვების ხმარებას საჭიროების გარეშე“, ქალღმერთ დარჩა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილებაც, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრებიც სულ ტყუილ-უბრალოდ გარჯილან.

ვთქვათ, კორექსპონდენტი, შეცდა, ისიც დავუშვათ, რომ საჭირო ყურადღება ვერ გამოიჩინა საქინფორმია.

მაგრამ ეს ინფორმაცია დაისტამბა, რესპუბლიკის თითქმის ყველა მთავარ გაზეთში? ნუთუ ჩვენი გაზეთების რედაქტორებს არ ეჩოთირათ ქართული ენის სიწმინდის თაობაზე ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება?.. ვიცის გახ-

ლავთ, რომ უცხო სიტყვათა ხმარება არავის ეჩითირება, კომუნისტებს ლენინზე უფრო დიდმა ავტორიტეტმა ვინ უნდა გითხრათ, რომ დაიჯეროთ?!

ისიც დავუშვათ: კორესპონდენტს უცხო სიტყვები რაიმე არ ეხმარა და სხდომის ამბავი ქართული სიტყვებით ეცნობებინა საზოგადოებისათვის, ვინმე შიგ უცხო სიტყვებს ჩაუწერდა? არა, არავინ ჩაუწერდა არც ერთი რედაქტორი და მთავარი რედაქტორი ამას ვერც მოისურვებდა და არც მოისურვებდა. უბედურების სათავესაც მივაგეგენით. ქართველი კაცის კალმის წვერი, როცა დაუფიქრებლად დაახვავებს უცხო სიტყვებს, ქმნის ეგრეთწოდებულს გაზეთის ენას და ამით ნამდვილ სალიტერატურო ენას ამახინჯებს, მაშინ მას ავიწყდება თავისი მოქალაქეობრივი ვალი, არ ახსოვს, რომ დიდი განძის — ქართული ენის პატრონია და ამ განძს დაუდევრად ეპყრობა.

თუ ყველა კორესპონდენტი, ყველა ლიტმუშაკი, ყველა ის ადამიანი, ვინც გაზეთში თანამშრომლობს, შეეცდება შეძლებისდაგვარად, გვერდი აუაროს უცხო სიტყვებს, წერის ჟამს, თვითონ პირველი შეებრძოლოს უცხო სიტყვათა მოძალებას, არავითარი საფრთხე ქართულ ენას არ დაემუქრება. ვწერთ ქართულად, — თუ ძველს ქართულში ან დიალექტებში სიტყვა მოგვეპოვება, უცხო სიტყვა არ შემოვიტანოთ, თუ არ მოგვეპოვება, ვთარგმნოთ, ან ახალი სიტყვა შევქმნათ ქართულ ძირებზე. ენათმეცნიერები უცხო სიტყვათა უარმყოფელებს კვლავ უცხო სიტყვით „პურისტით“ ამინებენ. არ უნდა შეგვაშინოს ამ სიტყვამ, დაე, გვიძახონ რაც სურთ, ჩვენი კალამი მარადის იმის ცდაში უნდა იყოს, წეროს მხოლოდ და მხოლოდ ქართული სიტყვა. რა საკვირველია, უცხო სიტყვას მაინც ვერ ავუვლით გვერდს, ცდა კი არ დავაკლოთ. მოვიძიოთ, მოვიხმოთ ძველი სიტყვები, შევქმნათ ახალი, წინ გადაუდგეთ, შევაჩეროთ სხვა ენათა მძლავრობა მშობლიურს ენაზედ.

სულ ახლახან შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვა — „კოსმოსი“. ამ სიტყვამ სხვა სიტყვებიც მოიტანა: კოსმონავტი, კოსმოლოგი, კოსმონავტიკა, და ა. შ. დღეს ალბათ ძნელია ამ სიტყვათა გა-

ბევება. მათი ქართული სიტყვებით შეცვლა კი თავის დროზე უმტიკივნიულოდ შეგვეძლო. ქართულ ენას კოსმოსის აღსანიშნავად ორი სიტყვა გააჩნია: ზესთა და ზესკნელი.

თუ ვაწარმოებთ ახალ სიტყვებს: ზესთმა ვალს, ან ზესკნელმა ვალს და კოსმონავტის ნაცვლად მას დავამკვიდრებთ, ამით არაფერი გაფუჭდება, პირიქით, ენა გამდიდრდება. ამ დროს არ უნდა შეგვეშინდეს კიდევ ორი უცხო სიტყვისა — ნეოლოგიზმისა და არქაიზმისა. ნეოლოგიზმი სრულებით არ გახლავთ საშიში მოვლენა, ახალ სიტყვათა წარმოქმნა ენის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. ასევეა არქაიზმიც: თუ კოსმოსის ნაცვლად ზესთას შევეჩვევით, შემდეგ იოლია სხვა სიტყვათა წარმოქმნაც: ზესთადრომი, ზესკნელმფრენი და ა. შ. როცა ახალ სიტყვებს ვქმნით, ორი სიტყვის შეერთებას, კომპოზიტურ წარმოებას ეჭვის თვალთ ნულარ შევხედავთ. ქართული ენისათვის დამახასიათებელია სიტყვათა მიწებებით ახალი სიტყვის წარმოქმნა. ყრმა წვრილი → ყმაწვილი, დეგ → გპირი — დევგპირი და ა. შ.

ჩვენი დიდი მწერლები ამის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ, შ. რუსთაველი: „ცხენ-კაცისა დავდგი გორი“. „დავჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სთბილი“.

ილ. ჭავჭავაძე: „იმისი მიდუნ-მოდუნებული ზღაზენა და უაღამიანო და პირუტყვეული მიხვრა-მოხვრა. „შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან“.

როგორც ვხედავთ, შ. რუსთაველი და ილ. ჭავჭავაძე სამსიტყვიან შეწყვილებასაც კი არ ერიდებიან, არ ერიდებიან იმიტომ, რომ იციან ქართული ენის წიაღის საიდუმლოებანი, ესმით ერისა, მშობლიური მეტყველების ფერსაც კი ჭვრეტენ, ხალხური სიტყვის გემოს გრძნობენ, „თავ-ქუდ-მოგლეჯილი“ ნეზობელ გლეხკაცებში გაუგონიან და მსგავსი წარმოება არ მიაჩნიათ ქართული ენისთვის უცხოდ. შინა+არსი → შინაარსი დიდი ილიას მიერ შექმნილი სიტყვაა. ორი სიტყვის მარტივმა შეერთებამ ახალი სიტყვა დაბადა.

დღეს შინაარსი მოშინაურებული სიტყვა, ასე გვგონია, „შუშანიკის წამებიდან“ ვიცნობთ ამ სიტყვას, თავიდან კი, ისე როგორც აგებულება, მიმართულება, ქართული ენისთვის უცხოდ ჟღერდა და მკითხველს შეჩვევა უჭირდა.

„რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალს მნიშვნელობას მისცემ, ისიც გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ მანამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელში იქნებიან და ძნელად გასაგონი“. კოსმონავტის ნაცვლად ზესკნელმა ავალი დღევანდელ მკითხველს ეგებ არ მოეწონოს, მაგრამ დროთა განმავლობაში როცა სიტყვას შევეჩვევით ზესკნელმა ავალი გზას გაიკაფავს მკითხველის გულისაკენ და დამკვიდრდება სალიტერატურო ენაში. ერთხანს გამზირს პროსპექტს ამჯობინებდნენ, მძლოლს შოფერს. დრო-ჟამმა გამზირსა და მძლოლს დაუჭირა მხარი, გააძევა სხვათა სიტყვები და პირველობა კანონიერად ქართულ სიტყვებს შიაკუთვნა.

ზესკნელმა ავალი არი ქართული სიტყვის შეერთება შინაარსის ტიპისა. ამგვარად შეგვიძლია გავაქართულთ უამრავი უცხო სიტყვა: მავალითად, ექსკავატორი — მიწასაპია. ბულდოზერი — მიწასვეტია. ვიბრატორი — ბეტონმშელი. კაბელკრანი — ბაგირამწე... მართლაც, ეს მანქანები ერთი მიწას თხრის, საპავს, მეორე — მიხვეტავს, ერთ ადგილას აქუჩებს, მესამე ბეტონს თავისი რკინის ხორთუმებით ზელს, მეოთხე ბაგირით სწევს ტვირთს. შეწყვილებული სიტყვები: ზესკნელი და მავალი, მიწა და ხაპვა, მიწა და ხვეტა, ბეტონი და ზელვა, ბაგირი და ამწე ცალცალკე არსებობენ ენაში, შეერთებით ახალი სიტყვები მივიღეთ.

ქართულმა ენამ ამგვარი შეერთებისა და ახალი სიტყვების წარმოქმნის უამრავი მაგალითები იცის. შეიძლება სხვაგვარი წარმოებაც, — უცხო სიტყვის პირდაპირ თარგმნა, რასაკვირველია, ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით. მაგალითად, ინტრონიზაცია — აღსაყდრება. ეს სიტყვა

ჟურნალმა „ჯვარმა ვაზისამ“ უკვე გამოიყენა და ისე აჟღერდა, თითქოს ვინმეს ძველისძველი საეკლესიო ტერმინი გამოემიჯნურებინოს. ინტრონიზაცია ტახტზე ასვლას ნიშნავს. ტასტი აღმოსავლური სიტყვაა, ძველ ქართულში მას საყდარი ერქვა. აღსაყდრება სწორედ, რომ მიესადაგა ინტრონიზაციას.

რაკი სიტყვა საეკლესიო ტერმინებზე ჩამოვარდა, აქაც ბევრი რამ ჩანს გასაკეთებელ-მოსაგვარებელი. ღვთის მსახურთ არ უყვართ „ცვლილებანი“, მაგრამ ქართულ ენას ამგვარ ცვლილებათა დიდი გამოცდილება გააჩნია. ლიტურგია ფაჩისწირვით შეიცვალა, ეკლესია საყდრით, ფსალმუნება გაღობით; კირიელეისონი უფალო შეჩიწყალეთი და ა. შ.

ქართველი მღვდელ-მონაზვნები მარად მტკიცედ იდგნენ ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე, ქრისტეს მოძღვრება სხვათა ქვეყნებიდან მოსული მოძღვრებაა. მას აურაცხელი უცხო სიტყვაც მოჰქონდა თან, მაგრამ ქართველი წმიდა მამები ამ სიტყვებს მარჯვედ თარგმნიდნენ, ქართულ ყალიბში ასსამდნენ, ქართულ სულს უღვამდნენ.

ეს საქმე დღესაც უნდა გაგრძელდეს, რაც წინაპრებს მრავალ მიზეზთა გამო, არ შეეძლოთ, ჩვენთვის, თანამედროვე ენათსწავლების დონეზე იოლია. დღეს ბერძნულის მცოდნენიც ბლომად გვყვანან, ლათინურისაც. ქართულიც, სომხურიც, ძველი აღმოსავლური ენებიც მეცნიერულად გვაქვს შესწავლილი.

საეკლესიო ახალი ტერმინების შექმნა ჩვენთვის სირთულეს აღარ წარმოადგენს, თუ მოვიწადინებთ, უფრო ღრმა ცვლილებაც შეგვიძლია; მორწმუნენი უფლის აღდგომას ოდითგან დღესაქამომდე ერთმანეთს ასე ატყობინებდნენ: — ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად აღსდგა!

„ჭეშმარიტი“ ქართული სიტყვა არ გახლავთ. მისი შეცვლა სასურველია. სახარებაში არ გვიწერია გამოთქმა: „ჭეშმარიტად აღსდგაო“. ძველ ტექსტებში, მართალია, არის სიტყვა „ჭეშმარიტი“, მაგრამ არის სხვა სიტყვაც „ნანდვილვე“, იგი „ჭეშმარიტის“ ტოლჟარდია. „ქრისტე აღსდგა“ „ნანდვილვე აღსდგა“ — ამგვარი პასუხი უფრო ბუნებრივიც არის, ძველი



ელფერიც უფრო გადაჰკრავს და, რაც მთავარია, ქართულია. არის, აგრეთვე, კიდევ ერთი სიტყვა ქართულს ენაში „ჭეშმარიტის“ შესატყვისი: „დასტურ“. ეს სიტყვა არ უნდა იყოს უცხო წარმომავლობისა, არნ. ჩიქობავა განმარტებით ლექსიკონში არ მიგვანიშნებს მის უცხოობას. სასაუბრო მეტყველებაში კი დიახაც იმას ნიშნავს, რასაც ჭეშმარიტად. „დასტურები“ ხატის მსახურები ყოფილან სალოცავში, ამ სიტყვისაგან იწარმოება, აგრეთვე, ზმნაც „დადასტურება“. მეგრულშიც გვაქვს შესატყვისი — დასურთ. ეს ფაქტები გვეუბნება: „დასტურ“ ქართული სიტყვააო.

მაშასადამე, თუ სიტყვა „ნანდვილვე“ არ მოგვწონს, გვაქვს ხალხის წიაღში აღმოცენებული, ოდესღაც ღვთისმსახურებაში ნამყოფი, ძველისძველი მშვენიერი ქართული სიტყვა „დასტურ“, უფლის აღდგომის მახარებელთ, მიუვგოთ ამ სიტყვით:

- ქრისტე აღსდგა!
- დასტურ აღსდგა!

მართალია, „ჭეშმარიტად აღსდგას“ დიდი ტრადიცია მოსდგამს, მორწმუნენი ამ გამოთქმას ალბათ ძნელად შეეღვეიან, მაგრამ დრო თავისას გაიტანს, დრო შეგვაჩვენებს „დასტურსაც“ და „ნანდვილვესაც“, მთავარია, მღვდელმთავრებმა თქვან პირველებმა „დასტურ აღსდგა!“, თუ მღვდელმთავარი იტყვის, მრევლიც აჰყვება, დაკანონებასაც დიდი დრო არ დასჭირდება.

„აღსაყდრებას“ ტიპის სიტყვათწარმოება, „დასტურ“-ის ტიპის ძველ სიტყვათა გამოძებნა დღევანდელ ჩვენს მეცნიერებსა და გაზეთის მუშაკებს არ გაუჭირდებათ. საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ მოწადინება, სურვილი და მოვალეობის გრძნობის გაღვივება.

ყველა სიტყვის თარგმნა და შეცვლა, საერთაშორისო სიტყვების სრული უარყოფა, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა, და ენისთვის სასიკეთოც არ არის.

დიდ ენათა მძლავრობას თავის ობიექტური კანონზომიერებანიც აქვს, ვერ ჩარაზავ კარებს, ვიწრო ნაჭუჭში ვერ ჩაიკეტები, ვერ იტყვი არავინ არ მსურს, ჩემს მამულში მამყოფეთო. ტექნიკურ პროგრესს ვერ შეაჩერებ. მსოფლიო

ფერხულში ჩაბმა კი იწვევს ახალ სიტყვათა მოწყდომას მშობლიურს ენაში. ქართულ ენას დიდი შესაძლებლობები გააჩნია თავდაცვისა, თვითდაცვაც ძალუძს, მაგრამ სიტყვის-მეცნიერთა, სიტყვისმოქმედთა დახმარებაც აუცილებელია. თუ ქართულ ენას მემართუნებს, ბრიტვა-ჟუვანკის გადამყიდველებს და მათ მსგავსთ შევატოვებთ, ცრუ სახელმწიფო დადგენილებები და ბრძანებები ვერ გვიშველის. დადგენილება დადგენილებად დარჩება, ქართული ენის წარტყვევნა კი გარღვევლად გაგრძელდება. გარდატენა ხალხმა უნდა მოახდინოს. თვით ხალხის წიაღში უნდა ჩაისახოს ქართული ენის დაცვის იდეა.

თუ ყველა დაწესებულება, ყველა ქართველი, ვისაც მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა უსწავლია, დაიცავს ქართულ ენას, სხვა დამცველი მას არავინ დასჭირდება.

— პაკრიშკას ქართულად რა ჰქვია? — ვეკითხები ტაქსის მძღოლს.

— საბურავი; — დაუფიქრებლად მომიგო.

— თუ ეს იცი, შე კაი დედმამისშვილო, რათ ამბობ პაკრიშკას?

— საბურავს არავინ ამბობს... — კუშტად მომიგო.

— ვინ „არავინ?“ რა გვარისა ხარ?..

— გურაშვილი..

— აგაშენა ღმერთმა, შენ, გურაშვილო, არ ამბობ „საბურავს“ სხვა ვინ იტყვის. ეგებ სიტყვა არ მოგწონს?

— არა, რატომ, სიტყვას რა უჭირს... ელიმება მძღოლს და იქედნურად მიმზერს, ამ კაცს საქმე შემოლევიაო.

— მაშ, იცი პაკრიშკას რა ჰქვია, მოგწონს კიდევ მისი ქართული სახელი, სხვათა სიტყვას კი ამბობ, სათქმელად „პაკრიშკას“, ამჯობინებ, რატომ?

— საბურავს არავინ ამბობს, მე რათ უნდა ვთქვა, — უკვირს მძღოლს.

— პირველმა შენ უნდა თქვა, — გურაშვილმა, სხვები შემდეგ იტყვიან..

— ყველა პაკრიშკას ამბობს და იმიტომ, — კვლავ თავს იმართლებს მძღოლი.

ქართული ენის წამბილწველთ საბუთად „საყოველთაობა“

დაუსვევიათ ხელთ. ტაქსის მძღოლი „ყველაში“ რასაკვირ-  
ველია, თავის მეგობრებს გულისხმობდა: სერგოს, ივანეს,  
კოტიკოს, შაქროს... ამათ ეძახის „ყველას“. ამ „ყველადან“  
სწორედ შაქრომ და გურაშვილმა უნდა თქვან პირველად  
„საბურავი“ და მაშინ „ყველა“ საბუთი აღარ იქნება. ქუჩის  
ენა თვით ქუჩამ უნდა შეცვალოს, გარდატეხა იქ უნდა მოხ-  
დეს, „ხალსში“.

თუ გვინდა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების მცი-  
რედი დაძვრა ადგილიდან, პირველ ყოვლისა ენაში უნდა  
მოხდეს ძირეული ცვლილებანი, უნდა ავმეტყველდეთ ნამ-  
დვილი ქართული ენით, უნდა ვწეროთ წინაპრების დარად.  
ქართველი ერის სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელი ყო-  
ველთვის ქართული ენა იყო. ჯერ ენა უნდა აღსდგეს, ენამ  
უნდა გაშალოს მხარ-მკლავი, ენა უნდა აყვავდეს.

იმ ენის წიაღში, სადაც შეიძლება გაიგონო: მესტა ზანი-  
ატია, უგლაოში საპოუნკი ბატინკებს აპაჩინკებსო, რუსთა-  
ველი ვეღარ წარმოიშობა. ზნეობრივი აღორძინება, უპირ-  
ველესად, უმთავრესად ენობრივ განახლებას მოითხოვს.

ადამიანი, ვისაც სხვათა ენა გაუხდია მშობლიურ ენად,  
არა. აუცილებლობის გამო, არამედ გამორჩენის, დაწინა-  
ურების მიზნით, ამ მიზნითვე და ამავე ხერხით ზრდის შვი-  
ლებს სამომავლოდ, ასეთი ადამიანი მექრთამეზე, კომბინა-  
ტორზე, გამომძალველზე უარესია. ზნეობრივად ის უფრო  
დაცემულ-დაკნინებულია, საზოგადოებისათვის უფრო სა-  
შიშია, ვიდრე დახლში მდგარი მპარავი. დახლის ქურდი  
ერს ნივთიერ ფასეულობას პარავს, მშობლიური ენის უარ-  
მყოფელი — სულიერს.

აღბათ კაცობრიობა არ იცნობს უფრო დიდ უზნეობას,  
ვიდრე მშობლიური ენის უარყოფა.

ზნეობრივი გარყვნა ჩვენი ცხოვრების ყველა რგოლს  
შეეხო, გაირყვნა და წახდა ენაც. მეტი წახდომა, მეტი ძირს  
დაშვება, აღარ შეიძლება, უკან დასახვევი აღარსადაა, ვეპო-  
ტინებით ხავსს და უზნეობის ჭაობიდან კუს ნაბიჯებით ვა-  
პირებთ ვითომ ამოფორთხვას. სულიერი ამოფორთხვა კი  
კუს ნაბიჯებითაც ვერ მოხერხდება თუ ენა დავივიწყეთ.

საყოველთაო გაწმენდა ენისა, ენობრივი „რევოლუცია“,

დიდი გარდაქმნა-გარდატეხა ენაში, კვლავ მიგვაახლოვებს დედა ენას, — დიდი რუსთაველის ენას.

ენა ერის კუთვნილებაა, ერია ენის შემოქმედი, გარდატეხა-გარდაქმნაც ერის წიაღში უნდა მოხდეს.

ყოველი ქართველი, როგორც წინაპრები იტყოდნენ, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს ქართული ენის აღსადგენად და ასაღორძინებლად.

მე-19 საუკუნეში დიდმა ილიამ განასორციელა ენობრივი რეფორმა. მან შეცვალა ძირფესვიანად მანამ არსებული სალიტერატურო ნორმები და ახალ ქართულ ენას დაუდო სათავე.

მას შემდეგ საუკუნემ განვლო. ქართული ენა კვლავ საჭიროებს განახლებასა და აღდგენას, დღეს ილ. ჭავჭავაძეები აღარ გვეყვანან, მაგრამ სამაგიეროდ აღიზარდნენ ენის მცოდნეთა მთელი თაობები, ვისაც ქართული ენის მოვლა-პატრონობა ნამდვილად ხელეწიფება.

ცნობილი მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე ილია ალხაზიშვილი ილ. ჭავჭავაძე არ ყოფილა, მაგრამ თავის დროზე რამდენიმე კარგი ქართული სიტყვა შექმნა და დაამკვიდრა, მაგ.: ქიმიური ტერმინები: მჟავა, ჟანგბადი და ა. შ.

ამგვარი მოღვაწეობა დღეს ათასობით ქართველ მეცნიერს, ჟურნალისტს, მწერალსა და პედაგოგს შეუძლია.

თუ ქართული გაზეთების, შორმხედის, რადიოს, ჟურნალების ყველა მუშაკი, ყველა ქართველი ენათმეცნიერი, ყველა მწერალი, ყველა ფილოლოგი-პედაგოგი, საერთოდ ყოველი ქართველი დადგება მშობლიური ენის სადარაჯოზე არა ცარიელი სიტყვებით, არამედ საქმით, ე. ი. ეტყვის საკუთარ თავს: წერე და იმეტყველე ქართულად, გულს სხვათა სიტყვა არ მიაკარო, საკუთარ სულში იბრძოლე ანკარა ქართულისათვის, შოთღრის ნაცვლად მძღოლი თქვი და დაწერე, პროსპექტის ნაცვლად გამზირი, მართუნის ნაცვლად ნაყინი, ყოველდღიური მეტყველება დაკვირვების საგნად აქციე, სათავეშივე გაწმინდე საკუთარი ენის წყაროსთვალი, შედეგიც არ დააყოვნებს, ქართული ენა აღორძინების გზაზე დადგება.

ხელთა გვაქვს უდიდესი მონაპოვარი — საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლი. ამ მუხლის ძალით ქართული ენა სახელმწიფო ენაა. მაშ, მოვექცეთ ქართულ ენას ისე, როგორც სახელმწიფო ენას ეკადრება.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს თავის ძირითად კანონს, საბჭოთა კანონმდებლობა სჯის იმათ, ვინც კონსტიტუციას დაარღვევს.

ქართული ენისთვის ბრძოლა გადავაქციოთ საყოველთაო, საერთო-სახალხო ბრძოლად, გავიღოთ ყველაფერი ამ წმინდა საქმისათვის,

## ორი მარსკვლავი მოტყინარი

როგორც „დედა ენა“ „აი იას“ გარეშე, ქართული საყმაწვილო წიგნი, საყმაწვილო ლიტერატურა, საშუალო სკოლის უმთავრესი ლიტერატურის სახელმძღვანელოები, „სამშობლო ხევსურისას“, „პატარა ქართველის“, „ქართველის დედის“, „განთიადის“, „არწივის“ და სხვა მათი მსგავსი ნამდვილი ქართული სულისა და ფერ-ხორცის ლექსების გარეშე დაემთავსებოდნენ იმ რობოტს, რომელიც ყველა დავალებას ასრულებს, ყველა მოძრაობა ზედმიწევნით იცის, მაგრამ მანც ჯართის გვამს დაატარებს და რკინის თავი ადგას.

ქართველმა ყმაწვილმა შეიძლება არ იცოდეს ასტროფიზიკა, მაგრამ „სამშობლო ხევსურისა“ უნდა იცოდეს.

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ზემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

ეს კეთილშობილი, ნათელი იდეალია, სამშობლო ასე პატიოსნად და ალაღად უნდა გვიყვარდეს. ამაშია ამ ლექსის ძალა, ამიტომ იცის ის თითქმის მთელმა საქართველომ. ორი საუკუნის მანძილზე, ვინც ქართულად ენა აიდგა, „სამშობლო ხევსურისა“ წინ წარუძღვა ლამპრად და დედაენასთან ერთად ასწავლა: მამულიშვილობა, ვაჟკაცობა, რაინდობა, მხნეობა და იმედიალობა, ჩაუნერგა რწმენა ქართული ენის უკვდავებისა.

ქართულ სასულიერო პოეზიაში არის ერთი ლექსი, რომელიც ზემოთხაზოვლილ პოეტურ ნიმუშებს მაგონებს, მათი გორისაა, მათი ჯიშის, მათი დიდი წინაპარია, დრო-ჟა-

მის ღველფი ეფარა ზედ, ძველს დასდებელთა წიგნიდან გად-  
მოვიდა და თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგი-  
ებში, სხვადასხვა კრებულებსა და ტომეულებში კუთვნილი  
ადგილი დაიკავა. ეს ლექსი განლავთ „ქებაჲ და დიდებაჲ  
ქართულისა ენისაჲ“.

ამ ლექსში იმთავითვე ის სახმილი ჩაიდო, რაც შემდ-  
გომში „ქართველის დედასა“ და „განთიადში“ აენტო, ის  
სიკეთე ჩაისახა, რაც „ვეფხისტყაოსნით“ დაგვირგვინდა.

დროშა „ქებაჲს“ უპყრია ხელთ, ის არის მეწინავე, სვე  
მას მიაქვს, შუქურგარსკვლავიც ის განლავთ.

დიდმა წინაპარმა, „იოანე ფრიადცოდცილმა ზოსისჲს“  
გვიანდერძა:

„დამარხული არს ენაჲ ქართული  
დღემდე მთორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად,  
რათა ყოველსა ენასა  
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

. . . . .

და ესე ენაჲ  
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა,  
მიბაღლი და დაწუნებული —  
მოელის დღესა მას მთორედ მოსვლასა უფლისასა“.

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ რამდენიმე ათე-  
ული წლის წინათ წარმოაჩინეს დიდმა ქართველმა მეცნი-  
ერებმა. რაც დრო გადის, მით უფრო ვხვდებით თუ რა გა-  
ნუზომელია მისი მნიშვნელობა ქართული ენისათვის, ქარ-  
თული ლიტერატურისათვის, საერთოდ ქართული კულტური-  
სათვის.

„ქებაჲსადმი“ ყურადღება და ინტერესი ყოველ დღეცის-  
მარე ათკეცდება. ზედიზედ იწერება წერილები, მის ყოველ  
სიტყვას, ყოველ წინადადებას გულისყურით სინჯავენ, აკ-  
ვირდებიან, და ფარულ აზრს ეძებენ. „ყოველი საიდუმლო  
ამას ენასა შინა დამარხულ არსო“.. საუკუნეთა მიღმი-  
დან გვიანდერძებს დიდი წინაპარი.

ქართული ენა უფლის ენაა. ქართული ენა მომავლის ენაა,  
აწ დამდაბლებული აღსდგება ვითარცა ლაზარეი..

იმედიანი ლექსია! დიდი რწმენით, ადამიანური და ეროვ-

ნული ღირსების შეგრძნებით და შეგნებით შექმნილი წაწარმოებია. ქართულმა სასულიერო პოეზიამ მსგავსი დასდებელი, სტიქარონი ან იამბიკო მეორე არ იცის თავისი შინაარსით, იდეითა და პოეტური თავისუფლებით. ის ერთადერთი, მოულოდნელი და მშვენიერი ქმნილებაა.

„ქება“ რომ კარგი ლექსია ეს ჩემი აღმოჩენა არ გახლავთ.

ძველს ლიტერატურაში ჩახედულმა მეცნიერებმა, პედაგოგებმა, მწერლებმა ეს კარგად იციან,

სასკოლო პროგრამებს სწორედ ისინი ადგენენ. იქ კი ეს ლექსი არ არის.

ეგებ იმის გამო, რომ ავტორი დაუდგენელია. მეცნიერები ვერ შეთანხმებულან იოანე ზოსიმემ დაწერა ლექსი თუ გრიგოლ მერჩულემ ან — მერჩულეს სკოლის რომელიმე სიტყვისმოქმედმა.

ეს მიზეზი მიზეზად არ გამოდგება.

ტრადიცია ლექსის ავტორად იოანე ზოსიმეს, საბაწმინდელ-სინელს მიიჩნევს.

იოანე ზოსიმე მე-10 საუკუნის ქართველი ბერია; ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 987 წ.

სამშობლოსაგან მოშორებით, პალესტინაში, საბაწმინდის ლავრაში მოღვაწეობდა, შემდეგ სინას მთაზეც მონაზვნობდა. შეუდგენია ჰიმნოგრაფიული კრებულები და საეკლესიო კალენდარი.

რამდენიმე კრებულში შეუტანია „ქება“. ეს კრებულები დიდის რუფუნებით თვითონ თავისი ხელით გადაუწერია.

ამდენი ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე არ მოგვეპოვება:

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლაში რუსთაველის დაუდგენელი ვინაობა მოსწავლეს ხელს სულაც არ უშლის.

მთავარია, ყმაწვილებმა შეისწავლონ „ვეფხისტყაოსანი“, მისი ავტორის დაბადების თარიღი თუ არ ეცოდინებათ, ამით არაფერი დაშავდება, რა თქმა უნდა, სჯობს რუსთაველის დაბადების თარიღიც ვიცოდეთ და ის სოფელ-კუთხეც, სადაც დაიბადა დიდი ქართველი პოეტი, მაგრამ თუ წყაროები



უტყუარ ცნობას არ გვაწვდიან, „ვეფხისტყაოსანი“ ამის გა-  
ხო ყმაწვილობას არ შევასწავლოთ?

სკოლაში უამრავ ლექსს ვასწავლით, ყველა როდი გაჰ-  
ყვება ადამიანს ცხოვრების გზაზე, ავიწყდება ისინი, შუა  
ხნის კაცს არ ახსოვს უღიმღამო, გაკვეთილები, რომლებიც  
ოდესღაც უსწავლია, მაგრამ „სადაც ვმობილვარ, გავზრდილ-  
ვარ და მისროლია ისარი“... „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო  
ჩემო სამშობლო მხარეთ“... „მე პატარა ქართველი ვარ“...  
სამარემდე ამახსოვრდება:

„მე პატარა ქართველი ვარ,  
კაკასიის მთების შეილი,  
და განცხრომით სხვაგან ყოფნას  
მირჩეენია აქ სიკვდილი“.

„ქებაჲ და დიდებაჲც“ თუმცა ჯერ სახელმძღვანელოში არ  
არის, მაგრამ უკვე დაეუფლა ადამიანთა გულებს, ბევრმა  
სწავლულმა, მწერალმა და ჟურნალისტმა, სტუდენტმა, ლი-  
ტერატურის მოყვარულმა, მოსწავლემაც კი უკვე ზეპირად  
იცის. მალე კიდევ უფრო გაიდგამს ფესვს, კიდევ უფრო სა-  
ხალხო გახდება.

ვაკვირდები ლექსის შინაარსს, დედააზრს, აგებულებას  
მისას, მორალს და დასკვნას ყრმათათვის სასარგებლოს, ვაკ-  
ვირდები და თანდათან ვრწმუნდები, რომ „ქებაჲმ“ საშუალო  
სკოლის პროგრამაში უსათუოდ უნდა დაიმკვიდროს ადგილი.  
მრავალმხრივ საყურადღებო თხზულებაა. კერძოდ, იმიოაც  
მნიშვნელოვანია, რომ ერთერთი პირველი ქართული პოე-  
ტური ნაწარმოებია. მოსწავლეებს ვასწავლით ძველი ქარ-  
თული მწერლობის პროზაულ ნიმუშებს, პოეტურს კი არა.  
პროზაული ნიმუშებით არ ამოიწურება ძველი ქართული  
მწერლობა: „მსგავსად ყველა კულტუროსან ერისა, ქართვე-  
ლებს შეუქმნიათ, აგრეთვე, საკმაოდ მდიდარი და საინტე-  
რესო სასულიერო ან საეკლესიო პოეზია, როგორც ორიგი-  
ნალური, ისე ნათარგმნი“ (კ. კეკელიძე).

ქართული პოეზიის პირველი ნიმუშებიც ხომ უნდა გა-  
ვაცნოთ ახალგაზრდებს. მიქელ მოდრეკელის, იოანე მინჩ-

ხის, და სხვათა საგალობლები ძნელი გასაგებია ყმაწვილ-  
თათვის.

„ქება და დიდება“ კი ამ მხრივაც იშვიათი გამოჩა-  
ლისია, მაშ, შემეცნებითი თვალსაზრისითაც უეჭველია, რო-  
გორც ის ჩვენი ძველები იტყოდნენ: „ჭეშმარიტი და უტყვე-  
ლია“.

თუ სასულიერო პოეზიაში „ქება და „შესხმა“ ძირითა-  
დად მიმართულია უფლისადმი, „ქება და დიდება ქართუ-  
ლისა ენისა“ ხოტბას შეასხამს და განადიდებს ქართულ  
ენას, — იდეური თვალთახედვით უზადოა, მსატკრულად სრუ-  
ლყოფილი, ზნეობრივად სუფთა და წმინდაა. ენობრივი ბა-  
რიერიც არ ჩანს არსად, ძველი ქართული ისევე გასაგები და  
ნათელია, როგორც — რუსთაველის, გურამიშვილის, სულ-  
ხან-საბას ქართული.

დაბრკოლება მაინც არის!

გაბერილი სახელმძღვანელოები, გადატვირთული პროგ-  
რამები პირზე სელს მაყარებენ, ენაზე კლიტეს მადებენ, —  
არაფერი თქვა, შედეგრიც რომ გვქონდეს, არ გვინდა, თავი  
გაგვანებო.

თურმე „ქება“ კი არა „აბოს წამება“ ამოუღიათ პროგ-  
რამიდან.

დიას, იონანე საბანისძის „აბო ტფილელის წამებას“ ამი-  
ერიდან არ შეისწავლიან ჩვენი ყმაწვილები. თითქმის დაუ-  
ჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია.

ვესაუბრე პედაგოგებს, პროგრამების შემდგენელთ, გა-  
ეუზიარე ჩემი აზრი, იმათაც თავისი თქვეს. ძირითადად ყვე-  
ლანი ერთი აზრისანი ვართ, — პროგრამები მართლაც გა-  
დატვირთულია, მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელია, ბავშ-  
ვებს იმდენი წიგნები დააქვთ სკოლაში, ერთი ჩანთა აღარ  
ჰყოფნით. უნდა ეშველოს სახელმძღვანელოებს, უნდა შემ-  
ცირდეს პროგრამები, მაგრამ არამცდა არამც არ უნდა გა-  
ღარიბდეს. პირველი ნაბიჯი გადაუდგამთ, ქართული ლი-  
ტერატურიდან ბევრი რამ, რისი ამოღებაც შეიძლებოდა,  
ამოუღიათ. ეს კარგია და მისასალმებელია. მაგრამ ეგებ  
სიფრთხილესაც თავი არა სტკივა, განსჯა-დაკვირვებამ უკე-  
თისი შედეგი გამოიღოს. ეგებ დავფიქრდეთ ერთხელაც, ასმე-

ერთჯერ ავწონ-დავწონოთ და „აბოს წამება“ მერე ამოვი-  
ლოთ.

მაინც რატომ გავიმეტეთ იოანე საბანისძის „აბოს წამე-  
ბა“ და არა სხვა რომელიმე ნაწარმოები?

ეჭვები გაჩენილა.

პირველი ეჭვი: რომელი ნაწარმოები ამოგველო „შუშა-  
ნიკის წამება“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“?.. „აბოს  
წამება“ მათთან შედარებით რთულია, ბავშვებს უჭირს მისი  
გაგება.

ეს მოტივი დამაჯერებლად არ გვეჩვენება, ეჭვიც უსა-  
ფუძვლო გვეგონია. ბავშვები იოანე საბანისძეს მშვენივრად  
უგებენ. ძირითადი მოტივები ესმით ამ წიგნისა. სავალდებ-  
ულო არ არის სასულიერო მწერლობის ყველა კუნჭულში  
შეისხდოს ყმაწვილმა, ყველა სიტყვას ჩაწვდეს და გაიაზროს.  
მთავარია, ამ მოთხრობის ძირითადი აზრი გაიგოს, ძირი-  
თადას მიწვდეს მოზარდი, მრავალი ათეული წელია „აბოს  
წამებას“ სკოლაში ვასწავლით, აქამდე თუ გასაგები იყო,  
დღეს რა შეიცვალა?...

მართალია, იოანე საბანისძე რთული პროზის მწერალია.  
მისი ენა არ არის სახარების ენა. მარტივი, მოკლე წინა-  
დადებით თხრობა მას არ შეუძლია. მისი სტიქიაა რიტორუ-  
ლი ენამჭევრობა — რთული, მაღალფარდოვანი, ხატოვანი,  
მოქნეული, ნამდვილი ქართული წინადადებებით წერა. ამ  
მსრივაც ის, როგორც მწერალი, გამორჩეულია.

რაკი ოდნავი დაბრკოლება შეგვხვდა აღარ შევისწავლოთ  
და სხვა მწერალზე გადავიდეთ? არა მგონია, სწავლების გა-  
იოლება, გაადვილება პედაგოგიური ნაბიჯი იყოს. „რახან  
ძნელია, არ ვისწავლოთ“-ის გზით შორს ვერ წავალთ. ამ  
ხერხით და მეთოდით თვით „ვეფხისტყაოსანსაც“ ვერ შე-  
ვასწავლით ბავშვებს. რა უნდა გაიგოს ბავშვმა, მაგალი-  
თად, ამ წინადადებიდან: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევ-  
რთვივარ სულთა სირასა“. ასეთი სტროფები მრავალია „ვე-  
ფხისტყაოსანში“, ენაც არც ისე იოლია და გასაგები. მაშ,  
რა ვქნათ, გადავდოთ „ვეფხისტყაოსანიც“?

კარგმა პედაგოგებმა იციან როგორ დასძლიონ ასეთი  
სირთულე.

იაკობ გოგებაშვილს ახალციხელის ფსევდონიმით ერთი კრიტიკოსი საყვედურობდა: ანგელოზი რთული სიტყვაა ბავშვებისთვის, მასწავლებელი ვერც აუხსნისო. იაკობ გოგებაშვილმა ჩვეული სიბრძნით უპასუხა: „თუ შვიდ-რვა წლის ყმაწვილი ხეირიანად ვერ მიხვდება გონებით მეტად მიმზიდველს, პოეტურს, ნაზსა და ზნეობრივს სწავლას ანგელოზზე, გულით ხომ კარგად იგრძნობს და ამისთანა გრძნობას დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს სპეტაკის ზნის აღზღისათვის ბავშვში“.

„აბოს წამებიდან“ მოზარდმა სულ ვერაფერი, რომ ვერ გაიგოს, გულით იმას მაინც ხომ მიხვდება, რომ დაჩაგრულ-დამონებული ხალხისთვის, თავი გადასდო და ეწამა სხვა ეროვნების შვილი, უცხო ქვეყნიდან მოსული ადამიანი; განა ეს ცოტაა?..

მახვილითა პყრობილი სჯული უარპყო, მჩაგვრელის ღმერთს განუდგა და ჩაგრულისას შეუდგა. ნუთუ ეს გაუგებარი დარჩება ყმაწვილკაცობისათვის?

მეორე ეჭვი: მოწაფის შეკითხვას ქართველს, რომ ჩაედინა მსგავსი საქციელი, როგორ მოიწონებდითო, რა გუპასუხო?

თუ ქართველი ხალხი დაიპყრობდა არაბეთს, ბაღდადში თავის გამგებელს დანიშნავდა, არაბებს მძლავრობასა ქუეშე დამონებულთ ამყოფებდა, ხარკს დაადებდა და ნაკლულევანებითა სიგლასაკითა შეკრულთ, ვითარცა რკინითა, დასტანჯავდა, მახვილით პყრობილ სჯულს იწამებდა და მახვილით იცხოვრებდა ამ ქვეყანაზე, ქართველი აბოს გამოჩენა ბაღდადში და მისი წამება ჩაგრულთა ღმერთისათვის მოსაწონი საქციელი იქნებოდა ყოველი პატიოსანი ქართველისთვის და არაბისთვისაც.

აი, რა უნდა უპასუხოს პედაგოგმა.

ქართულ „წამებებში“ აბო არ არის პირველი უცხოტომელი, ვინც ქრისტესთვის ეწამა. „სწორედ აქა სჩანს იოანე საბანის ძის ნიჭი და ჭკუა, რომ მან შესძლო ის, რაც ვერ შესძლეს ევსტაფე მცხეთელის, რაყდენისა და სხვათა მარტვილობათა გამომთქმელებმა: ცხოვრების კერძო მოვლე-



როცა ი. გოგებაშვილის — „დედა ენას“ ხელში აიღებთ, პირველსავე გვერდებზე სამ საკვირველებას წააწყდებით: წიგნის სახელს — „დედა ენას“, განუმეორებელ პირველ გაკვეთილს — „იას“ და იქვე, პირველ აზრს, პირველ წინადადებას — „აი იას“.

ქართულ საანბანო წიგნს ისეთივე დიდი ისტორია აქვს, როგორც ქართულ ანბანს. ხელთნაწერ საანბანო წიგნებს თავი რომ გავანებოთ, 1629 წ. რომში საერო შრიფტით ი. ჩოლოყაშვილს გამოუქვეყნებია „ანბანი იბერიელთა“, 1703 წ. არჩილ მეფის შვილს ალექსანდრე ბატონიშვილს სტოკჰოლმში გამოუცია ქართული საანბანო წიგნი. შემდეგ, სხვადასხვა დროს გამოსულა: პლ. იოსელიანის, ივ. კერესელიძის, დ. ფურცელაძის, ს. მდივანოვის, პ. უმიკაშვილის, ვ. თულაშვილის და სხვ. მშობლიური ენის სახელმძღვანელოები. 1876 წ. კი გამოდის ი. გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნი, რომელსაც მისი ავტორი „მშობლიურ ენას“ და „მშობლიურ სიტყვას“ კი არ არქმევს რუსი პედაგოგების მიბაძვით, არამედ — „დედა ენას“.

საანბანო წიგნისთვის უკეთესი სახელი ჯერ არავის დაურქმევია და, ალბათ, ვერც ვერავინ იპოვის უფრო ლამაზ, ტევად, სხარტ და შინაარსიან სიტყვას, ვიდრე დედა ენაა.

ი. გოგებაშვილმა ჩვეული გენიალური უბრალოებით ყმაწვილებს უთხრა: ეს წიგნი გახლავთ დედაწიგნი, მთავარი წიგნი სხვა წიგნებს შორის, რადგან ის შეგასწავლით დედასავით საყვარელ მშობლიურ ენასო. თითქოს ამ დღიდან შეერქვა მშობლიურ ენასაც დედაენა და უფრო მახლობელი და საყვარელი გახდა ხალხისათვის.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით: „დედა ენამ“ ისეთივე დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც დიდგორის ბრძოლამ. „დედა ენის“ გამოსვლა გამარჯვებას ნიშნავდა. გაიმარჯვა ქართულმა ენამ. გაიმარჯვა ილ. ჭავჭავაძის იდეამ. გადაგვარებულ ქართულ ოჯახებში „დედა ენა“ შეიპარა და თავისი დიდი საქმის კეთე-

ბას (ვისომც აქ არაფერიაო, ბაღლებს იასა და თითის ამბავს ვასწავლიო) ჩუმად შეუდგა.

ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის და სხვა მათ თანამოაზრეთა ეროვნულ-გამანათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამაში ერთერთი მთავარი ადგილი ეჭირა მომავალი თაობის აღზრდას.

ამ დროს შეიქმნა ქართველის დედის დიადი სახე. „ქართველის დედაო, ძუძუ ქართველისა უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა“... — მოაგონებდა დედებს დიდი ილია. აკაკი წერეთელმა ისეთი „იავნანა“ დაწერა, აკვნიდანვე ჩაენერგა ყრმისათვის სამშობლოს სიყვარული. „შვილო, მამულის გულისთვის ს ი ს ხ ლ ი ც და დ ვ ა რ ე ო! ჩვენ ძველებმაც მაგგვარადა მტერი აშინაო! იავნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანიანო“... „იავნანამ რა ჰქმნაც“ ხომ ამ მიზანს ემსახურება!

თავისუფლებისათვის ბრძოლა აკვნიდან უნდა დაწყებულიყო. აკვნიდანვე უნდა ეზრუნათ მომავალი თაობისათვის: „შთაგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“. „დედა ენაც“ ამიტომ დაერქვა საყმაწვილო წიგნს, თორემ ი. გოგებაშვილს ლამაზი სიტყვები „კუნწულა“, „აკიდო“, და მისთანანი არ დაეღიოდა.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი როცა ასეთ ტოტალურ პროგრამას ანხორციელებდნენ, ხალხს ეყრდნობოდნენ, ხალხის წიაღიდან მოჰქონდათ ეს უცნაური „პედაგოგიური“ მეთოდი. აკვნიდანვე დაეწყოთ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის აღზრდა. ქართულ ხალხურ ნანებსა და სააკვნო სიმღერებში უამრავი მაგალითია, როცა დედა ჩვილს გმირობისაკენ, ვაჟკაცობისაკენ მოუწოდებს. სანიმუშოდ მოვიტან რამდენიმე ნაწყვეტს ერთი მეგრული „ნანადან“, სადაც დედა შვილს ნანას კი არ უმღერის, თურქების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ გეგმას უსახავს.

„რა ვქნათ, შვილო, ნანა, თურქები არ გვაყენებენ, კაცს ყველაფერს წაართმევენ, მერე ჩამოახრჩობენ“.. მამაშენი უბედური თურქებთან ომობს, წასვლის დღეს დაგიბარა: მალე უკან გამომყვესო. პატარა იყავ, მაგრამ გიცნო, ეს არა ჰგავს მხდალსაო, შენი აბჯარი მზადაა, უკან მიჰყევ ჩქარა, ლურჯაც შეკაზმულია, დაგილოცავ გზასაო. მაგრამ, შვილო,

ამას დაგაბარებ; გთხოვ ყოველთვის გასსოვდეს: ზურგი არ უჩვენო მტერს არასოდეს, ასიც რომ მოგდედე ს!" (პუბლიკაცია და პროზაული თარგმანი ტ. გუდავასი).

ხედავთ, როგორი კატეგორიული, მტკიცე და მომთხროვნია დედა: „ყოველთვის გასსოვდეს: ზურგი არ უჩვენო მტერს არასოდეს, ასიც რომ მოგდედე სო, როგორ ჰგავს ეს დედა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის დედებს!

აი, ამ ხალხური დიდი ტრადიციით ხელმძღვანელობდა ი. გოგებაშვილი თავის ხელთუქმნელ საყმაწვილო წიგნებს, რომ ქმნიდა და თამამ, დიდ აზრს აქსოვდა შიგ. ყრმათა ასაკის არ ეშინოდა, რადგან აღზრდის ხალხური წესი და „მეთოდი“ ზურგს უმაგრებდა.

მეორე საკვირველება, რაც ყმაწვილს პირველსავე გვერდებზე შეხვდება, პირველი გაკვეთილია — „ია“. ალბათ ძნელია მოიძებნოს მეორე ასეთი მარტივი, ასეთი ლამაზი და ასეთი დიდაქტიკური პირველი გაკვეთილი.

„პირველი გაკვეთილი „დედა-ენის“ ანბანისა აკმაყოფილებს ყოველს პედაგოგიურს მოთხოვნილებასა სავსებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად, და ეს უნდა მიეწეროს ქართულის ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა — თუ სხვა ხალხების ანბანში ვერ იპოვნით ამისთანა სრულსა და მარტივს პირველს გაკვეთილსა, ეს პედაგოგების უხეირობისაგან კი არ წარმოსდგება, არამედ ენათა თვისებისაგან, ნაკლებებისაგან“ (ი. გოგებაშვილი).

ეს სიტყვები სწორედ რომ შეშვენის „დედა ენის“ შემოქმედს, დიდ მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილს. რა ღირსებით დაიმდაბლა თავისი როგორი კეთილშობილი და რაინდული სული ტრიალებს ყოველ სტრიქონში!

ნათქვამია, ვინც თავი დაიმდაბლა, იგი ამაღლდაო; ეს პირველი გაკვეთილი გახლავთ სწორედ გენიალური პედაგოგიური აღმოჩენა! ის არის სამოთხის კარი, საიდანაც ყრმა შედის განუმეორებელ მშვენიერს სამყაროში, იაიების, თხა და გიგოს, ყმაწვილი და პეპელას უნაზეს და ულამაზეს



ქვეყანაში. აქედან იწყება ყმაწვილის ადამიანად ქცევის წარ-  
მტაცი გაკვეთილები.

ქართული ენა მართლაც, რომ მდიდარი, განუსაზღვრე-  
ლი შესაძლებლობებისა და დიდი ძალის ენაა. ქართული  
სიტყვის უკიდევანო, უძირო ოკეანეში სადედაენო სიტყვის  
პოვნაც შეიძლება და სავეფხისტყაოსნოც, მაგრამ მარგალი-  
ტების მძებნელ მყვინთავს მძლავრი ფილტვები უნდა ჰქონ-  
დეს, მარგალიტები ოკეანის ფსკერზე იპოვებიან.

ერთერთი ასეთი ხელიხელ საგოგმანები მარგალიტი გახ-  
ლავთ — ია. ეს უმარტივესი, უადვილესი, ამოდ სასმენი და  
ადვილად გამოსათქმელი სიტყვა ბავშვის მეხსიერებაში უსწ-  
რაფესად აღიბეჭდება სამუდამოდ, ეს კი იმას ნიშნავს,  
მშობლიურის შესწავლა საიმედოდ დაიწყო. ბალავარი მკვიდ-  
რად ჩაეფუძნა. შემდეგ შემდეგ, პედაგოგს შორს წასვლა  
არ სჭირდება, არც სხვა ასო-ბგერების მოშველიება, ბავშვის  
გონებაში ხომ აღიბეჭდა ორი ბგერა ი და ა. საჭიროა მათი  
გადაადგილება, მეტი არაფერი აი. ესეც ახალი სიტყვა. ასე  
მარტივად, ასე ადვილად წარმოიშვა ახალი სიტყვა. ახლა ამ  
ახალს თუ ჩვენს ნაცნობს — იას ამოვუსკუპებთ გვერდში,  
კიდევ უფრო დიდ საოცრებას მოვახდენთ; მთელ წინადა-  
დებას მივიღებთ — ა ი ი ა.

მაშ, პირველმა გაკვეთილმა, როგორც მოსალოდნელი  
იყო, პირველი შედეგი მოგვცა, — დაბადა პირველი აზრი,  
პირველი წინადადება. ხოლო, მთელი ამ სპექტაკლის მთა-  
ვარი მოქმედი გმირებია ორადორი ასობგერა ი და ა. უკე-  
თეს პირველ გაკვეთილს ინატრებს ადამიანი ბავშვისთვის?  
განა ეს საკვირველი არ არის? ი. გოგებაშვილამდე ვინმეს,  
რომ ეთქვა ორი ასოსაგან წინადადებას შევადგენო, ჭკუათ-  
მყოფელად მივიჩნევდით?

ჯადოქრის ხელითაა შედგენილი „დედა ენა“. ეს ისეთი  
წიგნია, რომლის ყოველი სტრიქონი დიდ ანალიზსა და დაკ-  
ვირვებას მოითხოვს, ყოველი გაკვეთილი აზრითა და გრძნო-  
ბითაა სავსე, ტაშფანდურა წერილებით, რა საკვირველია, დე-  
და ენას“ კოჭამდეც ვერ მივწვდებით, მაგრამ თუ კოჭამ-  
დეც მივწვდით, ესეც დიდი ღვთის წყალობა იქნება.

„დედა ენის“ ანალიზს მე არ ვაპირებ, არც მისი დიდაქ-

ტიკურ-შემეცნებითი ღირებულება შემისწავლია სათანადოდ.

ჩემი მოკლე საზეიმო წერილით მე მსოფლიდ გავიხსენე დიდი მოძღვარი და მასწავლებელი საყვარელი „დედა ენის“ ავტორი, და როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ „კალიბისა სიტყუა“ ვუთხარი მას.

## ვეფხვის პოეზია

არგონავტები კალხეთში რომ შემოვიდნენ, პირველი რაც მათ აქ გაიგონეს, კვნესა გახლდათ, კოლხური ჰაერი გმინჭას გამოსცემდა, კვნესოდა ღმერთთან მებრძოლი ადამიანი, ღმერთების მიერ კლდეზე მიჯაჭვული. ამირანის მითი უცებ, ერთბაშად ვერ შეიქმნებოდა.

ექსცობა, მას წინ უძღოდა მრავალი „ამბოხება“ ღმერთის წინააღმდეგ, რაც ხალხმა ჩვენამდე ზოგი ზღაპრად მოიტანა, ზოგი მითად, ზოგი ლექსად.

ქართველ ტომთა სარწმუნოების ისტორიას თვალს თუ გავავლებთ, სხვა კულტურულ ხალხთა მსგავსად, ჩვენი რწმენა-წარმოდგენებიც, ბუნების წიაღში, მცენარეაა გარემოცვაში, ყალიბდებოდა. ყველაზე მახლობელი ადამიანისთვის მცენარე და ცხოველი იყო. ხე ხილს აძლევდა, ცხოველი საკვებს. როცა უნაყოფო ასწლოვან ხეს ნახავდა, ეს მას ანცვიფრებდა, აზრს აღუძრავდა. თუ კი ხე ქარ-წვიმისაგან დაიფარავდა „მფარველად“ დაიგულებდა. ასე იქმნებოდა პირველყოფილი ღვთაებები მუსისა, ძელქვისა, ცაცხვისა და ა. შ.

ჩვენში მეტად პოპულარული ყოფილა დიდი ხეების კულტი. დიდი ხის პატივისცემა ჩვენს დრომდე შემოინახა ხალხმა.

სოფელში დღესაც ნასავთ ეზოში მდგარ უნაყოფო ასწლოვან ხეს, ცხადია, მისი „ღმერთობა“ არავის ახსოვს, კარმიდამოში მდგარი ცაცხვის ხე დღეს მხოლოდ საჩრდილობელია, მეტი არაფერი. წარსულში კი ის ოჯახის მფარველი — გვარის ტოტემი იყო.

მცენარეულ ღმერთებს ცხოველთა გაფეტიშება მოჰყოლია. ვეფხვი, ცხვარი, ხარი ქართულ წარმართულ პანთეონში მეტად ძლიერ ტოტემებად გამოიყურებიან.

ვეფხვზე ხალხს არა ერთი და ორი ლამაზი ლეგენდა შეუთხზავს. ხოლო ქართულმა პოეზიამ ვეფხვი მთვარეს გაუტოლა. ისევე როგორც მთვარეა მთელს აღმოსავლურ პოეზიაში მრავალ სათნობათა სიმბოლო, ქართულმა პოეზიამ ვეფხვსაც მისცა მაღალი პოეტური ხარისხი.

ვეფხვთან ბრძოლა ქართულმა ხალხურმა გენიამ ისეთ მხატვრულ სიმადლეზე აიტანა, შეუძლებელია ეს მხოლოდ მხეცისა და ადამიანის უბრალო შებრძოლება (მონადირის ნადირობა), ყოფილიყო.

„შაიბნენ ვეფხვი და მოყმე, შაიძრა დედა-მიწანი. კლდეები ჩამონგრია, შტონ დაილეწეს ტყისანი“. უფრო მეტიც: როცა მოყმემ ვეფხვი დაჭრა, ზეციდან ვარსკვლავები წავიდნენ:

„ვეფხვ მკლავზე გარმოვიწვინე. მასკვლავ დათხოდეს ცისანი“.

ასეთი დიდი კოსმოსური ძვრანი: დედამიწის შეძვრა, კლდეების ჩამონგრევა, ზეციდან ვარსკვლავების წასვლა (დათხოდეს). ხდება მაშინ, როცა ღმერთები ებრძვიან ერთმანეთს, ან როცა ადამიანი ებრძვის ღმერთს. ასეთი ზრიალ-გრიალი ამირანის ბრძოლებს ახლავს ქართულ სინამდვილეში.

ვეფხვი რომელიდაც ქართული გვარის ტოტემი იყო. როგორც ჩანს, მოყმემ გვარის ყველაზე რჩეულმა ვაჟკაცმა დაამხო თავისი ღმერთი, როცა ჟამი დადგა.

ვეფხვისა და მოყმის ბალადაში ასახულია ადამიანის პირველი შებრძოლება ღმერთთან. კავკასია და კავკასიონი ტყუილად კი არ არის მიჩნეული ადამიანსა და ღმერთს შორის ბრძოლის სარბიელად, ამირანი და პრომეთე ორივე კავკასიონის მთებშია დაბმულ-მიჯაჭვული.

თვით ლექსის შინაარსიდანაც ჩანს, რომ ეს ვეფხვი ჩვეულებრივი მხეცი არ არის. „ვეფხვი რო წამომიფრინდა თვალნი მარისხნა ხთისანი“, გარკვევით სწერია ტექსტში, თანაც მრავალ ვარიანტში.

ცხადია, ვეფხვისა და მოყმის ლექსი სახეშეცვლილია, ჩვენამდე მას მიწიერი სახით მოუღწევია და მისტერიული

იერი დაუკარგავს, მაგრამ სიძველის კვალი მაინც ამჩნე-  
ვია.

ამ მსრივ საინტერესოა ამ ლექსის აკაკი შანიძის მიერ  
ჩაწერილი ხევესურული ვარიანტი. ლექსს სათაურად აქვს  
„მოყმე და ვეფხვი“ სათაურის ქვეშ სწერია: ძველი სიმ-  
ღერა, ახლად გადაკეთებული და გავრცო-  
ბილი, აკაკი შანიძეს ლექსი ჩაუწერია თბილისში, 1925  
წელს. მთქმელს თურმე იმ ძველი სიმღერის გადამკეთებელ-  
გამვრცობელის ვინაობაც კი სცოდნია.

რა საკვირველია, ძველ სიმღერაში უფრო დამაჯერებ-  
ლად გამოჩნდებოდა ვეფხვის ღმერთობა. მაგრამ ჩვენს  
ხელთ ძველიცა და ახალიც მხოლოდ ის ვარიანტები გახლავთ,  
რაც მეცნიერებს ერთად შეუკრებიან და ქართული ხალხუ-  
რი პოეზიის მესამე ტომში მოუქცევიათ (ტომი შეადგინა  
ქსენია სიხარულიძემ).

ქართული ხალხური პოეზიის ამ მარგალიტებშიც ილან-  
დება ვეფხვის ღმერთობა და ვეფხვთან ბრძოლის ძველის-  
ძველობა.

ჩემი ვარაუდი არ გამოირიცხავს ვეფხვის პოეტური სახის  
ტრადიციულ გაგებას, — ვეფხვს როგორც ვაჟკაცობისა და  
სილამაზის სიმბოლოს. ქართულმა სინამდვილემ სწორედ  
ასეთი ღმერთი იცის.

„ქართველი“ ღმერთის უპირველესი ნიშანი ვაჟკაცობა  
და სილამაზეა. წმინდა გიორგი თეთრ რაშზე მჯდარი, ლა-  
მაზი, წარმოსადეგი მხედარია, სწორუპოვარი რაინდი და  
უშიშარი მეომარი, სხვა ქრისტიანული წმინდანებისაგან  
სწორედ ამ თვისებებითაა გამოჩნეული.

ქართველი კაცი ოდითგანვე ვაჟკაცობას დიდ მნიშვნე-  
ლობას ანიჭებდა, უმაღლეს სილამაზეს სწორედ მასში ხე-  
დავდა და თავის ღმერთებსაც ამ თვისებებით ამკობდა.

ასეა თუ ისეა, ხალხს დასაბამიდანვე მოსწონდა ღმერთ-  
თან მებრძოლი ადამიანი, ამ თემაზე უკვდავი ნაწარმოე-  
ბები შექმნილა, ვეფხვისა და მოყმის ბალადასაც ეს მირო-  
ნი აცხია, რაც მთავარია, ამ პატარა ლექსში ჩანს ის დიდი  
სახალხო პოეტური ენერგია, შემდეგში დიდებით რომ გა-  
მოვლინდა.

## მარგალიტების მთესველი

არ არის მეორე ქართველი მწერალი ჩვენს დროში, ვისაც კონსტანტინე გამსახურდიასებურად დამშვენებოდეს ქართული ჩოხა, ვისაც სამშობლოს სიყვარული ასეთ დიდ წიგნებად ექცეოს, ვინც ამ სიყვარულს მწერლის კი არა, ამირანის გამძლეობითა და მამაცობით ხმალამოდებული დადარაჯებოდეს სამარის კარამდე.

სამშობლო ვის არ უყვარს, მაგრამ დავით აღმაშენებლის ან ცოტნე დადიანის სიყვარული სხვა არის, სხვა ძალმოსილება ახლავს, სხვა ნათელი ადგას მათ სიყვარულს, ეს სიყვარული ნიაღვარივით მოედინება ძველი საუკუნეებიდან, გზადაგზა ახალ მძლავრ შენაკადებს იერთებს, დიდ მდინარედ რომ იქცეს, იდინოს და იდინოს უკუნითი უკუნისამდე.

კონსტანტინე გამსახურდიამ სამშობლოს სიყვარული ისეთ სიმალლეზე აიყვანა, თავიდანვე ისეთივე მწყობრი სისტემა შექმნა სამშობლოს უკვდავსაყოფად, დიდი ძეგლების შესაქმნელად იმდენი თვალი პატიოსანი მოზიდა, თვით აიგო თავისი სვეტიცხოველი.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება საუკუნეოა სიღრმიდან მომდინარე ქართული შემოქმედებითი გენიის სწორედ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შენაკადია ჩვენს საუკუნეში.

დიდმა მწერლურმა ბიოგრაფიამ, რევოლუციებმა და ომებმა, სოციალურმა ძვრებმა, საქართველოს ძველმა და ახალმა ისტორიამ გამოჰკვეთა მისი მდიდარი შემოქმედება.

პირადი ცხოვრების მძიმე გზა გაიარა, ჯოჯოსეთურ ცეცხლში გამოატარა თავისი მსოფლხილვა. მაგრამ რწმენას მაინც არ უღალატა: ძლევაშოსილად ზიდა შემოქმედის ტვირ-

თი, მოესწრო გამარჯვებასაც, ეზიარა აღიარების სისარულს, სიცოცხლეშივე უკვდავყო თავისი სახელი.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნე ქართული მწერლობის ორი დიდი საუკუნეა ისტორიული ქართველებით და ეროვნული განსაცდელებით სავსე. თითქოს ბედისწერის კარნახით სწორედ ამ საუკუნეებში მოეკვლინენ ქართულ სიტყვას დიდი ქურუმები. ჯერ დაძინებული ისტორია გააღვიძეს, შემდეგ კი კერაზე მიღველფილი ქართული სიტყვა გამოჩნდა, დაუბრუნეს მას ძველი ჯაგარი, გამოაბრწყინეს, მარცვალ-მარცვალი აასხეს მარგალიტებად და ხალხში დათესეს.

ერთ-ერთი ასეთი „მარგალიტების მთესველი“ წავიდა ჩვენგან....

წავიდა დიდი ქართველი მწერალი.

წავიდა საქართველოს წარსულის უკანასკნელი რომანტიკოსი.

წავიდა საყვარელი მწერალი, დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია.

დაიხურა ქართული მწერლობის ერთი დიდი კარი.

ბიბლიური ღმერთივით თითქმის საუკუნე იღვაწა და მეფურად მშვიდად მიიცვალა.

წავიდა და დედაწიგნად დაგვიტოვა. ბაგრატიონთა, ემუხვართა, არსაკიძეთა, ხალხის საუკეთესო შვილთა სულის ისტორიები, სამშობლოს სიყვარულით გამთბარი ხელთუქმნელი ტომები.

## წყარო არტისტობისა

რუსთაველის თეატრი თავის ასი წლისთავს დიდებით შეხვდა.

არც ერთ დროს, არასოდეს, ასეთი აღიარება, მსოფლიო სახელი ქართულ თეატრს არ ჰქონია. ქართულ თეატრს კი არა, რომელიც გნებავთ, მანამდე აღიარებულ დიდ თეატრებს უჩვენებიათ ევროპაში თავიანთი წარმოდგენები და შინ ზუმად გაპარულან.

რუსთაველის თეატრმა შექსპირის სამშობლოში შექსპირის პიესა წარმოადგინა, ბრეხტის სამშობლოში ბრეხტისა და თავისი დიდი ხელოვნებით გააოცა უცხოელნი. ზეობით შემოიარა თითქმის მთელი ევროპა, სახელი და დიდება მოესხვეჭა.

რა მიზეზით, რა ნიშნით მოეწონათ ქართული თეატრი უცხოეთში? ვის ან რას უკრავდა ტაშს ლონდონი და რომი?

არც რუსთაველის თეატრის დირექტორი ყოფილა ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, არც დამდგმელ რეჟისორს დაუმთავრებია ოსბორნი, არც მსახიობებს უსწავლიათ დიულენის სკოლაში, არც დრამატურგი ჰყოლიათ ტრინტის კოლეჯდამთავრებული.

ოზურგეთისა და სამტრედიის „კოლეჯდამთავრებულთა“ გარემოცვაში შეიქმნა „რიჩარდიცა“ და „კავკასიურიც“.

თუ წარსულს გავიხსენებთ, უფრო შორსაც წავალთ.

„...14-ს დეკემბერს ითამაშეს ყველასაგან ცნობილი და არა ერთხელ ნათამაშევი „ხანუმა“ — წერდა აღტაცებული ილია ჭავჭავაძე 1886 წ. — თეატრი ამის თამაშობაზე ერთს განუწყვეტელ ხარხარად გადაიქცა. რომ გენახათ ხარხარებდა ყველა, დიდი და პატარა, იმ სასიამოვნო ხარხართა, რომელსაც მართლა-და მხიარულების სიცილი ჰქვიათ.



არა ერთსა და ორს შემოუნივლია ჩვენთვის. რომ დავიხსოვნით სიცილითაო“.

თითქოს გუშინ დაიწერა ეს სტრიქონები, — რუსთაველის თეატრის „ხანუმაზეც“ ხომ ასე ვხარხარებდით!

„ აბა რა თქმა უნდა, საცა ბ-ნი გაბუნია, ბ-ნი საფაროვისა და ბ-ნი აბაშიძე ერთად შეიყრებინან, იქ თამაშობა კარგი იქნება! ერთმა ნაცნობმა ესეც გვითხრა: ამ არტისტების უბედურება ის არის, რომ ქართველებად არიან დაბადებულნი. ეგენი რომ რუსეთში იყვნენ ან სხვაგან და რომელიმე გავრცელებული ენა ჰცოდნოდათ და ისე ეთამაშნათ, აუარებელ სიმდიდრეს და დიდს სახელს შეიძენდნენ“.

ეს სტრიქონები დაწერილია! ასი წლის წინათ, დიდი ილიას მიერ, როცა ქართული თეატრი პირველ ნაბიჯებს დგამდა.

დასაბამიდანვე, სცენაზე გამოვიდა თუ არა, ქართველმა მსახიობმა დაიპყრო მაყურებელი, იმთავითვე განუმეორებელი და შეუდარებელი იყო. მაშინ ჩვენს არტისტობას დიულენის კი არა, ფალავას სკოლაც არ ჰქონდა გავლელი, არც „სისტემებსა“ და „მეთოდებში“ ერკვეოდნენ, მაგრამ მაქტერალნი აღტაცებაში მოჰყავდათ.

ილია ჭავჭავაძემ მყისვე იგრძნო ქართველ მსახიობთა თანდაყოლილი, ბუნებითი ნიჭიერება, იწინასწარმეტყველა ისიც, რომ ეს არ იყო ვიწრო საშინაო მოვლენა, რომ დღეს თუ ხვალ, ქართველ მსახიობთა ელვარე ხელოვნება მთელ ქვეყანას მოეფინებოდა.

რა წყაროს ეწაფებოდა ქართველი მსახიობი, რომ მნახველს ასე ხიბლავდა, რა ხერხი იცოდა, რა მეთოდი ჰქონდა?

გინახავთ თეთრყაბალახმოგდებული ქართველი ბერიკაცი წვეულებაში ან ქორწილში მიმავალი? — დედამიწა მისთვის სცენაა, ხოლო დედამიწის მკვიდრნი მაყურებელნი, აი, ამ უზარმაზარ სცენაზე გამოდის იგი — „არტისტი“, მან უნდა ითამაშოს ქართველი კაცის როლი. მოსწონს ეს როლი, უყვარს, იცის ზეპირად, მიხვრა-მოხვრა, ტარება ტანისა ბალეტის მსახიობს მიუგავს, სიტყვა-პასუხი, სიმახვილე, სიტყვისა — სიტყვის შემოქმედს.

მისი პირველი გამოჩენა ხალხში ცალკე თემაა საუბრი-

საი — ნათესავს სხვა წესითა და რიგით შესვდება, მოყვარეს სხვა გულით გაუღიმებს. მამაკაცთან შესვედრა სხვა სპექტაკლია, ქალს სხვა ლაზათით ემთხვევა ხელზე.

მიკითხვა-მოკითხვის — „კი ჩემო ბატონო! გმადლობთ, ღვთის ნებით, ბატონო!-ს“ შემდეგ. თუ ჩვენს თეთრყაბალასიან ბერიკაცს სუფრასთან მიიწვევენ და თამადად აირჩევენ. „არტიისტი“ „რეჟისორად“ იქცევა. დადგამს ისეთ წარმოდგენას, არასოდეს რომ არ გინასავთ, თქვენს თვალწინ შექმნის სანახაობას. საცა იქნება მხიარულება, ხარხარიც, ღიმილიც, ცეკვა-თამაშიც, სიმღერაც, რაღა თქმა უნდა! სმაში შეჯიბრება, მჭევრმეტყველება, ლექსაობა, ურთიერთ-პატივისცემა, ზოგჯერ მტრობის გამომჟღავნებაც, ლხინს ექნება ზეწორტილიც, კვანძის გახსნაც და ფინალიც — მეტწილად კასური მრავალჟამიერით დამთავრებული.

ახლა ჭირში ვნახოთ ჩვენი თეთრყაბალასიანი. ის აქაც რეჟისორია, მაგრამ ამჟამად სხვა ჟანრის — ტრაგედიისა. ტრაგედიის დადგმაც არანაკლებ ემარჯვება. მთავარ როლსაც ბრწყინვალედ თამაშობს: მიცვალებულს ხავერდოვანი ბანით დაიტირებს, ხელისგულელებსაც წაიშენს თავზე, მაგრამ აღარ გადააჭარბებს, ვაჟკაცურია მისი ცრემლი, სულის-შემძვრელია მწუსარება.

როცა აკაკი ხორავა „დიდ ხელმწიფეში“ ვაიმე შვილთა — შვილის ცხედართან გმინავდა, სენაკელ თეთრყაბალასიან ბერიკაცებს ჩამოჰგავდა თავიანთი ახლობლების ცხედართან მამაკაცური სიწრფელით აქვითინებულთ!

წყაროსთვალი ქართული თეატრის ზეობისა მშობელი ერის ყოფასა და ადათ-წესებშია, ქართველი კაცის არტიისტულ სულშია საძებარი.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა გახლავთ საზრდო ქართველ მსახიობთა შთაგონებისა.

დიდი ქართული ენა ფუძე, რაზეც ყოველი დაეფუძვნა.

სულითა და გულით მივუღოცავ რუსთაველელებს იუბილეს და ვუსურვებ ახალ დიდ თეატრალურ დღესასწაულებს.

## დაშვინდებოდა ანას

მას ვერ შეხვდებით მწერალთა კავშირში, რედაქციებში, გამომცემლობებში, ქალაქშიც იშვიათად მოჰკრავს ადამიანი თვალს. მგალობელი ფრინველივით აგერ, ახლოს, გალობს სადღაც, ვერ ხედავთ, თქვენთან არ არის, მიუწვდომელია, მაგრამ მარად თქვენი სულის თანამგზავრია.

ასეთია ანა კალანდაძე მრავალთათვის.

როგორც ანკარა წყაროსთვალი, მისი პოეზია თავისთვის დის, საკუთარ ხეობაში, საკუთარ წალკოტში... უხმაუროდ მიერთვის ქართული პოეზიის დიდ მდინარებას.

ბევრმა ზეპირად იცის მისი ელვარე ლექსები: „საქართველო ლამაზო“, „თქვი ჭიამარია“, „შენ ისე ღრმა ხარ“, „შემოდინოდა ჩვენში კალანდა“, „ბოშა ქალი“, „თუთა“, „კარში გამო ჭია-ჭია მარია“ და ა. შ...

ანა კალანდაძე არა ნაკლებ ცნობილია სხვა ჟღერის, სხვა კილო-სმოგანების ლექსებითაც: „აღმეკრა პირსა მე მწუხარება“...

ან კიდევ: „ხატში მოვარდა მოხევე – მწყემსი მიმინოს მოჰგავდა...“

მრავალფეროვანია მგოსნის პალიტრა, ფართოა თვალსაწიერი. ერხევა სულის უფაქიზესი და უწრფელესი სიმები: „ო, ჭრელმა ციცარმა იცის, რომ იმის დაწინწკლულ ბუმბულს, ვითარცა სუროს და სუმბულს, ვინახავ? ციცარმა იცის, ცა იყო ცივი და მშვიდი, უკვე იძარცვოდა შინდი და მწვანე სამოსი მიწის? ო, ჭრელმა ციცარმა იცის?“

ჩემთვის ბედნიერებაა ასეთი სათუთი ლირიკული სტრიქონების წაკითხვა. ეს ის პოეზიაა, რომელიც ადამიანის სულს მართლა ამშვიდებს, აწყნარებს, აკეთილშობილებს.

ანა კალანდაძის პოეზია მშვიდი და ჩუმი როგორც წარ-

სული, ხატოვანი და ფერადოვანია, როგორც ბუნება, ცალკე მდგარია, ვით ხე, მინდორში.

თვით პოეზიაა განმარტოებული. პოეტური სამყაროა სხვაგან მყოფი: სხვარიგ ღრმა არის ცა, მიწასაც სხვა სურნელი ასდის, განა მზეა ცაზე, არამედ „მზეი“, ხმობს ქათამი გურიის სოფელს, ჰყეფს თოლია... თავდახრით დგანან იანი. აქ ღრუბლებსაც კი სიძველის, — ურარტუსა და მიდიის „ფერი“ ადევთ. იმ ღრუბლებში სამარადისოდ ჩურჩულებს ვიღაც გორიდან თითქმის უფლისციხემდე...

მთავარ სათქმელსაც კარს მივაღეპით: ანა კალანდაძის პოეზიაში ვერ შეხვდებით ზერელედ აღწერილ დღევანდელობას, იქ მარადიულ საქართველოს უცემს გული, — ნამდვილი საქართველოა დახატული. ამიტომ არის ასეთი მახლობელი და სულისმიერი ყოველი ქართველისათვის.

ანა კალანდაძის პოეზიას კიდევ ერთი დიდი მისია დაეკისრა: ქართული კლასიკური ენის შეურყვნელად შენარჩუნება ჩვენს დროში. არა ლაზღანდარა ქართული, არა ჩიქორთული, არა თუმურ-სევსურულ-გურულ-მეგრულ-იმერული, არამედ რ უ ს თ ვ ე ლ უ რ ი

ამ საქმისათვის თითქოს ცით მოვლენილია, — კლასიკურ სიწმინდეს, სისადავეს, სიანკარეს ქართული ენისა, უზადოდ იცავს, ინახავს და თვითონაც ქმნის.

მისი პოეზიისთვის უცხოა ყოველი არაქართული: სხვათა სიტყვები, ენის წვერზე მომდგარი ვითომ „ხალხური“, მეტყველება. „ჰა, დაშრეტილა კვლავ სასოება და აღვსებულან გულნი სიხარბით“... ეს ჩემთვის პოეზიის ენაა, ძველი პოეზიისა, მით არის მახლობელი და მშვენიერი, ალბათ მკვიდრიცა და მარადიც.

არც ნოვატორულისაკენ ისწრაფის სული მაინცდამაინც. სიძველეა ყველაზე დიდი სიახლე მის პოეზიაში. ყველაფერი ძველია; ლექსიკაც, სიტყვათა წყობილებაც და მიმოხვრაც, ან ჰგავს ძველს... „შენ რას მპირდები, ვერხვო ახალო, ნორჩი ფოთლები ცაში რომ გშლია, ამ უდაბნოში ჩემს თანადგომას და ჩემს სენაკთან ნაღვლიან შრიალს? დამიდგ კარავი სიხარულისა!“

ციური პოეტია მხოლოდ და მხოლოდ ცას ეკუთვნის,

ციურ ჰანგთა შემოქმედია, თუმც, მძლავრობისა გამო, ერთი-ორი მიწიერი სტრიქონი მის პოეზიასაც ვერ ასცდა; პირველშობილი წყაროსთვალი ვერ აამღვრია, დარჩა იმ პირველქმნილად, სუფთად და ანკარად.

სულითა და გულით მივულოცავ იუბილარს დაბადების დღეს, თან ვფიქრობ: პოეტთა ქვეყანაში ანასებრი პოეტი ქალი თითქოს ადრეც უნდა დაბადებულიყო, დაშვენდებოდა დიდ წინაპართა შორის ყოფნა.

სიჩუმე

არც ერთ საუკუნეში, არც ერთ კარგსა თუ ავ დროში საქართველო გაჩუმებული არ ყოფილა. ქართულ აზროვნებას ძალით აჩუმებდნენ, თავისი ნებით იგი არასოდეს გაჩუმებულა.

ქართული აზრი არ ემორჩილებოდა, არ ეგუებოდა, არ ეჩვეოდა გარედან მელაობითა თუ ჯიქურ მოსულ აზრს. ქართველი კაცი უშუალო კავშირს ამყარებდა ბუნებასთან და თავის რელიგიას, თავის სამყაროს თვითონ ჰქმნიდა: „მზეა დედაჩემი, მთვარე მამაჩემი, ხვიჩა ხვიჩა ვარსკვლავები და, და ძმია ჩემი“.

და როცა „ჰქროდნენ ქარნი ხორშაკნი“, ბნელი დილეგებიდან და მღვიმეებიდან გაისმოდა ქართველ მოწამეთა ხმა: „აჰა, ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებაჲ“.

მღვიმეებს შეფარებული მარტივლი ქართული აზროვნება მუდამ მიისწრაფოდა მოწინავე ერებს არ ჩამორჩენოდა „არა სოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა“...

ქართველი გამომეტყველნი და მარტივლნი ქართული აზროვნების მეთაურები იყვნენ. სწორედ ჩვენი კარგი მეთაურების წყალობით გადავიტანეთ ძნელი საუკუნეები და ატომის ეპოქამდე მოვადწიეთ.

რომანტიული ისტორიული წარსული ჩვენ უფლებას გვაძლევს ვიყოთ მედიდურნი, წელგამართულნი, თამამად ამოვუდგეთ გვერდში დიდი ერების შვილებს, მაგრამ წარსულით ტრაბახი, თვითკმაყოფილება, სიზარმაცე და დოყლაპიობა კარგს არაფერს მოუტანს ქართველ კაცს. ჩვენმა ერისკაცებმა იმის მაგალითიც მოგვცეს თუ როგორ უნდა შევანჯღღრიოთ თვითკმაყოფილებას მიცემული ერი. „ყველა ყრუი, ყველა ცრუი“ აკადრა ილია ჭავჭავაძემ გრიგოლ ორ-

ბელიანის საქართველოს. მისი გენია ვერ შეზღუდა მაღალმა სოციალურმა წარმოშობამ და თავადი თათქარიძე დახატა. არც ყალბი, მოჩვენებითი და ტენდენციური დემოკრატიზმით მოგვაბეზრა თავი... თათქარიძის გვერდით არჩილი დახატა, პეპიას გვერდით — გლახა ჭრიაშვილი.

დიდი ილიას თვალთ შეცხედოთ ჩვენს დღევანდელ-ბას. „გავინხრიკოთ ჩვენის ყოფა-ცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ვნახოთ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ხომ არ ჩაგვწყდომია, ჩირქი ხომ არ ჩაგვდგომია“.

საქართველოში გასათვარი სიჩუმეა.

აქნებ ეს არის მიზეზი ჩვენდამი რწმენის დაკარგვისა? ხომ ნათელია, რომ დღეს ლიტერატურა ისე არ აინტერესებთ ჩვენში, როგორც მე-19 საუკუნეში აინტერესებდათ. ილია ჭავჭავაძეს სალაპარაკო ჰქონდა ერთან, ერიც მას უსმენდა.

ამ სიჩუმის გამო ხომ არ გადაიტანა ხალხმა მთელი ყურადღება ფეხბურთზე, ესტრადაზე, სანახაობებზე?

სამწუხაროდ, ზოგიერთმა ჩვენმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა და მწერალმა გაავრცელა „თეორია“, რომ დღეს მთავარია ადამიანის ფსიქიკაში ჩაღრმავება, გმირის ხასიათიდან „ფსიქოლოგიურის“ წინ წამოწევა. იმ პრობლემათა წრის გაფართოება, რაც უკავშირდება მხოლოდ ადამიანს, სხვა დანარჩენი მწერლის საქმე არ არის.

მოვადუნეთ ყურადღება იმ საკითხებისადმი, რაც ხალხს უფრო აინტერესებს, ეგებ ჩვენი უმწეო ფილოსოფოსობა სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულ-სიძულვილის და სხვა მორალურ-ეთიკურ საკითხებზე დაბრძენებულ ქართველ გლეხკაცში მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს?!

დაინტერესებულა თუ არა ქართველი მწერალი, ან სოციოლოგი, თუნდაც ფილოსოფოსი, ან ეკონომისტი შეესწავლა ქართველი პატიოსანი მშრომელი კაცის ეკონომიური მდგომარეობა — ერთი ოჯახის ეკონომიკა? გაუკეთებია თუ არა ვინმეს სერიოზული ანალიზი რატომ ცხოვრობს დღეს კაცი ავად ან კარგად?

რუსმა სოციოლოგმა ვ. ოლშანსკიმ ერთ ქარხანაში მეცნიერული წესების სრული დაცვით მუშებს გამოჰკითხა რას

შეიძენდით, თუ ბევრ ფულს იშოვიდით? მუშების პასუხის შედეგად ოლმანსკიმ შეადგინა ამგვარი ცხრილი:

შეკითხვა: რას შეიძენდით, თუ ბევრ ფულს იშოვიდით?

1. საკვებს და ტანსაცმელს . . . . .	11,25 %
2. ბინა, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები .	24,50
3. წიგნები, კულტურულ - საყოფაცხოვრებო საგნები . . . . .	12,25
4. ტურისტული საგზური (საბჭოთა კავშირში ან საზღვარგარეთ) . . . . .	9,75
5. ავტომანქანა, მოტოციკლი, მოტოროლერი	10,50
6. საჩუქარი ნათესავებისათვის ან მეგობრისათვის . . . . .	4,75
7. სულ არ იმუშავებდა . . . . .	1,00
8. ზედმეტი ფული არა აქვს და არც არსაიდან ელის . . . . .	6,00
9. სხვადასხვა პასუხები . . . . .	3,00
10. არ უპასუხა . . . . .	17,00

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ოლმანსკი დაკვირვებას აწარმოებდა მოსკოვის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოში, ლენინის სახელობის ქარხანაში, სადაც ელექტროგენერატორების მონტაჟს აწარმოებენ. ამ ქარხანაში მუშა დაკავშირებულია თანამედროვე რთულ მანქანებთან და მექანიზმებთან, წარმოება მისგან მოითხოვს იცოდეს ელექტრონიკა, თვალყური ადევნოს ტექნიკურ სიახლეებს, ჰქონდეს ტექნიკური კულტურა. ქარხანაში მუშათა საშუალო ასაკი 27 წელია. მუშათა ნახევარზე მეტი უმაღლესში სწავლობს. ერთი სიტყვით სოციოლოგს პასუხობდა თანამედროვე ახალგაზრდა ე. წ. საბჭოთა ადამიანი. როგორც ცხრილიდან ჩანს, უმრავლესობას უნდა ბინა, ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ბუნებრივია, როცა ამ ადამიანებს ჩვენ დავუწყებთ საუბარს ადამიანის სულის დისჰარმონიასა ან ჰარმონიაზე, შეიძლება ყურადღებით არ მოგვისმინოს.

ქართული აზროვნება მოღუნებულია, ელოდება როცა



ყველაფერი გაირკვევა და დადგინდება. მიატოვა, დაივიწყა ხალხისთვის სასიცოცხლო, საჭირბოროტო, სოციალური და ეროვნული საკითხები, თავს ვიტყუებთ „ფსიქოლოგიზმით“ ან ინსტიტუტები თავგამოდებით მუშაობენ იმაზე, თუ როგორ გააკრიტიკონ პავლე ინგოროყვა.

გულდასაწყვეტია, მაგრამ ფაქტია, საქართველოში მომრავლდნენ კომბინატორები, კარიერისტები, ლოთები, ნილილისტები, გაუცნობიერებელი ეგზისტენციალისტები და პრაგმატისტები, ხოლო ყველაზე ცხოველ დისკუსიასა და კამათს იწვევს ფეხბურთი.

ამაში მცირეოდენი ბრალი როდი მიუძღვის ქართულ საზოგადოებრივ აზრს, რომელმაც დაკარგა ხელმძღვანელის, წინამძღვალის თვისებები.

### ვინდია აღარ კბელაღიბს...

ქართველი კაცი თავისი ბუნებით პოლიტიკოსია, ფილოსოფოსი. სოფელში როცა ჩავდივარ, გლესკაცი ბიძაჩემის პირველი შეკითხვაა:

— რა ღირს ხორცი ბაზარში?

შემდეგი შეკითხვები:

— რა ამბავია ვიეტნამში?

— მთვარეზე როდის გავფრინდებით?

— კიბოს ვერაფერი მოუსერხეს?

— კარგი, ახლა ჩემთვის გასაგებია რომ მაიმუნოდან წარმოვიშვით, მაგრამ განვითარება ხომ არ შეჩერდება, ჩვენგან რა წარმოიშობა?

ბუნებრივია, ამ ადამიანს არ დააკმაყოფილებს ე. წ. „ორლობის მწერლობა“, არც „ჰალუცინაციური“, „ასოციაციური“ პროზა, თუ ამ პროზის გმირი არ აზროვნებს და არ მოღვაწეობს ჰამლეტივით, პიერ ბეზუხოვივით, ანდრიან ლევერკუნივით, ალიოშა კარამაზოვივით.

ცნობილია, რომ სამეგრელოსა და იმერეთის ჭალებში

დღესაც უამრავი ჰამლეტია დარბის, ხოლო ერთმა გერმანელმა მწერალმა წამოიძახა: ჰამლეტი — ეს გერმანიაა რამ გამოიწვია საქართველოსა და ყველა სხვა ქვეყანაში ჰამლეტის ასეთი პოპულარობა? რა აწუხებს ჰამლეტს, რა უნდა, რისთვის იბრძვის? — ქვეყნიერება მოუწესრიგებელია, „ოითქოს იყოს ბალი გაუმარგლავი“, „მოზღვავებულია უბედურება“, არის მჩაგვრელი და ჩაგრული, ტირანია, „მტარვალის ჩაგვრა“, „მძლავრთ უკმეხობა“, „მართლმსაჯულების გვიანობა“, „დიდკაცებს სააქაოში თავის დაღრჩობასა და ჩამოხრჩობაშიც კი მეტი უფლება აქვთ, ვიდრე მესაფლავეებისთანა საწყალ ხალხს“. ქვეყნად მეფობს უსამართლობა, ადამიანს გარს ახვევია მძარცველები და ქურდები: „ვფიცავ ამ მძარცველებს, ამ ქურდებს რომ კიდევაც მიყვარხარ“, ხოლო პატიოსანი კაცი სანთლით საძებარია. „მე რომ ამ ქვეყნის ტრიალსა ვხედავ, პატიოსანი კაცი მხოლოდ ერთს ააი-ათასში გამორჩეულსა ჰქვიან“. სოციალური უთანასწორობა პრინცსაც კი არ ანიჭებს თავისუფლებას. პრინც ჰამლეტს არ შეუძლია თავისუფალი სიყვარული, მას ვით მეფის შვილს, თვის სურვილზედ არ აქვს უფლება, იგი მორჩილებს სისხლს და თავის შთამომავლობას. „ხომ იცი კარგად, რომ ჰამლეტ შენ წრეს არ ეკუთვნის, სხვა სფერისაა“.

აი, რა მწვავედ სდგას ჰამლეტის წინაშე სოციალური პრობლემა, მაგრამ შექსპირს აქვს ფართო მასშტაბი. მას თავისი გმირი არ შეუზღუდავს სოციალური ჩარჩოებით. არ დაუნაწევრებია, არ დაუპატარავებია. ჰამლეტი მართო თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მებრძოლი გმირი კი არ არის, ან მხოლოდ კულაკობის როგორც კლასის წინააღმდეგ კი არ გამოდის, არამედ თავს ესხმის იმ ბუდეს, საიდანაც გამოდიან მკვლელები, მძარცველები, ცბიერები, მლიქვნელები, თუ გნებავთ დიდგვაროვანიცა და უგვარონიც. იგი ეძებს ბოროტების სათავეს და ბრძოლას მას უცხადებს. ამ სათავესთან იმღვრევა წყალი, აქედან მოდის ყველა უბედურება: უსამართლობა, ჩაგვრა, ლალატი, ტანჯვა-ვაება.

„დანია საპყრობილეა“ — შესძახებს ჰამლეტი. და ამით სამშობლოს კი არ ლანძლავს, გამოსთქვამს მწარე გულის-

ტკვილს, ყველა დიდ მამულიშვილზედ უფრო დიდ დარდს სამშობლოზე, მართალია, მას სულს უშფოთებს საერთოდ ქვეყნიერების მოუწესრიგებლობა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა თავისი სამშობლოს უბედობა აწუხებს. „მაშ, ქვეყანაც საპყრობილე ყოფილა“ ეუბნება მას როზენკრანც.

ჰამლეტი: სწორედ საპყრობილეა, რომელშიც ბევრი შენობაა, ბევრი ხვრელი, ბევრი ჯურღმული. დანი ერთი უარესი ჯურღმულთაგანია.

ჰამლეტს სწორედ ეს „უარესი ჯურღმულთაგანი“ აინტერესებს!

აი, როგორაა ერთმანეთს გადაჯაჭვული სოციალური და ეროვნული შექსპირთან. ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ მწერალი მოერიდა თავის სამშობლოს და იმიტომ გადაიტანა მოქმედება სხვათა ქვეყანაში. ამ მსრივ საყურადღებოა ერთი ადგილი „ჰამლეტიდან“: იქი (ინგლისში) სიგიჟეს ვერავინ შეამჩნევს, იქ (ინგლისში) ყველანი გიჟები არიან“. ეს ის დროა, როცა იქ — ინგლისში, ჯერ კიდევ ცხოველ კამათს და აზრთა შესლა-შემოსლას იწვევს თომას მორის „უტოპია“, იწერება ფრენსის ბეკონის „ახალი ორგანონი“, ხოლო ლონდონში მოქმედებს ოცი თეატრი.

როცა მწერალი ამგვარად დასვამს სოციალურ და ეროვნულ საკითხებს, მაშინ უკვე სრულიად გასაგებია, ლოგიკურია ფილოსოფოსობა „ყოფნა-არყოფნის“ პრობლემაზე.

მოდით, გავამარტივოთ, მოკვდავთა ენაზე გადავაქართულოთ ჰამლეტის ფილოსოფია: ადამიანი ცხოვრობს ძალიან ცუდად, მას ჩაგრავენ, არა აქვს თავისუფლება, მისი სამშობლო დაღუპვის კარზეა, ტირანია და ძალმომრეობა სუფევს. უსამართლობა ბატონობს. რა უნდა ქნას კაცმა, თავი მოიკლას? რომ მოიკლას, განა ეშველება? რაიმე შეიცვლება? ისევ ის სჯობს, ჯაფითა და კვნესით ზიდოს ცხოვრების ტვირთი. ეს „ფილოსოფია“ გასაგებია, მუშისთვისაც, გლეხისთვისაც, ექიმისთვისაც და აკადემიკოსისთვისაც. ხოლო ამის შემდეგ იწყება „ყოფნა-არყოფნის“ მრავალპლანიანობა, ათასგვარი „იზმის“ ამოკითხვა.

ამიტომაც, ჰამლეტი ხალხმა შეიყვარა. არა მარტო პროგ-

რესულად მთაზროვნე ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ერს სწამს მისი და სჯერა. ხელმწიფე არა ერთგვის ამბობს:

„საშიშო არის, თავისუფლად რომ დადის იგი, მაგრამ კანონის სრულ სიმკაცრით ვერ მოკეპყრობით“; იგი თავის კერპადა დაუსახავს უმეცარ ერსა.

ან კიდევ:

„კიდევ საქვეყნოდ ვერ დავსაჯე იმა მიზეზით, რომ დაბალ ხალხს უყვარს იგი გარდამეტებით“.

ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის შემდეგ ქართველ ხალხს არ ჰყოლია ლიტერატურული გმირი, რომელსაც სრულყოფილად გამოეხატოს ერის აზროვნება, სული მისი, მისწრაფებები, ოცნებები, მიზნები.

თუ ძველ საუკუნეებში ჩვენი ტარიელი თავისუფლად ამოუდგება გვერდში ლეგენდარულ ოდისევსის, ახალ საუკუნეებში არ გვყავს ჰამლეტის, პიერ ბეზუხოვის, ალიომა კარამაზოვის, ანდრიან ლევერკუნის ბადალი გმირები. ჩვენ ჩამოვრჩით მოწინავე ერებს. როცა ამგვარ ანალოგიას ვაკეთებ, საერთოდ ქართულ კულტურას კი არ ვგულისხმობ, ქართულ კულტურას კი არ ვადარებ სხვა ერების კულტურას, მე ვაკვირდები მხოლოდ ეპიურ ნაწარმოებებს განგებ გვერდს ვუვლი ჩვენს დიდებულ პოეზიას, რომელსაც სხვა სიღრმე და სხვა მასშტაბები აქვს.

„ჩვენს მწერლობას შემოქმედებითი ენერგია აკლია. ყოველი მომქმედი ხალხი და ყოველი მომქმედი ეპოქა თავის თავს ეპიკურ ან დრამატულ ხელოვნებაში ჰხატავს.

„ლირიკა ხშირად ეთნიკური დაღლილობის მაჩვენებელია და მისი გადაჭარბებული ლირიზმი ერთგვნი ხალხის გაბილვებას იწვევს.

დიდი ეპიკოსები იმედის, მოციქულნი იყვნენ მაშინაც კი, როცა დაშორებულნი იყვნენ ზეზერეულ ოპტიმიზმს. ნაყოფიერი ფანტაზიის შემწეობით ისინი ჰქმნიდნენ სახეთა და იდეათა ქვეყანას, უფრო ამადლებულს და მშვენიერს, ვიდრე ჩვეულებრივი სინამდვილეა“.

„საუკუნეთა მაჯისცემას უმთავრესად ხალხი ეროვნულ ებოსში გრძნობდა; ეს მაჯისცემა მისთვის უფრო გასაკებია, ვიდრე ლირიკული ლექსის ნაზი სენტქვა“ (გ. ქიქოძე).

მე-19 და მე-20 საუკუნე სოციალური და ფსიქოლოგიური რომანის საუკუნეა, ეროვნულ ლიტერატურას სწორედ ამ ჟანრში აქვს ფართო გასაქანი, ყველაზე სრულყოფილად გვაჩვენოს თავისი ესთეტიკური სახე. თუ ქართულ ლიტერატურას მოვთხოვთ გმირს, რომელიც ერის იდეალების, მისი მძაფრი აზროვნებისა და ვნებების გამომხატველია, იძულებული შევიქმნებით მე-19 საუკუნეს მივუბრუნდეთ, გამოვიხმოთ მინდია და ლამპრად წინ წავიმძღვართ.

ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის შემდეგ „გამეცნიერებული გლეხი“ — მინდია თუ გამოადგება ქართველ კაცს ცხოვრებაში ჭკუის მასწავლებლად და მეთაურად. „მინდიას სიბრძნე“ თუ გაუტოლდება „ჰამლეტის ფილოსოფიას“. სამწუხაროდ, ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ ვერ იქნა და ვერ შეისწავლა, ჯეროვნად ვერ შეაფასა ვაჟა-ფშაველა, ვერ გაიტანა იგი საქართველოს ფარგლებს გარეთ. როცა ვაჟა-ფშაველაზე ვფიქრობ უნებლიედ მაგონდება აინშტაინის ცნობილი სიტყვა მაქს პლანკის იუბილეზე წარმოთქმული. აინშტაინმა მეცნიერებისა და ხელოვნების მსახურნი რამდენიმე კატეგორიად დაჰყო. მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძრის მსახურთა შორის, ერთი კატეგორიის ხალხია — ამბობს აინშტაინი — ისინი ყოველდღიურ ცხოვრებას გამოექცნენ და ამ ტაძარს შეაფარეს თავი. მათ ტვირთად აწევთ ყოველდღიური ცხოვრების მტანჯველი უხეშობა და უიმედო სიცარიელე“.

წარმომიდგება წმინდა ტაძარს შეფარებული ვაჟა-ფშაველა, გამდგარი და გაჯიუტებული როგორ ედავება თავის ცოლს:

„იმიტომ უჭკვო დიაცო,  
რომ წუწუნებდი ჩიოდი,  
სიცივე ბალებს მიღევისო,  
შვილმამკვდარივით ჰკიოდი.“

ბერდიას რამდენ შემა აქვ,  
როგორ ცეცხლს ანთებს, ნახოდი.

ცხოვრების მაგალითად  
ბრძევები დამისახოდი“.

ორი დიდი მოაზროვნის ამგვარი შეხვედრა სიამაყეს და სითამამეს გვმატებს, იმედს გვაძლევს, აღგვაფრთოვანებს.

ჩვენი მინდია არა ნაკლებ წმინდანია, ვიდრე ალიოშა კარამაზოვი, არა ნაკლებ მოაზროვნეა, ვიდრე ჰამლეტი, არა ნაკლებ ნიჭიერია, ვიდრე ლევერკუნი. მაგრამ წმინდანობას, აზროვნებას, ნიჭიერებას ფასი არ ექნებოდა, თუ მინდია ფრინველებთან და ცხოველებთან გრძნეულ საუბარს დასჯერდებოდა. ვაჟა-ფშაველამ იცის რომ ერს წინამძღოლი, მეთაური სჭირდება. ერის წინამძღოლად კი ცოდვილიანი კაცი არ გამოდგება, და აი, საქართველოს მოევლინა უცოდველი და წმინდა კაცი, რომელსაც სეებისა და ჩიტების კვნესაც კი ესმის, ხედავს „თავთავების ყელის წევას“, მოწამებრივად ცხოვრობს. მინდიას მარტვილობა სამშობლოს სიყვარულითაა გამოწვეული. სამშობლოა მისი „განდგომისა“ და ტანჯვა-წვალების მიზეზი. ხალხს არ ესმის თავისი გმირის სიბრძნე, „ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა ჩვენც რად არ გაგვიგონია?“, მაგრამ მისი სჯერა. სჯერა იმიტომ რომ ხედავს, კაცს პირადი ცხოვრება უარუყვია და „ღმერთთან ლაპარაკობს“, რათა თავის ხალხს არგოს.

„ჩვენა გვწამს, შენაც ხომ იცი,  
რომ ლაპარაკობ ღმერთთან“.

ჩემის აზრით, აი, ეს „ღმერთთან ლაპარაკი“ არის მინდიას რთული სახის გასაღები. „დიდი ლაპარაკი ღმერთთან“, ილია ჭავჭავაძემ წამოიწყო: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“. ვაჟა-ფშაველამ სწორედ ამგვარი ჭავჭავაძისეული „ღმერთთან მოლაპარაკე“ წმინდანი დაგვიხატა და ხალხმაც ძალზედ საეჭვო გრძნეულს დაუჯერა.

ზღუდე გამაგრდა ქარსილისა,  
მტერს შაუკერეს სუღარა.  
ერი იუ მტრის მიღვეელია,  
მის მეტი არა უნდა რა.  
მანამ მინდია ჰბელადოსს,  
ხევსურებს არა უშავთ რა.

მაგრამ მინდიამ თავისი წმინდა სული ეშმაკს მიჰყიდა. დაირღვა გველისჭამით აშენებული ჰარმონიული ქვეყანა, დაიწყო მინდიას ტრაგედია „მე დავრჩი თავის ტენითა“. სხვათაშორის ვაჟა-ფშაველას „ეშმაკისთვის სულის მიყიდვა“ გერმანელი დიდი მწერლების მსგავსად სიმბოლოებით არ გადაუწყვეტია. მან იგი არა ნაკლებ ორიგინალურად, გენიალური უბრალოებით დაგვიხატა. მაინც რა დააშავა მინდიამ? — მოჭრა ხე, შინ მიიტანა და კერა გააჩაღა, დახოცა ნადირი და ხორციტ ცოლ-შვილი დააძღო. იცხოვრა იმ ცხოვრებით, როგორითაც ცხოვრობს ბერდია, სანდუა, ზეზვა, ჩალხია და სხვა. დაკარგა ცოდნა, უნარი წინამძღოლის, „მეცნიერის“. თურმე ორივე ერთად: გალაღებული პირადი ცხოვრება და ერისკაცობა არ ხერხდება, დაკარგა ზეგარდმო ნიჭი და ხელში შერჩა „ყოველდღიური ცხოვრების მტანჯველი უხეშობა და უიმედო სიცარიელე“.

მინდიას ტრაგედია ყველა დროის, ყველა ეპოქის, ყოველგვარი წარმოშობის დიდი ადამიანის ტრაგედიაა.

მე განგებ გავამახვილე ყურადღება ლიტერატურაში ყველაზე პოპულარულ, ხალხის საყვარელ, მოაზროვნე ტრაგიკულ გმირებზე. რომლებსაც აწუხებთ „ვაი ჭკუისაგან“. მაგრამ ეს „ვაი“, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, აპრიორული კი არ არის, სინამდვილისეულია.

განგებ მივმართე ლიტერატურულ წმინდანებს, ერისკაცებს, უცოდველთა და მართალთ, რომელთა მოწამებრივი ცხოვრება მღელვარე თაობების სულის გამოხატულებაა, მოწინავე ერების მძაფრი აზროვნებისა და ბედის ტრიალის სარკეა.

თუ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ ამგვარი გმირები არა გვყავს და არც არავინ ცდილობს თავის თანამედროვეთა შორის ეძიოს ჰამლეტი, მინდია, პიერ ბეზუხოვი, ალიოშა კარამაზოვი. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნება მწერალს მოვთხოვოთ, უნდა თუ არა შექსპირი იყოს, ან ვაჟა-ფშაველა, მე სხვა რამ მაფიქრებს და მადარდებს.

არც რუსულ დღევანდელ ლიტერატურაშია მათი ბადალი გმირები, მაგრამ რუსულ ეკრანზე, სცენაზე და რომან-

ში უამრავ დაპატარავებულ ალიოშა კარამაზოვს შეხვდებით. ე. წ. „წმინდა სული“ რუსულ და საზღვარგარეთულ მწერლობას არ ასვენებს. მართალია, პროფესიული თვალსაზრისით დღეს დაპატარავებული ალიოშა კარამაზოვის ხატვა, ვერაფერიშვილი მწერლობაა, მაგრამ მე მხიბლავს ძიების სწორი გზა. რუსულმა მწერლობამ ბოლოს და ბოლოს, თავი მიანება „ოჩერკულ“ გმირს და ახალი პიერ ბეზუხოვისა და ალიოშა კარამაზოვის ძიება დაიწყო. ხოლო საზღვარგარეთულმა მწერლობამ უკვე აღმოაჩინა პოლდენ კოლფილდი..

ქართული მწერლობა „ოჩერკულ“ გმირს ვერ გაცილდა, ცხოვრებიდან პირდაპირ „გადმოწერას“ ვეღარ გადაეწვია. რატომღაც რომელიღაც მწერლობის თუ უშუალოდ ცხოვრების გავლენით შეიქნა თანამედროვე ახალგაზრდის სტანდარტი; ახალგაზრდა არის ლამაზი, წარმოსადეგი, დაკუნთული მკერდი და მკლავები აქვს, თეთრი პერანგი ჩახსნილი, რაღაცაზე გაბრაზებულია, მრისხანე სახე აქვს (რატომ კაცმა არ იცის, ვითომ სინამდვილე არ მოწონს, ეს უნდა ვიგულისხმობთ!), დადის ეს სპორტული ტიპი ქალაქში, ან მიდის მთაში და ფათერაკს ეძებს, ან ცულლუტია, მასხარა, კეთილი, მაგრამ უსაქმური, მატყუარა.

პირველ ახალგაზრდას აქვს ტემპერამენტი, ჯანმრთელია, ძლიერი, კარგად ჩხუბობს, კარგი ოჯახის შვილია, კარგად ცხოვრობს. არ მოწონს მშობლები! არ მოწონების ქვეტექსტი მეშჩანობის წინააღმდეგ ბრძოლა! ცვლილებებს მოითხოვს და სხვა.

ასეთი „სპორტული ტიპებით“ სავსეა რუსთაველის გამზირი, ხედავთ რა ხდება? ნაცვლად იმისა რომ ჩვენ მათზე ჯიშოქმედოთ და მოვაქცით, ისინი მოქმედებენ ჩვენზე, ჩვენს მოთხოვნებში მთავარი გმირის ადგილს იკავებენ. ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი, ან ლიტერატორი ამ სპორტულ ტიპს ინტელექტუალური პროზის გმირად მიიჩნევს. ხოლო სხვა კრიტიკოსი ჩვენს ახალგაზრდა მწერლობას ამგვარად აჯგუფებს: ვინც იმერეთის ან გურიის დღევანდელ ყოფას, სოფლელ ბიჭებსა და გოგოებს ჰხატავს ის ტრადიციული (ე. ი. ცუდი) მწერალია, ხოლო ვინც ქალაქელ ბიჭებს — ნოვატორი (კარგი). არის თუ არა მინდია ინტელექ-



ტულური გმირი? — იგი ქალაქელი არ ყოფილა. განა ქალაქელობა და სოფელელობა რაიმეს ნიშნავს ინტელექტუალური გმირის დასახატავად? ამის მაგალითი თვითონ ვაჟაა.

მე არ ვაპირებ კრიტიკოსებს თეორიული კამათი გავუმართო. რა არის ნოვატორობა ან ინტელექტუალიზმი. ეს მათ ჩემზე უკეთ უნდა იცოდნენ, ტრადიციულსა და კონსერვატორულს შორის რომ განსხვავებაა ალბათ ამაშიც ერკვევიან.

ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ „ღმერთთან მოლაპარაკე“ გმირის შეცვლა სპორტული ტიპით, ან ცუდლექტი ბიჭ-ბუჭებით ქართულ ლიტერატურას კარგს არაფერს მოუტანს.

ჩვენს ხალხს სჭირდება მორალურად სუფთა, წმინდა სულის უცოდველი, მართალი, მაღალი იდეალების გმირი, რომელიც შეძლებს, ნაწილობრივ მაინც, მოაქციოს საზოგადოება. მე მგონი „სინამდვილის გამუქებად“ არავინ ჩამითვლის, თუ ვიტყვი დღეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის ძირითადი საზრუნავი გახდა ფულის შოვნა, რაც შეიძლება მტეტი ბინის მიღება, ან აშენება, საქმოსნობა. მომრავლდნენ თანამედროვე თათქარიძეები, ჩაიკეტნენ თავიანთ „ასობნიაკებში“, აივსეს იგი საზღვარგარეთული ავეჯით, დაიდგეს დიდი შორმხედი და გვიან ღამემდე უყურებენ ნახევრად ტიტველი ქალების ცეკვას. ეს არის მათი არსებობის აზრი. სულ არ აინტერესებთ როგორ ცხოვრობს მეზობელი. გინდა ქვეყანა დაქცეულა, გარეთ არ გამოიხედავენ.

ამ ხალხისათვის გაუგებარია სოციალური, ეროვნული, მორალურ-ეთიკური საკითხები, მაგრამ ჩვენი დიდი პოეტისა არ იყოს „ეს არ არის საქართველო“.

მე მახსოვს რა ხმაური ავტეხეთ ჩვენს ერთ-ერთ ნიჭიერ სპორტსმენზე. ცრუპატრიოტები იმდენად გაბრიყვდნენ მას ერეკლეს, გიორგი სააკაძეს, შოთა რუსთაველსაც კი ადარებდნენ.

ისიც ხომ ცნობილია, რომ ჩვენი გაზეთები და ჟურნალები, რადიო, შორხედვა უეცრად ატეხენ ხოლმე ხმაურს; — თურმე ნუ იტყვიტ მოცეკვავეთა ანსამბლი, ან რომელიმე საესტრადო კოლექტივი საზღვარგარეთ ყოფილა, თურმე სა-

ქართველოს სახელი ამ ანსამბლებსა თუ კოლექტივებს „ზორს გაუტყორცნიათ“. გაზეთები აივსება წერილებით, ინტერვიუებით, მაღალფარდოვანი სათაურებით: „ლონდონი ტაშს უკრავს“ „ნიუ-იორკი აღფრთოვანებულია“ და სხვა.

აღარ გვჭირდება, უცხოელებმა ეგზოტიკურ საქართველოს დაუკრან ტაში. .

ნამდვილი საქართველო უნდა ვეძიოთ, ნურავინ შეეცდება ყურადღება სხვაგან გადაიტანოს, საცა სიბნელეა, უმეცრებაა. ნამდვილმა საქართველომ უნდა მოაქციოს მთელი ერი — ქართველობა. უნდა უწინამძღვროს მართალ და პატიოსან ხალხს, მთელ ქვეყნიერებას უნდა აჩვენოს მისი ლამაზი შემოქმედებითი შრომა, ნიჭიერება, დაუოკებელი, დაგუბებული პოტენციური ენერჯია.

## არა სიკვდილსა მიცემად

ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ ერთი უიშვიათესი მსატერული ქმნილებაა ქართულ სინამდვილეში.

ლიტერატურის წყალუსვ მდინარებას დასაბამიდან კი არ მოსდევს, როგორც ბევრი სხვა ქართული შედევი, წინაპარი და წინამძღვარი არავინა ჰყავს წარსულში, ცალკე დგას თავისთვის, ვით ერთადერთი ცისფერი ტბა მთათა შორის, წყაროსთვალსაც საკუთარს პოვებს, სადინარიც საკუთარი გაანინა.

დაწერის თარიღად 1879 წ. უზის. ეს თარიღიც მრავლისმეტყველია: ქართულმა მწერლობამ, პირველ ყოვლისა, ადამიანის სიცოცხლის დასაცავად აღიმალლა ხმა. შემდეგ შექმნა „გველისმჭამელი“ (1901). დიადი წიგნი ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა, სეთა, ყვავილთა, ბალახთა, ყოველთა ცოცხალთა დასაცავად.

პირველი ილია ჭავჭავაძეა, მან ბრძანა პირველმა: ნუ მოკლავთ ადამიანს; თუნდაც ის დამნაშავე იყოს. დამნაშავედ არავინ იბადება, დამნაშავეს ქმნის საზოგადოება, მაშ, შეჩერდი, დაუკვირდი საქციელს — ახალი დანაშაული არ ჩაიდინო. ამ ხიბლით, ამ ჯადო-თილისმით, ადამიანთა მარადიული გაუხუნარი სატკივრის მხილებით იპყრობს მეოცე საუკუნის მიწურულს „სარჩობელაზედ“ ჩვენს ყურადღებას, ნაწარმოები სიკვდილით დასჯას პირველქმნილი გულწრფელობითა და გულუბრყვილობით უარყოფს. „სიკვდილსა მიცემა“, „მოსისხლეობა“, „მოკვდინება“, „ძელზე გასმა“, „ჩაქოლვა“, „ჩამორჩობა“... სულაც არ იყო უცხო ქართული ყოფისათვის.

დიდმა ილიამ ისეთი საოცარი ტილო შექმნა წინააღმდეგ „სიკვდილსა მიცემისა“, ისეთი სასოებით უარა გარს დასარჩობად სარჩობელაზედ აყვანილ ადამიანს, დაგვავიწყა წარ-

სულის ცოდვანი, თავისი მოთხრობის გმირთან, პეტრესთან ერთად, განწმენდილ-განსპეტაკებულნი დაგვტოვა კაენის საუფლოში და დაგვმოძღვრა: „კაცო, ძმანი ხართ!“

საკვირველი მოთხრობაა „სარჩობელაზედ“, მსგავსი მშობლიურსა, თუ გნებავთ, სხვათა ლიტერატურაშიც იშვიათად იპოვება.

მკვლევარები სათავეს ხან ვ. ჰიუგოს, ხანაც ტოლსტოიდოსტოევსკის მსოფლხილვაში დაეძებენ, ხან ფრანგი განმანათლებლების ნააზრევს მიიჩნევენ თავწყაროდ, საერთოდ მე-19 საუკუნის დიადი იდეალებისა. ჩემი დაკვირვებით, ილია ჭავჭავაძის ეს პატარა მოთხრობა, უფრო ღრმა, უფრო მნიშვნელოვან და მყარ ბალავარ-საძირკველზე ეფუძნება, ვიდრე სხვათა ნააზრევის მიყურადებაა.

გავიხსენოთ მოკლედ მოთხრობის შინაარსი, შევეცდებით ილიას სიტყვებით მოგითხროთ: შუა ზაფხული იყო, პაპანაქება იდგა, ამისთანა დღეს საქონელ-გამოშვებულნი ღვინის ურმები იდგნენ მწკრივად ლოჭინის ხევის პირს. მეურმეები გულადმა გამოტილიყვნენ კონკილაზედ აყენებულ ურმებქვეშ...

უეცრად ხევის ყურედამ ორი ყმაწვილი გამოვიდა გზაზედ.

ყმაწვილებმა მეურმეებს თავიანთი თავგადასავალი უამბეს: ჩვენ, ძმები, თავადიშვილები ვართ, თუქურმიშის შკოლაში ვსწავლობდით, მამაჩვენმა თუმანი გამოგვიგზავნა, — როცა დაგიბოძოვენ, ერთი რუსის პოვოსკა დაიჭირეთ და წამოდითო. გავურიგდით ერთ რუსს რვა მანეთი მივეცით, რომ ქალაქში ჩავეყვანეთ, წამოგვიყვანა, გზაზე, დუქანში, დაგვეთრო, გადმოგვყარა პოვოსკივად, ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულძაღლმა.

ყმაწვილებმა იცრუეს, მეურმეები მოატყუეს, თავი შეაცოდეს. ერთმა დროულმა მეურმემ, პეტრემ, იკისრა „გაძარცული“ ყმაწვილების პატრონობა.

პეტრემ გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე — მეორესა და ერთი ჩარეჟა ღვინოც ჩამოუსხა ტიკტორიდან. თან ყმაწვილები დააიმედა, — ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში შიმშილით ლეკვიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგხინებიათო.

მართლაც, პეტრემ და მეურმეებმა ყმაწვილები ქალაქს ჩაიყვანეს, გლეხის ვახშმობის დროს, მეურმეებმა ქალაქის პირში გამოუშვეს ურმები, რადგან ღამე იყო, და ქალაქში ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ. იქვე დაანთეს ცეცხლი, წვადები შესწვეს თავის პატარა სტუმრებისათვის, ვახშამი სჭამეს. ყმაწვილ სტუმრებს პეტრემ ნაბდებიც კი დაუგო, თავადიწვილები ხართ ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთო.

გათენდა მტრედისფრად. მეურმეები აიშალნენ. ჩვენმა პეტრემ სტუმრები თავის ადგილას ველარ ნახა, ჯიბეს იკრა ხელი. ორივე მოჭრილი ჰქონდა. კეთილი მეურმე, პეტრე, გაუქურდიათ და გაპარულან. ბერიკაცს გული დასწყდა, შერცხვა, რომ „ძუძუთა ბავშვებმა“ გააცუცურაკეს და გაქურდეს. ღიმილით გაიქნია თავი, თითქოს ამ საქმეს ხუმრობაში ატარებსო, გულში კი მართლაც სცხვენოდა.

ამ ამბის შემდეგ გავიდა ოთხი წელიწადი. გაზაფხულის პირზე პეტრე, უწინდელზედ უფრო მობერებული, ქალაქში ჩამოვიდა წისქვილის ქვების საყიდლად. პეტრეს ქალაქში ერთი ორიოდე დღე მოუგვიანდა. ქარავანიც დაბრკოლდა რაღაც საქმეზედ. და ჯერ არ აპირებდა ქალაქიდან დაბერას. პეტრემ სთქვა: მაინც საქმე არა მაქვს-რაო, მოდი, ერთი ავლაბრის მოედანზედ გავალ, ქვეყანაა, შევიტყობ რას-მესო.

მართლაც, პეტრემ აქ გაიგო, რომ ზარბაზანი გავარდებოთ არა, მახათაზედ ერთ კაცს ჩამოახრჩობენო. პეტრეს თავის დღეში არ ენახა ეს ამბავი. გაჰყვა ხალხს მახათაზედ მიმავალს. მახათაზედ ხალხი ბუზსავით ირეოდა. იქ თავში, ერთს განაპირებულს ადგილს, სარჩობელა გაემართათ და გარშემო ჯარი ედგა. ახლოს არავის უშვებდნენ. პეტრემ მიიხედ-მოიხედა, ნახა ამოდენა ხალხი, კაცი და დედაკაცი, და გაუკვირდა. „ვთქვათ, კაცები ჩემსავით თამამად მოსულანო, ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო, ეგრე თავი მოუყრიათ რა მაგათი საქმეაო“. ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისათ.

„პატრ ეგ არის ურიგო, — თქვა გულში პეტრემ, — ეგ უფ-

რო კარგიც იქნება, თორემ მართლაც კაცის ჩამოხრჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს ღვთის სული ადამიანიაო.

აქედან იწყება ის საკვირველება, რასაც ლიტერატურაში ალბათ ანალოგი არც მოეპოვება.

ვიდრე პეტრე საკუთარი თვალთ ნახავდა კაცის ჩამოხრჩობას, მაინცა და მაინც არ უკვირდა ეს ამბავი. გაეგონა, ყური მოეკრა, რომ დამნაშავეებს სასტიკად სჯიდნენ, განაჩენი ზოგჯერ უსასტიკესიც კი იყო, — ჩამოხრჩობა ან სიკვდილი. თითქოს რა უნდა ყოფილიყო პეტრესთვის მიუღებელი? — არაფერი. მახათაზედ, სადაც კაცი უნდა ჩამოეხრჩოთ, პეტრე ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად წავიდა: „პეტრეს თავის დღეში არ ენახა ეს ამბავი. გულმა ძალიან გაუწივა იქით“. როცა საკუთარი თვალთ იხილა სახრჩობელა, ამოდენა ხალხი, ჯარი, იმ სახრჩობელას გარშემო რომ ედგა, არ დაიჯერა, იფიქრა ქალაქელებმა ალბათ გასართობი რამ მოიგონეს, კაცს როგორ ჩამოახრჩობენო.

კაცობრიობამ სიკვდილის დასჯის მრავალი სახეობა იცის: ჩაქოლვა, — მძვინვარე შურისძიება, უსასტიკესი დასჯა დამნაშავეს ქვის დაშენით, მოკვლა-ჩაქვავება!

ჯ ვ ა რ ზ ე გ ა კ ვ რ ა, თავისი ჯვრის ზიდვით, გოლგოთათი და ძელის ჯვარზე მილურსმნით, წვივების გადატეხით.

ჩ ა მ ო ხ რ ჩ ო ბ ა საზარელი სახრჩობელათი.

ახალ საუკუნეებში თავის მოკვეთა, ჯოჯოსეთური მანქანით გილიოტინით, ბოლოს უფრო სატანური ელექტროსკამით და გაზის კამერით. ლიტერატურამ ბრწყინვალედ აღწერა სიკვდილით დასჯის ყველა სახეობა. გავიხსენოთ დიდი სიკვდილით დასჯანი!

შეუდარებელი ოსტატობით დაგვიხატა ვიქტორ ჰიუგომ თავის მოკვეთა.

მან, როგორც დიდ მწერალს შეჰფერის, ერთ-ერთმა პირველმა, ეთნოგრაფიული სიზუსტით აღწერა სიკვდილის მანქანა-გილიოტინა, ექიმ გიოტენის წინადადებით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს შემოღებული სიკვდილის დასჯის იარაღი.

მწერალმა გილიოტინა თავის გმირებს მიატანინა ძველ საპყრობილესთან — ტურგის კოშკთან და იქ, ბუნების წი-  
აღში, გამოაჩინა — გამოამზეურა უაზრობა ყოველგვარი (ძვე-  
ლებური თუ ახლებური) სიკვდილით დასჯისა.

„რაღაც უცნაური, საკვირველი, ისეთი რომ ჯერ არსად  
ენახათ ფრინველებს, გამოჩნდა ტურგის ფერდობზე, ფუჟე-  
რის ტყის აქედან.

ღამე დასდგეს. ამართულს უფრო ჰგავდა, ვიდრე აშე-  
ნებულს, შორიდან სწორი, მაგარი ხაზებით აგებული ებრა-  
ულ რამე ასოს მოგაგონებდათ, ან ეგვიპტურ იეროგლიფს,  
რომლითაც აჭრელებული იყო ძველი ეგვიპტური გამოცა-  
ნებრივი ანბანი. ვინც კი შეხედავდა, ყველას გაურბენდა  
ფიქრი, რომ უსარგებლო რაღაც დაუდგამთ ამ ტყის პირას, —  
ნეტავ რად უნდათო. რაში გამოიყენებენ? აყვავებულ ბალახ-  
ში იყო ამართული ეს საზიზღრობა. თავით ფესამდე შეაქურ-  
ქოლებდა ადამიანს. ერთგვარი ფიცარნაგი იყო, ოთხფეხი-  
ანი. ფიცარნაგის ბოლოში ორი ბოძი იდგა, მაგარი, სწორი,  
რომლებსაც ზემოდან კადონი აერთებდა. ამ ბოძებს მალლა  
აეწიათ და ისე შეეყენებინათ რაღაც სამკუთხი, რომელიც  
შავად მოჩანდა დილის სისხამში. ფიცარნაგის მეორე მხა-  
რეს კიბე მიედგათ. სამკუთხის ქვემოთ, ორ კოჭს შუა, პა-  
ტარა ჩარჩო იყო — ორი მოძრავი ფიცარი და ერთმანეთს  
რომ მიეკვროდნენ, შუაში მრგვალ ამოჭრილს სტოვებდნენ,  
დაახლოებით ადამიანის კისრის სისქისას. ზემო ნაწილი ამ  
ჩარჩოსი კოლბზე ცურავდა, ისე რომ შეიძლებოდა მისი  
აწევა და დაწევა. ამჟამად ეს ორი ფიცარი, რომლებიც შე-  
ერთებისას მრგვალი ამოჭრილი ჩნდებოდა, განცალკავებუ-  
ლი იყო.

წითლად იყო ეს ყველაფერი შეღებილი. ბისა იყო ყველა-  
ფერი, გარდა სამკუთხისა. სამკუთხი რკინისა იყო. ერთი  
შესედვით ჩანდა, რომ ადამიანის გაკეთებული იყო, იმდენად  
საზიზღარი, შესაზარი და უხამსი, და თანაც ისეთი ზარდამ-  
ცემი, რომ ამ საშინელების აგების და ზიდვის ღირსეულად  
ცნობა ავსულის მეტს არავის შეეძლო.

ეს საზიზღარი მოწყობილობა გილიოტინა იყო.

და მის პირდაპირ, რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული,

მეორე საშინელება მოჩანდა, ტურგის კოშკი. ქვის ურჩხული გაჰყურებდა ხის ურჩხულს... ტურგი ნაყოფი იყო იმ საზარელი წარსულისა, რომელსაც ბასტილია ეწოდებოდა პარიზში, ლონდონის ციხე ინგლისში, შპილბერგი გერმანიაში, ესკურიალი ესპანეთში, სენტ-ანჟის ციხე-სიმაგრე რომში.

ტურგში იყო ჩამარხული ათას ხუთასი წლის წარსული, შუა საუკუნეები, ვასალები, ბატონყმობა, ფეოდალიზმი: გილიოტინაში კი ერთი წელიწადი — ათას შვიდას ოთხმოცდამეცამეტე; და თორმეტი თვე ამ ერთი წლისა ეთანასწორებოდა ტურგის თხუთმეტ საუკუნეს.

ტურგი მონარქია იყო, გილიოტინა — რევოლუცია“..

(„ოთხმოცდამეტი წელი“ თარგ. ი. მაჭავარიანის, გვ. 372).

ამ აღწერიდანაც ნათლად ჩანს როგორ სძულს მწერალს სიკვდილით დასჯა, როგორ ბოზობს და მძვინვარებს მისი სული, როცა ჯოჯოხეთურ მანქანას აღწერს. მაგრამ მთავარი წინ არის: „გოვენი ეშაფოტისაკენ მიდიოდა. მიდიოდა და თვალს არ აშორებდა თავის მასწავლებელს. სიმურდენიც თვალით მისდევდა თავის მოწაფეს, თითქოს მით იმაგრებს გულს და ზედ ეყრდნობაო.

ეშაფოტთან მივიდა გოვენი. ზედ ავიდა. გრენადერების მეთაურიც თან აჰყვა. ხმალი მოიხსნა გოვენმა და იმას ჩააბარა, ყელსახვევი მოიხსნა და ჯალათს მისცა.

განხორციელებულ ოცნებას ჰგავდა მშვენიერებისას. თეთრი კისერი ლამაზ ქალს მოგაგონებდათ და ლმობიერებით სავსე ვაჟკაცური თვალი, მთავარანგელოზს. ეშაფოტზე იყო და მაინც თავის ოცნებას მისდევდა. ეშაფოტიც მწვერვალია და მამაცად იდგა ამ მწვერვალზე დიადი, მშვიდი. მზის შუქი ეხვეოდა და დიდების სხივით მოსავდა.

საჭირო იყო შეკვრა განწირულისა. თოკით ხელში მიუახლოვდა ჯალათი.

და ამ წამს, როცა დარწმუნდა ჯარი, რომ მართლა გადაწყვეტილი იყო გოვენის მოკვლა, რომ გილიოტინით უპირებდნენ თავის მოჭრას იმათ საყვარელ მხედართმთავარს, მეტი ვერ შესძლეს სალდათებმა და უცბად გაისმა ჯარის ტკიოთინი“..



ჯარის ქვითინი? — სულის შემძვრელ სურათს ხატავს მწერალი..

ქვითინს ყვირილი მოჰყვა: „აპატიეთ, აპატიეთ! — ზოგი დაჩოქილი იყო, ზოგს თოფი დაეგდო და სიმურდენს ხელაყრობილი ემუდარებოდა, — შეუნდეთ, ნუ გაწირავთო, ერთმა გრენადერმა. გილიოტინისკენ გაიშვირა ხელი და შეჰყვირა: თუ მიმიღებთ მის მაგივრად, მზად გახლავართ, მოვდივარ და მთელი ჯარი გაიძახოდა დაჟინებით — აპატიეთ! აპატიეთ! — ლომებს რომ გაეგონათ ეს ყვირილი, ისინიც კი შეშინდებოდნენ და შეიბრალებდნენ, რადგან საშინელია და გულისმღობი სალდათის ცრემლი და მუდარება.

გაჩერდა ჯალათი, აღარ იცოდა რა ექნა...“ (იქვე, გვ. 378).

შემაძრწუნებელია შტეფან ცვაიგის აღწერილი თავის მოკვეთაც. სტიუარტების, ტიუდორებისა და გიზების ასული ღირსეულად მოემზადა სიკვდილისათვის. ადამიანური ღირსება და ყოველი მემკვიდრეობით მიღებული და კეთილშენაძენი თავდაჭერა როგორ შეედრება იმ საოცრებას, რაც თან ახლავს ყოველ მკვლელობას. არასოდეს — ამაში ყველა წიგნი და გადმოცემა სტყუის — ადამიანის სიკვდილით დასჯა არ შეიძლება იყოს რაღაც რომანტიკულად წმინდა და ამაღელვებელი. ჯალათის ნაჯახით სიკვდილი მუდამ საშინელი ამაზრზენი სანახაობაა. საშინელი სასაკლავო. პირველად ჯალათმა ააცდინა. პირველი დარტყმა კისერზე არ მოუვიდა, ყრუდ დაარტყა კეფაზე — მოწამეს დახშული ხრიალი, ყრუ კენესა აღმოხდა. მეორე დარტყმამ ღრმად გაუჭრა კისერი. შადრევანივით იფეთქა სისხლმა. მხოლოდ მესამე დარტყმამ მოაცილა თავი სხეულს. კიდევ ერთი საშინელი წვრილმანი: როცა ჯალათმა თავს ხელი წაავლო თმაში, რომ მაყურებელთათვის ეჩვენებინა, ხელში მხოლოდ პარიკი შერჩა. თავი გამოვარდა და მთლად სისხლში მოსვრილი, კეპელის ბურთივით გრუხუნით დაგორდა ფიცარნავზე. როცა ჯალათი მეორედ დაიხარა და ასწია, შემხედვარენი გაქვავდნენ: მათ წარმოუდგათ — რა მოლანდება იყო — მოხუცი ქალის შეკრეჭილი, ჭადარა თავი. ერთ წუთს საშინელებამ გააქვავა მაყურებელნი. ყველას სუნთქვა შეეკრა. სიტყვას

ვერავინ სძრავდა“.. (შტ. ცვაიგი, „მარიამ სტიუარტი“. თარგ. ნ. კალანდარაშვილის, გვ. 348).

თეოდორ დრაიზერმა სიკვდილით დასჯის უახლესი მე-  
ოთხი — ელექტროსკამზე სიკვდილი გამოიყენა თავისი გმი-  
რის საბოლოო განაჩენისათვის. „ამერიკული ტრაგედია“  
ელექტროსკამზე სიკვდილით მთავრდება.

დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა ყველაზე მწვავედ  
და მძაფრად თ. დოსტოევსკიმ დააყენა მე-19 საუკუნეში. მან  
პირველმა აღიმაღლა ხმა ადამიანის მოკვლის წინააღმდეგ.  
ვერავითარი იდეა ვერ გაამართლებს მკვლელის საქციელს  
(„დანაშაული და სასჯელი“), მაგრამ ვერც დასჯით შეცვლი  
ვერაფერს („ჩანაწერები მკვდარი სახლიდან“).

არა მოკვლა, არა კატორღა, არა შურისძიება, არამედ  
სიყვარული — ასეთია თ. დოსტოევსკის დიადი დასკვნა.

რუსული ლიტერატურის გენიალური ქმნილება „ომი და  
მშვიდობაც“ მიმართულია ადამიანის მოკვლის წინააღმდეგ,  
ყოველგვარი ომი უაზრობაა, თუ ადამიანი მოკვდება, — ასე-  
თია რუსეთის უპირველესი და უდიდესი მწერლის ლევ  
ტოლსტოის დიადი დასკვნაც.

„სარჩობელის“ იდეა მე-19 საუკუნეში მძლავრად ქროდა  
ეკროპასა და რუსეთში. ილია ჭავჭავაძემ ის ქართულ ნია-  
დაგზე, განუმეორებლად თავისებურად დანერგა.

დიდი მწერლები როცა სიკვდილის დასჯას აღწერენ,  
უნებურად ამჟღავნებენ თავიანთ დამოკიდებულებას სიკვ-  
დილისადმი, დამსჯელისადმი და თვით სასჯელისად-  
მი. თავს ვერ იკავებენ, ობიექტურობას ვერ ინარჩუნებენ,  
ლამის შეჰყვირონ: არა, ეს არ შეიძლებაო..

ილია ჭავჭავაძე გასაოცარ, ჯერ არნახულ და არ გაგო-  
ნილ ხერხს მიმართავს: ხ. ტავს ისეთ გლეხკაცს, ისეთ სპე-  
ტაკ გმირს, რომელსაც საერთოდ არ სჯერა არც სახრჩობე-  
ლის, არც გარშემო მოფუსფუსე ადამიანების, არავის და  
არაფრის, რაც ადამიანის ჩამოსრჩობას უკავშირდება.

ვიქტორ ჰიუგომ ააქვითინა ჯარი, — სიკვდილის მთესველ  
უხეშ მამაკაცთა ლაშქარი მაგრამ ეს ქვითინი ხომ თავის-  
თავად ნიშნავს, გოვენის თავის მოკვეთის დაშვების შესაძ-  
ლებლობას, ფრანგი ჯარისკაცები შეურიგდნენ გოვენის

სიკვდილს და სხვა არაფერი ძალუბთ, გარდა ქვითინისა. მარიამ სტიუარტის საზარელ თავის მოკვეთასაც, როგორც შეჩვეულ ჭირს, შეხვდნენ შოტლანდიელები. კლაიდ გრიფითსის ელექტროსკამით სიკვდილიც არავის გაკვირვებია.

ილია ჭავჭავაძის პეტრე არც ქვითინებს, არც აღშფოთებას გამოთქვამს ადამიანის დასრჩობის გამო. უბრალოდ, არ იჯერებს მას და ამით ყველაზე მეტად უჯანყდება ადამიანის სიკვდილით დასჯას.

„საღდათებმა ზედ გვერდზედ ჩამოუარეს და ჩამოუტარეს ფარაჯაში გახვეული კაცი“.

„მართლა საღდათებს არ ჰგვანან, ე! რა-რიგ ჩაუცმევიათ ი თოფების ქერაც რომ უსწავლიათ!“...

ვერა, პეტრე ადამიანის ჩამოსრჩობას ვერ დაიჯერებს, არ არის ეს ადამიანური საქციელი, არც მსეცური საქციელია, მსეციც კი არ ერჩის თავის თანამოძმეს.

ღვთის გაჩენილ ბუნებაში მსგავსი რამ არ ხდება. პეტრე დაიჯერებს, რომ ადამიანმა ადამიანი ომში მოკლა, ხმალში გაიწვია და ერთი მათგანი ბრძოლაში დაეცა. მშვიდობიან დროს, მშვიდობიან ქალაქში, საჯაროდ, მოედანზე გამოიყვანეს სელებშეკრული ადამიანი, ყელში თოკი წაუჭირეს და დაასრჩვეს?.. ამას, ვერა და ვერა, ვერ დაიჯერებს!..

„ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სახრჩობელაზედ ყულფი, მერე კიბე მიადგა სარჩობელის ბოძს. მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო. აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალსს სმა ჩაუწყდა, თითქო სული შეეხუთათ, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერა შედგათ.“

ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალსმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული.

უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანობა დაიწყო და ფორთხალი. დიდხანს იქნია საწყალმა ფეხები.

— დილამდე რომ სულ ეგრე იქნივოლ ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ, — ამბობდა თავისთავად პეტრე“.

გასაოცარი, მართლაც რომ დაუჯერებელი სურათია, ისეთი მხატვრული სიმართლეა, სიმართლეზე უფრო დიდი სიმართლე, იმდენად ნამდვილი, ხელშესახები და ჭეშმარიტი, რომ დაუჯერებელია. ერთი შეხედვით, შეიძლება კაცმა თქვას პეტრესებრი გლეხკაცი ბუნებაში არც არასდროს არსებულა და დღესაც არ არსებობს, სასტიკი პეტრეები მეტი გვინახავს, ვიდრე სიკვდილით დასჯის უარმყოფელნიო. მართლაც, როცა საქმე საქმეზე მიდგება და ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებს ჰკითხავთ: რა ვუყოთ დამნაშავეებს, როგორ დავსაჯოთო, უმეტესი მოგვიგებენ: დავხვრიტოთ. ერთს რომ საჯაროდ დავხვრიტავთ, სხვები ვერ გაბედავენ, წესრიგი დამყარდება. სისასტიკეს, მკაცრ ხელს თვითონ მოითხოვს ადამიანი. პეტრესებრი გულუბრყვილობამდე მისული ალალ-მართალი და პატიოსანი ადამიანი ცხოვრებაში იშვიათია. ან საერთოდ არ არის, არც ყოფილა...

ის ილია ჭავჭავაძემ შექმნა.

მაინც რატომ არ სჯერა პეტრეს ადამიანის ჩამოხრჩობა?

ამ კითხვას ვიდრე პასუხს გავცემდეთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ ვინ არის პეტრე, საიდან მოვიდა, სად გაიზარდა, როგორია მისი გონების თვალსაწიერი, ვოლტერის იდეებზე აღიზარდა, თუ მონტესკიეს?..

არა! პეტრე გლეხკაცია. მეურმე. საგანგებო სწავლა-განათლება კი არა, წერა-კითხვაც არ იცის. დაბადებულია და აღზრდილი ქართულ სოფელში.

სწავლა-განათლებაც, აღზრდაც, კულტურაც „მსოფლმხედველობაც“ სოფელმა მისცა. სოფლის საყდარია მისი უნივერსიტეტი, ხოლო ხუცესი — მოძღვარი. აქ ისწავლა მან ათი მცნება, მათ შორის ყველაზე მთავარი: ა რ ა კ ა ც კ ლ ა. ამიტომ ვერ დაუშვებს ჩამოხრჩობას, ვერ დაიჯერებს! ეს არ არის ბუნების შვილთა საქმიანობა.

ქართველი კაცი მარადის ერთგული იყო თავისი რწმენის, ის ვერ გადაუხვევს გზიდან, კაცის მოკვლა-ჩამოხრჩობა გამორიცხებულია მისი სარწმუნოებიდან, მორალურ სჯულ-

ლის წიგნში მას — არა კაც კლა უწერია, რადგან მისი „მსოფლმხედველობის“ საფუძველი ქრისტეს მოძღვრებაა: იყავ ზნეობრივად სრულქმნილი, დაიწერე გულზე ათი მცნება, რომ ცხრა ნეტარებას ეზიარო. მთავარი მცნებანი: პატივი ეც მამასა შენსა და დედას შენსა... არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო... აინთე ჩირაღდნად და ცხოვრების გზაზე წინ წაიმძღვარე.

გიყვარდეს მოყვასი შენი, გიყვარდეს შენიანი, ახლობელი, ნათესავი, უცნობი ადამიანიც კი, სხვა რწმენისა და სხვა ეროვნების შვილიც, საერთოდ გიყვარდეს ადამიანი, ადამიანის სიყვარულის დიადი მოძღვრება — სახალხოდ ქცეული, საფუძველად უდევს პეტრეს კაცთმოყვარეობას.

არის, აგრეთვე, მეორე, უფრო დიდი მიზეზი, პეტრეს „ჰუმანისტური იდეალებისა“ — იგი ლელთ ღუნიას სულიერი ძმა და ნათესავია, ორივენი იმ წარსულიდან მოდიან, როცა „ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟბდის, ქალი ქალბდის“...

იმათ მორალურ სჯულის წიგნში არ სწერია კაკო ყაჩაღობა, ისინი, პეტრეც და ლელთ ღუნიაც, იმ ძველი, პატიოსანი საქართველოს ალალ-მართალ გლეხკაცებს ჰგვანან, ისინი არც კვაჭი კვაჭანტირაძესა და ყვარყვარე თუთაბერს იცნობენ. ჯერ არ დაბადებულან ისინი...

ძველი ადათ-წესების, ძველი სჯულისა და სამართლის მოყვარული, ძველი სულიერი წყობის ადამიანები ჩარჩენილან ქართულ სოფლებში, რომელთაც თვალი ჯერაც იმ დიდი წარსულისაკენ უჭირავთ „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“..

„ადრიდაში“ ლელთ ღუნია ქართული სახელმწიფო წესწყობილების განვითარების კლასიკურ ხანას, მე-12 საუკუნეს გულისხმობს.

ქართულმა სახელმწიფო მართვა-გამგებლობამ იმ დროს სრულყოფას მიაღწია, განვითარდა, გაძლიერდა თავისუფალი საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიურად, სულიერად.

დავით აღმაშენებელმა შექმნა აღმოსავლეთში დიდი სახელმწიფო — საქართველო. აღზევდა, აყვავდა ქვეყანა, დადგა საქართველი ერის სულიერი ცხოვრების ოქროს ხანა —

შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“, ქართულმა სამართალმაც მაშინ მიაღწია განვითარების უმაღლეს დონეს — აიკრძალა სიკვდილით დასჯა.

თამარ მეფემ აკრძალა იგი.

დიდ თამარს, გამეფებასთან ერთად, საქართველოში არაპიკტო სიკვდილად დასჯა მოუსპია, არამედ ყოველგვარი დამასახიჩრებელი ადამიანის ბუნებისა და ღირსების დამამცირებელი სასჯელებიც ამოუკვეთია (ივ. ჯავახიშვილი).

სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის აკრძალვა, ისიც მე-12 საუკუნეში, თავისთავად დიდი ისტორიული მოვლენაა. ივ. ჯავახიშვილი თავის ცნობილ წიგნში „ქართული სამართლის ისტორიაში“ მეორე ამგვარ დიდ მოვლენად ბიზანტიური სამართლის წარმატებას მიიჩნევს.

მე-11, მე-12 საუკუნეებში მხოლოდ ბიზანტიურსა და ქართულ სამართალს მიუღწევია იმ დონემდე — სიკვდილით დასჯა აეკრძალა.

ქართველთა დიდ მეფეს, დედას ყოველთა ქართველთა, თამარს, ეს „აკრძალვა“ მეტად ფრთხილად განუხორციელებია, გამოუყენებია მეფური უფლების „მოწყალების“ გაღება. რაკი კანონით სასჯელის აღსრულებისათვის მეფის „მეცნიერება“ და მისი თანხმობის „შეკითხვა“ იყო საჭირო, ხოლო მეფეს შეკითხვაზე უნდა ებრძანა, თამარ მეფეს სასჯელის აღსრულების ამგვარი „ბრძანება“ და თანხმობა არასდროს არ გაუცია და ამ საშუალებით მას თავის მეფობის დროს სიკვდილითა და სხვანაირი დამასახიჩრებელი სასჯელით დასჯა ამოუკვეთნია. საქართველოს მაშინდელი იურიდიული შეგნებისათვის ფრიად დამახასიათებელია, რომ თამარ მეფის ისტორიკოსებს ეს დიდ საქებურ საქმედ მიაჩნდათ. თამარის შვილი ლაშა-გიორგიც თავის მეფობაში ამავე ღმობიერების მიმდევარი ყოფილა და სისხლის სამართლის სფეროში დედის გზასა და მაგალითს გაჰყოლია. ყველა ეს, რა თქმა უნდა, ქართველი ერის XII საუკ. გ. ხოლოცარი კულტურული დაწინაურების დამამტკიცებელია“ (ივ. ჯავახიშვილი, ტომი VII, 1984 წ. გვ. 384).

ეს ის დროა, როცა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ადამიანს სიკვდილით სჯიან კვლავაც უსასტიკესი მეთოდე-

ბით. მაგ: ფესებით ორ ცხენზე გამობმით და შუაზე გახლე-  
ნით, ცეცხლში დაწვით, კლდიდან გადაგდებით და ა.შ.

„რაც უფრო კულტურულად დაქვეითებულია ერი, სას-  
ჯელებიც მკაცრი და უღმობელი აქვს ხოლმე“ (ივ. ჯავახიშ-  
ვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 383).

პეტრე თამარის ეპოქის შვილია, სისასტიკე, რასაც მის  
თვალწინ სჩადიან, მისთვის მიუღებელია და ამიტომაც არ  
იჯერებს.

ილია ჭავჭავაძე უდიდესი ოსტატობით, შეუმჩნევლად,  
ცენზურის ნაჯახის ქვეშ, ხატავს უნათლეს, უზუსტეს სუ-  
რათს იმდროინდელი საქართველოსი.

„მოჰყავთ, მოჰყავთ“. მიიხედა პეტრემ, ნახა, რომ სალ-  
დათებს ერთი ვიღაცა რუსულ ფარაჯაში გახვეული  
კაცი მოჰყავთ“.

ე. ი. დასასჯელი ადამიანი რუსულ ფარაჯაშია გახვე-  
ული, დამსჯელი სალდათია. ხოლო თუ ვინ არის სალ-  
დათი ქვემოთ აზუსტებს: „დახე, სულ რუსის ბიჭებსაც რომ  
ჰგვანან“. სალდათები ცარისტული რუსეთის ჯარისკაცებია  
სამართალწარმოება სხვის ხელშია.

პეტრე შესცქერის უცხოთა საქმიანობას. ბუნებრივია,  
ყველაფერი მიუღებელია მისთვის.

ილია თანდათან უფრო აშიშვლებს ამ საკითხს: განსას-  
ჯელი იმიტომაც იქცა დამნაშავედ, რომ მისი აღზრდა არა  
სწორად წარიმართა, სოციალურ უკულმართობას ეროვნული  
უბედურებაც ზედ დაერთო.

„მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდან, — მოთხრობის ფი-  
ნალში იგებს პეტრე სიმართლეს, — მიგვაბარა სალდათის  
შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდან ვუიში ჩავგავდო. აგვიყ-  
როლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევით, ამოგვარ-  
თვეს სული ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ველარ ავიტანეთ“.

ეს წერილი პეტრეს გადასცა ჩამომხვრჩალის ძმამ. წე-  
რილიდან ირკვევა ძმების ვინაობაც, უფროსს ბეჟანი ჰქვია,  
უმცროსი წერილის ავტორია, ორივემ გაქურდა პეტრე, ორი-  
ვე მკვლელია, მამინაცვალი მოკლეს. „შევუცვივდით ღამე  
ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკ-  
ლო იქაურობა და ველარ მოვასწართ. შეგვიტყვეს, პოლიცია

თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთადერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტივით ჩამომირჩეს“.

წერილი, იმ სურათსაც დამაჯერებლად ხატავს, თუ როგორ გახდნენ ძმები მკვლელები.

„ვითმინეთ და ველარ ავიტანეთ („ს ა ლ დ ა თ ი ს შ კო ლ ა შ ი“ სწავლა ნ. წ.) დაგვკარით ფეხი და გამოვიქეციეთ. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდან ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთი ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედიო ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასთვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ გაბოროტებულნი..“

„პატარები ვიყავით. ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ გაიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო“.

ილია ჭავჭავაძე ჩვეული სიდინჯით აანალიზებს მომხდარ ამბებს: მკვლელებს წარმოშობს სოციალური უსამართლობა და ეროვნული ჩაგვრა, ვიდრე ეს ორი მიზეზი არსებობს, ამათა ყოველი სასჯელი, შეიძლება დღეს ბეჟანი ჩამოახრჩო, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება, ხვალ სხვა ბეჟანი ჩაიდენს მკვლელობას, საჭიროა მიზეზთა მიზეზის მოსპობა, სოციალური და ეროვნული სამართლიანობის დამკვიდრება, ჰარმონიული საზოგადოების შექმნა, ადამიანებს შორის, გულთა შორის, ჩატეხილი ხიდის გამთელება. ვიდრე ეს არ მომხდარა, მკვლელია თვითონ საზოგადოება და არა რომელიმე ერთი ადამიანი.

„მშულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით“.

წერილის ავტორი იმ დღეს მახათაზედ შეკრებილ ადამიანებს და მათ შორის პეტრესაც, ადანაშაულებს მისი ძმის



ჩამოხრჩობაში: „განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემი მამი-  
ნაცვლისა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე“.

— მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლვით  
შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა.

მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს!..  
ასე მთავრდება მოთხრობა.

მკითხველი ბოლომდე უჯერებს მწერალს. ყოველი სიტყვა აქ აწონილია. პეტრეს მართლა არ ეკუთვნის ეს საყვე-  
დური. შესაძლოა, ის ერთადერთიც კი იყო იმ ზღვა ხალ-  
ხში, ვინც ადამიანის ჩამოხრჩობას აუჯანყდა, ასევე, ვერ  
შეეგუა საზოგადოების გულგრილობას: „ე ხალხი რომ ასე  
ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს  
რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან  
ოჯახდაქცეულები, ერთ ცვარს ცრემლს მაინც ჩამოაგდებ-  
დნენ. რაც უნდა იყოს, ღვთის კერძი ადამიანია“..

როცა პეტრემ ბოლოს და ბოლოს სიმართლე გაიგო: ადა-  
მიანი მართლა დაუსვრჩიათო, მის თვალწინ რაც მოხდა, სი-  
ნამდვილე ყოფილაო, შვილს წერილის კითხვა შეაწყვეტინა:  
„— რაო? — იკითხა ზარდაცემულმა პეტრემ და ელდისა-  
გან გაფითრდა.

— ჩამოახრჩესო! მაშ მართალი იყო ის ამბავი!.. მაშ ხალ-  
ხი რაღას ჰხარხარებდა მერე!.. წაიკითხე, წაიკითხე, ნეტა არ  
მენახა“.

წერილის კითხვა რომ დაამთავრეს, პეტრე შიშმა შეიპყ-  
რო. ცივმა თფლმა დაასხა, „მთლად ცახცა-  
ხებდა“ მე რა შუაში ვარო, კვნესით და თრთოლ-  
ვით დაიძახა.

პეტრემ იცის ცოდვა-მადლის ფასი, ამიტომ ცახცახებს,  
ამიტომ კვნესის და თრთის... იქა დგას ისევ, სახრჩობელას-  
თან და ადამიანთა საზარელ საქმიანობას უარყოფს მთელი  
გულით.

ილია ჭაეჭავაძეს ენციკლოპედიურ ცოდნასთან ერთად,  
იურიდიული განათლებაც ჰქონდა მიღებული. სასჯელის  
უარყოფა მას არ შეეძლო. ის სიკვდილით დასჯის, ადამიანის  
მოკვლის წინააღმდეგია.

... არა მარტო პატარა „სარჩობელაზედ“, მთელი მისი შე-

მოქმედება მიმართულია, საერთოდ, ადამიანის დასაცავად. პირველი მკვლელობა არ უნდა მოხდეს, პირველი მახვილი ადამიანის წინააღმდეგ არ უნდა აღიმართოს, პირველი კაენი არ უნდა გაჩნდეს, თორემ შემდეგ სისასტიკის გამოჩენა, სასტიკად დასჯა, ან თუნდაც სამართლიანი შურისძიება შედეგს არ გამოიღებს. სისასტიკე და უღმობლობა ვერ დაამყარებს წესრიგს საზოგადოებაში, ვერ მოუპოვებს სიმშვილეს ადამიანებს. „მაგრამ, ეჰ, კაკო.. მე მაგ სიკვდილმა გულისჭრილობა არ გამიმრთელა“ — ზაქრომ მოკლა მამის მკვლელი გულქვა ბატონი, „სისხლი აიღო“, მაგრამ ამით ვერც მამას უშველა და ვერც თავისთავს. „თუ სისხლი გმართებს ისა სჯობია შეარჩინო და აიღო ხელი“ — ილია ჭავჭავაძე კაცის კვლას სამაგიეროს მიზღვის მიზნით მაშინაც უარჰყოფს, როცა საჭიროა „ღვთის სამართლის გაღვიძება“.

„ჩემმა სასიკვდილომ ერთი წუთის უინის მოსაკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა ამ წუთის სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან ნამუსიც წაართვა, — განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს მეთქი — ვფიქრობდი გულზედ მოსული და ბრაზმორეული. მაშ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოს მეთქი“

ილია ასე ადვილად ვერ გადაწყვეტს ადამიანის მოკვლას, თავის გმირს, გაბრიელს, ნებაზე ვერ წაყვება, დათიკოს უბრალო შურისძიებით ვერ მოაკვლევინებს.

„— გაბრიელ! მითხრა ბოლოს პეპიამ, — ფეხ-მუხლი მიცივდება, — შვილო, მე ვკვდები ვაი, რომ უზიარებელი ვკვდები შვილო ჩემი სისხლი ჩემს მკვლელს აპატივვ. მეც მიპატივებია, მაგრამ... თუ თამრო ნამუსწართმეული ნახო, შემომფიცე, რომ იმის დამლუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები შემომფიცე თუ ეც ცოდვა იყოს, ამიღია კისრად“.

გაბრიელი დათიკოს კლავს პეპიას სიკვდილისთვის კი არა, არც პირადი უბედურების მოტანის სამაგიეროდ, ქართველი გლეხკაცის, ქართული პატიოსანი ოჯახის, საერთოდ მოხუცი მამის შეურაცხყოფისათვის, ადამიანის ღირსების

დასაცავად. ამით გაბრიელის საქციელს მეტი მორალური ძალა და ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევა.

ქართულ ლიტერატურამცოდნეობაში ეს საკითხი შენიშნული და დამუშავებული აქვთ (კ. მეძველიას 1967 წ. და ვ. მეტრეველს 1983 წ.), მე უბრალოდ უფრო თვალსაჩინოს ვხედი მშვენიერ დაკვირვებას.

ილია ჭავჭავაძე აპირებდა ლაშქრობას სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სახელმწიფო საბჭოშიც კი.

შემოგვრჩა მოკლე კონსპექტი სიტყვისა, რომელიც საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე მას უნდა წარმოეთქვა. ასევე, ცნობილია მისი მეტად მძაფრი წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესადმი.

სიკვდილის თემა, ცოდვიანი კაცისა და ცოდვამადლის თემა ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებას მსჭვალავს. მისი უფრო ღრმად შესწავლა ალბათ ჩვენი ლიტერატურამცოდნეობის სამომავლო საქმეა. ჩემი წერილი კი ექიმ ა. იაშვილის სიტყვებით უნდა დავამთავრო.

„გვამი ილია ჭავჭავაძისა მე გავსინჯე. ოქმი გამომძიებელს აქვს ტფილისში. იქიდანც შეიძლება ცნობების ამოღება. ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა სამი ჭრილობა: ერთი ტყვიისაგან მკერდში და ორიც თავში თოფის კონდახისაგან აქეტიისაგან. ტყვია ჰქონდა მოხვედრილი მარჯვენა ძუძუს ახლოს და გასული იყო მარცხენა იल्लीიდან. თავი ერთგან ჰქონდა გატეხილი, ხოლო მეორე ალაგას ჭრილობა ძვლამდე იყო დასული...“

უგნურებმა მოჰკლეს აგადმყოფი 70 წლის მოხუცი“...

(„ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“  
ტფილისი, 1907 წ.).

მძლავრი

ქართული ლექსიკონები სიტყვა „მძლავრს“ განმარტავენ როგორც ტირანს, ძალაუფლების მქონე, უსამართლოდ მძლავრების მოქმედ ადამიანს, ხოლო დიდი სულხან-საბა თვლის, რომ „მძლავრი ესე არს ყოვლითა უშეჯულოებითა აღსავსე მეფე“.

იოვანე საბანისძე სიტყვა მძლავრებას ხმარობს პირდაპირ ტირანიის მნიშვნელობით „მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი“...

მაშ, ტირანი და ტირანიისთვის წინაპრებს ჰქონიათ ორი შესანიშნავი ქართული სიტყვა: მძლავრი და მძლავრება.

ვინ არის მძლავრი და როგორ ესმოდათ მძლავრება?

მძლავრი ის ადამიანია, ვინც ძლიერია და, ამავე დროს, მოძალადეცაა. უფრო მეტად ძალაუფლების მქონე პირია. სულხან-საბას მიხედვით მთლად ხელისუფალია, სიუზერენი, მეფეა, ოღონდ „ყოვლითა უშეჯულოებითა აღსავსე“.

ქართულმა მწერლობამ დასაბამიდანვე შეიცნო და ღირსეულადაც მიაგო მძლავრს.

პირველსავე ძეგლში „შუშანიკის წამებაში“, ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი, ვარსკენ პიტიახში, მძლავრია. მწერალი მას სიმართლით გვიხატავს თან თავის დამოკიდებულებას მისდამი არ მაღავს, მგელს ადარებს, „შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად“.

ვარსკენი ტიპიური ტირანია, ოღონდ ოჯახის ტირანის იაკობ ხუცესმა, იმთავითვე შეამჩნია მისი არსებობა ქართულ ყოფაში და უზადოდ დაგვიხატა.

„მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსკენ და ფერხიბჳ

თვისითა დასტრგუნვიდა მას; (ცოლს, შუშანიკს ნ. წ.) და აღიღო ასტამი, და უხეტქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა“.

რისთვის სცემს ვარსქენი ცოლს ასე სასტიკად?.. უღალატა?.. არ უღალატნია. იქურდა? არ უქურდია. მოატყუა ქმარი? არა, სიცრუე არასდროს უთქვამს შუშანიკს. შვილებს მოაკლო მოვლა-პატრონობა? არც ეს მომხდარა. ეგებ ქმარს შეურაცხყოფა მიაყენა?.. არ მიუყენებია შეურაცხყოფა მანამ, სანამ თვითონ არ აიძულა.

დავიწყოთ თავიდან.

როცა შუშანიკმა გაიგო „ვარსქენ უვარ-ყო ჭემმარიტი ღმერთი“, „დავარდა ქვეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭემმარიტი ღმერთი და აღიარა არტომანი და შეერთო იგი უღმრთოთა“ შუშანიკი თავისთავს ვნებს. თავსა დამართ სცემს, მწარე ცრემლით ტირის, ვარსქენი კი ებრალება, სწუხს მის გამო... თუცა მოღალატე სწორედ ის არის — ქმარი მისი, პიტიახში ვარსქენ.

შუშანიკი ღრმად მორწმუნე ქრისტიანია, მისთვის უცსოა მრისხანება, სამაგიეროს მიზღვა. მოღალატე ქმარს ის უბრალოდ განერიდება. „და აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანნა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული და წარადგინა იგი წინაშე საკურთხეველსა და ესრეთ ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი“.

საღამო ხანს კი, ეკლესიის მახლობლად იპოვა „სახლაკი ერთი მცირე“ და იქ გადასახლდა.

შუშანიკის საქციელი ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის საქციელია. არ გსურს ადამიანთან ცხოვრება, არ იზიარებ მის რწმენას, აზრებს, მისწრაფებებს, ცხოვრების სხვა გზას ადგახარ, ერთ ჭერ ქვეშ გიჭირს ცხოვრება, ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე ადექი და წადი. ცემა-ტყუა, ერთმანეთ-

ზე მძლავრება დაუშვებელია ზნეკეთილ ადამიანთათვის. შუშანიკი ქმარს უსიტყვოდ განეშორება, განერიდება.

ვარსქენისთვის გაუგებარია ცოლის საქციელი. განრისხებული შეუთვლის შუშანიკს შინ დაბრუნდი, „უკეთუ არა, თრევით მოგათრიოლ“.

ვერც მუქარით, ვერც ზაკვით შუშანიკთან ვერას გახდნენ — არ დაბრუნდა ვარსქენთან.

ჯოჯიკი არაერთხელ შეახსენებს, რომ მოავლენენ მსახურთ და თრევით წაგიყვანენო, მართლაც „მეტად აიძულეს და ძალით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემო არარაისი იხილა, ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიაართვა ღვინო ჭიქითა და აიძულებდა მას რათამცა იგი ხოლო შესვა“. აი, ამდენი მუქარის და ძალის გამოყენების შემდეგ, მოთმინებადაკარგულმა შუშანიკმა „ჰრქვა მას. რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური? და განყარა ხელი და ჭიქა იგი პირსა შეაღწა და ღვინო იგი დაითხია“. ამას მოჰყვა ზემოთ ნახსენები ის საზარელი ცემა.

გულისხმა მისაპყრობია ისიც, რომ შუშანიკმა რისხვით ჰრქვა და ჭიქა შეაღწა არა ქმარს, ვარსქენს, არამედ ჯოჯიკის ცოლს.

ვარსქენი შუშანიკს გაუსწორდა უსასტიკესად: წიხლებით შედგა ზედ „ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა“, ასტამით თავი გაუხეთქა და თვალი დაუბუშტა, „მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა, ვითარცა მხეცი მძვინვარე, ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“... ხოლო წმიდა შუშანიკ „ვითარცა მკვდარი იღვა ქვეყანასა ზედა“.

უწყალო ცემასაც არ დააჯერა ცოლი ვარსქენმა და ბორკილები დაადო.

რისთვის დაისაჯა ასე დაუნდობლად ქალი? — მხოლოდ და მხოლოდ რწმენისათვის, სხვა არავითარი დანაშაული მას არ ჰქონია.

პირველი დიდი მძლავრება ქართულ სინამდვილეში ასე აღიწერა.

პირველი ქართველი მძლავრი ვარსქენ პიტიახშია.

მაგრამ მძლავრებას აქვს უფრო სასტიკი, უფრო სისსულიანი ფორმებიც.

ვარსკენ პიტიახში მხოლოდ შინაური მძღავრია, დავარ-  
ქვათ თჯახის მძღავრი, იგი ანგელოზია ნამდვილ მსოფლიო  
მძღავრებთან შედარებით.

პირველი საზარელი სისხლიანი მძღავრი ბიბლიური  
იროდია. მან თოთხმეტი ათასი ახალშობილი ამოსწყვიტა  
იმის იმედით, რომ მათ შორის ყრმა ქრისტესაც მოსპობდა.  
განგებამ არ ინება იროდის ნების აღსრულება, ანგელოზი  
უფლისა გამოეცხადა იოსებს და ეუწყა: წაიყვანე ყრმა და  
დედამისი ეგვიპტეში, აქ განსაცდელი მოგელიათ.

მართლაც, იუდიაში ათასობით უმანკოთა სისხლი დაი-  
თხია, იროდმა ბოროტ საწადელს მაინც ვერ მიაღწია. ყრმა  
იესუ ქრისტე გადარჩა, თუმცა ყრმათა საზოგადო ამოსწყვეტა  
შედგა, გაიჟლიტა ქვეყნის მომავალი.

იროდი სისხლიანი მძღავრია. მას მიზეზი არ სჭირდე-  
ბა მძღავრებისაჲვის, უდანაშაულო სისხლს ანთხევს მხო-  
ლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ჩანასახშივე მოსპოს  
სავარაუდო გვირგვინის მოცილე.

სისხლიანი მძღავრი მეტწილად ძალაუფლებისათვის  
მებრძოლი ხელისუფალია. ზოგჯერ სისხლს ღვრის ძალა-  
უფლების განმტკიცებისათვისაც, შენარჩუნებისთვისაც..

სისხლიანი მძღავრიც მრავალსახოვანია. ზოგი არ ინ-  
დობს საკეთარ დედას (ნერონი), შვილს (ივანე მრისხანე),  
მამას, ძმას (კონსტანტინე I, კახთა მეფე), მეგობრებს (კა-  
ლიგულა)..

მაგრამ არიან მძღავრნი მთელი ერის, ეთნიკური ერთო-  
ბის, ან რომელიმე ერთი კუთხის მილიანად მომსპობნი,  
არიან მსოფლიო ბატონობისთვის აღძრული მძღავრნიც:  
ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგიზ ხანი, თემურ ლენგი, ნა-  
პოლეონი, ჰიტლერი და ა. შ. ჩვენს დროში გაჩნდნენ ისეთი  
მძღავრებიც ხმელი და წყალი არ ჰყოფნიო საბრძანებლოდ,  
ზეცისკენ მიიწევენ, ზეცის დაპყრობაც განუზრახავთ, მიწა-  
ზე არ დატეულნი, ადამიანთათვის სულ მთლად უცნობი  
სამყაროს — კოსმოსის (ზესთას) დამპყრობნი ანუ ზესთმ-  
პყრობელი მძღავრნი ალბათ ყველაზე საშიშნი არიან კა-  
ცაბრიობისაჲვის.

მძღავრი — ტირანი მარტო ჩინგიზ ხანი, ან ჰიტლერი

რომ ყოფილიყო, მათი მოსპობის შემდეგ ხომ ამოისუნთქავდა კაცობრიობა? უბედურებაც ის გახლავთ, რომ მძლავრისა და მძლავრების მოსპობა, სამხედრო ძალით, თუ გნებავთ, სხვა რამ ძალითაც, არ შეიძლება.

მძლავრი ყოველ ადამიანში ზის მეტ-ნაკლები დოზით. სახეობაც მისი მრავალგვარია, გამოვლინება მძლავრებისაც არ არის ერთსახოვანი, ამდენად მძლავრის გამოცნობა გაძნელებულია, მაგრამ არც ისე უსახურია ვერ დავინახოთ.

პირველი მძლავრი, ანუ მძლავრი სახლეულის მეთაური  
ანუ „წესიერი“ მძლავრი

ყველაზე გავრცელებული სახე მძლავრისა საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ძველთაგანვე ყოფილა და დღესაც არის სახლეულის მეთაური მამაკაცი, მამა-მძლავრი, ზოგჯერ შეიძლება ის პაპაც იყოს. მამა-მძლავრი, ან პაპა-მძლავრი სახლიკაცებში ქცეულია კერპად, კულტად...

მისი სიტყვა კანონია, საქციელი სამაგალითოა, ცხოვრების წესი ოჯახის ყველა წევრისათვის სავალდებულოა. ის არის სახლეულთა მეფე, თავისი ცოლ-შვილის ნამდვილი ბატონიცა და პატრონიც.

ზის „ტახტზე“ სუფრის თავში ან ამოჩემებულ სკამზე შინაურებში და ოჯახის ყველა წევრი უსიტყვოდ ემორჩილება. სახლეულნი წარბის აწევით ცნობენ მის გუნება-განწყობას, გული არ უნდა მოაყვანიონ თორემ ქვეყანა დაიქცევა. უნდა აკეთონ ის, რაც გაუხარდება, მოეწონება...

მასზე ამოსდით მზე და მთვარე არა მარტო მის ცოლს, არამედ შვილებს, ეგებ სახლში მოხუცი მშობლებიც არიან, სხვა ვინმე სახლიკაციც, ან სიდედრი, სიმამრი, ქვისლი და ა. შ. სულერთია, მძლავრი ყველასათვის სათაყვანებელი არსებაა.

მძლავრი ზოგჯერ მარჩენალია, მთელ ოჯახს არჩენს, ფული მოაქვს. მაშინ მძლავრება მისი განუსაზღვრელია.



ზოგჯერ არ არის მარჩენალი, ცოლს მეტი მოაქვს, მაგრამ ის მაინც კულტია. მძლავრობა ე. ი. მძლავრად ყოფნა არ არის დამოკიდებული ყოველთვის ფულზე, არც სხვა რამ უნარსა და ღირსებაზე. ეგებ ფიზიკურ ძალაზეა? — ყოველთვის არა. ზოგჯერ მდევით ვაჟკაცი გვინახავს „მძლავრებასა ქვეშე დამონებული“. მაშ, რა არის მძლავრის უპირველესი ნიშანი? — უნარი, სურვილი, ვნება იყალიბოს მორჩილებაში გარეშემო მყოფნი. დადგეს მათზე მაღლა და საჭიროების შემთხვევაში დაჩაგროს ისინი.

მძლავრს ემსახურებიან. მოსწონს, მოითხოვს ემსახურონ. მეტწილად ცოლი ჰყავს მსახურად და მონად ქცეული. მაგრამ ზოგჯერ დედას, შვილსაც კი ჩაგრავს, მსახურებად აქცევს მათაც.

პატივპოყვარეობა მძლავრის უპირველესი თვისებაა. იცვამს სუფთად, კოხტად, შინიდან გამოსვლის დროს, რაღა თქმა უნდა, ემსახურებიან, ცოლი თავს დასტრიალებს, ეხმარება ჩაცმაში, შეიძლება სხვაც დაასაქმოს, ოჯახში დიდი ამბავი ხდება: ქმარი მიდის სამსახურში. ასევე დიდი მოვლენაა, როცა ქმარი ბრუნდება სამსახურიდან. წასვლისას ხომ საუბრე უნდა მიირთივას, მოსვლისას — სადილი. ვიღაცამ ხომ უნდა გაუშალოს სუფრა, ეს ან ც'ლია, ან სიდედრი, ან ჰყავთ სხვა ვინმე ნათესავი, ახლობელი, მსახურის რაღაღა.

„ქმარი ისვენებს“ — ისეთივე დიდი მოვლენაა სახლურულათათვის, როგორც მძლავრის სამსახურში წასვლა და მასვლა.

ქმარი იგივე მძლავრი, სამსახურიდან დაბრუნებული, ისადილებს და ისვენებს, რას ნიშნავს ეს; ქმარი წამოწოლილია ტანტზე და გაზეთებს ათვალეიერებს, ან სიგარეტს აბოლებს. ოჯახის ყველა წევრი ფესაკრეფით დადის, დასვენებაში ხელი არ უნდა შეუშალოს. თუ ჩაეძინა, მაშინ ხომ სუნთქვაც გაძნელდება, იმის შიშით არ გაეღვიძოს. „სუ, მამას ძინავს“ — გაისმის ოთახიდან ოთახში, სპექტაკლის რეჟისორი ცოლია, შეიძლება ოჯახის ყველა წევრი დააძინოს კიდევ, ოღონდ ქმარმა არ გაიღვიძოს.

მძლავრი კერძებსაც რჩეულს მიირთამევს, ცოლის წყა-

ლობით ყველა ოჯახის წევრმა იცის, რომ ესა და ეს კერძი მას უყვარს, ხელს არავინ ახლებს.

ერთი სიტყვით, მძლავრი ხელის გულზე უნდა ჰყავდეთ, ასეთია მისი სურვილი და ეს სურვილი, როგორც წესი, ხორციელდება.

შინაური მძლავრის კულტს ძირითადად ცოლი ქმნის, ის არის მისი მთავარმეზობლე. დღე და ღამე ქმრის — მძლავრის, ქებაშია, აქებს მის საქმიანობას, უნარს, ნიჭს, ადამიანობას, კაცთმოყვარეობას, ვაჟკაცობას, გმირადაც კი წარმოისახავს და ცდილობს სხვაც დაარწმუნოს, ამაში. „ჩემი ქმარი ისეთია; ჩემი ქმარი ასეთია“... სულ „ქმარი“ აკერია პირზე. თვითონ მძლავრს თავი ღირსეულად უჭირავს. თავდაჭერა მთავარი ნიშან-თვისებაა. ზედმეტი სიტყვა არ წამოცდება. არ სჭირდება ეს მას. ზრდილობიანიც ჩანს, თავაზიანიც... ასე იცნობენ.

საკმარისია რამე შეიცვალოს ოჯახის ერთფეროვან ცხოვრებაში, უმაღლ გამოაჩენს ნამდვილ სახეს. ვთქვათ, ოჯახი მიემგზავრება დასასვენებლად, ათასი საქმეა შინ და გარეთ მოსაგვარებელი. მძლავრი ყველაზე ნაკლებ შრომას ეწევა. ქალის საქმეს ხომ ვერ გააკეთებს? — ჩალაგება, შეკვრა, დარეცხვა-დასუფთავება ქალებმა უნდა აკეთონ, სამამაკაცო საქმე რომელია?.. — მატარებლის ბილეთის აღება, დარეკავს ნაცნობთან და „ბილეთის საქმეს მოაგვარებს“, მაგრამ ბილეთის აღებას, ე. ი. წასვლას, იქ სალაროსთან რიგში დგომას ხომ არ იკადრებს, ამიტომ ვინმეს დაავალებს.

მოება თავი ყველა წვრილმანს, ჩემოდნებიც ჩალაგებულსა, ბილეთებიც მზად არის. ახლა რა? ჩემოდნებს ხომ ვერ ათრევს?.. ქალებმა ათრიონ ჩემოდნები და თვითონ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გაჰყვეს, ამასაც ვერ იზამს, რაღაცას მოიმიზეზებს, ან სამსახურიდან ვერ გამოეტირა, ზღვა საქმიე ჰქონდა, ან სხვა რამ მიზეზს იპოვის და ცოლ-შვილს ათრევენებს ჩემოდნებს.

შრომა მძლავრს არ უყვარს. სხვას კი მოუწოდებს იშრომეო. წესიერი მძლავრი თითქოს არაფერს აშავებს, შინ და გარეთ ისე წარმართავს საქმეს, თვითონ ყოველთვის იოლად გამოძვრეს.

თავისი ხელით ის ჭიქაში წყალს არ დაისხამს. წყალი მას უნდა მიუტანონ. ფეხსაცმელს არ გაიწმენდავს, უნდა გაუწმინდონ, ოცი-ოცდაათი წლის წინათ, სოფელში მე გამიგონია მძლავრის მუქარანარევი ხმა: დამბანე, ქალო, ფეხი! — ღვთაებრივი რიტუალი შეცვლილია მონური ქმედებით.

მამა-მძლავრი თავისთავში შეყვარებული ეგოისტია, ჰგონია, რომ დაბადებულია მბრძანებლად, ხოლო ცოლშვილი მისი ბრძანებების უყოყმანო აღმსრულებელია. პატარა შოკ თავის სამბრძანებლოში.

### ბოროტი მძლავრი, ვარსკენის კომპლექსი

ამ ტიპის მძლავრები უხეშნი, მყვირალანი, მოჩხუბარნი, ლოთნი და მექალთანენი თავიანთ უზნეობას ჩხუბითა და ცემა-ტყეპით ამკვიდრებენ. ძალის გამოყენებით, ცოლის წამებით, ვერაგობითა და ორგულობით ცდილობენ შეინარჩუნონ სახელი და გავლენა ოჯახში.

მძლავრმა საყვარელი გაიჩინა, ცოლს დალატობს, შინ გვიან-გვიან ბრუნდება, როგორ გგონიათ თავს რითი იმართლებს? — ცოლს სწამებს ცილს, — მღალატობო. შუა ღამით შინ დაბრუნებული, ამ მიზეზით ატეხავს აყალ-მაყალს, დაამტკრევს ჭიქებს, თეფშებს, ფანჯრის მინებს, შიშის ზარს დასცემს მძინარე ცოლ-შვილს და თვითონ არხეინად დაიძინებს. დილით დიდ-პატარა ფეხის წვერებზე დგება, მძლავრს ტკბილი ძილი არ გავუფრთხოთო.

აყალ-მაყალი მეტწილად ცოლის ცემით მთავრდება. ეს გარსქენის კომპლექსია: თვითონ არის დამნაშავე და სხვას სცემს.

ცოლის ცემა, ე. ი. დედის ცემა, ოჯახში შიშის ელდას იწვევს ოჯახის წევრებს შორის, განსაკუთრებით ბავშვებში. მძლავრსაც ეს უნდა; მისი შიშით უნდა ძრწოდნენ. რახან

ცოლ-შვილს ეშინია, სხვასაც, მეზობლებსაც, ნათესავებსაც გადაედება შიში.

თუ პირველი ტიპის მძლავრს სახელსა და ავტორიტეტს უქმნის ცოლი, მეორე ტიპის მძლავრი ცოლის მუდმივი ცემით იხვეჭს სახელს. ვაჟკაცია ცოლს რომ სცემს, — ყველა ქალი საცემია, — ასე მსჯელობს შეშინებული მეზობელი და სხვასაც არწმუნებს ამაში. თუ მძლავრი ცოლს ლალატობს, ეს არაფერია; ვაჟკაცს საყვარული უნდა ჰყავდეს. თუ მძლავრი ხშირად ლოთობს, ესეც არაფერია, რადგან „კაცმა ქე უნდა დალიოს ღვინო, პურძვირი კაცი ვის რად უნდა“ — ასეთი „იდეოლოგია“ კვებავს მძლავრს და აძლევს არსებობის უფლებასაც.

ცოლის მცემელი მძლავრი მეტწილად ლოთია. ცოლს სცემს ზოგჯერ იმისთვისაც, რომ უკანასკნელი ფული დახარჯა და ცოლ-შვილი მშვიერი დატოვა, შვილებს წაართვა პურის ფული და ძმაბიჭებში დახარჯა. ხომ თვითონ არის დამნაშავე, ღამით, შინ მთვრალი რომ დაბრუნდება, უსათუოდ სცემს ცოლს.

ვარსკენის კომპლექსით შეპყრობილი მძლავრი ძნელად ასატანია ოჯახისათვის. ღვინის სმა კომპლექსის დასაფარავად სჭირდება, მთვრალი უფრო თამამად ისრულებს უზნეო სურვილებს.

ოჯახის მძლავრები უმთავრესად ჩაგრავენ ქალებს, ბავშვებს, მოხუც მშობლებს, ან ნათესავეებს. საერთოდაც მძლავრი ჩაგრავს მხოლოდ და მხოლოდ სუსტს. ოჯახის კედლებიდან მძლავრება ნელ-ნელა გამოდის საზოგადოებრივ სარბიელზეც, ჯერ სუსტი ფორმებით: ხომ გინახავთ მინდორში, თაკარა მზის ქვეშ, მომუშავე ქალთა ბრიგადა, მძიმე მიწის სამუშაოს ასრულებენ, თოხნიან ან ბარავენ. ბრიგადირი უსათუოდ ჯან-ღონით სავსე მამაკაცია, რომელიც ჯიბეებში ხელუბნაწყობილი შესცქერის მათ ჭაპან-წყვეტას.

მძლავრების უფრო მასინჯი სახეა, როცა ცოლს კარადა აუკიდია ზურგზე, ქმარი კი გვერდით მოჰყვება, ისე როგორც დატვირთულ სახედარს მოსდევს პატრონი... — ეს სურათი დღეს გადამეტებული გვეჩვენება, არც თუ ისე შორეულ წარსულში კი, აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში ეს ასე იყო.

მძლავრის ცოლი შრომას შეჩვეულია, ქმრის შიშით მას შეუძლია კარადა ათრიოს ზურგით, ოღონდ ბავშვების წინაშე ნუ სცემენ.

მონხუბარ მძლავრს უფრო ერთგულად ემსახურებიან, ვიდრე წესიერ მძლავრს. უფრო მეტად უყვართ კიდეც. შიშით შეიქმს სიყვარულსაო — სწორედ მის ოჯახზეა ნათქვამი.

ზოგი მძლავრი ცოლს ყოველ დღე სცემს, ზოგი თვეში ერთხელ, ან ორ თვეში ერთხელ მაგრამ სასტიკად, ვარსკენისებურად: „მჯიღითა სცემდა პირსა მისა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა“...

თმითა მიმოითრევის, ფეხით დათრგუნვის შემდეგ, მარჩილება, რასაკვირველია, განუსაზღვრელია, ჩაგვრასაც არა აქვს ზღვარი. მაგრამ ცოლის ცემის ვარსკენისებური მეთოდი დღევანდელი ცოლის მცემელთ მოძველებულად მიანნიათ. ცოლის ცემის „ტექნიკა“, მათი აზრით, წინ წავიდა, გავითარდა. მაგალითად: მავანმა ცოლი ხეზე მიაბა და თოკით სცემაო, მავანმა სამზღდის ბოძზე მიაბა და, ვინაიდან ქალი ენატანია იყო, ენაზე ნაკვერცხალი დააყარო, მავანმა ცოლს ბენზინი გადაასხა და ასანთის საძებრად რომ წავიდა, მაშინ გაექცაო... და ა. შ... — ასეთ ამბებს დღესაც გაიგონებთ სოფელში.

ეს არ არის ნამდვილი მძლავრის საქციელი. ცოლის ყოველდღე მცემელნი, ორ თვეში ერთხელ მცემელნიც, ხეზე მიმბმელნიც, ბოძზე მიმბმელნიც, ბენზინის გადამსხმელნიც ნამდვილ მძლავრებად ვერ ჩაითვლებიან, ისინი უკვე დაკომპლექსებულნი, დაავადებულნი არიან და წონასწორობას კარგავენ, როცა მრისხანებენ.

ცოლის ან ოჯახის წევრების მცემელი მძლავრი ყვილია მძლავრთა შორის გამორჩეული მძლავრია. ცოლთან მოჯჯლანე ქმარი კი არ არის, ან უცებ, ასანთივით ანთების შედეგად, კი არ სცემს ვინმეს. სცემს წინასწარგანზრახულად, შიშის მომგვრელად, დაუნდობლად, უსასტიკესად. ცემის შემდეგ, ნაცემი ადამიანი დიდხანს უნდა ფიქრობდეს: „მომკლავს, ნამდვილად მომკლავს“...

ეს მძლავრი ბოროტი მძლავრია. მისი მრისხანება უკი-

დეგანოა, მისი თვალები სიაკეს აფრქვევენ, მის ახლოს მყოფნი მზად არიან მარადიული მორჩილებისათვის.

ბოროტი მძლავრი არ არის ხშირი ცემა-ტყეპის მომხრე, ერთხელ სცემს, მაგრამ ეს ცემა დაუვიწყარია, მარადიულ სულიერ დაღს ასვამს შერისხულს. შუშანიკს მხოლოდ ერთხელ სცემა ვარსქენმა, მაგრამ ეს იყო საზარელი, მხეცური ცემა: — „თმითა მიმოითრევდა, ვითარცა მხეცი მძვინვარე, ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“.

ვარსქენისებურად ბოროტად აღძრული მძლავრი ფრიად საშიშია, ასეთ დროს მას შეუძლია მართლა მოკლას ადამიანი.

ივანე მე-4, მრისხანემ ამგვარი გაცოფებისას მოკლა საკუთარი შვილი. ამის გამო, ბოროტი მძლავრი ოჯახში, ნათესაობაში, მეზობლობაში განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობს. რატომ, რა ღირსების გამო? უბრალოდ, მათი აზრით, ის „მაგარი კაცია“, მის ნებას უყოყმანოდ, უსიტყვოდ ემორჩილება ყველა. ოღონდ ვინმეს რამე დაავალოს, ოღონდ ბრძანოს... მზად არიან ყველა ბრძანება, ყველა სურვილი შეუსრულონ. რატომ? რა მიზეზის გამო? — იბადება კვლავ კითხვა. მიზეზი ერთია, — შიში! ასეთ ადამიანს უფრთხიან, ეშინიათ მისი, ურჩევნიათ ყველა სურვილი შეუსრულონ, არ გადაიმტერონ.

შინ კი, საკუთარ ოჯახში ხომ მძლავრს არც სჭირდება სურვილის გამყლავნება, თქმა რაიმესი, ყველაფერი ისე კეთდება, როგორც მას სურს. „ხომ იცი რა მიყვარს“.. იტყვის მძლავრი. ოჯახის ყველა წევრმა იცის რა უყვარს. თუ იტყვის იხობეთ, ხოხვით სიარული გაქვთ მისჯილით, იხონებენ, თუ იტყვის იცინეთო, იცინებენ, იტირეთო, იტირებენ...

ოჯახში მიკრო სამხედრო დიქტატურა აქვს დამყარებული, დიქტატორი თვითონ ბრძანდება.

ყველა მამაკაცი არ არის მძლავრად შობილი. ყველას არ ჰგვრის სიამოვნებას სხვისი დამცირება, აბუჩად აგდება, დაჩაგვრა. ყველა კაცი არ არის მოწადინე უსათუოდ მსახურებად აქციოს საკუთარი ცოლ-შვილი, არც საკუთარი პიროვნების გაზვიადება და გაღმერთება მოსწონს ყველას.

ზოგს ურჩევნია თავმდაბლად იცხოვროს, არ იღვაწოს მხოლოდ პირველობისათვის, არც მოხვეჭას იხდის ცხოვრების მიზნად, მაინცა და მაინც ყველაზე კარგი საჭმელი ჭამოს და ყველაზე კარგად ჩაიცვას — აქეთაქენ არ ისწრაფვის. არ მოიხსოვს მას ემსახურონ, პირიქით, სხვისი სამსახური მოსწონს, შვებას ჰგვრის სხვისთვის გაწეული ჯაფა. ასეთი ადამიანი ოჯახის ყველა წევრს ღირსეულად ექცევა, არავის აიძულებს ასე და ასე მოიქეციო, ცდილობს ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა დაამკვიდროს ახლობლებში...

აი, სწორედ, ასეთ დროს, ამოჰყოფს თავს ცოლი-მძლავრი.

ცოლი-მძლავრი ნამდვილი ტირანივით ხელთ იგდებს ძალაუფლებას ოთახში და იწყებს მძლავრებას ქმარ-შვილზე.

ღიაცის მძლავრება შეტწილად ეშმაკობაზე დაფუძნებული მძლავრებაა, რაკი ქალს ძალა არ შესწევს ქმარს სცემოს (თუმცა ქმრის ცემაც არ არის უცხო ხილი ცოლი-მძლავრისათვის!) და შიშის ქვეშ იყოლიოს, მიმართავს სხვადასხვაგვარ ხრიკებს: მაგ., შინაურ შანტაჟს — ცრუ ეჭვიანობას, ქმარს ცილს სწამებს საყვარელი გყავსო, მიეჭრება სამსახურში და ამოწმებს, ან ურეკავს ქმრის ნაცნობ ქალებს, მართავს ისტერიკებს, რომ ართმევენ ქმარს, ანგრევენ წესიერ ოჯახს, თიშავენ შეყვარებულ ცოლ-ქმარს. სინამდვილეში თვითონ ღალატობს ქმარს, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას წესით მოქმედებს.

ოჯახის ყველა წევრს ამხედრებს ქმრის წინააღმდეგ: თუ ქმარი ღვინის მსმელი კაცია, რა საკვირველია დამნაშავეა, თუ არ არის ღვინის მსმელი, მაინც დამნაშავეა, ვინაიდან მისი სიტყვით, ქმარს მუდამ ცხვირ-პირი ჩამოსტირის,

ოჯახს ერთხელაც არ გაამსიარულებს, არ გადაისდის წვე-  
ულებას...

თუ წვეულება გადაიხადა, მაშინ სხვა ტექსტი აქვს მზად, —  
ამის ჭამა-სმამ გადაგვიყოლა, ერთი კვირაა ბაზრიდან სანო-  
ვაგეს ვეზიდებით, არ კადლა ამის მუცელი

შვილებსაც მამის სიიუღვილით ზრდის, ოჯახის ყველა  
წევრს მრავალი წლის მანძილზე არწმუნებს, რომ მისი ქმა-  
რი მამაკაცადაც კი არ ვარგა. უმაქნისი, ბედოვლათნი არი-  
ან ქმრის ნათესავებიც, ჯიშსა და მოდემას მთლიანად იწუ-  
ნებს, ამით ქმნის ძლიერ „იდეოლოგიას“ ქმრის წინააღმდეგ  
და ამზადებს საკუთარი წარმომავლობის, მისი პიროვნების  
იდელურობას, ლამის ღვთაებრიობას..

როგორც წესი, ცოლი-მძლავრი მახინჯიც რომ იყოს,  
თავისთავს ლამაზს უწოდებს, კოჭლი და ბრუციანიც რომ  
იყოს, ამბობს რომ ეშხიანია, მართალია, ბრუციანი ვარ, მაგ-  
რამ როგორც ქალი კალმით ნასატ ქალებს ვჯობივარო,  
ამტკიცებს. თხზავს მითს საკუთარ სილამაზეზე: მაგალითად  
ასეთს: საბავშვო ბაღში ისეთი ლამაზი ბავშვი ვიყავი, რეს-  
პუბლიკურ შეკრებაზე წამიყვანეს და ლექსი მათქმევინესო.

მოწაფეობის დროს ვუყვარდი ისეთ ლამაზ მამაკაც კი-  
ნოვარსკვლავს, როგორიც მავანი და მავანი იყო და ა. შ. |

ამგვარი ხერხებით, დღენიადაც საკუთარი თავის ქებით,  
აღწევს იმას, რომ ნაწილობრივ მაინც დაუჯერონ. თუ კი  
ირწმუნებენ, რომ ოჯახის დიასახლისი ულამაზესი ქალია,  
უნიჭიერესი და უკეთილესი ადამიანია, ბუნებრივია, მას პა-  
ტივიც უნდა სცენ. თანდათან ცოლი-მძლავრი იხვეჭს სა-  
ხელსა და, რაც მთავარია, ძალაუფლებას. რაკი ის ასეთი  
რჩეული ადამიანია, მას უნდა ემსახურებოდნენ, ქმარიც,  
შვილიც და ოჯახის სხვა წევრებიც, მაგ. მოხუცი მშობლე-  
ბი. ბოლოს და ბოლოს, ცოლი-მძლავრი აღწევს საწადელს —  
ყველა მას ემსახურება, ყველაფერი მისია, ჭკუას ყველა მას  
ეკითხება, ოჯახის წინამძღოლი ის არის...

ყველა ქალსაც არ შეუძლია მძლავრად ყოფნა, მძლავრება  
სულის თვისებაა და არა ვინმეს ახირება, ან უბრალოდ უზ-  
ნეო საქციელი.

როცა ოჯახში მამაც და დედაც წყნარი, მშვიდი, წესი-



ერი ადამიანები არიან, მაშინ თავს წამოჰყოფს შვილი-მძღავერი.

ხომ გინახავთ, პატარა ბიჭი, ვოქვათ, ხუთი ექვსი წლისა ყმაწვილი, მთელ ოჯახს დედას, მამას, ბებიას, ბაბუას, ბიძას, მამიდას, ყველას ერთად, თითზე რომ დაიხვევს და თავის ჭკუაზე ატარებს — ის ყმაწვილი მომავალი მძღავერი გახლავთ. მძღავერთა ამომავალი ვარსკვლავი! შვილის მძღავერად ქცევაში დიდ როლს ასრულებენ დედა, ბებია... და ა. შ. ისინი ქმნიან შვილის კულტს, ისევე, როგორც ქმნიან კულტს ქმნიან ცოლები.

შვილი-მძღავერი აკვნიდან ყალიბდება. იქ, სადაც ბავშვის ყველა სურვილი სრულდება, ნიდავი შვილი-მძღავერის წარმოსობისათვის მზად არის! განსხვავება მამი-მძღავერს, დედა-მძღავერსა და შვილ-მძღავერს შორის თითქმის არ არის. ყველა მისი საქციელი ეგოისტური ზრახვებით იკვებება. ეგოიზმი, საკუთარი თავის პატივისცემა, გაზვიადება და კულტად ქცევა, მათი საერთო დამახასიათებელი თვისებებია.

შვილი-მძღავერის მძღავერება უფრო საშიშია ოჯახისათვის, ვიდრე ასაკოვანი მამა-მძღავერის, ან დედა-მძღავერისა. შვილი-მძღავერი ახალგაზრდაა, ძალ-ღონით სავსე, ბუნებრივია, მისი სიძვე ოჯახის წევრებს მეტად ვნებს. როცა აციოტცდაერთი წლის ვაჟკაცი შინ მთვრალი მოიჭრება და მოხუც მშობლებს ბანქოს სათამაშოდ ფულს მოთხოვს, რა საკვირველია, წინ მას ვერაფერი დაუდგება. შვილი-მძღავერი განსაკუთრებით საშიშია, მაშინ როცა ის ლოთია, ან აზარტული მოთამაშეა, ნარკომანია და ა. შ.

თუ ქურდი და ყაჩაღია, მძღავერება სხვაგან, გარეთ, სორციელდება. ის სხვისთვის, ე. ი. საზოგადოებისთვის უფროა საშიში.

შვილი-მძღავერი ოჯახის გამანანავებელ-გამანადგურებელია. მან თავისი სურვილების დასაკმაყოფილებლად, შეიძლება მშობლებს ყველაფერი წაართვას, სახლ-კარიც გააყიდინოს, უღუკმაპუროდ დატოვოს, მარადიული შიშის ქვეშ ამყოფოს, იმსახუროს ისინი სულის ამოხდომამდე და, ბოლოს, თავისი ავკაცობით დააჩქაროს მათი სიკვდილიც, ხო-

ლო როცა დაიხოცებიან, თავისი მკვდრები მეზობლებს და-  
ამარხვინოს.

შვილი-მძლავრი ხშირად დიდხანს ვერ ინარჩუნებს ნამ-  
დვილი მძლავრი-ტირანის სახეს. რახან ყველა სურვილს  
უსიტყვოდ, უყოყმანოდ, დაუბრკოლებლად ისრულებს, ადრე  
ლოთდება, ან ნარკომანი სდება, ან ხიფათს გადაეყრება და  
იღუპება. რასაკვირველია, უფრო ხშირად კი ყალიბდება  
ნამდვილ ტირანად და საზოგადოებრივ სარბიელზე გა-  
მოდის.

### მძლავრი საზოგადოებრივ სარბიელზე

მძლავრება იწყება შინაურობაში. მძლავრი, პირველ ყოვ-  
ლისა, შინაურებს ჩაგრავს, მაგრამ იქ ასპარეზი შეზღუდუ-  
ლია, მცირეა მოქმედების არე. სრულ სახეს მძლავრი სა-  
ზოგადოებრივ სარბიელზე გამოაჩენს ხოლმე.

ყველაზე გავრცელებული, ჩვენთვის მეტად ნაცნობი  
მძლავრი საზოგადოებრივ სარბიელზე გახლავთ მძლავრი —  
დირექტორი. წარმოების ხელმძღვანელი, მეურნეობის, და-  
წესებულების, სკოლის და ა. შ. დირექტორი, უმაღლესდამ-  
თავრებული არამზადა, ვინც, წარმოებაში, დაწესებულებაში  
მოსულია მხოლოდ და მხოლოდ პირადი კეთილდღეობის  
შესაქმნელად.

მთავარგანაზრახს — პირად კეთილდღეობას, საგულდა-  
გულოდ ნიღბავს. თავი ისე მოაქვს, რომ პირადი სწორედ  
არაფერი აინტერესებს, მოვლენილია საზოგადო საქმეთა სა-  
კეთებლად. თანამშრომლებისათვის (ხალხისთვის) ზრუნვა  
მისი მთავარი საზრუნავია. „ამისთვის კი საჭიროა წესრიგი  
და დისციპლინა“ — ასე მეტყველებს; ახორციელებს კიდევ  
ამას. პირველ რიგში სწორედ სამსახურში მოსვლას, დილით  
სამსახურში გამოცხადებას „მოაწესრიგებს“.

ვიდრე მძლავრის საქმიანობის წვრილად აღწერას მივ-  
ყოფდეთ ხელს, ჯერ უნდა გავარჩიოთ მძლავრი-დირექტორის

ორი სახე. პირველი: ძველებური, უხეში, უზრდელი, გაუნათლებელი, ძალისმიერი, აშკარად მოქმედი, ასე ვთქვათ, „გულწრფელი“ მძლავრი და, მეორე: ახლებური, თანამედროვე, ფარულად მოქმედი, განსწავლული, ზრდილობიანი, „მაღალი გემოვნების“ მზავრელი.

ორივე ტიპის მძლავრი თავიანთ საქმიანობას „წესრიგითა და დისციპლინით“ აწყებენ. სამსახურში მოსვლას ამოწყებენ, საგანგებო გულმოდგინებით. ხუთი წუთის დაგვიანებისათვის თანამშრომლებს მოხსენებით ბარათებს აწერავენ, ამით თესავენ შიშს, — თანამშრომელს დირექტორის უნდა ეშინოდეს. სამსახურში დაგვიანებულებს პირველი ტიპის მძლავრი-დირექტორი სხვაგვარად ტუქსავს, მეორე ტიპისა სხვაგვარად.

პირველი ტიპის მძლავრი-დირექტორი: სად დაეთრეოდლი

დაგვიანებული: ბავშვი ავად გამიხდა.

პირველი ტიპის მძლავრი-დირექტორი: ახლავე დავსერ ბრძანებას და გაგაგდებ სამსახურიდან!

მეორე ტიპის მძლავრი-დირექტორი: სად ბრძანდებოდით, გეთაყვა?..

დაგვიანებული: ბავშვი ავად გამიხდა.

მეორე ტიპის მძლავრი-დირექტორი: იცით რა, თქვენ უნდა დაწერთ განცხადება და თქვენი სურვილით წაბრძანდეთ სამსახურიდან!

დღლის მკაცრი შემოწმება მძლავრებს თავიანთი უსაქმობისთვის სჭირდებათ. დაშინებული თანამშრომლები ვერ გაბედავენ საბუშაო ადგილის მიტოვებას. მძლავრი კი მთელი დღის განმავლობაში, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს. შესაძლოა შინაც წავიდეს, წამოწოლილმა უყუროს შორმხედს, (ტელევიზორს) საღამო ხანს, სამუშაოს დამთავრების დროისათვის, კვლავ მოვიდეს სამსახურში და შემოწმოს ვინ როდის წავიდა.

ელვისებური შემოწმება მძლავრთა საყვარელი საქმიანობაა.

მძლავრი წასვლა-მოსვლას ზოგჯერ ელსმენითაც ამოწმებს. მთელი დღე არ მოვა სამსახურში, დღის ბოლოს და-

რეკავს და მდივანს ჰკითხავს არიან თუ არა თანამშრომლები სამუშაოზე. დიას, აქ არიან — მიუგებს მდივანი, — არ უნდა უფროსი გაანერვიულოს, მის დასამშვიდებლად ცრუობს. მძლავრი, რა საკვირველია, მდივანს არ დაუჯერებს და სათითაოდ გამოიძახებს ყველას ელსმენთან. ვინც არ არის, ყურმილთან როგორ-ღა მოვა? — მდივანი მოჰყვება თავის მართლებას. მაშინ მძლავრის მრისხანებას არა აქვს საზღვარსამანი... „ყივის ვითარცა მხეცი მძვინვარე და იზახის ვითარცა ცოფი!“.. ელსმენით მძვინვარება არ დააკმაყოფილებს, „მოვარდება“ სამსახურში, მოხსნის მდივანს და უმალ უკან გაბრუნდება: თანამშრომლებს უჩვენებს, რომ აუცილებელი საკუთარი საქმე გადასდო წესრიგის დასამყარებლად.

ეს პირველი ტიპის მძლავრის საქციელია. მეორე ასე არ მოიქცევა. ღრვივებ კარგად იცის, რომ ადამიანის სამსახურიდან გაგდება ასე თვითნებურად არ შეიძლება, მერე რა! — დაე, აღიდგინოს თავი დამნაშავემ, იწვალოს, სასამართლოში იაროს, ბოლოს მძლავრი მას ყველაფერს აპატიებს და დაბრუნებს, თანამშრომლები კი იტყვიან: დირექტორი, მართალია, მკაცრია, მაგრამ კეთილი ადამიანია. კეთილი რახან არის, ე. ი. სიმკაცრე სამართლიანი იყო.

მეორე ტიპის მძლავრი ასწრაფებული არავის მოხსნის, თუ სამსახურიდან ვინმე დაითხოვა, თუ ვინმეს გადაემტერა, ის უკან ვერ დაბრუნდება. მისი განაჩენი საბოლოოა. გულმონწყალეზაც გაანგარიშებული აქვს. თუ პირადად, მას, არავითარ სარგებლობას არ მოუტანს გულმონწყალეზა, სხვისთვის თავს ვერ შეიწუხებს. ამიტომ, მეორე ტიპის მძლავრი უფრო საშიშია, ვიდრე პირველი ტიპისა.

დაწესებულებაში მუშაობა მარტო წასვლა-მოსვლა, სამუშაოზე გამოცხადება, არგამოცხადება არ არის, ეს მთელი ცხოვრებაა.

ადამიანი მიჯაჭვულია თავის სამუშაო ადგილზე, მშობლიური საწარმო ოჯახზე ნაკლებ როლს როდი თამაშობს მის ცხოვრებაში. კუთვნილი სიცოცხლის მეტწილს იქ ატარებს, დილიდან დაღამებამდე იქ არის, სამუშაოს შემდეგაც ვერ გამოდის საწარმოდან, ხან კრებაა, ხან დამატებით სამუშაოს ასრულებს, ხან შაბათობაა, ხან მშვიდობის ფონდისთვის

ზრუნავს, ხან უბრალოდ შეჰყვა საუბარს და მეგობრებს ვერ მოსცილდა.

საკუთარ ოჯახში ამდენ ხანს — 8-10 საათს ვერ დაჰყოფს, დრო აღარ რჩება, შინ დაბრუნებულმა დიდი-დიდი ერთი-ორი საათი გაატაროს თავის ცალ-შვილში, ამასობაში და-ღამდება და უნდა დაისვენოს.

მამსაღამე, საწარმო, დაწესებულება ადამიანისათვის მკეთრე ოჯახია. თუ იქ მძლავრი ბატონობს, ადამიანიც შეჭირვებულია. ბატონობს ცოტა. სადაც დირექტორი-მძლავრია ხელმძღვანელი, კაცი იფიქრებს, იქ მონათმფლობელური წესწყობილებაა აღდგენილი, მონათმფლობელის კანონები მოქმედებენო.

დირექტორი-მძლავრის მოადგილე ტანჯული ადამიანია. მძლოლი ხომ როგორც პატიმარი მთელის თავისუფლებას, ისე მთელის დირექტორის მოხსნას.

მაგრამ ძალის თავი სწორედ აქ არის დამარსული! დირექტორი-მძლავრის მოხსნა-განთავისუფლება სმსახურიდან არც ისე იოლია. ის კარგი მუშაკია, გვემას ყოველთვის ასრულებს, უფროსობას იჩივდი აქვს — საწარმოს ის არ გაანანავებს. თუ დაწესებულების დირექტორია, ის დაწესებულება რაიონში ყოველთვის პირველია, რატომ უნდა მოიხსნას ასეთი მუშაკი?.. მერე რაა თუ თანამშრომლებში შიშს თესავს, დაე, თესოს შიში, თლონდ საქმე გაკეთდეს.

თვით თანამშრომელთა შორისაც მას კარგი სახელი აქვს. მართალია, მკაცრი კაცია, მაგრამ საქმე იცის, — ამბობენ მასზე, — ის რომ არ იყოს, ჩვენი საწარმო ჩავარდებოდა... მერე რაა თუ ვიღაც ერთი ადამიანი დაჩაგრა, სამაგიეროდ საერთო საქმე გააკეთა.

როცა მძლავრ-დირექტორს აწინაურებენ, კოლექტივი ტირის, — რა გვეშველება, მასხავით ვერავინ გვისხელმძღვანელებსო.

ისტორიამ იცის ისეთი შემთხვევაც, როცა მეფე-ტირანი გარდაიცვალა, ათასობით ადამიანმა მდინარეში დაიხრჩო თავი, ჩვენს სიცოცხლეს აზრი არა აქვს, სჯობს, მამასთან ერთად, ჩვენც დავიღუპოთო.

სულის დაჩაგვრა ყველაზე დიდი დაჩაგვრაა, რაც კი ადამიანის სატანურ გონებას დასაბამიდან დღემდე მოუფიქრებია.

როცა პედაგოგი-მძლავრი გაკვეთილს იწყებს ორიანის წერის მუქართ, წესრიგის დასამყარებლად მკაცრობს, საკონტროლო წერებს ატარებს მოულოდნელად, კმნის შიშის ჰავას, შიშის გარემოს, მოსწონს როცა მოწაფეებს მისი ეშინიათ, იწყება სულის დაჩაგვრა.

როცა მეცნიერი-მძლავრი კათედრაზე ერთი აზრის გარდა სხვა აზრს არ აჭაჭანებს, მთელი კათედრა მისი აზრის დასამტკიცებლად მუშაობს. თუ ვინმემ გაბედა და სხვა აზრი გაუჩნდა, მას სამსახურის დაკარგვა მოელის, შეიძლება საერთოდ ჩამთავრონ მეცნიერებას, სულისა და გონების დაჩაგვრა!

სულისა და გონების დაჩაგვრაა მძლავრება მწერლობასა ზედა, როცა მთელ მწერლობაზე მძლავრი ბატონობს და ნახირივით ერთი მიმართულებით მიერეკება.

ეს საკიოსები მწერლისთვის დიდი და ვრცელი თემებია, მაგრამ, აძჯერად, მათ ვერ შევხები, ჩემი დაკვირვების არე შეზღუდულია, მე მხოლოდ მწერალი-მძლავრის ზოგ ვნებას აღვწერ, ზოგ საქციელს მივადევნებ თვალს, ვინაიდან სულის დაჩაგვრა, ანუ სულიერი მძლავრება მწერალთა შორის უფრო შენიღბულია და უხილავი, უფრო დამაჯერებლად „გამართლებულია“, ვიდრე მძლავრებანი სხვადასხვა დაწესებულებებში, ამიტომაც უფრო ძნელია თვალის კიდება, დანახვა მათი.

მწერალი-მძლავრი მაინტერესებს და მათცებს. მათცებს უნარი მძლავრებისა, შეძლება მძლავრებისა მწერალთაგან.

პირველი ნიშანი მწერლური მძლავრებისა, სხვათა აზრების უარყოფაა.

თითქოს პირიქით უნდა იყოს, მწერალი განსხვავებულ, თუნდაც მცდარ აზრს, პატივს უნდა სცემდეს, უნდა ისწრაფოდეს აზრთა სხვადასხვაობისაკენ, მრავალფეროვნებისაკენ,

ბოლოსდაბოლოს, აზრის თავისუფლებისაკენ. არა! თვითონ ბორკავს აზრს, თვითონ არის პირველი ბეტონის კედელი. გარდა საკუთარი აზრისა, სხვათა აზრის არამც თუ გაზიარება, მოსმენაც კი უჭირს. რომ ჰკითხო, თითქოს ვანსხვავებული აზრის მომხრეა, ოღონდ ეს აზრი მხოლოდ მას უნდა გააჩნდეს. მეორე მწერალს კიდევ სხვა, მისი აზრისაგან განსხვავებული აზრი დაებადოს, ამას ვეღარ დაუშვებს.

მწერალი-მძლავრიო რომ ვამბობ, მარტო მოთხრობების მწერალს როდი ვგულისხმობ, ზოგადი, ფართო მნიშვნელობით ვხმარობ სიტყვას, — ივარაუდება ლექსის მწერალი პოეტიც, პროზაიკოსიც, კრიტიკოსიც, მთარგმნელიც, პუბლიცისტიც და ა. შ.

ერთი აზრის გაბატონებას მწერლობა დიდი ხანია შეჩვეულია: გაბატონდებოდა მწერალი-მძლავრის, ან სხვა რომელიმე მძლავრის აზრი სამწერლო სარბიელზე და მორჩა, ათეული წლები ეს აზრი ძველი თოვლივით იდო და იდო, ვინ გაბედავდა მის შეცვლას, ან სხვა აზრის გამოთქმას. ახლა ის დრო აღარ არის, მაგრამ ახლა თვითონ მწერლები მძლავრობენ ერთმანეთზე და ცოცხალ აზრს თვითონ კლავენ. ამის გამო სიახლე მწერლობაში უცხო სილია, როგორც წესი, ცრუ სიახლე სააღდება სიახლედ. შეუძლებელია ნამდვილი სიახლე იქ დაიბადოს, სადაც ერთი აზრი ბატონობს.

სწერალი ვალდებულია მეორე აზრის გაჩენისათვის იომოს, პირიქით კი ხდება, მწერალი-მძლავრი მეორე აზრს ებრძვის. მხოლოდ საკუთარ აზრს სცემს პატივს, იმას უკვლევს გზას, ჟურნალ-გაზეთებსაც იმას დააპყრობინებს. თუნებას მისცემ, შეუძლია მთელ მწერლობაზეც გაბატონოს თავისი აზრი. ეგებ გრძნობდეს, სედავდეს კიდევ რომ ამგვარი მძლავრება აფერხებს მწერლობის განვითარებას, აზრის წინსვლას, ეს არ ადარდება, მთავარია, მ ი ს მ ა ა ზ რ მ ა ი ბ ა ტ ო ნ ო ს.

თითქოს ჭეშმარიტებაც მის მხარესაა: მართლაც, თუ მტკიცე ადამიანი ხარ, სულიერად შეურყეველი, თუ შენი აზრის ერთადერთობისა და შეუცვლელობის გჯერა, განა უნდა ირწეოდე ვითარცა ლერწამი, მერყეობა სულ არ შეპყრის

ვაუკაცსა და პატიოსან ადამიანს, მით უფრო პატიოსან აზროვნებას. ხედავთ, რა რკინის ფარდის უკან იმალება მწერალი-მძლავრი!

სხვისი ღვაწლის არდინახვა, სხვისი შემოქმედების უარყოფა, გაბიაბრუება, გაქილიკება — მწერალი-მძლავრის თვისებაა.

სხვა მწერალი მიათვის არავინ არის ამ ქვეყნად, სამდვილი მწერალი, ერთადერთი, ნიჭიერი, განათლებული, ღრმა მოაზროვნე, პატიოსანი, რაინდი მხოლოდ ის არის. სხვა, არცერთი, მის ფრჩხილად არ ღირს. ისინი ცრუ მწერლები არიან, ის (მწერალი-მძლავრი) ერთი დაბადებულა ამ საუკუნეში, მეორე შეუძლებელია ასე უცებ გაჩნდეს.

რახან ერთადერთია, შეუცვლელია, ცით მოვლენილია, მისი წიგნები უნდა გამოვიდეს ყოველ წელიწადს, დიდი ტირაჟით, ბევრი ფული უნდა აიღოს, უნდა ითარგმნოს მრავალ ენაზე, ყველა ჟურნალში, ყველა გაზეთში მისი ნაწერები უნდა იბეჭდებოდეს; რადიო, ტელეხედვა დღე-მუდამ მის ნაწარმოებებს უნდა გადასცემდეს ან თვითონ უნდა გამოდიოდეს რადიოთი და შორმხედით. როგორც წესი, ყველა სურვილი უნდა დაიკმაყოფილოს. ნებას თუ მისცემენ, სულ მუდამ მისი იუბილე იქნება, უარს არ იტყვის, არც დაიღლება ოცდაათხი საათი, თორმეტი თვე საიუბილეო სკამზე რომ იჯდეს.

მწერალი-მძლავრი, მეტწილად, თანამდებობის პირია, რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელი. იმ დაწესებულებაში, სადაც მწერალი-მძლავრი მოღვაწეობს, მცნებებს: სიმართლიანობა, ობიექტურობა, ჭეშმარიტება — მნიშვნელობა შეცვლილი აქვთ. სამართლიანი, ობიექტური და ჭეშმარიტიც ის არის. რაც მძლავრს სურს.

მოქმედებს; მოღვაწეობს პრინციპით: მე კარგი ვარ, სხვა ყველა ცუდია.

უთანამდებებო მწერალი-მძლავრი ვერ ახდენს დიდ ზეგავლენას მწერლობაზე, მაგრამ იქ, სადაც ლიტერატურის ბედი წყდება, თანამდებობის პირი მწერალი-მძლავრი აშკარად აფერხებს ლიტერატურის, საერთოდ, აზროვნების განვითარებას.



მწერალი-თანამდებობის პირი როცა მძლავრია, ე. ი. ერთმართველია, ტირანია და ეს მისი მძლავრობა ბავშვობიდან ჩამოყალიბებული, აწ. უკვე თვისებად ქცეული უზსი-ობაა, მთელი მისი მოღვაწეობის საფუძველიც უზსიობაა. ადამიანური უკეთურობასა, რაც სხვა მძლავრებს გაანსიათ, მწერალ-თანამდებობის პირ მძლავრსაც ხომ გაანსია და გა-ანსია, ამას ემატება პროფესიული უკეთურობანიც. მაგ., მხატვრული ნაწარმოების შესაფასებლად ობიექტურ კრი-ტერიუმს არ ცნობს; მორწონს, არ მომწონს, — ასე აფასებს მთელ ლიტერატურას, რატომ მოსწონს, ან რატომ არ მოს-წონს, ამისთვის თავს არ შეიწუხებს.

ყველაზე მეტად მოსწონს საკუთარი ნაწერი და იმას ბეჭდავს კიდევ პირველ რიგში. შემდეგ ნაცნობ-მეგობრე-ბისას დაბეჭდავს და ამით ამოიწურება მისი მოღვაწეობა; დანარჩენებს კისერი და კინჩხა უტყეხიათ, მძლავრის ნებას უნდა დამორჩილდნენ.

მძლავრის ნება! ეს მცნება მეტად თავისებური რამ გას-ლაგთ: მძლავრის ნებაა არ წაიკითხოთ მესი ლექსი, მათა-რობა, ან რომანი და ამით მოგიშორის თავიდან.

მძლავრის ნებაა წლების განმავლობაში გატაროს რე-დაქციაში, დაგიბაროს ამ თვეში, იმ თვეში... მოგებზრდეს თავი და საკუთარ ნაშრომზე თვითონ თქვა უარი, საერთოდ არ მიაკითხო, ხელნაწერიც კი უკან არ წაიღო, ეგებ წაიკი-თხოს კიდევ, არ მომეწონაო გითხრას ცივად და უკან გაგა-ტანოს, ან საერთოდ დაკარგოს შენი რომანი, ან ლექსების კრებული და ამ მიზეზით არ დაბეჭდოს — ესეც მძლავრის ნებაა. სხვა მრავალი ხერხიც იცის მწერლის დასაჩაგრავად, ზოგი ისეთი დახვეწილი გემოვნებისაა, ვერც გაიგებ, რო-დის დავჩაგრა და როდის არა.

არის მძლავრების უფრო იოლი, მაგრამ ძალზე მახინჯი ფორმებიც: როცა მხატვრული ნაწარმოების შინაარსს გაც-ვლევინებენ. ფინალი უნდა შეცვალო, — ავისირდებიან. თუ ფინალს შეცვლი, რომანის, მოთხრობის, ლექსის, პოემის შინაარსი ზოგჯერ მთლიანად იცვლება. მერე რა მძლავრი-ხელმძღვანელისთვის სულერთია მწერალს რისი თქმა სურ-და, მთავარია მას — მძლავრს არაფერი დააკლდეს, საყვედუ-

რი არ უთხრან. ყოფილა შემთხვევა, როცა მწერალმა ჩაიფიქრა ერთი, მაგრამ იმდენჯერ შეაცვლევინეს, გაბოვიდა მეორე. ესეც არაფერია. მძლავრის სურვილი: პატივმოყვარეობა ხომ დაკმაყოფილდა! — მთავარი ეს არის.

მძლავრი გასამრჯელოსაც თვითნებურად იძლევა.

მხატვრული ნაწარმოები ხარისხის მისედვით კი არ ფასდება, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი ავტორი.

თვითნებობას, მძლავრებას ყველა მწერალი არ ემორჩილება, ამიტომ მსოფლიო მძლავრთა ნაცადი უძლიერესი დამთრგუნველი იარაღი — შიში, მწერალ-მძლავრსაც ჯიბეში უდევს. მის მიერ სულიერად, მატერიალურად დაჩაგრულ მწერლებს მარადიულად შიშის ქვეშ ამყოფებს.

ძველ დროში შიშის ჩამოგდება უფრო იოლი იყო, ვიდრე დღეს, ძველი შიშის კანკალი ჯერაც არ გასელებია მწერლობას, მართალია, ძველი სატანური მძლავრებანი მწერალთა წინააღმდეგ უარყავით, მაგრამ შიში მაინც დარჩა. დღევანდელი მძლავრი ამ შიშს მარჯვედ იყენებს.

მაგ., დღევანდელი მძლავრი უცებ სიკვდილს არ მოგისჯის, ჯერ დაამტკიცებს, რომ უნიჭო ხარ, ზედმეტი ხარ მწერლობისათვის და შემდეგ ნელ-ნელა მოგიღებს ბოლოს... და ა. შ.

თანამდებობის პირი მწერალი-მძლავრი, უმეტესად ის ადამიანია, ვისაც საზოგადოება განსაკუთრებულ პატიოსან, ობიექტურ და სამართლიან მოღვაწეობას თხოვს. მათ მიერ ჩადენილი მცირე უწესობაც კი ყურადღებას იპყრობს და მითქმა-მოთქმას იწვევს. არა მარტო მათ, საერთოდ მწერალს, ხალხი პასუხს თხოვს ვერცხლისმოყვარეობისათვის, მუცელმერთობისათვის, მექალთანეობისათვის, მცირედ-მორწმუნეობისათვის და სხვა ადამიანურ სისუსტეთათვის. სამართლიანია ეს მოთხოვნა! სხვას საითკენაც მოუწოდებ, შენც იმ გზით უნდა იარო. გაუგონარი უზნეობაა სხვას მოუწოდო ბრძოლისაკენ, თვითონ კი სოროში იმალებოდე.

მწერალი-მძლავრის (არა მარტო მწერალი-მძლავრისა!..) უპირველესი თვისება სწორედ ეს გახლავთ; იბრძვის მომხვეჭელობის წინააღმდეგ, პირველი მომხვეჭელი თვითონაა, იბრძვის ტირანიის წინააღმდეგ, პირველი ტირანი. თვითონ-

ნაა, იბრძვის მშვიდობისათვის, პირველი შფოთისთავი თვითონაა.

ეგებ ვინმემ თავისთავი ამოიცილოს ამ წერილში, თავისთავს მაინც არ გამოუტყდეს და თქვას: არა, მე ეს არ შემეხება, ალბათ ამაზე და ამაზეა დაწერილიო, სხვას დაუწყოს ძებნა, სხვისი მძლავრებანი გაიხსენოს, სულ ტყუილ-უბრალოდ! მცირე დოზით მძლავრი ყოველ ჩვენთაგანში ზის, სჯობს მზერა საკუთარ სულში ჩავაბრუნოთ და მძლავრი იქ მოვსპოთ, სადაც დროებით შეყუჟულა, ელოდება დროსა და ჟამს, იფეთქოს და მთელი ქვეყნიერების დასაპყრობად აღიძრას.

უბედურებაა როცა ოჯახში მეფობს მძლავრი, უფრო დიდი უბედურებაა, როცა იგი საზოგადოებრივ სარბიელზე გამოდის, კატასტროფაა როცა სახელმწიფოს ჩაუდგება სათავეში, მაგრამ სულიერ სფეროებში მძლავრის განჩენა: მწერალი-მძლავრის, მეცნიერი-მძლავრის, პედაგოგი-მძლავრის და ა. შ. წარმოქმნა, ეს ალბათ უეუბედურებაა, ზეკატასტროფაა.

## დედა ენა

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „დედა ენას“ ერის მომავლისათვის, რა „საერო“ და „საღვთო“ საქმეა „დედა ენის“ კარგად შედგენა. ზოგიერთი რეცენზენტი, ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი „სწავლული“ ხელალებით უარყოფს ჩვენს „დედა ენას“. თუ სმამალა არ აცხადებს, გუნებაში მანც ფიქრობს, რომ თვითონ უფრო დიდი პატრიოტია, ვიდრე „დედა ენის“ შემდგენლები, თვითონ უკეთ, უფრო დიდი სიყვარულით შეადგენდა ყმაწვილთათვის ანბანსა და საკითხავ წიგნს. რა თქმა უნდა. ამგვარი სურვილი საძრახისი არ არის, პირიქით, მოსაწონია, მაგრამ „დედა ენას“ მხოლოდ კეთილი სურვილებითა და პატრიოტული გრძნობებით ველარ შეადგენ. საჭიროა დიდი ცოდნა, დიდი მწერლობა, გოგებაშვილისებური განსწავლულობა და საქმის სიყვარული. ამიტომ, უფლება არა გვაქვს დიდი პატივისცემით, მოკრძალებითა და სიყვარულით არ აღვნიშნოთ ის დიდი ჯაფა, რაც წლების მანძილზე გასწიეს ჩვენმა სახელოვანმა მცხოვანმა პედაგოგებმა ქალბატონებმა ნინო ბოცვაძემ და ეკატერინე ბურჯანაძემ. როგორც ვიცით, მათ „დედა ენაზე“ მთელი თაობები აღიზარდა. დღევანდელ ჩვენს ყმაწვილობასაც მათი მადლიანი ქართული ჰკვებავს.

ჩვენ მივესალმებით, გვიხარია და ვამაყობთ, როცა „დედა ენაში“ გონებამახვილურ სიახლეს ვნახავთ, როცა ჩვენი ბავშვები, ძალდაუტანებლად, ლალად და მხიარულად ეწაფებიან ცოდნის წყაროს, როცა ჩვენს „დაუწერელ დაფებზე“ ჭკვიანური ამბები იწერება.

თუ საზოგადოება გონიერია, თუ მას აწუხებს თავისი ეპოქის, თავისი სამშობლოსა და ხალხის სასიცოცხლო საკითხები, უსათუოდ დაინტერესდება ხვალინდელი დღით. იკითხავს: ვინ იქნება ხვალინდელი ქართველი კაცი, როგორ იზრდება

იგი, როგორ ვითარდება, როგორია მისი გონებრივი საზრდო.

ილიასა და მის თანამებრძოლებს აინტერესებდათ არა მარტო ის, რომ, ადრიდა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა, არა მარტო ვლესკაცისა და ყმის ლიტანი ბედი და ჩატეხილი ხიდის პრობლემა აწუხებდათ, მათ ყურადღება, ფიქრი და ზრუნვა არ მოკლებია მოზარდ თაობას, ბავშვს. ამიტომაც, სწორედ ამ დროში შეიქმნა ყველა კარგი ქართული სახელმძღვანელო, დაიწერა უამრავი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა და ლექსი.

ი. გოგებაშვილი ფსიზლად დარაჯობდა არა მარტო პედაგოგის თეორიულ სფეროს, თვალ-ყურს ადევნებდა, იცნობდა სკოლებს, პედაგოგებს, იცოდა, სად როგორი იყო სწავლება. კარგი სარდალივით მეთაურობდა მთელი საქართველოს სწავლა-განათლების საქმეს.

ცნობილია, რა ცხარედ შეებრძოლა იგი დოგმატიკოს პედაგოგებსა და ხელისუფლებას, როცა ვიშნაზიიდან უკანონოდ ვარიცხეს ერთი ობოლი გურული ბიჭი.

გოგებაშვილის დიდი შემოქმედება და პრაქტიკული ძალვაწეობა შესანიშნავი მაგალითია ჩვენს მწერლებსა და პედაგოგებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ შემისხვევით კი არ გაამასვილა ყურადღება დედაზე, შექმნა ქართველის დედის კლასიკური სახე და თავის თანამედროვეთ უკადაგა, თუ რა არის ქართველი ქალის „დანიშნულება და საღვთო ვალი“, ი. გოგებაშვილმა კი ყმაწვილთა, ჯერ სრულიად ჩვილ ყრმათა გაწერის ადრედაიკისრა. მათ საზოგადოებას მოუძებნეს სათავე — დედა და შვილი და მთელი ეროვნების მოქცევა აქედან დაიწყო. ეს იყო მოფიქრებული, ღრმად გააზრებული ეროვნული ბრძოლის პროგრამა.

ამიტომ, ქართული ანბანისა და საკითხავი წიგნის „დედა ენის“ პირველი გამოჩენა წიგნის თაროზე დიდი მოვლენა იყო ჩვენი ხალხისათვის. საზოგადოებაც მას დიდი ინტერესით შესვდა. „დიაღ, კარგი, სწორედ ჩინებული დარი დაუდგა დედაენასა — წერდა გოგებაშვილი, — ერთი წლის განმავლობაში მან გაიკრა მთელი ოთხი კრიტიკა. მეტი ღვთის

წყობა კიდევ გნებავთ, — მეტადრე ამ ჩვენს უყურულს და ზანტ დროში, როდესაც ამისთანა დიდად საყურადღებო, ფრიად შესანიშნავმა ლიტერატურულმა მოვლენამ, როგორც არის აკაკის ისტორიული პოემა, ჩვენს კრიტიკოსებს „ობლოპოვშინა“ ვერ შეურყია, ყური ვერ გააბერტყინა“.

„დედა ენის“ გარშემო ცხარე კამათი გაჩაღდა. საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ თავის ღვიძლ საქმედ განხიდა „დედა ენის“ კარგად შედგენა.

რა თქმა უნდა, დღეს ჩვენ სულ სხვა დროში ვცხოვრობთ, გვაქვს სურვილი ჩვენი ბავშვებისათვის კარგი „დედა ენა“ შევადგინოთ, ამისთვის არსებობს დაწესებულებები და ინსტიტუტები, შევქმენით კიდევ მშვენიერი „დედა ენა“, მაგრამ შეიძლება თუ არა უკეთესზე ფიქრი? როგორ გამოიყურება იგი დღეს?

ერთ წელიწადში „ოთხი კრიტიკა“ კი არა, გადის ათეული წლები და ჩვენს პრესაში კანტი-კუნტად თუ გამოჩნდება „მოკრძალებული“ წერილი „დედა ენაზე“. უფრო მეტიც, ამასწინათ მწერალთა კავშირში მოეწყო „დედა ენის“ განხილვა. ჩვენმა გაზეთებმა, რადიომ და ტელეხედვამ ხუთასტრიქონიანი ინფორმაციაც კი არ გამოაქვეყნეს, საზოგადოებას ცნობაც კი არ მიაწოდეს, რომ „დედა ენის“ განხილვა შედგა.

ახლა ვიკითხოთ, როგორ შეხვდა „დედა ენის“ განხილვას მწერალთა და პედაგოგთა საზოგადოება. საღამოს დაესწრო ის, ვინც ვალდებული იყო დასწრებოდა. მოისმინეს მოხსენება. პედაგოგებმა, არც ერთი შენიშვნა არ გაიზიარეს.

მაინც რა მაწუხებდა, როცა „დედა ენაზე“ ჩემი მოსაზრების გამოთქმა დავაპირე? აი, რა:

1. „დედა ენა“ არ არის თანამედროვე.

ბავშვი ყველა საუკუნეში ერთნაირია. გოგებაშვილის დროინდელი ბავშვი და ჩვენი საუკუნის ბავშვი, ვიდრე გონება არ გახსნიათ, ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ბუნება ერთნაირ ნაყოფს იძლევა ყველა დროში. მაგრამ ბავშვის განვითარება, მისი გონებრივი ჩამოყალიბება სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ხდება. ეს გამოწვეულია გარე-

მრ პირობების, ყოფის ცვლილებით. შეიძლება ამგვარი სა-  
ოცარი მაგალითის მოტანა: ჩვენმა ბავშვმა იმდენი რამ  
იცის, რაც მე-19 საუკუნის საქართველოს ყველაზე მოწი-  
ნავე სწავლულებმაც კი არ იცოდნენ.

გადიდდა, გაფართოვდა ადამიანის გონების თვალსაწი-  
ერი, ნოსირელი თუ ძიმითელი დღევანდელი ბავშვი შორმ-  
ხედთან ზის და ჩეხოსლოვაკიიდან რეპორტაჟს უყურებს, ან  
ინგლისურის გაკვეთილებს ისმენს.

საკითხავია, ამ ბავშვისათვის საკმარისია თუ არა ჩვენი  
„დედა ენა?“ ეგებ სხვაგვარად უნდა ვესაუბროთ დღევანდელ  
ბავშვებს?

„დედა ენის“ ნორჩი გმირი არ არის ჩვენი თანამედრო-  
ვე, იგი არ სწავლობს მუსიკას, არ უყურებს შორმხედს. არ  
იცის კოსმოსის. ამბები, ხატვითაც კი არ დაინტერესებულა.  
„დედა ენის“ ბავშვი მე-19 საუკუნის ბავშვია, იგი იზრდება  
სოფელში, თავის ყურშასთან ერთად დადის სამწყემსურში  
ან ჭრელ პეპლებს დასდევს. ქალაქში იშვიათად ჩამოდის და  
როცა ჩამოდის, გაკვირვებული ათვალთქმობს ყოველივეს,  
უკვირს, რატომ არ არის თბილისში ბოსტნები და ყანები,  
სხვათა შორის, თბილისიც მე-19 საუკუნის დროინდელია,  
თორემ პატარა ვანოს უფრო გაუკვირდებოდა, როგორ მუშა-  
ობს საბაგირო გზა ან რა არის მეტრო.

ჩვენი ბავშვები „დედა ენაში“ თავიანთ თავს ვერ დაინა-  
ხავენ.

უნდა გაითვალისწინონ თუ არა „დედა ენის“ შემდგინ-  
ლებმაც ეს ცვლილება?

უნდა მივუსადაგოთ თუ არა ჩვენს დროს „დედა ენა?“

უნდა შევცვალოთ თუ არა არსებითად „დედა ენის“ ში-  
ნაარსი?

აი, კითხვები, რომლებიც ადამიანს დაებადება ყოველ-  
თვის, როცა „დედა ენას“ თვალს გადაავლებს.

2. „დედა ენის“ მხატვრობაც არ არის თანამედროვე.

ეს ბუნებრივია, — მხატვარმა წიგნი შინაარსის მიხედვით  
უნდა დაასურათოს.

მე არ ვიცი, რატომ მოწონთ ჩვენი „დედა ენის“ მხატ-  
ვრობა, შეიძლება ვცდები და ბავშვებისთვის უმჯობესია

„ფოტოგრაფიული“ მხატვრობა, მაგრამ არ შემიძლია ჩემი მოსაზრება მაინც არ გამოვთქვა.

„დედა ენაში“ ყველა ბავშვი ერთმანეთსა ჰგავს. ყველა მამა, ყველა უფროსი ერთმანეთის ასლია. თუ უარვყოფთ ხასიათის მხატვრობას, ხომ არ სჯობს ფოტო-სურათები გამოვაქვეყნოთ?

„დედა ენის“ მეორე ნაწილი დაასურათა მხატვარმა შალვა ცხადაძემ. შალვა ცხადაძე არ ხატავს ისე, როგორც „დედა ენა“ დაუსურათებია. ყველა ბავშვმა იცის შალვა ცხადაძის კურდღლები, დათუნიები, თაგუნები. შალვა ცხადაძეს ნორჩი მიმბაძველების მთელი არმია ჰყავს. ბავშვებს მოსწონთ ცხადაძის ცხოველები და მას ბაძავენ.

მე მესმის, შემდგენლები მხატვრებისაგან მტკიცედ მოითხოვენ დაიცვან იაკობ გოგებაშვილის პრინციპი „დედა ენის“ დასურათხატებისას. ცნობილია, გოგებაშვილის სამი მოთხოვნა: 1. „ცხადად გამოიხატოს, გარკვევით დაანახოს მაკქერალსა“... „რომ მოსწავლემ მაშინვე იცნოს საგანი“. 2. „სურათი უნდა იყოს მიმზიდველი და სახალისო“.. 3. „ნახატი უნდა დაეხმაროს წერა-კითხვის თვალსაჩინო სწავლებას“.

ეს მოთხოვნა როდი უბიძგებს ფოტოგრაფიული მხატვრობისაკენ, პირიქით, სურათი უნდა იყოს მიმზიდველი და სახალისო, წერს გოგებაშვილი.

ჩემის აზრით, შემდგენლებმა მეტი თავისუფლება უნდა მისცენ, მხატვრებს. დარწმუნებული ვარ ისინი შეძლებენ „დედა ენა“ მიმზიდველად და სახალისოდ დაასურათონ.

3. „დედა ენაში“ ძალზე ცოტაა სიტყვა „დედა“, ლექსები და მოთხრობები დედაზე.

როგორც ცნობილია, პირველი სიტყვა, რომელსაც ბავშვი წარმოთქვამს, დედაა. დედა მისთვის ყველაზე საყვარელი სიტყვაა. მაშ, რატომ არ არის „დედა ენაში“ ნორმალურ სიტყვად „დედა“?

ჯერ თვით ტერმინის თაობაზედ.

რას ეძახიან პედაგოგები „ნორმალურ სიტყვას?“ — სწორი ქართულით ეს, ალბათ, სანიმუშო სიტყვაა. სიტყვა „ნორმალურის“ (Нормальный) ხმარება იქ, სადაც დედაენის



წყაროსთვალს უნდა მოწინააღმდეგებდეს, არ არის სასურველი, „სანიმუშო“ — მშვენიერი ქართული სიტყვაა, აზრსაც სრულად გამოხატავს, ნიმუშად ეძლევა სიტყვა ბავშვებსო, — ეს აზრი დევს „სანიმუშო სიტყვაში“.

როცა ბავშვს „დ“ ასო-ბგერას აცნობენ. შეიმდგენლებს სანიმუშო სიტყვად აურჩევიათ „დაფა“. კარგი სიტყვაა, მაგრამ „დედა“ სჯობს! „დედა“ უკეთესი სანიმუშო სიტყვაა. თავი დავანებოთ უკეთეს-უარესს, „დედაც“ ხომ უნდა იყოს სადმე?

მაინც რა შინაარსს დებენ პედაგოგები ნორმალურ ე. ი. სანიმუშო სიტყვაში? ჯამოდგება აუ არა „დედა“ სანიმუშო სიტყვად?

სანიმუშო სიტყვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. უნდა აღნიშნავდეს ბავშვისთვის მახლობელი, კონკრეტული, საგნის სახელს. 2. ბგერიითი შედგენილობის მხრივ უნდა იყოს მარტივი. 3. ადვილად უნდა იშლებოდეს მარცვლებად და ბგერებად. 4. უნდა შეიცავდეს მხოლოდ ერთ უცნობ ასო-ბგერას. 5. შესწავლილი ასო-ბგერა ადვილად უნდა გამოიყოფოდეს სანიმუშო სიტყვიდან, ე. ი. სიტყვა არ უნდა იყოს ხმოვანდაჯგუფებული ან თანხმოვანდაჯგუფებული.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „დედა“ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. მაშ, რა არის მიზეზი? საყურადღებოა, რომ „დედა“ — სანიმუშო სიტყვად გოგებაშვილსაც არ აურჩევია, იგი გოგებაშვილის „დედა ენაშიც“ არ არის.

გვებ პედაგოგები ამ ფაქტს მეცნიერულად ასარუსებენ? ყოველ შემთხვევაში, რუსულსა და გერმანულ „დედა ენაში“ „დედა“ სანიმუშო სიტყვადაც გამოუყენებიათ და დედაზე უამრავი მოთხრობები და ლექსები შეუტანიათ. ქართულ „დედა ენაში“ (პირველი ნაწილი) თხაზე სამი მასალაა: „თხა“, „ვანოს ეზოში“ და „ჩურჩხელები“, დედაზე კი ორი: „მოსიყვარულე შვილები“ და „ფეიქარი დედა“. მე-2 ნაწილში თხაზე სამი ნაწარმოებია. „თხა და გიგო“, „ჯიუტი თხები“ და „თხა და ვენახი“. რუსულ დედა ენაში (1 ნაწილი) „დე-

გა" სხვადასხვა ადგილას 25-ჯერაა ნახსენები, ქართულში კი 8-ჯერ.

რა მეცნიერული დასაბუთება უნდა მოეძებნოს ამ ფაქტს?

4. ჩემი აზრით „დედა ენის“ უპირველესი აპოცანაა ბავშვის წერა-კითხვა შეასწავლოს. ხოლო შემდეგ სწორედ „დედა ენამ“ პირველმა უნდა ჩაუნერგოს სამშობლოს სიყვარული.

ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის და სხვა ჩვენი დიდი პატრიოტების მეცადინეობა, გაეხსნათ სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, გამოეცათ ჟურნალ-გაზეთები, შეედგინათ „დედა ენა“, გაენათლებინათ ერი, ერთი დიდი აზრით იყო გამსჭვალული — აღეზარდათ პატრიოტი თაობა, გაეღვიძებინათ ეროვნული თვითშეგნება. ჩვენს პირველ „დედა ენასაც“ სწორედ ეს ეროვნული მადლი ეცხო.

დღევანდელ ჩვენს „დედა ენაში“ სამშობლოს სიყვარულზე ორად ორი ლექსია, სოსელიას „დილა“ და კუკური გოგებაშვილის „სამშობლოს სიყვარული“. ურიგო ლექსები არ არის, მაგრამ „დედა ენისათვის“ ისევე შეუფერებელია, როგორც ა. თევზაძის „ახალი ქუჩა“, რ. მარგიანის „საბჭოთა არმიელი“, ა. ონელის „ტყის მეგობრები“, ი. ნონეშვილის „მფრინავები“ და ს. შამფრიანის „ლენინის ანდერძი“.

ვიმეორებ, ამ ლექსებზე ვერ ვიტყვით, რომ სუსტი ლექსებია, მაგრამ სადღედაენო არც ერთი არ არის. გოგებაშვილი გვასწავლის: „ამოირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებსა. გადაუჭარბებლად, ურიტორიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა“.

მაშასადამე, პატრიოტულ თემაზე „დედა ენაში“ არ არის ლექსი, სადაც „საზოგადო ფრაზები მორიდებულია“ და ურიტორიკოდაა ნათქვამი სამშობლოს სიყვარული. საკმარისია თუ არა ჩვენი ბავშვებისათვის სამშობლოს სიყვარულზე თუნდაც ერთი ან ორი ლექსი? რატომ, რა მოსაზრებით არ არის „დედა ენა“-ში დუტუ მეგრელის „მე პატარა ქართველი ვარ?“

5. „დედა ენა“-ში არ არის ჩვენი მოწინავე მწერლების ნაწარმოებები ან მათი ცუდი ლექსები და მოთხრობებია გამოკვეყნებული.

ვთქვათ, გვინდა თემატური ლექსი მაინცდამაინც საბჭოთა არმიაზე ან მფრინავებზე (თუმცა ამას არავინ გვაძალღებს),\* მაშინ საგანგებოდ „დედა ენისთვის“ უნდა დავაწერინოთ რევაზ მარგიანსა და იოსებ ნონეშვილს ისეთი ლექსი, როგორსაც ისინი საერთოდ წერენ, მათი კარგი პოეზიის ბადალი ლექსი უნდა გამოიქვეყნდეს „დედა ენაში“.

დედა ენა უფრო დიდი წიგნია, უფრო წმინდა წიგნია, ვიდრე რომელიმე წიგნი ამ ქვეყანაზე.

„დედა ენა“-ში არ არის ან ძალზე ცოტაა სულხან-საბა ორბელიანის, ეზოპეს, ტოლსტოის მოთხრობები და არაკები. გოგებაშვილის „დედა ენა“-ში კი ამ ავტორების ნაწარმოებები უხვად იყო.

აი, გადავხედოთ „დედა ენას“, შევადაროთ ერთმანეთს გოგებაშვილის „დედა ენიდან“<sup>1</sup> ამოღებული ნაწარმოებები და ახალი, დღევანდელი ჩვენი მწერლების ნაწარმოებები. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „დედა ენაში“ რაც კარგია, გოგებაშვილისეულია. „თსა და გიგო“, „ჯიუტი თხები“, „მისხავანა კატა“ და სხვა. ეს ნაწარმოებები ტონს აძლევენ დედა ენას. ბუნებრივია, მკითხველს, ბავშვს, სწორედ ეს ნაწარმოებები ამასსოვრდება. ეს მოსწონს, ხოლო ახალი, ჩვენი თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები ვერ სწვდება მის სულსა და გულს.

ავიღოთ ლავრენტი ჭიჭინაძის მოთხრობა „მისაბაძი მაგალითი“. როგორც ადრე აღვნიშნეთ, „დედა ენა“-ში დედაზე ძალზე ცოტა მასალაა, ამიტომ სასურველი იყო ეს მოთხრობა უკეთესი ყოფილიყო. მოთხრობაში თითქოს ყველაფერი რიგზეა, არის აზრი, თითქოს დიდაქტიკაც, ცუდი ქართულითაც არ არის დაწერილი, მაგრამ იგი ძალზე მშრალია, და არა ემოციურია. აი, რა ხდება მოთხრობაში: ბავშვები შინ დედაზე ადრე მივიდნენ, მაგიდაზე დაურეცხავი ჭურჭელი დახვდათ. ბავშვებმა ჭურჭელი დარეცხეს, გაწმინდეს და შეინახეს. დედა მოვიდა, გაუხარდა და ორივე შვილს შუბლზე აკოცა.

---

\* სწორედ რომ გვაძალღებდნენ, ოკუპანტებზე „დედა ენაშიც“ კი უნდა გვექონოდა ლექსი.

ასეთი მშრალი დიდაქტიკა ვერ მივა ბავშვის გულამდე. „საბავშვო მოთხრობაში პირველი ადვილი უნდა ეჭიროს „მოქმედების დასატკავს, დრამატიზმსა“, ან იგი უნდა იყოს სახალისო, გონებამახვილური იუმორით სავსე. ზარმაცი ვიგო თავის კანტურს რომ მოჰყვა და თხა რომ დაეფხა — ბავშვებს ეს მოსწონთ, ხოლო ამ იუმორში შეფრებულა დიდაქტიკაც — სიზარმაცე არ არის კარგი.

მე არაფერს ვამბობ აღწერით მოთხრობებსა და ლექსებზე, მაგ.: „კოლმეურნეობის ბოსტანი“, „საბავშვო ბავა“ და სხვ.

საგანგებოდ ყურადღება მივაქციე კუკური გოგიაშვილის ლექსსა და ლავრენტი ჭიჭინაძის მოთხრობას იმიტომ, რომ ეს ნაწარმოებები დაწერილია. ძალზე მაღალ და საჭირო თემებზე: სამშობლოსა და მშობლის სიყვარულზე. ამ თემაზე მაინც შევარჩიოთ სადედაენო კარგი ლექსები და მოთხრობები. ქართულ მწერლობას არ უჭირს პატრიოტული ნაწარმოებები.

6. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პოეზიით — ამბობენ, საქართველო პოეზიის ქვეყანააო.

ქართულმა ლექსმა მიაღწია გასაოცარ სრულყოფას და ამ დროს ქართულ „დედა ენაში“ რატომ უნდა იყოს ამგვარი კოჭლი ტაეპი:

დამწიფდა ბალი, დაშაქრდა,  
ყველას დაუტკბო გულია.

ან კიდევ:

დედა ფეიქარია,  
მქსოველია ცნობილი,  
მოსწონთ მისი ნაშრომი  
აბრეშუმის ქსოვილი,  
შინ მთვა გაგვახარებს  
ახალ-ახალ ამბებით:  
დღესაც შევასრულეთო  
გეგმა გადაჭარბებით!

არ მოიძებნება ისეთი დედა, რომელიც ფაბრიკიდან შინ დადლილ-დაქანცული დაბრუნდება და ბავშვებს მიახარებს: დღესაც შევასრულეთო გეგმა გადაჭარბებით. ამგვარი „იდეურობა“ არავის სჭირდება, მით უფრო პატარებს.

ი. გოგებაშვილი გვასწავლის: „სიყალბეს ბავშვის ბუნება ადვილად გრძნობს და ადვილადაც შეუძლიან შეიძულოს ის, რაც გინდა სიყალბით წას შეაყვარო“.

7. „დედა ენაში“ გვხვდება ზოგიერთი მოუქნელი ფრაზა. რა თქმა უნდა, „დედა ენაში“ არ არის ენობრივი ლაფსუსები (ღმერთმა დაგვიფაროს!), არც კორექტურული შეცდომებია, მაგრამ ოდნავ კაუზანდავი, გაუმართავი წინადადებაც კი ვნებს მოზარდის მტყუცვლებასა და აზროვნებას.

აი, ყურადღებით: წავაკითხოთ ლექსი „ლენინის ანდერძი“.

ჩვენს გულელებში სამედიოიდ  
მზის შექივით დაიბუდა,  
რაც ლენინმა გვიანდერძა:  
! სწავლა, სწავლა, სწავლა მუღამი!

არაფერს ვამბობ, ამ ლექსის მსატკრულ ღირსებაზე, ეს არის ძალზე ვრცელი ვარიანტული წინადადება, რომლის სინაარსის გაგება ბავშვს გაუჭირდება. ამ ტაეპის შინაარსი ქართულად ასე დაიწერება: „ჩვენს გულელებში სამუღამოდ მზის შუქივით დაიბუდა ლენინის ანდერძმა: სწავლამ, სწავლამ და სწავლამ“.

შემდგენლები ზოგჯერ არ იცავენ წინადადებაში წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრების განლაგების წესს. გასაგებია, როცა ეს წესი მსატკრული თვალსაზრისით ირღვევა. მაგრამ როცა არ არის არავითარი „თვალსაზრისი“, მაშინ უმჯობესია ბავშვებს დალაგებული წინადადებები წავაკითხოთ.

მაგ. „ლენინი ამზადებდა მშრომელ ხალხს ბრძოლისათვის“. „მშრომელმა ხალხმა მოსპო მჩაგვრელები“. „სანდრო სიამოვნებით უცქეროდა, როცა ავადმყოფი პირს იტკბარუნებდა გემრიელი მსხლით“. „მთელი სოფელი განათებულია ელექტრონით“. „გრძელ ნისკარტს ხეს ურტყამს და ეძებს ჭიალუას ხის ქერქის ქვეშ“.

\* ასე მიკიბზ-მოკიბვიო ვებრძოდით სამოციან წლებში ლენინისადმი მიძღვნილ ლექსებს, დღეს, რა საკვირველრა, წარმოუდგენელია ლენინისადმი მიძღვნილი ლექსის „დედა ენაში“ შეტანა.

ეს წინადადებები უნდა დალაგდეს ასე:

„ლენინი მშრომელ ხალხს ბრძოლისთვის ამზადებდა“.  
„მშრომელმა ხალხმა მრავალელები მოასპო“.  
„სანდრო სიამოვნებით უცქეროდა, როცა ავადმყოფი გემრიელი მსხლითა პირს იტკბარუნებდა“.  
„მთელი სოფელი ელექტრონით გასათებულა“.  
„გრძელ ნისკარტს ხეს ურტყამს და ქერქის ქვეშ ჭიალუას ეძებს“.

გვხვდება, აგრეთვე, სხვადასხვაგვარი ენობრივი უზუსტობანი, მაგ. „ბინა მუხის ფულუროში აქვს“ (მუხის ფულუროში დაბინავებულია);

„თბილი ფაფუკი ქურქი აქვს“ (რადგან საუბარი ცხოველზეა, ურჯობესია „ქურქი მოსავს“);

„როგორ ვიწრო ქუჩა იყო“ (როგორი);

„პამიდორის ჩითილები“ (პამიდორის ო→ვ. შდრ. მინდორი→მინდვრის); მაიას დიდედის ხმა შეესმა“ (შემოესმა);

„თვალეები ცრემლით აევსო, ან ავსებოდა“;

„ქვითინი დაიწყო“ (მორთო);

„ყვავილებში ნაცელქარი“ (ნაცელქარი არ ვარგა);

„კოლმეურნეობის ქონების დაზოგვა“ (რა სათაურია);

„იცურავა თოვლზე“ (თოვლზე ისრიალა);

„ბავშვი მთელი დღე დიდ სიხარულში იყო“ (სხვა წინადადებაა საჭირო).

„დედა ენის“ შემდგენლები წერენ „ძალი ბყეფს“. „ყეფს“ ერთპირიანი ზმნაა და „პ“ არ არის საჭირო. საგულისხმოა, რომ „პ“ და „ს“-ს სწორად წერის ცნობილ წესს შემდგენლები საერთოდ იცავენ, მაგრამ შეცდომა იქაა დაშვებული, სადაც ბავშვებმა ქართული წერის დედანი უნდა გაიცნონ, სადაც ყოველი ასო-ბგერა განსაკუთრებით სანიმუშო უნდა იყოს.

ჩემი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა სიტყვამ „ყვავის“ შემდგენლები წერენ „მწვანობს ჯეჯილი, ყვავის ხეხილი“. თითქოს ყველაფერი რიგზეა.. „ყვავის“ ერთპირიანი ზმნაა და „პ“ არ არის საჭირო. მე კი მგონია, რომ ამ სიტყვაში „პ“

სწორედ რომ საჭიროა. ეს სიტყვა გამონაკლისია თუ გრამატიკულ წესებს დავიცავთ და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს დავუჯერებთ, მაშინ „პ“ არ არის საჭირო (სხვათა შორის, შემდგენლები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს თუ სახელმძღვანელოდ სცნობენ, იმავე გვერდზე სადაც წერია „ყვავის“, ჰაეს გარეშე წერია „ყეფს“ სიტყვაც).

თუ მართლწერის წესებს დავიცავთ და ორივე სიტყვა „ყვავის“ და „ყეფს“ სწორად დავწერთ, სადავო არაფერი გვექნება. მაგრამ თუ აღრევთ, თუ ნებისმიერად წერა გვირჩევნია, მაშინ ჰაე საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ. როგორც გამონაკლისი ღვაჭერით არა „ყვავის“, არაპედ „ყვავის“, ეს სიტყვა ენათმეცნიერებისათვის სამაგალითო სიტყვაა: ზმნა „ყვავის“ და სახელი „ყვავის“ (ფრინველი) ერთმანეთსაგან არ განსხვავდება. მაგ.: „ყვავის გურია“, ძნელი გასარკვევია, ყვავის გურიაზეა საუბარი თუ გურიის აყვავილებაზე. ამიტომ, ეგებ სჯობდეს დავაკანონოთ „პყვავის“ და არა „ყვავის“.

8. როგორც ვიცით, ჩვენი ბავშვების პირველი გაკვეთილია „ია“. ანბანის შესწავლა იწყება ამ შესანიშნავი, მარტივი და ლამაზი სიტყვით. ვავისხენოთ ჩვენი პირველი გაკვეთილი.

ია

ია

აი ია

ია აი

გასაგებია. კარგია და მშვენიერია სიტყვა „ია“, კარგია პირველი წინადადებაც, რომელსაც ბავშვი პირველად ეცნობა „აი ია“, მაგრამ რა არის „ია აი“? ეს არ არის სიტყვა, არ არის წინადადება, იგი უაზრობაა. ი. გოგებაშვილი კი სწორედ ამგვარი უაზრო სწავლების წინააღმდეგ იბრძოდა. მან ანბანის სწავლების ძველი მეთოდი უაზრობის გამო შეცვალა. პედაგოგიკაში გადატრიალება მოახდინა იმიტომ, რომ სწავლებას საფუძვლად აზრი დაუდო. ი. გოგებაშვილი წერდა: „აი, მისცეს ყმაწვილს ხელში ანბანი და ეუბნებიან: ეს ასო არი ა. ეს ბ და სხვანი. ყმაწვილის თავში, რასაკვირველია, არა ჰაზრი არ იხატება. ამიტომ, პირველივე შეხვედრაზედ ყმაწვილს სწავლა ეჩვენება, როგორც ერთი უაზრო საგანი. ამ მეთოდს მამასადამე შეუძლიან პირვე-

ლათვე შეაძლოს სწავლა ყმაწვილსა და წაართვას მას წადილი სწავლისა...

... მეთოდი ზოლოთოვისა, რომელზედაც არის შედგენილი ეს ანბანი, არღვევს ზემოხსენებულს ამ ნაკულულოვანებას...

...ეს ანბანი იწყების სიტყვებიდან, მოსწავლეც პირველივე დაინახავს სწავლაში ჰაზრსა, ამიტომ რომ ყველა სიტყვა ხატავს რაიმე ჰაზრსა, აჩვენებს რომელიმე საგანსა, მაშასადამე, პირველათვე ყმაწვილი შეხედავს სწავლას, როგორც გონივრულ საგანს და წახალისდება“... ან კიდევ: „მასწავლებლის ყურადღება პირველად იმაზედ იყოს მიქცეული, რომ ყმაწვილს ესმოდეს, რასაც წაიკითხავს“..

როგორც ცნობილია, პირველი ქართული ანბანის პირველ გამოცემაში გოგებაშვილმა გაატარა თავისი ანალიზური მეთოდი. შემდეგ გამოცემებში მან ეს მეთოდი სინთეზურით შეცვალა და ბოლოს „დედა ენა“ შეადგინა ანალიზურ-სინთეზური ანუ სინკრეტული მეთოდით, „დედა ენასთან“ ყველაზე ახლოსაა ქართული ანბანის მე-8 გამოცემა. ამ გამოცემაში პირველი გაკვეთილი ასე გამოიყურება:

ი. ა.  
ია. აი.  
აი ია.

ხედავთ, აქ წერტილი და დაშორება რა დიდ როლს თამაშობს. აქ ცალკეა „ია“. და ცალკე „აი“. ცალ-ცალკე კი ამ სიტყვებს აქვთ აზრი და დანიშნულება.

ახლა ჩავიხედოთ გოგებაშვილის „დედა ენაში“

ია  
ი ა  
ია აი  
აი ია

„დედა ენაში“ ავტორს წერტილი აღარ გამოუყენებია, მაგრამ სიტყვა „ია“ ისე დაუშორებია „აი“-საგან, რომ ცალ-ცალკე იკითხება.

როგორც ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, ჩვენს „დედა ენაში“ დაშვებულია ერთი შეხედვით მცირე შეცდომა: „ია“ და „აი“ ერთმანეთისაგან არ არის დაშორებული და იკითხე-



ბა როგორც ერთი წინადადება — „ია აი“, რაც უაზრობაა და, ჩემი აზრით, უნდა გასწორდეს.

9. ახლა ვნახოთ შემდეგი გაკვეთილი „თითი“.

აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით, „თითსა“ და „თათს“ გარდა არის ერთი სიტყვა — „თითა“. იგი ლამაზიცაა, მარტივიცაა, კეთილხმოვანიცაა, ადვილად დასაშლელიცაა, მაგრამ აზრი? რა არის „თითა?“ როგორ აუხსნის მასწავლებელი ბავშვებს ამ სიტყვას? დაახლოებით ასე: „ბავშვებო, თითა ყურძნის ჯიშია...“ „ყურძნის ჯიში რა არის, მასწავლებლო?“ — იკითხავს ბავშვი, რა უნდა ქნას მასწავლებელმა? შეიძლება სოფელმა ბავშვმა უფრო გაიგოს რა არის თითა და ყურძნის ჯიში, მაგრამ ქალაქელ ბავშვს გაუჭირდება. გარდა იმისა, რომ მეორე გაკვეთილად „თითა“, ძნელი სიტყვაა, გაუგებარია, უცნაურია „დედა ენის“ შემდგენელთა ლოგიკა. ბავშვს, რომელსაც ჩვენ ვეკითხებით „რა არის პური, რა ფერისაა რძე“, ცხადია, არ იცის, რომ პური საჭმელია, რძე თესურია. ასეთ ბავშვს როგორ უნდა გავაგებინოთ, რა არის „თითა?“..

„თითა“ ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ არის. — თუ რაიმეს გონივრულს ვიპოვით და შევცვლით ამ სიტყვას ან სულ ამოვიღებთ, მე მგონი, არაფერი დაშავდება. ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებაა. ჩვენი პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილება ხშირად ძალზე კარგია.

სხვას რომ თავი დავანებოთ, „თითა“ არღვევს ი. გოგებაშვილის შეგნებულობის პრინციპს, აქედან გამომდინარე დიდაქტიკურ წესს: ნაცნობიდან, მახლობლიდან, მარტივიდან და ადვილიდან უცნობზე, შორეულზე, რთულსა და ძნელზე თანდათანობით გადასვლისა.

10. ჩემი აზრით, ასევე საეჭვო სიტყვაა „სასა“.

ერთი შეხედვით ესეც ადვილად გაყოფადი, ტკბილხმოვანი სიტყვაა, მაგრამ როგორ აუხსნის მას მასწავლებელი? ვთქვათ, გამოიყენა თვალსაჩინოება. როგორ უნდა დაიხატოს სასა, რომ ბავშვმა გაიგოს; მას ხომ ჯერ თავისი პირის ღრუ არ უნახავს? ისიც ცნობილია, რომ თვალსაჩინოება ყველა სკო-

ლაში არ არის. მასწავლებელი იძულებული გახდება ბავშვებს სასა უჩვენოს, — თითი პირში ჩაიყოს. ჭკვიანმა მასწავლებელმა შეიძლება ამას გვერდი აუაროს, მაგრამ ბავშვი უსათუოდ ჩაიყოფს პირში თითს და სასას მოსინჯავს ან ამხანაგს უჩვენებს.

მე მგონი, ეს სიტყვაც უნდა შეიცვალოს.

11. როცა ბავშვებს „ხ“ ასო-ბგერას ვაცნობთ, სანიმუშო სიტყვაა „თხა“, შემდგენლებს დასაწერ-სავარჯიშოდ ამოურჩევიათ „თიხა“ რაც არ უნდა იყოს სწორი.

ჯერ კიდევ ი. გოგებაშვილს არ მოსწონდა სანიმუშო სიტყვად „თხა“, ისიც მეოთხე გაკვეთილად, ამ ერთმარცვლიან სიტყვაში არის საკმაოდ ძნელი „თხ“ შეწყვილება. მიუხედავად ამისა, „თხა“ მაინც დარჩა „დედა ენაში“, ბავშვებს უჭირთ ამ სიტყვის წარმოთქმა; ზოგიერთი ბავშვი წარმოთქვამს არა „თხას“, არამედ „სთას“ ამ სიძნელის გამო, ხომ არ ჯობდა, დასაწერად სიტყვა „თიხას“ ნაცვლად ისევ „თხა“ მიგვეცა. ბავშვი „თხ“ — ძნელ შეწყვილებას უფრო შეეჩვეოდა.

მაქვს აგრეთვე სხვა შენიშვნები: რომ ცოტა მასალაა მშობლიურ გრძნობაზე, მაგალითად, ძმისა და დის სიყვარულზე, რომ ერთმანეთის გვერდით მიყოლებულია ერთფეროვანი ლექსები და მოთხრობები, რომ „დედა ენის“ პირველ წიგნში — ანბანში მხოლოდ ერთადერთ ანდაზას შეისწავლის ბავშვი. სასურველი კი იყო ანბანში ქართული ხატოვანი ანდაზები შემდგენლებს უფრო თამამად და უხვად შეეტანათ. „მაგრამ იქნება მითხრან; რა საჭიროა აჩქარება, ანდაზებს შეგიძლიათ ფართო ადგილი დაუთმოთ პირველ საკითხავ წიგნში და ანბანში კი ადგილი არ მისცეთო. ამის პასუხად კი უნდა მოგახსენოთ, რომ ანდაზებს ზედგამოჭრილ და ძვირფას მასალად ჰხდის სწორედ ანბანისათვის ორი გარეპოება. ჯერ ერთი ესა, რომ იგინი არიან გამოთქმულნი მშვენიერი, უნაკლულო ხალხური ენით და როგორც ლექსიკონით, ისე სინტაქსით სამაგალითო საკითხავს წარმოადგენენ. მეორედ, ყველა ანდაზა შედგება ერთი ან ორი წინადადებისაგან, რომლის წაკითხვა ბავშვს ისევე ეადვილება, როგორც უბრალო ფრაზისა“ (ი. გოგებაშვილი) შეიძლებოდა გვემსჯელა „დედა ენის“ სხვა ნაკლოვანებაზეც, გაგვერ-

ჩია ყოველი ლექსი და მოთხრობა, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მთავარია შეიცვალოს „დედა ენის“ შინაარსი.

ჩემთვის, მაგალითად, აუხსნელია ამგვარი სტატისტიკა: რუსულ დედა ენაში (Родная речь, I ч.). 160 ლექსი, მოთხრობა და წასაკითხავი მასალაა ბავშვებზე. 15 — ცხოველებზე, მცენარეებსა და ნივთებზე, 12 მასალა ზოგადი ხასიათისაა. ქართულში კი 40 საკითხავი მასალაა ცხოველებზე, ფრინველებზე და ნივთებზე, 35 ბავშვებზე და 8 ზოგადი ხასიათისაა.

გერმანულ დედა ენაში კი თითქმის ყველა მოთხრობაში, ლექსსა თუ ზღაპარში, მონაწილეობს ბავშვი, თუ არ მონაწილეობს დახატული მაინცაა.

მე არ ვიცი ქართულ „დედა ენაში“ ცხოველების ასეთი სიჭარბე კარგია თუ ცუდი. ი. გოგებაშვილს მოსწონდა დედა ენაში ცხოველთა სიჭარბე.

ეს საკითხი შესწავლასა და დაკვირვებას მოითხოვს, „დედა ენაში“ უნდა დამყარდეს გარკვეული ზომიერება, „დედა ენა“ არ არის „ბუნების კარი“. „დედა ენის“ მთავარი მოქმედი გმირი მაინც ბავშვი უნდა იყოს, ჩვენი თანამედროვე, გონებრივად განვითარებული ბავშვი.

საკითხავია, როგორ შეხვდნენ მწერალთა კავშირში შეკრებილი პედაგოგები მოსხენებას? გაიზიარეს თუ არა მწერალთა სამართლიანი შენიშვნები? სამწუხაროდ, ყური არ გვატხოვებს, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, პოლემიკის გამწვავებას თავი აარიდეს. ილაპარაკეს ზოგადად, საერთოდ.

პედაგოგების გამოსვლა ამგვარად დაიწყო: გამოვიდა ერთი ორატორი და თქვა, რომ იგი ოცი წლის იყო, როცა პირველად ჭამა მაწონი, მანამდე კი „დედა ენიდან“ იცოდა მოხდენილი გამოთქმა — „მაწონი მყავთ“ და ამით კმაყოფილდებოდა.

პირველ ორატორს მოჰყვნენ პრაქტიკოსი პედაგოგები. მათი საუბრიდან მე გამოვიტანე ამგვარი დასკვნა, რომ ისინი არ ეთანხმებიან ჩვენს პირველ დებულებას — „დედა ენის“ თემატიკა არ არის თანამედროვე, რომ ჩვენ, მწერლებმა, არ ვიცით ბავშვის ფსიქოლოგია, არ ვიცით სასკოლო ცხოვე-

რება. შვიდი-რვა წლის ბავშვს არ შეუძლია გაიგოს მოთხრობები, ლექსები და საინტერესო ამბები კოსმონავტიკებზე, რაკეტებზე, ციურ სხეულებზე, რომ საჭირო არ არის დღევანდელი ბავშვის სურვილებისა და მისწრაფებების, მისი ყოფა-ცხოვრების ისე დახატვა, როგორც ეს სინამდვილეშია. ბავშვს უნდა შევასწავლოთ რა ფერისაა რძე, მაწონი მჟავა, ქინაქინა ციების წამალია, პამიდორი წითელია და სხვ.

პედაგოგების ამგვარმა ერთსულოვანმა შემოტევამ ჩაგვაფიქრა. ვიფიქრეთ, ეგებ ვცდებით, ეგებ თავიანთი საქმე თვითონ უკეთ იციან, მერე რა, რომ გოგებაშვილის ენაზე საუბარი დავიწყნიათ. ისინი პრაქტიკოსები არიან. პატივი ვეცით პრაქტიკოს პედაგოგზე ჩვენს წარმოდგენას, პოლემიკა არ გავამწვავეთ და გაჩუმება ვარჩიეთ. შემდეგ ამ საკითხს ჩავუფიქრდით, გავზომეთ, ავწონ-დავწონეთ და შევამოწმეთ, მართლა გაუგებარია თუ არა ჩვენი ბავშვისათვის კოსმოსის ამბები? მართლა არ განსხვავდება ჩვენი ბავშვი მე-19 საუკუნის ბავშვებისაგან? შემოვიარე თბილისის სკოლები და საბავშვო ბალები, მოვუსმინე ბავშვებს და აი, რა გამოიჩინა:

თბილისის მე-60 საშ. სკოლის პირველ კლასში ერთ-ერთ გაკვეთილს დავესწარი და პატარებს შევეკითხე: რა არის თითა? — დამემოწმება პედაგოგი თათუშა გოგინავა, კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. პედაგოგმა გაკვირვებით მოავლო კლასს თვალი და დაიწო: — ბავშვებო, თუ რა არის თითა, თქვენ დიდი ხნის წინათ ისწავლეთ, აბა კარგად გაიხსენეთ?.. ყოჩაღად! ცოცხლადა!.. — პედაგოგის ჩარევამ ბავშვები მართლაც გამოაცოცხლა. ხუთმა მათგანმა ასწია თითი. აქედან ორმა არ იცოდა რა იყო თითა, სამმა თქვა ყურძენიაო.

ასლა ბავშვებს მოვუსმინოთ: — ბავშვებო, აბა მითხარით, ვინ არიან კოსმოსის გმირები? ორმოცმა ბავშვმა, როგორც ერთმა, თითი ასწია. თავიანთი ცოდნით გახარებულებმა, თვალეგაბრწყინებულებმა ჩამოგვითვალეს კოსმონავტიკები. შეკითხვა გავართულეთ: რით მიფრინავენ კოსმოსში? ბავშვებმა გვიპასუხეს — რაკეტით, კოსმოსური ხომალდით, მხოლოდ ერთმა თქვა თვითმფრინავითო.

იგივე სურათი განმეორდა 62-ე საშუალო სკოლის 1<sup>ა</sup> კლასში. გაკვეთილებს ესწრებოდნენ ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, პედაგოგი ნინო ჯანდიერი და პედაგოგი მერი ლომიძე. ჩვენ შეკითხვაზე, თუ რა არის თითა, რა არის ტაბიკი, ხუთიოდე ბავშვმა ასწია თითი, მაგრამ ორმოცმა ბავშვმა, უკლებლივ, ყველამ ხალისით უპასუხა შეკითხვებს თუ რით მიფრინავენ კოსმოსში და ვინ არიან კოსმოსის გმირები. მაშინ ჩვენ უფრო გავართულეთ შეკითხვა: რა არის კოსმოსი? აქ პედაგოგმა გადმომხელა და მითხრა ძალზე რთული შეკითხვა: ვერ უპასუხებენო. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კლასში სამმა ბავშვმა ასე გვიპასუხა:

პირველი ბავშვი: კოსმოსი არის უპაერო სივრცე.

მეორე ბავშვი: კოსმოსი არის, სადაც ყოველთვის ბნელა.

მესამე ბავშვი: კოსმოსი არის ის, სადაც რაკეტით მიფრინავენ.

ჩვენ შეკითხვაზე პასუხის გაცემა 1<sup>ა</sup> კლასშიც არ გასჭირვებიათ, აქაც გვითხრეს, რომ კოსმოსი უპაერო სივრცეა, კოსმოსში რაკეტით მიფრინავენ და სხვა. ხოლო როცა შევეკითხეთ, რა არის სახნისი ვერ გვიპასუხეს.

ძალზე საინტერესო გამოდგა შეკითხვა — რა არის სასა. ორმოცმა ბავშვმა ერთდროულად პირისკენ წაიღო თითი, მასწავლებელს გაეცინა. 24-ე საშუალო სკოლაში ჩვენს მცდელობას სკოლის დირექტორი ალექსანდრე მეტრეველი დაესწრო. პატივცემული პედაგოგი თვითონ ესაუბრა მოსწავლეებს.

ბავშვებმა მხიარულად მოგვიგეს შეკითხვებზე: რით მიფრინავენ კოსმოსში, ჩამომითვალეთ კოსმოსის გმირები, ვინ არის რუსთაველი, რა არის კოსმოსი. ხოლო 1<sup>ა</sup> კლასში (პედაგოგი გალინა გოგიჩაიშვილი) როცა დირექტორმა ბავშვებს ჰკითხა — რა არის თითა, მხოლოდ ერთმა ბავშვმა ასწია თითი.

— თითა არის თითი, მასწავლებელო, — თქვა იმ ბავშვმა და თითი გვიჩვენა.

— რით მიფრინავენ კოსმოსში, ბავშვებო? — რაკეტით, კოსმოსური ხომალდით, — მოგვიგეს პატარებმა.

ბავშვებმა უპასუხეს ჩვენს ძნელ შეკითხვებსაც: რა არის კოსმოსი, კოსმოსი არის ის, სადაც რაკეტები და ხომალდები დაფრინავენ. პედაგოგი გოგიჩაიშვილი გაკვირვებული დარჩა, ბავშვებმა არ იციან ის, რაც მან ასე გულმოდგინედ ასწავლა და იციან ის, რაც არ უსწავლებია.

იცით, რა — მითხრა პედაგოგმა, — მწერალთა კავშირში მე თქვენს მოხსენებას ვესწრებოდი, სიტყვის თქმა მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე.

უმჯობესი კია გავბედოთ, კოლეგებს არ მოვერიდოთ და ვთქვათ, რაც სიმართლეა. სამწუხაროდ, ჩვენმა ბავშვებმა დღეს უკეთ იციან სიტყვები: კოსმონავტი, რაკეტა, ხომალდი, თვითმფრინავი, ვიდრე თითა, ტაბიკი, კოზაკი, სახნისი.

რატომ? ჩვენ ხომ ვასწავლით ტაბიკს, სახნისს, მათ კი უკეთ იციან ის, რასაც არ ვასწავლით: კოსმოსი, კოსმონავტი... ამ უცხო სიტყვებს მათ ცხოვრება, ყოფა ასწავლით.

ალბათ დედა ენამაც უნდა აუწყოს ფეხი ცხოვრებას, მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცეში გადმოვიდეს, ვასწავლოთ: თითაც, სახნისიც, ტაბიკიც, მაგრამ დღევანდელი დღეც არ დავივიწყოთ.

როგორ უნდა მოხდეს ეს, გავულოთ კარი უცხო სიტყვებს და დედა ენა ავაჭრელოთ ეგრეთწოდებული საერთაშორისო სიტყვებით?

არა, ეს კარგ შედეგს არ გამოიღებს. უნდა ვთარგმნოთ, ან შესატყვისი მოვებნოთ მშობლიური ენის წიაღში: მაგ.: კოსმოსის ნაცვლად თუ ზესკნელს ვიხმართ, მაინცდამაინც, დიდ შეცდომას არ დავუშვებთ. ზესკნელიდან კი შეგვიძლია შევქმნათ ახალი სიტყვები: ზესკნელმავალი — კოსმონავტი, ზესკნელმფრენი — რაკეტა და ა. შ. შედეგი უთუოდ კეთილი იქნება. ამ სიტყვებს ბავშვები შეისწავლიან, თაობები აღიზრდება მათზე და უცხო სიტყვებს ენის წიაღიდან მშობლიური სიტყვები გააძევენ. ასე მოუვიდა სიტყვა „სტოლს“. მეცხრამეტე საუკუნეში სტოლი ფესვმოკიდებულ-მომაგრებული იყო ქართულ ენაში, მაგრამ იგი „მაგიდამ“ გააძევა.

„სულ ტყუილად ჩაივლის ბრძოლა მწერლობაში წინააღმდეგ სტოლისა, კარანდაშისა, შკაფისა, მდივნისა, — წერდა ი. გოგებაშვილი 1896 წ. ჟურნალ „მოამბეში“, — ყველა

ეს დგამი (მებელი) ჩვენში უცხოეთიდან შემოვიდა, ცხოვრებამ შეითვისა, მათი სახელისა ქართულ სიტყვებად მონათლა და მათ მაგიერი სხვა უცნობი ტერმინების ხმარება მწერალთა მიერ დაბადებს წინააღმდეგობას საუბარსა და წიგნს შორის, ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის და, როგორც ყოველთვის, აქაც ცხოვრება გამარჯვებული გამოვა“...

იაკობ გოგებაშვილი ეკამათებოდა გ. ბურჭულაძეს „ივერიაში“ გამოქვეყნებული შენიშვნების გამო.

„ანგელოზის მაგივრად კრიტიკოსი გვირჩევს მაგიდასა. — განაგრძობდა გოგებაშვილი, — რასა ჰქვიან მაგიდა ხალხმა სრულიად არ იცის. ჰკითხეთ გურულებს, მეგრელებს, იმერლებს, ქართლ-კახელებს და ყველასაგან მიიღებთ პასუხს: პირველად გვესმის, არ გაგვიგონია აქნობამდინ, არ ვიცითო. თუ ეტყვიო, მაგიდა სტოლსა ჰქვიან, გეტყვიან: სტოლს სტოლი ჰქვიან, მაგიდა რამ გახდაო. ა მ ჟ ა მ ა დ ს ტ ო ლ ი ს რ უ ლ ი ა დ ქ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ა, რომელსაც ხმარობს სამი წლის ბავშვიც და ასი წლის მოხუციც. „მაგიდა“ კი უცხო სიტყვაა, რომელსაც ვერც ხალხში და ვერც ნასწავლ საზოგადოებაში ვერავისგან ვერ გაიგონებთ. მაშ რა საბუთით სურს ზოგიერთებს ამ სიტყვების შემოღება? ძველი ქართული სიტყვააო. ასეც რომ იყოს, ეს ძველი სიტყვა ახლა მთლად და სრულიად მკვდარია, მისი აღდგენა თითქმის შეუძლებელია“.

ასე მკვიდრად ჰქონდა ფესვი გადგილი ქართულს ენაში მეოცე საუკუნის დასაწყისში, სტოლს, კარანდაშს, შკაფს, მაგრამ ქართულმა სიტყვებმა, მაგიდამ, ფანქარმა და კარადამ ისინი გააძევა სწორედ იმიტომ, რომ ცხოვრების მიერ მოტანილ უცხო სიტყვებს მოეძებნა შესატყვისი ქართული სიტყვები, დედა ენაში ქართულად ჩაიწერა და ამ სიტყვებზე აღიზარდა დღევანდელი ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი.

„დედა ენაში“ თანამედროვეობის ამსახველი მასალის შეტანა ამ თვალთასედვითაც აუცილებელია.

დედა ენა უფლებას არ მოგვცემს უცხო სიტყვებით უამბოთ ბაგჩებს კოსმოსის ამბები, იძულებული გავხდებით ქარ-

თულად დაწეროთ უცხო სიტყვები, უნებურად ქართული ენის სიწმინდესაც დავიცავთ.

მაგრამ ახლა კვლავ პატარებს მივუბრუნდეთ, კვლავ გავეცნოთ მათ სურვილებსა და მისწრაფებებს, მათ პირველ სიტყვებსა და პირველ აზრებს.

ჩამაფიქრებელი იყო საბავშვო ბაღელებთან საუბარი. 59-ე საბავშვო ბაღში უფროს და საშუალო ჯგუფელებს (საერთო ასაკი 5-6 წ.) შევეკითხე: რით მიფრინავენ კოსმოსში, ჩამომითვალეთ კოსმონავტები, ვინ არის რუსთაველი. ამ საბავშვო ბაღში შევამოწმეთ ასამდე ბავშვი. ჩვენთან ერთად იყვნენ საბავშვო ბაღის გამგე ნინო ეგნატაშვილი, აღმზრდელეები ქეთევან კოპალიანი, ეთერ ხუციშვილი და ლუიზა კურდღელაშვილი. ბავშვებმა მშვენივრად გვიპასუხეს. საინტერესოა ზოგიერთი ბავშვის პასუხი. ერთმა კოსმონავტები ასე ჩამოგვითვალა: გაგარინი, ჩკალოვი, ტიტოვი. ერთმა ბავშვმა ვეფხისტყაოსნიდან ნაწყვეტი „ნახეს უცხო მოყმე ვინმეც“ კი გვითხრა ზეპირად. მათთვის ძნელ შეკითხვას — რა არის კოსმოსი, აქ ვერ უპასუხეს. ერთმა ბავშვმა კი კოსმოსი ასე „ახსნა“: „კოსმოსი რაკეტის ბოლიათ. რა თქმა უნდა, საბავშვო ბაღელისათვის ძალზე ძნელი შეკითხვაა — რა არის კოსმოსი, მაგრამ მათ იციან კოსმონავტები, რაკეტა, გაუგონიათ სიტყვა კოსმოსი. „რაკეტის ბოლივით“ რაღაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ კოსმოსზე.

დღესავით ნათელია, რომ დღევანდელი ჩვენი ბავშვი გონებრივად უფრო განვითარებულია, ვიდრე მე-19 საუკუნის ბავშვი. თუმცა მისი მეტყველება აჭრელებულია უცხო სიტყვებით. მეცხრამეტე საუკუნის ბავშვი კი თავანკარა ქართულით მეტყველებდა. თუ ბავშვის სწავლა-აღზრდას სწორად წარვმართავთ, თუ დავიცავთ სწავლებაში გოგებაშვილის პრინციპს — ბავშვმა სწავლაში თავიდანვე დაინახოს აზრი, თუ „დედა ენაც“ ისეთი იქნება, როგორც დღევანდელს ყმაწვილს შეეფერება, შესანიშნავ შედეგს მივიღებთ.

თბილისის მე-10 საშ. სკოლაში დავესწარი საცდელი კლასის მეცადინეობას (პედაგოგიკის ინსტიტუტს რესპუბლიკაში სამოცამდე საცდელი კლასი ჰყავს). ჩემთან ერთად გაკვეთილებს დაესწრნენ: ჟურნალ „დილას“ რედაქტორი,



პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, პედაგოგიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, შალვა ამონაშვილი, ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკები გუგა მიქაძე და შოთა ბაკურაძე, მასწავლებელი დოდო მახარაძე.

ჩვენ ვნახეთ ცოცხალი, ღრმაშინაარსიანი გაკვეთილები, მასწავლებელი ბავშვებს ნიშნებს არ უწერს (საცდელ კლასებში უნიშნო სწავლებაა), მაგრამ აქაურმა მეორე კლასელმა მესამე კლასელზე მეტი იცის. უკეთ წერს, უკეთ მეტყველებს, რატომ? რა არის მიზეზი?

საცდელ კლასებში მთავარი ყურადღება ეთმობა სწავლებაში შინაარსეულ ინტერესს. ბავშვები ერთმანეთის ჯიბრზე კი არ სწავლობენ, სწავლობენ იმისთვის, რომ კარგად იცოდნენ, არ უვითარდებათ შურის გრძნობა და სხვა. „შინაარსეული ინტერესის პედაგოგიური მნიშვნელობა უდავოა: იგი ნამდვილი სწავლის, ნამდვილი განათლების ერთერთს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს“. (დ. უზნაძე).

მართალია, უნიშნო სწავლების შემოღება ჩვენს სკოლებში ძალზე რთული და ძნელი რამაა, მაგრამ თაოსანი პედაგოგების მცდელობა საინტერესო და დამაფიქრებელია.

ფსიქოლოგიაში ცნობილია აალის კანონი. „იგი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც მასალა განსაზღვრული ვადისათვის მზადდება, მაგალითად, გამოცდის ჩაბარების მიზნით, მაშინ იგი უფრო მალე გვავიწყდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფრო ხანგრძლივი ვადისათვის ხდება“ (დ. უზნაძე).

საცდელ კლასებში სწორედ ეს განსაზღვრული ვადისათვის, განსაზღვრული მიზნისათვის — ნიშნისათვის სწავლაა უარყოფილი. ამგვარი სწავლებისათვის კი სრულიად შეუსაბამოა „გაზეპირება“, „დასწავლა“. მაგალითად, მეორეკლასელ ბავშვებს ჩვენ ვუჩვენეთ ნახატი და ამ ნახატის მიხედვით კლასში რამდენი ბავშვიც იყო, იმდენი მშვენიერი პატარა მოთხრობა დაიწერა, ხოლო როცა ამ ბავშვებს შევეკითხეთ, რა არის ტაბიკი, კლასში ჩვენთვის ნაცნობი სიჩუმე ჩამოვარდა. მართალია, მათ უსწავლიათ რა არის ტაბიკი, მაგრამ ეტყობა მასში აზრი ვერ დაუნახავთ, მასწავლებლის ნათქვამი კი ადვილად დავიწყნიათ. ტაბიკი ბავშვისათვის ძალზე

შორეული, ძნელად გასაგები საგანია და მასწავლებლის ნათქვამის მექანიკური „გაზუთხვა“ კი საქმეს ვერ შევლის.

მე ვესაუბრე ათასამდე ბავშვს (ასაკი 5, 6, 7, 8, 9 წ.). მათგან პირველკლასელმა თითქმის ყველამ იცის, რით მიფრინავენ კოსმოსში, ვინ არიან კოსმონავტები, რა არის რაკეტა. ძალზე ცოტამ იცის, რა არის თითა, ურემი, ტაბიკი, კოზაკი.

პედაგოგები ჩვენს ბავშვებს ცილს ვერ დასწამებენ, კოსმოსის თემაზე კარგ მოთხრობასა და ლექსს ისინი ადვილად გაიგებენ. იქნებ ვინმემ მითხრას, თქვენ გავიწყდებათ სოფლის სკოლის ბავშვიო. არ მავიწყდება: ჯერ ერთი, დღეს ჩვენი სოფლელი და ქალაქელი ბავშვის ყოფა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეორეც, „დედა ენა“ მხოლოდ სოფლელი ბავშვისათვის ხომ არ შეგვიდგენია? როგორც ცნობილია, საქართველოში 99756 ბავშვი სწავლობს პირველ კლასში. აქედან ქალაქის სკოლაში სწავლობს — 40010, სოფლის სკოლაში — 59476 ბავშვი. აი, ამ ასი ათასი პირველკლასელის სახელით შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „დედა ენა“ ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი ჩვენი ბავშვის ფანტაზიას, მის ცნობისმოყვარეობას, ვერ ასახავს მის ყოფას, სურვილებსა და მისწრაფებებს.

ჩვენ არ მოვითხოვთ „დედა ენიდან“ გავაძევოთ სიტყვები თითა, ურემი, ტაბიკი, კოზაკი, სახნისი, შესანიშნავი მოთხრობები თხებზე, ორ სახნისზე, ურემზე და სხვ. ვფიქრობთ, „დედა ენა“ უფრო დამშვენდება, გალამაზდება, თუ ბავშვის დღევანდელი ყოფის ამსახველ ნაწარმოებებსაც შევიტანთ მასში. გავამდიდრებთ ბავშვის გონებას, დავაკმაყოფილებთ მის ცნობისმოყვარეობას თუ კოსმოსის ამბებზე მხიარულ ლექსებსა და მოთხრობებს გამოვაქვეყნებთ.

ნუ გავჯიუტდებით და ნუ შევუდგებით, როგორც გოგებაშვილი იტყოდა: „ჩიხო-მახო“, საკითხების ჰაი-ჰარად მტკიცებას; რომ მთავარია „დედა ენაში“ ეწეროს: „მაწონი მჟავა, ქინაქინა ციების წამალია“ და სხვა. საკმარისია, ერთი საუკუნეა ხალხს ვასწავლით, რომ მაწონი მჟავაო და მჟავე კი არ არის. ქინაქინა ციების წამალიაო და ციების წამალი აღარ არის. ნუთუ ამის დაჯერება ძნელია?

1930 წლიდან ქინაქინა ციების წამალი არ არის. როგორც

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გვითხრეს, 30 წელია საქართველოში ციების სამკურნალოდ იხმარება შემდეგი პრეპარატები: აკრიქინი, პლაზმოციდი, ქინიციდი, ბიგუმალი. აკრიქინი არის ის ჯადოსანი წამალი, რომელმაც სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოში მალარია (ციება) მოსპო, 1965 წელს საქართველოში გვყავდა ციებით დაავადებული მხოლოდ ერთი კაცი, ხოლო 1966 წლიდან ავად აღარავინაა. მაშ, რა საჭიროა, „დედა ენაში“ ეწეროს: ქინაქინა ციების წამალიაო და სხვა მისთანანი. მით უფრო, თუ ქინაქინა გულის კუნთის ზოგიერთი დაავადების წამალია და არა ციების. ციების ყველაზე პოპულარული წამალი თურმე აკრიქინია.

ასევე არ არის ზუსტი გამოთქმა „მაწონი მჟავა“, მჟავე ამჟავებული მაწონია, ახალი მაწონი არ არის მჟავე. ტყე-მალე მჟავა უფრო ახლოა ჭემმარიტებასთან და სჯობს ეს დაიწეროს.

„დედა ენაში“ დაბეჭდილი ყოველი სიტყვა ყურადღებით უნდა ავწონ-დავწონოთ, გონების თვალთ გაენხრიკოთ ყოველი წინადადება, ვიმსჯელოთ მშვიდად და აუღელვებლად. ჩვენ გვყვანან მოაზროვნე, საქმის მცოდნე პედაგოგები, სამწუხაროდ, „დედა ენის“ განსილვას ისინი არ დასწრებიან, რომლებთანაც „დალაგებული ბაასი მოხერხდება, სადავო საკითხების დამშვიდებული გამოკვლევა და საეჭვო აზრების დინჯად გამოძიება არ გაძნელდება“ (ი. გოგებაშვილი).

## ავ-ფთონი და ანასუნი

სიტყვა „ავ-ფთონი“ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, „ანასუნი“ — აკაკი წერეთელს. დღევანდელი ქართველისათვის ორივე სიტყვა გაუგებარია. სად ვიპოვოთ ამ სიტყვათა განმარტება?

ჩავიხედოთ ახალგამოსულ ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონში; (ავტორი თენგიზ სანიკიძე) „ავ-ფთონი, მინახავს... ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანი: 17,4“ (გვ. 10).

როგორც ვხედავთ, სიტყვა არ არის ახსნილი, მოტანილია კონტექსტი და მითითებულია გვერდი. წიგნს ლექსიკონი აწერია...

კეთილი და პატიოსანი, მაშ, ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონში ამოკითხული ეგებ სხვა ლექსიკონებმა განგვიმარტონ. გადმოვიღოთ ჩვენი სამაგიდო, ძვირფასი წიგნები: საბა, ჩუბინაშვილები, განმარტებითი, — არ არის. ეგებ სხვა რომელიმე ლექსიკონში იპოვება „ავ-ფთონი?“ — არსად არ არის!

ილიას სიტყვაა, ისევე ილიას მივმართოთ: „მეც მინახავს თვის სიბნელით თვალნი, ვითა წყვდიადი ისე ღრმად-ღრმანი, საშიშნი ცეცხლით, დაუმონავნი, ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანი“. სრული კონტექსტიდანაც ჭირს ავ-ფთონის გაგება. ილიას პოეზიის ლექსიკონს სწორედ ამგვარ სიტყვათა ახსნა-განმარტება ევალება.

თუ სადმე, რომელიმე ენაში, რომელიმე ფილოლოგიურ სამყაროში ასე არ არის, სასურველად და სამაგალითოდ ვერ მივიჩნევთ.

მაინც რა უნდა იყოს სიტყვა „ავ-ფთონი“? რაკი სიტყვა არსად განიმარტება, უნდა ვივარაუდოთ, ვიგულისხმოთ, ვიმარჩიელოთ, სხვა რა დაგვრჩენია?..

დავაკვირდეთ ლექსის შინაარსს: პოეტი ქალის შავ თვა-

ლებს, ვიდრე ავ-ფთონ ზღვას შეადარებდეს, გვიხატავს „ვი-თა წყვდიადს“, „სიბნელით თვალნს“ ე. ი. ქალს ძალიან შავი თვალები ჰქონია, „ღრმად-ღრმანი“, „საშიშნი ცეცხლით“, „დაუმონავნი“, ამგვარი თვალები უკვე ქალის შინაგან სამყაროს წარმოადგენს. დაუმონავნი, ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანით — ასე ამთავრებს სტროფს პოეტი. ალბათ მოუ-თოკავი, დაუმორჩილებელი ზღვაა „ავ-ფთონი“ ზღვა, ხოლო სიტყვის ჟღერასაც ყურს თუ მიუვუგდებთ, ა ვ - ფ თ ო ნ ი , ა ვ ა დ მ შ ფ ო თ ვ ა რ ე ზღვა თუა.

ლექსიკონის ავტორი, ავ-ფთონს ხომ არ განმარტავს და არ განმარტავს, კონტექსტიც მარჯვედ არა აქვს მოხმობი-ლი, „დაუმონავნის“ ამოღება არამც და არამც არ შეიძლება ამ კონტექსტიდან. „ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანი, „და-უმონავნის“ ამხსნელია.

ავ-ფთონს გარს იმად ვუტრიალებ, მეტად მნიშვნელო-ვანი სიტყვა მგონია ჩემი წერილისათვის. ეს ერთი სიტყვა ხატავს ტიპიურ სურათს, თუ როგორა გვაქვს შესწავლილი დიდი ილიას შემოქმედება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ამ სიტყვას ყურადღება მიაქ-ციეს ტექსტოლოგებმა. 1984 წ. ჟურნალ „კრიტიკაში“ № 3, რ. კუსრაშვილმა გამოაქვეყნა წერილი: „ილიას პოეტურ თხზულებათა ტექსტების დასაზუსტებლად“. ამ წერილში ავ-ტორი განიხილავს ილიას ავტოგრაფებს, მრავალი შეცდო-მა, მწერლის სიკვდილის შემდგომ გამოცემებში დაშვებულო, გამოაქვს სააშკარაოზე და ილიას ხელნაწერების მიხედვით ასწორებს. „ავ-ფთონსაც“ ასეთ შეცდომად მიიჩნევს. „ამ ლექსის ერთადერთი ავტოგრაფი არსებობს (№ 108, გვ. 3) — წერს რ. კუსრაშვილი, — რომელშიც შემოხსენებულ სიტყვას სავსებით გასაგები სიტყვა ენაცვლება: „ა ღ მ შ ფ ო თ ნ ი“ („ვით ქარიშხალში ა ღ მ შ ფ ო თ ნ ი ზღვანი“). იგი დაიბეჭდა ილიას სიკვდილის შემდეგ 1909 წ. ჟურნალ „ფასკუნჯში“, № 6, და 1914 წელს მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში, რომლებიც ითვალისწინებდნენ ილიას ავტოგრაფს, ხოლო 1925-1951 წლების გამოცემები უყრდნობა „ცისკარში“ და-ბეჭდილ ტექსტს. ფაქტია, „ცისკარში“ არასწორად დაბეჭდი-ლი სიტყვა გამეორდა ამ გამოცემებშიც“.

რ. კუსრაშვილის სწორებას იზიარებენ ილ. ჭავჭავაძის სუტომეულის გამოცემელნი. 1985 წ. გამოვიდა ილია ჭავჭავაძის პირველი ტომი, ტომის შემდგენლებმა გ. გვერდწითელმა და ს. ცაიშვილმა „მეც შავს თვალებს“ ამ შესწორებით „ვით ქარიშხალში აღმშფოთნი ზღვანი“ გამოაქვეყნეს.

თ. სანიკიძეს წინ უდევს ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი პ. ინგოროყვას გამოცემული 1951 წელს და ფილოლოგიურ სამყაროში მომხდარ სიასწავლებს არ ითვალისწინებს. მართალია, ლექსიკონის შემდგენელი აქეთ-იქით თვალების ცეცებას ვერ დაიწყებს, ლობე-ყორეს ვერ მიედ-მოედება, მტკიცედ უნდა მიჰყვებოდეს აკადემიურ გამოცემას, უნდა ენდობოდეს მას, თ. სანიკიძე ასეც იქცევა, მაგრამ თუ უკვე აღმოჩენილია ახალი მასალები, ნაპოვნია ავტოგრაფი და შიგ გარკვევით სწერია ილიას სიტყვა „აღმშფოთნი“ ვილაცის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად მიღებული სიტყვა „ავ-ფთონი“ ლექსიკონში შევიტანოთ? თუ არა პ. ინგოროყვას განუმეორებელი ინტუიცია, ეგებ მართლა ასეც მომხდარიყო, მაგრამ საქმე კიდევ უფრო რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება.

„აღმშფოთნის“ ნაცვლად „ავ-ფთონის“ დაწერა არა მგონია, უბრალო შეცდომა იყოს ჟურნალ „ცისკარის“ მიერ დაშვებული, როგორც ამას ჩვენი ტექსტოლოგები ფიქრობენ, არც პ. ინგოროყვა მიგვაჩნია ისეთ მეცნიერად, ვინც ხელალებით გაიმეორებდა სხვათა შეცდომას.

ლექსი „მეც შავს თვალებს“ ჟურნალ „ცისკარში № 3“ გამოქვეყნდა ილიას სიცოცხლეში 1859 წელს, და იქ „ავ-ფთონი“ სწერია.

პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (ავტოგრაფი — კრებული № 108) ამ ლექსის ავტოგრაფში მართლაც გარკვევით იკითხება „აღმშფოთნი“, მაგრამ იქვე, სხვა კრებულში № 217, ასევე ნათლად სწერია „ავ-ფთონი“. მართალია, ეს კრებული არ არის ილიას ავტოგრაფი, მაგრამ არც ის კრებული უნდა იყოს, რითაც იხელმძღვანელა პ. ინგოროყვამ.

ილ. ჭავჭავაძის ავტოგრაფების აღწერილობა 1951 წ. გამოაქვეყნა ცნობილმა მკვლევარმა შ. გოზალიშვილმა.

ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული, ჩვენთვის საინტერესო, ამ ორივე კრებულის აღწერილობა ამ წიგნში გამოქვეყნებულია.

ბავლე ინგოროყვა თავის კომენტარებში არ მიუთითებს ამ კრებულებზე, მას ხელთა აქვს რომელიღაც კიდეც სხვა „№ ხელნაწერი (ეკუთვნის ივ. კაკაბაძეს) ქართული პოეზიის ანთოლოგია, შედგენილი და გადაწერილი კირილე ლორთქიფანიძის მიერ. ხელნაწერს სათაურად აქვს: „ქართველი მწერლების თხზულებები“. ხელნაწერში მოთავსებულია ლექსები — ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ნ. ბარათაშვილისა, ალ. ჭავჭავაძისა, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა“.

(ილ. ჭავჭავაძე თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 416).

აი, ამ კრებულს ეყრდნობა პ. ინგოროყვა და არა იმათ, რომელიც ამჯერად ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია. ეს კრებული კი არც გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში აღმოჩნდა.

ნუ ავჩქარდებით, ერთი ხელის დაკვრით, ნუ ჩავივლით შეცდომად „ავ-ფთონს“. ეგებ ავ-ფთონიანი ავტოგრაფი არსებობდა და დაიკარგა, ეგებ დღესაც არსებობს და უბრალოდ, ვერ მივაგენით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ ავ-ფთონიან ნუსხას არ მისდევს პ. ინგოროყვას ავ-ფთონიანი ნუსხა.

„სიცოცხლე მათში დულს იმა ცეცხლით“, — ვკითხულობთ პ. ინგოროყვასთან, სიცოცხლე მათში ისე დულს ცეცხლით, — სწერია ხელნაწერთა ინსტიტუტის № 217 კრებულში. „ვეძებ და ვეძებ აქ მე შავს თვალებს, მარამ რუსეთში ვინ დამანახვებს“, — ვკითხულობთ პ. ინგოროყვასთან, ხელნაწერთა ინსტიტუტის № 217 კრებულში კი სწერია: „ვეძებ და ვეძებ აქ მე შავ თვალებს, მაგრამ რუსეთში ვინ დამანახვებს“. ე. ი. პ. ინგოროყვას ხელთ აშკარად სხვა კრებული ჰქონია. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ავ-ფთონიანი ნუსხები ეყრდნობოდა ავ-ფთონიან ავტოგრაფს და ის ავტოგრაფი დაიკარგა ან სადღაც ინახება და არ ვიცით სად.

ახლა თვითონ სიტყვა „ავ-ფთონის“ თაობაზედ. ეს სიტყვა ლექსიკონებში არ არის, მაგრამ არა გვგონია სელაღებით უარსაყოფი, გადასაგდები სიტყვა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ორმა ქართველმა მწიგნობარმა პ. ინგოროყვამ და კირ. ლორთქიფანიძემ გადმოწერეს და არ ეხოთირათ, არ მიიჩნიეს შეცდომად, მაშასადამე, მათთვის ნაცნობი სიტყვა იყო.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით შეიძლება ამ სიტყვაში კაცმა ამოიკითხოს ავ-ფთოვანი→ავ-ფთონი=ავფრთიანი ზღვა. როგორც ვიცით, ფრთა||ფთა, ძვ. ქ. ფთე, ქართული კილოკავებისთვის, სალიტერატურო ენისთვისაც კი უცხო არ არის. მეტიც, ენათმცოდნენი „ავფთონში“ ბერძნულ „ფთონოსს“ — ბგერა, ხმა-ს კითხულობენ (მ. რაფავა), ე. ი. ავ-ფთონი, ზღვა, ა ვ - ხ მ ი ა ნ ი ზ ღ ვ ა ყოფილა!

თუ ასეა, ეჭვს არ იწვევს სიტყვის წარმომავლობა: იგი მწიგნობრული სიტყვაა და შექმნილია ჩვენი მწიგნობარი წინაპრების მიერ: ანტონ კათალიკოსის, ვახტანგ მეექვსის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ან თვით ილია ჭავჭავაძის მიერ.

შეერთებულია ორი სიტყვა: ქართული „ავი“ და ბერძნული „ფთონოს“. ასეთი წარმოება ქართულისათვის უცხო არ არის. მაგალ., ავბედი, ბედი სპარსული სიტყვაა, ავლა-დიდება, ავლა — არაბული, ავტომრავა ავტო — ბერძნული და სხვა. უეჭველობის და ერთადერთობის, საბოლოოდ დამტკიცებულის უფლებას ჩემი ნააზრევნი, ალბათ, ვერ მოიპოვებს და ამისი სურვილი არცა მაქვს, მაგრამ ავ-ფთონი მაინც ილიასეული სიტყვა მგონია. მხოლოდ და მხოლოდ ილიასეული ან მის მიერ მკვდრეთით აღდგენილი სიტყვა. ან შეთხზული. მის თანამედროვეთ აკაკის და ვაჟას არ უხმარიათ ეს სიტყვა, მართო ილიამ იხმარა, მართო ერთ ლექსში, რომელიღაც ერთ წამს, დიდი გონების რომელიღაც ერთ გაელვებაზე დაიბადა საკვირველი სიტყვა „ავ-ფთონი“, კახეთში, ხალხურ მეტყველებაში, დღესაც იხმარება თურმე სიტყვა „ფრთონვა“ (გ. ნატროშვილი, თ. კვაჭანტირაძე). ილია ჭავჭავაძემ სწორედ „ფთონვა||ფრთონვა“ ძირიდან შექმნა ეს სიტყვა, ამაშია ჭეშმარიტი სიტყვისმოქმედთა სიდიადე: მარადიულ ბნელში ითხზვება და იქმნება ნამდვილი



ასალი სიტყვა. სიტყვის ხასიათიც, ჟღერაც ილიასეულია: „ავ-ფთონი ზღვანი“ მისი ზვიადი სტილის შესატყვისია, არტისტულია, — ამაყი, საამოდ მაღალფარდოვანი. ყოველივე ამის გამო, და კიდევ ბევრი რამის გამო, „ავ-ფთონიცა“ და რალა თქმა უნდა, „ალმფოთონიც“, უნდა ეწეროს ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონში, უნდა იყოს ასსნილი და ვარიანტები მითითებული. როგორც ვიცით, ჯერ ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი არა გვაქვს და აი, უცებ ილიას და აკაკის ლექსიკონები.. რა უნდა იყოს ამაზე კარგი და სატაშო?.. მაგრამ თუ ამ ლექსიკონებში არამც თუ ავ-ფთონი, არც ერთი სიტყვა არ არის განმარტებული, ე. ი. ეს წიგნები ლექსიკონები კი არაა, სიმფონიაა, ესეც მკითხველმა წინასწარ უნდა იცოდეს, წიგნს სიმფონია უნდა ეწეროს ყდაზე და არა ლექსიკონი. თორემ რა გამოდის? ილია ჭავჭავაძის ლექსიკონი იყიდებაო, გავქანდიო, შევიძინეთ, გვგანია, შინ ილია ჭავჭავაძის ენის ნანატრი ლექსიკონი მივიტანეთ, ლექსიკონში კი არც ერთი სიტყვა არ არის ასსნილი.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონების მსგავსად ყველა მეცნიერთაშვის მისაბაძი შრომა მრავალი წლის უკან გასწია ჩვენმა სასიქადულო აკაკი შანიძემ, დიდის რუდუნებით შეკრიბა რუსთაველის ყოველი სიტყვა და წიგნს დაარქვა არა ლექსიკონი, არამედ სიმფონია. „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ — ასე იცნობენ აკაკი შანიძის ამ ნაშრომს მეცნიერ-ფილოლოგები.

როგორც ჩანს პატივცემულ თენგიზ სანიკიძეს უგრძვნია ეს უხერხულობა და წიგნის წინასიტყვაობაში ნელ-ნელა ცდილობს შემოგვაპაროს წიგნის სიმფონია-ლექსიკონობა. „მწერლის ენის სიმფონია-ლექსიკონები მზამზარეული მასალაა სხვადასხვა სახის ლექსიკონთა შექმნისათვის...“ „მწერლის ენის სიმფონია-ლექსიკონი“ ავლენს... და ა. შ...

ჩემი წიგნი ლექსიკონი კი არა, სიმფონია-ლექსიკონიაო, — გვეუბნება წინასიტყვაობაში ავტორი.

თუ სიმფონია-ლექსიკონია, წიგნსაც სიმფონია-ლექსიკონი უნდა ერქვას. ისე როგორც ივანე იმნაიშვილმა დააწერა

თავის ერთ-ერთ, შესანიშნავ წიგნს: „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“.

ახლა გადავშალოთ ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, იქ ყველა ძნელად გასაგები სიტყვა განმარტებულია.

მაგალითად, პ ა ს ე ქ (ებრაელთა დღესასწაული, ეგვიპტიდან გამოსვლის სახსოვრად დაწესებული. მისი სინონიმებია: „პასქა“, „ვნება“, ზოგჯერ, აგრეთვე, „ზატიკი“. სიტყვა ებრაელურია, მაგრამ „პასქის“ ფორმით ბერძნულ სიტყვად გაუგიათ და ქართულად „ვნებად“ უთარგმნიათ), აი, ასეთი დაწვრილებითი ახსნა-განმარტების შემდეგ, მოტანილია კონტექსტი, რაც თავისთავად, აგრეთვე, ამ სიტყვის ამხსნელია. მაგალითად, „უწინარეს დღესასწაულისა მის პასექისა... იცოდა იესუ“ (გვ. 439). კონტექსტის მოტანის თვალსაზრისითაც წიგნი სამაგალითოა. ზოგი სიტყვა არ არის ახსნილი, მაგალითად, ს ა ნ თ ე ლ ი. მაგრამ ისეთი ტექსტია მისადაგებული, ყოველი ახსნა-განმარტება უძლურია მასთან: „ს ა ნ თ ე ლ ი: სანთელი გუამისაი არს თუალი“ (გვ. 512).

აკაკი შანიძის რედაქციით გამოცემული ეს წიგნი არის სწორედ სიმფონია-ლექსიკონის ნიმუში.

ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი არც ამგვარი სიმფონია-ლექსიკონია.

ეგებ პუშკინის ენის ლექსიკონის ტიპის წიგნია. პუშკინის ლექსიკონში ახსნილია ისეთი სიტყვებიც კი, როგორცაა: Академия (გვ. 32), Бедствие (გვ. 74) და ა. შ.

არც პუშკინის ლექსიკონის ტიპის წიგნია.

წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ამოვაბარათეთ და ანბანის რიგზე გავაწყეთ ყველა სიტყვა. მხედველობიდან არ გამოვკრჩენია არც ერთი მათგანი, იქნება იგი საკუთრივ ქართული თუ უცხოური წარმოშობისა, პირწმინდადაა ამოკრებილი როგორც სრული მნიშვნელობის, ისე დამხმარე სიტყვები“.

წიგნის ავტორს, პატივცემულ თ. სანიკიძეს უნდა ვენდოთ. ალბათ მართლაც ასეა. ერთს შევნიშნავთ მხოლოდ. ვერ ვიპოვე ლექსიკონში ილიასეული სიტყვები: სწოწნს, ჰლხინობს, ჰსტკებბა, ჰმღერის, ჰგიჟობს, ჰხარობს, ჰხედავს... და ა. შ.

ლექსიკონში ეს სიტყვები შეტანილია დღევანდელი სწო-

რი ფორმებით: წოწნს, ლხინობს, სტკბება, მღერის, გიჟობს, ხარობს, ხედავს. რატომ?.. თუ წიგნს საცნობარო დანიშნულება აქვს, სიტყვები იმ ფორმით უნდა განვალაგოთ, რა ფორმითაც მწერალი ხმარობდა, ან წინასიტყვაობაში მიუთითოთ ის წესი და რიგი, რითაც დალაგდნენ სიტყვები.

ამ სიტყვებს გულისყური მივაპყარ იმის გამო, რომ მათ საკუთარი პატარა თავგადასავლები გააჩნიათ: ცნობილია, რომ სილ. ხუნდაძემ მრავალი შენიშვნა გამოთქვა თავის დროზე ილიას პოეზიის ენობრივი ქსოვილისა გამო, ზოგჯერ ყურადსაღები, ზოგჯერ მცდარი. კერძოდ, „სწოწნს“ მას უმართებულო ფორმად, ქართულის დამახინჯებად მიაჩნდა. გავიხსენოთ ლექსი „გაზაფხული“. „აგერ, პეპელა ფრთააკრეფილი ყვავილს სწოწნს ნელა და თრთის ყვავილი“. უშნო ფორმაა, უკანონოც არის, უნდა იყოს წუწნის ან წოვსო, — უკიჟინებდა კრიტიკოსი ილიას. ეგებ სილ. ხუნდაძე მართალიც იყო, დღევანდელი სალიტერატურო ნორმები სილ. ხუნდაძის სასარგებლოდ მეტყველებენ, მაგრამ სიტყვა „სწოწნს“ გააჩნია უაღრესად ქართული სწორედ აღმოსავლურ-ქართული ელფერი. უ-სა და თ-ს მონაცვლეობა, წოწორაქი||წუწურაქის ტიპის სიტყვათა თანაარსებობა, ქართული ენის ერთერთი ნიშან-თვისებაა.

ილია ჭავჭავაძე თვითონ იყო დამფუძნებელი საერთო სალიტერატურო ქართული ენისა, ბუნებრივია, მას თანამედროვენი ყოველ გადახრას სალიტერატურო ქართულიდან მოპკითხავდნენ.

„ჩვენს პოეტს და მასთან ერთად ყველას, ვინც კი ზმნებში ასო ჰ-ს ხმარობენ, არა აქვს შემუშავებული კანონი, თუ რა შემთხვევაში იხმარება ეს ასო. ამ ლექსში, მაგალითად, პოეტი ხმარობს ჰ-ს ზმნებში: ჰლხინობს, ჰსტკბება, ჰმღერის, ჰგიჟობს, ჰხარობს, ჰხედავს და არა ხმარობს: სტკვენს, სწოწნს, სწყდება და ყვავდება; ნეტა აგვიხსნიდეს ან თვით ავტორი, ან მისი გამომცემელი, თუ რათ იწერებიან პირველი ზმნები ჰ-თი და რათ მეორენი უ-ჰ-თით?“ (კვალი, 1894, № 29. ციტატა მომაქვს გ. შალამბერიძის წიგნის მიხედვით „ილია ჭავჭავაძის ენა“ გვ. 73). ჩემი ღრმა რწმენით, ეს სიტყვები და არა მარტო ეს სიტყვები, ლექსიკონში უნდა იყოს იმ

მართლწერით შეტანილი, რა მართლწერითაც თვითონ ილია წერდა. თუ გვინდა ლექსიკონი ადვილად მოსახმარი იყოს, მკითხველს არ უნდა დასჭირდეს ფიქრი იმაზე, სად იპოვოს სიტყვები: ჰლხინობს, დამშთენიეს, აღმესპნენ და ა. შ. მე არ გამომიძიებია მართლა სრულია თუ არა ლექსიკონი, ილია ჭავჭავაძის ყველა სიტყვა მართლა ამოკრებილია თუ არა მისი პოეზიიდან. ამას საგანგებო შრომა დასჭირდება, ეს სპეციალისტების საქმეა.

ახლა მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ კიდევ ერთ სიტყვას „ანასუნს“, ეს სიტყვაც თ. სანიკიძის ლექსიკონში ამოვიკითხე, ოღონდ აკაკის პოეზიის ლექსიკონში „ანასუნ“-ი მოდით, კარში გავაგდოთ, ვუძახოთ: ანასუნი VI, 313, 22, (გვ. 36).

რა თქმა უნდა, ჭირს ანასუნის გაგებაც, აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონშიც სიტყვები აუხსნელია, ეს ლექსიკონიც არ არის ლექსიკონი, ესეც სიმფონიაა, არც გავაგრძელებდი სიტყვას ამ საგანზედ, ანასუნი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესატან სიტყვათა სიაში რომ არ მეპოვა.

აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი, უფრო ადრე, 1982-83 წწ. გამოვიდა ორ ტომად. მეორე ტომს დაერთვის საკმაოდ ვრცელი ბოლოსიტყვაობა. სადაც თ. სანიკიძე განმარტებითი ლექსიკონის შემდგენლებს ურჩევს: თუ ოდესმე ხელახლა დადგება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის საკითხი, გამოასწორონ ნაკლოვანება და შეიტანონ ლექსიკონში აკაკის პოეზიაში მის მიერ აღმოჩენილი სიტყვები. ასეთი უცნობი სიტყვა მარტო ანზე 122-იათ.

„აკაკი წერეთლის ენის ლექსიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, — წერს თ. სანიკიძე, — რომ ბევრი სალექსიკონო ერთეული დარჩენილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიღმა. (საერთო რედაქტორი პროფ. არნ. ჩიქობავა) აკაკი წერეთლის პოეზიის მიხედვით მარტო ანზე გვხვდება 122 სიტყვა, რომელიც არაა ფიქსირებული განმარტებით ლექსიკონში: ააბდღვერს, ააბედებს, ააფათურებს, ააღირებს. ააწურვებს, ააჭიჭინებს, აახმობს, აბრწყენს, აბუჩა, აბუძგავს, აემტვერება, აეფხანება, ავკარგობა... ანაკლები, ანასუ-

ნი, ანაშენი, აცეცქებს... ალ-ყურანი..." და ასე შემდეგ, არ გავაგრძელებ სიტყვათა ჩამოთვლას, ძალზე ვრცელია სიაა. სიტყვათა რიგის ჩამოთვლის შემდეგ თ. სანიკიძე განაგრძობს განმარტებითი ლექსიკონის კრიტიკას: „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არის ამპარტავნება, ანგელოზი, აღმაფრენა, აშიყი... არაა მათგან ნაწარმოები ისეთი სიტყვები, როგორცაა. ამპარტავნებს... ანგელოზობა... აღმაფრენს... აშიყობა... აშიყული“...

შეიძლება ყველაფერი ეს მართლაც ისეა, როგორც თ. სანიკიძე წერს. სიტყვები: „აბდღვერს, აცეცქებს, აკვანჭაღდება“ განმარტებით ლექსიკონში უნდა ეწეროს, თუ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში თ. სანიკიძემ უკეთ უნდა იცოდეს, მე ვერ გამოვდგები მსაჯულად.

არის სხვა რიგის სიტყვებიც; მაგ. განმარტებით ლექსიკონში არ არის აბუჩა, მაგრამ ყველა ქართულ ლექსიკონში არის აბუჩ-ი, შინაარსით ა ბ უ ჩ ა და ა ბ უ ჩ ი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, ა-ს დართვით აბუჩში არაფერი შეცვლილა. აკაკიც „აბუჩის“ მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას: „ა ბ უ ჩ ა ს ტ უ მ რ ა დ წვეული გარს ეხვევიან ჩიტები IV, 40, 3;“ მაშასადამე დიდ ცოდვად არ ჩაიხველება, თუ აბუჩას ფორმით არ არის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა.

განმარტებით ლექსიკონში არ არის, აგრეთვე, ა ვ კ ა რ გ ო ბ ა, მაგრამ ხომ არის ა ვ - კ ა რ გ ი, ა ვ კ ა რ გ ი ა ნ ო ბ ა, ა ვ კ ა რ გ ი ა ნ ი?.. და ა. შ.

თ. სანიკიძის იმ 122 სიტყვას, ყველას რაღაც „სჭირს“, რაღაც მიზეზით არ არის ესა თუ ის სიტყვა ლექსიკონში შეტანილი. ეს მიზეზი დარწმუნებულად ვარ იცოდნენ მისმა შემდგენლებმა, მთავარმა რედაქციამ და ლექსიკონის კომისიამ. გავიხსენოთ ძვირფასი გვარები, არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, სიმ. ჯანაშია, ვ. თოფურია, გ. წერეთელი, ვუკბერიძე, თამარ ლომოური, სტეფ. მენთეშაშვილი, ვიქტ. კუპრაძე, სიმ. ვაჩნაძე.

უხილავი მიზეზი რის გამოც ა ბ უ ჩ ა არ არის ლექსიკონში და არის ა ბ უ ჩ -ი, ღრმად მწამს, რომ ამ მეცნიერებმა იცოდნენ.

ჩემის აზრით, თ. სანიკიძეს საქმე კუროზამდეც კი მიჰყავს, იმ 122 სიტყვათა შორის, ფიქსირებული რომ არ არის განმარტებით ლექსიკონში, ასახელებს ორ უცხო სიტყვასაც: ალ-ყურანსა და ანასუნს.

ზემოთ ნახსენები მეცნიერები მრავალ ენათა მცოდნენი, ფრიად განსწავლულნი, დინჯი და აუჩქარებელი ჭირისუფალნი იყვნენ ქართული ენისა. ყოველი სიტყვა დიდი სიფრთხილით, პასუხისმგებლობითა და ცოდნით შეჰქონდათ ლექსიკონში.

ალ-ყურანის რაობის გარკვევას არ სჭირდებოდა, აკადემიკოსთა დასკვნები, პატივცემულ თ. სანიკიძეს აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში ყველა რიგითი მეცნიერ-მუშაკი ეტყოდა, რომ ალ-ყურანი, ყურანის არაბული დაწერილობაა, „ალ“ — არაბული არტიკლია, ყურანი კი განმარტებით ლექსიკონში ახსნილია მშვენივრად: (არაბ. კურან „კითხვა“) მუსულმანთა საღვთო წიგნი, რომელიც შეიცავს „მაჰმადის მოძღვრებას“ (განმ. ლექს. ტ. VII, გვ. 591).

ქართული ენა არ იცნობს სიტყვა „ალ-ყურანს“. ამ ფორმით ეს სიტყვა არ შემოსულა ჩვენში. როგორც ვიცით, აკაკი პეტერბურგში აღმოსავლურ ენებს სწავლობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვის გრაფიკულმა ხატმა შეაქმნევინა პოეტს „ალ-ყურანი“.

გასაგებია, რომ არაბული სიტყვის, არაბულ დაწერილობას ქართულ განმარტებით ლექსიკონში ვერ შეიტანდნენ.

„ამრიგად, — ასკვნის თ. სანიკიძე, — ცალკეულ მწერალთა ენის სიმფონია-ლექსიკონები მრავლად წარმოაჩენს ნაირფეროვან ლექსიკურ ერთეულს. და თუ ოდესმე დადგება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ხელმეორედ გამოცემის საკითხი, ამგვარი ლექსიკონები უფრო სრულყოფილს გახდის მას“.

ეჭვი არ მეპარება! უსათუოდ ასე იქნება! თუ, რასაკვირველია, ნამდვილ სიმფონია-ლექსიკონებს შევქმნით. არ გავითლებთ საქმეს, მარტო პოეზიის სიმფონიებს კი არა, აკაკის და ილიას ენის (ი. ი. პოეზიის, პროზის, პუბლიცისტიკის, წერილების) ერთობლივ სიმფონია-ლექსიკონებს გამოვცემთ, თუ ამ სრულქმნილ ლექსიკონებს სხვა ჩვენი დი-

დი მწერლების ლექსიკონებიც დაემატება, ახალი განმარტებითი ლექსიკონის მრავალტომეულის შემდგენლებს გაეხსნებათ გზა ქართული ენის დიადი წიაღისაკენ და უსათუოდ უკეთეს ლექსიკონს შეადგენენ.

ასეც რომ მოხდეს, ტყუილად ჰგონია პატივცემულ მეცნიერს, თ. სანიკიძეს, იმ ახალი, ვრცელი „ლექსიკონის მიღმა“, სიტყვა „ანასუნი“ არ დარჩება.

ანასუნი თურქული სიტყვაა და ქართულ ლექსიკონში, ალყურანის დარად, მისი ადგილიც არ არის. მეტიც, ის დედის გინებაა, დედის გინება, ისიც თურქულად, შეეძლებელია ქართულ განმარტებით ლექსიკონში შევიტანოთ. ანასუნი ერთი სიტყვა არ არის, დედის გინების ნაწილია, ასე გადმოვიდა ხალხურ მეტყველებაში, ხალხმა თვითონ გაუკეთა რედაქცია, ჩამოაშორა უხაშსი სიტყვა, შეარბილა, მოსათმენი გახადა. აკაკი წერეთელი სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს სიტყვას: ვოდევკილში „პირუტყვების არჩევანი“, პოეტი მწარედ დასცინის არჩევნებს, პირუტყვები შეყრილან და წინამძღოლი უნდა აიარჩიონ, ორპირად გაყოფილან, თავიანთი კანდიდატები წამოუყენებიათ. კანდიდატებია: ერთი ჯგუფისა ვირი, მეორის — ტურა. სიტყვით გამოდის კატა, კანდიდატად ასახელებს ტურას, ვირს უარყოფს.

ქოფაკი კატას შეუტევს: „ვერა ჰხედავთ, რას ბედავს უნამუსო კატუნი?! სპარსეთიდან მოვიდა, მოიტანა თან მუნი!.. გვიტხრას ერთი, რა ნახა ვირში მან დასაწუნი?! მოდიოთ, კარში გავაგდოთ, ვუძახოთ: „ანასუნი“. აკაკიმ იცის ანასუნის მარტო შინაარსი კი არა, მისი წარმომავლობაც კატა სპარსეთიდან მოსულია და „ანასუნი“ სწორედ ზედგამოჭრილია, მასზე. გარდა ამისა, ავტორს სიტყვა ბრჭყალებში მოუქცევია ე. ი. უცხო, სხვათა სიტყვაა. თ. სანიკიძეს ბრჭყალები მოუხსნია, თან წუხს სიტყვა განმარტებითი ლექსიკონის მიღმა დარჩენილათ. მიღმა კი არ დარჩენილა, დატოვეს, ვინაიდან ასეთი უცხო სიტყვები ენას კი არ ამდიდრებენ, ანაგვიანებენ.

ეს ვაისიტყვა ქართულ ენის წიაღში დასავლური ქართულიდან შემოვიდა, თუმცა აზერბაიჯანულშიც დასტურდება (ვ. ჯანგოძე).

შემოვიდა მძლავრობით, მონობისა და უსასობის ხანა-ში და ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრდა. ენამ თვითონ გამოუცხადა ბრძოლა მძლავრობით ჩამოთესილ ბილწსიტყვას. საძაგელ გამოთქმას უფრო საძაგელი ნაწილი ჩამოაშორა, ის საძაგელი იქ, მის შემქმნელს, დაუტოვა, ხოლო იმას რაც შეითვისა, თანდათან შეუცვალა ნირი. თუ აკაკის დროს ანასუნი მხოლოდ და მხოლოდ შეგინებას, დედის შეურაცხყოფას ნიშნავდა, დღეს მეგრულ-გურულ-იმერულ მეტყველებაში „ანასუნი შენს საქმეს“ უკვე სხვა შინაარსით უღერს, — ჯანდაბას შენი საქმეო...

ქართული ენა თვითონ ებრძვის უცხო სიტყვათა მოძალეობას, არ სურს, არ უნდა ანასუნი შეითვისოს და ხან ბოლოს მოაკვეცს, ხან შინაარსს უცვლის.

ასეთ ყოფაში ენას სწავლულთაგან, მწერალთაგან დახმარება სჭირდება, ლექსიკონებში კი არ უნდა შევიტანოთ ქუჩური სიტყვა, პირიქით, ლიტერატურულ ენას, დედა ენას არ გავაკაროთ, ბოლოს და ბოლოს, ხალხური მეტყველებაც გააძევებს მას.

დასასრულ, ამ წერილის მიზანი არ არის მაინცა და მაინც ვინმე ვაკრიტიკო, პატივი არ ვცე სხვის შრომას, ვინხერკედელათ და უნებურად ვაწყენინო ადამიანს.

დიდი შრომაა გაწეული, პატივცემულ მეცნიერს, ალბათ, დიდი ჯაფა დაადგა, ზედიზედ, 1982-83 წლებში აკაკი წერეთლის პოეზიას ლექსიკონის (სინამდვილეში სიმფონიის) ორი ტომი გამოეცა, 1984 წ. სამასგვერდიანი შრომა დაეწერა „აკაკი წერეთელი და ქართული ლექსიკის განვითარების საკითხები“, ხოლო 1986 წელს ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი (სინამდვილეში სიმფონია!) შეექმნა. ხუთ წელიწადში ოთხი ტომი!.. შესაშური, ნაყოფიერი მოღვაწეობაა.

რაც მთავარია, ბედნიერი შემთხვევაა, როცა ასე ფართოდაა ღია მეცნიერისთვის გამომცემლობის კარი. ხუთ წელიწადში ოთხი მეცნიერული ხასიათის, არამხატვრული წიგნის გამოცემა არ არის იოლი საქმე. ასეთი ავტორიტეტი, შესაძლებლობა თუ შემთხვევა, ჩემის აზრით, სჯობდა უკეთ გამოგვეყენებინა: მკითხველისათვის მიგვეწოდებინა არა ოთ-



სი, არამედ ერთი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ენის სრულყოფილი სიმფონია-ლექსიკონი, სადაც აისახებოდა მთლიანად ამ მწერალთა შემოქმედება, აღინუსხებოდა სრულად მათი ენობრივი ლექსიკა, ასახსნელი და განსამარტავი, სათანადოდ განიმარტებოდა, უარსაყოფი უარიყოფოდა.

ასლა რა გამოვიდა, ხელთა გვაქვს მარტო პოეზიის ვითომ ლექსიკონები. ილია და აკაკი სწორედ ისეთი მწერლებია, რომელთა ენა ერთი მთლიანია, განუყოფელია მათი შემოქმედების ენობრივი ქსოვილი. როდის-ღა გამოვა ამ მწერლების პროზის, დრამატურგიის, პუბლიცისტიკის, მემუარების, წერილების და ა. შ. ნამდვილი ლექსიკონები?.. უნდა ვივარაუდოთ, რომ არასოდეს.

მიუხედავად ამისა, ნაკლულევანებისა, არასრულყოფილებისა, ჩემი ღრმა რწმენით, ილიასა და აკაკის პოეზიის ლექსიკონები აუცილებელი წიგნებია. ასეთი წიგნები მეცნიერ ფილოლოგებს, სტუდენტებს, საერთოდ, ლიტერატურით დაინტერესებულ ყველა პირს სჭირდება.

მხოლოდ და მხოლოდ უკეთესის სურვილმა ამაღებინა კალამი ხელში. ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დღევანდელი დონე გვაძლევს იმის ნებას რომ ლექსიკონის შემდგენლებს მეტი მოვთხოვოთ, თორემ პირველ ნაბიჯად, ამ მწერლების ენობრივი სამყაროს შესაცნობად, ერთგვარ სასინჯ ქვად ილიასა და აკაკის ენის ნამდვილი ლექსიკონების შესადგენად, ეს წიგნები თავიანთ რაღას შეასრულებენ.

## მტერი შორიდან არ მოვა

ვინ უნდა შეაკეთოს კულტურის სახლი, როცა მას ჭერი ჩამოექცევა? ვინ უნდა შეაბას ფერმას კარი, თუ დაუძველდა და გაუტყდა? ცხადია, ამისთვის თბილისიდან არავინ ჩამოვა.

სოფლისა და რაიონის თავკაცები კულტურის სახლსაც, ფერმასაც, სკოლასაც, საავადმყოფოსაც, საერთოდ, ყველა სასოფლო ნაგებობას სვითონ პატრონობენ, კარსაც შეაბამენ ხოლმე და შეაკეთებენ კიდევ, როცა დასჭირდებათ. ერთადერთი რაც თავისად არ მიაჩნიათ კულტურის ძეგლია. კულტურის ძეგლს თითქოს ათასი პატრონი ჰყავს, სინამდვილეში კი გერივით არის სოფელ-ქვეყანაში. საგარეჯოში კაწრეთის სამებისათვის ჭიშკარი და კარ-ფანჯრები შეუხსნიათ და შინ წაუღიათ. მწყემსებს მე-4—მე-7 საუკუნის ჩვენი საამაყო პეგლი ბოსლად უქცევიათ. როცა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ძეგლთა დაცვის კომისიამ, აკადემიკოს ვასტანგ ბერიძის ხელმძღვანელობით, საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობას მოჰკითხეს სამების მოუვლელობა, მათ მხრები აიჩეჩეს, — თურმე დახმარებას თბილისიდან ელოდებოდნენ. იმ დღეს კაწრეთის სამების ეზოში იშვიათი სურათის მოწმე გავსდი, აქ იყვნენ რაიონის ხელმძღვანელები, ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლები, ძეგლის მცველები, ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ თანამშრომელი და მრავალი ძეგლის მეგობარი ადამიანი. ყველა უკმაყოფილო იყო სამების გაპარტახებით; მაგრამ დამნაშავე არავინ იყო. ყველა ვიღაცა სხვას აბრალებდა.

სამება კი თითქოს შაჰ-აბასმა ააოხრაო, სევდიანად გადმოგვყურებდა ეზოში აყაყანებულთ და გულმოკლული გვსაყვედურობდა თავის უბედობას.

გასაკვირი ის არის, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველოს, რამდენიმე წლის წინ, ეს ძეგლი შეუკეთებია, სახურავი გამოუცვლია, შედეგი კი თითქმის არ არის, ეკლესიაში ისე წვიმს, როგორც — გარეთ.

იბადება კითხვა ვინ შეხსნა კარ-ფანჯრები კაწრეთის სამებას, ვინ აქცია ბოსლად, ვინ შეაკეთა უხეიროდ, ცხადია, იმ ადამიანებმა, ვისაც სწორედ მისი დაცვა ევალეობდა, უცხო ადამიანი კაწრეთის დასანგრევად არავინ მოსულა.

მადლობა ღმერთს, ღღეს ვერც შაჰ-აბასი და ვერც ძღამაჰმად ხანი, ჩვენს ეკლესია-მონასტრებს, ვერ ააოხრებს. ახლა, მთავარია ჩვენ თვითონ არ „ავაოხროთ“, ჩვენ თვითონ არ მოვსპოთ ის, რაც მტრებმა ვერ მოსპეს. განა კომისიების ჩასვლა, სხდომების მოწვევა და დადგენილებების მიღებაა საჭირო იმისათვის, რომ შენს ეკლესიას კარი ჩამოჰკიდო?..

შიო მღვიმის მონასტერს თითქოს ყურადღება არ აკლია, კარიც აქვს და ზედ ბოქლომიც ადევს, ამჟამად იქ რესტავრატორები მუშაობენ, გუმბათოვანი ეკლესია უნდა აღადგინონ. ჰყავს მცველიც და მაინც, ეს დიდი ისტორიისა და წარსულის ძეგლი გარყვნილებისა და ლოთობის ბუდედ ქცეულა.

უგულობასა და უყურადღებობას თითქმის გაუნადგურებია მეთორმეტე საუკუნის მცირე მოხატული სამლოცველო მთაზე. ვინც შიო მღვიმეში ამოვა, ის უსათუოდ ნახავს ამ პატარა სამლოცველოსაც, ისე კოხტად და ლამაზად დგას ტყით შემოსილ მთის წვერზე, დამთვალეიერებელი მისკენ მიისწრაფის, მცველს ეზარება მთაზე ასვლა, მგზავრებს მთის ბილიკს უჩვენებს და უკან ბრუნდება. ალბათ ამიტომ, სამლოცველოს კედლებზე რა არ მიუწერიათ, რა არ მიუხატიათ, თაღქვეშაც კი აუღწევიათ და წმინდანისათვის სათვალე „გაუკეთებიათ“, იქვე მიუჯღაბნიათ: „სოჩი“, „ადლერ“, „არმავირ“, ტოლია, ვალოდია, კოტიკო, ჯულიეტა, მალხაზ თეთრაშვილი; თავიანთი სახელები ფრესკებზე დანით ამოუკვეთიათ.

ცნობილია, რომ შიომღვიმეში თამარ მეფის მწიგნობართ-უხუცესმა, ანტონ ჭყონდიდელმა სხალტა — შიომღვიმის წყალსადენი 1202 წელს გაიყვანა. ამ ზაფხულს კი იქ წყა-

ლი არ ჰქონდათ. როცა ძველი წყარო მოვიკითხე, მცველმა მითხრა, წყარო გაბინძურებულია და მისი დაღევა არ შეიძლებაო, წყაროს ამოწმენდას რა დიდი წელისწყვეტა უნდა!..

სულ უბრალო რამ სჭირდება შიომღვიმეს — ყურადღებიანი, ერთგული მცველი. ადამიანი, ვინც მორიგებასა და მოლაპარაკებას კი არ დაუწყებს საყვარლებით ამოსულ მაჰაკაცებს, კუდიტ ქვას ასროლინებს მათ, ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთავს უწესობასა და უზნეობას, გაწმენდს, გაასუფთავებს იქაურობას, წყაროსაც მოუვლის, ლავრის შესანიშნავ ეზო-მიდამოსაც, პატარა სამლოცველოსაც და გამოქვაბულებსაც.

ხობის მონასტრის კედლებზე ლელვისა და აკაციის ხეები ამოსულიყო. მონასტრის მცველმა დამინახა თუ არა, ხელათ ჩამოგლიჯა ხეები და მათთან ერთად კედელიც გამოანგრია. ასეთი „მცველებიც“ გვყავს.

ძეგლთა დაცვის სამმართველოში უფრო საზარელ ამბებს გაიგებს ადამიანი, მაგრამ რასაც ვწერ ეს ტიპიურია და ამდენად უფრო საშიშიც.

ძეგლის რესტავრაციას, გადახურვას, კედლების გამაგრებას და სხვა ამგვარ რთულ სამუშაოს რაიონში ვერ შეასრულებენ, ამას არც არავინ თხოვს მათ. არსებობს ცალკე დაწესებულებები, რაიონის მესვეურებმა მათ უნდა მიმართონ დახმარებისათვის, მაგრამ როცა საყდრის კედელზე მცენარე ამოვა, ვიდრე ხედ იქცეოდეს, მცველმა უნდა მოგლიჯოს და გადააგდოს, ძეგლის მისადგომები უნდა გაკაფოს და გაასუფთაოს, ძეგლთან ახლოს ცეცხლი არავის დაანთებინოს და ა. შ. ძეგლის დაცვა გასაღების ჯიბეში ჩადება არ არის, ძეგლის მოვლა-პატრონობაც უნდა მოეთხოვოთ მათ.

ხშირად რაიონის ხელმძღვანელები უდროობას უჩივიან, სოფელში ათასი საქმეა, ძეგლებისათვის ვერ მოვიცალეთო.

დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე იცლიდნენ, მაგალითად, შიომღვიმისათვის, ვახტანგ მეექვსეს დავით გარეჯისთვის მტკვრიდან რუ ამოუყვანია, ერეკლე მეფე კი აი, რა ჭირისუფლურ წერილს წერს გარეჯელებს ძნელებდობის უამს: „მანდ მყოფნი ვინცა ხართ, ნურავინ შეორგულდებით, ნურვინ შეშინდებით, და ამაზე სარწმუნო იყავით: ერთი

ბერი რომ არ დადგეს, მე მაგ მონასტერს არ დავცლი და არც უკაცოდ გაუშვებ, ბერი რომ არავინ დადგეს, ერის კაცს და ხუცეს ხომ ბევრს ვიშოვნო რომ დავაყენო ღვთის შეწევნით“.

ნუთუ მართლა ერეკლე მეფეზე უფრო მოუცლელები ვარა, რომ დავით გარეჯისთვის ვერ მიგვიხედია!..

ერთი საკვირველი ჩვევაც გვჭირს: თუ ძეგლი მე-5, ან მე-6 საუკუნის არ არის, არაფრად მიგვაჩნია. გასული საუკუნეების ძეგლებს არავინ პატრონობს. სოფელ ხაშში (საგარეჯოს რაიონი) სოფლის ცენტრში ვნახე დანგრეული ეკლესია, სოფელ სკურშიც (წალენჯიხის რაიონი) ძველი ტაძრის კედლებიღა დარჩენილა იმ მოტივით, რომ „ძველი არ არის“, მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

მარტვილის რაიონში არის ერთი პატარა ეკლესია — ალერტი. იქაურთათვის მთავარი ძეგლი ცხადია მარტვილია, მაგრამ ალერტიც მეტად საინტერესოა. ალერტის ნაგებობა, დღეს ვერც მხატვრული იერით, ვერც ისტორიით დაიკვირნის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. „ალერტობა“ ისეთი დიდი საეკლესიო დღესასწაული იყო საჭყონდიდოში, შეუძლებელია მას დიდი ისტორია არ ჰქონოდა. ალერტობა ძალიან ჰგავს, თითქმის იგივეა, რაც ალავერდობა. ალერტიცა და ალავერდიც ორივე წმინდა გიორგის სალოცავია. ჩანს, ნამდვილი ძველი ქართული საეკლესიო დღესასწაული ალერტობაა და არა ალავერდობა. თურქული სიტყვა „ალ ვერდი“ არაფერ შუაშია. არ უნდა იყოს მართებული ქართული ალავერდის ამ სიტყვასთან დაკავშირება. შეიძლება ამ სიტყვების ძირი ალერდია. საბას განმარტებით ალერდი ნედლი თივაა, ხოლო ა. მაყაშვილი ალერდს იონჯად განმარტავს. მაშ, ალერტსა და ალავერდში, ალერტობასა და ალავერდობაში იღანდება სიტყვა ალერდი.

ქართულ წარმართულ პანთეონში მცენარის კულტს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ცნობილია, მუხის, ცაცხვის, ტირიფის კულტი.

კაპუნობა მუხის ღვთაების დღესასწაული. ყოფილა, ტილიფობა (ტირიფობა), ტირიფისა. ჩვენს წინაპრებს არა მართლ დიდი ხეები, ბაიაც კი მიუჩნევიათ ბუნების გამოღვიძ-

ბისა თუ აღორძინების სიმბოლოდ. და აღდგომის წინა კვირას ბაიობა დაუწესებიათ. თუ ტილიფობის დროს ნაკურთხი ტირიფის ტოტები მიჰქონდათ შინ მოწმუნეებს და ჯარგვალის წინა ბოძზე ამაგრებდნენ, ბაიობის დროს ბზის კურთხევა იცოდნენ (თავის ღროზე, ალბათ, ბაიას აკურთხებდნენ) და ნაკურთხ ბზას ჩოხის საქილეში ჩაიდებდნენ.

სავარაუდებელია, რომ ალერტობაც სწორედ ალერდის დღესასწაულია, ჩემს დაკვირვებას მეცნიერული უეჭველობის პრეტენზია არა აქვს, შესაძლოა, ალერტიც, ალერტობაც და ალავერდობაც მეცნიერებმა სხვაგვარად ახსნან. როგორც არ უნდა აიხსნას, ის პატარა ეკლესია მარტვილის რაიონში, სოფელ კიწიაში, ისე უნდა დარჩეს, როგორც აქამდე მოღწეულა, არც ის ამბები უნდა დავივიწყოთ, რაც ამ ეკლესიაში ჩვენს დრომდე სდებოდა. თუ ეკლესია დაინგრევა, ალერტიცა და ალერტობაც გაქრება. არა თუ პატარა სამლოცველოები და ეკლესიები არ უნდა დავანგრიოთ, არ უნდა დავკარგოთ, ის ადგილებიც, სადაც ოდესღაც ეკლესია იდგა (ე. წ. ნაოხვამულები). სწორედ იმ „ნაოხვამულების“ გათხრამ მოგვცა არა ერთი დადებითი შედეგი. მეტწილად ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი ხომ წარმართულ საძირკველზე დგას. ყოველ ეკლესიას, ყოველ ციხეს, ყოველ ნანგრევს წინაპრის სისხლი აცხია, წინაპრის აზრი და გონება მის ბალავარშია ჩაკირული, პატივი უნდა ვცეთ მათ. გარდა ამისა, დღეს იუ ახალა, სვალ და ზედ ძველი იქნება. ასე რომ ეფიქრათ ჩვენს წინაპრებს, მაშინ დღეს არ გვექნებოდა ის უძველესი ძეგლები, რითაც ახლა თავს ვიწონებთ და ერი გვეთქმის.

ვინ იცის როგორ წავა წინ არქეოლოგია... შეიძლება ეკლესიის ეზოს ყოველი მტკაველი ოქროდ გადაგვექცევს. შეიძლება დადგეს დრო და გავთხაროთ ყველა სალოცავი, ყველა ციხე და სამარხი, ყველა საკულტო ნაგებობა.

ახლა საზღვარს გარეთ გავიხედოთ, ამ რამდენიმე წლის წინათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოცა სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული „მიმომსილველი“, სადაც გამოქვეყნდა ინგლისელი მოგზაურის დენის სესილ ჰილზის წერილი „ჩემი მოგზაურობანი თურქეთში“; იქ თურმე ჩვენს ომს, იმხანა და პარხალს აფეთქებენ. ქვები სჭირ-

დებათ სამშენებლო მასალად. რა სიყვარულით, რა მორიდებოთა და პატივისცემით სწერს ქართულ ძეგლებზე ინგლისელი მოგზაური. მას გული წყდება, წუხს და დარდობს ჩვენს გაპარტახებულ საუნჯეზე. სამწუხაროდ, ვასაგები მიზეზების გამო, ჩვენც არ შეგვწყევს ძალა დავიცვათ ოშკი და პარხალი, მაგრამ ნუთუ იმის უნარიც წავკვირთავა, რომ დავით გარეჯს, შიომღვიმესა და კაწრეთის სამებას მოვუაროთ?

დასასრულ კიდევ ერთ უცხოელს, მსოფლიო სახელის მქონე ხელოვნების ისტორიკოსს ჰანს ზედლმაიერს მივმართავ და აქ დავსვამ ცრემლის წერტილს.

„დასავლეთის არქიტექტურის ისტორიის მცოდნე, რომელიც შალვა ამირანაშვილის წიგნში მე-12-13 სურათებზე გამოსახული ბოლნისის (საქართველო) სიონის ეკლესიის სისტემას პირველად ნახავს და შემდგომ გაიგებს, რომ ეს ეკლესია მე-5 საუკუნის ბოლოს იქნა აგებული, ძალზე გაოცდება, რადგანაც აქ გამოკვეთილია ისეთი სისტემის სახე, რომელიც დასავლეთში მხოლოდ სუთი საუკუნით გვიან გვხვდება კატალონურ ეკლესიათა ერთ ჯგუფში“.

## თეთრი სასახლე

ზუგდიდში დადიანისეული სასახლე და ბაღი მნახველს სევდას ჰგვრის, ნაღველს აუშლის ის, რაც წინაპრებს საოცარი სიყვარულითა და რუდუნებით შეუქმნიათ, მათ შთამომავლებს რამდენიმე ათეულ წელიწადში გაჩანაგებამდე, განადგურებამდე მიუყვანიათ.

საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ასეთი ფაქტი. დადიანებმა დაგვიტოვეს 800 სახეობის იშვიათი მცენარე ვერსალიდან და ნეაპოლიდან ჩამოტანილი, ჩვენ ის 250-მდე დავიყვანეთ.

ბოლო წლებში ზუგდიდელები მიხვდნენ დაშვებულ შეცდომას და მის გამოსწორებას შეუდგნენ; დადიანთა დანატოვარ ძვირფას განძს მზრუნველი თვალთ შეხედეს, — ბაღი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადასცეს, სასახლე შეაკეთეს და აღადგინეს და მაინც ხანგრძლივი და გულდინჯი მუშაობაა საჭირო, რომ პირვანდელი სახით აღდგეს ზღაპრულ წალკოტში ჩამოგდარი დიდებული სასახლე თავისი უნიკალური ნივთებითა და იშვიათი არქივით.

ვფიქრობთ, რომ თავის დროზე, შეცდომით გაშენდა სასახლის ახლომახლოს საცხოვრებელი სახლები, სტადიონი, სკოლა, საბავშვო ბაღი.

ხოლო, ბოლო წლებში საკვირველი რამ მოხდა, ზედ სასახლის გვერდით წამოჭიმეს ეგრეთწოდებული უსახელო „სტუმრის სახლი“.

ეს სახლი თანამედროვე ლამაზი ნაგებობაა, გარს მშვენიერი ბაღი აკრავს — კარგად მოვლილი და ყურადღებით გარემოსილი.

ამჟამად კი დადიანისეულ მამულში, სასახლისა და ბაღის წინ აშენებენ კულტურისა და დასვენების პარკს.



ამგვარი, ერთი შეხედვით საჭირო, სასარგებლო მშენებლობანი ძველის ახლო-მახლოს სასურველი არ არის.

ჩვენის ღრმა რწმენით, დადიანთა მამული უნდა აღდგეს პირვანდელი სახით, დაეთმოს ბოტანიკურ ბაღს, ან ნაკრძალად გამოცხადდეს.

ასეთი „მამულები“ ხომ ბევრი არა გვაქვს!..

დადიანისეული სასახლე გამონაკლისი როდია; მარტვილის მონასტერს წინ უგემოვნოდ აშენებული ახალი, თანამედროვე ნაგებობა უდგას. შენობა მთლიანად ფარავს მონასტრის ფსადს.

ცოტა ქვემოთ რესტორანი გაუმართავთ; აქ არც რესტორნის ადგილია. მარტვილს მოვლა-პატრონობა არ აკლია, თლ-ონდ ამ ნაგებობებს ადგილი სხვაგან უნდა გამოუსახონ.

გულმოკლული გასცქერის ჭიხუხ მთას სობის მონასტერიც. საქართველოს ძველი დიდების ერთერთი ჩუმი მსმევე ნელ-ნელა ინგრევა და იშლება.

მის კედლებზე ამოსულა ლეღვისა და აკაციის ბუჩქები, ამობიბინებულა სურთ... ინგრევა სამრეკლო და ქვის კიბე.

მონასტრისაკენ მიმავალი გზაც აყრის და მანქანისათვის ძნელად სავალი.

კულტურის ძეგლები უარეს ყოფაში გვინახავს. ყოველდღიურ, გადაუდებელ საქმეთა გამო მონასტრებისათვის ვერ მოგვიცლია.

როცა სოფელს სკოლა არა აქვს, ან საავადმყოფო, ჯერ ის უნდა აშენდეს, მონასტერზე შემდეგ უნდა ვიზრუნოთ, ეს ბუნებრივია. ჩვენ სობის მონასტერი განგებ ამოვირჩიეთ, მის გვერდით, მთაზე ჯვრის მონასტერივით წამოუჭიმავეთ უსახელო სასახლე. რა ნაგებობაა ეს? იქნება სკოლაა ან საავადმყოფო, ან კულტურის სახლი?..

დაუხარჯავთ უამრავი ფული, დიდძალი სამშენებლო მასალა, გაუწევიათ დიდი შრომა. სასახლეც ურიგო არ გამოასულა. სობის რაიონში ყოველი სოფლიდან, ყოველი კუთხიდან, ყოველი წერტილიდან მოჩანს იგი სილაკვარდესი. აქეთკენ მიმავალი გზაც კარგია და გზის შემოგარენიც, ბეტონისაგან ნაგები მშვენიერი გზა ყვაფილების სეივანში მიემართება. გზადაგზა ხან აუზი შეგხვდებათ დეკორატიულად

მორთულ-მოკაზმული, ხანაც ტყიდან მომზირალი შვლის ქანდაკი.

სასახლის აივნიდან სტუმრის თვალწინ ისეთი პეიზაჟი გადაიშლება ლამორისის ფილმები გაგახსენდებათ.

ვისია ეს თეთრი სასახლე? რა მიზანს ემსახურება, რისთვის აიგო? ხობში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდათ. ცხადია, სასახლე ისევ და ისევ უსახელო სტუმართათვის აუგიათ.

დღეს ხობელებს ამ სასახლის გამო გასაჭირი ადგათ, არ იციან, რა იღონონ, ვის მისცენ სახლი, რაში გამოიყენონ!

მუშათა დასასვენებელ სახლად არ გამოდგება, რადგან ხობის მეურნეობის მუშა ჭიხუს მთაზე არ ამოვა დასასვენებელი. მუზეუმს რომ დაუთმონ, სამუზეუმო მაინცდამაინც არაფერი გააჩნიათ. კლუბად და კინოთეატრადაც არ გადაკეთდება, შორს არის რაიონიდან.

ღიახ, ხობის მონასტერი ინგრევა, მისი კედლების გასამაგრებლად ერთი მუჭა ცემენტი ვერ უშოვიათ, ჭიხუს მთაზე კი ყამარქალის ბროლის კომპივიტ დგას უაზროდ და უსაგნოდ აშენებული უსახელო სტუმრის თეთრი სახლი.

ის „სტუმარი“, ვისაც თქვენ მოელით, ხობელებო, არ მოვა, უკეთესია თქვენს მონასტერს მიხედოთ, თეთრი სასახლეები და რესტორნები მყინვარწვერზეც რომ ააგოთ, სახელს და დიდებას ვერ მოგიტანთ, თქვენი ბებერი კბილებჩაცვენალი მონასტერი გერჩიოთ უმიზნოდ და უაზროდ აშენებულ სრ.-სასახლეებს.

საბედნიეროდ გვეყვანან ძეგლის ჭეშმარიტი მეგობარი არაბიანები, მათ მთელი გულით, მთელი არსებით უყვართ წარსული და დღე და ღამე იმის ფიქრში არიან, როგორ გამოავლინონ და უპატრონონ დროის ღველფში მიმალულ ძველი დიდების ნაშთებს.

პედაგოგი ბესარიონ ქირია ერთი იმათთაგანია. მისი დაულაღავი მცდელობითა და უანგარო მოღვაწეობით ბევრი რამ გაკეთდა სოფელ ცაიშში იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმისა და ღია ცის ქვეშ მუზეუმის შესაქმნელად, მისი ზრუნვა წლების მანძილზე არ მოკლებია ცაიშის მონასტერს, პალატსა და გამოქვაბულს. ასეთ უანგარო მოღვაწეს „ქოთ-

ნების შემგროვებელი“ უსაქმური და მეტიწარა შეარქვეს, შე-  
ავიწროვეს და აიძულეს საყვარელი საქმისათვის თავი მი-  
ენებებინა.

კულტურის ძეგლებს მეტი ყურადღება სჭირდება; ცალ-  
კეულ ძეგლის ჭეშმარიტ მეგობარს მეტი მხარდაჭერა. ეგებ  
მართლა ახალგაზრდობამ აიღოს ხელში კულტურის ძეგლე-  
ბის მოვლა-პატრონობა, ეგებ მართლა გამოჩნდნენ თავგა-  
დაკლული მამულიშვილნი ახალგაზრდებს შორისაც; ეს მათ  
მოღვაწეობას დაამშვენებს.

1974 წ.

## ტრადიცია თუ უტრადიციობა

წინაპრებმა გვიანდერძეს ბრძოლის, შრომისა და შემოქმედების ისეთი დიდი ტრადიცია, კიდევ მრავალ საუკუნეს გვეყოფა თავმოსაწონებლად. მათი დანატოვარი ჩვენ გავაკუღმართეთ, ჩვენ ვაქციეთ ქართული ლამაზი ქორწილი ამაზრზენ ღრეობად. ჩვენებურ ტირილსაც თვითონ დავუკარგეთ ძველებური ელფერი და დახლს დავამგვანეთ. ჩვენ გამოვიგონეთ ნახევარმილიონიანი საფლავების „გაკეთება“, დიდკაცთა დაბადების დღეებზე მრავალკარატიანი ბრილიანტების მიტანა და სხვა უკეთურობანი.

წინაპრებისთვის ყველაფერი ეს უცხო იყო. თვით დავით აღმაშენებელი დამარხულია ისე, როგორც ჩვეულებრივი რიგითი ქრისტიანი. თამარ მეფის საფლავი არც ვიცით სად არის. საბურთალოს სასაფლაოზე კი მარმარილოს თეთრ აკლდამებში დიდის გულმიოდგინებით ვუვლით ქურდთა, მექრთამეთა და კომბინატორთა საფლავებს.

ქართულმა მატრიანებმა, ქრონიკებმა, ზეპირმა გადმოცემებმა, მითმა, თქმულებამ თუ სხვა წყარომ, არ იცის წარსულში ქურდისთვის ვინმეს ძეგლი აეგოს.

ნამდვილი ეროვნული ტრადიცია ზნეობრივად ყოველთვის წმინდა და სრულყოფილი იყო, დროის მკაცრ ქურაში განწმენდილ-გაფაქიზებული, თაობების საუკეთესო აღმზრდელი და მასწავლებელი.

ქართული ქორწილი სახალხო დღესასწაულს გარდა, სკოლაც იყო ახალგაზრდებისათვის, აქ ისინი სწავლობდნენ უფროსების პატივისცემას, ახალ მშობლებთან ურთიერთობას, საქორწილო ყველა რიტუალის (გადანახულების, ნიშნობის, მზითევის მომზადების, ჯვარისწერის, თვით ქორწილის) შესრულების შემდეგ ახალგაზრდები ჩამოყალიბებულნი, დავაჟკაცებულნი იწყებდნენ ახალ ცხოვრებას. ესმოდათ ცხოვრე-

ბის ავკარგი, საღად უყურებდნენ მომავალს. ახალი ცხოვრების დაწყების წინ ისინი გაივლიდნენ ერთგვარ სახალხო განსაწმენდელში: სასიძოც ცხრაგზის შემოწმდებოდა და საპატარძლოც, ჩაიკირებოდა მომავალი კერის ეკონომიური და მორალური ბალავარი. ამ საქმეში თანაბრად მონაწილეობდა ორივე ოჯახი: ნეფისაც და პატარძლისაც. თუ ნეფე სანიშნის მოიტანდა, პატარძალი მზითევს გაამზადებდა. თუ სიძის ოჯახი სანაქებო ქორწილს გადაიხდიდა, სასიამაო სიძეს აწუქებდა უნაგირით დარახტულ შავ ბედაურს. ჯვარისწერის შემდეგ სასიძო სასიდედროსა და ცოლისდებს საჩუქრებს მიართმევდა. ქალის მშობლებს კი ევალებოდა პირველი შვილის დაბადების დროს აკვნისა და მისი მოკაზმულობის — ბავშვის მზითევის მიტანა... ასე და ამგვარად, ახალი ოჯახის შექმნაში თანაბრად მონაწილეობდა ვაჟისა და ქალის ოჯახები. ეკონომიურადაც, მორალურადაც ორივე მხარე კმაყოფილი იყო. განა დღეს ვინმე იცავს ამ ტრადიციას? სასიძოც და საპატარძლოც იმის ფიქრში არიან თუ რა წაგლიჯონ მშობლებს. მშობლებიც მცდელობას არ აკლებენ თავისი შვილი სხვას მიუგდონ სარჩენად. ქორწილიც განა ნამდვილ ქართულ ქორწილს ჰგავს? ქორწინების სახლში წამოწყებული მანქანების ბორიალი და ჭყვიტინ-ჭყვიტინი რომ დამთავრდება, თეფშზე ფებს დაჰკრავს სიძე-პატარძალი, ეს არის და ეს; ჰგონიათ, რომ ქორწილის ყველა წესი დაიცვეს. შემდეგ იწყება ორ-სამ დღიანი ლოთობა-ღრეობა.

ქორწილის წესისა და რიტუალის დაცვა მეტად სასარგებლოა ახალშექმნილი ოჯახისათვის. მართალია, დღეს გადანახულება და ნიშნობა იმდენად ძველმოდურია, ღიმილსაც კი იწვევს, მაგრამ თუ ტრადიციას გამოვედევნებით, ვნებას არ მოგვიტანს. პირიქით, დაგვეხმარება წესიერი ოჯახის შექმნაში. გადანახულების იდეა ის გახლავთ, რომ შემთხვევითი შეუღლება, შეცდომა და გაუგებრობა ახალგაზრდებმა დროულად აიცდინონ, შექმნან მყარი, მტკიცე ოჯახი. გადანახულების დროს ცოლ-ქმრობის საკითხი წყდება ოჯახში, ახლობლებისა და კეთილისმყოფელების გარემოცვაში.

დღეს არავის სჭირდება გადანახულება და ამ წესს არც არავინ იცავს. ცოლ-ქმრობის პირობა იდება ქუჩაში ან,

უკეთეს შემთხვევაში, კინოთეატრში. ახალგაზრდამ .ხეირიანად არ იცის, ვის მიყვება ცოლად, ან ვის ირთავს.

ადამიანს მრჩეველი სჭირდება მაშინაც კი, როცა ის კოსტუმს ან პალტოს ყიდულობს, ცხადია, როცა სამუდამო მეგობარს — მეუღლეს იძენს, ერთგული მრჩეველი გვერდით უნდა ჰყავდეს, გადანახულება სწორედ ამ მიზანს ისახავს. ამ დროს ქალსაც და ვაჟსაც უამრავი მრჩეველი ჰყავს, გამოიკითხავენ სასიძოს-სამატარძლოს თჯახების ამბებს, ქალვაჟი პირადად გაიცნობს ერთმანეთს, საქმეს აწონ-დაწონიან და თუ ერთმანეთის შესაფერისნი აღმოჩნდებიან, ნიშნობის თადარიგს დაიჭერენ. ნიშნობა სიყვარულისა და ერთგულების გამოცდაა. ზოგჯერ ნიშნობა წლობით გრძელდებოდა, მაშინ გამოჩნდებოდა, ხოლმე მომავალი მეუღლეების სიმტკიცე, ნებისყოფა, ზნეობა.

აზრითა და შინაარსით სავსეა გადანახულებისა და ნიშნობის ტრადიცია.

ახლა ქორწილს არ იკითხავთ? — ქართული ქორწილი ხომ მჭევრმეტყველების, სახიობის, მუსიკისა და ხელოვნების, ჭამის, სმის, ქცევის ნამდვილი აკადემია იყო. ქართულ ქორწილებსა და ლხინებში თაობები იზრდებოდნენ, აქ სწავლობდნენ სამშობლოს სიყვარულს, ადამიანებთან ურთიერთობას, მეგობრობას, გამტანობასა და ვაჟკაცობას, ყალიბდებოდნენ სრულყოფილ ადამიანებად.

ეთნოსი ხალხის სულის სარკეა. ქართველ კაცს უნარი ჰქონდა თავისებურად განეცადა ლხინიცა და ჭირიც. ჩვენი ქორწილი სხვისას არ ჰგავდა, ჩვენი გლოვაც სხვა ხალხების გლოვისაგან გამოირჩეოდა.

ქორწილის მსგავსად ჩვენებური ტირილის წესსა და რიგში ნათლად ჩანდა ხალხის თავისებურება, ნიჭიერება, ორიგინალობა.

სიკვდილის მაცნე კვილით დაწყებული, დამთავრებული მესაფლავეთა და მეკუბოეთა დალოცვით — ამ სამგლოვიარო სახალხო წარმოდგენაში სიკვდილისა და გლოვის ტრაგიკულობის სილამაზე ისეთ სიმადლეზე იყო აყვანილი, ანტიკურ ტრაგედიებს რომ შეეშურებდა.

დღევანდელი ტირილი ლანდია ქართული ტირილისა;

გლოვა არ შეგვიძლია, მოთქმა ჩამორჩენილობაა, შავის ჩაც-  
მა უკულტურობა. ქელები და ჭამა-სმა გვინდა მხოლოდ  
უსამართ. თან თვალ-ყური იქით გვიჭირავს, ვინ რამდენი  
მანეთი მოიტანა. ცხადია, ასეთი სატირალი არ იწვევს პა-  
ტივისცემას, მოტირალები დროსტარებისა და ქეიფის გუ-  
ნებაზე დგებიან.

დღეს სოფელში ხნიერი ადამიანი რომ მოკვდება, თანა-  
სოფლელები მთელ კვირას უსაქმურობაში, ღვინის სმასა და  
თინბაზობაში ატარებენ. ამასწინათ, სწორედ ფრიად პატივ-  
ცემული, ხანდაზმული ადამიანის სატირლად ჩავედი ერთ  
ჩვენს სოფელში. რაც მე იქ ტაშ-ფანდურით შემომხვდნენ,  
იქას რა დამავიწყებს. ადგილობრივმა მძლოლმა თავისი სა-  
ხალტურო „ვოლგით“ რაიონის ცენტრიდან საქელესოდ გამ-  
ზადებულ სოფელში ჩამიყვანა. ჩვენს სოფელში დიდი ამ-  
ბავიანო, — გახარებული მიყვებოდა მძლოლი, — პატივცემულ-  
მა ამდენი ჩაის ჭიქა დაიბარაო. მძლოლი ისე იყო ქელებით  
შთაგონებული, რომ გზად რამდენ ძროხას ან უშობელს და-  
ინახავდა, მანქანას შეანელებდა, სარკმლიდან თავს გამოჰ-  
ყოფდა და აღტაცებული გაჰკიოდა: ხაშლამა, ხაშლამაო მოს-  
წონდა საკუთარი ხუმრობა და თვითონვე ეცინებოდა. მოხუ-  
ცებული ადამიანი რომ შეგვხვდა, იქას ჟიგელი ჟიგულიო! —  
მიაყვირა. ჩანს მალე მოკვდება, გადასახურავი ფული ერთ  
ჟიგულს ხომ უყიდის მის პატრონს, ჟიგულის ამიტომ ვე-  
ძახიო. ასე გონებადაბნელებული დამხვდა მთელი სოფელი:  
ძროხას ხაშლამას ეძახდნენ, ცხვარს ფლავს, ერთმანეთს კი-  
დევ ჟიგულის, მოსკვიჩს, ვოლგას...

ეს „ტრადიცია“ სხვას არავის შეუქმნია. იგი ჩვენ შევ-  
ქმენით და ჩვენ თვითონვე უნდა უკუვაგდოთ.

აღბათ უხერხულია შინ მიეჭრე ადამიანს, აუკრძალო წვე-  
ულების გამართვა, მწუხარების გამოხატვაშიც ზომა-წონა  
დაუწესო, მაგრამ როცა ამ წვეულებებს საზოგადოებრივი  
მნიშვნელობა ეძლევა, როცა ასალგაზრდობის აღზრდაზე  
მავნედ მოქმედებს დაბადების დღეები, წვეულებები და ქე-  
ლებები, ისევ საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს მათ წინა-  
აღმდეგ.

„გადამეტებულ ღრეობა-ქორწილებსა და ქელებებს თავი

რომ დავანებოთ, თბილისში მეტად პოპულარულია ე. წ. დაბადების დღეები. რა დღესასწაულია ეს? საიდან მოვიდა? რას ემსახურება და რა შედეგი მოაქვს? თუ კარგად დავაკვირდებით, ეს ჩვენი მოგონილი კიდევ ერთი მავნე „ტრადიცია“ ბავშვს თავიდანვე აჩვევს დაუმსახურებელ პატივისცემას, უნერგავს ანგარების სიყვარულს, ასწავლის პატივსიყვარეობას და ყოყონობას. დაბადების დღე, გვინდა თუ არა უნდა გადავიხადოთ, რაკი მთელი თბილისი, მთელი საქართველო უხდის თავის შვილს დაბადების დღეს, გამონაკლისს ვინ დაუშვებს?! ბავშვი ორებზე სწავლობს, თავზედი იზრდება, დაბადების დღე მაინც უნდა გადავუხადოთ, უნდა დავსვათ სუფრის თავში და ლამაზი სადღეგრძელოებით შევამკოთ, სტუმრებს სომ არ გავაგებინებთ რომ იუბილარი უროსანია, უქნარაა, უზრდელი და ზარმაცია?! ბავშვს ხომ არ ჩავუშხამებთ ერთ დღეს წელიწადში? ასე ფიქრობენ დღევანდელი დედები, ასეთია „ტრადიცია“.

კლასში ორმოცი-ორროცდაერთი ბავშვია, დაბადების დღეს ყველა იხდის, ბავშვებმა წინასწარ იციან ერთმანეთის დაბადების დღე, ერთმანეთს თხოვენ კიდევ, რომ უსათუოდ გამართონ დღეობა, მე ხომ დაგპატიჟე, შენც უნდა დამპატიო. მე რომ ის მოგიტანე, შენც უნდა მომიტანო რამე, ამ დღეს საგანგებოდ ელიან, რომ საჩუქრები მიითვალონ...

თავიდანვე ეჩვევიან მიტან-მოტანას, ნელ-ნელა ყალიბდებიან საზოგადოების უზნეო წევრებად.

რაკი დაბადების დღეს არავითარი ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნია, ცხადია, უსაგნო დროის ტარებისა და გულის ამრევი მეშაირე — მეანეგლოტიეების სარბიელად იქცევა საღამო.

წელიწადში ორმოცამდე ასეთი „გართობა“ სრულიად საკმარისია, ბავშვმა სწავლაზე გული აიცრუოს და დაიწყოს ფიქრი იმაზე, რაზედაც არ უნდა ფიქრობდეს. კლასიკურ ქართულ ნადიმზე კი ყმაწვილი საწვლობდა აზრის გამოთქმას, ვარჯიშობდა შაირობა-კაფიობაში, იძენდა სასურველ სითამამეს, ეჩვეოდა ხალხს, სწავლობდა ხალხში მოქცევას. დღევანდელ ჩვენს სუფრაზე ლექსის თქმა, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე მსჯელობა ჩამორჩენილობად ითვლება, საქ-



მეზე საუბარი — უკულტურობად, საკუთარი აზრის გამოთქმა — თავხედობად და უზრდელობად.

დღეს სუფრასთან უნდა იჯდე ბაიყუშივით ან უაზროდ იცინოდე, უნდა ჰყვებოდე ანეკდოტებს, უზომოდ ჭამდე და სვამდე ღვინოს და „შაყირობდე“.

განა ეს არის ქართული დარბაისლური სუფრა?

წმინდა რიტუალური დამოკიდებულება პურ-ღვინოსთან, სუფრასთან და კერასთან, შეცვალა ლაზღანდარობამ და შაყირბაზობამ. წესრიგს, უფროს-უმცროსობასა და ურთიერთ-პატივისცემას ქილიკი და ფარისევლობა მოერია. ასეთი ტრადიცია ჩვენ არა გვქონია, ეს სწორედ უტრადიციობაა, ტრადიციის დაჟიწება.

სწორედ უტრადიციობას, უგემოვნებასა და მემჩანობას უნდა გამოვუცხადოთ სასტიკი ბრძოლა, ხოლო საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ქართული ლხინისა და ჭირის სუფრა, მათთან დაკავშირებული ყველა წესი და ჩვეულება უნდა დავიცვათ და შევინარჩუნოთ კიდეც.

## სოფლის სამკაულო

საქართველოს ედემს და სამოთხეს ადარებდნენ. უცხოელები დღესაც მოხიბლულნი რჩებიან ჩვენი კუთხის სილამაზით. რა გვაქვს ლამაზი, რა ხიბლავს ადამიანს, როცა ჩვენს მიწა-წყალზე ფეხს დაადგამს?

ცნადია, ცათამბჯენებით, მუზეუმებით, გამოფენებითა და ქალაქების მსატვრული იერით ვერ გავაკვირვებთ ევროპელებსა და ამერიკელებს. თავმოსაწონებელი მაინც ბევრი რამ გაგვანჩნია. უცხოელი ვიდრე ჩვენს წარსულს, აწმყოს, სულიერსა და მატერიალურ კულტურას გაიცნობდეს, პირველს, რასაც თვალს მოჰკრავს — ბუნებაა. მთები, მდინარეები, ტყეები და ქართული სოფლები. თუ ახალი დიდი ქალაქები ძირითადად ტიპიური პროექტებით შენდება, სოფლები ძველთაგანვე სტიქიურად, უპროექტოდ და უგეგმოდ, ხალხის ფანტაზიით შენდებოდა. ხალხის გენიას სწორედ სოფლებში შეამჩნევს ადამიანი. ზოგი სოფელი მთის ფერდობზეა შეკრებილი, ზოგი მდინარის პირას, ზოგიც, ვაკეზე. ზოგს სოფელს მთიდან გადმონაქუნი ნაკადული ჩამოუდის, ნაკადული ლამაზ ხეობას ქმნის. ეს ხეობა კი სოფელს განუმეორებელ ელფერს აძლევს.

სხვადასხვა ოსტატის მდიდარი ფანტაზიით ნაგებ კონტაოდებსა და სამზადებს როცა თავზე ადგას მწვანით შემოსილი მთა, ან სოფლის შუაგულში ანკარა წყარო მოედინება, წყაროს პირას ბებერი მუხა დგას, როცა ყველაფერს ამას გვირგვინს ადგამს მთაზე აღმართული ძველისძველი ეკლესია, ბუნებრივია, იქმნება დიდი სილამაზე. ბუნებისა და ხალხის მიერ ძველი საუკუნეებიდან ჩვენს დრომდე მოტანილი ეს სილამაზე მოხიბლავს ნებისმიერ ცივილიზებულ ადამიანს.

დღევანდელი ჩვენი სოფელი თანდათან კარგავს თავის ამ

კოლორიტულ თავისებურ სახეს და რკინიგზის სადგურები-  
ვით ყველა ერთმანეთს ემსგავსება.

სადღაა სახალხო ოსტატების მიერ გულმოდგინედ აწე-  
ნებული, მოხატულ დედაბოძიანი გვირგვინოვანი ქართული  
ღარბაზები, აივნიან-ჩუქურთმიანი კონტა ოდები. მათი ად-  
გილი ორ-სამ სართულიანმა უგემოვნოდ და უნიჭოდ აწე-  
ნებულმა ოთხკუთხედიან რვა და ცხრა-ოთახიანმა ბრიკეტის  
ნაგებობამ დაიკავა. დაიკარგა სილამაზე, შეიბორკა ფანტა-  
ზია. ადრე ყველა სოფელს ჰყავდა თავისი „ხის მოხელე“,  
„ქვის მოხელე“, „ბუხრის მოხელე“... სიტყვა „ოსტატი“ პა-  
ტივისციემით და ყურადღებით იყო გარემოსილი. მიწის უბრა-  
ლო მუშებისაგან, ოსტატი ბუნებრივი, თანდაყოლილი ნიჭი-  
ერებით გამოირჩეოდა. ნამდვილი შემოქმედებით დღე და  
ღამე თავის ხელობაზე ფიქრობდა, საქმის სიყვარულით იწ-  
ვოდა. ოსტატებს შორის იყვნენ უკეთესები, ეგრეთწოდებუ-  
ლი ოქროს ხელიანი ხისა და ქვის ხურონი. ოქროს ხელიანს  
ეძახდნენ იმ ოსტატს, ვინც ლამაზ სახლს აგებდა. საცხოვ-  
რებელს აივანსა და მკერდს მოუჩუქურთმებდა, დედაბოძს  
მოუხატავდა, კარ-ფანჯრებს ისე გამოუხარატებდა, თვალი  
ზედ დაგრჩებოდათ. ახალმოსახლე სწორედ ასეთ ოსტატს,  
დღევანდელ ენაზე რომ ვთქვათ, არქიტექტორს დაეძებდა.  
ოღონდ იმ სახალხო არქიტექტორს წიგნი, საერთოდ, თვა-  
ლით არ ენახა, შენების ინსტინქტი კი, თითქმის დედის  
მუცლიდან გამოჰყოლოდა, განგებას გაეჩინა ხუროთმოძღვ-  
რად. ამ სახალხო ხუროთმოძღვრის მიერ აშენებულ სად-  
გომში დაიდებდა გლეხკაცი ბინას. დამსმარე სათავსოებს:  
მარანს, ბეღელს, ბოსელს, საღორესა თუ საქათმეს თვითონ  
მოაცოდვილებდა. ჭის მოხრელს ჭას ამოათხრევიებდა, მე-  
ჭიშკრეს ჭიშკარს შეუკვეთავდა, წავიდოდა სოფლის ბაზარ-  
ში, ადგილობრივი მეჭურჭლეებისაგან შეიძენდა გობს, კეცს,  
კოთხოს, ხალამს, ქოთანს, მჭედლებისაგან დანებს, ცულს,  
წაღდს, ნამგალს, ცელს... ასე და ამგვარად, პრიმიტიულად,  
მაგრამ ლამაზად გამართავდა ოჯახს და მშვიდობიან ცხოვ-  
რებას შეუდგებოდა. ყოველი ნივთი გულდაგულ, დიდის ოს-  
ტატობით იყო გამოხარატებულ-გამოკვერილი, მათ ხომ ოქ-  
როს ხელიანი ოსტატები ამზადებდნენ.

დღეს სოფელში აღარ არიან მეთუნენი, მწახნაგნი, დაბადნი... ადამიანს ტიკის ყიდვა რომ უნდოდეს, ვერსად იშოვის, სოფლის მაღაზიაში იყიდის ნავთის პლასტმასის ბიდონს, ჩაასხამს შიგ ღვინოს და მიაქვს ქალაქში, იოლად გადის. რეზინის სათბურში და ჟანგბადის ბალიშში ჩასხმული ღვინოც გვინახავს და ვედროში ჩაწველილი რძეც.

ცხადია, დღევანდელი კოლმეურნე უფრო შეძლებულად ცხოვრობს, ვიდრე მეთორმეტე საუკუნის საქართველოში მცხოვრები გლეხკაცი, მაგრამ მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრები ქართველი კაცი სტუმარს წყალ-ღვინოს არ გამოუტანდა. არც ძღვნად წაუღებდა ვინმეს პლასტმასის ნავთის ბიდონში ჩასხმულ შაქრიან ღვინოს. ქართველ კაცს ღვინისთვის ყოველთვის ჰქონდა ცალკე ჭურჭელი: ქვევრი, ტიკი, კასრი, რუმბი. რძისთვის: ნიგა, ტაგანი, ქოთანი. მაწვნისთვის: ქილა, ქასლაშია, ჩაყვა და ა. შ.

თანამედროვე ჩვენი სოფლის მკვიდრი მეთორმეტე საუკუნის ადამიანივით ვერ იცხოვრებს. ტექნიკამ და პროგრესმა ცხოვრება ზღაპრულად შეცვალა, იცვლება გლეხბაცის ყოფაც, ცხოვრების წესი, შრომის იარაღები, ბინა, ნივთები, სამოსი. მაგრამ როცა ქართველი კაცი კონიდრიან ეზოში მტკაველის სისქის ბეტონს დაასხამს, მწვანე მდელოს ბეტონს ამჯობინებს, არ უყვარს მცენარე, პირუტყვი, გულგრილად შესცქერის ბუნებას, არ ზრუნავს ლამაზ ცხოვრებაზე, კარგ ცხოვრებას იმას ეძახის, თუ რამდენიმე მანქანას დააყენებს თავის მობეტონებულ ეზოში და როგორც გარაჟს, ჭიშკარს უზარმაზარ ბოქლომს დაადებს ღამღამობით, როცა კარგავს ყოფის სილამაზის გრძნობას, — ასეთი თანამედროვე ცხოვრების მულამის მცოდნე კაცი სასიკეთოს არაფერს მოუტანს საზოგადოებას. სოფელს სწორედ ის ართმევს შნოსა და ლაზათს, ხელს უწყობს ტრადიციული ღამაზი ქართული სახლ-კარის გაქრობას, ამკვიდრებს სიმანინჯეს, უგემოვნებას და მემწიანობას.

თანამედროვე სოფელს და მის მკვიდრთ არ აკლიათ საჭმელ-სასმელი, ბინა, ავეჯი, ელექტრონი, ტელევიზორი, მაცივარი და ახალი ცხოვრების სხვა სიკეთე, აკლიათ მხოლოდ სილამაზე. დაუოკებელი გამდიდრების სურვილს ეწირება

ლამაზად ცხოვრების სურვილი. სოფლის ესთეტიკაზე, სოფლის ყოფის სილამაზეზე თვით სოფელი არ ზრუნავს. ხალხის შემოქმედების, ფანტაზიისა და ნიჭიერების დაღი არ აზის თანამედროვე სასოფლო ნაგებობებს, ყოფის საგნებსა და ნივთებს.

ის, რაც ლამაზი და მომხიბლავი იყო ქართველი კაცის ცხოვრებაში, ნელ-ნელა მახინჯდება, საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ შექმნილი კლასიკური სახე ქართველი კაცის სადგომისა უსახურდება. იკარგება, ქრება. მხატვრული ღირებულების მქონე ყოფის ნივთები, შრომის იარაღები, სამოსი, სამკაულები, ჯამ-ჭურჭელი, საწყაოები და ა. შ.

დაუდევრად ვექცევით სოფლის ბუნებას.

სოფლის სილამაზე მისი ბუნებაა; მცენარეული საფარი, მთა, მდინარე, მგალობელი ფრინველები, სოფლის ახლო-მახლო მოზინადრე წვრილი ნადირი: კურდღელი, ტურა, მაჩვი...

დღევანდელი ჩვენი ბარის სოფლები მცენარეული საფარისაგან კარგა ხანია გაძარცულია, სოფლის ტყეებს ჯვარი სწერია, ნადირ-ფრინველისთვის ბუჩქიც კი აღარსადაა, სად შეაფაროს თავი ტყიურმა? სად გაითხაროს სორო, სად დაიდოს ბუდე! მგალობელი ფრინველები ბარის სოფლებს აღარ ეკარებიან. ადგნენ და გადაიხვეწნენ. სოფლები ბელურების ამარა დარჩნენ; ადრე კი ასე არ იყო.

დილით გლექკაცს ტოროლას ტია-ტია აღვიძებდა, საღამოთი ბულბულის გალობა ატკობდა.

მგალობელი ფრინველებით სავსე იყო ეზოები.

არ გეგონოთ დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოზე მოგითხრობდეთ; ოცი-ოცდაათი წლის წინაც სოფელში მოისმენდით შაშვის გალობას, ბულბულის ჯადოსნურ კვნესას, მოლალურის „ბიჭო გოგიას“, გუგულის „კაფეთესეს“, ეზოში შემოგიფრინდებოდათ ოფოფი, აკაციის კენწეროებს ჩხიკვი ჯაფარა შეარხევდა, ხოლო ოდა-სახლის ფანჯარასთან გულწითელას სტკენა ბედნიერების მაუწყებელი გვეგონა.

მგალობელი ფრინველი სოფლის სამკაულია. ხის კენწეროებზე შემომჯდარი მოჭიკჭიკე ჩიტი სახილველად ხომ

მშვენიერია, მის გალობას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

მგალობელი ჩიტი ქართველი კაცის კარ-მიდამოს განუყრელი თანამგზავრი გახლდათ. ყრმას აკვანშივე, იავნანასავით ჩაესმოდა ბულბულის გალობა. გამოიჩინდა ქართველი ქალი აკვანს სუფთა ჰაერზე, კაკლის ან თუთის ჩეროში დადგამდა, ნელა ურწყევდა, თან იავნანას უმღეროდა, მოფრინდებოდა ბულბული, ხის კენწეროზე შემოსკუპდებოდა და დედას შეენაცვლებოდა. გალობით დაატკობდა პატარას.

ბუღაბული, ტოროლა, შაშვი, ჩიტბატონა თუ სკვინჩა იყვნენ იმ ყრმის პირველი მუსიკის მასწავლებლები. განუმეორებელი ქართული პეიზაჟები მოზარდს ლუკრისა და დრეზდენის მაგივრობას უწევდა, ამირანის ეპოსი კი, მოწინავე ხ ლსების დიდ წიგნთა მსგავსად, თავისუფლების სიყვარულსა და ხ ლხის სამსახურს შთააგონებდა. ყრმა იზრდებოდა და ყ ლიბდებოდა ჯანსაღ, ჰარმონიულ, სრულყოფილ, სულიერად დასვეწილ ადამიანად.

ბუნების აღმზრდელობით-ესთეტიკური მნიშვნელობა განუზომელია. წყარო გზის პირას მარტო წყურვილს კი არ გვიკლავს, გვამშვიდებს კიდევ, სიხარულს გვგვრის, იმედს გვაძლევს ე. ი. ადამიანის სულზე კეთილისმყოფლად მოქმედებს, როგორც კარგი ლექსი, სიმღერა, ნახატი.

ამ ოციოდე წლის წინათ, თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა თავისი ჭალა, პატარა ტყე, ჯაგნარი. ყანებს შორის ზოლებად იყო დატოვებული მაყვლისა და ეკლის ბუჩქები, ეს ეკალ-ბარდები სოფელს დიდ სამსახურს უწევდა, სწორედ აქ იბუღებდნენ მგალობელი ჩიტები, წვრილი ნადირი. ეს იყო მათი საფარი, სოფლის ერთგვარი ცოცხალი ლაბორატორია, მისი „ველური სილამაზე“.

მოსავლის გადიდების მიზნით ეკალ-ბარდები და ჯაგნარი გაიკაფა, ტყე გაიჩეხა, ყამირი მიწები დამუშავდა, სოფელს საყანე ფართობი მიემატა. უფრო მეტიც, თუ ჭალაში მდინარე დაკლაკნილად მოედინებოდა და ტრაქტორის მუშაობას ხელს უშლიდა, არხი გაითხარა, მდინარის კალაპოტი გასწორდა, სახნავ-სათესი მიწა, როგორც ამბობენ ხოლმე, „გამასივდა“ ანუ სახნავ-სათესი მიწები ერთმანეთს გადაეხა,

რათა ტექნიკას (ტრაქტორს, კომბაინს) შეუფერებლად ემუშავა.

სოფლის თავკაცთა ამგვარ მოღვაწეობას მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკა უდევს საფუძვლად — მოიწიონ უფრო მეტი მოსავალი, დააკმაყოფილონ ადამიანთა გაზრდილი მოთხოვნილება, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილებას საზღვარი არა აქვს, სოფელს კი აქვს საზღვარ-სამანი.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მთელი სოფელი მხოლოდ ჩაის პლანტაციას, ან ვენახს, სოფლის ცენტრში დგას ერთმანეთზე მიდგმული ბრიკეტის ორსართულიანი სახლები. ეს არის და ეს. ასეთ საქართველოს რავინ დაუძახებს ედემსა და სამოთხეს.

სოფელში ხეც საჭიროა, ბუჩქიც, წყაროც გზის პირას... და მთაზე რომ ეკლესია შემოუდგამს წინაპარს, იმასაც საჭიროდება მოვლა-პატრონობა. სოფელში ხე და ბუჩქის წინააღმდეგ უნებლიედ ჯვაროსნული ლაშქრობაა გამოცხადებული. სიტყვა „რეზერვის“ ქვეშ სწორედ ხეებისა და ბუჩქების ამოძირკვაც იმალება. გზის გაყვანა კი ათასობით ძვირფას მცენარეს იმსხვერპლებს ხოლმე, ყველაფერი ეს დამლუბველად მოქმედებს სოფლის ფლორასა და ფაუნაზე, წყაროებზე, მდინარეებზე, ჭებზეც და, აქედან გამომდინარე თვით ადამიანებზეც.

ბარის სოფლებში, ჩაისა და ვენახის რაიონებში მგალობელი ფრინველი სანატრელი გაგვისდა, სწორედ იმიტომ რომ მაღალი სუროიანი აკაციები აღარსად ჩანს.

როცა ადამიანს კავშირი არა აქვს ბუნებასთან, არ იცნობს მას, ცოცხალი არსებისადმი სიბრაღულის გრძნობა არ გააჩნია, ყაჩაღივით შედის ბუნების წიაღში და ყველაფერს სპობს, ანადგურებს. ეს „მოსპობა“ სიამოვნებას ჰგვრის. ამ ცოტა ხნის წინათ, ხობის მონასტრის ეზოში ასეთ სურათს წავაწყდი. მონასტერი სოფლიდან შორს არის, მის ეზოში ათასგვარი მცენარე ხარობს, ერთ მხარეს მონასტერს აკაციის ნორჩი ტყე ზედ მიდგომია. მონასტრის ეზო სავსეა მგალობელი ფრინველებით, სოფლებიდან გადმოხვეწილებს აქ დაუდევთ ბინა, აქ არის მათი მყუდრო სავანე. ეზოში ფეხი შევდგი თუ არა, მწვანე კორომიდან შლიგინით გამოვარდნენ

თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭები, ერთ მათგანს, უფრო ზორბა ტანისა რომ იყო, ქამარზე მონადირესავით ორი ცალი მკვდარი ბულბული ჩამოეკიდა, ვიფიქრე, ალბათ სადმე მკვდარი იპოვეს-მეთქი.

— რა არის, ბიჭო, ეს, სად იპოვეთ? — ვკითხე გაოცებულმა.

— ვიპოვეთ კი არა, მოვკალით — მითხრა ამაყად და გაქცევა დააპირა.

ჩემი კი არ შეშინებია, აღგზნებული იყო, არ შეეძლო ერთ ადგილას დგომა. როგორც ნადირობის ყინით შეპყრობილი მხეცი მსხვერპლს მოიტაცებს და მიაღბენინებს, სიამოვნებისაგან თრთის და კანკალებს. ბიჭიც ასე ხტოდა და თრთოდა ჩემს წინ. მკლავში წავავლე ხელი და გავაჩერე.

— როგორ თუ მოკალი, რატომ მოკალი? რისთვის მოკალი?

— ისე მოკალი! — თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— რითი მოკალი? თოფი სადა გაქვს?..

— ამით მოკალი! — ბიჭმა ხელის შურდული მიჩვენა. ამან კიდევ უფრო გამაოცა.

— ადამიანს ბულბულის თვალით დანახვა უჭირს, შენ ხელის შურდულით როგორ მოკალი?

— ხერხი ვიცი, გალობის დროს ვეპარები, როცა გალობს, თვალებს ხუჭავს.

თავზარი დამეცა. ყველაფერს მოველოდი, ამას კი არა.

— ასეთი უღვთო როგორა ხარ, ბიჭო! — აღშფოთება ვერ დავმალე.

— მაგის მოკვლა აკრძალული არ არის... თოფით ხომ არ მომიკლავს!

რა დაუნდობლობა გამოკრთოდა ბავშვის ღოღნოშოსებრი შავი თვალებიდან, თითქოს ადამიანის ჯიშისა არ იყო, მტაცებლის სული ედგა. მტაცებლის გნებით თრთოდა და ცახცახებდა.

როცა მშობლები, უფროსები ბუნებას, როგორც მოხმარების საგანს უყურებენ, მათ თვალში ბუნება მხოლოდდამხოლოდ შეშაა, თივაა, ხორცია, შედეგიც სავალალა: შვი-



ლი, ცოცხალი არსების გამძვინვარებული მტერი ეზრდებოდა.

ბუნება იგივე სამშობლოა. ბუნების დაცვა სამშობლოს დაცვაა. ვისაც ბუნება არ უყვარს, იმას ქვეყანა არ უყვარს, პირუტყვივით მხოლოდ თავისი შვილები და თავისი ბუნაგი უყვარს. ჰკონია, რომ შვილების უმაღლესში შეყვანის მეტი ქვეყნად არაფერი ევალება.

თავლაფდასხმული, შერცხვენილი ვიდექი მონასტრის ეზოში. არსად არც ერთ ქვეყანაში იმდენი ცრემლი არ დაღვრილა ხმელი წიფელის სიკვდილის გამო, რამდენიც ჩვენს მიწაზე დაიღვარა. ბულბულის მკვლელი ბიჭი არსეინად იდგა ამ მიწაზე და ფეხქვეშ მიწა არ ეწვოდა.

მე მომეჩვენა, რომ მონასტრის ეზოში შემოვიდა დაღვრემილი ვაჟა-ფშაველა და პირქუში ჩამოჯდა საფლავის ქვაზე. მონასტრის კედელზე კი მგოსნის აჩრდილის შერცხვა ცოტნე დადიანს.

მომეჩვენა, რომ ქვეყანა დაიქცა. ბიჭი კი იცინოდა და მკვდარ ბულბულებს ათამაშებდა. რა თქმა უნდა, მას არც ვაჟა-ფშაველა მოლანდებია, არც ცოტნე დადიანი, არც იცოდა ვინ იყვნენ ისინი, არც იმ მონასტრის მნიშვნელობა იცოდა, რომლის გვერდით თვითონ ცხოვრობდა.

აი, სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს ბუნების, კულტურის ძეგლების, საერთოდ წარსულის არაფრად ჩაგდება, გაუაზრებელმა, ზერელე ცხოვრებამ.

სოფლის ბოლოს, მთაზე შემომდგარი ძველისძველი ციხე ან ეკლესია არა მარტო სოფლის მშვენებაა, ბუნების დარად მასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, სურამის ციხის ლეგენდებზე თაობები აღზრდილა, რომელ კულტურის სახლს ან ბიბლიოთეკას შეუძლია ისეთი გავლენა მოახდინოს ახალგაზრდობაზე, როგორსაც სვეტიცხოველი, ან თუნდაც ხობის მონასტერი მოახდენს.

მაგრამ თუ ხობის მონასტრის მეზობლად ვიცხოვრებთ და შიგ არაფრისდიდებით არ შევიხედავთ, არ გავიგებთ სის ისტორიას, არ დავინტერესდებით საკუთარ მამა-პაპათა ვინაობით, შვილებსაც უთვისტომოდ აღვზრდით, ცხადია, ასეთი შვილი პასუხისმგებლობას ვერ იგრძნობს წინაპრების

წინაშე, არასოდეს მოელოდებიან ისინი, რადგან მათ არ იცნობს. კულტურის ძეგლების სიყვარულიც ხომ სამშობლოს სიყვარულია კულტურის ძეგლი უფრო დიდი აღმზრდელია, ვიდრე ზოგიერთი მშობელი.

გვყავს ძეგლთა დაცვის საზოგადოება, ამ საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი მუშაობს რაიონებში, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. აღმასკომების კულტურის განყოფილებებს ევლებათ ძეგლებს უპატრონონ, თითქმის ყოველ ძეგლს თავისი ძველი ჰყავს და მაინც ძეგლები დაუცველია. ზოგან მონასტრის კედლებზე ამოსულია ხეები. ზოგან ძეგლს სახურავი აქვს ახალი და აწვიმს, ძვირფასი ფრესკები ფუჭდება.

სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ხეირიანად არ იცნობენ ძეგლებს, არ ესმით მათი მნიშვნელობა, სოფლის თავკაცებს თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნიათ ძეგლების მოვლა. ყველგან ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და საზოგადოებას აბრალებენ, ბუნების დაცვაც სხვისი საქმე ჰგონიათ, რადგან თბილისში ბუნების დაცვის კომიტეტიც ხომ არსებობს!

ჩვენის აზრით კი სოფელმა თვითონ უნდა მოუაროს თავის საუნჯეს, სოფლის კარ-მიდაბობს, მის ბუნებას. სოფლის ეკლესიასაც თვითონ უნდა უპატრონოს. თბილისიდან ჩამოსულ კაცს შეიძლება დაავიანდეს და მერე გვიან იქნება თითზე კბენანი. ქართული სოფელი საკუთარ სახეს დაკარგავს.

უდაბნოს მსგავს სოფელში, სადაც არც ხეა, არც ბუჩქი, არც ჩიტი და არც ეკლესია, წემმა მტერმა იცხოვრა.

თუ სიყვარულით და გონივრულად მოვკიდებთ ხელს საქმეს, უხვი მოსავლის მოყვანა და სახელმწიფო გეგმების შესრულებაც შეიძლება, ახალი სოფლის მშენებლობაც, ძველის დაცვაც, ბუნების შენარჩუნებაც და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობაც.

## უყვარულობა

ჩემის აზრით, საგამოფენო დარბაზებში სშირად გამოტანილია ისეთი ნაწარმოებები, სადაც ყველაფერია; იდეაც, შინაარსიც, ფორმაც, პლასტიკაც, ჰარმონიაც, ხასიათიც, მაგრამ არ არის ფერი. ფერწერა უკანა პლანზეა. სრული, მთლიანი, ორიგინალური ფერწერული ტილო წლიდან წლამდე არ ჩანს. ჭეშმარიტი ფერმწერი, ჯიუტი მაძიებელი ფერისა, ფერის ოსტატი სანთლით საქებარია.

გაიხსნება საგაზაფხულო ან საშემოდგომო გამოფენა, ელოდები, რომ ნახავ ჯერ უხილავ მშვენიერ ფერთა სამყაროს. იმას, რისი ნახვაც ჩვეულებრივი თვალით არ შეიძლება. ელოდები, მაგრამ რასაც ელოდები სწორედ ჩვეულებრივი თვალთ უკეთ დაინახავ ქართლ-კახეთის ველ-მინდვრებში, ზედაზნისა თუ გელათის სანახებში, ვიდრე გამოფენაზე.

მხატვრობა ფერის ხელოვნებაა, როგორც მწერლობა სიტყვისა. მწერლობამაც რატომღაც უკანა პლანზე გადასწია სიტყვის ხელოვნება, ფრთიასი, გრძნობიერი სიტყვა დავიწყებას მიეცა; სცენამაც უარყო არტისტული სული... ნოვატორობის სურვილით ხელოვნების ასეთმა „განვეულებრივობამ“ ჯერ-ჯერობით სასურველი შედეგი არ მოგვცა. საეჭვოა დიდი ხელოვნება ამ გზით წარმოიშვას. დიდი ხელოვნება არაჩვეულებრივია.

ყოველთვის როცა მხატვრების გამოფენას ვათვალიერებთ, თეატრში ვართ, მუსიკას ვისმენთ, თუ ახალ ნაწარმოებს ვკითხულობთ, ბუნებრივია, იმ „არაჩვეულებრივის“ ხილვის, მოსმენისა და წაკითხვის სურვილი გვებადება.

ამ სურვილით დავათვალიერე ჩვენი მხატვრების საგაზაფხულო გამოფენა. ფერწერა კვლავ ღარიბად გამოიყურება. არის ცალკეული. საინტერესო ნამუშევარო, მაგრამ

ფერი არ არის. გამოფენას იერს ფერწერული ტილო აძლევს და არა რომელიმე წიგნის კარგი ილუსტრაცია.

ყველა სახის მიმდინარეობაში, ყველა დროსა და ქვეყანაში ფერმწერს ყოველთვის ფერი აწვალავდა, ფერის საკითხი მთავარი და გადაუჭრელი საკითხი ყოფილა. „რომელი ფერი ბატონობს ბუნებაში, რა ფერისაა მთავარი ფერი!“ — გაოცებული კითხულობენ თურმე დიდი მხატვრებიც კი. „თქვენ მართალი ხართ, — წერდა პისაროს სეზანი, — ბუნებაში ნაცრისფერი მეფობს, მაგრამ მისი დაჭერა ძალზე ძნელია“.

ამგვარი ღვთაებრივი დამოკიდებულება ფერისადმი მჯერა, რომ ჩვენს რჩეულ მხატვრებსაც არ აკლიათ. მათ სახელსწრებში ალბათ, დღეს თუ არა ხვალ, გაჩნდება ის დიდი ფერწერული ტილო, რომელსაც ასე მოუთმენლად კარგა ხანია მოველით გამოფენაზე.

## “სისატურა“ ჩემი დაწერილია

პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა ახალი სპექტაკლი „კიდევაც დაიზრდებიან“.

1981 წ. 26 ივლისს, პრემიერის შემდეგ, ტელეხედვით, პროგრამა „მომბეში“ გამოვიდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ა. შალიკაშვილი და თქვა, რომ ახალ წარმოდგენას საფუძვლად დაედო ხალხური ლეგენდა „სისატურა“: დედას დაელუპება უასაკო ჩვილი, მკვდარ შვილს გაიტაცებს ტყეში, მთელი ღამე ეფერება, ეალერსება, უმღერის „სისატურას“ და გააცოცხლებსო.

ასეთ ლეგენდას ქართული ზეპირსიტყვიერება არ იცნობს, სისატურა არის იავნანას ტიპის სააკვნო სიმღერა და არა ლეგენდა.

როგორც ხალხური პოეზიის სხვა ნიმუშებს, სისატურასაც გააჩნია მრავალი ვარიანტი. მაგრამ შვილის სიკვდილი, მკვდარი ბავშვის ტყეში გატაცება და მისი გაცოცხლება, სააკვნო სიმღერაში ვერ იქნება და არც არის არსად, არცერთ ვარიანტში.

უასაკო ჩვილის სიკვდილი, მკვდრის ტყეში გატაცება და მისი გაცოცხლება — ჩემი ნოველის „სისატურას“ სიუჟეტი.

როგორც ჩანს, პანტომიმის თეატრის მესვეურთ მოსწონებით ჩემი ნოველა, ხალხური ლეგენდა ჰგონებიათ, თავიანთ ნებაზე გადაუკეთებიათ, სათაურიც შეუცვლიათ ყოველ შემთხვევისათვის და ავტორადაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ა. შალიკაშვილი დაუდგენიათ.

ჩემს ხელთ არის სპექტაკლის პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე. აქ სისატურა საერთოდ არ არის ნახსენები, იავნანით შეუცვლიათ, როგორც ჩანს, „სისატურა“ ა. შალიკაშვილს, ტელეხედვით გამოსვლის დროს წამოცდა ან არ ახსოვდა, რომ მისი ავტორი ცოცხალი იყო და ამის თაობაზე მას შეახსენეს.

თუ ყურადღებით გავსინჯავთ ა. შალიკაშვილის მიერ შედგენილ სპექტაკლის მოკლე შინაარსს, რაც პროგრამაშია დასტამბული, „სისატურის“ კვალს მაინც ადვილად ვიპოვით. მოკლე შინაარსი ასეთია (სტილი დაცულია):

ამოდის ვაზი, ქართველი კაცის სიცოცხლისა და ბედნიერების სიმბოლო, მის ზრდას მოაქვს სიყვარული.

ქალ-ვაჟი ჯვარს იწერს. ბედნიერ თჯახს ბიჭი ებადება. ბავშვს ნათლავენ.

საქართველოს მტერი შემოესევა და ბავშვს საშიშროება ელის. ღმერთს შესთხოვს უშველონ მის პირმშოს, მაგრამ ამაოდ. ბავშვი იღუპება. დასაფლავების დღეს დედა შვილს იტაცებს, ტყეში მიჰყავს, მთელი ღამე უმღერის იავნანას და ბავშვს აცოცხლებს. მშვიდობიანი ცხოვრება გრძელდება. მინდორში გუთანი მოჩანს, გლეხები შრომობენ და კვლავ განგაშის ხმა, რომელიც ხალხს თმის დაწყებას აუწყებს. მამაკაცებს თმში ისტუმრებენ. მარტო დარჩენილი ქალები ქმრებსა და შვილებს ელოდებიან, ბრძოლის ველიდან კი უმხედრო ცხენები ბრუნდებიან. მთლიანად განადგურებული ქართველი კაცის ცხოვრებას ისევ დედის „იავნანა“ და ვაზის უკვდავება უბრუნებს მას სიცოცხლეს, ბედნიერებას, ქორწილს, ნათლობას.

მოკლე შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ სპექტაკლის ხერხემალი სწორედ ჩემი ნოველის „სისატურას“ სიუჟეტია.

ა. შალიკაშვილისეულია „ამოდის ვაზი“, მინდორში გუთანი მოჩანს“, „გლეხები შრომობენ“ და ა. შ.

როცა მწერალს თემას, პრობლემას, სიუჟეტს, ან თუნდაც ეპიზოდს ესესხებიან, უსათუოდ დაეკითხებიან, ნებართვას აიღებენ მისგან. ეს კანონია, ამ კანონის შეცვლის უფლება, არცერთ ტიტულოვან თეატრს არა აქვს. ჩემი ოცნება არასოდეს ყოფილა და დღესაც არ არის პანტომიმის თეატრის დრამატურგობა. მაგრამ რაკი ჩემი ნაწარმოები დაიდგა ამ თეატრში, რაკი მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს კომკავშირისა და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლურჯატმა აფიშაზე ჩემი გვარის ნაცვლად თავისი გვარის დაწერა ამჯობინა, ქვემოთ მაინც, იმ ადგილას, სადაც სწერდა „ქართული ხალხური ლეგენდის მიხედვით“, ხომ შეეძ-

ლო დაეწერა: „ნ. წულეისკირის ნოველის მიხედვით“. ამით თეატრს არაფერი დააკლდებოდა, არც ა. შალიკაშვილს ჩამოართმევდნენ წინ-მედლებს. პატიოსნება, კეთილსინდისიერება, ურთიერთპატივისცემა მოითხოვდა ამას.

ნაწარმოების ხალხურად გამოცხადება, ე. ი. უპატრონოდ შერაცხვა და ამ გზით დაპატრონება ლიტერატურულ ქურდთა ძველისძველი, ნაცადი ხერხია.

ნაუცბათევად ასეთი მკაცრი მსჯავრის დადება, ღმერთმა იცოდეს, არ მინდა, მაგრამ გარემოებანი მაიძულებენ ამას.

ეგებ უნებლიე შეცდომაა დაშვებული, ეგებ გაუგებრობის, დაუკვირებლობის, ან უბრალოდ არცოდნის შედეგად მიითვისეს ჩემი ნოველა? — სამწუხაროდ, არა.

კულტურის სამინისტროში ახალგაზრდებმა უთხრეს ა. შალიკაშვილს ჩემი გვარი, დაუსახელეს „ლიტერატურული საქართველოს“ ის ნომერი, სადაც პირველად დაისტამბა ეს ნაწარმოები, ამოოდ!

როგორც ჩანს, ცდუნება დიდი იყო.

ჩვენს დროში ხალხური მთქმელების გვარიც კი არ ქრება უკვალოდ. მთქმელები თავიანთი გვარებით აქვეყნებენ ლექსებს ჟურნალებსა და გაზეთებში, თითქმის ყოველდღე გამოდიან ტელეხედვით და თავიანთ ნაღვაწს ხალხს აცნობენ.

პანტომიმის თეატრის მესვეურები სახალხო მთქმელის უფლებასაც არ მიტოვებენ „კიდევაც დაიზდებიან“ ლეგენდააო, მაგრამ ვინ, რომელმა მთქმელმა ჩააწერინა მათ ეს ლეგენდა ამას არ ამხელენ.

თავის დროზე მე მივმართე კულტურის სამინისტროს, საავტორო უფლებების დაცვის სააგენტოსაც. მათი თხოვნით პრესაში არ გამოვაქვეყნე მამხილებელი წერილი. მეგონა, ყურად იღებდნენ ჩემს კანონიერ მოთხოვნას და თუ მთლად ვერ მოხსნიდნენ სპექტაკლს, ჩემი ნოველის სიუჟეტს; ახალგაზრდების სიყვარულს, ბავშვის გაჩენას, მტრის შემოსევას, ბავშვის დაღუპვას, დედის მიერ მკვდრის ტყეში გატაცებას, იავნანას (ჩემთან სისატურას) სიმღერას და მკვდრის გაცოცხლებას ამოიღებდნენ:

არ მოხდა ასე.

1982 წ. 25 თებერვალს, მსახიობის სახლში ვნახე წარმოდგენა „კიდევაც დაიზრდებიან“.

სანახაობას საფუძვლად უდევს კვლავ ჩემი ნოველა „სისატურა“, ოღონდ სისატურას ნაცვლად დედა შვილს იავნანას უმღერის.

ავტორი კვლავ ა. შალიკაშვილია და კვლავ არარსებული ხალხური ლეგენდის მიხედვითაა ვითომ სპექტაკლი შექმნილი.

აქ ერთი უცხო სიტყვა „პლაგიატობა“ შეამსუბუქებს სათქმელს, მაინც ჭირს პლაგიატი უწოდო საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ლენინური კომკავშირისა და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატს, თეატრის შემქმნელს ა. შალიკაშვილს.

მაშ, რა ვუწოდოთ? რა დავარქვათ ჩადენილ საქციელს? ცოცხალი მწერლის ასეთი უარყოფა კეთილი საქციელია? არ არის კეთილი საქციელი. ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანები ასე არ იქცევიან.

პოეტმა და კინორეჟისორმა გურამ პეტრიაშვილმა ერთხელ დამირეკა და მითხრა, რომ გადაიღო ფილმი და მომიძღვნა მე.

დავესწარი ფილმის პრემიერას კინოს სახლში, გურამ პეტრიაშვილი გამოვიდა სახალხოდ და განაცხადა, რომ ეს ფილმი მას შთააგონა ჩემმა ნარკვევმა. ნარკვევის გმირი უკეთური ბიჭუნა ხელის შურდულით კლავდა ბუღბუღებს ხობის მონასტრის ეზოში. ბიჭი ბუღბუღებს ეპარებოდა გალობისას, როცა ფრთოსანი თვალდახუჭული თავდავიწყებული უმაღლეს ნეტარებას განიცდიდა ღვთაებრივი ჰანგების უეცარი შექმნით. ამ დროს თურმე ბუღბუღი ვერავის და ვერაფერს ხედავს, ეს იცის ბიჭმა, ეპარება მგალობელს და დაუნდობლად კლავს ქვით. უმიზეზოდ იქცევა ასე, არ იცის რატომ სჩადის შემზარავ საქციელს. მხოლოდ და მხოლოდ მოკვლის, მოსპობის, განადგურების ჟინი ამოძრავებს.

ამაზე საშინელი შეიძლება რამ მოხდეს ბუნებაში?

გ. პეტრიაშვილიც აუღელვებია ამ ფაქტს, გადაუღია ფილმი, ოღონდ სულ სხვა სიუჟეტზე, სხვა, უფრო ზოგადი და უფრო ამაღლებული საკითხებიც დაუყენებია. თვითონ გ. პეტ-



რიაშვილს რომ არ ეთქვა, მე ვერც გავაბამდი ძაფს გ. პეტ-  
რიაშვილის ფილმსა და ჩემს ნარკვევს შორის, მაგრამ გ.  
პეტრიაშვილი არ არის ის შემოქმედი, ვისაც სიპართლის  
ემინია. პრემიერის წინ საჯაროდ გამოვიდა და ბოღში  
მომხიდა იმის გამო, რომ ტიტრზე ვერ დაწერა ჩემი გვა-  
რი, ვერ მომიძღვნა ფილმი. ფილმი ლექსი არ არის, ვისაც  
გსურს, მიუძღვნა.

გურამ პეტრიაშვილი გამორჩეული შემოქმედი, მისგან  
კეთილისქმნა არც არის გასაკვირი. სულ მთლად უცნობი,  
ასალგაზრდა კინოდოკუმენტალისტიც მოვიდა ერასელ ჩემ-  
თან და მითხრა, რომ მას დასჭირდა ჩემი წიგნები „მუსა,  
ვაზი და საქონელი“. მთხოვა ამ წიგნიდან ერთი, ერთადერ-  
თი წინადადების გამოყენების ნებართვა.

პატიოსან შემოქმედ მუშაკებს შორის ყოველთვის ასეთი  
ურთიერთობა არსებობდა და დღესაც არსებობს. მეტიც, კა-  
ნონის ძალა აქვს ამ ურთიერთობას.

დაირღვა კანონი, მიითვისეს ჩემი ნაწარმოები, შეილახა  
საავტორო უფლებები, შეიბილწა შემოქმედის სახელი. გა-  
ფუჭდა ურთიერთობა. რა ვიღონოთ ახლა? შეიძლება თუ  
არა სამართლიანობის აღდგენა?

თურმე არ შეიძლება! ფული დახარჯულია, შრომა გა-  
წეული, სპექტაკლი დადგმული, ახლა მისი მოხსნა შეუძლე-  
ბელზე შეუძლებელიაო, დამარწმუნეს. რაც მთავარია, მიმუ-  
რი თეატრის თავისებურების გამო, თურმე მე ვერ დავამ-  
ტკიცებ ჩემს სიმართლეს: სიტყვა სცენიდან არ ისმის, დი-  
ალოგები არ არის, მოქმედ გმირებს სახელი არ ჰქვიათ, სი-  
სატურას ნაცვლად იავნანას მღერიათ....

კულტურის სამინისტროში და საავტორო უფლებების  
დაცვის სააგენტოშიც ამ აზრზე დგანან, მაგრამ ასე არ არის,  
რასაკვირველია!

სიუჟეტი და დედააზრი ნოველისა ისეთი მკვეთრი და  
ღაღდასმულია, თვით უსიტყვო მუნჯი სცენაც კი გამოდგება  
საბუთად და იმის დასადგენად თუ ვინ არის ჭეშმარიტი ავ-  
ტორი სპექტაკლისა „კიდევაც დაიზრდებიან“.

„შეიკარებულ ცოლ-ქმარს დაებადებოთ ვაჟი, უასაკო ჩვი-  
ლი მოუკვდიბათ: დედა ვერ ურიგდება შვილის სიკვდილს,

ა. უნდა მისი დამარხვა, გაიტაცებს ტყეში, ეალერსება, ეუფ-  
რება, იავნანას უმღერის — დედის დიდი, უსაზღვრო განუ-  
ზომელი სიყვარული მკვდარს გააცოცხლებს“.

ამ სიუჟეტის გარეშე სპექტაკლის „კიდევაც დაიზრდები-  
ან“, წარმოდგენა შეუძლებელია, ეს კი ჩემია. მაშ, რა არის  
საეჭვო და საყოყმანო, რატომ არ მოიხსნა აქამდე სპექტაკლი,  
მე სომ ნებაროვა არ მიმიცია?

მიმურ სცენაზე (არა მართლ მიმურ სცენაზე). შეიძლება  
წყლის ისე ამღვრევა, ავტორმა მართლა ვერ იცნოს თავისი  
ნაწარმოები. „კიდევაც დაიზრდებიან“ არის, ალბათ, სწო-  
რედ ის ერთადერთი სპექტაკლი, წყალი რაც უნდა ამღვრიონ,  
ჭეშმარიტება მაინც აშკარაა — სპექტაკლი შექმნილია ჩემი  
ნოველის „სისატურას“ საფუძველზე.

## სოფელი ჩვენი გულისბუხარო

საქართველოს ბედ-იღბალი თავიდანვე სოფელს მიეჯახვა, თავიდანვე სოფელი გახდა სადგური ქართული გენიისა. იმან ზიდა მძიმე უღლით ქართველობა. შეიფარა ქართული ენა და ჰანგი.

იმთავითვე სოფელს იმედის თვალთ შესცქეროდა ერი და ბერი. ქართული სახელმწიფო იმთავითვე სოფელსა და მის მაგარ ბურჯს გლექკაცს ეყრდნობოდა. დაქცეული ჩვენი სამშობლო მუდამჟამს სოფლიდან იწყებდა აღორძინებას: თუკი გლექკაცი ხნულში თესლს ჩააგდებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანას მაჯა სასიცოცხლოდ უცემდა.

ეს დიდი და ძვირფასი ტრადიცია იყო. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება, ახლაც თვალ-ყური სოფლისკენ გვიჭირავს, იმედის თვალთ შევყურებთ, რადგან ქართული სული ახლაც სოფელში გვეგულება, ქართული მაჯა იქ სცემს, ხოლო დედაბოძად ქართველობისა კვლავ ის მზით გარუჯული გლექკაცი გვესახება.

მადლობა ღმერთს, დღევანდელ სოფელს ჭირისუფალი შერჩა, წალტოლვა<sup>1</sup> ძირითადად მთის სოფლებს შეეხო, ბარის სოფლებს კი თანამედროვე ტექნიკამ, სხვადასხვა სახის ხარკინებმა<sup>2</sup>, ვენახის საწამლავემა და ჩაის საკრეფმა მანქანებმა, ნაირნაირმა სასუქებმა და სხვა სიკეთემ მოუსწრო და შრომა გააადვილა, ცხოვრება სოფელში გაუმჯობესდა, ამან კი ცოტათი შეაჩერა ქალაქისაკენ ახალგაზრდობის ლტოლვა. თუმცა „უმაღლესში შესვლა“, „ქალაქში მოწყობა“ რატომღაც კვლავ სანატრელ ოცნებად დარჩა დღევანდელი ქართველი ყმაწვილისათვის. ამ ლტოლვას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი სოციალური ფესვები.

<sup>1</sup> მიგრაცია

<sup>2</sup> ტრაქტორი

არსებობს მოსაზრება, თითქოს რომელიღაც ერთი ნაწილი ახალგაზრდობისა სტოვებს სოფელს, იმიტომ რომ ისინი ცუდები არიან. ხოლო მეორე ნაწილი ახალგაზრდობისა სოფელში რჩება სამუშაოდ, იმიტომ რომ ისინი კარგები არიან. ეს მოსაზრება გულუბრყვილოა და მცდარი.

ახალგაზრდობის ქალაქისაკენ ლტოლვას ღრმა, მეცნიერული ანალიზი ესაჭიროება, რაც ცალკე მსჯელობისა და სოციოლოგიური კვლევის საგანია. ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.

ახალგაზრდობის ორივე ნაწილი კარგიც და ავიც ქალაქისაკენ დაჟინებით მიისწრაფის. ერთს გულწრფელად აინტერესებს სწავლა, მეორე კი „იოლი ცხოვრების“ სამებრად აყრილა სოფლიდან.

შესაძლოა, ერთმაც და მეორემაც ქალაქში დაიდოს ბინა. ერთმა ისწავლოს და გასწავლული კაცი გამოვიდეს, მეორემ ცუდლუბობით გაიკვლიოს გზა და „დიდი“ კაცი გახდეს. სულერთია, მოვა დრო და, ერთიც და მეორეც სოფლისკენ დაიწყებს ცქერას. ერთსაც და მეორესაც მამაპაპეული კერის გაჩაღების, მშობლიური მთა-გორების მოსიყვარულების სურვილი მოეძალება: თუკი ახალგაზრდობისას ქალაქისკენ მოისწრაფოდნენ, ხანდაზმულები პირს სოფლისკენ იზამენ. გაფაციცებით დაუწყებენ ძებნას მიწის ნაკვეთებს, სამოსახლოებს, აგარაკებს.

ეს არ იქნება მხოლოდ ფუფუნებისაკენ სწრაფვა — მშობელი მიწა სიბერის ჟამს თავის შვილებს დაუძახებს. ამ დროს სოფლის სიყვარული სამშობლოს სიყვარულს ემსგავსება, სამშობლოს სიყვარულით იფეთქებს ხოლმე და გზაარეული შვილს თავის ბუდეს დაუბრუნებს. ეს „დაბრუნება“ კი, ჩვეულებრივ, დაგვიანებულია, სოფელი მაშინ არის ლამაზი და მომხიბლავი, როცა იქ ვაზს ახარებ, საქონელს მოაშენებ, ხეებს დარგავ, ფრინველს გამოზრდი, მამა-პაპეულ ფუძეს გაამაგრებ.

მართალია, გზაარეული შვილები ჩვენს სოფლებს ბლომად ჰყვანან, მაგრამ ერთგულებიც არ გამოლევია. ის ადამიანები, ვინც სოფელი არ მიატოვა, ვინც ვაზი ახარა, საქონელი მოაშენა, მამა-პაპეული ფუძე გაამაგრა, თავისი მოღ-

ვაწეობით სოფელს არგო, მხარდაჭერისა და წახალისების ღირსი არიან. ეს ჩემი ნარკვევიც იმათ ეძღვნება, იმათმა სიყვარულმა დამაწერინა ეს სტრიქონები.

## მუხა

— აქედან იწყება საჭყონდიდო,— მეუბნება გივი ელიავა და მანქანის ფანჯრიდან მინდვრებს გასცქერის. ბანძაში იგი სარიტუალო ხეს მიჩვენებს, ხოლო მარტვილს რომ მივუახლოვდით, ჭყონდიდელთა ამბავს მიყვება.

— თქვენ კარგად იცით, ბატონო, რას ნიშნავს ჭყონდიდი — დიდი მუხა; იქ, საცა ახლა მარტვილის მონასტერია, თურმე ის ხელმერთი, ჭყონდიდი, მდგარა, — მანქანიდან მიჩვენებს მარტვილის მონასტერს. — ის მიდამოები: მარტვილის ფერდობი, საელიათს დიხაკურზულა, ნახუნაოს ნაცარზვარა ძალზე საინტერესო ადგილებია.

გივი ელიავა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორია. დაკვირვებული მეცნიერი, კარგი ეთნოგრაფი, ჩამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორი. მას არასოდეს უფიქრია სოფელს გაქცეოდა, პირიქით, უმარტვილოდ ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. ნაბიჯ-ნაბიჯ შემოუვლია მთელი დასავლეთ საქართველო, ჩაუწერია იშვიათი თქმულებები, ლეგენდები, ტოპონიმები და მათთან დაკავშირებული ხალხური გადმოცემები. შეუძლია შთაგონებული და დამაჯერებელი საუბარი.

— ხალხის რწმენით, — მიაბობს იგი, — მუხაში ჩაბუდებულ ღვთის სულსა და ძალას სცემდნენ თაყვანს და განსაკუთრებულ სარიტუალო დღესასწაულს — „დოდგიმირს“ მართავდნენ მუხასთან. მუხაში განსახიერებული ეს ღვთაება კაპუნია ყოფილა. შემდეგ ეს მუხა ანდრია მოციქულს მოუჭრია. ხალხს კი კაპუნიობის წმინდა სარიტუალო წესთა შესრულება ოჯახებში გადაუტანია.

„ეს ახლაც ეტყობა ძველებური ყაიდის კარ-მიდამოებს“ —

გამიელვა თავში და გონების თვალთ შევიხედე თეოფილე გბუნიას, იოველ გაბუნიასა და ბოშაია გაბუნიას ეზოებში. იოველსა და ბოშაიას ასწლოვანი ცაცხვის ხე უდგათ ოდა სახლის წინ, თეოფილეს კი — უფრო უხნესი იფანი.

მახსოვს, ბაბუაჩემმაც, როცა ახალი ოდა დაიდგა, ოდა სახლის წინ, შუა ეზოში, ცაცხვის ხე დარგო.

საფიქრებელია, რომ თავის დროზე მეგრელი მეურნე ეზოში მუხას რგავდა და მის ძირას „დოდგიმირს“ ლოცულობდა. შემდეგ ალბათ მუხა თავისი კარ-მიდამოდან გააძევა, მაგრამ ხეს მაინც ვერ შეელა, ეზოში უნაყოფო ხის დარგვა ცხოვრების წესად ქცეოდა და ხან ცაცხვი დარგო, ხან იფანი...

ეგებ ცაცხვი მუხის მაგივრობას უწყევდა და ჩუქად მაინც თავის ძველ ღმერთზე ლოცულობდა.

ეგებ მუხის გაღმერთებამდე, საერთოდ, ხეს-ჯას აღმერთებდა?

როცა ჩემი ნააზრევი გივის ვუამბე, მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— შესაძლოა, რატომ არა, — მითხრა მან ჩვეული სიმშვიდით, — ერთი რამ კი დღესავით ნათელია, ჩვენს კუთხეში ეს დიდი მუხა ჭყონდიდი ერთერთი მთავარი ღვთაება იყო, უამრავი თქმულებები, ტოპონიმები და გადმოცემები ამას ადასტურებენ. ჩვენს მეცნიერებსაც ეს კარგა ხანია დამტკიცებული აქვთ.

— და მაინც კარგად შესწავლილი არ არის მუხა და მასთან დაკავშირებული თქმულებები და გადმოცემები.

— რა თქმა უნდა, არ არის შესწავლილი და უბედურება ისაა, რომ დაგვიანებულიცაა, — ნაღვლიანად მეუბნება, — ერთი თრმოცდაათი წლით მაინცა ვართ დაგვიანებულნი...

— თქვენი შეკრებილი თქმულებები, ლეგენდები და ტოპონიმები მაინც გამოაქვეყნეთ დროზე, — ვიცი, რომ მას ბევრი რამ საინტერესო აქვს გამოუქვეყნებელი.

— კი, ბატონო, ახლა ჩემი მცირედი ნაღვაწი ალბათ მალე იხილავს დღის სინათლეს, აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ მოაქცია მას ყურადღება, მოეწონა და მენმარება, გამოსაცემად ვამზადებთ.

— კი, მაგრამ სად არის მუხა? — უცებ საიდანღაც გამი-  
ელვა ამ აზრმა და გაკვირვებული მივაჩერდი გვიის. მანქანა  
გავაჩერეთ და გადმოვედით, ინჩხიას ხეობას გავხედეთ.

— რომელი მუხა? — დაბნეულად გამიღიმა მან.

— ჩვენებური მუხა, ის მუხა, რომელსაც ვაღმერთებდით,  
თაყვანს ვცემდით. ეტყობა ამ მიდამოებში, მარტვილის  
შემოგარენში, მუხა ხარობდა.

— ოო, უსათუოდ, ბატონო! — გივი მიმიხვდა, რასაც ვე-  
კითხებოდი და გამოცოცხლდა, — მუხას გაშლილი ველი უყ-  
ვარს, მთაში და კლდე-ღრეში არ ხარობს, მარტვილის შე-  
მოგარენში მუხა ხარობდა კი არა, მთელს აბაშის ჭალებში  
მარტვილამდე მუხის დიდი ტყეები ვვქონდა. ეს უდავოა!

— დღეს ჩვენ ტეხურისა და აბაშის ჭალებში გავიარეთ,  
ახლა ინჩხიას ხეობას გადავყურებთ, მუხა კი ჯერ არსად  
გვინახავს, — სევდიანად ვთქვი მე.

— ვერც ნახავთ, ბატონო, მუხა აღარსად არის, ზედა ზო-  
ნაში თუა სადმე, ბარში მუხას ვინ გააჩერებს. თანაც ეს  
ერთი და ორი წლის ნამოქმედარი კი არ არის. მე ორმოც-  
დაათი წლის კაცი ვარ და ამ მიდამოებში მუხა არ მახსოვს,  
არც თქვენ გახსოვთ, ალბათ.

— არა, არც მე მახსოვს, — მიუვგე მე, — ჩემს ბავშვობაში,  
ომის დროს, აბაშის პირას, წისქვილთან ერთი ბებერი კაკ-  
ლის ხე იდგა, ეგ იყო და ეგ.

— ეს მართლაც საინტერესოა, სად გაქრა უკვალოდ ჩვე-  
ნებური მუხა. — ჩაიდუდუნა მან და მანქანაში ჩაჯდა. მძლოლ-  
მა მანქანა დაძრა. გივიმ კვლავ განაგრძო ჭყონისა და ჭყონ-  
დიდის ამბავი.

## ვაზო

საჭყონდიდო ვაზის სამშობლოც არის, კერძოდ, ოჯალე-  
შის.

წითელყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის ოჯალეში ერთ-  
ერთი საუკეთესო ჯიშის ვაზია. იგი არ არის მსხმოიარე, მაგ-

რამ ძალზე მაღალი ხარისხის ღვინოს გვაძლევს. ამიტომ მეგრული გლეხკაცი ოდითგანვე თავს დასტრიალებდა მიზებიან ოჯალეშს და ბევრ ჩემის და ჭვიტილურს ცოტა ოჯალეშს არჩევდა.

სამეგრელო მდიდარია ვაზის ჯიშებით. ცნობილ ქართველ მეცნიერს მ. რამიშვილს აღწერილი აქვს ვაზის ძველისძველი ჯიშები: ჭვიტილური, ჩერგვალი, აფხაზურა, ჩეჭიფეში, ჩეში, ოჯალეში, პანეშო, ავშილური, ხარისთვალა, ამათ გარდა, მე ხალხში სხვადასხვა დროს გამიგონია შემდეგი სახეობები ვაზისა: ფიმუნდი, კიკაჩე, ხარდანი, დღუნდუში, ეგუზგური, კოლოში, პუმპულა, კაჭიჭი, ფრანგულა.

თითქმის ყველა ეს ჯიში მაღალი ვაზი ყოფილა. ვახუშტი ასე ასახიათებს ოდიშის ზვრებს: „ვენახნი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი, აქა არს ღვინო ზარდაგი ფერისათვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“.

ღიახ, „ძალიანი და ქებული“ ყოფილა ოჯალეშისა და ჭვიტილურის ღვინოები, მაგრამ საქართველოსთვის რაც თურქობას და არაბობას დაუკლია, გასულ საუკუნეში ის ფილოქსერას მოუთავებია და „ვენახნი მაღლარნი“, ზღაპრული ზვრები ოჯალეშისა, ჩეშისა, ჩეჭიფეშისა, მიწასთან გაუსწორებია. ზოგი ჯიშის ვაზი სულ მთლად ამოუგდია და ხალხის მესხიერებას იმ ვაზის მხოლოდ სახელი შემორჩენია. ზოგი კი თითო-ორილა ჩარჩენილა სალხინოსა და ნაკიფუში, გოდოგანსა და ხორშში. გოდოგანში ახლახან ირაკლი ლაშხიამ თავის ეზოში გვაჩვენა დღუნდუშისა და ეგუზგურის მსხმოიარე ვაზი.

ქართული ვაზი, რა ჯიშისაც არ უნდა იყოს იგი, ამოსაგდებად და გადასაშენებლად არ გვემეტება. ყოველ ჯიშს აქვს რაღაც ღირსება. ზოგი არომატულ ყურძენს გვაძლევს, ზოგი ხანდარას (ავდარს) უკეთ ეგუება, ზოგი უცხო გემოსი, მეტად თავისებური ღვინის მომცემია, ზოგი საფერავად გამოიყენება და ა. შ. კარგი მეურნე არც ერთი ჯიშის ვაზს არ ჰკრავს ხელს, ყველას გამოიყენებს, მით უფრო ოჯალეშს. ოჯალეში ხომ ჩვენს საუკეთესო კახურ ღვინოებსაც კი უტოლდება.



საოცარი ბედი ეწია ამ ვაზს, — დალუპვას ძლიერს გადაურჩა. გასულ საუკუნეში მას ყურადღება მიაქცია სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა და სოფელ სალხინოში მოაშენა. შემდეგ დადიანის სიძემ აშილ მიურატმა კიდევ უფრო გააფართოვა ოჯალეშის ნაკვეთები. 1912 წლის სტატისტიკური მონაცემებით ოჯალეშს სამეგრელოში მხოლოდ 16 ჰექტარი ფართობი ეკავა. შემდეგ კი ეს ფართობი თანდათან შემცირდა...

ბარველად ამ ოციოდე წლის წინათ მიაქციეს ოჯალეშს ყურადღება, სალხინოში ვენახს მზრუნველი თვალთ შეხედეს, 1965 წელს კი ბანძაში შეიქმნა ოჯალეშის მეურნეობა. ეს ეკვე დაუფერებელი იყო. ოჯალეში ფაქიზი ვაზია, უყვარს კირქვიანი და ტკილიანი ნიადაგი, მზიანი ადგილი, ხანდარებს ცუდად ეგუება, ამიტომ მთის ფერდობი ურჩევნია. ფერდობზე წყალი არ ჩერდება, არ გუბდება. ნიადაგი ზედმეტი ნალექისაგან სწრაფად თავისუფლდება, მზეც უკეთ აცხუნებს. ბანძაში კი მწირი ნიადაგია, კენჭიანი ვაკე-დაბლობი, რაც ოჯალეშს არ უყვარს. ზოგი სპექტიკურად შეხვდა ამ წამოწყებას, არ სჯეროდათ — ბანძაში ოჯალეში არ იხარებსო. სამწუხაროდ, ამ აზრს ბევრი იზიარებდა და ამტკიცებდა, ბარის სამეგრელო მევენახეობისათვის უვარგისიაო.

როგორც ცნობილია, ამერიკულ იზაბელას სამეგრელოში ერთი საუკუნის ისტორიაც არა აქვს, ხოლო ცოლიკაური ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში შემოვიდა. მაშ, მანამდე რა ვაზი ხარობდა ბანძაში და, საერთოდ, ბარის სამეგრელოში? რა იყო ის „ღვინო ზარდაგი ფერისათვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა?“ ეს ღვინო, რა თქმა უნდა, ოჯალეში გახლდათ. ხალხს უყვარდა იგი, ძველებური, მამაპაპური, წითელი ღვინო — ჭითა ოჯალეში.

გეშვია, გეშვია  
ახალი დო ჯვეშია,  
გეურწი დო ქითადაცი  
ჭითა ოჯალეშია.

მღეროდა გლუხკაცი, მღეროდა ისე, როგორც ჩელაზე და ბუსკაზე მღეროდა. ოჯალეში მისთვის მახლობელი იყო, განუყრელი იყო, საოჯახო ღვინო იყო და იმიტომ მღეროდა მასზე ისე, როგორც თავის ერთგულ მეგობარზე, ხარზე მღეროდა.

შეიძლება უფრო შორსაც გავიხედოთ, წარმართული ლოცვა-რიტუალები, მეტწილად, ქვევრის მოხდით და მასთან სახლეულის დალოცვით მთავრდებოდა. მარანში ქვევრები ძირითადად ასე იყო განაწილებული: ო დ უ დ ი ა ერქვა სახლეულის უფროსისათვის განკუთვნილ ქვევრს, ამ ქვევრის თავზე წელიწადში ერთხელ ოჯახის მეთაური ღრცულობდა. ო დ ა ბ ა დ ე ქვევრი დაბადების დღისთვის, ლხინისა და ზეიმისათვის იყო მიჩნეული. ცალკე ქვევრი ჰქონდა, აგრეთვე, ოჯახის უფროს ვაჟიშვილს. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ს ა ღ მ რ თ -ს ა ო ხ ო რ ო — ეს ქვევრი მზის ღვთაებისადმი იყო განკუთვნილი, ამ ქვევრის თავზე ოჯახის უფროსი აღდგომის დღეს ბატკანს ან გოჭს დაკლავდა, ოჯახის დიასახლისი გამოაცხობდა პურის კვერებს. მამასახლისი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დაღვედა და არც თამბაქოს მოწევდა, ამასთანავე ოჯახში სიმშვიდეს იკავდა და ყოველგვარ უსიამოვნებას გაურბოდა, შეადღისას ხონჩაზე დააწყობდა: ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და გაწყობილ სონჩას მარანში წაიღებდა, დადგამდა საღმერთო-საოხროთო ქვევრის თავზე, დაუძახებდა ვაჟიშვილებს. დაიჩოქებდნენ და მამა ასე დაილოცებოდა: — მზის დღევ, ბედნიერთ და მშვენიერთ, ვლოცულობ ჩემი შვილების კარგად ყოფნისათვის, შენ დაიცავი ისინი ჭირისა და ფათერაკისაგან. ღმერთო, ბატონო, დღეის ლოცვა შენ შემარკე ცოლშვილიანად, მოსავალი ბევრი მოიყვანე, საქონელი გაამრავლე, კაცი გააბედნიერე და ჩვენ სამოსახლოზე დამაბერეთ.

ლოცვის დასასრულს ქვევრს მოხდიდა, საპით ამოიღებდა ღვინოს, დაილოცებოდა და შესვამდა, შეასმევდა ვაჟიშვილებსაც.

ბუნებრივია, ასეთი ტრადიცია, მარანთან და ქვევრთან ასეთი „საღვთო“ დამოკიდებულება იმ ქვეყანაში არ წარმო-

იშობოდა, საცა ვაზი არ ხარობდა, პირიქით, წარსული უფლებას გვაძლევს, უფრო თამამად ვილაპარაკოთ ჩვენს ეროვნულ საუნჯეზე, — ვაზზე; ხომ ცნობილია, რომ არგონავტებს აიეტის სასახლეში შადრევნები დახვედრიათ, საიდანაც ღვინო ჩქეფდა. კოლხეთი ყოფილა ზღაპრული ქვეყანა, საცა ადამიანმა პირველად ნახა მაღლარი ვაზი და პირველად იგემა ყურძნის გემო. კოლხეთი ერთერთი პირველი ყოფილა ვაზის სამშობლო. ასეთია ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდი. ამ აზრს ამაგრებს ქართული სიტყვა „ღვინოც“, რომელიც მსოფლიო ხალხების თითქმის ყველა ენაშია შესული. ჩვენი ვაზის ჯიშთა მრავალფეროვნებაც — მსოფლიოს მევენახეობის არც ერთ ქვეყანაში არ არის თურმე იმდენი ჯიშისა და სახეობის ვაზი, რამდენიც ჩვენი, ის საღვთო დამოკიდებულებაც მარანთან და ქვევრებთან, სწორედ ამის საბუთი გახლავთ.

ეს ასეა, საქართველო ვაზის ერთერთი სამშობლოა, დიდი ხანია ეს ცნობილია და მაინც საუკუნეთა სიღრმეში შევისხედოთ და გონების თვალი მივაღვევოთ ჩვენი წინაპრის საქმიანობას: ამბობენ, მეორე კულტურა სორბლის შემდეგ, რაც ქართველმა კაცმა მოაშენა, ვაზი იყო. მართლაც, დავაკვირდეთ შემდეგ სიტყვებს: ვ ე ნ ა ხ ი, ყ უ რ ძ ე ნ ი, მ ა ჭ ა რ ი, ღ ვ ი ნ ო.

ეს ფუძემენისეული სიტყვები უნდა იყოს, იმდროინდელი სიტყვები, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი მეგრული და სვანური.

მაგ:

ქართული — ვენახი, — ყურძენი

მეგრული — ბინეხი, — ყურზენი

ჭანური — ბინეხი, — ყურზენი

სვანური — ვენახ, — ყურძენ

ასევე, მაჭარი ყველგან მაჭარია და ღვინო ხომ ყველგან ღვინოა. მაგრამ არის კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ამ კანონზომიერებას არ ემორჩილება, და რომელიც ძალზე საყურადღებო სიტყვად მიგვაჩნია, ეს არის — ნე, იგი არ იცის არც ერთმა ქართველურმა ენამ, გარდა მეგრულისა. ჩვენის ღრმა რწმენით კი ესეც ფუძემენისეული სიტყვაა

და ისევე ძველია, პირვანდელია, როგორც ვენახი, ყურძენი, მაჭარი, ღვინო და ა. შ.

ნე ახლადაწურული ყურძნის წვენი. კახეთში მას ტკბილს ეძახიან, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მისი ბირველი და ნამდვილი სახელი: ქართულში ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. ჩვენს მოსაზრებას ამაგრებს მეორე სიტყვა — ფელამუში, ფელამუში ალბათ სხვა არაფერია, თუ არა ფელა-ნე-ში, ე. ი. ფაფა-ნე-სი, მეგრულში ფელამუშის პარალელურად იხმარება ფელანუში, ცხადია, ფელანუში პირვანდელი სახეა ფელამუშისა.

სურათი წარმოგვიდგება ასე: ქართველმა კაცმა, იმ პირველმა მევენახემ, ვინც ტყეში ვაზი იპოვა და მისი ნაყოფი იგება, ჯერ მცენარეს გამოუნახა სახელი — ვენახი (საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში და მეგრულში დღესაც ვენახი ჰქვია ერთ ძირ ვაზს), შემდეგ მის ნაყოფს — ყურძენი დაარქვეს, ხოლო შემდეგ წვენი გამოადინა და ამ თავის პირველ ნაღვაწსაც სახელი უწოდა — ნე, რაკი ტკბილი წვენი მიიღო და ეს სასიამოვნო სასმელი აღმოჩნდა, ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა დაემზადებინა ამ წვენისაგან. მან ამ დროს უკვე იცოდა ფაფის მოხარშვა, ღომის მოხარშვა, რა თქმა უნდა, პურის გამოცნობაც. რა წესითაც თავის დროზე ფაფა მოხარშა, ან ღომი, ფელამუშიც იმავე წესით მოადუღა. სხვადასხვანაირ ფაფებს, ღომსა და ელარჯსაც კი ძირითადად ხარშავენ ერთი წესით: ჯერ წყალს მოადუღებენ, მოდუღებულ წყალში ფქვილს ჩაყრიან და მოურევენ. ამ მარტივი წესით მოდუღებულ იქნა პირველი ფაფა ნესი და მივიღეთ მშვენიერი ფელამუში.

ჯადოსნური წვენის წარმოება, ბუნებრივია, გაგრძელდებოდა. რადგან ასეთი ტკბილი აღმოჩნდა წვენიცა და მისი ფაფაც, გაჩნდა სურვილი ბევრი ყურძნის დაწურვისა. ბევრი ყურძნის დაწურვამ ბევრი წვენი მოგვცა და აღამიანმა წვენი ხვალისთვის შეინახა. შეინახა და მოხდა სასწაული, ტკბილი წვენი მაჭრად იქცა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მაჭრისგან ღვინო მიიღო.

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია, სიტყვათა წარმოშობა წარმოვიდგინოთ იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც

„მოიშინაურა“ ადამიანმა ტყეში ნანახი საკვირველი მცენარე: ვენახი, ყურძენი, ნე, ფელამუში, მაჭარი, ღვინო, ხოლო ჩურჩხელა, ტკბილისკვერი, ქიშმიში, არაყი და ა. შ. ცხადია, უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, რადგან მათი წარმოების წესი გართულებულია.

მაშ, რა გამოდის? პირველი სიტყვები, რომელიც ქვეყნად ვაზის გაჩენას მოჰყვა, ვენახი, ყურძენი, ნე, ფელამუში, მაჭარი და ღვინოა. მათგან ერთი სიტყვა ნე მხოლოდ მეგრულშია ჩარჩენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველისძველი ქართული სიტყვა — ფელამუში, როგორც კი ქართულმა მწერლობამ ამოატივტივა, ხალხმა მაშინვე იგრძნო მისი მშობლიური გემო და გაუგებარი, ალოგიკური ასოციაციების გამომწვევი სიტყვა „თათარა“ ძირითადად გააძევა, უფრო ფართო გზა ფელამუშს დაუთმო.

მაშ, კოლხეთიც ვაზის ერთერთი პირველი სამშობლო იყო, აქედან გავრცელდა ვაზი არა მარტო მთელ საქართველოში, არამედ შესაძლოა, მრავალ სხვა ქვეყანაშიც და სულაც არ არის გასაკვირი აიეტის სასახლის ის შადრევნები, საიდანაც ღვინო ჩქეფდა.

ახლა საკითხავია, სად არის ის ზღაპრული კოლხეთი, ის წალკოტი, ის ედემის ბაღი, სადაც ძველი ბერძნები თუ ფინიკიელები შავ ყურძენს მიირთმევდნენ?

სამწუხაროდ, ახლა აღარსადაა ის ედემის ბაღი. იმ გზაზე, არგონავტებმა რომ გაიარეს, ახლა ვაზის მალღარებს ვერსად შეხვდებით, ფოთიდან ქუთაისამდე არა მგონია, ვინმემ იმ ზღაპრული წალკოტის თუნდაც კვალს მიაგნოს.

დრომ თავისი გაიტანა — მსახვრალი ხელით ზღაპრულ კოლხეთთან ერთად თან წაიღო „ედემის“ ბაღები, ჰეკატესა და მედეას ბაღები და წალკოტები.

თავი დავანებოთ შორეულ წარსულს, სულ ახლახან, სამეგრელოსა და იმერეთს თავს დაატყდა გასაოცარი ძალის გრიგალი, ვისაც არ ვკითხე, მსგავსი ქარები საქართველოში არავის ახსოვს.

რატომ მოხდა ეს? სამტრედიიდან რომ გახედავთ, ხორგამდე თითო-ოროლა ძირი ხე დგას, ქარს რა დააკავებს, წინ რა დაუდგება?

ხოლო იმ დროს, როდესაც კოლხეთზე ამაღელვებელი მითები და ზღაპრები იქმნებოდა, საქართველო უღრანი ტყეებით იყო დაფარული. მაშინ ჰავაც სხვა იყო და წყალიც სულ სხვა. მდინარეც უფრო წყალუხვი მოედინებოდა. მაშინდელი ქართველებისათვის, რომლებიც რიონის, ენგურის, ტესურის და აბაშის პირას ცხოვრობდნენ, საეჭვო სულ არ იყო ბარის მიწა, ვაზი ყველგან ხარობდა. სხვადასხვანაირი, სხვადასხვა ფერისა და ჯიშის ყურძნით იხუნძლებოდა თხმელისა და ბუალის ხეები, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული, ყველაზე მთავარი, თავმოსაწონებელი და საამაყო ვაზი იყო ოჯალეში. როგორც თვით სახელწოდება გვჩვენებს: ხის ვაზი, ხეზე მცოცავი ვაზი.

ოჯალეშის მალღარებით დაფარული იყო მთელი სამეგრელო, მათ შორის, ალბათ, დღევანდელი ბანძის მიდამოებიც.

ყოველივე ეს ბანძის მიწამ და ჰავამ რამდენიმე წელიწადში დაამტკიცა.

1965 წლის 23 თებერვალს, ბანძის მკვიდრის იოველ გაბუნias თათსნობით რაიონის ხელმძღვანელობამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, ბანძაში კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნილიყო ოჯალეშის მევენახეობის მეურნეობა.

აბაშის ჭალაში რამდენიმე ათეულ ჰექტარზე, ქართული მზისა და მიწის იმედით, გლახკაცის გამრჯე მარჯვენის იმედით, ჩაყარეს ოჯალეშის პირველი ნერგები.

მას შემდეგ ხუთმა წელმა გაიარა: ოჯალეშმა გაიხარა, მეურნეობაში წმინდა ოჯალეშს 105 ჰექტარი დაეთმო, ხეხილს — 70 ჰექტარი, დაფნას — 8 ჰექტარი, სხვა ჯიშის ვაზს — კიდევ რამდენიმე ჰექტარი. ჩაი ბანძაში ყოველთვის ხარობდა, თვალუწვდენელ თჩაიებს ასლა ორას ჰექტარზე მეტი ზვარი და ხეხილის ბაღი მიემატა.

ფეხდაფეხ შემოვიარე მზით განახნახებული ოჯალეშის ზვრები. კმ ყოფილი და ბედნიერი ვიყავი იმით, რომ დიდი და ძვირფასი ტრადიცია ნელ-ნელა იწყებდა აღდგენას. ბან-

მაში ოჯალეში ხარობდა, ოჯალეშის პირველი ზერები იმედის მომცემი იყო.

ყოველივე ეს ქართველი გლეხკაცის ნაამაგარი გახლდათ. მისი ნაშრომ-ნაჯაფი, ვინც ვაზს შვილივით თავს დასტრიალებდა, ვისაც ხელში თოსი და ბარი ეჭირა, ასეთი კაცი მეგულებოდა, — შალვა დარსაველიძე.

მაინტერესებს, რას მეტყვის შალიკო, როგორ შეაფასებს ოჯალეშის ზერებს, სოფლის სიახლეს მოიწონებს, თუ რა მოიწონებს.

შალიკო დარსაველიძის კარ-მიდამოს ცისფერი რკინის ჭიშკარი ამშვენებს ელექტროზარითა და ზედ მომდგარი კაჭიჭის თალარით. შევდივარ მწვანედ მოხასხასე ეზოში.

— დიდი საქმე გაკეთდა, კარგი საქმე გაკეთდა, — მეუბნება ის და დინჯად ახვევს თუთუნს ქაღალდში, — აქამდეც უნდა გვეფიქრა ამაზე.

— შალიკო ბიძია, რა გაწუხებთ, რითი ხართ უკმაყოფილო?

— ეჰ, კმაყოფილი ხომ იცით, ვინ არის, — ვინც ძიწაში წევს, ცოცხალი კაცი კმაყოფილი ვერ იქნება, ერთ რამეს კი გთხოვ: შენ თუ მართლა ჩვენს სოფელზე წერას აპირებ, ამაზე დაწერე, წამოდი ჩემთან... — შალიკო წამოდგა და წინ გამიძღვა, ეზოში ჩამიყვანა, ერთ გამხმარ ბუოლასთან მიმიყვანა და მაჩვენა.

— აი, ხომ ხედავ, ამას უშველონ რამე...

— კი, ბიძია, ეს ვიცი, ზომებიც მიღებულია.

— რა ზომებია მიღებული, ბიძია, ვინ თქვა? გადასმად ერთი ძირი ბუოლა არ არის ცოცხალი მთელ ჩვენს ახლომახლო სოფლებში — ხომ გახსოვს რამდენი ბუოლა გვედგა... კარგი, ამას თავი დავანებოთ, ბუოლა დაიღუპა, დაიღუპა. ახლა ამას შეხედე? — შალიკომ ხურმის ტოტი ჩამოსწია და ფოთლები მიჩვენა. — ეს ტკიპაათ. ახლა ატამი ნახე — ბადში შემიყვანა, — ხომ ხედავ, ესეც ავადაა, — მსხლის ხეს ჩამოუწია ტოტი, — ამასაც არ ადგას კარგი დღე, რა არ ვუქენი, რა შესამები მე ამათ ვასხურე, არაფერმა უშველა. შეხედე ვენახს? — ვენახში გადავედით, ვითომ ნაცარია? სიღამაშლა? შალვა ჯერ ცოლიკაურის ფოთოლს მაჩვენებს,

შემდეგ მტევანს, — არა, ეს არ არის კარგი ნიშანი, — დაბეჯითებით მეუბნება, — არასოდეს ამდენი დაავადება ჩვეს მცენარეებს არ ჰქონია, თიანჭოს ამდენი წამალი გვაქვს; ეს ბორდოს სითხეო, ეს გოგირდიო, ეს ინტრათიონიო, რა ვიცი, კიდევ ათასი რამ, — რად გინდა! მაინც ავადაა, — ახლა კაშლის ხეს მიჩვენებს, თან მზრუნველად ეფერება ხეს, ეაღერსება, — უკვე გუნებაში ეჭვი მეპარება, ბულის ავადყოფობა ხომ არ გადაედო სხვა ხეებსაც?..

— სხვა ხეზე არ გადადისო, მე ასე გამიგონია, — შევეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ ჩემი ზერელე პასუხი არ აკმაყოფილებს, მას უნდა მტკიცედ იცოდეს, რა ჭირი შეეყარა ბულის, რამ გაანადგურა მთელს დასავლეთ საქართველოში ეს შესანიშნავი მცენარე. ბულის ჭირი მთელ მცენარეულობას ხომ არ ემუქრება?..

— სად არიან ჩვენი მეცნიერები, რას ფიქრობენ? — ნეკროტიკული კითხულობს ბერიკაცი.

ბალიდან გამოვდივართ. შალვა არ ცხრება.

— თეოფილესას იყავი? — მეკითხება.

— არა, ჯერ არ ვყოფილვარ.

— ოდა სახლის წინ რომ დიდი კოპიტა უდგას, ის ხმე-სა.

— როგორ თუ ხმება? — თეოფილეს იმხელა იფსის ხედვა ეზოში, მისი გახმობის წარმოდგენაც კი არ შემეძლო.

— ხმება, აბა! ხმება, ასეა... — ნაღვლიანად მითხრა შალიკომ.

— უნდა წავიდე და ახლავე ვნახო ის ხე, — ვუთხარი შალიკოს და წასასვლელად მოვემზადე, შალიკომ ჭიშკრამდე მიმაცილა.

— დაწერე ამაზე, უსათუოდ დაწერე! — კიდევ ერთხელ გამაფრთხილა მან. შევპირდი, — დაწერ-მეთქი, გამოვემშვიდობე და თეოფილეს სახლისკენ ვიწრო შუკას გავუყვები. მალე გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული ძველისძველი მეგრული მახორობა, მართლაც რომ ძველი მახორობაა! — თეოფილე გაბუნიას კარ-მიდამოს არაფერი აკლია, არც მშვენიერი ორსართულიანი ოდა, არც სამზადი, არც საღორე-სასიმი-



დე, არც ყანა და ვენახი, არც ბოსტანი, არც ბაღჩა-ბაღი, არც ლამაზი, გაშლილი ეზო და ეზოს შუაგულში ტოტებგაშლილი მშვენიერი იფანი. ძველად ასეთ ეზო-კარზე იტყოდნენ: ეს ამა და ამ კაცის მახროობააო, და ამ სიტყვით გამოხატავდნენ, რომ ის კაცი კარგი მოსახლე, აზნაური თუ არა, შეძლებული გლეხკაცი მაინც იყო.

დობორე კიდევ სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, დობორეში დადიანები ცხოვრობდნენ.

ჭიშკართან ვდგავარ და გაოგნებული შევყურებ ტოტებგაშლილ იფნის ხეს, თეოფილე ოთხმოცი წლისაა და იფანი სულ ასეთი ახსოვს. „ცოდვია ასეთი ხის სიკვდილი“, — ვფიქრობ შეწუხებული და ეზოში შევდივარ. თეოფილე დიდის ამბით მეგებება, არტისტული ბუნების კაცია, სულ არა ჰგავს იმ მოხუცებს, რომლებიც საათში ერთ სიტყვას გეტყვიან და მძიმე-მძიმედ შემოგხედავენ ხოლმე; ასაკისათვის შეუფერებლად სწრაფად და მკვირცხლად მოძრაობს, ამ მოძრაობით სტუმრისადმი უსაზღვრო პატივისცემას და მორიდებას გამოხატავს, ენაწყლიანი მოსაუბრეა, მხიარული და გონებაამახვილი.

— კი, ბიძია, ილუპება ჩემი კოპიტი, — მეუბნება თეოფილე ნაღვლიანად — ეს ხე უბრალო ხე არ არის. აი, აქ — თეოფილემ ხის ძირას ხელები გაშალა — ორასი კაცი თავისუფლად დაჯდებოდა ქორწილში და კეთილშემთხვევაში.

— ნეტავი რა დაემართა? — გაოცებული მივჩერებივარ ხეს.

— სიბერე, შენი სახელის ჭირიმი! — მეუბნება თეოფილე მშვიდად.

— ახლა შალიკოსას ვიყავი, შალიკო შემფოთებულია, ჩვენს ხე-მცენარეებს ბჟოლის ჭირი შეეყარაო.

— ოო, ბჟოლა დაილუპა, მართალია! მე ყველა ამოვთხარე ძირ-ფესვიანად და ცეცხლში დავწვი. ბუნებამ არ ცნო ჩვენთვის საჭიროდ თუთა და გაანმო, რას ვიზამთ. ბუნების წინააღმდეგ ხომ ვერ წავალთ?

— ვითომ თქვენს კოპიტსაც ბჟოლის ჭირი შეეყარა?

— აჰ, არა, ბიძია, ბჟოლის ჭირი არა, ამ ხის ავადობის მიზეზი კი იცის თეოფილე გაბუნიაო, მაგრამ რად გინდა, ვერაფერს შევლის.

— რა მიზეზია? — დავინტერესდი მე, იქნებ რამე ახალი მითხრას-მეთქი.

— სიბერე, შენი სახელის ჭირიმე, სიბერე, — კვლავ ნაღვლიანი თვალებით შემომხედა.

— ის გამხმარი ტოტები რომ შეჭრათ, ვითომ არ ეშველება? — ვთქვი მე და თეოფილეს თითით ვუჩვენე გამხმარი შტოები.

— ჰმ.. — ჩაიცინა თეოფილემ.

— სიბერე ისეთი დაავადებაა, რომელიც ატრჩეობს, რომელსაც არაფერი ეშველება. — მითხრა ბერიკაცმა მტკიცედ.

შემფოთებული ვდგავარ ხის ძირას, ვწუსვარ, ვწრიალებ, გარეგნულად არაფერს ვიძჩნევ, მაგრამ შინაგანად აფორიაქებული ვტოვებ თეოფილეს ბიძიას და ბიძინა ოდიშარიას სახლისაკენ დაფიქრებული მივყვები შარაგზას.

ბიძინა ოდიშარია ბანძის სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელია.

ერთ დროს კი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. დიდხანს არ ყოფილა თავმჯდომარედ, მაგრამ თავდადებული, ნამდვილი სახალხო მოღვაწეობით თანასოფლელებს თავი დაამასსოვრა.

ბიძინამ ხუთი თითივით იცის ბანძის ამბავი, ამიტომ მივდივარ მასთან.

— ოჯალეშის მოშენება ბანძაში დიდი და საშვილიშვილო საქმეა, — მეუბნება ბიძინა ოდიშარია, — მაგრამ მე ჩემი მოსაზრება მაქვს ამ საკითხზე, ჭეშმარიტ მეურნეობას მყარი ეკონომიური საფუძველი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ოჯალეშზე დაყრდნობა ჯერჯერობით საიმედოდ არ მიმაჩნია. სასურველია, მოშენდეს უფრო საიმედო, უხვი მოსავლის მომცემი ვაზის ჯიშები. ხელი არ უნდა ავიღოთ სიმინდზეც, ლევანანეს მიდამოებში ჭაობიანი ადგილებია, იქ ალბათ ოჯალეში საერთოდ არ იხარება. როცა მეურნეობა მომგებიანი გახდება, როცა წელში გაიმართება და ეკონომიურად მომძღვრდება, შემდეგ შეგვეძლება ბანძის სავარგულებზე მთლიანად მოვაშენოთ ოჯალეში.

— გარდა ოჯალეშისა, მაინც რომელი ვაზის მოშენება მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, ალბათ ცოლიკაურის?

— ცოლიკაურიც შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ ჩვენთან ხარობს ერთი მეტად საინტერესო ჯიშის ვაზი, რატომღაც მას ფრანგულას ვეძახით. ეს ვაზი ძალზე მსხმოიარეა, რაც მთავარია, სოკოვანი დაავადებები: ნაცარი, ჭრაქი, და სხვა, არ ემართება, ორჯერ-სამჯერ ჭირდება შეწამვლა. მისი ყურძნისაგან მშვენიერ წითელ ღვინოს ვაყენებთ. ურიგო არ იქნება, თუ მეურნეობის მუშაკები ამ ვაზითაც დაინტერესდებიან.

ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით. ბიძინა ოდიშარიას გულწრფელად აწუხებს სოფლის ჭირ-ვარამი. ყოველთვის ასე იყო, ახალგაზრდობიდანვე სოფლისთვის იღვწოდა.

სოფლის ბედი თავის ბედს დაუკავშირა, ფეხი არ მოიცივალა სოფლიდან მამაპაპეული სახლ-კარი არ მიატოვა და თავისი უნგარო მოღვაწეობით ყველას შეაყვარა თავი.

ბიძინა ოდიშარიასა და თეოფილე გაბუნიასთანა ადამიანებთან საუბარი სასიამოვნოა, არის რაღაც საერთო მათ შორის, ორივე ტრადიციულ ძველ ქართველ ოჯახის კაცს მაგონებს, რაც მთავარია, ორივეს გულწრფელად უყვარს სოფელი.

სვალ ბანძას ვტოვებ, მივდივარ მთაში მწყემსებთან.

საქონლად

არისტოტელე თავის ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“ იხსენიებს ფაზისს, სადაც მისი აზრით, არის პატარა, მაგრამ კარგი მუწველი ძროხები.

მეზობელ სალხებს, ცივილიზებულებს და ველურებს ცოდითგანვე თვალი ეჭირათ ჩვენს საქონელზე. ქართველი ძროხა, ცხვარი და თხა ყოველთვის ძვირფასი ნადავლი იყო შემოსეულ მტერთათვის. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში აკად. გ. მელიქიშვილს მთაქვს ურარტული წარწე-

ბები, სადაც არაერთგზის ნახსენებია ქართული ცხვარ-ძროხა. „სარდური ამბობს: გავემართე სალაშქროდ კოლხასა და ეყენის წინააღმდეგ... ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები იქიდან გამოვრეკე. ქალაქ ურიაანის ცისესიმაგრე მე ავაგე, ჩემი მეთვალყურე იქ დავაყენე. სარდური ამბობს, აი, რა ეკუთვნის ჩავიდინე მე: 8100 ყრმა წავიყვანე, 9110 დედა-კაცი გამოვრეკე, აგრეთვე 17300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 31600 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი!“

ეს ამბავი მომხდარა ქრისტეს დაბადებამდე რვა საუკუნით ადრე. 31600 ცხვარი და თხა, 17300 ხარ-ძროხა, რა საოცნებო ციფრებია დღევანდელი კოლხეთის რაიონების ხელმძღვანელთათვის, თანაც ერთი დღის განმავლობაში გაუტაცია სარდურ მეორეს ეს საქონელი!

მწყემსობა ქართველი ხალხის ძველისძველი საქმიანობაა, ისევე როგორც ვაზის მოვლა. ქართულ წარმართულ პანთეონში მწყემსების მფარველ ღვთაებას — ჯუმას — ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ქართველ მეჯოგეებს სხვა უამრავი ღვთაებები ჰყოლიათ, მაგრამ ჯუმა მათ შორის გამორჩეული, მთავარი ღვთაება ყოფილა. როგორც ცნობილია, მეგრული კვირის შვიდეულში ერთი დღე ჯუმას ეკუთვნის — ჯუმაში დღა-ჯუმაშხა (ოთხშაბათი), ეს მაშინ, როდესაც სხვა დღეები ეკუთვნით ისეთ დიდ ღვთაებებს, როგორცაა მზისა და მთვარის, ომიანობისა და თავისუფლების, ნაყოფიერებისა და სილამაზის, ტაროსისა და მიწათმოქმედების ღვთაებები. ხოლო გურიასა და სამეგრელოში ჯუმას არა ერთი და ორი სალოცავი ბომონი ჰქონია. ამას ადასტურებენ ჯუმათისა და ჯუმითის ეკლესიები.

როგორც ჩვენმა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, ქართველთა მთავარი ღვთაება — მთვარის ღვთაება — ქრისტიანობის შემდეგ წმინდა გიორგიმ შეცვალა: საფიქრებელია, წმინდა გიორგიმ მარტო მთვარის ღვთაება როდი შეცვალა, სხვა ღვთაებების ადგილიც მან დაიკავა და მათ შორის ჯუმას ბომონებიც.

საინტერესოა, ლეგენდა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ჯუმათში ჩავიწერე; ძველ დროში თურმე წარღვნას მთლიანად წაუღეკავს ჯუმათის გაღმა მხარე, იმ წარღვნის

დროს ერთი ადამიანი გადარჩენილა, ის კაცი ძლივს ამოსულა ჯუმათზე, თან წმინდა ჯვარი ამოუტანია და იქ მთის წვერზე დაუდგამს, შემდეგ კი იმ ადგილას წმინდა გიორგისათვის ეკლესია აუშენებია.

ლეგენდა წარღვნასა და ერთ გადარჩენილ დარჩიაზე ძალზე გავრცელებული ყოფილა გურიაში, იგი თავის დროზე ეგნატე ნინოშვილს ჩაუწერია. ე. ნინოშვილის მიხედვით, გადარჩენილი ადამიანი დიაკვანი ყოფილა, ხოლო სალოცავი მთავარანგელოზისათვის აუშენებიათ.

ასეა თუ ისეა, ერთი რამ ცხადია, მთავარანგელოზი, წმინდა გიორგი და დიაკვანი ქრისტიანობამდე ვერ გაჩნდებოდა ლეგენდაში. მაშინ აუხსნელი რჩება ეკლესიის, სოფლისა და, საერთოდ, იმ მიდამოების სახელწოდება — ჯუმათი.

ჯუმათის ეკლესია თითქმის სამეგრელო-გურიის საზღვარზეა, მთის გაღმა კოლხეთის დაბლობია, გამოღმა — გურია. ყურადსაღებია ისიც, რომ ეკლესიის მიდამოებში, ძირითადად, მართლაც, დარჩიები ცხოვრობენ.

შესაძლოა ასეთი ვარაუდი: შავი ზღვის სანაპიროზე მომხდარა სტიქიური უბედურება, სტიქიას წაუღეკავს სოფლები და, შესაძლოა, ქალაქებიც, წაუღეკავს ხალხი, რომელიც ძლიერი იყო არა მარტო ეკონომიურად, არამედ სულიერადაც. მათ ჰქონიათ საკუთარი კულტურა, რელიგია. გადარჩენილი რამდენიმე ადამიანი გასულა ხმელზე — დღევანდელი გურიის მიწაზე იქ შემადლებულ ადგილას თავისი ღმერთისთვის — ჯუმასთვის — აუშენებია ტაძარი და დაუწყია შიგ ზორვა, ხოლო ამ ტაძრისთვის და მისი შექმნარენისათვის დაურქმევია ჯუმათი. ქრისტიანობის შექმნისთანავე ჯუმას კუთვნილ ბომონს, ბუნებრივია, დაანგრევდნენ და მის ადგილას ახალ ღმერთს აუგებდნენ ეკლესიას, ეს ახალი ღმერთი წმინდა გიორგი გახლდათ. ამიერიდან ჯუმას სახელს არავინ ახსენებდა, ილოცებოდნენ წმინდა გიორგისათვის, მაგრამ ადგილს სახელი ძველი შერჩა.

თვით ის ფაქტი, რომ მსგავსად მთვარის ღვთაებისა, ჯუმაც წმინდა გიორგიმ შეცვალა ქრისტიანობის დროს, მიუთითებს ჯუმას ძლიერებაზე.

მწყემსების მფარველ ძლიერ ბატონს — ჯუმას — საქართველს

ველოში არა ერთი ჯუმათის, ჯუმითისა და ძიმითის ტაძარი ჰქონია. ერთი დღე, მზისა და მთვარის ღვთაებების მსგავსად, მასაც რგებია და ეს დღე ყოფილა ოთხშაბათი — ჯუმაშხა, ხოლო მისი სახელის სადიდებლად ლოცვა-კურთხევა —  
ო ჯ უ მ ა შ ხ უ რ ი.

ყოველივე ეს შექმნილია იმისათვის, რომ მეგრულ წითელ ძროხას თავისი ლამაზი რქებითა და ზომიერი კოხტა ცურით თავი ლაღად ეგრძნო ასხის, დვირას, ოხაჩქუეს და ჭალადიდის საძოვრებზე.

დღეს ოთხშაბათია — ჯუმას დღე — და მეც იმ ძველი საძოვრებისაკენ მივდივარ, ჩემი თვალით უნდა ვნახო დღევანდელი ჩვენი საქონელი, ის ზღაპრული „პატარა, მაგრამ კარგი მეწველი ძროხები“.

ასხი გურია-სამეგრელო-იმერეთის ძველისძველი საძოვარია. აქ ზენიაქვათაში, საოდიშოსა და კარმეიდანში დღე-ღალამეს ასწორებდნენ, თავიანთ განთქმულ ცხენებსა და ძროხებს დასდევდნენ ხაინდრავები, კვარაცხელიები, დანელიები და სხულუხიები.

ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია მეჯოგე კვარაცხელიათა განთქმულმა შთამომავლობამ. ჩვენს წლებში კვარაცხელიების გვარი დაამშვენა კიდევ ერთმა მამაცმა მეჯოგემ ძიკი კვარაცხელიამ.

„კვარაცხელიას ძროხას“ დღესაც დიდი მოწიწებით ასხენებენ ხოლმე წალენჯიხასა და ზუგდიდში, მარტვილსა და სენაკში.

ქიბიის ტყეების გავლით შევუყევით ასხის აღმართებს. უკან დავტოვეთ მშვენიერი ლესხულუხე, ლესხულუხე მარტვილის რაიონის ულამაზესი სოფლის სალხინოს ერთი კუთხეა. იგი მწყემსების სოფელია. ლესხულუხედან ჩვენ, მე და სალხინოს კოლმეურნეობის ფერმის გამგეს იროდი ახალაიას, ზოტექნიკოს ბონდო სხულუხიას, მწყემსი შოთა სხულუხია გამოგვყვა.

ჩვენ ერთად მივაბიჯებთ აღმართზე.

— ამ ადგილებს ნუზუანი — ფიჭვნარი — ჰქვია, — მიუბნება იროდი ახალაია. ვათვალიერებ „ფიჭვნარს“, ფიჭვი აქ არსად ჩანს, გულისგასახარელი წიფლის ხეების უღრა-

ნი ტყეა. მაგრამ არც წიფელას ადგას კარგი დღე. ფიჭვი უკეთესი საშენი მასალაა, უფრო ადვილი დასამუშავებელია და, როგორც ჩანს, დაუნდობლად ნადირობენ ფიჭვზე; უკვე ტყისკენ გახედვაც კი არ მინდა, წინასწარ ვიცი, რომ ტყეების შესამოწმებლად კომისია იყო ჩამოსული თბილისიდან.

მახსოვს, ომის დროს, აბედათის მთა-გორებიდან ურმით ჩამოგვქონდა თხმელის ნედლი შეშა. შემდეგ ეკის მთას მიაშურეს ბარელებმა, ბოლოს ჯერი ქვიბიაზე მიდგა.

„აგერ ფიჭვი“ — როგორც იქნა თვალი მოგვკარი ცამდე აწვდილ ტანკენარ ფიჭვს, ახლოს მივედი, წიწვიან შტოებზე გრძლად ეკიდა ტყის ხავსი, ღამის ცვარს ტყე სვავრიელად დაენამა.

ახლამოსული მზე ფიჭვს ოქროსფერ სხივებს აფრქვევდა. ზურმუხტისფრად ანთებულ მის წიწვებსა და ხავსზე მძივისსხელა ცვარის მარგალიტებს ელაციცებოდა.

— ეს რა ჭირს ამ ხეს? — გულუბრყვილოდ ვიკითხე მე და უცებ მივხვდი, რაც ჭირდა, მაგრამ შოთამ მაინც ამისხნა:

— საყავრედ ნდომებიათ, გაუსინჯავთ, არ მოსწონებიან და მიუტოვებიან.

— ეს ხე უკვე აღარ ვარგა. — მითხრა ბონდომ. — ხედავთ, რამხელაზე ჩაუჭერიათ, ხეს ლობა დაუწყია.

ნაჯახდაკრული ფიჭვი დაჭრილ ვაკეცს ჰგავდა, უღრან ტყეში უპატრონოდ მიტოვებულს.

— ამგვარმა თვითნებობამ და გაუმაძღრობამ დაღუპა ჩვენი ტყეები, — ნაღვლიანად ვთქვი მე და აღმართს შევეუფიცე. შოთამ გაიცინა.

— ჩვენი ტყეები „დრუჟბამ“ და „ურალმა“ დაღუპა, — მითხრა მან. უცებ ვერ ვავიხე, რას მეუბნებოდა. შოთამ ამისხნა:

— „დრუჟბა“ ხერხია, ბენზინით მეშაობს, „ურალი“ კი დიდი მანქანაა; თუ მიაქციეთ ყურადღება, გზაში რამდენიმე შეგვხვდა, ხით დატვირთული.

— „დრუჟბა“ კერძო პირებსაც აქვთ? — ვიკითხე მე და ჩემი გულუბრყვილობით კვლავ ღიმილი მოგვგარდა თანამგზავრებს.

ვხედავ, ვგრძნობ, ვატყობ, რომ მათ ბევრი რამ აქვთ სათქმელი, ბევრი რამ აწუხებთ, მაგრამ თავს იკავებენ, „უცხო-სოსთან“ ყველაფერს არ ამბობენ, თუმცა ტყე სად დაიმა-ლება, რაც არის, აქ არის.

ნათქვამია, ერთი თხისკენ, მეორე მგლისკენო: მართა-ლია, ტყის განუკითხავად გაჩეხვა დანაშაულია, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, . ვინ სჩადის ამას? გადამთიელი? მტერი? არა, ტყეს ჩეხავს ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი გლეხკაცი, თვით ტყის პატრონი — ან სატყეო მეურნეობის მუშაკი, ან ვინმე ტყის მცველი, ან ეგერი და ა. შ.

ახლა დავაკვირდეთ, რატომ აკეთებენ ამას, რატომ იგ-დებენ თავს საფრთხეში, ტყიდან ერთი ხის გამოტანას ხომ ათასი საშვი უნდა და ათასი შემოწმება?.. იმიტომ, რომ ხე ადამიანს ისევე სჭირდება, როგორც პური. სად იშოვოს ხის მასალა? განა სადმე, რომელიმე მაღაზიაში თავისუფლად იყიდება ფიცარი ან ლარტყა, ბოყვი ან, თუ გნებავთ, საწნა-ხელი?.. გინახავთ სადმე საწნახლის მაღაზია? მაშინ, რო-დესაც ქართველი კაცი, როგორც კი თავშესაფარს იშოვის, იმ წამს იმაზე იწყებს ფიქრს, როგორმე სადმე კუთხეში საწ-ნახელი მიდგას და ერთი ორი ჭურიც ჩაფლას მიწაში. შე-შა? შეშა სადღაა? არის სადმე შეშის მაღაზია?

ზოგადად ყველამ კარგად იცის, რომ ტყის გაჩეხვა არ შეიძლება, მაგრამ თუ ვიქნებით საქმიანი და კონკრეტული, სულ არ დაგვჭირდება გულისამაჩუყებელი პატრიოტული სიტყვები; თუკი ხის მასალა მაღაზიაში იქნება, ვინ გიყი წავა ქვიბიაში ხის მოსაჭრელად? ვინ ჩავა ხევში და წკვა-რამში ფიჭვის მოსაჭრელად? შეიძლება ვინმე შემომედა-ვოს, ამდენი ხის მასალა, ამდენი შეშა საიდან მოვიტა-ნოთო, იქიდან მოვიტანოთ, საიდანაც კერძო პირებს მო-აქვთ. განა სამეგრელოში ზამთარში ვინმე რჩება უშეშოდ? ბუნარში აგუზგუზებული ცეცხლის გარეშე განა ვინმე გა-ატარებს ზამთარს? როცა კერძო პირი შედის ტყეში, ის უნებ-ძიე ყაჩაღია; ჯერ ერთი, მან არ იცის სწორი გაჩეხვა, მეო-რე, ეშინია, ეჩქარება და სულ არ დაგიდევთ, თავისი „დრუჟ-ბათი“ რას ჭრის და როგორ ჭრის; ბუნებრივია, ასეთი ტყის-მჭრელი ტყეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. დაჟეჟილს



გატეხილი სჯობია: ტყეს ხომ ვერ ვუვლით კარგად, ვერც ვამუშავებთ ისე, როგორც საჭიროა, და მოსახლეობასაც ვერ ვაწვდით ორგანიზებულად. ეს არის მთავარი მიზეზი ჩვენი უბედურებისა.

აბა, უკანასკნელი აღმართი ავითავეთ, ტყე უკან დარჩა, დაიწყო ალპური საძოვრები. კიდევ რამდენიმე გორაკი გადავიარეთ და იროდი მეუბნება:

— ესეც ჩვენი ზენიაქვათა, ჩვენი საქონელი ამ მიდამოებშია, — იროდიმ მთებისაკენ გაიშვირა ხელი, — ამ მთის გაღმა და გამოღმა ვართ, იქით საოდიშოა, აქეთ ზენიაქვათა.

პირველივე კარავში შევედით. კერიასთან მიგვიპატიჟეს, გრძელ სკამლოგინებზე ჩამოვჯექით, ეს გაჩორკნილი ფიცრებია მათი სკამიც და საწოლიც, ფიცრებზე შავი ქება უგიათ, ქება ლეიბის მაგივრობას უწევთ.

— აქ სული მოვითქვათ, — მეუბნება იროდი — შემდეგ შოთას კარავში წავიდეთ.

— აბა, ეს ვისი კარავია? — ვეკითხები მე, თანაც კარავს ვათვალიერებ, შუაცეცხლზე კარდალა ჰკიდია, შიგ წყალი ასხია, ცეცხლიც მინავლულია, მიფერფლილი.

— ეს თათრაციანის კარავია, — მეუბნება იროდი და წვერმოშვებულ მწყემსს მაჩვენებს, თათრაციანს კარავში შემოსვლისთანავე მივაქციე ყურადღება, კუშტი სახე აქვს, თავისებური, გამორჩეული.

— თათრაციანი რა სახელია? — შევიცხადე მე.

— რატომ? რა უჭირს — გაუკვირდა თათრაციანს.

— შიგ თათარიც არის და ყაენიც!

— დაწყევლოს ეშმაკმა, რა ვიცი. — აბუზლუნდა თათრაციანი, არ მოეწონა, ასე რომ გავუშიფრე სახელი, — ბებიაჩემს დაურქმევია, თურმე ვილაც კარგი ექიმი გვეოლია სოფელში, — თათრაციანი და იმიტომ დაურქმევია, მე მწყემსი გამოვედი, — გაიცინა. ერთ წამს სახე გაუნათდა, მაგრამ კვლავ კუშტი, უკარება გახდა.

— აქაური ამბები გვითხარი, თუ კაცი ხარ, — უთხრა იროდიმ თათრაციანს, როგორც კი სიჩუმე ჩამოვარდა კარავში.

— რა გითხრათ, ძალიან ცუდად ვცხოვრობთ, — შესჩივლა მოურიდებლად თათრაციანმა თავის უფროსს და ჩემს

გასაგონად თქვა: — ამ ზაფხულს საქონელი უწყლობით კინადამ დაგვეხოცა. არნახულმა გვალვებმა ჩვენი აზმასები სულ დააშრო.

— აზმასი რა არის? — შევაწყვეტინე თათრაცანს.

— აზმასი გუბეა, წყლისთვის დიდ თრმოებს ვთხრით, შიგ წვიმის წყალი გროვდება და მთელი ზაფხული გვეყოფნის, ქემსინებულებმა რამდენიმე დიდი აზმასი ახლახან ამოვითხარეთ დამატებით, მაგრამ უკვე გვიანდაა, უკვე ცივა ასხში, აღბათ ძალე ავიყრებით და ძირს დავეშვებით ტყისაკენ.

— არა უშავს, ის აზმასები გამოგვადგება, — ჩაერია საუბარში მიმინო.

— თო, ძალიან მიმიე ზაფხული გადავიტანეთ, — ახლა შოთა სხულუხია იგონებს მწარედ ზაფხულს, — ჩვენს ძროხებს თიხქმის არ უძოვიათ, დილიდანვე წყლის საძებრად იყვნენ გადაკარგულები, რვა, ათ კილომეტრს იქით მიდიოდნენ წყლის დასაღევად. აბა, წარმოიდგინეთ, ძროხა წყლისთვის ათ კილომეტრს რომ გაივლის, მერე რას მოძოვს, ან რა რძეს მოგვცემს.

— რა მოგვიტანეთ? — ღიმილით ეუბნება თათრაცანი ფერმის გამგეს, მას მობეზრდა ჩვენი საუბარი და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— მოგიტანეთ კი, ნუ გეშინია, — ეუბნება იროდი და აბგაში აფათურებს ხელებს. ბოთლს გამოაძვრენს და თათრაცანს შირიდან უჩვენებს. თათრაცანი მიმინოს გადახედვს, მიმინო ხარტოს, ხარტო შოთას, სახეზე ყველას სინჯარულას ღიმილი გადაუბრუნებს.

— ახლა ვუკი, — ამბობს ერთი ახალგაზრდა მწყემსი და კარდაღას ააჩხარუნებს, დიძახლისივით დატრიალდება.

— მიჩვენეთ თქვენი საქონელი, — ვეუბნები შოთას და კარვიდან გავდივარ. შოთაც და თათრაცანიც უკან მომხედავიან.

— ხედავთ, სად გადიან ჩვენი ძროხები! — შოთა შიშის მწვერვალისაკენ იშვერს ხელს. მთა-კარგისზე ჭიანჭველუბივით გაბნეულა პარუტყვი.

— ეს იმიტომ, რომ ბალახი არ არის. გვალვამ დაგვეღუპა,

აბა, ახლა ის ძროხა, თხასავით ფერდზე რომ კიდია, მოიწველის?

მთის ძირას სამ ძროხას მოვკარი თვალი, ისინი ძოვაძოვით სევში ჩადიოდნენ, როგორც კი მივუახლოვდით, თავი მაღლა აიღეს და დაფეთებული თვალები მოგვაპყრეს. აქ ალბათ არ მოელოდნენ აღამიანს. ისინი ბარში სელით ნაძოვებ ძროხებს არ ჰგავდნენ, მთასა და ტყე-ღრეში ხეტი-ალისაგან გარეულის, ტყიურის იერი მიეღოთ.

— ნამთევი საქონელი მაინც სხვაა, — აღტაცება ვერ დაემალე მე.

— აჰა! ვერა ხედავ, შიმშილით მკვდარია, ავეისტო მთავრდება, ძმაო, ახლა საქონელი ბურთივით უნდა იყოს! — მეუბნება შოთა.

მე კიდევ წითელ ძროხას თვალს ვერ ვაზარებ, იგი მოუწვევრად ძოვს ბალასს, ყურადღება ჩვენკენა აქვს, ხანდახან ვაკვირვებული აიღებს თავს და მოგესხება, წავიდნენ თუ არა.

დიდხანს ვიდექით სერზე და ვსაუბრობდი, კარვთან მიმინო გამოვიდა და დაგვიძახა. კარავში დაებრუნდით, სუფრა უკვე გაეშალათ, მწყემსები ტკბილად ვაგვიმასპინძლდნენ.

სადამო ჟამს შოთა სსულუსიას კარავს ვესტუმრეთ.

ამჯერად დიდი გზა არ გავვივლია, სალხინოელ მწყემსებს კარვები ერთმანეთთან ახლოს აქვთ, ბექობი გადავიარეთ, ერთ აზმასს ჩავუარეთ, და ტრიალ მინდორში გავედით. ფერდობზე ხბორები შეფენილიყვნენ. უცებ, სად იყო, და არა, მინდორში ისარივით გამოიჭრა ძალლი და თვალისდასამხამებაში შოთა სსულუსიას აეტოტა. მეგონა, ძალლი სამტროდ მოვარდა.

— ჯადულია! — შესძახა შოთამ და ძალლი მაღლა აიტაცა. იმდაგვარად აიტაცა და მიესიყვარულა, როგორც ბავშვს აიტაცებენ და ჰაერში აათამაშებენ. ჯაგულიამ ფეხები ჰაერში აასხმარტალა, კისერი დაიგრძელა და პატრონს წმუტუნით მიეაღერსა.

— ჯადულია, ჩემო ჯადულია, მოგწყინდა უჩემოდ? — უთხრა შოთამ ძალლს, ჯადულია მთელი სხეულით თრთოდა და პატრონისკენ მიიწევდა. სიყვარულსა და აღერსს თხოვდა,

შოთამ ძაღლს უკანა ფეხები ძირს დაადგმევინა, ხელი მოკხვია და მისი თავი მკერდზე მიიხუტა. ჯადულია, მართალია, ექვსი თვის ლეკვი იყო, მაგრამ ადრე დასრულებული ბომბორა ნაგაზი გახლდათ.

— აბა, ახლა გეყოფა, ჯადო! — უთხრა შოთამ ძაღლს, რადგან ვეღარ ამაგრებდა, — ჩვენს გარდა აქ სტუმრებიცაა, სტუმრების მაინც არ გრცხვენია? — ძაღლმა პატრონს თითქოს გაუგო, წამით დაცხრა, გარშემო შემოგვირბინა და სიხარულის ყუფა ასტეხა.

— ერთი კვირაა წასული ვარ და გაუხარდა ჩემი დანახვა, — მითხრა შოთამ, თან ძაღლს არ აშორებდა თვალს.

— ეს თუნთიას შვილი არ არის? — იკითხა იროდიმ.

— კი, იმის შვილია, მაგრამ, აი, ამხელა გაიზარდა რატომღაც.

— კარგი ძაღლი დადგება, — თქვა ბონდომ, — ღონიერი ჩანს.

— ოო, ახლავე მოერევა მგელს, მაგრამ რად გინდა, ჯერ-ჯერობით მშინარაა, ლეკვია და გამბედაობა აკლია.

როგორი სიყვარულით ლაპარაკობდა ძაღლზე! — აღტაცებული შევეყურებდი შოთას, როგორ ეფერებოდა, როგორ ეალერსებოდა.

ვისაც ძაღლის ასეთი სიყვარული შეუძლია, ის მართლაც მწყემსად არის დაბადებული. შოთა სხულუხია ოცდაათი წელიწადია მწყემსია, ოცდაათი წელიწადია ასეთი სიყვარულით უვლის საქონელს, ზრდის ჯადულიასავით ერთგულ ძაღლებს და საქართველოს მთასა და ბარს თავისი ვაჟკაცობით ამშვენებს. ასეთი ადამიანი ტყვეს არ გააჩანაგებს, ბროლივით მოკამკამე წაჩხურაში ამონალს არ ჩაყრის, უცებ შემოფეთებულ ირემს ტყვიას არ ესვრის.

ჯადულიამ ზარ-ზეიმით მიგვაცილა კარვამდე, იქ კუკუ ბასილაია, მუშტი სხულუხია და კოკი ფირცხალავა დაგვხვდნენ.

უკვე საღამო ხანი იყო. მუშტი ანგვარისაკენ ძროსებს მიერეკებოდა.

კოკის უკვე დაეწყო ძროხების მოწველა. კუკუ სასბორის კართან იდგა და ხბორებს რიგრიგობით უშვებდა.

— უჩა, უჩა, უჩა, უჩა, უჩა.. — თითქოს შელოცვას ბუტ-ბუტებსო, ისე ეძახდა „უჩას“. სახბორეში ხბოები ირეოდნენ, კარს ერთად მოაწყდებოდნენ და უჩას გზას უკეტავდნენ, კუ-კუ უჩას ეხმარებოდა, — მისწი-მოსწევდა თანამოძმეთ და კარში გაჭირვებით გამოაძვრენდა. გახარებული უჩა დედის-კენ გარბოდა. იქ მას მუშტი ელოდებოდა.

— კეკუტია, კეკუტია, კეკუტია! — ახლა „კეკუტიას“ ეძახ-და კუკუ.

აქ ყველა ხბოს თავისი სახელი, ერქვა, ხბორებს დედის სახელს ეძახდნენ. კეკუტია ადამიანის გვარია სამეგრელოში და გამიკვირდა, ხბოს რატომ ეძახით მეთქი.

— დედამისს ჰქვია კეკუტია, რადგან კეკუტიასაგან ვიყი-დეთ, ამიტომ ხბოსაც კეკუტიას ვეძახით, — ამიხსნა შოთამ.

— ფიორია, ფიორია.. — განაგრძობდა კუკუ ხბორების ამორჩევას.

— ფიორია რატომღა დაარქვით? — ვკითხე კვლავ შო-თას.

— ეს ისე, ძროხის სახელია, რამე მიზეზით არ დაგვირ-ქმევია.

მუშტიმ მეწველი ძროხები ანგვარაში შემორეკა და თვი-თონაც მიჰყო ხელი ძროხების მოწველას.

— ძროხების სადგომს ანგვარას რატომ ეძახით, ეს ხომ ქართაა?.. — გაოცებული მივაჩერდი შოთას, იროდის და ბონდოს.

— არა, — გაიღიმა შოთამ, — ეს ანგვარაა, ყოველთვის ანგვარა იყო, ქართა უფრო პატარაა, თხების სადგომს ვე-ძახით.

— ქართა ცხენების სადგომს ჰქვია, მგონი. — თქვა ბონ-დომ.

მე ასლა „ანგვარამ“ ამაწრიალა. არ ვიცი, ეს სადაური სიტყვაა, აფხაზურს კი ჰგავს, ერთი კი ცხადია, ანგვარას ქარ-თა გაუძევებია, უკვე დაბეჯითებით ვერ მეუბნებიან, რა არის ქართა. მაშინ როდესაც ქართაა ის, რასაც ანგვარას ეძახიან. ვაითუ ეს შესანიშნავი სიტყვა დაგვეკარგოს. ამ სიტ-ყვის ადგილი აქ არის და თუ აქედან გააძევეს, სადღა წავა?..

— იცით რა, ჩემო კარგებო, — ყველას ერთად ვეუბნები

დაბეჯითებით — ქართა ძალზე მნიშვნელოვანი სიტყვაა ქართველი კაცისათვის, მისი დაკარგვა არ შეიძლება და აი, რატომ: თბილისს მეგრელები რას ვეძახით?.. გაიხსენეთ, რას ვეძახით?..

— ქართის ვეძახით, — მითხრა იროდიმ.

— რატომ ვეძახით ქართის? არავინ არ ეძახის თბილისს ქართის, გარდა მეგრელისა, რატომ? ჩვენი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ამ ტერმინთან არის დაკავშირებული „ქართლის“ სახელი, ხოლო შემდეგ აქედან ტერმინები: ქაროველი, საქართველო.

— თხი — დაინტერესდა შოთა — შერე, მერეი..

— ძველად თურმე ქართლი ერქვა დღევანდელი ქართლის ძველ დედაქალაქს, ზაჰესის წყალსაცავის პირდაპირ, ბაგინეთის მთაზე აშენებულ ციხე-ქალაქს; ის ადგილი იყო სწორედ შემოზღუდული, მოფარებული ადგილი — ქართა, ასე რომ ეს სიტყვა დასაკარგი კი არა, ხელიხელ საგოგმანებია და თქვენ საიდან მოიტანეთ ანგვარა?..

— თო, საინტერესოა.. მაგრამ აწი რაღა ეშველება, ანგვარა ჰქვია და... — გულუბრყვილოდ შეწუხდა შოთა.

— დიდი ამბავი, დავარქვათ ქართა და ის იქნება — თქვა ღიმილით კუკუ ბასილაიამ, რომელსაც ხბოები მიეტოვებინა და ჩვენს საუბარს უვდებდა ყურს, — ერცქემა გამოუშვი — დაუძახა მუშტიმ და კუკუ სახბორისაკენ წავიდა.

კოკი ფარცხალავამ რძით სავსე ნიგა მოიტანა და მანვინა.

— აა, ერთ ამდენს მუშტიც მოიტანს და სულ ეს არის იროდის ავლ. დიდება, — ღიმილით თქვა მან. კარვისკენ წავიდა.

— შევადრეთ კარავში, დადამდა, — მითხრა იროდიმ. კარავში შეკედით. შუა ცეცხლი ენათო. გრილსა და ცეცხლის დანახვა გვესიამოვნა. ცეცხლს შემოვუსხედით თუ არა, იროდის ვკითხე:

— სულ რამდენი სული საქონელი გყავთ?

— 650, — მიპასუხა მან.

— როგორ ფიქრობთ, ბევრია თუ ცოტა?

— ცოტაა, რა თქმა უნდა, — დამნაშავესავით გაიღიმა

იროდომ, — მაგრამ რას ვიზამთ, თქვენი თვალთ ხომ სე-  
დავთ, რომ საძოვრები არა გვაქვს.

კარავში კუკუ ბასილია შემოვიდა, კუკუს შოთაც შემოჰ-  
ყვა. შოთამ გუდით მოიტანა წყალი. წელში მოხრილი შემო-  
ვიდა, ისედაც დევივით კაცი იყო, კარავში კი უფრო ნათ-  
ლად ჩანდა მისი სიდიდე, აშკარად ვერ ეტეოდა, ხან რას  
წამოედებოდა და ხან რას. გუდა დინჯად მოიხსნა ზურგიდან  
და წყალი დიდ ქვაბში ჩაასხა.

— დავიღალე ეს ოხერი, წყალი შორსა გვაქვს... — ჩაიდუ-  
ღუნა მან და გუდა კუთხეში მიაგდო.

— ცოტას შევისვენებ და სტუმარს ელარჯს გავუკეთებ,  
რას იტყვი, იროდი?

— შენ იცი და შენმა ოსტატობამ, — უთხრა იროდომ შო-  
თას, შემდეგ მე მომიბრუნდა.

— შოთას მიტი ელარჯს აქ ვერავინ აკეთებს.

— თქვენ სად ისწავლეთ ელარჯის გაკეთება? — ვკითხე  
შოთას...

— მაგას არ უნდა დიდი სწავლა-განათლება, — თქვა  
შოთამ. ბაბუაჩემი ცელვე მწყემსი იყო, მამაჩემსაც არ უღალა-  
ტია მირონისათვის, ისიც მწყემსი გამსდარა, მათგან ვის-  
წავლე, ისინი კარგ ელარჯს აკეთებდნენ.

კოკი ფირცხალავაც შემოვიდა, ქართასა და სასბორეში  
სინჩუმე ჩამოწვა. შორს ტურის კივილი გაისმა, დაღამდა ას-  
ხის მთაზე. კარვის უკან ჯადულია აყეფდა, ჯადულიას სხვა  
ძაღლებიც აჰყვნენ, თითქოს ღამეს უბრაზდებოდნენ, დაღა-  
მებას უღრენდნენ; კუკუ ბასილიამ ჭრაქი აანთო, შეაცეცხ-  
ლის სინათლე არ გვეოფნიდა. მუშტი კუთხეში მიმდგარი-  
ყო, რძეს კვეთავდა. შოთა, კუკუ და კოკი გრძელ სკამლოგინ-  
ზე ისხდნენ და ცეცხლს ეფიცებოდნენ. ჩვენ — მე, იროდი,  
და ბონდო, მათ პირდაპირ ვისხედით.

— როგორ უბერავს, ამ საღამოს აქ გავიყინებით ალბათ, —  
თქვა იროდომ და უკან მიიხედა, კარვის ფარღალა კე-  
დელს შეხედა.

— წუხელ გვესტუმრა პირველი ყინვა, — ალბათ ამ საღა-  
მოსაც დაგვსუსხავს, — „დაგვამშვიდა“ შოთამ, — ხვალ და

ზეგ უსათუოდ ავყრი საქონელს... თორემ წვიმებმა თუ მოგვისწრო, მერე ხომ იცით აქაური ხანდარები...

— უნდა წავიდეთ, საქონელი ცოდვია, — თქვა მუშტიმ.

— მართალი ხართ, ახლა ძირს ჯობია, ტყეში, — დაუდასტურა იროდიმ.

— იქ, სოფელში ბაგურ კვებაზე რომ გადაიყვანთ საქონელს, ალბათ ისვენებთ, არა? — ვკითხე შოთას.

— პირიქით, ბაგური კვება მწყემსისთვის უარესია, — მითხრა მან, — აქ საქონელი საკვებს თვითონ შოულობს, წყლისთვისაც აღარ შეგვაწუხებს, ბინას დასუფთავება არ ჭირდება და არაფერი. იქ, ერთი სიკეთე გვაქვს ის, რომ შინა ვართ, თორემ შრომა იქ მეტია.

— ეჰ, შრომა მწყემსს არც აქ აკლია და არც იქ, — თქვა ნაღვლიანად კოკი ფირცხალავამ.

— რატომ აირჩიეთ მწყემსობა, სხვა ხელობა გესწავლათ, უფრო იოლი, უფრო სარფიანი...

— განა არ ვიცი სხვა ხელობა, მესამე კატეგორიის მძღოლი ვარ... მერე რა? — მითხრა კოკიმ, კარდალა ჩამოხსნა და დინჯად დაუწყო ჩარჩენილ ქერქს ფხეკა.

— მძღოლი? — გავიკვირვე მე, — მუშაობდით მძღოლად?

— ვმუშაობდი კიდევ და საკუთარი „მოსკვირიც“ მყავდა. არაფერი გამომივიდა, ხალხს უფასოდ დავატარებდი, მეზობლებს ფული ვერ გამოვართვი, სოფელში კი უცხო არავინ ცხოვრობს, ყველანი ერთმანეთის მეზობლები ვართ. ფულის შოვნას სხვანაირი კაცი უნდა... — კეთილად გაიღიმა კოკიმ. კარავში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამას შენ გიმზადებ, — უთხრა კოკიმ შოთას, — შეუდექი საქმეს, სტუმრები შიმშილით არ დაგვეხოცოს. — კარდალა კარგად გამოფხიკა, გამოორეცხა, შიგ ცოტა წყალი ჩაასხა და ნაჭაზე ჩამოკიდა.

— ახლავე, — თქვა შოთამ და დატრიალდა.

— მაშ, მძღოლობას მწყემსობა გირჩევნიათ? — ყველას ერთად ვეკითხები, მინდა, როგორმე სიმართლე გავიგო, იშვიათია, მძღოლმა მძღოლობა მიატოვოს და მწყემსობა დაიწყოს, ჩვენში ხომ მძღოლობა ერთ-ერთი პოპულარული ხელობაა. ახალგაზრდა, საშუალო სკოლას რომ დაამთავრებს,



უსათუოდ თბილისისაკენ მოისწრაფის. თუ ეს ვერ შეძლო, მძლოლობას სწავლობს. სოფელში თუ ვინმე კარგად ცხოვრობს, ეს მძლოლია, თუ მძლოლს საკუთარი მანქანა აქვს, მის „ხელტურაზე გასვლაც“ კი არ სჭირდება, შინ მოაკითხვენ საღამოობით და მოკრძალებითა თხოვენ ან ქორწილში, ან საჭირაღში, ან ექიმთან, ან სადმე საღვინოდ და საბუდნიეროდ წასვლას. მძლოლის ამგვარი დაქირავება კი საკმაოდ ძვირი ღირს. გააკვირია, რატომ დააშო მძლოლობა კოკიმ?

— რა ვიცი, მგონი მიწაზეა, — კითხვაზე დავკიანებით მომიგოს კოკიმ და შოთას გადახედა. მეც შოთას შევხედე: შოთას აზროც მაინტერესებდა.

— მე კარდაპირ შემიძლია ვითხრა, — დაიწყო შოთამ -- სხვა ბელობა ჩემი საქმე არ არის, ასე მგონია, მწყემსად დავიბადე და არც მიფიქრია, სხვა რამე შესწავლა. ჩვეუ მუორინჯე, მეფთაგე ხალხი ვართ, მამაჩემის მამა, იმისი მამა, იმის მამა სულ მწყემსები ყოფილან, ხომ გაგიგონიათ, კვიცი გვარზე ხტისო.

— თქვენ? თქვენ რას იტყვით, კუკუ? — ვკითხე ახლა კუკუ ბასილიას.

— რა ვიცი, აბა, მე ისეთი დედინაცვალი მყავდა, სწავლაზე ფიქრიც კი არ შემეძლო, ბავშვობიდანვე საკონიულს დავსდევდი, ვინმეს რომ ეთქვა, ისწავლეო, იქნება სასწავლიც კი გამოვსულიყავი.

— აგერ, მუშტია კიდევ ნამდვილი მწყემსი, — ჩაერია ჩვენს საუბარში შოთა.

მუშტი ჩუმად იჯდა. მან, თავისი საქმე შოთავა თუ არა, ცეცხლის პირას მოიკალათა და, თვლებდა თუ ყურს გვიგდებდა, კაცი ვერ გაიგებდა, როგორც კი მისი სახელი ვახსენეთ, მართლა მუშტისხელა თავი აიღო და შემოგვხედა:

— ძალიანაც რომ არ მოგვწონდეს, სხვა რა გზა გვაქვს, — ცივად თქვა მან.

— რომ გქონდეს გზა, მწყემსობას თუ მიატოვებდიო? — შენ ამას გეკითხებიან, — დამხმარა კუკუ ბასილია.

— არ ვიცი, ბავშვობიდანვე რატომღაც მწყემსობა ავირჩიე, მამაჩემი სულ იმას მეხვეწებოდა, ისწავლე, ბიჭო, ისწავლეო,

მე კი სწავლა არ მინდოდა, მეორე კლასიდან ვარ გამოსული — ღიმილით მეუბნება მუშტი, თითონაც ხვდება, რომ ასლა იშვიათია ასეთი „უსწავლელი“ ადამიანი და ამიტომ ეცინება — ბავშვობიდანვე თხებს დავსდევდი, მამაჩემი მწყემსი იყო და მეც მის კვალს მივყევი, თუმცა მამაჩემს სულით და გულით უნდოდა, ნასწავლი კაცი გამოვსულიყავი.

შოთამ ელარჯს დაუწყო ჩაზელვა გაგანია ცეცხლზე ისე, რომ კარდალა არ ჩამოუხსნია, დიდხანს ზელდა, შემდეგ ჩამოხსნა, ნაკვერცხლებზე და მუგუზლებზე შემოდგა, ახლა ასე განაგრძო საქმე; ბოლოს ყველი და ღომი ისე აიზილა ერთმანეთში, ისე იწელებოდა ელარჯი, სუთხეც კი დაასვია.

სონჩაზე გადმოღებაში და დაჭრაში იროდი შეეშველა, ცეცხლის პირას, დაბალ ტაბაკზე დავიდგით ცხელი ელარჯი და შევექეცით. მწყემსები მადიანად ილუკებოდნენ, ცხელმა ელარჯმა ერთბაშად ყველა დაგვამუნჯა, სინუმე ჩამოწვა კარავში. გარეთ, სიბნელეში, სადღაც, ერთი ძალი ყეფდა.

სერობა რომ დავამთავრეთ, მუშტი და კოკი წამოდგნენ და წასვლა დააპირეს. ჩვენ მეზობელ კარავში დავიძინებთ, თორემ ყველანი აქ ვერ დავეტევიით. თავიანთი საწოლი ჩვენ დავვითმეს და ღამეს მისცეს თავი. მე მათ გარეთ გავყევი და ცას შევხედე. კუნაპეტი ღამე იყო.

— ამ საღამოს იწვიმებს, — მითხრა სიბნელეში მუშტიმ, კოკიმ ღამე მშვიდობისაო, მომაძახა და წავიდნენ. მე მაშინვე შევბრუნდი კარავში. მწყემსები დასაძინებლად ემზადებოდნენ.

მეც ჩემი წილი საწოლი „მომიზომეს“, ნაბადიც მარგუნეს და ძილი ნებისა მისურვეს. ნაბადი კარგად შემოვიხვიე და გავიტრუნე. ასეთ „ლოგინში“ ძილი, რასაკვირველია, გამიჭირდა, მაგრამ არ შევიმჩნიე, შოთა გულალმა დაწვა, ნაბადი გადაიფარა და, თავი დადო თუ არა, ნელი ფშვინვა ამოუშვა.

მე დიდხანს ვფიქრობდი, მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გავატარე, ვეკამათებოდი ფერმის გამგეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რაიონის ხელმძღვანელებს. ჩვენს საქონელზე დარდი მაწუხებდა. სოფელი სხვა არაფერია, თუ არა ვაზი და საქონელი, წყალი და ჰაერი, მცენარე და ფრინველი,

მართალია, სამეგრელოს რაიონებს საძოვრები არა აქვს, მე-საქონლეობის განვითარებისათვის არ არის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ ეს პირობები ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ. საძოვრებიც უნდა გამოვნახოთ და საკვებიც სამყოფი უნდა დავამზადოთ. ჩვენი ცხვარ-ძროსა გადაშენებისა და გადაგვარების ღირსი არ არის.

მწყემსებთან საუბარი იმედს მაძლევდა; კარავში ჩემს გვერდით ნამდვილი მწყემსები იწვნენ, სისხლით და ხორციით, „მეორინჯე ხალხი“, როგორც თვითონ ეძახდნენ თავიანთ თავს. ასეთი ადამიანები არც სოფელს მიატოვებენ, არც ვაზს მოაკლებენ ხელს და არც საქონელს. ამას კი უბრალოდ სამშობლოს სიყვარული, საქართველოს სიყვარული ჰქვია.

კერაზე ცეცხლი ჩაქრა. კარავში სიბნელე ჩამოწვა, ყველას დაეძინა. საქონელი, ალბათ, ახლა ქართასთან ასლოს იდგა, ან შიგ ქართაში იყო შესული. ასეთ ბნელ ღამეში ნადირის შიშით კარვის მიდამოებს არ გასცილდებოდა. ხანდა-ხან კარავში ჯადულიას ყეფა შემოიჭრებოდა. მე ჩემთვის ვბუტბუტებდი მწყემსების ძველისძველ სალოცავს „გალენიში ორთავ, დიდებულო და სახელიანო! შენ დაიფარე და დაიცავი ჩემი საქონელი, შენ მომიშენე და მომიმრავლე, მოუსარშავ-შეუმწვარის მჭამელს (იგულისხმება მგელი, მის სახელს ტაბუ ადევს) პირი აუკარი და კრიჭა შეუკარი“.

ვეხვეწებოდი ჯუმას, გალენიში ორთას, ჟინიში ორთას, ყველა ცნობილსა და უცნობ ღმერთს ჩვენი საქონლის, ქართული ცხვარ-ძროხის მოშენებას, მომრავლებას და დღეგრძელობას.

ასხის მთაზე კუნაპეტი ღამე იწვა, ჩვენს კარავს და საქონელს ყურადღებით დარაჯობდა ჯადულია, ჟამიდან ჟამზე მთელს ზენიაქვათაში მხოლოდ მისი ყეფა გაისმოდა.

გენაცვა, შავო კამეჩო,  
ნიკორა ზაქის დედაო...

ყველაზე ძვირფასს, რაც გაგვანია — საქართველოს, ქართველს, ქართლს, მეგრულ ქართის (თბილისი), მეცნიერები საქონლის სადგომს, შემოზღუდულ და შემოღობილ ადგილს, ქართას უკავშირებენ, ხოლო კამბეზოვანი, ოძრხე, ლანჩხუთი, ქართლი, უამრავი ცხენის ჭალა, ოხოჯე (ხარის საძოვარი ადგილი) კამბეჩის ვაკე და საღორია ნახევარი საქართველოა. ეს შემთხვევითი არ არის — ქართველ კაცს შვილივით უყვარდა საქონელი: ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენი, კამეჩი, თხა. ერთ დროს მათთან ერთად ერთ ჭერქვეშაც კი ცხოვრობდა: ბავშვები ხბოებთან, კრავებთან და თიკნებთან ერთად იზრდებოდნენ, ბაღლობიდანვე თან დაჰყვებოდნენ მათი სიყვარული.

თუ ერთხელ მაინც თვალს გადავაგვლებთ, ქართულ, ურარტულ, ასურულ, ბერძნულ და სხვა ისტორიულ წყაროებს, არქეოლოგიურ მასალებს, ქართველი კაცის მწარე ისტორიაში იმთავიდანვე ნათლად გამოჩნდება ძველი კოლხური რქებდაგრესილი ცხვარი. ახლა თითქოს საეჭვოა დასავლეთ საქართველოში ცხვრის დიდი კულტურის არსებობა. დღეს ცხვარი დასავლეთ საქართველოს რაიონებში თითქმის აღარ არის, მაგრამ ისტორიულად ცხვარი კოლხეთის დაბლობებში აურაცხელი ყოფილა. ხოლო ოქროსმატყლიანი ცხვრის ტყავისთვის რა ამბავიც დატრიალდა არესის ჭალაში, მთელმა ქვეყანამ ზღაპრად იცის.

ძველი კოლხური ძვირფასმატყლიანი, კუდიანი ცხვარი კარგა ხანია გადაშენდა და ახლა არც არავის ახსოვს მისი სახსენებელი.

ხარი ქართველი გლეხკაცის მარჩენალი, მისი მუდმივი თანამგზავრი, მეგობარი და მარჯვენა ხელი გახლდათ. ხარო, ხარი ვინ დაგარქვა, ხარო, სახე მშვენიერო, — ეაღერსებოდა, ესიყვარულებოდა ხარს გუთნისდედა. ხარი არა მარ-

ტო გამწევი ძალა იყო, წმინდა ცხოველადაც ითვლებოდა. საახალწლოდ გლესკაცი ხარის რქებზე სანთლებს დაანთებდა, მორთავდა, მოკაზმავდა და ჯალაბობას დარბაზში შეუყვანდა. ხოლო ილორის წმინდა გიორგის ეკლესიას, ხალხის რწმენით, ყოველ აღდგომას ციდან მოვლენილი ხარი უნდა სწვეოდა.

ნახევრად გაღმერთებული ქართული წითელი ხარიც აღარსადაა, ტრაქტორმა და მანქანამ გააძევა სოფლიდან.

ერთმა გლესკაცმა გულისტკივილით მიიხრა, ხარის ყოლის ნებართვა ვთხოვე თავმიჯდომარეს, მაგრამ უარით გამომისტუმრათ. რატომ გითხრა უარი-მეთქი, — დავინტერესდი, — კოლმეურნეობას ხარი არ სჭირდება, გამწევ ძალას კი კერძო მესაკუთრეს ხელში ვერ ჩავუვდებთო. ვინც ეს მითხრაო, — ქირქილებდა მოხუცი, — იმას, სამი ვოლგა აქვს, ერთი სახელმწიფოსი, ერთი საკუთარი და ერთიც შვილის სახელზე გაფორმებულიო...

ასეა თუ ისე, ხარიც აღარ არის ჩვენს სოფლებში. ხარი დრომ იმსხვერპლა.

„ვოლგებმა“ და „მოსკვიჩებმა“ გააძევეს სოფლიდან ქართველი კაცის კიდევ ერთი დიდი მეგობარი — ცხენი.

ამასწინათ ბანძის ბაზრობაზე ცხენის ფასი ვიკითხე — 150 მანეთი დამიფასეს. უფრო იაფადაც იშოვის, თურმე, კაცი.

ცხენიც არავის უნდა, ცხენიც აღარ არის ჩვენს სოფლებში. ცხვარი, თხა, ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი სოფელს ალამაზებდა, ამრავალფეროვნებდა.

დასავლეთ საქართველოს სოფლებში ამ ცხოველებს ახლა იშვიათად შეხვდებით, გამწევი მუშა-პირუტყვის ადგილი ტრაქტორებმა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებმა დაიკავეს.

სოფლის მექანიზებამ სიუხვე და სიკეთე მოუტანა კოლმეურნეს. ეს ახლა დღესავით ნათელია ყველასათვის. მაგრამ საკითხავია, რაკი მიწის სახნავად ტრაქტორი გვაქვს, ხარი აღარ გვჭირდება? რაკი სოფლის შარაზე „ვოლგა“ დაგვიდის, ცხენი გავაძევთ? ღორისა და ძროხის გარდა სხვა პირუტყვი აღარ დავიყენოთ და გავაღარიბოთ სოფელი?

კარგი მეურნე, რა თქმა უნდა, ასე არ მოიქცევა, სოფლიდან არც ხარს გააძევებს, არც ცხენს, არც ვირს, მით უფრო, თხას, ცხვარსა და კამეჩს, ხარი მიწის ისეთ ნაკვეთს მოგისწავთ, საცა ტრაქტორი ვერ მიუდგება, წისქვილში „ვოლგით“ ვერ წახვალთ, ცხენით, ან ვირით უნდა წაიღოთ საფქვავი. საქონლისთვის მოთიბულ ბალახს, ან ჩალას ჭალიდან „ვოლგით“ ვერ წამოიღებთ, ორთვალა ან ურემი დაგჭირდებათ, კამეჩის მაწონს ძროხისა ვერ შეედრება, ხოლო თიქნისა ან ბატკნის მწვადის აუგი მგონი აქამდე არავის უთქვამს.

მაშ, რატომ ვაძეგებთ სოფლიდან პირუტყვს?

რატომღაც დასავლეთ საქართველოს ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაბატონებულია აზრი — მესაქონლეობა მომგებიანი არ არის, ჩვენ საქონელს ვერ მოვუვლით, საძოვრები არა გვაქვსო.

სიემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ანაკლიის მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა წლების განმავლობაში გეგმებს ვერ ასრულებდა, თურმე ერთ-ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა ყოფილა ზუგდიდის რაიონში.

კამეჩის საძოვრების მეტი რა არის შავი ზღვისპირეთში?..

ცნობილია, რომ კამეჩი გვაძლევს იშვიათ რძეს, კამეჩის რძე ორჯერ უკეთესია ძროხისაზე, კამეჩის ყველი ათი მანეთი ღირს ზუგდიდის ბაზარში, კამეჩის ხორცი — შვიდი მანეთი თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში. ასე, თვალსა და ხელს შუა ოქროდ გადაგვექცა ყოველი წვეთი რძე, ყოველი გრამი ხორცი და ამ დროს კამეჩი წამგებიანი რატომ უნდა იყოს? კამეჩის ძირითადი საკვები ხომ ბალახია, ხოლო რაიონის ჭალებში ერთი მწყემსი მთელ ჯოგს ჰყოფნის მომვლელად. მაშ, რატომაა კამეჩი წამგებიანი?..

მესაქონლეობაში საჭიროა ყოველდღიური, გულდინჯვი, მოთმინებითი მუშაობა. კამპანიურობით, მოჩვენებითი გეგმის შესრულებით ფონს ვერ გავალთ. მეძროხეობასა და მეკამეჩეობაში შედეგს წლების შემდეგ უნდა ველოდოთ. ლადინი კი, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენს სამეურნეო მუშაკს არ უნდა, ოღონდ გეგმა შეასრულოს და მზად არის, მთელი ჯოგი ერთ დღეს დასოცოს, „ხვალ ვინ იცის რა იქნებას“

პრინციპით მუშაობს. ხომ შეიძლება ხვალ ახალი თავმჯდომარე მოვიდეს, ან ახალი რაიკომის მდივანი, გეგმა დღეს უნდა შესრულდეს, სულერთია, რა გზითო, — ასე ფიქრობს.

ზუგდიდში ისაკ ქორთუამ მირჩია, თუ ჩვენს საქონელზე რაიმეს დაწერას აპირებ, ანაკლიის მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა უსათუოდ უნდა ნახო. რომანტიულ ფერებში დაძინება ანაკლიელი მწყემსების ცხოვრება, მეც ფრთა შემესხა, რაკი მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა ჩამოუყალიბებიათ, კამენი მაინც — აღარ გადაშენდება-მეთქი, — ვიფიქრე.

თვალწინ ტყით დაბურული ჭურჩის ვრცელი ჭაობიანი მიწებები გადამეშალა, ხაიასა და ისლის წარმტაცი ეწერები აშრიალდა, კამენის ჯოგების ხშიანობა და ქართველი გლეხკაცის ძველისძველი სევდიანი ურმული „შენ ჩემო შავო კამეჩოც“ კი ჩამესმა ყურში. საამო, ჟრუნტლის მომგვრელ მშობლიურ ბურუსში გაეხვია ანაკლია და დიდი იმედით ჩავეჯექი ავტობუსში.

ჩავედი თუ არა ანაკლიაში, სიზმარივით გაქრა ყოველივე რომანტიული და ამალღებული, ხელთ მწარე სინამდვილე შემრჩა.

პირველი, რამაც გულწრფელად შემაწუხა და შემაშფოთა, კამეჩების ავადობა გახლდათ, თერთმეტი სული ერთწლიანი ზაქი მკვდარი დამხვდა, ხოლო ამდენივე ავადმყოფობდა.

მეორე: მეურნეობას მიმდინარე წელს ექვსი თვის გეგმა ვერ შეუსრულებია, არც შარშან ჰქონიათ სახარბაილო მანვენებელი.

მესამე: თურმე მეურნეობაში კამეჩებს არ წველიან. ბატია, ზაქი, უჩინოდუ (ზაქზე მოზრდილი), ფურკამეჩი და ბელა ყველა ერთად ძოვს მიწოდორში ბალასს. ბატია ძუძუზე მიშვებული. ეს კამენის იაფი ხორცის მიღების ამერიკული წესი ყოფილა.

ყოველივე ამან ღრმად ჩამაფიქრა. რა დაემართა ზაქებს, რატომ დაისოცნენ? რატომ ვერ ასრულებს მეურნეობა წლების განმავლობაში გეგმებს? რას ნიშნავს კამენის რაღაც უარის თქმა?.. აქამდე კამეჩი თავისი ძვირფასი რძით იყო ცნობილი, თორემ კამენის ხორცს ქართველი კაცი არც ჭამ-

და. ეს რა ახალი მეთოდი დაუნერგავთ მეკამერობაში? — აი, კითხვები, რომლებიც ანაკლიაში ჩასვლისთანავე დამებადა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გაჭირდა.

მეურნეობის მთავარ ვეტექიმს ჟორა კიკაჩიშვილს ჩემთან საუბრის თავი არ ჰქონდა. ზაქების დახოცვის გამოსეშფოთებული და აწრიალებული იყო.

— კამერები მოწამლულს ჰგვანან, — ნაღვლიანად მითხრა მან, — შესაძლოა ყვაპუ იყოს, ჩვენს ენაზე პასტერელაში. თუ ყვაპუა, დავიღუბეთ, საშინელი გადამდები სენია. გამოკვლევით ყვაპუ არ დადასტურდა, ზუგდიდის ვეტბაქტოლბორატორიაში უკვე გამოიკვლიეს ჩვენს მიერ გამოგზავნილი მასალა მიკროსკოპულად, გამოიკვლიეს ბიოლოგიურადაც, — დაასნებოვნეს ზღვის გოჭები, — ყვაპუ არ აღმოჩნდა.

— მაინც რითი უნდა მოწამლულიყვნენ კამერები? — ვკითხე მე.

— დუსტი. ორი დღის წინ მელიორატორებმა თვითმფრინავით მოწამლეს ჭაობები. ამბობენ, ალბათ ზომაზე მეტი დუსტი ჩამოყარესო.

— ამის გამოკვლევა თუ შეიძლება?..

— შეიძლება, როგორ არა, თბილისში უნდა გავგზავნოთ კაცი ანალიზებისათვის, ჩვენს თავს არ ვენდობით...

ჟორას ახლა უცხო ადამიანი არ ეპიტნავება, მაგრამ ზრდილობისათვის თავს იკავებს, შეკითხვებზე მშვიდად მპასუხობს.

— სულ რამდენი სული კამერი გყავთ?

— წესით და რიგით ათას ორასი უნდა გვყავდეს. ამ საკოხებზე ესაუბრეთ დირექტორის მოადგილეს, ანზორ გვასალიას, ის უკვე მოვიდა, — მორიდებით მითხრა მან.

— დირექტორის მოადგილეს უსათუოდ ვნახავ, მაგრამ ჯერ საძოვრებზე უნდა წავიდე, მინდა ადგილზე ვნახო საქონელი და მწყემსები.

— წასვლა არ დაგჭირდებათ, ერთ საათში საქონელს აქ ჩამოვრეკავთ, მწყემსებიც ჩამოვლენ...

ვესაუბრე ანზორ გვასალიას, შეკითხვებზე დინჯად და აუჩქარებლად იძლევა პასუხს. მიჭირს მისი ნაამბობიდან რაიმე დასკვნის გამოტანა. კატეგორიულად, მტკიცედ არა-



ფერს ამბობს, სურს, უფრო ზოგადად ილაპარაკოს, მაგრამ ამის საშუალებას არ ვაძლევ, მე მაინტერესებს ექვსი თვის გეგმა შეასრულა თუ არა მიუღწეობამ, თუ ვერ შეასრულა, რატომ.

— ამ საკითხზე ესაუბრეთ ჩვენს მთავარ ბუღალტერს ალიოშა ესართიას, ყველა მონაცემს ის ჩაგაწერინებთ.

ალიოშა ესართიას კაბინეტში შევედით. ანზორმა მას ჩემი თავი გააცნო.

ალიოშასაც უჭირს ეულასდილი საუბარი. მე მეჩვენება, რომ ამ მიუღწეობაში რაღაც დიდი გასაჭირი აქვთ და არ ამხელენ.

— გინდათ პირდაპირ ვითხრათ, რაც გვაწუხებს? — მოულოდნელად, ალალმართალი, პატიოსანი კაცის თვალებით შემომხედა ალიოშა ესართიამ, ორი წელიწადია, რაც ჩვენი მიუღწეობა ახალი მეთოდით მუშაობს. ან ეს მეთოდი არ ვარგა, ან ჩვენ არ ვარგვივართ, სიმართლე ეს არის.

— მაინც, რას უწუნებთ ასალ მეთოდს, მითხარით უფრო ნათლად.

— იცით, რა, — მან საათს დასედა, — უკვე ჩამორეკავდნენ კამეჩებს, წამობრძანდით და საკუთარი თვალით ნახეთ ყველაფერი.

ჩვენ, მე, ალიოშა ესართია და ანზორ გვასალაია მიუღწეობის კანტორიდან გამოვედით, სოფლის ცენტრი გავიარეთ და ძველი კანტორის ეზოს მივადექით. გზად მიუღწეობის პარტორგანიზაციის მდივანი ლუღუნი ჭედიდა და მიუღწეობის სხვა თანამშრომლებიც შემოგვიერთდნენ. ძველ კანტორას საკმაოდ მოზრდილი ეზო ჰქონია, შიგ ათასამდე სული კამეჩი შეურეკავთ და ჟორა კიკაჩიშვილი თავისი თანამშრომლებით უჩვენოდ შესდგომია საქმეს.

— მწყემსებს — შოთა დანელიას, ვაჟა ბიგვაკას და ბრიგადირ ვაჟიკო სალიას ავადმყოფი ზაქები ჯოგიდან გამოკყავდათ და ცალკე აბამდნენ.

ჟორა კიკაჩიშვილმა, ვეტუბნის გამგემ, გურამ კერზაიამ და ვეტფერშალმა, აპოლონ შამათავამ წამლები მოიტანეს და მინდორში დაალაგეს.

ავადმყოფ ზაქებს ტარამიციანი, გლაუბერის მარილი, იხ-

ტიოლი და სხვა წამლები ზოგი კუნთში გაუკეთეს, ზოგიც ვენაში.

ეს იყო ძნელი და მძიმე სამუშაო, ნახევრად გაველურებული ერთწლიან და ორწლიან ბავშვებს მწყემსები მიესეოდნენ, კისერს უგრებდნენ, გაჭირვებით წამოაქცევდნენ, ზედ გადააჯდებოდნენ, ფეხებსა და თავს უჭერდნენ, ექიმები კი ვენაში წამლებს უშხაპუნებდნენ.

მე ჯოგის დათვალაიერებას შევუდექი. თითქმის გაველურებული ათასი კამეჩი, ერთად თავშეყრილი, ისიც ასეთ ვიწრო ქართაში, იშვიათი სანახავი იყო. ზღვასავით ღელავდა ჯოგი, ხან ერთ მხარეს მოაწყდებოდნენ, ხან მეორე მხარეს, გადათელეს, გადაჯეგეს ყველაფერი.

როცა თავიანთ საქმეს მორჩნენ, მწყემსები დავიმარტოხელე და ვესაუბრე.

— ოცდაათი წელიწადია მწყემსი ვარ, — მითხრა შოთა დანელიამ, — კამეჩის რძე და ყველია კარგი, ხორცი კი გაჭირვებისაა. აქამდე ასე ვიცოდით და მე დღესაც ამ აზრისა ვარ, ჯერჯერობით, — ეშმაკურად გაელიმა.

— ველური გაზრდა რას გულისხმობს? — შევეკითხე.

— ბატია ძუძუზე გვყავს მიშვებული, ფურთან ერთადაა სამოვარზე.

— თქვენ, მწყემსებს, რა გევალებათ.

— ჩვენ თითქმის ყოველდღე ვაკითხავთ, შევხედავთ რამე ხომ არ შეემთხვა საქონელს და შინ ვბრუნდებით, ჩვენ მათ არ ვაძოვებთ, ღამე შინა ვართ.

— ეს თქვენთვის კარგია.

— ჩვენთვის კარგია, მაგრამ საქონლისთვის, როგორც ჩანს, არ ვარგა. აი, ხომ ხედავთ, ადგილზე რომ ვყოფილიყავით, ამდენი საქონელი არ დაეცემოდა, დროზე მივიღებდით ზომებს.

— შეხედეთ, ორი ზაქი წოვს ერთ ფურსს — გავიკვირვე მე. შოთას ეს სულ არ გაკვირვებია.

— ორი კი არა, სამიც წოვს... — მშვიდად მეუბნება მწყემსი — ეს გახლავთ ის ახალი მეთოდი, ველური გაზრდა... ე, მესამეც მივიდა წელან ხომ ორი წოვდა, ახლა სამი წოვს.

გაოცებული, პირდაღებული შევყურებდი საცოდავ ფურ-

კამეჩს, რომელიც გააფთრებით ებრძოდა ძუძუზე მისეულ ზაქებს, როცა მათ შემოტევას ვეღარ გაუძლო, თავი მაღლა აიღო, ზეცას შებღავლა საწყალობლად — ნოეო და დაწვა.

— ასეა, დიდები ბატებს არ უშვებენ ძუძუსთან, თვისის წოვენ ფურებს, — მიხსნის შოთა, — დააკვირდით ჯოგს, ერთწლიანი, ორწლიანი ზაქები, კუროები და ბულები ჩასუქებულ-ჩაკურატებულები არიან, ფურკამეჩები და ბატიები კი გაძვალტყავებულები. ეს იმიტომ, რომ ძუძუს დიდი ზაქები და ბულები წოვენ. ფურკამეჩმა თავის ბატიას რაც რომ შეუნასოს, იძულებულია, დაწვეს და ვეღარ ძოვს.

— ნოეი — კვლავ შემომესმა საიდანღაც, ჯოგში შევედი და ფურ-კამეჩები თვალთ მოვძებნე. ახლა სხვა ფურს მისეოდნენ ზაქები.

— ნოეი.. — სულ მთლად გარკვევით გავიგონე და ყურს არ დავუჯერე.

ნოეი, ნოეო — აბღავლდნენ ერთად ფურკამეჩები, თითქოს მართლა ბიბლიურ ნოეს უხმობდნენ...

შემფოთებული გავეცალე ჯოგს და დაფიქრებულმა მართლ დავიწყე სეირნობა. როგორც იქნა, გონს მოვეგე, კვლავ დაგბრუნდი მწყემსებთან და წამოწყებული საუბარი განვაგრძე.

— აქამდე რატომ მიიყვანეთ საქმე?

— რა ვქნათ, გვიბრძანეს, მიუშვიო ბატები ძუძუზე, თავისით გაიზრდებიანო. ჩვენც მიუშვიოთ, — მითხრეს მათ.

— დიდი ზაქები უნდა მოაშოროთ და ცალკე გარეკოთ, — თავი ვერ შევიკავე და ვუსაყვედურე.

— მოვაშორეთ, განა არ მოვაშორეთ, — მშვიდად ამიხსნეს მწყემსებმა.

— მოვაშორეთ და სხვაგან გავრეკეთ, მაგრამ ჯოგს თავისი კანონები აქვს, ხელად მოძებნეს ერთმანეთი, როგორც დედამდინარეს ნაკადულები, მთავარ ჯოგს ჯგუფ-ჯგუფად უერთდებიან კამეჩები. ტრიალ მინდორში ზაქებს ვინ დაიჭერს!..

— მაშ, თქვენის აზრით, გამოსავალი არ არის?..

— გამოსავალი არის, როგორ არა, მეურნეობამ უნდა შეიცვალოს პროფილი, ისევე ძველ გზას უნდა დავადგეთ, —

მერბევეობას დავუბრუნდეთ. მეურნეობის ხელმძღვანელობა იბრძვის ამისათვის, ტრესტშიც იციან ამის თაობაზე, დიდი ხანია ველოდებით კომისიას თბილისიდან.

შარავზაზე ავტომანქანა გაჩერდა.

— რაიკომის მდივანია — თქვა ანზორ გვასალიამ და შესახვედრად გაემართა. პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანს ივლიანე თოდუას გაეგო ზაქების დახოცვის ამბავი და რამდენიმე კაცის თანხლებით შემოვიდა კანტორის ეზოში. რაიკომის მდივანმა ავადმყოფი ზაქები დაათვალიერა. კიკაჩიეშივილმა და გვასალიამ აუხსნეს, რაც მოხდა და როგორ მოხდა.

— კოლოს რაც კლავს, დიდი დოზით ის კამენსაც მოკლავს, — თქვა ვილცამ რაიკომის მდივნის დასარწმუნებლად.

— ეჰ, ეს ყვაპუა, — მითხრა ხმადაბლა ერთმა მწყემსმა.

მდივანი ჯოგში შევიდა და სიცხისაგან გალექილ, ენაგადმოგდებულ ბატყას თავზე დაადგა. ბატყა მოჟღვარებული ეგდო მინდორში.

— ესეც ავად არის? — იკითხა მდივანმა.

— არა, ეს ნამგზავრია, სიცხე აწუხებს, — მიუგის მწყემსებმა.

— შეხედეთ, ორი ზაქი წოვს ერთ კამენს, — ვთქვი მე და ყველამ იქითკენ მიიხედა... ანზორ გვასალია რაიკომის მდივანს წინ გაუძღვა და იმ ფურკამეჩთან მიიყვანა, რომელსაც ორი მოზრდილი ზაქი წოვდა ძუძუს.

— ა, ასეა, ბატონო, — შესწივლა დირექტორის მოადგილემ რაიკომის მდივანს.

გაოცებული ივლიანე თოდუა კარგა ხანს უყურებდა ამ ამბავს.

— ამ ღამეს ყველანი აქ გავათენებთ. — უთხრა მწყემსებს ვაჟიკო სალიამ.

— რეზოც მოვიდა, — თქვა შოთამ და ახალგაზრდა მწყემსი რევაზ ბალოიანი გამაცნო. — ეს ერთი სომეხი გვყავს აქაურ მწყემსებს, არა უშავს, კარგი ბიჭია.

— ახლა უკვე თხსნი ჯართ, — შეიძლება გივიც მოვიდეს, — უთხრა მწყემსებს ვაჟიკო სალიამ.

— გივი ვინ არის? — ვიკითხე მე.

— ჩვენი მწყემსია, გივი ლავვილავა, გვეშინია, კამენები ღამე ვერ დავამაგროთ. კანტორის უკან ციტრუსების ბაღებია. საკმარისია, ერთი გადავიდეს ღობის გადაღმა, მტრისას, მთელი ჯოგი უკან მიყვება...

— ავადმყოფები ხომ ამოარჩიეთ, რატომ აჩერებთ კამენებს...

— ხვალ უნდა ავუცრათ, — მითხრა ჟორა კიკაჩიშვილმა. ამათი თავმოყრა იცით, რა ძნელია, ერთ ღამეს გავიჭირებთ და საქმეს წინ წავიგდებთ.

— არ აგიცრიათ?..

— როგორ არა, მაგრამ მეორეჯერაც უნდა ავუცრათ... ეს შემთხვევა რომ არა, კამენები მაინც უნდა ჩამოგვერეკა ასაცრელად.

მე გაფაციცებით ვიწერ უბის წიგნაკში მწყემსების ნაამბობს. რეზო ბალოიანი გვერდით მომიჯდა და ინტერესით ადევნებს თვალს ჩემს საქმიანობას.

— ყოფილხართ სომხეთში? — ვკითხე რეზოს.

— როგორ არა, — რეზო ცოტა ენას უკიდებს.

— აქ გირჩევნიათ, თუ იქ? — გავეხუმრე.

რეზომ ჩაიციინა და თავი ჩაღუნა.

— თქვი ბიჭო, რამე, რა კაპუ ჩაგივარდა?.. — უთხრა მითამ.

— კაპუ? რა არის კაპუ?.. — დავინტერესდი.

მწყემსებმა, რა თქმა უნდა, მთელი სიღრმე-სიგანით ვერ ამიხსნეს, რა იყო კაპუ, კაპუ და ყვაპუ, ალბათ ერთიდაიგივეა, ხოლო ორივე ამ სიტყვის დედა კაპუნიაა, ძველი ქართული კერპი კაპუნია. იმ ადგილას, საცა ახლა მარტვილის მონასტერია, ქრისტიანობამდე ეს კერპი მდგარა, სასტიკი ღვთაება — კაპუნია, რომელსაც ძველი კოლხები ბავშვებსაც კი სწირავდნენ. კაპუნიას მიერ განწირული საქონელი ავადდებოდა კაპუთი ან ყვაპუთი, ხოლო როცა ადამიანს ენა ჩაუვარდებოდა, — კაპუ ჩაუვარდაო (კაპუქ ქიიტუოლუ) ღღესაც ამბობდნენ.

— ყვაპუ, კაპუ და კაპუნია ისეთივე ძველი სიტყვებია, როგორც შავი ზღვა, ენგური, ანაკლია და დიხაგუძუბა. 1935-1936 წლების დიხაგუძუბას გათხრებმა დაამტკიცეს ანაკლიის მიწის ძველთაძველობა.

ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან ანთია კერა ანაკლიაში, და ენგურის პირას ძოვს კამეჩი.

მემდგომ საუკუნეებში, საქართველოს ბედუჯულმართობის ჟამს, ანაკლიიდან მიჰყავდათ თურმე ქართველი ტყვე ბავშვები თურქეთისა და სპარსეთის ბაზრებში გასაყიდად. გამწარებულ ქართველ დედებს კვილით ცის ნატეხი ძირს ჩამოჰქონდათ, ანარკია (კვილით აკლებული) იყო ეს ადგილი. მეგრელები ანაკლიას დღესაც იმ ძველ სახელს ანარკიას ეძახიან.

ფიქრებში შორს გამიტაცეს; აქ ყველაფერს ძველი საქართველოს იერი გადაჰკრავს, შავ ზღვას, ენგურს, ანაკლიის მიწას, ამ კამეჩებს, მათ ავადობას — ყვაპუს, მწყემსებსაც და მათ მეტყველებასაც კი.

ღიახ, კამეჩს მარტო სამეურნეო მნიშვნელობა როდი აქვს, თორემ მას ბოლოს და ბოლოს მოტოციკლეტით შევცვლიდით და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ქართული ცხვარძროხა, ხარ-კამეჩი განუყოფელია ქართული ყოფისაგან, ქართული სოფლისაგან. ენგურისა და ხობისწყლის ჭალებს კამეჩი ისე ამშვენებს, როგორც ალაზნისა და ივრის ჭალებს. ალაზნისპირეთის კამეჩებს კი ანაკლიელი მწყემსები დიდი მოწიწებითა და სიყვარულით ივონებენ.

— იმათი კამეჩები სულ სხვაა, — მიმტკიცებს შოთა დანელია, — იმათი ფურკამეჩები 600—700 კილოიანებია, ლამაზებია, პირდაპირ მზეთუნახავია ყოველი მათგანი.

კამეჩის მზეთუნახავობა ალბათ ღიმილისმომგვრელია, მაგრამ შოთამ თავისი აღტაცების გამოსახატავად სხვა სიტყვა ვერ მონახა და კამეჩი მზეთუნახავს შეადარა. მე მომეწონა მისი გულწრფელობა. ის ნამდვილი მწყემსია, ძროხა და კამეჩი გულს უხარებს. კარგად მოვლილი საქონელი მისთვის მზეთუნახავია.

მწყემსებმა და ვეტექიმმა ის ღამე თეთრად გაათენეს, საქონელს დარაჯობდნენ.

თითქოს ანაკლიაში ყველა პატრიოტია, თითქოს ყველას შესტიკვა გული ქართულ კამეჩსა თუ ძროხაზე, თითქოს პატრიოსნად ემსახურებიან საქონელს, თითქოს უყვართ კიდეც კამეჩი, თითქოს მონდომებასა და ენერგიას არ ზოგავენ შემოსავლიანი, ბარაქიანი მეკამაჩეობის მეურნეობის გასამართავად.

როგორც ჩანს, ეს „თითქოს“ საკმარისი არ არის.

მე ვესაუბრე ზუგდიდის რაიონის მესვეურებს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროშიც ვიყავი. მათ საკმაოდ დამაჯერებლად ამიხსნეს, თუ რატომ გადააკეთეს ანაკლიის მერძეული მეკამეჩეობის მეურნეობა მესორცეობის საბჭოთა მეურნეობად: ანაკლიის მეურნეობა წლების განმავლობაში ჩამორჩებოდაო, მითხრეს, რაღაც ხომ უნდა გველონა, მოვიწვიეთ სპეციალისტები, ვითათბირეთ, შევქმენით ავტორიტეტული კომისია, საფუძვლიანად შევისწავლეთ მეურნეობის ეკონომიკა, მისი ჩამორჩენის მიზეზები, მეურნეობას პროფილი შევუცვალეთ და კამეჩები გავუშვით ფურ-ზაქიანად ერთად. ჩვენი ვარაუდი ასეთი იყო, — იაფად დაგვემზადებინა ხორცი, უარი გვეთქვა რძეზე. ამ მეთოდით მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყანაში აქვთ გამართული კამეჩის ფერმები. ეს ქართველებისთვისაც არ არის უცხო. ჭალადიდელი გლეხი გაზაფხულზე რომ გადადენიდა კამეჩებს, გვიან შემოდგომამდე არ მოიკითხავდა. ჩვენც ამას დავეყრდენით, გვეგონა, უკეთეს შედეგს მივიღებდით. ეს გავაკეთეთ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ კამეჩიც შევკენარჩუნებინა და მეურნეობაც როგორმე რენტაბელური გავკვხადაო.

განზრახვა უდაოდ ნათელი და მამულიშვილურია, მაგრამ ზოგი რამ მაინც დასაზუსტებელი და გასარკვევია.

მართალია, ჭალადიდელ გლეხს კამეჩები ზაფხულსა და შემოდგომაზე ტყეში ჰყავდა, არა მარტო კამეჩები, ძველ საქართველოში პირუტყვი უმეტესად ტყეში, ჭალაში, მინდორში ძოვდა ბალახს, ბევრგან დღესაც მიერეკებიან ტყეში საქონელს და მას თვეში ერთხელ თუ მიაკითხავენ, მაგრამ მეწველ საქონელს კი არა, უშობელს, მოზვერს, ცხენს... მეწველი საქონელი არასოდეს არავის გაურეკავს უპატრონოდ. გინც ანა-ბანა იცის, საქონლისა, ადვილად მისვდება, რომ

ანაკლიის მეურნეობას კიდევაც რომ დაუბრუნდეს მერქეულის პროფილი, ფურ-კამეჩები უკვე აღარ მოიწველიან, საქონელს თუ არ მოწველი, რძეს იმდენს ჩაუშვებს ცურში, რამდენიც მის ბატიას, ან ხბოს ეყოფა. გაფუჭდნენ ჩვენი ფურკამეჩებით — ტყუილად კი არ ჩივიან ანაკლიელი მწყემსები.

მეწველ საქონელს ჩვენი გლეხკაცი თვალისჩინივით უფროსხილდებოდა, ბალახს ურჩევდა, ქატოს თბილი წყლით უნელეზდა, ბაგას ხშირ-ხშირად უსუფთავებდა; მით უფრო კამეჩს, კამეჩი ხომ უფრო ფაქიზი ცხოველია, ვიდრე პროხა ან ხარი. თუ კახელ გლეხ-კაცს დაუუჯერებთ, „კამეჩი ძალიანია, მაგრამ სუსტი, მოსიცხარი და თანაც სიცივის ძნელად ამტანი. ზამთარში ხარისა არ გვეშინიან, კამეჩს კი უნდა გადავფართოთ ან ფარდაგი, ან ტომარა. კამეჩი ხართან შედარებით, სხვა მხრივაც ძნელი მოსავლელია. მაგალითად, მას ზამთრობით აუცილებლად ესაჭიროება თბილი ბოსელი, საკვებად მუდმივად თივა და რომი უნდა ჰქონდეს, მაშინ როცა ხარების წაყვანა ნეკერზედაც შეიძლება. გარდა ამისა, კამეჩს სისტემატური ვარცხნა და ცხიმის, ქონის წასმა უნდა (ლორის, ქონი, მანქანის ზეთი) რომ მკბენარი არ გაუჩნდეს“.

ამგვარი ყურადღებით გარემოსილი კამეჩი, ბუნებრივია, მართლაც დაემგვანება მზეთუნახავს. არ გადაიჩეხება ხრამში, არ ჩაიხრჩობა ჭაობში, არ დაემართება ყვაპუ, არ გაფუჭდება და არ გაველურდება.

დასასრულ, მივმართოთ ციფრებსაც. მე ვესაუბრე ზუგდიდის საინფორმაციო გამოთვლითი სადგურის ეკონომისტს ხუტა ფარცვანიას. აი, რა ცნობები მომცა მან: ანაკლიის მეკამეჩეობის მეურნეობაში მის გადაკეთებამდე, 1972 წლის პირველი იანვრისათვის, ერთი წლის განმავლობაში მოუწველიათ 309,2 ცენტნერი რძე, დაუმზადებიათ 934 ცენტნერი ხორცი, გადაკეთების შემდეგ 1973 წ. პირველი იანვრისათვის 940 ცენტნერი ხორცი დაუმზადებიათ, ეს არის და ეს. გეგმა რეალიზაციით ითვალისწინებდა 1615 ცენტნერს, ვალდებულებით 1240 ცენტნერს. როგორც ვხედავთ, ვერც ერთი შე-



უსრულებიათ და ვერც მეორე, ხოლო 309,2 ტონა ძვირფასი კამეჩის რძე ზაქებსა და ბულებს მიუერთმევიათ.

ერთადერთი გეგმა, რასაც თურმე გაჭირვებით ასრულებს მეურნეობა, ეს არის სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა. აქვე მოვიტანთ ერთ ციფრსაც და ნათელი გახდება ამ გეგმის შესრულების არსი; სულ მეურნეობას ჰყავდა 1186 სული კამეჩი, 1973 წ. პირველი ივლისისათვის ჰყავს 1116 სული, უნდა ჰყავდეს — 1200.

ყოველივე ამის შემდეგ რომანტიკულ ფერებში აღარ მესახება ანაკლია. თვალწინ მიდგას ვიწრო ქართაში მოხრილ კამეჩების ჯოგი, დახოცილი და ავადმყოფი ბატები, ცურთან მისეული ზაქები და ფურკამეჩების შემზარავი ხმაინობა ჩამესმის — ნოეე! თითქოს მართლა ნოეს უსმობენ საშველადო. იმედი კი მაინც მრჩება, რომ ქართული კამეჩი არ გადაშენდება. 1116 სული კამეჩი ცოტა არ არის, თუკი ამას მეურნეობის მუშაკების მონდომება, რაიონის ხელმძღვანელების ნამდვილი ხელმძღვანელობა, საბჭოთა მეურნეობების, სამინისტროს ყურადღებაც დაემატება, ანაკლიაში მეკამეჩეობა ფესზე დადგება, საქონელს შნო და ლაზათი მიეცემა, ხალხს კამეჩის რძეც უხვად ექნება და ხორციც.

## ჩემი ქართულის მასწავლებელი

იოსებ ჯიქია გახლდათ ჩემი ქართულის მასწავლებელი. ასეთ მშვიდ დასაწყისს თხრობისას ის მომიწონებდა. უნდა შევთხზა იდეალური პაწია სამყარო მის გარშემო. უნდა ვაქო, რაღა თქმა უნდა, ვამტკიცო, რომ ის ერთადერთი იყო, განუმეორებელი, ყველაზე უკეთესი. ასე ვწერთ და ამ გზას, ალბათ, მეც ვერ ავცდები, მაგრამ ამას კი არ მომიწონებდა. არ იყო ხოტბის ტრფიალი. ვერ იტანდა მეხოტბეებსაც. სულიერი კაცი იყო, უსახელო სოფლის მასწავლებელი, ტრაგიკულად გამქრალი პროვინციულ არაფრობაში.

— ჩემო კარგებო, მშვენიერებო, რატომ არ მოგაქვთ ჩაის კაკალი..

ასე იწყებდა გაკვეთილს.

ჟურნალს მაგიდაზე დაასეთქებდა, შეყოვნდებოდა წამით, სულს მოიბრუნებდა, თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნაო, ყოველდღიური წვრილმანებისაგან განთავისუფლდებოდა, თვალებში შემოქმედის შუქი ჩაუდგებოდა.

— ჩაის კაკალი — იტყოდა ღიმილნარევი ირონიით და იწყებოდა გაკვეთილი კი არა, ჩვენს თვალწინ თხზვა, შექმნა, შემოქმედება...

ვიცოდით რატომაც თქვა „ჩაის კაკალი“, მაინც ყოველ დღე ამბობდა, ყოველ დღე შეგვახსენებდა.

აქაურები, მარტვილისა და მისი შემოგარენის, ძველი საჭყონდიდოს მკვიდრნი, კაკლის მიმსგავსებით ბევრს რასმეს არაკაკალს კაკალს ვეძახით. „ქათმებს კაკალი დაუყარე“ — გაიგონებთ აქ, ხალხში. „მომეცი ერთი-ორი კაკალი“ — იგულისხმება: ცოტა მომეცი. „ქომიკაკალისაც“ — ამბობენ, ე. ი. ერთი-ორი მარცვალი მიწილადე — მომიკაკალეო. ყოველნაირი მარცვალი კაკალია: სიმინდის კაკალი, ლობიოს კაკალი, მუხუდოს კაკალი, ჯამბაკალი (ხის კაკალი).

კალი.) — თუთა, ზაის კაკალი და ა. შ. მრგვალ კამფეტსაც კი კაკალს დაუძახებს სამეგრელოში გაზრდილი ყმაწვილი. მხოლოდ კაკალს არ ჰქვია კაკალი. ხალხი მას სხვა სიტყვას „ნების“ (ნიგოზს) ეძახის.

ეს ჭეშმარიტება და ამდაგვარი უამრავი სხვა საკვირველებანი დიდი ქართული ენის ტოტებისა, ყრმას სწორედ, სკოლის მერხზე დედა-ენასთან ერთად, უნდა შეესწავლა, ასე ფიქრობდა იოსებ მასწავლებელი, თორემო, ამბობდა... და მაგალითი მოჰყავდა: თურმე სამეგრელოს სოფლის სკოლა და შემდეგ უნივერსიტეტდამთავრებული მათემატიკოსი მასწავლებლად გაუმწესებიათ ქართლის რომელიღაც სოფელში. მასწავლებელს ერთერთ გაკვეთილზე ამოცანის ზეპირად შეთხზვა დასჭირვებია, შეუთხზავს ასეთი ამოცანა: დიასახლისმა დილით ქათმებს კაკალი დაუყარა, ოცდაჩვიდმეტი ქათამი კაკალზე არ მოვიდა, ოცდაცამეტი მოვიდა. დიასახლისს სულ რამდენი ქათამი ჰყოლიაო, რომ უკითხავს, ბავშვებს ფხუკუნ-ფხუკუნი აუტეხიათ, აშლილან და არეულან. მასწავლებელი ვერ მიმხვდარა ფორიაქის მიზეზს.

— მასწ, ქათმები კაკლებს ქვებით ტეხავდნენ თუ კაკლის სატეხითო...

ბანძასა და მესტიაში გაზრდილმა ყმაწვილმა უფრო ბეჯითად, უფრო გულდასმით უნდა შეისწავლოს დიდი ქართული ენა, ვიდრე ქართლის ან კახეთის მკვიდრმაო, — გვეტყოდა ხოლმე იოსებ ჯიქია და გვამხნევებდა, როცა მსგავს შეცდომებს გვიპოვიდა.

გალაკტიონ ტაბიძეს ჰგავდა თვალ-ტანადობით, ჩაცმულობით, მკერდზე ორდენით, მიხვრა-მოხვრაც, დიდი ჩანთის ტარებაც თითქოს მისგან გადაეღო, წვერი არ ჰქონდა მხოლოდ, ტერენტი გრანელის პოეზია უყვარდა. იმათი ორდენის წვერი თუ იყო, — იმათებური სული ტრიალებდა მის ირგვლივ და ბედიც იმათებური, ტრაგიკული გაიზიარა.

მაშინ სოფლის გოგო-ბიჭებმა ბევრი რამ არ ვიცოდით, არ გაგვეგებოდა წუთისოფლისა, დრო იყო გაუგებარი. ანდა ყოფნის ტრაგედიას როგორ ჩავწვდებოდით უასაკონი.

საკლასო ოთახში, შუა ადგილას, მერხების წინ, უყვარდა დგომა, მარჯვენა ხელს ჩვენსკენ გამოიშვერდა, თითქოს

ზედ ცოდნა უდევს და უნდა გამოგვიწოდოსო, ილია ჭავჭავაძეზე მოგვითხრობდა. თითქმის ყოველ დღე, გვექონდა თუ არა გაკვეთილად ილია, მის წმინდა სახელს მაინც ახსენებდა.

— ვინ გაანთავისუფლა პებია, — გვეკითხავდა მოულოდნელად. მუნჯად დავსრიდით თავებს. არ ვიცოდით. ზოგი რას წამოიძახებდა და ზოგი რას.

— ვინ მიაჩენა გაბრიელს ქლიბი და რა სიტყვები დაუბარა, — ჩაგვსდევდა ბოლომდე.

— არ წაგიკითხავთ ყურადღებითო, — იტყოდა ნაღვლიანად. თავიდან წაგვაკითხებდა. მიგვახვედრებდა, აგვისსნიდა, გვაგრძნობინებდა მშვენიერებას „გლახის ნამბობის“ ამ ადგილისას, მთელი მეცხრამეტე საუკუნის რუსული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მწერლებსა და მათ წიგნებს მოიხმობდა საკუთარი ნააზრევის გასამყარებლად. აი, ასეა, ჩემო კარგებო, მშვენიერებო, — დაგვიბარებდა, ის მწერლობა უკვე აღარ არისო, — სევდიანად ჩაიდუღუნებდა და წავიდოდა.

არტისტიც იყო, სულიერი დენდიც! — ოღონდ ძნელად შესამჩნევი.

მისივე სიტყვები: ჩემო კარგებო, მშვენიერებო, რატომ არ მოგაქვთ ჩაის კაკალი, — სწორედ უტყუარად ხატავს მის ხასიათს, არსებას მისას.

წუხდა, დარდობდა, რომ ჩვენ მართლა კარგები და მშვენიერები არ ვიყავით. შეჭირვებული იყო იმის გამოც, რომ გეგმა გვეწერა: ყოველ მოსწავლეს განსაზღვრული რაოდენობის ჩაის თესლი უნდა აგვეკრიფა ოჩაიეში და სახელმწიფოსთვის ჩაგვებარებინა.

სოფელს ომის ჭრილობები ვერ მოეშუშებინა, მასწავლებელი უფრო ბრიგადირს ჰგავდა, ვიდრე მასწავლებელს, ხან სათოსარში უნდა წაეყვანა მოწაფენი, ხანაც ჩაის საკრეფად.

ჩაის თესლის შეგროვება ერთობ მოსაწყენ საქმედ მიგვაჩნდა. ოჩაიე შორს იყო, იქ წასვლა, რიგთაშორის ჩაის მარცვლების აკრეფა, დიდ დროს გვართმევდა. სწავლაშიც ჩამოვრჩებოდით და გეგმასაც ვერ ვასრულებდით. ქართუ-

ლის მასწავლებელს, როგორც კლასის ხელმძღვანელს, პასუხს აგებინებდნენ ამის გამო.

რა ელონა? სიტყვა ჩვენ არ გვესმოდა, გაწყრომა და ცემა მას არ შეეძლო. ხუმრობაში გადაჰქონდა მირისხანება, პოეტურ-მუსიკალური სიტყვათწყობილებით, დამცინავი კილოთი გვაფრთხილებდა:

— ჩემო კარგებო, მშვენიერებო, რატომ არ მოგაქვთ ჩაის კაკალი..

ამ სიტყვებში იმდროინდელი სოფლის მასწავლებლის გატანჯული სახეც ნათლად მოჩანს.

ეგებ არ მოსწონდა ეს ჩაის თესლის შეგროვება, არ მიანდა სკოლის საქმედ, ხელს უშლიდა მუშაობაში, ეგებ დროსაც არ ეთანხმებოდა, მაგრამ ამის გამჟღავნების სურვილიც კი გაექროთ მაშინ ადამიანთათვის. ნართაულად თუ გადაგვიკრავდა, თუ მიგვანიშნებდა, ხმადაბლა, ჩურჩულით, ცალ-ცალკე, აქეთ-იქით ყურებით თუ გვეტყოდა მისეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის მაშინ აკრძალულ სახელებს.

ასეთ ყოფაში ვცხოვრობდით, ვსწავლობდით, სკოლაში ხელნაწერ ჟურნალსაც კი ვცემდით.

ჟურნალს „განთიადი“ ერქვა.

იოსებ ჯიქია იყო ამ ჟურნალის ნამდვილი შემოქმედი, თუმცა მას ყოველთვის რომელიმე ჩვენთაგანი — მოწაფე, რედაქტორობდა.

მახსოვს, ერთხელ, ჩვენს მხარეში უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახელგანთქმული აკაკი ხორავა ჩამობრძანდა. ამომრჩევლებმა ბანძის საშუალო სკოლის შენობაში მოუწვევეს შეხვედრა. მე, როგორც „განთიადის“ გამორჩეულ პოეტს, დამევალა საკუთარი ლექსის თქმა. დავწერე ლექსი, მივუტანე იოსებ მასწავლებელს შინ. მან გადაიკითხა, თვალისდახამხამებაში ჩამისწორა და შემაქო.

ჩემი მიტანილი ლექსი იოსებ ჯიქიას გასწორებული

„გრილობას ვერ იტევს ეს გული,  
განა რა გრძნობა კმაროდეს

„გრილობას ვერ იტევს ეს გული,  
ზღვა სიხარულით

ნაოტებს,

არ მოგეშალოთ ეს სიყრმე  
მკენო ოტელო აროდეს.  
შენი შრომა და ამაგი  
სამვილიშვილოდ ჰყვოდეს,  
ჩვენო ძვირფასო, აკაკი“

არ მოგეშალოთ ეგ სიყრმე  
ხალხის ჯავარო აროდეს,  
თქვენი შრომა და ამაგი  
სამვილიშვილოდ ჰყვოდეს,  
ჩვენო ძვირფასო, აკაკი“

გრძელი ლექსი იყო. აკაკი ხორავამ ლექსი გამომართვა და წაიღო, ზეპირად ეს ნაწყვეტი აღვადგინე. ასე წვრილად ამ ამბავს იმიტომ აღვწერ, რომ იოსებ ჯიქიას „პოეტური სკოლიდან“ გამოსულთ მაინცდამაინც არ გაგვჭირვებია თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის, ჟურნალისტიკის, ფილოსოფიის ფაკულტეტებზე სწავლა და პირველობა.

იოსებ მასწავლებელი მაშინ წვრილშვილის პატრონი იყო. მრავალშვილიანობა დღეს პატივდებულია და არც ისე ჭირს ცხოვრება, შვილს ლუკმა პური ვერ უშოვო. მაშინ ლუკმა-პური საძებარი ჰქონდა სოფლის მასწავლებელს.

იოსებ ჯიქიას ხატს ყველაზე უკეთ მაინც მისივე სიტყვები აღადგენს: „ჩემო კარგებო, მშვენიერებო, რატომ არ მოგაქვთ ჩაის კაკალი“

თითქოს ტრაგიკული, უკანასკნელი შეძახილიაო, სწორედ „ჩაის კაკალს“, ჩაის გადაჰყვა...

იმ წელიწადს რაიონი ჩაის კრეფის გეგმას ვერ ასრულებდა. სხვაზე მეტად ჩამორჩებოდა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ბანძის საშუალო სკოლა უნდა დახმარებოდა ამ მეურნეობას. ბანძასა და დიდ ჭყონს შორის გვარის მანძილია, გზაც არ გვქონდა მაშინ ხეირიანი, ავტობუსებიც არ იყო.

დილით ადრე, სკოლის წინ, თავი მოუყარეს ბავშვებს, მოიყვანეს მინგრეულ-მონჯღრეული სატვირთო მანქანები, თვითმცლელიც კი. იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ამ ბავშვების დახოცვა ეწადა, არა. ასე ვცხოვრობდით, ასეთი იყო იმდროინდელი სოფლის ყოფა. სად იყო ამდენი „ზილები“, „მაზები“, და „გაზები“, მანქანის ძარაზე ახორხლილნი თუ ზუ;-დიდიდან მესტიაში ჩავიდოდით, დიდ სიკეთედ უნდა ჩაგვეკვალა.

მანქანის ძარებზე ახორხლილი გოგო-ბიჭებით, კაბინებში

სამ-სამად, ოთხ-ოთხადაც შეკუჭული მასწავლებლებით, გაძეგილ-გატენილი საბარგო მანქანები დაადგნენ თურმე დიდი ჭყონის გზას.

იოსებ ჯიქია პირველი მანქანით წასულა. ძარაზე მდგარა თავის მოწაფეებს შორის და კმაყოფილი ყოფილა ამით, — კაბინაში ქალებისთვის დაუთმია ადგილი.

სალხინოს აღმართ-დაღმართებში მუხრუჭს უმტყუნია, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, სულ მთლად გაუმართავ მანქანაზე მსხდარან.

— თავს უშველეთ, მუხრუჭი არ იჭერსო, — უკივლია მიძლოლს, გვიან უკივლია, — თავდაღმართში გაფრენილა მანქანა...

როგორღა, რით-ღა უშველიდნენ თავს! გადაჩეხილან და დასოცილან.

ხრამში ჩაიღუბა თავის მოწაფეებთან ერთად.

მწარე ისტორიაა. ძნელი დასაწერია. არ ჩანს აზრი, იმედის ნატამალიც... ტრაგედიასაც ხომ აქვს თავისი სილამაზე, ეს სილამაზეც არ არის არსად...

ყოველ მეორე ოჯახში კუბო იდგა: დაიღუპნენ თექვსმეტი, ჩვიდმეტი წლის გოგო-ბიჭები, სოფლის სამომავლო შვილები.

დამნაშავენი დაისაჯნენ...

სკოლის დირექტორს ორი კუბო ედგა სახლში, ორი ვაჟკაცი დაეღუბა.

ვის ახსოვდა იოსებ ჯიქია! მერცხალივით ყმაწვილებს დასტიროდა სოფელი. სოფლის ცრემლიც კი არ ეღირსა, გულიანად ვერც კი დავიტირეთ.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. ცოტათი შეიცვალა, გაუმჯობესდა სოფლის მასწავლებლის ყოფა-ცხოვრება. ბანძის საშუალო სკოლას ახალი შენობა აუგეს, ახალი მასწავლებლები მოვიდნენ. იოსებ ჯიქია გულში ყველას გვახსოვს, მაგრამ მის მოსაგონრად მაინცა და მაინც არაფერი გავვიკეთებია. ბანძის საშუალო სკოლას თუ მისი სახელი დაერქმეოდა, ამით არაფერი დაშავდებოდა, სხვა არა იყოს რა, კაცმა სიცოცხლე შესწირა სკოლას!

მეტიც, მის მოწაფეს როცა საშუალება მომეცა დამეწი-

რა მოსაგონარი, ვიყოყმანე, ფესი ვითრე, დავიწყე ფიქრი  
იმზე, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამას საზოგადოები-  
სათვის...

მე არა ვარ ის მწერალი, ვინც მოგონებები უნდა წეროს  
თავის მასწავლებელზე, არც საცოდავ იოსებ მასწავლებელს  
მიაჩნდა თავი ასეთ მოძღვრად.

მცირე იმედს მაინც აჩენს ასეთი გახსენება, მოგვაგონებს  
იმ დიად სიტყვებს, განთავისუფლებისას რომ უთხრეს პეპიას  
და გაბროს, რის ცოდნასაც ასე დაბეჯითებით მოითხოვდა  
ჩვენგან იოსებ მასწავლებელი: „სანთელ-საკმეველი თავის  
გზას არ დაჰკარგავს“..



რეკლიკა გ. გაჩეჩილაძის წერილის გამო:  
„რა ვაქეთეთ? რას ვშვრებოდით!..“

მწერლობის აუგად მოხსენიება, გაქიაქება, გაქირქილება, გაბიაბრუება, სამწუხაროდ, ჩვენში კარგ ტონად, ერთგვარ მოდადაც კი იქცა.

მეტწილად ილანძლებიან ნახევარმწერალ-ჟურნალისტები, მომწერლო თანამდებობის ჰირნი, ცრუმწერალკრიტიკოსები, მოხელოვნებათმცოდნენი, განსაკუთრებით კინოსა და თეატრის რეჟისორები და ა. შ. „უნიჭო“, „მედროვე“, „უნიათო“, „მომხვეჭელი“, „გაყიდული“ და სხვა მრავალი მსგავსი სიტყვა გაისმის მწერლობის მისამართით.

ზოგიერთ რედაქტორს უხარია, მოსწონს, ეამაყება კიდევ მწერლობის ამგვარი გაქიაქება-გაკრიტიკება.

ერთერთი ასეთი მწერლობის გამქიაქებელი პასკვილია გ. გაჩეჩილაძის „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით!..“

ამ წერილის ანალიზს მე არ შევუდგები. მას უკვე უპასუხეს და კვლავაც უპასუხებენ. მე მხოლოდ ერთ მცდარ დებულებას უარვყოფ, ის უშუალოდ ჩემს სახელსაც უკავშირდება.

გ. გაჩეჩილაძე წერს: „ამგვარი შესაძლებლობის კლასიკური პრეცედენტი უკვე შედგა: თ. აბულაძის „მონანიება“.

თუ აქამდე მწერლობა ასრულებდა ზნეობრივი ლიდერის როლს, ჩვენ უნდა დავადგინოთ როდის დათმო მან პოზიციები. დღეს წინა პლანზე წამოიწია კინემატოგრაფმა, თეატრმა“...

დასანანია, რომ ამას ამბობს მწერალთა კავშირის წევრი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი გ. გაჩეჩილაძე.

ქართულ ლიტერატურას პოზიციები არასდროს დაუთმია. მაშინაც კი როცა მწერლობის დარბევა და გაჟლეტა მძვინვარებდა საქართველოში. მწერლობამ სისხლი დაღვარა და

სწორედ „ზნეობრივი ლიდერის როლი“ შეინარჩუნა. გ. გაჩეჩილაძე ვერ მოჰკითხავს მას, — რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდითო. პირიქით კი ეგებ მართლა საკითხავი იყოს — სად იყო, რას აკეთებდა, რას შვრებოდა პატივცემული კრიტიკოსი, როცა მწერლობას უჭირდა?..

როგორც მისი წერილიდან ჩანს, თურმე მწერლობას უჭირდა: პროზაში დაკანონებული ყოფილა უპრობლემობა, პოეზიაში — კულტურული ვნებათაღელვები, ხოლო „კულტურის ფონზე მიჰინვარებს ქაოსი, ფროთებს შლის მებრძოლი უსახურობის შედეგი — განუკითხაობა“.

ღმერთო დიდებულო! განა გუშინ არ ვამბობდით ქართულ კულტურას რენესანსი დაუდგათ და ამ „რენესანსის“ ერთერთი მეტაშეც თვითონ იყო თუ კულტურის ფონზე ქაოსი მიჰინვარებდა, სად იყო გ. გაჩეჩილაძე, რას აკეთებდა, რას შვრებოდა? — ხომ კარგად ცნობილია, რომ ხოტბას ასხამდა იმ მწერლობას, რომელსაც დღეს ლანძღავს!..

მაგრამ მე მაინც „მონანიებას“ უნდა მივუბრუნდე, იქ ისტება ძალზე დამახასიათებლად გ. გაჩეჩილაძის, როგორც კრიტიკოსის ლიტერატურული პროფილი.

კრიტიკოსს ჰგონია, რომ „მონანიების“ შექმნით „დღეს წინა პლანზე წამოიწია კინემატოგრაფმა, ხოლო ლიტერატურამ პოზიციები დააშალა და ზნეობრივი ლიდერის როლი სხვას ჩააბარა.

მტკნარი სიცრუეა „მონანიების“ შექმნამდე არსებობდა ქართულ ლიტერატურაში ოთარ ჩხეიძის რომანი „ცხრაწყარო“ და „ბორიაყი“. რაც მთავარია, ოთარ ჩხეიძე არის სწორედ ის მწერალი, ვინც კალამი ხელში აიღო მსოფლოდამსოლოდ ტირანიის, ძალადობის, უსამართლობის, ჯალათობის და სხვა უმსგავსიებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

თითქმის ყველა მისი მთავარი ნაწარმოები ამ თემას ეძღვნება. ამგვარი მწერლობისათვის კი მას გადატანილი აქვს შერისხვანი, ჩაქოლვანი, ქირდვანი, ბეზღობანი...

მარტო „ბურუსის“ გამო რაც თავს გადასდა, საკმარისია ირისათვის, რომ დღეს არ მოვკითხოთ: რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდითო.

გ. გაჩეჩილაძის წიგნში: „სულიერი გამოცდილების სამ-

წარმოში არის ერთი თავი — „დუმილის კონცეპცია ისინაზმ-ში“. ავტორი ცნობისწადილის აღმსკრულ მრავალ საკიასს განიხილავს და მათ შორის „ომფალოსსკობიას“.

კათოლიკე რეცენზენტები ამბობდნენ, — წერს გ. გაჩეჩილაძე — მართლმადიდებელი ისინასტები ფიქრობენ, რომ დუმილით ლოცვის დროს ადამიანი თავდახრილი უნდა იყოს, ე. ი. მისჩერებოდეს საკუთარ ჭიპს („ომფალოსსკობია“.) მათ ალბათ ჰგონიათ, რომ სული ჭიპშია. აქედან დაედო საფუძველი ირონიულ გამოთქმას „ომფალოფსინია“. იგი ძალიან ხშირად ირონიულად გაელვებული კათოლიკურ დასავლურ ლიტერატურაში და განსაკუთრებით ჯეიმს ჯოისის „ულისეში“.

ა, ასე და ამგვარად გადაწყვიტა გ. გაჩეჩილაძემ „ომფალოფსინიის“ ჯ. ჯოისის „ულისეში“ გაელვების საკითხი.

სხვათაშორის „ცხრაწყაროს“ ოთარ ჩხეიძე ასე ამთავრებს: „ვერ გავიგეთო, ამხირებიან კრიტიკოსები და ახირებულვარ მეც ჩემი მხრითა, ჩაიკითხეთ და გაიგებთ-მეჟი; უკეთ რო ითქვას, ისინია რო ახირებულან, თორემ ქე ჰო მართალი გახლავარ, მართალი ცამდისა: თუ ტრაბახობენ, რო გაიგეს ვაჟაი, ჯოისი გაიგეს, ელიოტი გაიგეს, გალაკტიონი გაიგეს, კაფკა გაიგეს, — სერე როგორა ტრაბახობენ! — სხვა ვინ დარჩებათ გაუგებარი, თვალს თუ გაახელენ, კარვად თუ გაახელენ თვალსა?“..

მართლაც, გ. გაჩეჩილაძე თუ თვალს კარვად გაახელდა, ნოდარ დუმბაძის რომანებს მაინც დაინახავდა, ოთარ ჩხეიძისას თუ არა. „მზიან ღამეში“ სხვა რა არის, თუ არა ე. წ. „მონანიების“ თემა?

„მონანიების“ თემაზე, „მონანიებამდე“ არა ერთი რომანი და მითხრობა დაიწერა ქართულ ლიტერატურაში, კრიტიკოსი ვალდებულია, ვიდრე ასეთ მწარე ბრალდებას მწერლობას წაუყენებდეს, წაიკითხოს ეს ნაწარმოებები. ხოლო ჯ. ჯოისის „ულისე“ ზეპირად იცოდეს, ჩვენ ხელს არავის შევუშლით.

„მონანიების“ ტრიუმფალური სვლა, — განაგრძობს გ. გაჩეჩილაძე, — ხომ იმანაც განსაზღვრა, რომ ის ემყარება მსოფლიო ლიტერატურულ მოტივს, რომლის სათავესთანაც

საფლავის ძეგლების გაცოცხლების ანტიკური ტრადიციების შემდეგ, დგას დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“ — ჯოკოხეის სამსჯავროსთან მიცვალებულების დაყენებით, ტირსო დე მოლინა — „დონ ჟუანში“ ქვის სტუმრის მოტივი, ლოპე დე ვეგა „სოფლის ონავრით“, სულხან საბა ორბელიანი „მაოსრებელი მკვდრით“, პუშკინი „ქვის სტუმრით“ და „ბრინჯაოს მხედრით“ და ბოლოს, „ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაური“...

კურიოზული ვითარება შეიქმნა „მონანიების“ გარშემო. შეიძლება დედამიწაზე არსებული და არარსებული ყველა მწერლის გვარი ახსენო ამ ფილმთან, არ შეიძლება მხოლოდ ერთი მწერლის გვარის ხსენება, ვინც ერთერთი ნამდვილი ავტორია.

გ. განეწილაძე წერს: „განა „მონანიების“ მაგისტრალური სიუჟეტი: მკვდრის საფლავიდან მოთხრა, როგორც მისი ცოცხლების წინაშე მამხილებლური გამოწვევა, თავისი პოეტიკით, მასალის ორგანიზაციის პრინციპით, ლიტერატურულ მითს არ ეყრდნობა?..“

არა, ბატონო კრიტიკოსო, არ ეყრდნობა! „მონანიებას“ არავითარი კავშირი არა აქვს დანტე ალიგიერთან, პუშკინთან, ლოპე დე ვეგასთან, ტირსო დე მოლინასთან, ვაჟა ფშაველასთანაც კი....

ამ ფილმს უფრო დიდი კავშირ-ურთიერთობა აქვს ქართველ მწერალ ნოდარ წულეისკირთან, ვიდრე ტირსო დე მოლინასთან. ის „მითი“, ის „მაგისტრალური სიუჟეტი“ ნ. წულეისკირის თავში დაიბადა და მანვე დაწერა.

იძულებული ვარ დამამცირებელი, ღირსების შემლახველი აზრები გამოვთქვა. მოთმენასაც აქვს საზღვარი! „მონანიების“ ცრუავტორებმაც კი წამოჰყვეს თავი რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ სცენარის ავტორებს, თვით კანონიერ ავტორს რ. კვესელავას არავინ ახსენებს. ახსენებენ ყველას, ოღონდ არა იმათ, ვინც „მონანიება“ დაწერა. ე. ი. ამ მშვენიერ ფილმს ფაქტიურად სცენარის ავტორი არა ჰყავს. სცენარის გარეშე კი, როგორც ვიცით, რა გენიალურიც უნდა იყოს რეჟისორი, ფილმი არ გადაიღება.

„მონანიების შექმნის ისტორია კი ასეთია: ამ თემაზე

ვრცელი ნაწარმოების შექმნა სიყრმიდანვე თანამდევდა. სიუჟეტიც მზად მქონდა და მასალაც. ვმუშაობდი უიპედოდ, ჩემთვის, ჟამიდან ჟამზე.

ერთხელ თენგიზ აბულაძე შემხვდა და მკითხა თუ რას ვწერდი, რაზე ვმუშაობდი. მე მას ვუამბე „მონანიების“ სიუჟეტი. ძალზე დაინტერესდა და მთხოვა განაცხადი დამეწერა. დავწერე ესკიზები მხატვრული ფილმისათვის „ეშმაკის კერძი“, თვრამეტ გვერდზე. ჩაფიქრებულ რომანს მაშინ „ეშმაკის კერძი“ ერქვა. ამ რომანის პირველი თავები: „ვარლამ არავიძის დაკრძალვა“, „მკვდრის საფლავიდან პირველი ამოთხრა“, „მეორე ამოთხრა“, „მესამე ამოთხრა“ დაწერილი მქონდა, ღღესაც დაწერილი მაქვს.

ჩემს მიერ დაწერილი განაცხადი თ. აბულაძემ კოლეგებს წააკითხა, ყველას მოეწონა და შევუდექით სცენარის წერას. ჯერ თანაავტორად გაგვიხდა ნ. ჯანელიძე, შემდეგ რ. კვესელავა.

ამის შემდეგ ოთხმა ავტორმა: მე, თ. აბულაძემ, ნ. ჯანელიძემ, და რ. კვესელავამ, ვისაც რა შეგვეძლო და როგორ შეგვეძლო, დავწერეთ სცენარი მხატვრული ფილმისათვის „მონანიება“.

სხვათაშორის, ფილმის გადაღების შემდეგ ეს ამბავი დამალული არ ყოფილა. თენგიზ აბულაძემ გაზეთ „კომუნისტში“, 4 ნოემბერს, 1986 წ. მკითხველებს აუწყა „მონანიების“ ანონიმური ავტორის ვინაობა.

მაშ, რისთვის დასჭირდა გ. გაჩეჩილაძეს მწერლობის დაკნინება და კინემატოგრაფის ზნეობრივ ლიდერად გამოცხადება?.. „მონანიებაც“ ხომ იმ მწერლობამ შექმნა, ვისაც ასე სულ მთლად უმიზეზოდ ლანძღავს კრიტიკოსი?

როცა ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთ შეკითხვას უსვამდა: რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, „დანიშნულება და საღვთო ვალი“ ალაპარაკებდა. კერძოდ: „მერე როცა მოკვდა მეფე... მერე, როცა დაქსაქსულნი უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო, ქართლის ბედი ბურთსავითა სათამაშოდ წინ გაიგდო, — რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?..“

გ. გაჩეჩილაძე ამგვარ საღვთო ვალს არასდროს აუფორიაქებია. არც უნდა დაბადებოდა ასეთი შეკითხვა. „ხუთწ-

ლედის მხარდამხარ" მდგარ მწერალთა (მისი სიტყვებია) გასაქიპებლად დიდი ილიას შეწუხება არ იყო საჭირო.

დასასრულ უნდა განვაცხადო შემდეგი: გ. გაჩეჩილაძე ხატავს ლიტერატურულ ატმოსფეროს მეტისმეტად მუქად, რაც მთავარია, ტენდენციურად და უსამართლოდ. „სიყალბის დღესასწაულში გათქვეფილი თვალთმაქცი ფუნქციონერი“ — არ უნდა უწოდო მწერალს, კოლეგას, სხვას, მეორე ადამიანს... თუ საქმე საქმეზე მიდგება, შენც ხომ იმ სიყალბის დღესასწაულის მონაწილე ხარ და ის თვალთმაქცი ფუნქციონერი“?, შენც თავიდან უნდა დაიწყო, უნდა აღიარო რომ „თვ ლთმაქცი ფუნქციონერი“ ხარ და მერე სხვას უწოდო.

ასევე, უსამართლოდ და მეტისმეტად მიმაჩნია „სწრაფი რეაგირების მწერალთა შენაერთები“, რომელი შენაერთებია ეს?.. ვინ არიან ეს მწერლები?

გ. გაჩეჩილაძეზე სწრაფად დროის მოთხოვნას ჯერ არავინ გამოხმობურებია, — თვითონ არის?..

„თუ ეს სიტყვები (ე. ი. სალანძღავი სიტყვები! ნ. წ.) მკაცრი დაუმსახურებელი საყვედურია გამონაკლისების მისამართით, — წერს გ. გაჩეჩილაძე თავის წერილში, — სავსებით დამსახურებულია, საერთო სამწერლო პოზიციის მიმართ“.

გამონაკლისებად ალბათ უნდა მივიჩნიოთ ის მწერლები, ვისაც თავის წიგნში გ. გაჩეჩილაძე ხოტბით წერილებს უძღვნის. ესენი არიან მეტწილად თანამედრობის პირი მწერლები, მათ შორის მწერალთა კავშირის ყველა თავმჯდომარე, ვისაც ჩვენ მოვსწრებივართ.

„საერთო სამწერლო პოზიციაში“ კი ალბათ ჩვენი თავი უნდა ამოვიკითხოთ და გ. გაჩეჩილაძის ბრალდებები კისრად ვიღოთ.

არ მიმაჩნია ეს ბრალდებები სამართლიანად და ამიტომაც ვერ ვიღებ კისრად. ვერც ჩემნაირ მწერლებს, ვინც „საერთო სამწერლო პოზიციაში“ იგულისხმება, ვერ ვუწოდებ „სწრაფი რეაგირების მწერალთა შენაერთებს“, ვერც „მედროვეს“, ვერც „დღევანდელ კვერცხს დახარბებულ მწერალს“, ვერც ვერავის მოვკითხავ: რა ვაკეთეთ, რას ვმვრებოდითო.

ბ. გაზქვილაძე მწერლებს ტიპებადაც, სახეებადაც კი  
ჰყოფს, სამ ტიპს, სამ სახეობას მწერლისას გვისატავს:

1. სიყალბის დღესასწაულში ვაოქვეფილი თვალთმაქცი  
ფუნქციონერი მწერალი.

2. თავგანწირვის სხვებში, სხვაგან და არა საკუთარ ძა-  
ლებში მაძიებელი მწერალი.

3. ბოროტს განრიდებული მდუმარე მწერალი.

არ არის ახლა ეს მეტიმეტი?

რ.ხან ასეა, ეგებ გავაგრძელოთ ეს სია. შეიძლება სხვა  
ტიპის მწერალთა შენაერთიც მოიძებნოს, მაგალითად: თა-  
ნამდებობის გაწბილებულ მაძიებელ მწერალთა შენაერთი, ან  
ცრუინტელიგენტ მწერალთა შენაერთი, და ა. შ.

მაგრამ ეს სომ ჭეშმარიტება არ იქნება.

მწერლობა არ არის ზღვაში ცალკე მდგომი კუნძული,  
საზოგადოების ნაწილია. შეიძლება მწერლებს შორისაც იყ-  
ვნენ ავი ზნისანი, მანკიერნი, — მისი განზოგადობა მთელ  
მწერლობაზე უსამართლობაა.

პირდაპირ უნდა ვთქვა: რა მუშათა კლასიცა გვყავს, მწერ-  
ლობაც ისაა, რა მეცნიერ-ინტელიგენტობა — მწერლობაც  
ისაა, რა გლეხობაც — მწერლობაც ისაა, ანუ უფრო ძველებუ-  
რად, უფრო ქართულად: რაც ერიო, ის ბერიო.

## „პრიტიკის“ რედაქციას

ჩვენს ოფიციალურ და ლიტერატურულ პერიოდიკაში პირდაპირაც და მინიშნებითაც არაერთხელ გაკრთა აზრი იმის შესახებ, რომ საყოველთაოდ აღიარებული ფილმის „მონანიების“ სცენარის ერთერთი თანაავტორი არის მწერალი ნოდარ წულეისკირი.

ამის თაობაზე თვით დამდგმელმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, გაზეთ „კომუნისტში“, ერთ თავის ინტერვიუში თქვა, რომ მწერალმა ნ. წულეისკირმა მას უამბო სამეგრელოში ნამდვილად მომხდარი ამბავი: თურმე ვიღაცამ ავი კაცის გვამი საფლავიდან ამოიღო და ჭირისუფალს ჭიშკართან მიუყუდაო.

თურმე ეს ამბავი საფუძვლად დაედო მთავალ ფილმს.

ყური მოვკარით იმასაც, რომ გარკვეული მოსაზრებით, მწერალი იძულებული შეიქმნა უარი ეთქვა, მისი გვარი დაეწერათ ტიტრებში. როგორც ნ. წულეისკირის ლიტერატურული კოლეგები ირწმუნებიან, — ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ფილმი მაყურებლამდე უხიფათოდ მისულიყო.

გთხოვთ განგვიმართოთ რა ადგილი უჭირავს ამ ისტორიაში ჭორს და რა შეეფერება სინამდვილეს.

ავთანდილ ჩაბაძე

— ჭორი მართლაც ბევრი შეითხზა ამ ფილმზე. რაც მთავარია, ცრუავტორებმაც კი წამოჰყვეს თავი. თენგიზ აბულაძეს თუ ვინმემ, რამე უამბო, ან ჰკითხა ამ ათი წლის მანძილზე, ყველას ჰგონია, რომ რაღაც ღვაწლი დასდო ამ ფილმს.



სინამდვილე ასეთია: „მაღლობას მოვასხენებ, აგრეთვე, ჯგუფის ერთ დღემდე ანონიმურ წევრს, სცენარის ერთერთ თანაავტორს ჩვენს შესანიშნავ მწერალს ნოდარ წულეისკირს“ (თენგიზ აბულაძის ინტერვიუ არჩილ გოგელიასთან, გაზეთი „კომუნისტი“, 4 ნოემბერი, 1985 წ.).

— რამ განაპირობა ნოდარ წულეისკირის ანონიმურობა? (არჩილ გოგელიას შეკითხვა)

პასუხი:

„— ნოდართან დიდი ხნის შემოკმედებითი თანამეგობრობა მაკავშირებს. ერთად დავწერეთ სცენარები „თუთარჩელა“ და „ფიროსმანი“, და მიუხედავად იმისა, რომ ორივე სცენარი საკმაოდ საინტერესო იყო, მათი განხორციელება თავის დროზე, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ვერ მოხერხდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ქუჩაში შემთხვევით შევხვდი ნოდარს, შევყოვნდით, გავაბით საუბარი. ნოდარმა სხვათაშორის გაიხსენა ფაქტი, რომელიც მოხდა სამეგრელოს ერთერთ სოფელში: თურმე ვილაცამ მეზობლის გვამი საფლავიდან ამოიღო და ჭირისუფალს ღობეზე მიუყუდა. ამ ფაქტმა მომნუსხა. ვერ ამეხსნა, რა უნდა ყოფილიყო ასეთი არაადამიანური სისასტიკის მიზეზი, როგორი გამწარებული უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა... ამ ფაქტმა იმდენად დამაინტერესა, რომ ნოდარს იმწამსვე შევთავაზე, კვლავ ერთად გვემუშავა. მას გაეღიმა და მიპასუხა: ჩვენს თანამშრომლობას კინოში ბედი არ უწერია და თუ ასე მოგწონს, ეს ამბავი მიჩუქნიაო. ჩვენი შემდგომი ურთიერთობა ასეთი პირობით წარიმართა: სანამ ფილმი არ დამთავრდებოდა, ნოდარი სცენარის ანონიმურ თანაავტორად რჩებოდა. ორივემ მიამიტურად ვირწმუნეთ, რომ ასეთი ნაბიჯით ფილმს ავი თვალისაგან გადავარჩენდით. (იქვე, გაზ. „კომუნისტი“).

აქ თითქმის ყველაფერი თქმულია, მე მინდა გავაგრძელო თენგიზ აბულაძის ინტერვიუ და ამით ნათელი მოვფინო „მონანიების“ შექმნის ისტორიას.

თენგიზ აბულაძე წერს: ნოდარმა სხვათაშორის გაიხსენა ფაქტი, რომელიც მოხდა სამეგრელოს ერთერთ სოფელში, სხვათაშორის მე ის ფაქტი არ გამიხსენებია.

როცა „შევეყონდით და საუბარი გავაბით“, მან თავისი მითხრა, რომ ეძებს კარგ სცენარს თანამედროვე თემაზე, მე ჩემი: უიმედოდ ვმუშაობ რომანზე, რომელიც არასოდეს არც დაიბეჭდება და არც გადაიღება. მისი დაჟინებული თხოვნით, მე მას ვუამბე ამ რომანის სიუჟეტი და გავისხენე ნამდვილად მომხიარო ამბავიც, რომელიც საფუძვლად ედო ჩემს მომავალ ნაწარმოებს. თენგიზ აბულაძემ მთხოვა დამეწერა განაცხადი, ე. ი. მომავალი ფილმის ხერხემალი, (მოკლე შინაარსი), მე ეს გავაკეთე, დავწერე; „ესკიზები ნხატვრული ფილმისათვის „ემმაკის კერძი“, ჩაფიქრებულ რომანს მაშინ „ემმაკის კერძი“ ერქვა.

აი, ეს „ესკიზები“ თენგიზ აბულაძემ წააკითხა მრავალ ადამიანს თბილისში, თვითონაც შთაგონებული იყო და სხვასაც აღანთებდა თავისი ნაამბობით სასტიკ შურისძიებაზე.

რაც მთავარია, განაცხადი — „ესკიზები“ წაიკითხა ყველა ცნობილმა კინომოღვაწემ და ხელოვანმა, რესპუბლიკის მშინდელმა ხელმძღვანელობამ და თ. აბულაძეს დართეს ნება გადაეღო პოლიტიკური ფილმი.

აი, ამის შემდეგ შევუდექით სცენარის წერას. ვინაიდან სცენარის ავტორის ვინაობას ვერ გავამხელდით, ხოლო სცენარს ავტორი ხომ უნდა ჰყოლოდა, ჯერ შევიამხანაგეთ თ. აბულაძის რძალი, ნ. ჯანელიძე, ხოლო შემდეგ გამოცდილი კინოსცენარისტი, შესანიშნავი ლიტერატორი რ. კვესელავა.

ამ ოთხმა ადამიანმა, მე, თენგიზ აბულაძემ, ნანა ჯანელიძემ და რეზო კვესელავამ დავწერეთ „მონანიების“ ლიტერატურული სცენარი.

ეპიზოდებს ჯერ მე ვწერდი, დანარჩენი ავტორები ამუშავებდნენ, ხვეწდნენ. შემდეგში როცა სხვა ავტორებიც დაეუფლნენ მასალას, ისინიც. წერდნენ, ებიებდნენ ახალხალ ფაქტებს და ერთობლივად ვწყვეტდით რა შესულიყო და რა არა ფილმში. რა თქმა უნდა, თენგიზ აბულაძე ამ საქმეში მთავარი მოქმედი გმირი იყო, დანარჩენები ვიყავით შემსრულებელნი.

ასე შეიქმნა ორნაწილიანი მხატვრული ფილმის „მონანიების“ ლიტერატურული სცენარი.

## როგორ ვებრძოლომ ნარკომანას

უკუღმართ წუთისოფელში თვალს გავახელთ თუ არა, ბრძოლაც მაშინვე იწყება: უნდა ეომო: ბირთვულ აფეთქებებსა და კოსმოსურ შეიარაღებას, რადიაციასა და რადიაციულ ქარიშხლებს, ეკოლოგიურ დარღვევებს და ამის ნიადაგზე წარმოშობილ დიდთოვლობებს, წყალდიდობებს, ზვავებს, მეწყრებს, ნიაღვრებს... უწესრიგობებსა და უზნეობებს: ტირანიას, კორუფციას, ვოლუნტარიზმს, ლოთობას, მექრთამეობას, ქურდობის მრავალსახეობას: არასრულწლოვან ქურდს, სრულწლოვან ქურდს, მანქანის ქურდს, ბინის ქურდს, ჯიბის ქურდს, სახელმწიფო ქურდს, ქურდს-მძარცველს, ქურდს — მკვლელს, „კანონიერ“ ქურდს, ქურდს „უკანონოს“, ქურდს — ფულის მპარავს, ქურდს — აზრის მპარავს, ქურდს — ლექსის მპარავს, ქურდს — კიტრის მპარავს....

თუ პატიოსანი კაცი ხარ, ყველაფერ ამას უნდა ეომო, რადგან პატიოსნება უპატიოსნობას ვერ ეგუება. ყველაფერ ამას უნდა ეომო! მაგრამ განა აქ თავდება უკეთურებანი, — ახლა შიდსი, — ახალი დროის შავი ჭირი! როგორ-ღა შეებმები ამ ახალ ჭირს, როგორ-ღა გინდა შეაჩერო ვაზის ასაჩეხად ცულშემართული გლეხკაცი, ვისაც შიდსზე უარესი სენი შეჰყრია, სულ ახალი სენი!...

როგორ-ღა გინდა შეაჩერო ნარკომანი, ადამის მოდგმის უძველესი, უბოროტესი მტერი! საზარელი სენით — ნარკომანიით შეპყრობილი ადამიანი?..

დიდხანს ვცხოვრობდით ჯერ არნახულ, არგაგონილ, იდეალურ საზოგადოებაში, დედამიწის ერთმეექვსედზე, სადაც ეს უკეთურობანი არაფერი არ იყო, არც ქურდობა იყო, არც უმუშევრობა, არც კორუპცია და მექრთამეობა, ლოთობა და ნარკომანია ხომ არც გავგეგონა.

ამ მანკიერებათათვის ჩვენს საზოგადოებაში თეორიულად

რახან საფუძველი არ არსებობდა, ის არც უნდა წარმოშობილიყო. ის იყო გადმონაშთი. როგორც სკკპ ცკ 1987 წ. იანვრის პლენუმზე ითქვა, აი, ასეთი „ქარაფშუტული წარმოდგენებით“ სოციალისტურ საზოგადოებაზე, თვით კომუნიზმზე ვიცხოვრეთ აქამდე.

დღეს აღმოჩნდა, რომ თურმე ლოთობა ყოფილა, ნარკომანობაც ყოფილა და მრავალი და მრავალი უზნეობანი სწორედ ჩვენი საზოგადოების წიაღში აღმოცენებულა... თურმე მოსალოდნელია გაჩნდეს მანკიერებათა უფრო მახინჯი ფორმებიც: სადიზმი, ტერორიზმი და ა. შ.

დღესდღეობით, ყველაზე მწარე გულისმანკი ჩვენი საზოგადოებისა ნარკომანიაა!

ნარკომანი — გათრიაქებული ადამიანი! თრიაქით მემთვრალე ადამი!

როცა ერთმა მწერალმა საბჭოთა საზოგადოებას ავთი-სებიანი სიმსივნით დაავადებული უწოდა, აღვშფოთდით, სასოწარკვეთილებმა ვიკივლეთ — არა ვართ „კიბოიანები“.

განა შეიძლება შევადართ ნარკომანობა „კიბოიანობას“?.. კიბო არ არის გადამდები, კიბოთი სნეული ადამიანი თვითონ კვდება, სხვას არავის ერჩის. ნარკომანი კი თვითონაც კვდება და სხვასაც შეჰყრის ხოლმე სულის კეთრს. ნარკომანობა სულის კეთრია, კეთრივით გადამდებია.

მკვლელობა ხომ საშინელი ბოროტებაა! რა არის მკვლელობა ნარკომანობასთან შედარებით?.. — უჭუმანურესი საქციელი მკვლელი ერთ ადამიანს კლავს, ნარკომანი კი წამლავს მთელ საზოგადოებას, ერს ღუპავს მთლიანად, დიდუიან-პატარიანად.

ხომ ამდენს ვწერთ და ვლაპარაკობთ ნარკომანობაზე, კინო და ტელეხედვითაც კი ვუჩვენებთ საზოგადოებას ნარკომანობის შედეგად წარმოქმნილ მახინჯ შთამომავლობას. ყოველ ღამით, ძილის წინ, ჩვენს თვალწინ დაფორთხავენ, თავგასიებულნი, კიდურებწართმეული, ოთხზე მხოხავი ნარკომანის შვილები.

აღბათ არ სჯერათ, რასაც ვეუბნებით და ვაჩვენებთ, თორემ შეუძლებელია, ახალგაზრდამ, დამწყებმა ნარკომანმა, ამ

სურათების ხილვის შემდეგ, თუნდაც ერთხელ, გასასინჯად, აიღოს ხელში ანაშა.

ან ჭკუნაკლულია, გონებასუსტია ყმაწვილი, ვინც ამას ჩაიდენს, ბუნებით გამოთაყვანებულია, თორემ თავს ასეთ მარადიულ სატანჯველში რისთვის ჩაიგდება, რისთვის დაუპავს საკუთარ შვილებს!

სურვილი ძარღვის გაგლეჯისა და შიგ მორფის შესხმისა დაბადებით არავის ეძლევა. არაერთგზის გასინჯვის შემდეგ ჩნდება ავადმყოფური ვნება ხორცისა და სულისა. იმისათვის, რომ მოდას აჰყვე, მხოლოდ და მხოლოდ მოდი-სათვის, დაიღუპო თავი, დაღუპო ოჯახი, დააქციო სახლ-კარი, პურის ფული წაართვა დას, ძმას, მოხუც მშობლებს და ოპიუმში იყიდო, სწორედ დაქვეითებული გონების პროდუქტი თუ შეიძლება იყოს.

ნარკომანია განსაკუთრებული კატასტროფაა მცირე ერთათვის. მცირე და ისიც ქურდი და ნარკომანი? — უფრო დიდი უბედურება რა უნდა დაგვატყდეს თავს, რა უნდა დაგვემართოს.

აი, ეს საზარელი კატასტროფა თავიდან რომ ავიცილოთ, ნარკოლოგიური დაწესებულებები, კანონების გამკაცრება, ციხე და სიკვდილით დასჯანი არ გვიშველის, არც პრესა, კინო და ტელევიზია გამოდგება მხსნელად. ვინც ნარკომანია და დაღუპვის გზაზე დამდგარა, იმას ვერავინ და არაფერი უშველის. ვინც ჯანსაღია, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილია, და ჯერ ხელი არ უსღია სამსალისთვის, იმას უნდა ვუშველოთ, ის ავაცდინოთ ნარკოტიკულ შხამ-სამსალას და გზაზე დავაყენოთ.

სულ უბრალო რამ სჭირდება ამას: ყმაწვილმა შპრიცი ხელში ერთხელაც არ უნდა აიღოს, ერთხელაც, გასასინჯადაც, არ უნდა გასინჯოს ნარკოტიკული ცრუნეტარება.

არ დაიჯერებს, გაიოცებს ადამიანი, — ნუთუ ასე იოლად შეიძლება ცხრათავიანი ურჩხულის მოსპობაო. სწორედ რომ შეიძლება! სწორედ რომ ამ გზით, ამ ხერხით ყველაზე უკეთ შევებრძოლებით ნარკომანიას.

დაე, გაყიდოს ჩინგიზხანოვმა ჰაშიში, მე არ ვიყიდი, შენ არ იყიდი, ის არ იყიდის... მე არ მოვწევ, შენ არ მოსწევ,

ის არ მოსწევს... მორჩა, მეტი არაფერი არ არის საჭირო! აღარ იქნება ნარკომალობა. თავისთავად მოისპობიან, გაქრებიან, ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვატრენი – ჩინგიზ-ხანოვები.

უბედურება ის არის, რომ ახალგაზრდას არ სჯერა ჩვენი. ვინ უნდა შთაავოს თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყმაწვილს, რომ ერთხელაც არ იგემოს ნარკოტიკული ცრუნეტარება? – მამამ, დედამ. ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული. არ სჯერა ყმაწვილს მშობლების. მშობელი ან ქურდია, ან მექრთამეა, ან ტირანია, ან მექაღთანეა, ან უსაქმურია, ან ლოთია, ან რაღაც მანკიერება სჭირს. პატიოსანი, სინდისიერი, ავტორიტეტისანი მამა არ არის ქვეყანაზე. ამიტომ არ სჯერათ მშობლების, ქუჩის უფრო სჯერათ, ვიდრე საკუთარი მამის. მეტიც, არ შეგულება მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ვისაც ახალგაზრდობა დაუჯერებს, გაჰყვება მას, თუნდაც სწორედ უბრალო ჭეშმარიტებას დაუჯერებს – ერთხელაც, გასასინჯადაც არ მოსწიონ ანაშა.

რამ მიგვიყვანა აქამდე, რატომ მოვექეციტ ასეთ ჩიხში?..

ვიცრუეთ, ვიქურდეთ, ვითაღლითეთ... დავკარგეთ სამართლიანობა, თბიექტურობა, პატიოსნება. ჩვენი საქციელით, საქმიანობით, ყოფითი მაგალითებით შვილები ცუდად აღზარდეთ ახლა აღარ მოგვწონს, მაგრამ უკვე გვიანაა. ჩვენს სიტყვას ძალა აღარა აქვს. ჩვენ დღეს ერთს ვამბობთ, ხვალ მეორეს, შინ ერთს ვამბობთ, გარეთ მეორეს. ჩვენ ავტორიტეტდაკარგული მამები ვართ და ამიტომ ჭირს ეს ბრძოლა. ამიტომ არ გვიჯერებს ყმაწვილობა, თორემ განა ნარკომანის და ქურდის „იდეოლოგია“ უფრო ძლიერი, უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს“, ვიდრე ჩვენი?..

თუ ჩვენ იმას მივადწევთ, რომ ქურდებისა და ნარკომანების მორალური კოდექსი დავანგრით და ჩვენს შვილებს შევაგნებინოთ – არ გასინჯონ ერთხელაც კი ნარკოტიკული სიამენი, ნარკომანიას დავამარცხებთ.

## მცირე რეპლიკა ბატონ ჯორჯ ჯორჯ კიუიტს

თქვენს ღია წერილში, ბატონო ჯორჯ, ყურადღება მივაპყარ ერთ ადგილს. მოგაქვთ სიმონ ჯანაშიას ვარაუდი: „ქართული კავშირი რომ-ის მეგრული ბადალი ელემენტი — ნი. ხომ არ არის აფხაზური ენის აბსოლუტივის დაბოლოება-ნ. ნასესხები სახითო?“

ბატონი სიმონ ჯანაშია უბრალოდ კითხვას სვამს, ვარაუდს გამოთქვამს ენათმეცნიერთა ყურადღებას მიაპყრობს ამ ფაქტზე. თქვენ კი, ბატონო ქართველოლოგო, მეტისმეტ შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებთ. თქვენ წერთ: „მეგრელები დღეს არ იციან აფხაზური და ჩელებისა და სხვების მოწმობით მე-17 საუკუნეშიაც აფხაზებმა ისევ უფრო იცოდნენ მეგრული, ვიდრე პირუკუ. ამიტომ უნდა ვიკითხოთ — მეგრელები ისე კარგად როდისღა ფლობდნენ აფხაზურს რომ ესესხათ აფხაზურისთვის დამახასიათებელი სინტაქსი და (თუ ჯანაშიას აზრი სწორია) მორფოლოგიაც?“ თუ ჯანაშიას აზრი სწორიაო — ბრძანებთ თქვენ. თვითონ არა ხართ დარწმუნებული პატივცემული მეცნიერის მიერ გამოთქმული მოსაზრების მართებულობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ჩქარობთ, ილტვით იქითკენ როგორმე დაამტკიცოთ აფხაზთა უპირატესობა. „ისტორიაში უნდა ვეძებოთ დრო, — წერთ თქვენ — როცა აფხაზები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ადგილობრივ პოლიტიკასა და კულტურაში, ვიდრე დღეს. ასეთი დრო ხომ არ იქნება ზემოთ ხსენებული „აფხაზთა სამეფო“?!

თურმე აფხაზური აბსოლუტივის დაბოლოება-ნ, ეს ერთი, ერთადერთი ასო-ბგერა ჩარჩენილი მეგრულ სინტაქსში, რაც კაცმა არ იცის საიდან მოვიდა, არავის დაუმტკიცებია, მაგრამ შესაძლოა აფხაზურიც კი იყოს, აი, ამ ნ-ით თურმე შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ ოდესღაც ქვეყანაზე იყო

„აფხაზთა სამეფო“ და იმ სამეფოს დროს „აფხაზები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ადგილობრივ პოლიტიკასა და კულტურაში, ვიდრე დღეს“.

ბატონო, ჯორჯ, როგორც ჩანს თქვენ თვითონ იგრძენით თავი უხერხულად, როცა ამ სიტყვებს წერდით და იქვე აღიარებთ: მაინც ისტორიკოსი არა ვარ და მეტს არ ვიტყვი ამ სადავო საკითხზეო.

ისტორიკოსობა არ უნდა ამას, პატივცემულო მეცნიერო, აზრის პატიოსნება სჭირდება. ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ნ აფხაზურია და დასკვნა შემდეგ გააკეთოს. მეტსაც ვეტყვით, თუ თქვენ დაამტკიცებთ რომ ის ნ აფხაზურია, ამითაც ვერ მოუპოვებთ აფხაზებს უპირატესობას: იმიტომ რომ მსალოდნელია მე, ქართველმა, ტომით მეგრელმა, აფხაზურში ვიპოვო ასო-ჰ, რომელიც მეგრელთა უპირატესობაზე ილაღადებს. კერძოდ, მხედველობაში მაქვს აფხაზთა ხალხური გმირული ეპოსი — აბრსკილი, ქართული ამირანიანის მსგავსი ხალხური ქმნილება. როგორ გგონიათ რა არის აბრსკილი. ნიკო მარის აზრით: „მზის შვილი“ (აფხ. ამირ-აბირ-მზე და მეგრ. ჭან. სკილ-სკირ-შვილი) მ. ჩიქოვანის აზრით აბრსკილი „ამბრის შვილია (ამბრი ამირანის პერსონაჟია), შ. სალაყაია კი „ქვის შვილად“ მიიჩნევს (აფხ. აბრა-ქვა), ცნობა გადმოვწერე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან (ტ. I, გვ. 36; 1975). მაშასადამე, ეს აზრი მეცნიერებაში გაზიარებულია. ჩემთვის ამ უწყებაში საყურადღებოა, ის რომ სამივე მეცნიერი ერთნაირად აღიარებს — სკილის მეგრულ-ჭანურობას და მას „შვილად“ თარგმნიან. რაც ჩემთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანია, ეს სიტყვა ჩემს გვარშიაც ასევე „ზის“, როგორც აბრსკილში, წულეი-სკირი, სკირი, სკილი, და შემოკლებული: სქი-სკი პარალელურად იხმარება მეგრულში. თუ თქვენ აფხაზეთის სიძეობის გამო შეგიძლიათ ამტკიცოთ აფხაზთა უპირატესობა, იმ ერთი სუფიქსის ერთი ასოთი, მე მთელი სიტყვა მაქვს საკუთარ გვარში, რომელიც აფხაზებს თავიანთ მთავარ ხალხურ გმირულ ეპოსში გამოუყენებიათ. ამ დროს, რისი თქმის უფლება მეძლევა? ალბათ უნდა გავიხსენო ძველი ეგრისი, ან ლაზიკის სამეფო, ან სულ მთლად კოლხეთი ეგებ რომელიმე ეპოქაში, რომელიმე ხა-



ნაში მეგრელები (ანუ ქართველები) თქვენი სიტყვით რომ ვთქვათ: „უფრო მსიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ადგილობრივ პოლიტიკასა და კულტურაში, ვიდრე დღეს აფხაზები?“

მაგრამ თქვენთვის ჩემს დაკვირვებას მნიშვნელობა ვერ ექნება, „სკილი“ კი არა თქვენ აღშფოთებით წერთ: „რა შუამია ის, რომ ქართულად ლოცულობდნენ მორწმუნე აფხაზები და რომ აფხაზეთში მდებარე ეკლესიები შემკულია ქართული წარწერებით — თურმე აფხაზეთში მდებარე ქართულ ეკლესიებზე ქართული წარწერების არსებობა არაფერ შუაში ყოფილა, ხოლო შუაში ყოფილა მაინცა და მაინც ის ერთი ასო — ნ, რომელიც პატივცემულ მეცნიერს მეგრულ ენაში აღმოუჩენია და, კაცმა არ იცის აფხაზურია თუ მეგრული.“

ყველაფერი ეს, ბატონო ჯორჯ, — ის ერთი ასო — ნ, მეგრულ სინტაქსში ს. ჯანაშიას მიერ ნაკოვნი, სკილი — აფხაზურ ხალხურ ეპოსში, ქართული წარწერები აფხაზეთში მდებარე ქართულ ეკლესიებში, „არაფერ შუაში“ კი არა, სწორედ შუაში არიან და ამტიკცებენ, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, გიორგი მთაწმინდელის სიტყვით ის იყო: „ქუეყანა ჩუენი.“ „ჩუენ პირველწოდებულისა... ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“ (გიორგი ხუცეს-მონაზონი).

დასასრულ, ჩვენ საბოდიშო არაფერი დაგვმართნია, ბატონო ჯორჯ, სტალინის დანაშაულისათვის ქართველი ხალხი პასუხს ვერ აგებს. ის ქართველი მოღვაწე არ ყოფილა, სტალინმა ქართველ ხალხს არანაკლები უბედურება და მწუხარება დაატეხა თავს.

დაუჯერებელია პირდაპირ, მარტო ბოდიშსაც არ მოითხოვთ ჩვენგან, თანდათან, უფრო შორსაც მიტოპავთ, იმუქრებით კიდევ (აღბათ უნებლიედ!) „სანამ საქართველოში კიდევ დაიღვრებოდეს უმანკო სისხლი, შეურიგდით თქვენს ძმებსო...“ მოგვიწოდებთ. დიდება შენდა, ღმერთო! სისხლი

უკვე დაღვრილია, — 17 ადამიანი მოკლული, ასობით დაჩეხილ-დაჭრილი, თან ასეთი ულტიმატუმი, — დროზე შემირიგდი თორემ სისხლის ღვრას განვაგრძობ, უფრო მეტს დავხოცავთ.

სადმე (ინგლისში მაინც!) ადამიანობა, გონიერება, კეთილშობილობა, რაინდობა რომ არსებობდეს, თქვენ აფხაზებს უნდა მოუწოდებდეთ ბოდიშისაკენ და არა ქართველებს. აფხაზთა უღირსმა შვილებმა (და არა მთელმა ხალხმა) ჩაივინეს კაენური ცოდვა ქართველების წინაშე, საბოდიშოდ საქმე მათა აქვთ და ბოდიშიც მათ უნდა მოიხადონ მას შემდეგ, როცა აფხაზი ტერორისტები საკადრისად, სამაგალითოდ, კანონის მთელი სისასტიკით, სახალხოდ, საჯაროდ დაისჯებიან.

მაშ, ბატონო ჯორჯ, ყველაფერს ყირაზე რატომ აყენებთ?.. დალატობთ მეცნიერულ სიმართლეს, სინდისს, ადამიანურ კეთილშობილებას, უცხოელის (განსაკუთრებით ბრიტანელის!) აღზრდას, კულტურას, ჯენტლმენობას... რისთვის? მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, როცა აფხაზეთში ჩამოხვალთ, და უხვი სუფრა გაგიმართონ? — ამას ს ი ძ ე ს ისედაც გაგიმართავენ...

## მწერლების ჩაქოლვისა და ქართული ენის ზედ მიყოლების თაობაზე

მწერლებმა რევაზ მიშველაძემ და გურამ პეტრიაშვილმა მწვავედ გააკრიტიკეს ჩვენი ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი: ლიანა ისაკაძე და რობერტ სტურუა.

სულ სხვა პიროვნება და მოღვაწეა ერთი მწერალი, სულ სხვა მეორე.

სულ სხვა ურთიერთობა არსებობს რევაზ მიშველაძესა და რობერტ სტურუას შორის (მწერლისა და რეჟისორის ურთიერთობა), სხვა გურამ პეტრიაშვილსა და ლიანა ისაკაძეს შორის (მუსიკოსისა და მისი მსმენელი მწერლის ურთიერთობა).

ისინი გავაერთიანე ერთი ნიშნით — გამკრიტიკებელი ორივე მწერალი „ჩაქოლა“ განსაკუთრებული სისასტიკით.

რევაზ მიშველაძის წინააღმდეგ დაიწერა მრავალი წერილი, კოლექტიური წერილები გამოჩენილ თეატრალთა, მწერალთა, ასალგაზრდათა, ცალკეულ პირთა. მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებებიც კი აღსდგნენ მის წინააღმდეგ — კინემატოგრაფისტთა კავშირი, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი, რუსთაველის თეატრი. ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ რევაზ მიშველაძე გაათავისუფლა ჟურნალ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან.

ვითომ ასეთი „ჩაქოლვის“ ღირსი იყო მწერალი? ჩემი აზრით — არ იყო.

მწერალთა კავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას მე ვენდობი, შეიძლება მათ სხვა მოტივიც ჰქონდათ რ. მიშველაძის გასათავისუფლებლად. მიუხედავად ამისა, ნება მომეცით, ასეთ „მისევას“ მწერალზე მხარი არ დავუჭირო და განზე გავდგე.

რა დააშავა ასეთი რ. მიშველაძემ — ჩვენთვის, ყველასთვის, საყვარელ რეჟისორს უთხრა ის, რასაც მასზე ყველანი ვფიქრობთ: ცოტა მეტი ქართული თემატიკა მის რეპერტუარში, ცოტა მეტი ზრუნვა საქართველოსათვის, ქართველებსათვის. სულ ეს იყო საოქმელი!

უხეზად, უტაქტოდ, მეტისმეტად დარწმუნებულმა თავისთავში, უთხრა მწერალმა რეჟისორს გულში ნადები. ამით აღაშფოთა საზოგადოება და ვინც გუშინ მხარში ედგა, ისინიც მოწინააღმდეგეებად გაიხადა.

გურამ პეტრიაშვილის წინააღმდეგაც აღსდგა მთელი მუსიკალური სამყარო. ცალკეულ მძაფრ წერილებს მოჰყვა კოლექტიური წერილები, კოლექტიურ წერილებს სახელმწიფო დაწესებულებების განცხადებები და პროტესტები, კომპოზიტორთა კავშირსა და კამერულ ორკესტრს თავი რომ დავანებოთ, თვით კულტურის სამინისტროც აიყალბა მწერლის განსაქიქებლად.

ვითომ იმსახურებს ამას გურამ პეტრიაშვილი? ღმერთი, რჯული არ იმსახურებს.

როცა გ. პეტრიაშვილის დასაცავად ამ სიტყვებს ვწერ, ერთი წუთით არ მავიწყდება ჩვენი ბრწყინვალე მუსიკოსი ლიანა ისაკაძე, არა მარტო თვითონ ლიანა, მთელი მისი ოჯახი ძვირფასია ქართველი ხალხისათვის, მაგრამ გ. პეტრიაშვილიც განუმეორებელი მოვლენაა ქართულ მწერლობაშიც და ეროვნულ მოძრაობაშიც. მას ისეთი არაფერი დაუშავებია, მოვიკვეთოთ, ჩავქოლოთ. მართალია, ზედმეტი მოუვიდა, გადააჭარბა, როგორც ჩანს ვერ გამოზომა, ამისთვის სრულიად საკმარისი იყო ერთი, ორი, სამი, ოთხი წერილი მის წინააღმდეგ, ამდენი? — არ მთავრდება გ. პეტრიაშვილის ჩაქოლვა! კომპოზიტორთა კავშირის მიერ თავს დატეხილი ქარცეცხლით გვეგონა დამთავრდებოდა ამ თემაზე წერა-კითხვა. გაზეთმა „თბილისმა“ პოლემიკა დამთავრებულად გამოაცხადა.

ამოვისუნთქეთ, მადლობა ღმერთს შევწირეთ, რომ წერილი დაესვა არცთუ უმტკივნეულო პოლემიკას: ლიანა ისაკაძე ხომ მართლაც მშვენიერია და დიდებული, გურამ პეტ-

რიაშვილიც არ არის მთლად გადასაცემი და ამით დავამთავროთო, მოგვიწოდა გაზეთმა „თბილისმაც“.

ნურას უკაცრავად, ახალი წერილები გამოჩნდა გაზეთ „ქართულ ფილმში“. „ლიტერატურულ საქართველოში“. ამის მოთმენაც შეიძლებოდა, — გურამ პეტრიაშვილი გაუძლებს!..

მაგრამ ვნახოთ რა წერია ამ წერილებში? თურმე რა, — „ერისთვის სასარგებლო ქმედებისათვის არის თუ არა კატეგორიულად აუცილებელი მშობლიური ენის ღრმა ცოდნა და მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში?“ — კითხვას სვამს ავტორი (გაზეთი „ქართული ფილმი“, 1989 წ. 20 დეკემბერი).

ვინ არის ამ წერილის ავტორი? — უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი, არჩილ ჩხარტიშვილი. თურმე ერისთვის სასარგებლო ქმედებისათვის კატეგორიულად აუცილებელი მშობლიური ენის ღრმა ცოდნა არ ყოფილა, რადგან: „ქართულ ენას საერთოდ არ ფლობდნენ (ან თუ ფლობდნენ, ძალიან ცუდად): კოტე მარჯანიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, მელიტონ ბალანჩივაძე, ივანე ბერიტაშვილი... უნაკლო ქართულით მეტყველებდნენ: იოსებ ჯულაშვილი, ლავრენტი ბერია, ფილიპე მახარაძე... გიგლა ბერბიჭაშვილი“.

ასე მსჯელობს მომავალი ჟურნალისტი, რა უნდა ვუპასუხო? პირველი კურსის სტუდენტია, არ მინდა გული ვატკინო, თან მისი სახელიცა და გვარიც რაღაცას მეუბნება... უნდა ვუთხრა მაინც სხვა გზა არ არის: არც ეს სიებია სწორი და, რა თქმა უნდა, არც ეს შეპირისპირება. პროფესიულ ენაზე ამგვარ მსჯელობას ჰქვია სოფისტიკა, ანუ ფორმალურად სწორია, მაგრამ არსებითად მცდარია დასკვნა. მაინც რისი თქმა უნდა ავტორს ამგვარი შეპირისპირებით? აი, როგორც დასკვნას აკეთებს თვითონ: „ესე იგი ნათელია, რომ ქართული ენის კარგად ცოდნა არამც და არამც არ არის ჭეშმარიტი მამულიშვილობის კრიტერიუმი“. ვითომ ნათელია? თანაც არამც და არამც?.. ნამცეცა იმედსაც აღარ გვიტოვებთ რომ ქართული ენის ცოდნა ქართველისათვის რაღაცას ნიშნავდეს?..

სამწუხაროდ, მარტო სტუდენტი არჩილ ჩხარტიშვილი როდი ფიქრობს ასე. „არაერთი ქართველი მეცნიერი მეტყველებდა რუსულად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ გრანდიოზულ ეროვნულ საქმეებს დაადგეს თავი“ (მანანა კორძაია, რუსუდან წურწუმია, მანანა გედევანიშვილი, მარინე ქავთარაძე, ნანა ლორია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 22 დეკემბერი, 1989 წ.).

„მწერალ გ. პეტრიაშვილს, უეჭველია კარგად მოეხსენება, რამდენი დიდებული მოღვაწე გვყოლია რუსულად მოუბარი, საქმით კი დაუმტკიცებიათ ჭეშმარიტი მამულიშვილობა და ერისკაცობა“ (ნანა ქავთარაძე, რუსუდან ქუთათელაძე, გაზ. „თბილისი“, 1989 წ. 15 დეკემბერი).

მაინც რა, რისი თქმა უნდათ, რა აწუხებთ გ. პეტრიაშვილის კრიტიკოსებს? განა გურამ პეტრიაშვილი სადმე მათ ან სხვა ვინმეს ედავება, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რუსულად მოუბარი ქართველი მეცნიერები გრანდიოზულ ეროვნულ საქმეებს არ აკეთებდნენო?.. არა, მწერალს მსგავსი რამ არსად უთქვამს. კრიტიკოსები მაინც უკიჟინებენ. დაჟინებით ქადაგებენ რუსულად მოუბარ ადამიანთა განასკუთრებულ მამულიშვილობას, რატომ ასე ხაზგასმით, ასე საგანგებოდ, ასე უსაბაბოდ? თურმე რატომ, — აი რას წერენ ისინი: „ამასთან მხოლოდ ქართულით, თუნდაც დახვეწილით, ჩვენს დროში ხელოვანი ფონს რომ ვერ გავა, ვფიქრობთ, გ. პეტრიაშვილიც დაგვეთანხმება“ (ნანა ქავთარაძე, რუსუდან ქუთათელაძე, გაზ. „თბილისი“, 1989 წ. 15 დეკემბერი).

ქართული ენით ფონს ვერ გავალთო, ეს აწუხებთ თურმე და როგორმე მცდარი აზრი რომ გაამართლონ, კოტე მარჯანიშვილმა ქართული კარგად არ იცოდა, მაგრამ დიდ ქართულ საქმეებს აკეთებდა — გვეუბნებიან.

გურამ პეტრიაშვილი იმით არის ძლიერი, რომ კერპებით მას ვერ შეაშინებთ, კერპი მისთვის დიდი ხანია არ არსებობს. მხოლოდ ერთ კერპს ემსახურება, ეს კერპი გასლავთ საქართველო და ქართული ენა, სხვა დანარჩენი, ყველაფერი, ემორჩილება მათ.

ქართულით ფონს ვერ გავალთო, მამ რომელი ენით გა-

გალთ ფონს?.. რახან ქართულით ფონს ვერ გავალთ, ის ენა უნდა შევისწავლოთ, რომლითაც ფონს გავალთ, მთავარია, ის „ფონზე გამსვლელი“ უნდა ვიცოდეთ კარგად და დავეინაურდებით ცხოვრებაში, სახელსა და დიდებას მოვიხვეჭთ. ეს ენა რუსული ენაა. ხოლო ქართული თუ კარგად გვეცოდინება, კარგია, თუ ცუდად, ქვეყანა არ დაიქცევა. ასეთია ავტორთა პოზიცია.

როცა ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილში ასეიო აზრი ტრიალებს, არ უნდა გაგვიკვირდეს რიგითმა მოქალაქემ თადარიგი თავიდანვე დაიჭიროს და შვილი რუსულ სკოლაში შეიყვანოს.

პატივცემულო გურამ პეტრიაშვილის ოპონენტებო, სულ ტყუილად გგონიათ, რომ ამაში გ. პეტრიაშვილი ან ნ. წულეისკირი, ან სხვა, რომელიმე ქართველი მწერალი, დაგეთანხმებათ.

ის რაც თქვენთვის ნათელია, ჩვენთვის სრულებით არ არის ნათელი, პირიქით, ძალზე ჩამობნელდა, უკუნეთი ჩამოწვა..

მაინც ეჭვი არ მეპარება ოპონენტთა პატრიოტობასა და მამულიშვილობაში, ზოგ მათგანს პირადად ვიცნობ, დანამდვილებით ვიცი, მათ ჩვენზე ნაკლებად არ უყვართ ქართული ენა და საქართველო, მით უფრო საწყენია დაცდენილი სიტყვა. ძალაში რჩება გ. პეტრიაშვილის წერილის პათოსი და ბრწყინვალე სათაური: „რამდენად უფრო მშვენიერი ხარ...“

თურმე გურამ პეტრიაშვილმა განა მარტო „ხრამის“ უნებლიე წამოცდენა ამხილა. გამოავლინა მცდარი აზრის არსებობა ჩვენს ინტელიგენციაში, რომ თითქოს ქართული ენით ფონს ვერ გავალთ, რომ ქართული ენის კარგად ცოდნა არ არის მთავარი, იგი იცოდა იოსებ ჯუღაშვილმა, მაგრამ საქართველოსთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია. მაშასადამე, შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართულ ენას, ან ვიცოდეთ ცოტ-ცოტად, საყველპუროდ, ხოლო „ფონისთვის“ საჭირო ენას, რუსულ ენას, კი კარგად უნდა დავეუფლოთ.

სინამდვილე სხვაგვარადაა. არაფერი უფრო ძვირფასი ვიდრე ქართული ენაა ქართველ ხალხს არ გააჩნია. დღეს

თუ არა სვალ ქართული ენა თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს ქართველი ერის ცხოვრებაში და მაშინ ფონსაც გავალთ და მეტსაც ვიზამთ. ქართული ენა რუსთაველის ენაა. და მას უნდა გავუფრთხილდეთ თვალისჩინივით, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს მაშინაც, როცა პოლემიკა უკიდურესად გამძაფრებულია.

შინაწერი, ამ წერილის გამოქვეყნებას მოჰყვა არჩილ ჩხარტიშვილის მადლობის წერილი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, რაც იშვიათი მოვლენაა ქართულ სინამდვილეში.

მეც, ჩემი მხრივ, მადლობას ვუხდით ახალგაზრდა კრიტიკოსს — პატიოსნებისათვის, ვაჟკაცობისათვის, კეთილშობილებისათვის,



ქართული ენა ღვაწივით, არა სიტყვით,  
არამედ საშემო

1989 წ. 1 სექტემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ კმაყოფილება გამოვთქვი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის დაკანონებისა გამო და გამოვაქვეყნე, თერთმეტი წელი „პატიმრობაში“ მყოფი ჩემი სიტყვა, წარმოთქმული მწერალთა კავშირში 1978 წ. 11 აპრილს. პასუხად მივიღე რამდენიმე წერილი:

რუსთავიდან: „ბატონო ნოდარ! თუ ადამიანის სხეულს ან სულს რაიმე ისეთი სიღრმე გააჩნია, რომლის გაზომვა ხელსაწყოთი არ შეიძლება, ალბათ ასეთ ნაწილად ადამიანის გული უნდა ჩაითვალოს. პოდა, აი, გულის სიღრმემდე შემძრა თქვენმა სიტყვამ, რომელიც 1978 წ. 11 აპრილს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განხილვისას გიბრძანებიათ. მორალურად გამართლებულ, იურიდიულად კანონიერ თქვენს მოთხოვნებს განა რაიმე შედეგი მოჰყვა? თითქმის არაფერი, ან სულ არაფერი. არადა რა შრომა გაგიწევიათ! რა ენერგია დაგიხარჯიათ! – თუ არაფერს ვიტყვით თქვენს ნერვულ დაძაბულობაზე. ალბათ ამიტომაც „ომმა“ ისე დაგლალათ, ფარ-ხმალის დაყრა გადაწყვიტეთ და რაც ყველაზე საოცარია, პარტიიდანაც წასულხართ!.. ის, რაც ამ თერთმეტი წლის წინ იყო, კვლავ ისეა. განა 1989 წ. 15 აგვისტოს № 427 დადგენილება კი გატარდება ცხოვრებაში? არა და არა!..“

წერილი მთლიანად არ მომაქვს მრავალ მიზეზთა გამო. ავტორი გახლავთ რუსთავის მკვიდრი ბახვა მიქელაშვილი.

თითქოს ბახვა მიქელაშვილის მოსაზრებას კონკრეტული ფაქტით ადასტურებსო, მეორე წერილი მივიღე თბილისიდან. მოვიტან წერილის იმ ადგილებს, რაც უშუალოდ ქართული ენის კონსტიტუციური უფლების შელახვას შეეხება:

„საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში, მინისტრის მდივანმა ტატიანა სივცოვამ არ იცის ქართული ენა, ასევე არ იცის ქართული ენა მინისტრის სხვა სამი მოადგილის სამმა მდივანმა ვალია კირიჩენკომ, მანანა დირბოევამ, სონა ტოკარევამ. ერთმა მათგანმა თითო-ოროლა სიტყვა იცის, მაგრამ ვერ მიიღებს გადმოცემულ ტელეფონოგრამას, ვერ აუხსნის ადამიანს ქართულად თუ რატომ არ შეიძლება შესვლა მინისტრთან, არ შეუძლია საქმის წარმოება ქართულად. მინისტრის მდივანი იძულებულია რაიონიდან ჩამოსულ ქართველ გლეხკაცს თარჯიმნად დაუყენოს სამინისტროს მუშაკები.

რატომ ხდება ეს? რა დაინტერესებაა ასეთი? მაშინ როდესაც ვაჭრობის სამინისტროს აპარატში მუშაობს ორი ქართველი ქალი — ყოფილი მდივნები, მუშაობის დიდი სტაჟით ნ. გომელაური და ლ. ნიკურაძე.

ქართველ კაცს საქართველოს ვაჭრობის მინისტრთან თარჯიმნის გარეშე უნდა მიესვლებოდეს...”

ძნელია ამ წერილის ჭეშმარიტება ირწმუნოს კაცმა. დღეს როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ასეთ სიმაღლეზეა, როდესაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ამ სამოცდაათი წლის მანძილზე, პირველად, ასეთი დიდი ყურადღება დაუთმო ქართულ ენას, შექმნა ქართული ენის პროგრამა და მასზე ზრუნვა ყოველდღიურ საქმიანობად აქცია, შიგ შუაგულ თბილისში, ვაჭრობის სამინისტროში, რომელიც სამინისტროებს შორის ყველაზე სახალხო, ყველა ხელობისა და საქმიანობის ადამიანთათვის ყველაზე საჭირო სამინისტროა, ყველა კართან, სადაც შეიძლება რაიმე საქმე გადაწყდეს, რომ საკითხი გაირკვეს, სხვა ეროვნების ადამიანი დაუყენებიათ და თუ რუსულ ენაზე არ დაელაპარაკებით, მინისტრთან და მის მოადგილეებთან ვერ შეხვალთ.

როგორც ვიცით, სამინისტროში ყველა მთავარ საკითხს წყვეტს მინისტრი, ან მინისტრის მოადგილე, თანაც ყველა მოადგილე არა. ზოგიერთ მოადგილეს არაფერი ეკითხება, ისე ჰყავთ, — ხელფასს აძლევენ. ვაჭრობის სამინისტროში მინისტრი და მისი ოთხი მოადგილე, ოთხივე, რუსული ენის

რკინის გალავნითაა შემოზღუდული, ურუსულოდ მათთან ვერ შეაღწევთ.

მწარე სიმართლეა! საჩივრებითა და წერილებით ამ სი-  
მართლეს ვერ დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ  
მესილა ოთხივე მდივანი, არ გავსაუბრებოდი მათ და არ ვი-  
ცოდე ვინ არიან ისინი.

ერთი წლის წინ თავად ვიგემე საქართველოს სსრ ვაჭ-  
რობის სამინისტროში მათთან შეხვედრის სიამე, იქ მინის-  
ტრის მოსაცდელში მიბრძანეს: გავარიტე პა-რუსკიო. ისინი  
მე არ მიცნობდნენ, არ იცოდნენ, რომ ასეთ ბრძანებებს არ  
ვემორჩილები. თვითონ კი უნდა ალაპარაკდნენ „პა-გრუ-  
ზინსკი, ეს უეჭველია (ახლა ამ სიტყვების მიქმელს ქართუ-  
ლის მასწავლებელი ჰყავს დაქირავებული!)“

კი მაგრამ რატომ? რა გაჭირვებაა ასეთი! როგორც უკვე  
ვთქვი, თვით სამინისტროში იპოვებიან მუშაკები, რომ-  
ლებიც შესანიშნავად უძღვებოდნენ მდივნობას ქართულ და  
რუსულ ენებზე სხვა მინისტრებთან და მათ მოადგილეებ-  
თან. მდივნების „გარუსება“ ყოფილმა მინისტრმა მოვსესი-  
ანმა დაიწყო თურმე, ეს გასაგებიცაა, მაგრამ ახლა ხომ დრო  
შეიცვალა, ახალი ვითარება შეიქმნა, ვაჭრობის სამინისტ-  
როსაც ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. ქართულ ენას იქ თა-  
ვისი კანონიერი უფლებები უნდა აღუდგეს.

პატივცემულ მინისტრს ვ. ჯინჯიხაძეს უნდა შევახსე-  
ნოთ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პირველი მუხ-  
ლი. „ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუცი-  
ური სტატუსის უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სო-  
ციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭო-  
თა ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ,  
სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადო-  
ებრივ ორგანიზაციებში“.

ნუთუ ასეთ ნათელ დადგენილებაში რამე ბუნდოვანია  
ან გაუგებარი? მაინც ვიკითხოთ რას ნიშნავს „ქართულის, რო-  
გორც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის უზრუნ-  
ველყოფა“ — იმას, რომ ვაჭრობის სამინისტრო უნდა მუშა-  
ობდეს ქართულ ენაზე, იქ ყველა საქმიანი ქალაქი, ყველა  
საბუთი, ყველა სსდომა, კრება... და ა. შ. უნდა ტარდებო-

დეს სახელმწიფო ენაზე — ქართულზე! მინისტრის მდივანი ტ. სივცოვა, ქართულ ენაზე შემოსულ ქალაქლებს ვერ წაიკითხავს, ვერ გასცემს პასუხს ქართულ მოსახლეობას. ვერ მიიღებს ტელეფონოგრამას ზესტაფონის სავაჭრო დაწესებულებებიდან. ვერც ვ. კირიჩენკო, მ. დერბოევა, ს. ტოკარევა იმუშავენ ისე, როგორც ეს ქართველ ხალხს სჭირდება. მაშასადამე, ირღვევა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლი. არ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს № 427 დადგენილებას ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. პასუხისმგებელი კი პატივცემული მინისტრი ვ. ჯინჯიხაძე ბრძანდება, ესეც იქ სწერია, იმ დადგენილებაში.

მინისტრთა საბჭოს დადგენილებას არ ასრულებს მინისტრი, ე. ი. თვითონ დაადგინა, მაგრამ აღარ ასრულებს. ამის შემდეგ სხვას რა მოვთხოვოთ!

ისე არავინ გამიგოს, რომ ვინმეს დაჩაგვრას მოვითხოვდე, ან გაძევებას ვაჭრობის სამინისტროდან, ღმერთმა დამიფაროს! არა. სულ ადვილად, უმტიკინეულოდ, შეიძლება და ამ საქმის მოგვარება სწორედ ერთი წლის წინ, როცა სამინისტროს მუშაკებს ამისკენ მოვუწოდე, — გადაეყვანათ ტ. სივცოვა, ვ. კირიჩენკო, მ. დერბოევა, ს. ტოკარევა, იქვე ვაჭრობის სამინისტროში, ან იქ, სადაც ისინი გაფორმებულები არიან, რაიმე სხვა, არასახალხო საქმეზე. მინისტრის და მისი მოადგილეების მდივნებად ქართულის და რუსულის მცოდნე ახალგაზრდები მოეყვანათ. ბოლოს და ბოლოს ერთი მდივანი მაინც გამოეცვალათ, რათა ჩუნჩხადან ჩამოსულ ქართველს არ გასჭირვებოდა მინისტრთან შესვლა. ეს იყო და დღესაც ეს არის ჩემი მოთხოვნა! არა, ყურად არ იღეს ჩემი რჩევა. ამიტომაც ავიღე ხელში კალამი და ამ საქმეს მივსდევ ბოლომდე, ვინაიდან იქვე, იმ დადგენილებაში სწერია თუ ვის უნდა მივმართო: „კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს“.

მინაწერი: უპრაობის ხანაში და ადრეც როცა დიდი „მოძრაობა“ იყო და ავი ვნებათა ღელვანი, წარმოიშვა თანამდებობის პირის მდივნის კოლორიტული სახე: მდივანი უსათუოდ ქალია, სასურველია სხვა ეროვნების. თვალად-ტანად ლამაზია, ყოველშემთხვევაში მიმზიდველი მაინც. იცვამს მოდაზე. ლაპარაკობს მეტწილად რუსულ ენაზე, მშობლიური ენა რუსულია, ან ეს ენა უკეთ იცის. საკმაოდ განათლებულია. იმ წიგნებს კითხულობს, იმ კინოფილმებს ნახულობს, იმ მუსიკას ისმენს, რომელიც მოდაშია. ქმნის განათლებული ადამიანის ილუზიას. თანამდებობის პირებთან, გამოჩენილ ადამიანებთან გასაოცრად თავაზიანია. უსახელო, უტიტულო მარტო სახელისა და გვარის მქონე ადამიანებთან უხეშია, უზრდელი. ეს „არისტოკრატი“ ლამაზი ქალი შეიძლება ერთ წამს ჯალათად გადაიქცეს და თანამდებობის პირის მისაღებიდან პანდურის კვრით გამოგადგოს.

შესწევს ყოველგვარი საქმის მოგვარება, — გააჩნია ვისი მდივანია ზოგჯერ ბინასაც შოულობს, პატიმარსაც ათავისუფლებს ციხიდან და შეიძლება რომელიმე ინსტიტუტში ჩარიცხვაც კი მოახერხოს. ქალაქში ცნობილი ადამიანია, ამიტომ „ჩაწყობის“ დიდოსტატია.

ზოგჯერ პატრონს მდივანი არჩენს. ვინაიდან ქრთამის აღება მას უკეთ, უფრო მარჯვედ შეუძლია. ასეთი მდივნები იშვიათია და ძვირად ფასობენ — თანამდებობის პირები ერთმანეთს არ უთმობენ.

ვაჭრობის სამინისტროს მდივნები ვერ იქნებიან ამ მასშტაბისანი, მაგრამ მათაც „ერგებათ“ „მცირე“ რამ, ამიტომ მიისწრაფიან ვაჭრობის სამინისტროს მდივნობისაკენ, თორემ წიგნის პალატის დირექტორის მდივნობა მაინცა და მაინც სახარბიელო არ არის, არც არავინ მიისწრაფის აქეთკენ.

დიდი კაცის მდივნობა ლამის ნომენკლატურულ თანამდებობად იქცა. ფაქტიურად ალბათ ასეცაა, ოღონდ აღიარებული არა გვაქვს.

## ახალიაობის იმედი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წელს, 26 იანვარს (8 თებ.) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

1918 წ. საქართველოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი თარიღია, ამ წელს დამთავრდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მონობა. ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო თვითმპყრობელობა, საქართველომ უნებურად გადაიგდო ცარისტული უღელი და თავისუფლება უბრძოლველად ებოძა. საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ნაბიჯი სწორედ უნივერსიტეტის გახსნა იყო. თავისთავად მრავლისმეტყველია ეს ფაქტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებისაგან იმით განსხვავდებოდა და დღესაც განსხვავდება, რომ მას მარტო საგანმანათლებლო როლი არასდროს ჰკისრებია. თბილისში უნივერსიტეტის გახსნა ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეის გამარჯვება იყო.

ორი დიდი სახელი უკვე ვახსენეთ ქართულ უნივერსიტეტთან დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე, კიდევ ერთი უნდა მივუმატოთ — ივანე ჯავახიშვილი... აი, რა მუხტი ჩაიდო თავიდანვე ქართულ უნივერსიტეტში!

პირველი წლები, პირველი ნაბიჯები, პირველი მეცნიერული კადრების მოზიდვა და აღზრდა; პირველი პროფესორები: ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, პ. მელიქიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ექ. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ს. ავალიანი, ი. აბულაძე, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, გ. ჩუბინაშვილი. ეს იყო უნივერსიტეტის ოქროს ხანა.

მაგრამ უნივერსიტეტს ახსოვს სუნვეებიანურ-მანქურთუ-

ლი გრძელი პერიოდის, ის დრო, როცა უნივერსიტეტიდან გამოაქვეს ივანე ჯავახიშვილი. როცა იდეენებოდა ყოველივე ეროვნული. თვით ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, „მუქთახორა ქართველებად“ იყვნენ შერაცხულნი. მოვიტან ერთ მაგალითს: 1927 წ. „ტყის დღე“ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოცემა. ეს კრებული იხსნება მიხა ცხაკაიას ვრცელი წერილით „ტყე“, წერილს ეპიგრაფად უძღვის ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი: „ტყეს ესხმება ფოთოლი. აგერ მერცხალი ჭყვივის, ბაღში ვაზი თბოლი მეტის ლხენითა სტირის. აყვავებულა მდილო, აყვავებულა მთები, მამულო საყვარელო შენ როდის აყვავდება“ (პუბლიკაციის სტილი დაცულია ნ. წ.) „მემამულე თავადიშვილი პოეტის „მამული“, რასაკვირველია, — არ აყვავებულა, — წერს მიხა ცხაკაია, — მას სურვილი ვერ აღუსრულდა. ისტორიამ მის საკითხს მისცა შესაფერი სამართლიანი პასუხი, თავადების — აზნაურების და ყველა მუქთახორა ქართველების მამული, ე. ი. მათი სოციალ-ეკონომიური ფუძე საქართველოში, — მათი სამშობლო დაინგრა...“

შემდეგ მიხა ცხაკაია უფრო პირდაპირ ამბობს სათქმელს. მუქთახორა ლუარსაბ თათქარიძეების იდეოლოგებს — ფეოდალ პოეტებს უწოდებს ილიასა და აკაკის.

ხუნვეინბინურ-მანქურთულმა დამოკიდებულებამ ეროვნული გრძნობისადმი თანდათან დააკნინა უნივერსიტეტის როლი და მნიშვნელობა.

დროთა განმავლობაში მის აღზრდილებში მეტი ადგილი დაიკავეს მექრთამე რაიკომის მდივნებმა და კარიერისტმა კომკავშირულმა მუშაკებმა.

1936, 37, 38, 42, 51 წლებში სულ მთლად ამოშანტეს ეროვნული სული უნივერსიტეტიდან.

ხუნვეინბინურ-მანქურთული დამოკიდებულება პატრიოტული გრძნობისადმი დიდხანს გაგრძელდა. მიაღწია ისეთ უმაღლეს წერტილს, — როცა პატრიოტობას ხულიგნობა დავარქვით, ხოლო პატრიოტები როგორც ხულიგნები გავასამართლეთ.

ჩვენდა საბედნიეროდ უნივერსიტეტი ვერ გატეხა ვერც ანტიპატრიოტულმა მრავალწლიანმა მძლავრობამ ზემოდან,

ვერც ხუნვეინბინურ-მანქურთულმა დამოკიდებულებამ ნამდვილ საზოგადო მოღვაწეთადმი. სამოცდაათიან თთხმოციან წლებში კვლავ იფეთქა იმ პერიოდულმა მუსტმა და ასალმა თაობამ უნივერსიტეტი მიაბრუნა თავის სამი მოძღვრისაკენ, — დავით აღმაშენებლისაკენ, ილია ჭავჭავაძისაკენ, ივანე ჯავახიშვილისაკენ, რომელთა გარეშე ქართველ ხალხს არსებობა არ უწერია.



## საუკუნის დანაშაული

1989 წლის 23 აპრილს, ცენტრალურმა ტელევიზიამ პროგრამა „ვრემიაში“ კვლავ შეურაცხყო ქართველი ერი, აბუჩად აიგდო ჩვენი ეროვნული ტრაგედია. გამოიყვანა მკვლევები, სწორედ ის მუხანათები, რომლებმაც „ლაფათ-ქების“ თავში ცემით დაგვიხოცეს საუკეთესო შვილები, ავლანეთში გამოცდილი ქიმიური იარაღით მოგვიწამლეს ასობით ადამიანი, მრავალი ბავშვი.

აი, ამ მკვლევებმა მილიონობით საბჭოთა ტელემაყურებლებს წარბშეუხრელად უთხრეს ამაზრზენი სიცრუე — ვითომ ისინი კი არ შეიჭრნენ ტანკებით სხვა ქვეყანაში, მათ დაესხნენ თავს დემონსტრანტები და სისხლი ადინეს — ტელეეკრანიდან დალაქავებულ (ე. ი. სისხლიანი) პერანგებს, დაზიანებულ მუზარადებს უჩვენებდნენ ხალხს.

როგორც ცნობილია, ოკუპანტებმა ძირითადად დახოცეს ჩვენი ქალები, მათ შორის ერთი სამოცდაათი წლის მოხუცია, ერთიც ფეხმძიმე ქალი. თურმე ისინი დაესხნენ თავს კბილებამდე შეიარაღებულ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს.

გაუგონარი ცინიზმია! მეტიც...

1924, 1937, 1956, 1989 წლების მკვლელობანი ქართველი ერის ფიზიკური გენოციდია. ცენტრალური გაზეთებისა და პროგრამა „ვრემიას“ პუბლიკაციები კი ქართველი ერის სულიერი გენოციდი.

სულიერი გენოციდი მთელი ერის სულიერ მოკვლას ისახავს მიზნად, ამდენად, უფრო ტრაგიკულია და საზარელი, „ვრემიას“ წუხანდელი უწყებანი სულიერი გენოციდის ახალი მცდელობაა.

9 აპრილის ტრაგედიაში, როგორც ჩანს, რომელიმე ერთი ან ორი გენერალი როდი მონაწილეობს, მოქმედებს ოკუპანტი. ნ. შულეისკი

პანტებისა და მკვლევების მთელი არმია, რომელთაც პრესა და „ვრემია“ უმაგრებს ზურგს.

„ვრემიამ“ წუხელ ბრალი დასდო ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი წერეთელს და ვია ჭანტურიას, რომელთაც ჯერ არ ვიცით რა დააშავეს, ხოლო ვინც მართლა დააშავა, ისინი თავისუფლად დაპარპაშებენ, იმათ არ დასდო ბრალი.

ერთი ადამიანის წინასწარგანზრახვით მოკვლისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა გვაქვს კანონში — სიკვდილი.

წინასწარგანზრახვით ოცი ადამიანის გაჟლეტისათვის ნუთუ არავის არაფერი მოეკითხება?..

ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი წერეთელს, ვია ჭანტურიას კონსტიტუციურად ჰქონდათ უფლება მოეხსნათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ოკუპანტებს კი არ ჰქონდათ კონსტიტუციურად იმის უფლება, უდანაშაულო ადამიანები დაესოცათ რესპუბლიკის დედაქალაქში, მთავრობის სახლის წინ.

რა მოხდა ასეთი? რა დავაშავეთ? რისთვის შემოიჭრა ალა-მაჰმად-ხანი თბილისში ან თემურ ლენგი რამ გააცოფა... — სხვათაშორის ისინი დღისით მოდიოდნენ ზურნის ჭყვიტინით. ღამით, ბანდიტურად, ტერორისტული ზრახვებით, დღევანდელი თემურლენგები და მურვან ყრუნი მოქმედებენ, ეს მათი ხელწერაა — ტანკებით ახალგაზრდების და ბავშვების გაჟლეტა....

მათ რომ ნდომოდათ დემონსტრაციის მხოლოდ გარეკვა, ნუთუ დღისით, მზის სინათლეზე ეს არ შეიძლებოდა? მკვლელობა დაგეგმილი იყო, იმიტომ ჩაატარეს ღამის ოთხ საათზე ქურდულად, ვერაგულად, მუხანათურად!..

ქართველ ერს ასეთი ტრაგედია ამ საუკუნეში თავს არ დასტყდომია. 1956 წ. 9 მარტი ვერ შეედრება 9 აპრილს. მაშინ ტყვიით მაინც დაგვზვრიტეს, დღეს „ლაფათების“ თავში ცემით გვანთხვეინეს სისხლი (არც ტყვია დაგვაკლეს).

ძირითადად გოგონები დაიხოცნენ. ისინი გადაუდგნენ წინ მტარვალებს, იფიქრეს — ჩვენ, ქალებს, თავში „ლაფათის“ ჩართყვით არ მოგვკლავენო, საქართველოში ხომ ქალს

ძალღიც არ შეუყეფსი სწორედ თავში ცემით მოკლეს ყველა-  
ნი.

მე არ გამოვსულვარ არც ერთ მიტინგზე. არასოდეს  
სხვისთვის არ მომიწოდებია ასე მოიქეცი და ისე მოიქეციო.  
იმიტომ კი არა, რომ არ მინდა საქართველოს თავისუფლება  
და დამოუკიდებლობა, არ ვიცი მე ეს საქმე. ჩემზე უკეთ  
სხვებმა იცოდნენ და ამიტომაც ისინი ლაპარაკობდნენ.

დღესაც არ ვიცი, ახლა როგორ მოვიქცეთ. ჩადენილია  
საუკუნის დანაშაული მიწაში ჩამარხულია დემოკრატია,  
გარდაქმნა, საჯაროობა და მისთანა მოწოდებანი, გაფანტუ-  
ლია ყველა ილუზია...

რაღა უნდა ვუთხრათ ხალხს, რა დარჩა სათქმელი?..

ქართველმა ერმა პატივი უნდა მიაგოს სამშობლოსათვის  
დაცემულ წმინდანებს: აზა ადამიას, ეკა ბეჟანიშვილს, ნატო  
გიორგაძეს, თამუნა დოლიძეს, თინა ენუქიძეს, ნინო თოიძეს,  
ზაირა კიკვიძეს, მანანა ლოლაძეს, თამარ მამულაშვილს, მა-  
მუკა ნოზაძეს, ნანა სამარგულიანს, მარინა ჭყონია-სამარგუ-  
ლიანს, ელისო ჭიპაშვილს, თამარ ჭოველიძეს, ნოდარ ჯან-  
გირაშვილს, მზია ჯინჭარაძეს, მანანა მეღქაძეს, გია ქარსე-  
ლაძეს, ნათია ბაშალეიშვილს, შალვა ქვასროლიაშვილს.

ელდარ შენგელიას წინადადებას, ალბათ მხარს დაუ-  
ჭერს მთელი საზოგადოება და სიტყვას საქმედ ვაქცევთ. იქ,  
სადაც დაიღუპნენ — მთავრობის სახლის წინ, ძეგლი უნდა  
აეგოს ყველას სათითაოდ. ისინი „მამაო ჩვენოს“ ლოცვის  
დროს მოკლეს, შეეწირნენ დიად იდეას, რისთვისაც შეი-  
რაცხნენ წმინდანებად თავის დროზე ქართველი მოწამენი.

ემოციებს ნუ აყვებიითო, — ქადაგებენ პრესიდან, ტელე-  
ეკრანიდან. როგორ! განა შეიძლება ამ სიტყვების დაწერა  
უემოციოდ? შეიძლება დღეს ქართველი კაცი ემოციის გა-  
რეშე? პირუტყვი უნდა იყოს, უემოციოდ დადიოდე თბილისის  
ქუჩებში, ნახო მთავრობის სახლის წინა მოედანი ყვავილე-  
ბის ზღვაში, გადაურეცხავ სისხლის ლაქებზე მიყრილი მი-  
ხაკები, შავით მოსილი გოგო-ბიჭები ამ ყვავილების ირგვლივ  
მობორჩალები, უემოციოდ? ან შეესწრო ამ ყვავილების,  
გვირგვინების კვლავ ტლანქი სელით იქიდან აყრას და აღ-  
შოფოთებამ კვლავ ყალყზე არ შეგაყენოს?..

ერთადერთი გზა, ერთადერთი ხსნა სწორედ გრძნობა და ემოციაა, გული რასაც გვიკარნახებს, ის უნდა გავაკეთოთ, მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი. გულმა უკარნახა ქართველ ახალგაზრდობას აი, ასეთი ლამაზი გლოვა და იგლოვა კიდევ არაჩვეულებრივად, არნახულად, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გლოვა ეკადრებათ გმირებს, მხოლოდ ასეთი გლოვა იყო ჭეშმარიტი...

ქართველ ახალგაზრდობას, მთლიანად მთელ ერს ღირსეულად უჭირავს თავი, სწორედ ისე, როგორც ეკადრება, როგორც შეეფერება.

ამოდ არ დაღვრილა უმანკო სისხლი, — გაიღვიძა რუსთაველის საქართველომ!

დიდი ტრაგედიის შემდეგ დგება დიდი განწმენდის ქამიც.

გავაჩინოთ სამართალი ვინ დაგვიჩეხა შვილები, დები და ძმები, ვინ გასცა სიკვდილის განკარგულება, ვთქვათ ეს სიყალბისა და სიცრუის აბლაბუდები კი არ ვქსელოთ, სახელები და გვარები გამოვაცხადოთ იმათი, ვინც მშვიდობიანი დემონსტრაცია გაჟლიტა მთავრობის სახლის წინ. სიცრუით, არამზადული ზრახვებით, ისევ ქართველების დასჯით ვერ დააშოშმინებთ აბობოქრებულ გულებს. ციხიდან გამოვუშვათ უსამართლოდ შეპყრობილნი, თორემ კვლავაც იქნება-სისხლისღვრა, კვლავაც დაუწვებიან მუხლუსიან ტანკებს, რეპრესია არ არის გამოსავალი. ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ რეპრესიებით არაფერი მიიღწევა. პატრიოტიზმი არ არის ის გრძნობა, რასაც რეპრესიებით მოკლავთ. პატრიოტიზმის ამოძირკვა შეუძლებელია ქართველის გულიდან.

პატრიოტიზმი ქართველი ახალგაზრდობის სულსა და გულს საბოლოოდ დაეუფლა, არ არის დღეს უფრო დიდი ძალა, ვიდრე პატრიოტიზმია. არაფერი არ მოქმედებს ახალგაზრდებზე ისე, როგორც პატრიოტიზმი. ეს გრძნობა აერთიანებს და რაზმავს მათ. განა ამისკენ არ ისწრაფოდა ქართული სული დასაბამიდან დღემდე? ამ დიად მიზანს საპყრობილებით, ტყვიით და ტერორით ვერ ჩაკლავ!

სიმშვიდისაკენ, გონიერებისაკენ, კეთილშობილებისაკენ, უბრალოდ პატიოსანი, მართალი ცხოვრებისაკენ უნდა მოვუწოდოთ სწორედ დამსჯელ ორგანოებს, ხელისუფლებას და არა სამშობლოს სიყვარულისთვის დახოცილ, დასახინრებულ, ნაწამებ ახალგაზრდობას, რომელიც სამართლიან შურისგებას მოითხოვს.

## მროვეული გმირი

მერაბ კოსტავაზე ვერ ვიტყვოდით, რომ ის იყო გამოჩენილი მწერალი ან მუსიკოსი, ან მეცნიერი, თუმცა ბრწყინვალე პოეტიც ყოფილა, შესანიშნავი მწერალიცა და კრიტიკოსიც, საზოგადოებამ ეს არ იცოდა. ჩვენ მას ვიცნობდით როგორც ეროვნული მოძრაობის ერთერთ მეთაურს.

რა ხიბლი ჰქონდა, რატომ უყვარდა ქართველ ხალხს ასეთი გზებით, ასე გამორჩეულად, ასე განსაკუთრებულად რატომ ვცემდით თავიანთს, მოკრძალებას და პატივისცემას სიცოცხლეშივე რატომ იწვევდა? რად იყო ლეგენდარული ცოცხალთა შორის? — იმიტომ რომ ეროვნული გმირის ყველა თვისების იყო შექმნილი, — ქართველი ეროვნული გმირისა!

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შემდეგ ეროვნული გმირი ჩვენ არ გვყოლია. გამოჩნდა ყმაწვილი, ვინც სკოლის მერხიდანვე ააფრიალა თავისუფლების დროშა. დაბადებით, ბუნებით, მოწოდებით აღმოჩნდა გმირი. წინამძღოლად, მეთაურად, სარდლად გაეჩინა განგებას.

გარეგნობაც ჰქონდა გამორჩეული — წარმოსადგეი, ახოვანი, ძლიერი. სული მტკიცე, შეუდრეკელი, ხავერდოვანი ლამაზი ხმაც თითქოს ამ სულიდან მომდინარე...

ყველაფერი შესწირა სამშობლოს: ახალგაზრდობა, პირადი ცხოვრება, თჯახი, შვილიც კი და, ბოლოს, საკუთარი სიცოცხლაც...

მერაბ კოსტავასა და მისი მეგობრების დამსახურება განუზომელია ქართული ეროვნული მოძრაობის განახლებასა და გამოღვიძებაში. მათ შეუძლებელი შეძლეს: მკვდარი საქართველო გააცოცხლეს.

მე-19 საუკუნეში დიდი ილიას მიერ დაწყებული ეროვნული მოძრაობა დაუნდობლად ჩაკლეს მე-20 საუკუნეში.

ქართული ეროვნული სული ამოშანთეს ადამიანთა გულები-  
დან, დაივიწყეს მშობლიური ენა, მშობლიური მიწა-წყალი,  
ქართველი სამშობლოს კამნატკას ეძახდა. „საქართველოს“  
ხსენებაც კი ნაციონალიზმად ითვლებოდა. საქართველოში  
მარადიული წყვდიადი ჩამოწვა. აი, ამ წყვდიადში აგერ-  
აგერ გაიჭიატებდა რომელიმე ტანჯული მწერლის მიერ ან-  
თებული ლამპარი, საიდანაც ჩანდა რომ მიცვალებულს გუ-  
ლი ჯერ კიდევ უცემდა. ასეთ დროს, ტირანიის სრული აღზე-  
ვებისას სრულ სიბნელესა და უმეცრების ჭაობში აავიზვი-  
ზეს სამშობლოს სიყვარულის ნამდვილი კოცონი ზვიად  
გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, რომლის ჩაქრობა ხელი-  
სუფლებამ დღემდე ვერა და ვერ შესძლო. თუმც არ დაჰკ-  
ლებიათ მძლავრობა მტარვალთაგან, საპყრობილე, დევნა-  
შევიწროება ხელისუფალთაგან, საჯარო ლანძღვა-ვინება და  
შეჩვენება ნაძირალათაგან.

მერაბ კოსტავამ მრავალი წელი დაჰყო ციხეში, მრავა-  
ლი გადასახლებაში, იცხოვრა კატორღული ცხოვრებით აქაც,  
თბილისშიც, და იქაც, ციმბირშიც. გაუტყეხელი დაბრუნდა,  
ზნეობრივად გამარჯვებული დაბრუნდა, გმირი დაბრუნდა.  
თავისუფლების დროშა ერთხელ მალლაატაცებული ძირს  
არ დაუშვა და ეროვნული მოძრაობა არნახულ ახალ სიმაღ-  
ლეზე აიყვანა.

1988 წ. ნოემბრისა და 1989 წ. აპრილის ამბებს — სა-  
ქართველოს ისტორიის ოქროს ფურცლებს, მერაბ კოსტა-  
ვას და მის მეგობრებს უნდა ვუმაღლოდეთ. ცხრა აპრილის  
იმ მისტიკურ ღამეს ხომ მერაბ კოსტავამ მთლიანად გამოაყ-  
ვლინა თავისი შინაგანი ძალა, იმ საღამოს ის იყო უშიში ვი-  
თა უსორცო, დინჯი და აუჩქარებელიც. რაც მთავარია, ტრი-  
ბუნაზე იდგა იმედი. ხალხს მას შესცქეროდა იმედის თვა-  
ლით, წაგვიძღვება და გაგვამარჯვებინებსო. როცა გაჭირდა,  
ტანკების გრიალ-გრიალი გაისმა, შედგა ტრიბუნაზე მი-  
სებურად ძლიერად, მკვიდრად და შეშინებულ ქართველობას  
იმედიანი „შავლეგო“ უმღერა. თვითონაც იმ შავლეგოს ჰგავ-  
და, — მართლა სისხლით დაფერილი ჩოხა თუ ეცვა, მაგრად  
იდგა ფეხზე, მგაფონიც მაგრად ჩაებლუჯა, „შავლეგოს“ ისე  
აგუგუნებდა, აითქოს შემოსიკული ოკუპანტები ამ სიმღერით

უკან უნდა გააბრუნოსო. იმ საღამოს „შავლეგო“ მან ჰიმნად აქცია. დღესაც ჰიმნივით მღერიან მას ახალგაზრდები.

მერაბ კოსტავა იმითაც იყო მშვენიერი, რომ ქართველი ეროვნული გმირის ყველა თვისება გააჩნდა. ცოტნე დადიანს ასობით მტერი არ დაუხოცია. ერთი ადამიანიც კი არ მოუკლავს, მაგრამ გამოიჩინა გასათვარი ქველობა, მოყვასთათვის გასწირა თავი. ეს თვისება, — ავთანდილობა ამშვენებს ყველა ქართველ ეროვნულ გმირს. მერაბ კოსტავაც შემკობილი იყო ამ თვისებით. გაჩენილი იყო ავთანდილად, არ ისწრაფოდა პირველობისაკენ, ამით იყო მოუწვდომელიცა და პირველიც. პირველად ომის დამწყები კი სწორედ ის იყო და ომში შესვლაც მას პირველი უყვარდა.

პირველი შეება მტერს ცხრა აპრილის ღამეს, პირველი წავიდა აზერბაიჯანელ ტერორისტებთან „საომრად“, პირველი გაიჭრა აფხაზეთშიც ძმათა სისხლისღვრის აღსაკვეთად, პირველი წავიდა მესხებთანაც უმძიმესი ქართული საქმის მოსაგვარებლად და შეეწირა კიდევ ამ საქმეს.

სიკვდილი ყოველთვის არ არის სიკვდილი, ზოგჯერ ის გვირგვინია. მერაბ კოსტავას ტანჯულ ცხოვრებას სიკვდილმა დაადგა შარავანდედი. დაუღეწა ხორცი და ძვალი და აღუზევა სული. სულის უკვდავების სჯეროდა მერაბს, ამიტომ უსათუოდ ამოვა კიდევ ერთი „ვარსკვლავი მოტყინარე“ თბილისის ცაზე და დაადგება მთაწმინდას. ეს იქნება ჩვენი ეროვნული გმირის წამებული სული.



„ლიბერალური საბარდველოს“ შეკითხვები  
მწერალ ნოდარ ფულიძისკირს

1) როგორ გესახებათ სახალხო ფრონტის მომავალი საქმიანობა და თქვენი ადგილი ამ მუშაობაში?

ა) რა მიმართულებით უნდა წარიმართოს თქვენი საქმიანობა?

ბ) როგორია მიმართება სახალხო ფრონტისა და ოფიციალურ ხელისუფლებას შორის (მხოლოდ მოთხოვნების როლში ხომ არ დარჩება)?

გ) დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურა მიმართველობისა ერთმანეთს ხომ არ დაუპირისპირდება?

დ) „ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ თითოეული წევრი დავასაქმოთ“ (ნ. ნათაძე) რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს?

2) პროგრამის შესწორებისას შეტანილი ცვლილებებიდან, რომელი მიგაჩნიათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად?

3) როგორია თქვენი შეხედულება თანამედროვე საზოგადოების ზნეობაზე.

ა) რა საშუალებებით შეიძლება აიცილოთ თავიდან სახალხო ფრონტში შემოხვევითი და მედროვე ადამიანების „მოკალათება“ (ალბათ, ყველას არა აქვს ზნეობრივი უფლება ილაპარაკოს ერის სახელით. მაგრამ თავისთავად ამან არ უნდა მიიღოს იდეოლოგიური და პირადი ანგარიშსწორების სახე).

ბ) რამდენად მზადაა მორალურად ქართველი ხალხი იმ მიზანთა განსახორციელებლად, რომელსაც სახალხო ფრონტი ისახავს.

გ) საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ქართველი

ხალხის ზნეობრივ დაცემას ხედავს იმაში, რომ იგი ეწინააღმდეგება ე. წ. „თურქი მესხების“ ჩამოსასლებას საქართველოში. თქვენი პოზიცია ამის შესახებ.

4) რას იტყვით აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის შესახებ?

დავიწყეთ ბოლო, მეოთხე შეკითხვით, — აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის შესახებ რას იტყვით, მეკითხებით. რას ვიტყვი... აფხაზეთში ისეთი ვითარება შეიქმნა სიტყვის დაძვრაც კი ჭირს. რა უნდა ვთქვათ? საერთოდ აზრის გამოთქმამ, წერამ და კითხვამ დაკარგა მნიშვნელობა. დიალოგი გამართეთო! ვისთან გავმართო დიალოგი? მკვლელებთან რა დიალოგი უნდა გავმართოთ? ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან და უნდა ველაპარაკოთ როგორც დამნაშავეებს. განსაკუთრებული სისასტიკით მასობრივი მკვლელობისათვის როცა კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან, გაზეთში ვნახავთ ცნობას განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილიო, მხოლოდ ამის შემდეგ ექნება აზრი დიალოგს, მსჯელობას იმაზე თუ ვინ არიან აფხაზები, საიდან მოვიდნენ, რა არის ისტორიული აფხაზეთი და რა მიმართებაშია დღევანდელი აფხაზეთი მასთან.

დღეს კი ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა ავსებულია, ელოდება ჭეშმარიტების დადგენას, დამნაშავეთა მხილებას — ვინ გაისროლა პირველი თოფი აფხაზეთში, რა გვარისაა, რა რჯულისაა. ის ბოროტმოქმედი, ამდენი ხანი რატომ არ აცხადებენ მის გვარს საჯაროდ, ტელევიზორში, რატომ არ გვაჩვენებენ მის ფოტოსურათს. ვინ არიან ისინი, ვინც დაარბია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, სიკვდილის პირას ვინ მიიყვანა აქ შეკრებილი ყმაწვილები და მათი მასწავლებლები. მათ გვარებს პრესაში რატომ არ ვაქვეყნებთ?

ვინ დაესხა ღამით საავადმყოფოს?.. მსგავსი ბარბაროსობა ნეტა თუ იცის ისტორიამ. უდანაშაულო, უიარაღო ადამიანები შეიარაღებულმა შარის ყაჩაღებმა დახოცეს, დაჭრეს, დაჩხეს და საავადმყოფოშიც მისდიეს, დაჭრილებისთვის

ექიმებს დახმარება რომ არ აღმოეჩინათ. ასეთ რამეს ფა-  
სისტებიც კი არ სწავლიდნენ. ნუთუ ისინი შარვაშიძეთა  
შსამომავლები არიან! შეუძლებელია ისინი წაჩხები ვერ  
იქნებიან, — ყიზილბაშები არიან და ძალიან გვანან მარნე-  
ულელ და დმანისელ ბელაზზე ამხედრებულ ავტომატებით  
შეიარაღებულ შარის ყაჩაღებს.

პატივცემულო ძველო ძმებო და მეგობრებო, ამჟამად უკ-  
ვე მკვლევებო! სატანური ძალებით არ მოიპოვება თავისუფ-  
ლება. ბელაზზე ამხედრებული შარის ყაჩაღი თავის ერს სი-  
კეთეს ვერ მოუტანს. ყაჩაღური, ბანდური ბრძოლა არ არის  
ეროვნული ბრძოლა. ბელაზზე შემდგარი ავტომატით შე-  
იარაღებული ადამიანი მარნეულშიც და გუდაუთაშიც, პა-  
ნისლამიზმით ნაკვები ტიპიური საბჭოთა ქურდი — მკვლე-  
ლია, რომელიც მანამდე დახლში იდგა, ქურდობდა, ან კომ-  
ბინატორობდა, მარჯვედ ისარგებლა საბჭოთა უკანონობით,  
ისპეკულიანტა, იქურდა, იყაჩაღა, ქონება დააგროვა, გამდიდ-  
რდა, გაქსუვდა, იყიდა ბელაზიც, იყიდა ავტომატიც, ნაპა-  
რავმა ფულმა და გადამალულმა განძეულმა ძალა მისცა,  
შედგა ბელაზზე და სხვისი მიწა-წყლის მთლიანად დაპატ-  
რონება მოინდომა. რატომაც არა! თურმე ინტერნაციონა-  
ლიზმის დროშით მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეიძლე-  
ბა!..

თუ საქართველოში მინიმალურად მაინც არსებობს ხე-  
ლისუფლება, არ გაუქმებულა უშიშროების სახელმწიფო კო-  
მიტეტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, სა-  
მართალდამცავი სახელმწიფო დაწესებულებები, მაშინ სა-  
ჭიროა უფრო აქტიური მოქმედება, — მკვლევები პასუხის-  
გებაში უნდა მივცეთ და ხალხს ვაუწყოთ დროზე. თორემ  
მოსალოდნელია გაფიცვებიც, არეულობებიც და, რაც მთა-  
ვარია, უფრო დიდი ხოცვა-ჟლეტაც. ადამიანი ვერ მოით-  
მენს ამდენ უსამართლობას!

პრესის მიხედვით აფხაზეთში ვინც დაღუპულია, უმეტე-  
სობა ქართველია, იჭერენ ისევ ქართველს, იარაღს ართმე-  
ვენ ქართველს, წესრიგის დასამყარებლად შემოსული შინა-  
გან საქმეთა ჯარის ნაწილების მეთაურები თავიანთ ინტერ-

ვიუბში კომენდანტის საათით ემუქრებიან დასავლეთ საქართველოს რაიონებს, ე. ი. ისევ ქართველებს.

ავტომატით შეიარაღებული არაქართველი დაჰქრის საქართველოში და ქართველებს ხოცავს... ჩვენ გულხელდაკრეფით სანამდე უნდა შევცქეროდეთ ამას?!

საქართველო ხალხთა მეგობრობის კლასიკური ქვეყანაა, ინტერნაციონალიზმი ქართველი ხალხისთვის სხვას არ უწავლება. ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობა ქრესტომათიული მეგობრობაა. დაწყებული უძველესი დღიდან „კუართი უფლისა მცხეთელ პურიათა წარულიაო“, დამთავრებული დღევანდელ დღემდე, როცა ქართველმა ებრაელობამ არნახული, არ გაგონილი ქართული მოღვაწეობა გააჩაღა ისრაელში.

ასევე ქართულ-სომხური ძმობა ქრისტიანულ ფუძეზე დამყარებული, დღევანდელ დღემდე მტკიცედ და შეურყევლად გრძელდება.

ქართველთა და თვსთა მეგობრობა, მოყვრობა და ნათესაობა ქართულ მატრიანეებში სწერია გარკვევით.

ყველაფერს თავი დავანებოთ, ქართველმა ხალხმა ძმობა გამოუცხადა თავის ისტორიულ მტერს — თათარიც ჩემი ძმა არისო და ამით დაამთავრა მარადიული კონფლიქტი მაჰმადიანურ სამყაროსთან. ქართველი ხომ თათარს ეძახის ყველა მუსულმანს.

კავკასიელ ძმებს შორის გამორჩეული ძმობა ქართველ კაცს მუდამჟამს აფხაზთან ჰქონდა. აფხაზს „თავისად“ თვლიდა. აფხაზეთს მთელ დასავლეთ საქართველოს ეძახდა, „მისაზღვრამდე ქალდიისა“.

სიმონ კანანელიო, — ამბობს გიორგი მთაწმინდელის პირით, გიორგი ხუცესმონაზონი „ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდებისო“ „ქუეყანასა ჩუენსა“ ასე ვიცოდით, ასეა ისტორიაში, ასე იყო წარსულში, — ანტიკური დროიდან ერთად იყვნენ და მთელი ქრისტიანული საუკუნეებიც ერთად გამოიარეს ქართველებმა და აფხაზებმა.

„ქუეყანასა ჩუენსა, აფხაზეთს“ — გ. ხუცესმონაზვნის სიტყვებს როცა ვიმეორებ, სამშობლოს კი არავის ვართმევ, კი

არ მივიჭრები აფხაზეთში ავტომატით, როგორც ამას აფხაზი ტერორისტები სჩადიან. სხვათაშორის, ტექსტიდან ჩანს, რომ არც გიორგი მთაწმინდელს ჰქონია ეს გუნებაში, თორემ იტყოდა „ქუეყანასა ჩემსაო“. „ჩუენსა“, დიახს აფხაზეთი იყო „ქუეყანა ჩუენი“. ქართველ მეფეთა ტიტულატურა „მეფე აფხაზთათი“ იწყებოდა. ნუთუ ყველაფრის დავიწყება შეიძლება და ყველაფრის უარყოფა?!

დღევანდელ აფხაზ ტერორისტებს სულ არ აინტერესებთ, რა იყო წარსულში და როგორ იყო, აიღეს თოფი და მოკლეს ძმა იმის სურვილით მეტი ქონება მოიხვეჭონ, უკეთ იცხოვრონ.

მაგრამ საქართველო, ამავე დროს, შურისძიების კლასიკური ქვეყანაცაა, ეს არ დაავიწყდეს არავის! სისხლის აღება, ჩაქვავება-ჩაქოლვა, ამ საუკუნის ოცდაათიან წლებშიც კი არის აღრიცხული ჩვენში. შურისძიება ისეთივე ადამიანური გრძნობაა, როგორც შენდობა და, თუ გნებავთ, როგორც მეგობრობა. შურისძიება სამართლიანობის განვითარებული ინსტინქტია. სამართლიანობის აღდგენა ზოგჯერ შურისძიებითაც მიიღწევა.

სამაგიეროს მიზლვა არა ნაკლები შეებაა ადამიანისათვის, ვიდრე შენდობა და პატიება. იმდენად ძლიერია ეს პირველყოფილი ვნება, იგი ცივილიზებული საზოგადოებების კანონებშიც კი აისახა. განზრახ მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა სწორედ სამაგიეროს მიზლვის, სამართლიანი შურისძიების გამოსატულებაა.

სამართლიანი შურისძიების ძველი გრძნობა სრულებით არ არის უცხო დღევანდელი ქართველისთვისაც, თავს დამტყდარმა უსამართლობამ გააღვიძა პირველყოფილი ინსტინქტი და გამწარებულმა იარაღს დაუწყო ძებნა. გამოჩნდა შურისძიების პირველი ნიშნები — თავს ესხმიან იარაღის საწყობებს, მილიციის შენობებს და მოითხოვენ თოფს, ტყვიაწამალს, საომრად ემზადებიან. თანამემამულეებს ამას კი ნამდვილად ვერ მოვუწონებთ. ჩვენ მათ მტკიცედ უნდა აღუდგეთ წინ. ბარბაროსული, ველური საქციელი, პირველყოფილი ინსტინქტებით ბრძოლა არ ყოფილა არასდროს ქართველის ერისთვის დამახასიათებელი. ის, რაც სუმგაითში

მონდა, განა ოდესმე ჩაუდენიათ საქართველოში ვერა, ჩვენ ვერ დავემსგავსებით ბნელში მსდომ სუმგაითელ, ფერლანელ და აფხაზ ტერორისტებს, ვერ ავყვებით ბნელ ინსტინქტებს. ქართველი ხალხი, აღზრდილია მთაწმინდელების წმიდა წიგნებზე, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ ის ვერ შედგება ბელაზზე და ავტომატს ვერ დაუშენს სამაგიეროდ აფხაზ ხალხს.

ჩვენი შურისძიება იქნება კანონიერი. კანონის ძალით სახალხოდ, საჯაროდ უნდა დაისაჯონ დამნაშავენი. მაგრამ ძმისმკვლელისათვის სიკვდილით დასჯა იქნება კი სამაგიეროს მიზლვა როგორც დაისაჯა კაენი, — პირველი ძმის მკვლელი, აფხაზ ტერორისტებსაც აი, ასეთი, სამარადისო და საკაცობრიო ზიზლი და შეჩვენება უნდა გამოვუცხადოთ. მკვლელები არა მარტო უნდა დავსაჯოთ და შევაჩვენოთ, არამედ მათ გარშემო უნდა შეიქმნას შეურიგებლობის, მოკვეთის, ზიზლის ატმოსფერო. საჯაროობა სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ, უნდა გავაგებინოთ მთელ საქართველოს ვინ არიან ისინი, ვისი შვილები, ვისი ნათესავები, სად ცხოვრობენ, სად მუშაობენ... ფეხქვეშ მიწა უნდა ეწვოდეთ მათ. შთამორავლებმა და ახლობლებმა სირცხვილით გარეთ ვერ უნდა გამოჰყონ თავი! მარადიული სინანულით უნდა იარონს დედამიწაზე!

ახლა გადავიდეთ სხვა შეკითხვებზე.

1. ჭირს სახალხო ფრონტის მომავალი საქმიანობის წინასწარი განსაზღვრა. საქართველოში პოლიტიკური ვითარება იცვლება ძალზე სწრაფად, თითქმის ყოველდღე ახალი პოლიტიკური სიტუაციაა. ფრონტის მუშაობაც ამის მიხედვით უნდა წარიმართოს, ამიტომ წინასწარ დასახული გეგმა თითქმის შეუძლებელია. მომავალში ალბათ ასე არ იქნება, მაშინ უფრო გამოიკვეთება სახალხო ფრონტის საქმიანობაც. სახალხო ფრონტი ჩემი წინადადებით შეიქმნა მწერალთა კავშირის ერთერთ საერთო კრებაზე, ყოველშემთხვევაში საფუძველი იმ კრებაზე ჩაეყარა, — პირველი საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა.

მაშინ ჩვენ ვვარაუდობდით რომ გავაერთიანებდით ეროვნულ ძალებს, ყველა საზოგადოებას, ყველა არაფორმალს,

ყველა პატრიოტს ერთად შეგვკრებდით, ეროვნულ მოძრაობას ერთი მიმართულებით წარვმართავდით. პირდაპირ უნდა ვთქვა: ხელი შეგვიშალეს..

ნოდარ ნათაძის შეუპოვრობით, სიმტკიცით, რწმენისადმი შეურყეველი ერთგულებით სახალხო ფრონტი მაინც დაფუძნდა. მაგრამ მხოლოდ დაფუძნდა. ნამდვილი სახალხო ფრონტი ჩემი აზრით თანდათან უნდა ჩამოყალიბდეს, სახალხო ფრონტმა უნდა მოიცვას მთელი საქართველო, ყველა კუთხე, ყველა სოფელი, ყველა საწარმო, ყველა გაერთიანება, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ის სახალხო.

თქვენი ერთერთი შეკითხვაა ფრონტის თითოეული წევრის მაქსიმალურად დასაქმება რამდენად რეალურად გეჩვენებათო.

ძალზე რეალურად მეჩვენება. ვინაიდან ფრონტის ძირითადი მიზანი სწორედ ეს არის. ძირეული უჯრედები უნდა იყოს ისეთი ძლიერი, ადგილობრივი ბიუროკრატია შიშით ძრწოდეს. თითოეული ფრონტელი უნდა იყოს სამართლიანობისთვის მებრძოლი. როცა სიმართლე შენს მხარეს არის, სიმართლის გზით მიდიხარ, წინ ვერავენი გადაგიდგება. ეროვნულ ბრძოლას, საერთოდ ეროვნულ მოძრაობას უმაღლესი სამართლიანობა, ობიექტურობა და პატიოსნება უნდა უძღოდეს წინ.

თვით საქართველოს თავისუფლება არ მინდა უსამართლო, უპატიოსნო გზით მოპოვებული.

პირადად ჩემი ღვაწლი სახალხო ფრონტში ჯერჯერობით ძალზე მოკრძალებულია. ვერ ავუწყვე ფეხი ფრონტელებს, ვერ ვიპოვე ჩემი „საქმე“, ვერ შევუდექი ნაყოფიერ შრომას. დროს კი უქმად ვკარგავ. მომავალში ალბათ დავლაგდებით და ჩემი როლიც გამოიკვეთება.

დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურა მმართველობისა ერთმანეთს ხომ არ დაუპირისპირდებაო, — არა, არ დაუპირისპირდება.

2. პროგრამის შესწორებისას შეტანილი ცვლილებებიდან მეტნაკლებად ყველა მნიშვნელოვანია.

3. ჩემი შეხედულება თანამედროვე საზოგადოების ზნეობაზე გამოთქმული მაქვს შეძლებისდაგვარად. ჩემს ნაწარ-

მოებებში. უკანასკნელ ხანს კი აფსაზეთის სტუდენტთა ჟურნალმა „ცხუმმა“ გამოაქვეყნა ჩემი ინტერვიუ, სადაც ამ კითხვაზეც გავეცი პასუხი. მესაუბრებოდა ჟურნალის რედაქტორი ლ. ახალაძე, სხვებსაც შევხვდი, თანამშრომლებს. არ ვიცი დღეს ცოცხლები არიან თუ არა, ეგებ დაჭრილები საავადმყოფოში წვანან!..

სტუდენტურ ჟურნალში ასე ვპასუხობდი ამ შეკითხვაზე: „1917 წ. ჩვენ უარყავით ღმერთი, ღმერთთან ერთად უარყავით ქრისტიანული ზნეობრივი კოდექსი, რაც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ცივილიზებული კაცობრიობის მიერ. სამაგიეროდ, სანაცვლოდ გერაფერი შევქმენით, გარდა კომუნისტური მორალისა. კომუნისტური მორალი კი, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა მორალური. საზოგადოებაც შესაბამისად შესაფერი მივიღეთ“.

რა საშუალებებით შეიძლება აიცილოთ თავიდან სახალხო ფრონტში შემთხვევითი და მედროვე ადამიანების „მოკალათება“ — მეკითხებით თქვენ. ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია. ჩემი რჩევაა ასეთი შეკითხვები საერთოდ არ დასვათ. მე არ ვიცი სახალხო ფრონტში ვინ არის მედროვე ადამიანი, დარწმუნებული ვარ არც არავინ იცის. თუ ვინმე „მოკალათებულია“, ეს ალბათ მე ვარ, ვინაიდან მაინცა და მაინც მნიშვნელოვანს არაფერს ვაკეთებ. ასეთი შეკითხვები ამწვავენს ურთიერთობებს, ძაბავს, აღიზიანებს ადამიანებს, ჭეშმარიტება ამით არ მიიღწევა.

თქვენ, ბრძანებთ: ყველას არა აქვს უფლება ილაპარაკოს ერის სახელით. მართალი ბრძანდებით! მაგრამ ვის შეუძლია იმის დადგენა, ვინ ილაპარაკოს ერის სახელით და ვინ არა. მსაჯული ვინ იქნება!..

სახალხო ფრონტი და, საერთოდ, ყველა „ფრონტი“, ამჟამად საქართველოში, მიზნად ისახავს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ამისთვის ქართველი ხალხი მე მგონი მზად არის, ოღონდ ხიშტით კი არ სურს ამის მოპოვება, არამედ მშვიდობიანად, პარლამენტური გზით.

ჩემი პოზიცია თურქი მესხების ჩამოსახლების თაობაზე ყოველთვის იყო ძალზე მარტივი და კონკრეტული: თურქი



არ უნდა ჩამოსახლდეს, მესხი უნდა ჩამოსახლდეს, სხვა პო-  
ზიცია არასდროს მქონია და არც მომავალში მექნება.

თუ დღეს ასეთი გამოჩენვა შეუძლებელია, მაშინ დრო-  
ებით უარი უნდა ვთქვათ მესხებზეც, ვინაიდან მიწა თურ-  
ქებისთვის კი არა სტიქიით დაზარალებული სვანებისა და  
აჭარლებისთვის არა გვიქვს.

1. როგორ გესახებათ მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობა. რამდენადაც ეს პროცესი ხორციელდება საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის გარემოცვაში?

2. საქართველოში ახლა მრავალი „ფორმალური“ თუ „არაფორმალური“ გაერთიანება არსებობს, რამდენად სწორად გეჩვენებათ ეს ტერმინები?

3. როგორ დაახასიათებდით საქართველოში შექმნილი საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულებას?

4. ეროვნული პრობლემების გრძელი მწკრივიდან რა შეიძლება გამოიყოს და გადაიჭრას ამჟერად?

5. როგორია თქვენი აზრი საქართველოს პოლიტიკურ სუვერენიტეტზე?

ა) შესაძლებელია თუ არა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა დღეს?

ბ) როგორია საქართველოს პოლიტიკური რეალობის ცოდნის ხარისხი ჩვენში?

6. როგორ წარმოგიდგენიათ ეროვნული დემოგრაფიული სურათის შეცვლის ხარისხი და მეთოდები?

7. რა გზები გესახებათ საქართველოს ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.

8. რა პრობლემებს წამოჭრიდით თქვენს მხრივ?

### პ ა ს უ ხ ე ბ ი

1. მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობა შესაძლებლად მიმაჩნია.

უბრძოლველად, უშრომელად, მხარეთქობზე წამოწოლილს, არავინ მოგვართმევს დამოუკიდებლობას. თუ ხელებს დავი-

კაპიწებთ და ოფლს მოვიდენ ამ საქმისათვის, ეგებ სასურველი მიზნისკენ ნაბიჯი გადავდგათ.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძველებურ რკინის სტრუქტურას, სწორედ რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობა დაანგრევს.

ამდენად ჩვენი მონდომება და მოწადინება, თუ ერთად იქნება ერი და მისი მთავრობა, უსააუოდ გამოიღებს ნაყოფს.

მე, პირადად, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე დიდ იმედებს ვამყარებ. ვინაიდან ეკონომიკური დამოუკიდებლობა უშუალოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობის შედეგად მესახება. ისინი ცალცალკე ვერ იარსებებენ.

თუ ჩვენი ეკონომიკური საშინაო და საგარეო ურთიერთობანი თანამედროვე მეცნიერულ დონეზე დავაფუძნეთ, საქართველოს სასახლო მეურნეობა ფეხზე დავაყენეთ, ღვთის ბოძებული ბუნებრივი სიმდიდრენი: მიწა, წყალი, ჰაერი, წიაღისეული, სხვა სიკეთენი გონივრულად გამოვიყენეთ, მოვაწესრიგეთ ფინანსები, მივალწიეთ არა ცრუ, არამედ რეალურ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, თავისთავად ცხადია, ყოველივე ეს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შედეგი იქნება.

გავრცელებულია აზრი თითქოს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა არ შეუძლია, ერთი დღე რომ შეგვიწყვიტონ პურის მოწოდება, შიმშილით დავისოცებით. სხვას რომ ყველაფერს თავი გავანებოთ, მოსახლეობას პურით ვერ უზრუნველვყოფთო.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი თვლიან, აგრეთვე, რომ ჩვენ არა გვაქვს წიაღისეული, რითაც მსოფლიო ბაზარზე ვივაჭრებთ, არა გვაქვს წარმოება მაღალ დონეზე, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი მსოფლიო ბაზარზე არ გაიყიდება. არა გვყვანან კადრები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას წარმართავენო და მისთანანი.

შეიძლება ამგვარი ეჭვები მთლად უსაფუძვლოც არ იყოს, მაგრამ რატომ ვერ უზრუნველვყოფთ მოსახლეობას პურით ჩემთვის გაუგებარია. უნაყოფო, მწირი მიწები გვაქის

თუ პაერი არ გვივარგა, მზის სითბო გვაკლია თუ წყალი? მაშ, რატომ ვერ მოვიპოვებთ ჩვენს საკუთარ საკვებს? პური თუ ვერ მოვიყვანეთ, სიმინდს ხომ მოვიყვანთ, სიმინდის მოსავალი თუ არ იქნება, ჩაის ხომ მოვკრეფთ? — გავყიდით და პურს ვიყიდით. გასაკვირია პირდაპირ, ნუთუ ამას ეკონომისტობა და პოლიტიკოსობა სჭირდება? ისლანდია — ყინულის ქვეყანაა. იქ მხოლოდ ხავსი და მღიერი ხარობს. ისლანდიას არ უთქვამს პურს ვერ ვიშოვიოთ და ამიტომ დამოუკიდებლობა არ მინდაო.

მსოფლიო მასშტაბის ეკონომისტები ეგებ მართლა არ გვყვანან, მაგრამ დავიჯერო პაპუასებს ჰყავთ ასეთი კადრები? — პაპუასებს არ უთქვამთ დამოუკიდებლობაზე უარი. ისლანდიელებიც და პაპუასებიც მშვენივრად ცხოვრობენ ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებლად.

არის კიდევ ერთი აზრი ეკონომიკური დამოუკიდებლობის უფრო დამაჯერებლად უარმყოფელი. თითქოს ცხოვრებამ მოითხოვა, აუცილებლობა შეიქმნა — ინტეგრაციული პროცესების წარმოშობისა. ამას ჩვეულებრივად ასე გამოთქვამენ: **ო ბ ი ე ქ ტ უ რ მ ა რ ე ა ლ ო ბ ა მ მ ო ი თ ს ო ვ ა ხ ა ლ ხ ე ბ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ი ნ ტ ე გ რ ა ც ი ა**. იქმნება მსოფლიო ბაზარი, საერთო ბაზრები, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, სხვადასხვა გაერთიანებები, ამ დროს დამოუკიდებლობის მოთხოვნა არ არის მეცნიერულად გამართლებული. დამოუკიდებლობაზე მსოფლიობა ჩამორჩენილობაათ — აქამდეც კი მიდიან.

სხვათაშორის ამ ათიოდე წლის წინათ, ასევე თავგამოდებით ამტკიცებდნენ ენათა ინტეგრაციას, სხვადასხვა ენათა შერწყმა-შეერთების გზით, საერთაშორისო ენების, ხოლო კომუნიზმის დროს, ერთი საერთო ენის წარმოქმნის აუცილებლობას. ბუნებაში არარსებულ ამ მოვლენას მეტისმეტად „მეცნიერულად“ ასაბუთებდნენ. ცხოვრებამ გვიჩვენა ამ „მეცნიერების“ უდღეურობა. თურმე არავითარი კომუნიზმი ჰორიზონტზე არ ჭაჭანებულა და არც შერწყულ-შეერთებული საერთო ენა წარმოსახვაშიც კი არ არსებულა.

ინტეგრაციას თუ იმ. გაგებით ვხმარობთ, რომ საჭიროა ეკონომიკური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, ვისაც

ნავთობი აქვს, ბაზარზე გამოიტანოს ნავთობი, ვისაც ჩიტი — ჩიტი, ამგვარი კავშირ-ურთიერთობა ოდითგანვე არსებობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, საქარავნო გზებით დასერილი იყო მთელი დედამიწა, აქლემით მოდიოდა ჩინეთიდან ამდგარი ვაჭარი ევროპისაკენ. ასეთი „ინტეგრაცია“ მას ხელს არ უშლიდა დამოუკიდებლობაში. პირიქით, ამტკიცებდა მის თვითმოყოფადობას და დამოუკიდებლობას.

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ერთი გარემოება: ჩვენ გვთავაზობენ არა ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, არამედ თ ვ ი თ დ ა ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ა ს და თ ვ ი თ მ ა რ თ ვ ე ლ თ ბ ა ს. რა თქმა უნდა, ეს ერთიდაიგივე არ არის. თვითდაფინანსება, სამეურნეო ანგარიში, თვითმმართველობა არ არის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მაგრამ აქეთკენ ერთი ნაბიჯია. ამიტომ უნდა ვისწრაფოდეთ ამ ნაბიჯის გადადგმისკენაც. თვით ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობაზე მსჯელობა შეიძლება და გვეჩვენებს ვსახავთ როგორ მოვიპოვოთ იგი, ამ საუკუნის უდიდეს მიღწევად მიმაჩნია.

ინტეგრაციასთან ერთად ხშირად ხმარობენ, კიდევ ერთ უცხო სიტყვას — კონსოლიდაციას ანუ ქართულად შეჯთება-შეკავშირებას. თავისთავად კონსოლიდაციისაკენ მოწოდება ალბათ არ არის ურიგო მოწოდება. მაგრამ მეტწილად უზუნო, უწესო ადამიანები მოითხოვენ კონსოლიდაციას. ასეთი კონსოლიდაცია არ მოხდება. საზოგადოების პატიოსანი ნაწილი უპატიოსნოს ვერ შეუერთდება. ეს ცხოვრების კანონია. მოწოდებაც თავისთავად ამოა. არის კიდევ ერთი „კონსოლიდაცია“, რომელსაც ზურკს უშაგრებს სწორედ თვითდაფინანსება და თვითმმართველობა. სამივე სიტყვა ერთად: თვითდაფინანსება, თვითმმართველობა და კონსოლიდაცია მოგვიწოდებს ირეალური გარდაქმნა-აღორძინებისაკენ, ფედერაციის შეკავშირება-განმტკიცებისაკენ. ამგვარ მოწოდებას კი ჩემი აზრით, კონკრეტულობა აკლია.

ფედერაცია ზოგადად, საერთოდ ვერ განმტკიცდება, კონსოლიდაცია არ მოხდება. ჯერ ცალკე რესპუბლიკა უნდა გარდაიქმნას და განმტკიცდეს. ე. ი. ეკონომიკურად უნდა

დადგეს ფეხზე, ეკონომიკურად, უნდა გარდაიქმნას, ეკონომიკურად ვერ გარდაიქმნება თუ პოლიტიკური გარდაქმნა არ მოხდა. აუცილებელი იქნება პოლიტიკური და ეკონომიკური ერთობლივი გარდაქმნა, ცალკეულ რესპუბლიკათა სრული სუვერენიტეტის მიღწევა. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ შეერთება-შეკავშირებასაც და საერთო აღორძინებასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწოდება გაურკვეველი კონსოლიდაციისაკენ, როცა არ ვიცით ვინ ვისთან უნდა შეკავშირდეს, ირეალური, ზოგადი გარდაქმნისაკენ, ემსგავსება ძველებურ ლოზუნგს: წინ, არარსებულისაკენ, — კომუნიზმისაკენ. თუ ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის შედეგად გარდაქმნილ-აღორძინებული სახელმწიფოები (ყოფილი დღევანდელი რესპუბლიკები) სახელმწიფოებრივი კავშირით შეკავშირდებიან და მივიღებთ არა დღევანდელ ფედერაციას, არამედ ახალ ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის. ეს დროის მოთხოვნაა, ისტორიული აუცილებლობაა. ვნახოთ, ცხოვრება გვაჩვენებს რა გზას აიარჩევენ ერები, ხალხები, ეროვნული უმცირესობანი. ჯერჯერობით, როგორც ეს საბჭოთა კავშირის სახალხო დემუტატთა პირველმა ყრილობამ დაგვმითქიცა, ბევრ რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირში შემავალ ბევრ ერს სურს დამოუკიდებლობა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკურიც.

2. „ფორმალებად“ და „არაფორმალებად“ საზოგადოება ჩვენ არ დაგვიყვია. ამგვარი დაყოფა საიდანღაც ზემოდან მოვიდა. ჩვენში „არაფორმალებს“ პატრიოტები ჰქვია. მათ საქმიანობას კი, — ეროვნული მოძრაობა.

3. საქართველოში შექმნილი საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულება ალბათ არ არის ისეთი როგორც გვსურს. შეკითხვაც ამიტომ დაისვა. ამ თემაზე მსჯელობაც კი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. თუ საზოგადოებები დღეს ერთმანეთს არ ეთანხმებიან ეკამათებიან...“ არ არის საგანგაშო. საქართველოს დღეს უფრო დიდი გასაჭირი ადგას, ვიდრე ამ საზოგადოებების კინკლაობაა. საზოგადოებები ახლა იდგამენ ფეხს, ვაცალოთ, მომძლავრდნენ, შეუდგნენ სრული შესაძლებლობით მუშაობას, კამათში, ურთიერთ შეხლ-ა-შემოხლაში გამოიწროთობიან, გამოიბრძმელებიან და, ჩე-

მი ღრმა რწმენით, მომავალში მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებენ მშობელი ერისათვის.

4. ეროვნული პრობლემების გრძელი მწკრივიდან შეიძლება გამოიყოს და გადაიჭრას ამჯერად — საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის ცხოვრებაში გატარება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა.

ქართული ენა შეიძლება გადავაქციოთ ქვეშარიტ სახელმწიფო ენად, განვახორციელოთ ქართული ენის კონსტიტუციური უფლებები.

საქ. სსრ მთელს ტერიტორიაზე, გამონაკლისის გარეშე, სახელმწიფო დაწესებულებები, ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, კოოპერატიული გაერთიანებები და სხვა საწარმოები უნდა ავამუშაოთ ქართულ ენაზე.

საზოგადოებებსა და გაერთიანებებს საერთოდ ყველა ქართველს შეუძლია კონტროლი დააწესოს ქართული ენის უფლებების დაცვაზე. პირდაპირ უნდა შევიდნენ წარმოება-დაწესებულებებში და მოითხოვონ ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების განხორციელება.

5. საქართველოს პოლიტიკურ სუვერენიტეტზე ჩემი აზრი ემთხვევა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 68-ე მუხლს: „საქართველოს სსრ არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. „ასე რომ იყოს, სხვა მე არაფერი მინდომებოდა. სამწუხაროდ, ეს სიტყვები მხოლოდ ქაღალდზე სწერია. საქართველოს სსრ არ არის სუვერენული სახელმწიფო. არამც თუ სახელმწიფო, რესპუბლიკაც არ არის სუვერენული. თავის ნებაზე საკუთარი ჩაის გაყიდვა არ შეუძლია, საკუთარი წიგნის გამოცემა, საკუთარ მინისტრს ვერ დანიშნავს თუ მოსკოვმა არ დაამტკიცა. მეტიც, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიხედვით ჩვენ არა გვაქვს საკუთარი მიწა-წყალი, ალბათ ჰაერიც სხვისია, ვინაიდან ჩვენი მთავარი კურორტები ქართველ ხალხს არ ეკუთვნის. ჩვენს რესპუბლიკაში არსებული ბუნებრივი სიმდიდრე, მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული... ეკუთვნის არა ქართველ ხალხს, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს. ე. ი. სასუნთქი ჰაერიც არა გვაქვს საკუთრად. თურმე მნიშვნელობა არ ჰქონია იმას,

რომ დასაბამიდან ამ მიწაზე მკვიდრობს ქართველი ერი, რომ ამ მიწა-წყლისთვის მას სისხლი დაუღვრია, საუკუნეების მანძილზე დაუცავს და დღემდე მოუტანია.

ამ მიწა-წყალზე ქართველი ხალხი კი არ მომთაბარებოდა, მხოლოდ ცხვარ-ძროხას კი არ აძოვებდა, აშენებდა მას, აკულტურებდა მიწას, აგებდა ციხე-სიმაგრეებს, ეკლესიამონასტრებს. თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში კულტურის ძეგლი, საყდარი, ან რამე ნაგებობა დგას.

ქართული მიწა არ არის უბრალო მიწა და სხვა არაფერი. ის ვაზის მიწაა, ვენახის მიწაა, მამულია. ასეთ მიწას დიდი ჯაფა და ჭაპან-წყვეტა სჭირდება. ვაზის მიწა კახეთში ციდან არ ჩამოვარდნილა. ის ქართველმა გლეხკაცმა საკუთარი ხელებით შექმნა. ოცდაათი საუკუნეა ტყიდან ნემომპალას ეზიდება და ბოსლიდან ნაკელს იმ მიწის შესაქმნელად.

სავენახე მიწის გამზადება-დამუშავებას მევენახე გვიან შემოდგომით შეუდგება-ხოლმე. „როცა რთველი მიიღევა და ზამთრის ავდრების დაწყებამდე „იჭიატებს“, ე. ი. კარგ ამინდებს დაიჭერს, დღისით მზეა, ხოლო ღამით მცირე ყინვა და მიდამო ხაშრით (ჭირსლით) იფარება, მეურნე სამამულედ შერჩეული ადგილის ხვნას დაიწებს. ხნავს ღრმად, დარჩენილ ხარვეზებს საგულდაგულოდ გამობარავს. დამუშავებული მიწა მზეზე „გაკეთდება“, ყინვისაგან „ჩეიშოშნება“ წვიმისა და თოვლის წყლით გაჯერდება და გაზაფხულზე აფუებული „გამაძლარი“ იქნება. ასეთნაირად შემზადებულ სავარგულში ვაზი ადვილად იხარებს“ (ლ. ფრუიძე).

სამეგრელოსა და იმერეთში, ჩემი თვალით მინახავს: სავენახე მიწას საგანგებოდ ბარავდნენ ორ პარისპირზე. ამას ეძახდნენ მიწის „გადაბრუნებას“. „გადაბრუნება“ შემოდგომით ხდებოდა, რათა ზამთარში მიწა „მომზადებულიყო“... ყინვას „ჩეიშოშნა“ წვიმასა და თოვლს გაეჯერებინა.

სავენახედ მიწის „გადაბრუნება“ ძალზე ძნელი სამუშაო იყო და არის დღესაც, თუმცა დღეს ამ სამუშაოს ტრაქტორი ასრულებს.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მიწაც ყველა კუთხეში ერთნაირი არ არის, ზოგჯერ მიწას ტრაქტორით ვერ მიუდგები, ზოგჯერ სულ მთლად მეორე სოფლიდან უნდა მო-



იტანო მიწა. ძნელად დასამუშავებელ ფერდობებსა და ქვიან მიწებს საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული წესებით ბარავენ და თოხნიან დღესაც. ლ. ფრუიძეს აღწერილი აქვს ეს წესებიც. მოზვინვა, შეყორვა, დალატვნა, დაჯარჯვა, დალობურება, დაკვალვა და ა. შ. ვენახის გაპატივება ხომ ლამის წმინდა რიტუალივით სრულდებოდა და ზოგან დღესაც სრულდება.

„ვენახის გაპატივება“ ანუ „დანაკელება“ ძირითადად, ზამთრობით ხდება. მსხვილფეხა პირუტყვის პატივს მთელი წლის განმავლობაში „სანახველაზე“ ავროვებენ...

მთსრობელთა მტკიცებით, ვენახში შესატანად კარგია „წელგამოვლილი“ ძველი პატივი, ახალი კი — „ფიცხია“ და ვაზს დაწვავსო. ამასთანავე უმჯობესია ზამთრის ნაკელი. ზაფხულობით თქოლა ბაღასანაჭამი საქონელი „ღალიან პატივს“ ვერ იძლევაო.

ნაკელი ურემზე ან მარსილზე დაღმეული ძარით — ხვირით გადააქვთ და ჩვეულებრივ ვენახის თავში ყრიან, რათა „სიღბო“ არ დაეკარგოს; გაპატივება აუცილებელია ძველ მთვარეზე. რადგან ახალ მთვარეზე ნაკელს მიწა არ „ფერობს“ (ლ. ფრუიძე).

ასე ტანჯვით შეკოწიწებული სავენახე მიწა, მთის ფერდობზე შეფენილი, შესაძლოა მეწყერმა დაიტანოს და ჯაფა წყალში ჩაიყაროს. ამიტომ ფერდობის თავში ტყეს ახარებდნენ, მიწას იცავდნენ მეწყერისაგან, ნიაღვრისაგან, ზვავისაგან...

მაგრამ მიწას იცავდნენ დარისაგანაც: გვალვისაგან მიწის დაცვა არანაკლებ მძიმე შრომა იყო გლეხკაცისათვის.

ახლა მიწის დაცვა მტრისაგან?

ქართული მიწის მტრისაგან დაცვას ხომ თაობები შეეწირა. ერის საუკეთესო შვილები არაერთგზის დაეცნენ ბრძოლის ველზე სწორედ ამ მიწისათვის.

ქართული მიწა ქართველს კატორღული შრომითა აქვს შექმნილი, ხოლო ბრძოლით, სისხლის წვიმებში, მოპოვებული და დაცული. ამიტომ არის ქართული მიწა სამშობლოსთან გაიგივებული. ქართველისათვის ქართული მიწა მეტია, ვიდრე უბრალოდ მიწა. ამიტომ მიაქვს ქისაში გამოკ-

რული უცხოებაში, სიკვდილის წინ შეასრულოს წმინდა რიტუალი-მშობლიური მიწა-წინაპრების სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებული, გულზე დაიყაროს.

დარწმუნებული ვარ რუსსაც ასე სტკივა მშობლიური მიწა. რუსი გლეხკაცი ვერ დაუშვებს სუზღალი და იასნაია პალიანა ეკუთვნოდეს სხვას, ისევე როგორც ქართველი ვერ დაუშვებს სხვას მიაკუთვნოს სვეტიცხოველი და ის კუთხე, სადაც რუსთაველი დაიბადა. უძრაობის ხანაში შექმნილ საბჭოთა კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული საერთო სახალხო სურვილები: მიწა, წყალი, წიადისეული, ბუნებრივი სიმდიდრენი ეკუთვნოდეს იმ რესპუბლიკას, ვისი კუთვნილებაც იყო ისტორიულად და დღესაც ვისაც ეკუთვნის. საბჭოთა კონსტიტუცია, სადაც საბჭოთა ერების ინტერესები არ არის გათვალისწინებული ვერ იქნება ხალხების ნების გამომხატველი. ასეთი კონსტიტუცია, თავსმობხვეულია. ამიტომ არცა აქვს მას კანონის ძალა. ხალხები (ერები) არ სცნობენ მას კანონად, რადგან ის მათი შექმნილი არ არის. შექმნილია ვიღაც ერთი მძლავრის მიერ და მის მიერვეა თავსმობხვეული.

თუ არაფერს მნიშვნელობა არა აქვს, ყველაფერი თანაბარია, ამ იდეოლოგიით არავინ დარჩება ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ნაპირებზე, დამზრალი მიწის პატრონად, ყველა მოინდომებს შავი ზღვის პირას, ან კახეთის ბარაქიან მიწაზე დასახლებას.

ამ სამოცდაათი წლის მანძილზე ეს მართლაც ასე ხდებოდა, საქართველო გამოცხადებული იყო ინტერნაციონალიზმის ლაბორატორიად და ვისაც მოესურვებოდა, შიგ სახლდებოდა.

უკანასკნელ ათწლეულებში მექრთამეობის აყვავებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი კანონიერად და უკანონოდ სხვა ეროვნების ადამიანთა შემოსვლას და დასახლებას საქართველოში მიწაზე. პარტიულმა მექრთამემ ინტერნაციონალიზმის დროშა თავის ბნელ საქმიანობას გადააფარა და მკლავებდაკაპიწებულებმა მიჰყო ხელი საქართველოს მიწების გაყიდვას.

ამან გამოიწვია ის რომ ქართველი გლეხკაცისათვის მი-

წა აღარ დაგვრჩა, ქართველს მამული — სამოსახლო საძებარი კაუხდა. მარადი საზრუნავი გაუჩნდა — საკუთარ მიწა-წყალზე გოჯი მიწის მოპოვება და დაპატრონება.

ქართველი საცხოვრებლად მეზობელ რესპუბლიკაში ვერ გადავა. მან იცის რომ მშობლიურ მიწაზე უნდა იცხოვროს. სამშობლო ერთი აქვს. სხვაგან არსად ყოფილა და დღესაც არ არის მისი საცხოვრისი. ისტორიულად მიჯაჭვულია ქართულ მიწა-წყალს. მისთვის სულერთი არ არის სად დაიდებს ბინას, ბუნებაში არ უზის მომთაბარეობა, ვერ შეეგუება სხვა გარემოს გარდა ქართულისა. ქართული პეიზაჟი მისი ყოფის განუყოფელი ნაწილია, განუყრელად მასთან ერთად უნდა იყოს სიკვდილამდე. თითქოს განგებამ დაგვიწესაო, — საქართველო ბედით გვერგო.

მაშ, რა ქნას ქართველმა თუ საკუთარ მამულში მამული აღარა აქვს. შევიწროვებულია, თჯახი ველარ იყოფა, ვერ მრავლდება, ვერ ფართოვდება. სხვა კი მის მიწა-წყალზე, მის თვალწინ ჩამოდის და სახლდება, მიგრანტი წესსა და რიგს, კანონს-ბანონს არ დაგიდევს, უკანონოდ, უკითხავად სახლდება, სადღაც მისცა ქრთამი და „დააკანონა“ დასახლება.

ნაციონალიზმი არ დამწამონო ქართველმა თავი ჩაღუნა და სხვა გზას დაუწყო ძებნა არსებობისათვის... მიადგა ტყეს და გაჩეხა. ტყე ვაკეზე დღევანდელს საქართველოში იშვიათია. მაშასადამე ტყიანი მთის ფერდობი გაჩეხა და იქ დასახლდა.

ტრაგედიასაც დაედო სათავე! მეწყერმა და ზვავმა დაიტანა ფერდობზე დასახლებული ქართველი!..

მესხეთ-ჯავახეთის ნოყიერ თვალუწვდენ სავარგულებზე სხვა ხალხი დასახლებულა. მთის კორტოხზე დასახლებული ამ მიწის პატრონი კი მეწყერს მიაქვს...

მეწყერმა და ზვავმა წაიღო უმიწობისაგან მათია ფერდობებზე შეყუჟული სვანეთი და აჭარა, ღია ცისქვეშ დარჩა ათასობით ადამიანი. ვერსად დაგვისახლება. ისინი, თავშესაფარი ვერ მიგვიცია!

აი, რა გულმკვდარ უიმედო წერილს იწერებიან აჭარიდან მრავალშვილიანი დედები. წერილი ეგზავნება უწმინ-

დესა და უნეტარესს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

„ჩვენი სისხლი, ჩვენი გონება, ჩვენი სიმდიდრე აჭარაა. რაც ამ ქვეყნად ავლა-დიდება გაგვაჩნია აჭარაა. მთელი სოფლის გადაწვეტილებაა ოჯახის ერთი წევრი დავკრწეს აჭარაში, დანარჩენები ჩაასახლეთ სადაც გნებავთ. მაგალითად, მე, ანგელინა შაინიძეს მყავს 12 შვილი, 11 შვილს გავუშვებ საქართველოს ნებისმიერ რაიონში, როგორმე შემჭიდროებულად სადმე დაგვასახლებთ...“.

„წაბლიანის მშრომელთა სახელით 36 მრავალშვილიანი გმირი დედა. დაბა მასინჯაური, დასასვენებელი სახლი „ნარინჯი“.

სულის შემძვრელი წერილია. შემზარავი სურათია. მრავალშვილიანი ქართული ოჯახები დასასვენებელ სახლშია დროებით შეყუჟული. არ იციან სად დასახლდებიან, როდის დასახლდებიან, დაკარგავენ თავიანთ მშობლიურ აჭარას თუ არა. გვევედრებიან ერთი შვილი მაინც დაგვანებეთ და მშობლიურ კუთხეში დაგვტოვეთ..

ჩვენ კიდევ მარნეულის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის რაიონების მდივნებს ვეხვეწებით, როგორმე შეიფარონ უსახლკარონი. ისინი ჩვენს მიწებს უმტკივნეულოდ არ გვანებებენ. პროტესტს გვიცხადებენ, მიტინგებსა და კრებებს მართავენ — ხან სვანების ხან აჭარლების ჩასახლების წინააღმდეგ.

როგორ აღსრულდა დიდი მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება: ჯაყოს ხიზნებად იქცა ქართველი ერი.

ეროვნული კატასტროფის წინაშე ვდგავართ!.. ყოველივე ამას ემატება ჩვენი უსასოო ეკონომიკური მდგომარეობა, რესპუბლიკა მიექანება ეკონომიკური კრიზისისაკენ.

აი, ასეთ ვითარებაში თითქოს პარადოქსია, მაგრამ გზა ხსნისა — სწორედ სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობაა.

სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა გარდაუვალია. თუ გვინდა ნამდვილი გარდაქმნა, ამისთვის სწორედ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოვოთ. როგორც წარსულში ვცხოვრობდით იმ გზით და იმ მეთოდებით შეუძლებელია არსებობის გაგრძელება.

საქართველო ვერ იარსებებს ძველებურად, ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. ან უნდა გადავშენდეთ ან ახლებურად უნდა გარდავიქმნათ. ჩემი აზრით, აი ეს გარდაქმნა გახლავთ სწორედ სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. სხვაგვარი გარდაქმნა ვერ წარმომიდგენია.

თქვენ მეკითხებით საქართველოს პოლიტიკური რეალობის ცოდნის ხარისხი როგორიაო.

შეკითხვა გულისხმობს რომ ეს ხარისხი დაბალია. ე. ი. არავინ არის ქვეყანაზე რომ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია შეაფასოს. თუ პოლიტიკური რეალობის ცოდნა არა გვაქვს, ბუნებრივად იბადება კითხვა შეგვიძლია საუბარი დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე?.. გეთანხმებით, თქვენი ეჭვები არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ საქართველოს პოლიტიკური რეალობის ცოდნის ხარისხი უნდა დაადგინოს არა რომელიმე ერთმა პიროვნებამ, არამედ სათანადო ინსტიტუტებმა და სამსახურებმა. ასეთი ინსტიტუტები და სამსახურები ჩვენში არ არის. არამც თუ საგანგებო სამსახურები, პოლიტიკა ჩვენთვის საერთოდ არ არსებობდა. პოლიტიკა კრემლის საქმე იყო, ხალხს ევალეობდა მუშაობა. სკოლაში არ გვასწავლიდნენ პოლიტიკას და უმალლესში. დამოუკიდებლადაც არავინ მოკიდებდა ხელს პოლიტიკის შესწავლას. თუ ვინმე ამას მაინც გაბედავდა, ციმბირიც უკან დარჩებოდა.

პოლიტიკა ყოველთვის მზამზარეული გვეძლეოდა ზემოდან, კრემლიდან, საჭირო არ იყო თავის შეწუხება. ამიტომ დღეს თუ ვინმე პოლიტიკურ რეალობას შეაფასებს და რაიმე დასკვნას გამოიტანს, დიდ მიღწევად უნდა ჩავთვალოთ.

6. საქართველომ ამ სამოცდარვა წლის განმავლობაში მრავალგვარი გენოციდი განიცადა. დღეს განსაკუთრებით მწვავედ განიცდის დემოგრაფიულ გენოციდს.

დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად საჭიროდ მიმაჩნია დაუყოვნებლივ ჩავასახლოთ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა მარნეულის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონებში.

ეს იდეა ამ ათიოდე წლის წინათ წამოაყენა აკაკი ბაქრაძემ. თავის დროზე რომ გაგვეკეთებინა, სელისუფლებას უმაღ მიეღო ზოძები, დღეს სხვა შედეგი გვექნებოდა.

7. როგორც ტრანსკავკასიის რკინიგზისა და ხუდონჰესის მშენებლობა შევაჩერეთ, უნდა შევაჩეროთ, დიდი ელექტროსადგურებისა და წყალსაცავების მშენებლობა, თუ ის უკვე დაწყებულია. თუ არ არის დაწყებული, არ დავგეგმოთ, არ განვიზრახოთ დიდი მშენებლობანი. ელექტროენერჯია მცირე ელექტროსადგურებით მოვიპოვოთ. მაგრამ ეკოლოგიური სამიშროება უფრო გრანდიოზული და მასშტაბურია, ვიდრე წყალსაცავების მშენებლობების შედეგები.

თვით ტექნიკურ პროგრესსაც კი უნდა ვუთხრათ უარი თუ ეს „პროგრესი“ საწამლავს დააგროვებს კარტოფილის ტუბერში.

ეკოლოგიური გენოციდი დემოგრაფიულზე არანაკლები ზიანის მომტანია.

მწვანეთა მოძრაობა სწორედ უნდა მიესადაგოს ჩვენს სასიათსა და ფართოდ გაიშალოს ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად. როგორც ცნობილია, საქართველო ის უნიკალური ქვეყანაა, სადაც შეითხზა „გველის მჭამელი“..

ამიტომ, ჩემის აზრით, მწვანეთა მოძრაობამ დღეს თუ ხვალ უნდა მოიცვას მთელი საქართველო და ვიხსნათ განსაცდელისაგან ჩვენი ქვეყანა.

8. ყველა პრობლემის მშვიდობიანი გზით: მოლაპარაკებით, შეთანხმებით, (სიტყვით და არა ძალით!) მოგვარებას.

ბარბაროსული გზით, აჯანყებებით, რევოლუციებით, კაცთა კვლით და სისხლის ღვრით მოპოვებული სიკეთე არ აღმოჩნდა სიკეთე.

ისტორიამ არაერთხელ დაგვიმტკიცა ეს ჭეშმარიტება. შთამომავლობის წინაშე ვალდებული ვართ, გვახსოვდეს ის, რაც თავს გადაგვხდა ამ სამოცდაათი წლის მანძილზე.

ბრძოლის ადამიანური გზა ავირჩიოთ, სიტყვით მოქმედების გზა!..

ტექნიკურმა პროგრესმა ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, ძალას ძალით უკვე ვეღარ დავუპირისპირდებით. წყალბადის ბომბს წყალბადის ბომბით ვერ ვუპასუხებთ, ასეთი დაპი-

რასპირება აზრს კარგავს, ამგვარ ბრძოლაში ვერავინ გაიმარჯვებს, მაშასადამე, ძალა კარგავს ძალას.

ამიტომ სიტვას ეძლევა სწორედ წყალბადის ბომბებზე, ბირთვულ აფეთქებებზე უფრო დიდი ძალა. სიტყვიან მოქმედების გზა ერსადერსი გზაა ამ და იმ საუკუნეში.

## ლიტერატურული მონანიება

### ს ი ა უ ლ ვ ი ლ ი

მწერალი სძულთ! — საქართველოში მწერალი სძულთ? ძნელია ამის აღიარება, მაგრამ ეს სამწუსნარო ფაქტია.

თითქმის ყოველ დღე, ყოველისმხრიდან უტევენ მწერლობას. მწერალთა მისამართით აუგი გაისმის, ზოგჯერ დაუფარავად, მოურიდეblად ლანძღავენ, უსტვენენ კიდევ თავყრილობებზე, არ სურთ მათი მოსმენა, მოითხოვენ წიგნების დაწვას... და ა. შ.

ვინ იფიქრებდა ამას! — დადგებოდა საქართველოს თავისუფლების საოცნებო გარიჟრაჟი და ქართველ მწერლებს მიწაში ჩაძვრომა მოუსდებოდა...

მაინც რა დავაშავეთ ასეთი? რა დააშავა მწერლობამ?

მწერლები თავს ვინუგეშებთ იმით, რომ ვინც ჩვენ გვისტვენს, ვინც მწერალს აბუჩად იგდებს, ის თვითონ არის აბუჩი საზოგადოებისათვის, თავისთავს იგდებს აბუჩად, თვითონაა უვარგისი და ხელმოცარული. ამიტომ მათ ხან ბრბოს ვეძახით, ხან უსაქმურებს, უნიჭოებს და ა. შ.

ნეტა მართლა ასე მარტივად იყოს: ჩვენ ვიყოთ კარგები, ისინი ცუდები. ნეტა ეს სიძულვილი საყოველთაოდ არ გადაიქცეს, თითო-ოროლა გარეწარმა დაე მოითხოვოს ჩვენი წიგნების დაწვა!

საქართველოში მწერალი სძულთ... ეს სიტყვები იწერება 1990 წ. ივნისის თვეში. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ეს თარიღიც.

ქართველ ერს დასაბამიდან უყვარდა თავისი მგოსანი, სიტყვისმოქმედი, გამომეტყველი. წმინდა საქმე „წერა“ ქართველ კაცში ყოველთვის მოწიწებას და პატივისცემას იწვევდა.



1 იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების „წერას“ არ შეიძლება მკითხველში სიამაყე არ გამოეწვია, ან შოთა რუსთაველის სახელი დროშად არ აემართა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში წინ არ წაემძღვარებია, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ იმ დროშაზე არ დაეწერა.

აი, ამიტომ, რახან ასეთი დიადი ტრადიცია არსებობდა, ამ ხელობისანნი — ე. ი. მწერლები იყვნენ ქართველი მეფეები, სარდლები, მეომრები... ხელობა — მწერლად ყოფნა, პიტიკოსობა ბრძნობას უტოლდებოდა, „ბრძენი და პიტიკოსი“ — აკაკი წერეთლის გამოთქმავა, „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — შოთა რუსთაველის. ზუნებრივია, ისეთ ქვეყანაში, სადაც წერის ხელოვნება ასეთ სიმაღლეზე იყო აყვანილი, მწერლობა საპატიო საქმედ მიიჩნეოდა.

მე-19 საუკუნეში დიდმა ილიამ, ვაჟამ და აკაკიმ მწერლის სახელი კიდევ უფრო აამაღლეს, ღვთით რჩეულად, ცით დანიშნულად მიიჩნიეს მწერალი, ერის წინამძღოლად და მეთაურად დაადგინეს.

დასაბამიდან დღემდე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ჩვენი წელთაღრიცხვით ოცი საუკუნის განმავლობაში საქართველოში მწერალი, დაბეჯითებით შემოიღია ვთქვა, არ სძულდათ. მე-20 საუკუნის ბოლოს აღმოჩნდა, რომ მწერალი საძულველი პიროვნებაა.

რატომ? რა მოხდა ასეთი ამ საუკუნეში? რატომ შეიძულეს მწერალი? სძულთ იმიტომ რომ იმსახურებენო — პირდაპირ მოგახლიან, ერთი წამითაც არ დაფიქრდებიან იმაზე თუ რატომ იმსახურებენ, რა არის მიზეზი, საიდან გაჩნდა სიძულვილი, რატომ გაჩნდა...

შევეცდები მიზეზები შეძლებისდამისედვით, უნარისდამისედვით ავხსნა: პირველი და მთავარი მიზეზი საბჭოთა ხელისუფლება გახლავთ, საბჭოთა ხელისუფლებამ შეაძულა მწერალი ხალხს.

მწერლისადმი სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებამ დათესა და დღეს ნაყოფს ვიმკით. კომუნისტურმა პარტიამ ლიტერატურა გაიხადა მსახურად, ლაქიად, ლიტერატურის

პარტიულობა სხვა არაფერი იყო თუ არა ლიტერატურის დამონება, მძლავრობა ლიტერატურაზედ. ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიის სამსახურში ჩაყენება ძალით, იძულებით, ყაზარმული მეთოდებით. გუნდრუკის კმევა ჯერ ლენინური, შემდეგ სტალინური, მალენკოვური, ხრუშჩოვური, ბრეჟნევიური, ჩერნენკოვური, ანდროპოვული და ა. შ. პარტიისადმი. თუ სინდისი ხელს გიშლიდა და ტირანს ანგელოზს, დამაქცეველს — აღმაშენებელს ვერ უწოდებდი, ლიტერატურული პარტიულობის ძირითადი პრინციპები მაინც უნდა განგებორციელებინა — კომუნისტური პარტიის სამსახურში უნდა მდგარიყავი, თუ შენი ხელობით მწერლობით არსებობა გინდოდა, შენი ლექსი, მოთხრობა, რომანი უნდა დასმარებოდა პარტიას „დიადი“ იდეების განხორციელებაში.

საბჭოთა იდეოლოგია სამოცდაათი წლის განმავლობაში ქადაგებდა ამ „დიად“ იდეებს; სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს, ერების შერწყმა-შეერთებას (მათ ენაზე ინტეგრაციას) ერთვნებების გაქრობას, ერთი ისტორიული ერთობის საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებას და კომუნისმში ერთად ცხოვრებას მარადიულად.

ყველაფერი ეს სიცრუე, სიყალბე, რაც მთავარია, ვერაგული იმპერიალისტური ინტერნაციონალიზმი აღმოჩნდა. მამასადაძმე, მწერლობა ემსახურებოდა დიად იდეებს კი არა, ბნელ იდეებს, ვერაგულ, დამპყრობლურ იდეებს.

ის ინტერნაციონალიზმი, რომელსაც კომუნისტური პარტია ქადაგებდა, დღეს რუსებისთვისაც კი მიუღებელია. მათ არ სურთ სხვათა დაპყრობა და დამონება, რომელიმე ერის გაქრობა და ვინმესთან შერწყმა.

კომუნისტურ ბიუროკრატიას შერჩა ხელთ იმპერიალისტური ინტერნაციონალიზმი (ავღანეთში ინტერნაციონალური ვალის მოხდა, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში ტანკებით შეჭრა და მისთ.).

დღეს ასეთ ინტერნაციონალიზმს უარყოფს თვით რუსი ხალხი.

ინგრევა იმპერია, ინგრევა მისი იდეოლოგია, სამარცხვინო კრახი განიცადა კომუნისტურმა პარტიამ, ვინც ეს იმპერია და მისი იდეოლოგია შექმნა. ბუნებრივია, ამაზე მწერ-

ლობამაც უნდა აგოს პასუხი, ვინაიდან, ის საბჭოთა იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი იყო. გამონაკლისი ყველგანაა. ზოგი მწერალი არ ეთანხმებოდა, არ იზიარებდა საბჭოთა იდეოლოგიას და თავისი შემოქმედებით შეძლებისდაგვარად ებრძოდა მას. გამონაკლისები თავით კომუნისტებს შორისაც იყვნენ და არიან დღესაც. ხალხის სიძულვილი დაიქსასურა არა რომელიმე ერთმა ან ორმა კომუნისტური პარტიის პატიოსანმა წევრმა, არამედ კომუნისტურმა ბიუროკრაციამ, მათიანად პარტიკომებმა, რაიკომებმა, ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა განყოფილებებმა, პარტიის რეზერვმა კომკავშირმა, თავისი რაიკომებით და ცენტრალური კომიტეტით. სიძულვილი დაიქსასურა საბჭოთა იდეოლოგიამ თავისი, აგრეთვე, ბიუროკრატიული აპარატებით, რაიკომების იდეოლოგიური განყოფილებებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს იდეოლოგიური განყოფილებებით, პარტიული გაზეთებით, ჟურნალებით, რადიო-ტელევიზიით, შემოქმედებითი კავშირებით, საგამომცემლო საქმიანობით, აგიტაცია-პროპაგანდის ე. წ. ფარსოქსელით, თავისი მთავლიტით და სუკის იდეოლოგიური განყოფილებით.

ამ უზარმაზარ იდეოლოგიურ შავ საბჭოთა ურჩხულს, ადამიანი მარადიულად ვერ შეიყვარებდა და ვერც შეურიგდებოდა. და, აჰა შეიძულა! ყოველთვის სძულდა, მაგრამ დღეს ამკარად გამოუცხადა სიძულვილი. სძულთ მწერალიც. სიძულვილი უნებურად კარგ მწერალზეც გადადის. საერთოდ მწერალი შეიძულეს; მართალია, კარგი მწერალია, მაგრამ მაინც საბჭოთა ხელისუფლების დროს მოღვაწეობდა, მტერთან სომ თანამშრომლობდა, მაშასადამე, მაინც არ არის ბოლომდე პატიოსანი მოქალაქე, ხოლო არამზადა, ორპირი, ორგული ადამიანი არ შეიძლება კარგი მწერალი იყოს — ასე ფიქრობენ. თუმც კარგი მწერლებისადმი ამკარა სიძულვილს არ გამოხატავენ, არც უყვართ ისინი. შეიძლება ზეპირადაც კი იცოდნენ, რომელიმე კარგი პოეტის ლექსი, იყენებდნენ კიდევ მას ეროვნულ საქმიანობაში, მაგრამ მისი ავტორი არ უყვართ, ის ერთი ლექსი სჭირდებათ და ის უყვართ, მორჩა და გათავდა.

მუშავალი დაუნდობლობით შეიძულებს მწერალი.

მწერალი სძულთ არა მარტო იმის გამო რომ ის მტერთან თანამშრომლობდა, არამედ იმიტომაც, რომ ის უნიჭოა, საერთოდ არ არის მწერალი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრია. მწერალთა კავშირის წევრობა ნიშნავს უნიჭობას. საბჭოთა მწერალი უნიჭო მწერალია. ეს სახელიც მწერალს საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა.

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის საქართველოს „ფილიალში“ ექვსასამდე მწერალია. ვინ დაიჯერებს ამას, სად არის (საქართველოში ექვსასი მწერალი ქართულმა მწერლობამ დიდი ხანია იცის, ამ რიცხვის სიყალბე, მაგრამ ვერას გახდა. მწერლად გასდომის ისეთი წესი შეიმუშავა საბჭოთა ხელისუფლებამ, „მწერლები“ სოკოებივით მოედვნენ ქვეყანას და მწერლობა ფაქტიურად გააუქმეს. „მწერლობაში გაწვეული მუშა“ — იყო ასეთი ტერმინი ოცდაათიან წლებში. კომპარტიამ მწერლობაში გაიწვია ყველა, ვისაც წერა შეეძლო, წააქეზა ისინი, ჯილდოები დაურიგა, რათა ნამდვილი მწერლების ადგილი დაეკავებინათ. მართლაც ასე მოხდა, ნამდვილი მწერლები ან ფიზიკურად მოსპეს, ან უკან დაახევინეს, სატანასთან კავშირი დაამყარებინეს, ბოროტებას შეაგუეს, მაშასადამე, ნამდვილი მწერლობის ადგილას აღმოცენდა ცრუმწერლობა, ცრულიტერატურა.

შემდგომ წლებში მწერლობაში გაწვეულმა მუშამ სახე იცვალა, საქმოსან, ჩამწყობ მწერლად გარდაიქმნა. ის ჯერ უმნიშვნელო, „მეწვრილმანე“ ჩამწყობი იყო, ზრუნავდა მხოლოდ თავისთვის, ბინა, ხელფასი და მისთანანი უნდა ეშოვა, ამას ჯერდებოდა. თანდათან საქმოსან-ჩამწყობ მწერალთა ტიპი გამოიკვეთა. პარტიის გვერდით მდგომი მწერალი თანდათან დიდკაცად იქცა, ხოლო მწერალთა დაწესებულების ხელმძღვანელები გაუტოლდნენ კომუნისტ ფუნქციონერებს. აი, ეს ტიპიც მწერალი-დიდკაცი, ე. ი. ადამიანი, ვისაც საქმეების „გაკეთება“ შეუძლია, მაგ: რაიკომის მდივნის მოწყობა, წვენების ქარხნის დირექტორის დანიშვნა და ა. შ. შექმნა კომუნისტურმა პარტიამ.

ბუნებრივია, ასეთი მწერლობა არ შეიძლება ერს უყვარდეს.

მაგრამ ეს „დიდკაცი“ მწერლები ხომ თითო-ორთლანი არიან, დანარჩენები? დანარჩენები თუ პატიოსნად შრომობენ, კარგ ლექსებსა და მოთხრობებს წერენ, იმათ რას ვერჩით. არაფერს. იმათ არა აქვთ სამსახური, არა აქვთ პონორარი, კარგ მწერლებად მიჩნეული მწერლებიც კი მუდმივ გაჭირვებაში ცხოვრობენ, მწერალზე უკეთესად ცხოვრობს (მეტ ფულს, გასამრჯელოს იღებს) ღურგალი, ზეინკალი, სანტექნიკოსი, მეცნიერი (პროფესორი, დოცენტი) დამლაგებელი, მენაგვე, მელარესა და მენახირეს ხომ ჯვარი სწერიან!

ავიღოთ მწერლის თვიური შემოსავალი, ე. ი. ორ წელიწადში ერთხელ გამოცემული წიგნის პონორარი გავყოთ თვეების მიხედვით და შევადართოთ მენაგვის თვიურ შემოსავალს!..

ამიტომ აი, ის რიგითი პატიოსანი (იგულისხმება შედარებით პატიოსანი!) მწერალიც ატუზულია მწერალთა კავშირის კარებთან ეგება თამე იშოვოს, ან მანქანა ან ბინა, ან მაცივარი, ავეჯი, რამე სულერთია, ოღონდ იშოვოს! აქვს ბინა, რიგში მაინც დგას, აქვს მანქანა; მაინც იბრძვის მანქანისათვის... რითი განსხვავდება ახლა ეს „პატიოსანი“ მწერალი დიდკაც ფუნქციონერისაგან? არაფრით, უბრალოდ იმას მეტის და ფასეულის შონა შეუძლია, ამას კი მცირესი. მართალია „პატიოსანი“ მწერალი ზოგჯერ მცირესაც ვერ მოიხვეჭს, ვერ იშოვის ვერაფერს, არ მისცემენ. მაგრამ ამით მისი „დანაშაული“ მცირდება?

ასეთი მწერლები არ შეიძლება სალხს უყვარდეს.

აქამდე მწერლობა მიიყვანა საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტურმა პარტიამ.

სიძულვილს ვგრძნობ ყველგან ქალაქში, სოფელში, დაწესებულებებში, მიტინგებზე, კრებებზე, რედაქციებში, ფრონტში, თეატრებში, თვით მწერალთა კავშირშიც.

ჩვენ ვთანამშრომლობდით იმ პარტიასთან, რომელმაც საქართველო დაღუპვის პირას მიიყვანა, გაანანაგა არა მარტო ეკონომიურად, არამედ სულიერადაც. დაგლიჯა საქარ-

თველო ნაწილებად, ავტონომიურ კუთხეებად, მხარეებად, საქართველოს კუთვნილი მიწები სხვებს დაურიგა, შემდეგ უძრაობის წლებში რაიკომის მდივნებს და აღმასკომის თავმჯდომარეებს გააყიდვინა ნაჭერ-ნაჭერ. ზოგი მწერალი კვლავ აიჩემებს: არა, ამ პარტიასთან მე არ მითანამშრომლია, მათ საქებრად არცერთი სტრაქონი არ დამიწერია, ჩემს სამყაროში ჩაკეტილი ვწერდი მითოლოგიურ რომანებს (მაგ. „თუთარჩელა“) ან ისტორიულ თემებს თანამედროვეობას ვუსადაგებდით (მაგ. „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“).

კი მაგრამ, ბატონო მწერალს, თუ საქართველო დასაღუპად იყო განწირული, ინტერნაციონალურ საცდელ სადგურად, ლაბორატორიად გადაქცეული, მის მიწებს სხვები ეპატრონებოდნენ, ხოლო თვით ქართველ ერს დაუნდობლად არუხებდნენ, შენ მითოლოგიურ რომანებს წერდი?..

სამწუხაროდ ამ კითხვას ვერავინ გაექცევა.

დღეს იმის მტკიცება რომ ამა და ამ წელს ეს ლექსი დავწერე ან სიტყვა ვთქვი, მოთხრობა, პიესა ვერ გამოვაქვეყნე, უღიმღამო თავის მართლებაა. თუ საქართველო შენს თვალწინ იღუპებოდა, თუ ქართველი ერის გენოციდი შენს თვალწინ ხდებოდა, ქართველ მწერალს, ილია ჭავჭავაძის შთამომავალს, მეტი მოგეთხოვებოდა. ამიტომ წამოგვძახებენ მიტინგებსა და თავყრილობებზე: „სად არიან ქართველი მწერლები, — ერის მამები“!

მწარეა ამის მოსმენა, საზარელი ირონია! კარგი, ვთქვათ, მწერლები ვერ აღმოჩნდნენ ღირსეული მამულიშვილები, ეგებ ხელოვნების სხვა დარგებს შორის ვიპოვოთ ვინმე, ვინც დაღუპული საქართველოსთვის იბრძოდა?

დღეს ირკვევა, რომ საქართველოს კოლონიის სტატუსიც არ ჰქონია. კოლონია რომ ვიყოთ თურმე რა ბედნიერებაა! — მსოფლიოს ეცოდინება, რომ საქართველო კოლონიაა. არა, კომუნისტურ იმპერიალიზმს თურმე სულ მთლად მოუსპია, გაუქრია საქართველო მსოფლიოს თვალში. რას აკეთებდნენ ამ დროს ჩვენი „მსოფლიო“ კინომოდერნი და თეატრალები?.. არაფერს. ვერც ვერავინ გაანძრევდა თითს. ტირანიას იარაღით იცავდნენ...

მაგრამ მაინც უიმედოდ, სასოწარკვეთილად, თუნდაც

ერთხელ, ვინმემ რეჟისორთა, მსახიობთა, მხატვართა, კომპოზიტორთა შორის იკივლა ვინმემ — საქართველო იღუპებაო!.. არა, არ უკივლია. ისევ მწერლებმა იკივლეს. თუმცა, ვიმეორებ, ეს არ იყო საკმარისი, და ამის გამო გაცივდი მწარე სინანულს.

ბრალს არავის ვდებ, ვერც დავდებ, პირიქით, თავს ვიდანაშაულებ, ოღონდ იმათ, ვინც დღეს განსაკუთრებით აქტიურობს (მაგ. კოტე მახარაძეს) შეკახსენებ: ვის ემსახურებოდა ორმოცი წლის მანძილზე?.. — ოკუპანტს, დიდმკვრობელს, ტირანს... სინანულს არ გრძნობს ამის გამო?

რა ენაზე ელაპარაკებოდა ქართველ ხალხს ორმოცი წლის მანძილზე:

„არბიტრმა დააფიქსირა პენალტი“... სინანულს არ გრძნობს ამის გამო?

კოტე მახარაძე სიტყვამ მოიტანა, რა თქმა უნდა, კოტე მახარაძეზე უფრო დიდი სატკივარი აქვს ქართულ კულტურას. ერთი წამით მივიხედოთ უკან, თვალი გადავაგელოთ იმ დროს როცა კოტე მახარაძე „არბიტრმა დააფიქსირა პენალტით“ ელაპარაკებოდა ქართველ ერს, და გავიხსენოთ: ვის ვეძახდით დავით აღმაშენებელს და რას ვეძახდით რენესანსს... კოტე მახარაძე ხომ ბუზად მოგვეჩვენება სინდისის ქენჯნა მაწუხებს იმის გამო რომ სწორედ ამ დროს ცოცხალი ვიყავი, მკვდარი არ ვიყავი, სამარეში არ ვიწეკი.

მე მგონი დღევანდელს ჩვენს მწერლობას კარგად არა აქვს გააზრებული რა სჭირს. მე, პირველმა ვთქვი: საქართველოში კამეჩი არ უნდა გადაშენდეს-მეთქი 1972 წ. ტელევიზიითაც გამოვედი, წიგნიც კი გამოვეცი ამ თემაზე. მაშ, 18 წლის წინათ „მამაცურად“ ვებრძოდი ხელისუფლებას, პარტიულ ბიუროკრატiasს, საქმოსნებს და ა. შ... დიდად დამსახურებული „მოღვაწე“ ვბრძანებულვარ!..

განა დღეს ეს სასაცილო არ არის? კამეჩი კი არა, თვით ქართველი ერი იყო გადაშენების გზაზე, საქართველო იღუპებოდა. მეტიც, მე კამეჩზე მაინც ვწერდი, ასე თუ ისე მაინც მშობლიურ სატკივარს ვეხებოდი, ვინც ლენინზე წერდა, კომუნისტურ ხალხთა მეგობრობაზე, ნამდვილ კომუნისტზე, კომუნიზმზე, კოლექტიურ შრომაზე, კოლმეურნეობა-

ზე, საბჭოთა სოფელზე, საბჭოთა საწარმოზე, საბჭოთა მშენებლობაზე, — მიწუხარება არ იპყრობს ამის გამო? არ იპყრობს! სამწუხაროდ ბევრს ვერ გაუგია, ვერ გაუცნობიერებია თავისი ტრაგიკული ყოფა. ხავსს ებლაუჭება — ამა და ამ წელს მე ეს ვთქვი, ის ვთქვიო, — ბურტყუნებს და ამით იმშვიდებს თავს, სინანული არ ჰკლავს თავისი წარსულის გამო.

გავიხსენოთ ჩვენი მონური კინო და მონური თეატრი, რასაც სწორედ რენესანს ვეძახდით; ფილმი უნდა ყოფილიყო არაფერზე, სასაცილო, გასართობი სიუჟეტი უნდა მოგეგონებინა, ერთი-ორი კარგი საესტრადო სიმღერაც ჩაგერთო და ფილმიც მზად იყო. ბატონს გართობა სურდა, ფილმს ბატონისთვის ვიღებდით!..

ასეთივე პრინციპით მუშაობდნენ ჩვენი „რენესანსული თეატრები“. დრო იყო ასეთი, სამწუხაროდ, ჩვენი რეჟისორები და მსახიობები სინანულს არ გრძნობენ ამის გამო. არც ხელოვნების სხვა დარგის მუშაკები სჩანან უკეთეს ყოფაში.

ზოგ მოქანდაკეს განა შიშით არ ძინავს, — მის ნაღვაწს ხომ დღეს შემუსვრა ემუქრება!

სძულთ ასეთი მოქანდაკე, სძულთ ასეთი რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები...

თურმე არა მარტო მწერალი სძულთ! ეგებ სძულთ ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკები და ვინმეს უყვარს მუშა. სძულთ მუშაც. საბჭოთა კავშირში მუშა მუშა არ არის. პატიოსანი მშრომელი მუშა-კაცი იშვიათი საპოვნელია. ან აფერისტია, ან ქურდი, ან, უბრალოდ, ზარმაცი, უქნარა ადამიანია და მუშა იმიტომ ჰქვია. პურის ქარხნის მუშა პურს იპარავს, საპნის ქარხნისა, — საპონს, რკინის ქარხნისა, — რკინას. დააკანონებ რომ პურის ქარხნის მუშამ შინ ერთი პური წაიღოს. წაიღებს იმ ერთს კანონიერად, მეორეს მოიპარავს. ორს დაუკანონებ, მესამეს მოიპარავს....

არ შეიძლება ასეთი მუშა ერს უყვარდეს.

ეგებ გლეხკაცია სიყვარულით გარემოსილი, ვერც გლეხკაცი დაიტრაბახებს ამით. ვინაიდან ტრადიციული ქართველი გლეხი დიდი ხანია საქართველოში არ არსებობს. ქურდი გლეხი კი ბლომადა გვყავს. იპარავს მიწას (მეტს მი-



იზომავს), იპარავს მოსავალს (პირდაპირ მინდვრიდან მიაქვს) იპარავს სასუქს, ნაკელს, იპარავს შრომას (ბრიგადირს მეტს აწერინებს და მერე ფულს ერთად იყოფენ).

არ შეიძლება ასეთი გლეხი ერს უყვარდეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირში მცხოვრები სამას მილიონამდე ადამიანი ქურდად აქცია. ვისაც რა შეუძლია, სად, რისთვის მიუწვდება ხელი, იმას იპარავს. მაგალითად, არიან დროის ქურდები, არც მეტი არც ნაკლები, დროს იპარავენ. როცა მოსაპარავი არაფერი აქვთ: არც პური, არც საპონი, არც ნაკელი... დროს იპარავს ადამიანი (სამსახურიდან ადრე მიღის და თავის საქმეს აკეთებს, ან არაფერს არ აკეთებს, უქნარობს).

ეგებ მეცნიერი გვიყვარს, ან ინჟინერი ან ექიმი? არა, არ შეიძლება ცრუ მეცნიერი, ცრუ ექიმი, ცრუ ინჟინერი ადამიანს უყვარდეს. საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ მიიყვანა აქამდე საზოგადოება.

ილიას მიერ სულიერად გაერთიანებული, გამოილიანებული საქართველო. კომუნისტურმა პარტიამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ანგრია, შალა, ქსაქსა... უარჰყო ღმერთი, დაანგრია ეკლესიები, საქართველოში სატანა — სიძულვილი გააბატონა, სატანამ კი ადამიანთა გულებიდან ამოგლიჯა სიყვარული და ჩათესა სიძულვილი.

ამიტომ სიძულვილი კიდით კიდემდე მძვინვარებს. საზოგადოება სიძულვილით გააფთრებულია. მეცნიერს სძულს მწერალი, მწერალს სძულს მეცნიერი; მეცნიერს მწერალი მწერლად არ მიაჩნია, მწერალს მეცნიერი მეცნიერად. მუშას სძულს გლეხი, გლეხს მუშა; მუშას გლეხი გლეხად არ მიაჩნია, გლეხს მუშა მუშად. ინჟინერს სძულს ექიმი, ექიმს ინჟინერი, ინჟინერს ექიმი ექიმად არ მიაჩნია, ექიმს ინჟინერი ინჟინრად....

ასეთი შედეგი გამოიღო საბჭოთა ხელისუფლების სატანურმა მოღვაწეობამ საქართველოში. განიდევნა ქრისტი და გაბატონდა ანტიქრისტი, განიდევდა სიყვარული და გაბატონდა სიძულვილი.

სატანას, შავ საბჭოთა ურჩხულს, ამ საუკუნეში, მეთოდურად, სიცოცხლის შენარჩუნებით, მაგრამ გამუდმებულად, შეუპოვრად და ხმაღაუგებლად ებრძოდა კოლხური კოშკი. კოლხური კოშკი აღმოჩნდა ის აუღებელი ბასტიონი, რომელსაც საბჭოთა შავმა ურჩხულმა ვერაფერი დააკლო. დანარჩენი კერები 1924 წლიდან მოყოლებული 1953 წლამდე, საქართველოში პირწმინდად მოსპეს, აღგავეს პირისაგან მიწისა.

კოლხური კოშკი აუღებელი აღმოჩნდა. 1907 წელს მოკლული საქართველოს თავისუფლების იდეა კვლავ იქ აღორძინდა, იქიდან დაიბადა ახალი დღევანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. სულია ჩამდგმელი კოლხური კოშკია, ამ კოშკის შემომქმედი დიდი ქართველი მახვში კონსტანტინე გამსახურდიაა, კიდევ რამდენიმე მწერალთან ერთად, ამ საუკუნეში დიდი ილიას იდეის გამგრძელებელი, — თავისუფლებისათვის ბრძოლის მესაძირკველი!

ქართველი ერი თავისუფლების ელდისაგან ჯერ გონებადანელებულია, ვერ აფასებს მოვლენებს, ვერ გამორკვეულა, სადად ვერ შეუფასებია დღევანდელი ყოფა. ზოგჯერ არც სჯერა რაც ხდება, თორემ კოლხურ კოშკს სხვა თვალთ უნდა უყურებდეს. გავა დრო და გონს მოეგება, კოლხურ კოშკს შეხედავს იმ თვალთ, რაც მას ეკუთვნის. მიუდგომლად, მიუკერძოებლად შეაფასებს მის როლს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში და: დარწმუნებული ვარ, თავის ადგილს მიუჩენს.

კოლხურ კოშკში მარტო კონსტანტინე გამსახურდიას არ უღვაწია. იქიდან მოევლინა საქართველოს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, იქ დაიბადა პირველი ოპოზიციური იდეები, პირველი არალეგალური ჟურნალებიც იქ გაჩნდა.

ოციანი, ოცდაათიანი წლების სისხლიანი ტერორების შემდეგ, პირველი დიდი ომი საბჭოთა ხელისუფლებას სწორედ კოლხური კოშკიდან გამოუცხადეს.

მე არ შემძლია ამის დავიწყება! რომც დავივიწყოთ, ეს ისტორიაა. ამას ვერაფერი წაშლის.

ზვიად გამსახურდიას ტელეხედვით ერთერთ გამოსვლაში, როცა ჰკითხეს, მხარს უჭერდნენ თუ არა მის ბრძოლას, ვინმე მსარში ედგა თუ არა, უპასუხა: როცა მწერალთა კავშირიდან გამრიცხეს, იმ დღეს ჩემი სახლიდან მწერალთა კავშირში წავედით სამნი: მე, ჩემი ცოლი მანანა არჩვაძე და მერაბ კოსტავა, სხვა ჩემს გვერდით არავინ ყოფილა, ეს ფაქტია, ამას ვერავინ უარყოფს.

მართლაც, ამას ვერავინ უარყოფს! — ასე იყო. საბჭოთა შავ ურჩხულთან ბრძოლაში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ცოტა ვინმე ედგა მხარში. შინაგანად ბევრი უჭერდა მხარს, მაგრამ მის გვერდით დგომას ვერ ბედავდა. დღეს ადვილია ეროვნული მოძრაობის ლიდერობა, მაშინ ძნელი იყო.

ზვიად გამსახურდიამ და იმ მცირე ჯგუფმა თავზე ხელაღებული ადამიანებისა, რომლებიც „ოქროს საწმისის“, „საქართველოს მოამბის“ და სხვა თვითგამოცემების გარშემო იყვნენ შემოკრებილნი მკვდარი საქართველო გააცოცხლეს, საღათას ძილით მძინარე გააოვიძეს. რაოდენ გულსატკენია დღეს ამის დავიწყება.

ყველა ისინი, — მკვდარი საქართველოს გამღვიძებელნი ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე... და სხვები ჩვენს თვალწინ შეიპყრეს და ციხეში ჩააგდეს. ჩვენ თვალწინ ააოხრეს კოლხური კოშკი. როგორც თვით ზ. გამსახურდია ბრძანებს მაშინ ის სრულიად მარტო, მერაბ კოსტავასა და მანანა არჩვაძის ამარა დარჩა, მისთვის არავის გაუწვდენია დახმარების ხელი, ხოლო როცა ციხეში ჩააგდეს, კოლხურ კოშკს არავინ ჰყავდა პატრონი. ზვიად გამსახურდიას ოჯახს თითო-ოროლანი თუ მიეკარებოდნენ, კონსტანტინე გამსახურდიას არქივს ქალები იცავდნენ...

მწარეა ამის მოგონება, დაუჯერებელიცაა, ნუთუ თორმეტი წლის წინათ ასეთები ვიყავით და დღეს ყველანი გმირებად ვიქეცით?

ზვიად გამსახურდიამ მაშინ ჩვენ — მწერლები შეგვადარა მკვდრის ჭირისუფლებს. როდესაც წინ მკვდარი უსვენიათ,

ოთახში შემოფრინდება ბუზი და ჭირისუფლები იმ ბუზზე ჩურჩულებენო.

ზვიად გამსახურდია მართალი აღმოჩნდა. მკვდარი საქართველო მან და მისმა თანამებრძოლებმა და კიდევ რამდენიმე მწერალმა გააღვიძეს, გააცოცხლეს, ფეხზე დააყენეს.

რა თქმა უნდა, ისტორია ჩვენს ღვაწლსაც არ დაივიწყებს, თუ ვინმეს თუნდაც ერთი სტრიქონი აქვს დაწერილი საქართველოსთვის, არ დაუკარგავს. დუტუ მეგრელი არც რუსთაველია, არც ჭავჭავაძე, არც ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მაგრამ არ ივიწყებენ, არ ივიწყებენ ერთი პატარა ლექსის გამო: „შე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი“.. ჩვენც არ დაგვივიწყებენ თუ ასეთი სტრიქონები ვინმეს შეგვითხზავს.

მაგრამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას როლი სულ სხვაა, საგანგებოზე საგანგებოა, განსაკუთრებულზე განსაკუთრებული ეროვნულ მოძრაობაში და საერთოდ ქართველი ერის ცხოვრებაში.

ეროვნული მოძრაობის ახალი, დღევანდელი ეტაპი მათგან დაიწყო, მათ შექმნეს ის, რაც დღეს ხელთა გვაქვს. შეუძლებელია, ვერც კი წარმომიდგენია ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას გარეშე. არამცთუ ეროვნული მოძრაობა, საერთოდ, თავისუფალი აზრი სიტყვათშეხამება „თავისუფალი მოაზროვნე“ იქიდან, კოლხური კოშკიდან მოედო მთელ საქართველოს. ეროვნული მოძრაობის მეთაურის ტიპიც იქ წარმოიშვა: ღრმად განათლებული, მაღალი გემოვნების ლიტერატორი, ასეთივე ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, შემომქმედი, რამდენიმე ენის მცოდნე — ასეთია თვით ზვიად გამსახურდია. ერთის მხრივ ფროსტის და ბოდლერის მთარგმნელი, მეორეს მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ უბადლო მკვლევარი, მესამე მხრივ მრავალი პოლიტიკური მრწამსის ავტორი, მრავალი ორგანიზაციის ლიდერი, ჟურნალის, გაზეთის რედაქტორი....

ჩვენ ასეთ ეროვნულ მოღვაწეებს შევეჩვიეთ, ასეთი ეროვნული მოძრაობა გვინდა.

არ ვიცი, ეგებ მართლა არაფერი მესმის! — თუ ზვიად

გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე მთელ თავიანთ ნიჭსა და ერუდიციას მოახმარენ პოლიტიკას, თავისუფალი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობისათვის თავს გადასდებენ, ნუთუ ერმა სხვა წინამძღოლი და მეთაური უნდა ეძიოს?

ერთი წუთით გავიხსენოთ სხვა ერთა დღევანდელი ლიდერები: მაგ.: აფანასევი, ვალენსა, ჰაველი... რომელიმე მათგანს ცოდნით, უნარით, ერუდიციით, პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილებით ჩამოუვარდება ზ. გამსახურდია? ქართველი ხალხი უნდა თხოვდეს მას წინამძღოლობას და მეთაურობას და ის უარს უნდა ამბობდეს. უნდა წერდეს წიგნებს ნებისმიერ თემებზე: მაგ. პოლიტიკაზე, პოეზიაზე, ისტორიაზე, თეოლოგიაზე, თეოსოფიაზე, რიტორიკაზე და ა. შ.

ზვიად გამსახურდია იშვიათი შესაძლებლობის და უნარის ადამიანია, თავის ნიჭსა და უნარს მარნეულის რაიონის დასალაგებლად არ უნდა ვაფლანგვინებდეთ. „არ უნდა ვაფლანგვინებდეთ“ რას მიქვიანი! თერმე შეიძლება ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური იზოლაცია. თუ ზვიად გამსახურდია ჩამოშორდება ეროვნულ მოძრაობას, განაწყენებული პარტიები, ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები გაერთიანდებიან და ეროვნული მოძრაობაც უკეთ წარიმართებაო — ჯერ ცალ-ცალკე, უწყინრად, თავისთვის ფიქრობდნენ თურმე, შემდეგ თანდათან ეს აზრი აგორდა, აზვირთდა, აზვავდა, იქუსა და საქმე იქამდე მივიდა, რომ თურმე შეიძლება არამც თუ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ იზოლაციაზე იფიქრო, არამედ შეიძლება მისი სულ მთლად ჩამოშორება გზიდან, ე. ი. შეიძლება მისი მოკვლა!

ეს უკვე აღემატება ყველაფერს. ეს არის ის დრო და ის წამი, როცა საქართველოს გამოთაყვანების და გამოლენჩების წამი უდგება, ეს გახლავთ წიწამურის წამები... ის წამები როცა ილიას შუბლს ტყვია მოხვდა. ხოლო იმ დროს დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ქართველი ერი ჭკუაზე არ იყო, ის იყო სულ მთლად გამოთაყვანებული და გამოლენჩებული. ხოლო ეს „გამოლენჩების და გამოთაყვანების“ წამები უცებ არ დამდგარა. იგი წლების განმავლობაში ნელ-

ნელა შემზადდა. ხალხი „ცოციალისტობით“ (იმდროინდელი ტერმინია) გამოაპენტერეს, თითქმის ყოველ დღე უკიჟინებდნენ: „ილია გლეხების მყვლეფელია“, „ილია მუშების მტერია“, „ილია მთავრობის ყურმოჭრილი მონაა“, „ილია მდიდართა ინტერესების დამცველი“, „ილია სოციალ-დემოკრატიების მტერი“... „ჩვენ არა გვგონია, — სწერდა ფილიპე მახარაძე თავისივე ჟურნალ „მოგზაურში“ — საქართველოს მიწაზე მოიძებნებოდეს მეთრეისეთის სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე უღმობლად მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“... აი, ასე მზადდებოდა ილიას მკვლელობა, მთელ ამ პროცესს წვრილად აღწერს ბატონი ვახტანგ გურგენიძე და ასკვნის: „ფილიპე მახარაძის ეს წერილი გადაიქცა ილია ჭავჭავაძის სასიკვდილო — საბრალდებო დასკვნად და მოწოდებად უმეცარ და გაუნათლებელ ხალხისადმი, სისრულეში მოეყვანათ განაჩენი — სიკვდილით გასწორებოდნენ მათთვის ყველაზე საზიზღარ თავადს — ილია ჭავჭავაძეს“.

ზვიად გამსახურდიას ჩემი ხოტბა არ სჭირდება, არც ჩემი დაცვა, მას მისი გუშინდელი მეგობრები, დღეს ოპოზიციონერები, ტყვიას არ ესვრიან, ეს ნათელია, ამას მტკიცება არ სჭირდება. ისინი ისევე შერიგდებიან, როგორც წაეკიდნენ. კალამი ავიღე სხვა რამის გამო. წინამურის ტყვია ვაი თუ მაინც გავარდეს, ისვრის მეოთხე, მეხუთე ძალა და დაბრალდება „ოხრანკას“, ან თუ გნებავთ, ბრუტოსს და გვიან იქნება თითზე კბენანი. ამიტომ დღეს ჩემი აზრით, სჭირთა არ ვიკადროთ ის, (თუნდაც ჩვენდა უნებურად!) რაც არ არის საკადრისი. გუშინ ზვიად გამსახურდიას ვეძახდით ეროვნული მოძრაობის პატრიარქს, დღეს სხვა სვეძახით.

ზოგი იქამდესაც მიდის — ტირანს, დიქტატორს, კაგების აგენტსაც კი უწოდებს. თან დაბუჯითებით გიმტკიცებს აგენტთაო. (შეად. ილია სასტიკი მემამულე, ილია მთავრობის ყურმოჭრილი მონა) არ შეიძლება ეს. დაუშვებელია, საშიშია, მერე თქვენ თვითონ ინანებთ. მე, მეტის, არაფრის გაკეთება არ შემიძლია. სხვათაშორის აი, ასეთი, ცარიელი სიტყვებიც კი არავის უთქვამს ილია ჭავჭავაძის დასაცავად, თუმცა იმ დროს მოღვაწეობდნენ სწორედ ერის საუკეთესო

შვილები. იმიტომ კი არა რომ ვერ ბედავდნენ ასეთი სიტყვების დაწერას ან ილას არ თანაუგრძნობდნენ, არა, უბრალოდ არ ელოდნენ, ერთი წამითაც კი აღარ უშვებდნენ იმას, რომ ილია ჭავჭავაძეს ვინმე ტყვიას ესროდა საქართველოში. ესროლეს. ესროლეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივმა აზრმა, პრესამ შეაშადა ნიდაგი — პირდაპირ „შექმნა“ ბერბიჭაშვილი. ბერბიჭაშვილი სამარეში ისე ჩავიდა, ვერაფრით ვერ გაიაზრა, ვერ ჩაწვდა რა ჩაიდინა. ფრიად გაკვირვებული იყო პენსიას რატომ არ მიმატებთ მე ხომ პარტიის საქმე გავაკეთე, მჩაგვრელი, მყვლეფელი მემამულე ხალხს მოვაშორეო.

ახალი ბერბიჭაშვილების გაჩენა ჩვენში სულ არ არის მოულოდნელი. სამწუხაროდ ზოგს ანბანური ჭეშმარიტება არ ესმის — თავი დავანებოთ ზვიად გამსახურდიას, კონსტანტინე გამსახურდიას ეზოში ბომბი არ უნდა ჩააგდო, არც მომწამვლელი ნივთიერების შესხმა შეიძლება იქ. ვთქვათ, ფილიპე მახარაძემ დაგვალა, შენ ხომ ბერბიჭაშვილი არა ხარ!..

დიდი ხნის წინათ საქართველოს დაემუქრა ეკლერის ეპიდემია, ტელევიზიით გამოვიდა ჯანმრთელობის მინისტრი, ბატონი ვ. ბოჭორიშვილი და ხალხს მოუწოდა ჭამის წინ ხელი დაიბანეთო. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორ თუ მინისტრი ქართველ ხალხს უბედავს ასწავლოს ყოფის ანბანური წესი, რუსთაველის საქართველოს ხელ-პირის დაბანას ასწავლის-მეთქი. ჩემდა გასაცრად პატივცემული ვ. ბოჭორიშვილი მართალი აღმოჩნდა, თურმე ამგვარი სწავლება საჭირო ყოფილა: ჭამის წინ ხელი უნდა დაიბანო, უნდა ჩააფურიხო საფურთხებელში, ქალს წიხლი არ უნდა ამოარტყა, რუსთაველის გამზირზე სროლა არ უნდა ატეხო, გამსახურდიას ეზოში ბომბი არ უნდა შეაგდო... და ა. შ.

ზვიად გამსახურდიას გვერდით ყოველთვის ჩნდება „ავ-  
 თანდილის“ საჭიროება. ავთანდილობას, როგორც ქართულ  
 ფსიქოლოგიურ კომპლექსს იაჰვის დროზე ყურადღება მიაქცია  
 აკაკი ბაქრაძემ. ავთანდილობა ადამიანებს შორის ბუსებრი-  
 ვად ჩნდება. მისი გამოგონება არ შეიძლება. განუსაზღვრე-  
 ლი ერთგულება. ერთგულება უანგაროდ. ზოგჯერ უმიზეზო-  
 დაც, „სიბრძავემდე“ მისული ერთგულება („სიბრძავე“ რა  
 თქმა უნდა, კარგი გაგებით!). — აი, ეს არის ავთანდი-  
 ლობა.

უბადლო ავთანდილი იყო ცოტნე დადიანი  
 უბადლო ავთანდილი იყო მერაბ კოსტავა

სისხლში უზის ქართველს ავთანდილობა, ხან გაიღვიძებს  
 და ცოტნეში გაცხადდება, ხანაც სძინავს გენში და დროს  
 ელოდება.

როცა ტელეხედვით გამოცხადდა ზ. გამსახურდიას მან-  
 ქანას აფეთქება დაუპირესო, ჩემშიც ალბათ გაიღვიძა ღვთით  
 მცირე დოზით ბოძებულმა გენმა ავთანდილისამ და კოლხურ  
 კოშკს ვეწვიე.

ზვიად გამსახურდიას ერთგულ ადამიანებს, მის თანამო-  
 აზრეებს და თანამოსაქმეებს მე ვიცნობ. რაოდენ გასახარე-  
 ლი იყო ჩემთვის კოლხური კოშკის მიდამოებში, ეზოში,  
 ყველგან, იმ არე-მარეში, ამდენი უცნობი ავთანდილის ნახ-  
 ვა. მეგობრებს ეპყრა ხელთ კოლხური კოშკი. ისინი  
 იდგნენ ჭიშკართან, ეზოში, ხის ძირას ისხდნენ, მზად იყვ-  
 ნენ ყოველ წამს, ყოველ დაძახებაზე, ყველა საქმე მოეგვა-  
 რებინათ მეგობრისათვის. არ მეგულება სხვა ძალა, რამაც  
 შეიძლება სძლიოს ასეთი სიყვარული. მათთვის არავის და-  
 უვალდება, აქ, გამსახურდიას ეზოში, იყავითო, ეს იყო და  
 არის წრფელი, ავთანდილური სამსახური. ნეტა გენახათ მა-  
 თი თვალები, მათი მოწიწება და მორიდება, ყველაფრისადმი,  
 სიყვარულით ანთებულნი სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ გმი-  
 რებს ჰგავდნენ.



ზვიად გამსახურდიას დღეს უფრო მეტი ადამიანი ამო-  
უდგა მხარში, ვიდრე ადრე ედგა, ეს რიცხვი კიდევ უფრო  
გაიზრდება. თანდათან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მის  
გვერდით მთელი საქართველო უნდა იდგეს.

როცა ზ. გამსახურდიას ვაქებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ  
გაძაგებდე რომელიმე სხვა ეროვნულ მოღვაწეს (გვარებს  
განგებ არ ვასახელებ, — იხინი ბევრნი არიან!) ან რომელიმე  
პარტიის მოღვაწეობა არ მომწონდეს. არა, ვისაც რა შეუძლია,  
იმას აკეთებს.

რა საკვირველია, ფიქრადაც არა მაქვს დავამცრო მათი  
ღვაწლი და დამსახურება საქართველოს წინაშე, თავისუფ-  
ლებისათვის მათი ბრძოლა, საბჭოთა კატორღებში თავს  
გადამხდარი მათი ტანჯვა-წამება გავაიაფო ან გავაუფასურო.  
ქართველი ერის გამოღვიძებისათვის მათ ელვარე მოღვაწე-  
ობას ჩრდილი მივაყენო, ღმერთმა დამიფაროს! რა დამა-  
ვიწყებს 14 აპრილს, 9 აპრილს, მოშიმშილეთა გვერდით გა-  
ტარებულ ნოემბრის სუსხიან ღამეებსაც... ამ დიადი დღე-  
ების შემოქმედთ. მე რომ დავივიწყო, ამას ერი არ დავივიწყ-  
ებ, ეს უკვე ისტორიაა. მაგრამ მე მინდა ყველა ეროვნუ-  
ლი მოღვაწე დავინახო ერთად ისე როგორც 9 აპრილის  
ღამეს ვიხილეთ, ერთმანეთის გვერდით, მთელ ქართველ ერ-  
თან ერთად. აი, ასეთი ერთიანობა გვჭირდება დღეს.

ეს ერთიანობა ზ. გამსახურდიას თვინიერ, გარეშე მისსა,  
არ მიიღწევა, გაერთიანება უნდა მოხდეს სწორედ ზ. გამ-  
სახურდიას გარშემო და ყველა პრობლემაც უმაღლ მოიხსნება,  
უნდა დავივიწყოთ ძველი წყენა, თუ რამ მას მართლა დაუ-  
შავებია, უნდა მივუტევოთ, უნდა შევეგუოთ ისეთს, როგორც  
არის და მასთან დავდგეთ, უმაღლ ძალას მოიკრეფს ყველა  
პარტია, უმაღლ ფეხზე დადგება ეროვნული მოძრაობა.

ასეთია სიმართლე, ასეთია ცხოვრების მოთხოვნა და  
ამას თვალი უნდა გაუხსნოროთ თუ მართლა გვინდა საქარ-  
თველოს თავისუფლება.

## ქართული ენა ყველაზე მაღლა დგას

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ახალმა მოვლენებმა, ეროვნული მოძრაობის გაძლიერებამ და ამადღებამ, ახალმა გაზეთებმა, გამოცემებმა, რადიოსა და ტელევიზიის ახალმა გადაცემებმა ჩვენდა საუბედუროდ, მოიტანეს უამრავი ახალი უცხო სიტყვა: ფორუმი, რეგიონალური, ლეგიტიმაცია, კოორდინაცია, უნიტარული, სპიკერი, მისია. ალტერნატიული, პლატფორმა, კონსოლიდაცია, პარიტეტული, შტაბ-ბინა, სპონსორი, ასოციაცია და ა. შ.

თუ ამ უცხო სიტყვებს დავაკვირდებით, ძნელი არ არის შესატყვისი ქართული სიტყვების გამოძებნა. მაგ. ავიღოთ სიტყვა „ფორუმი“. უცხო სიტყვათა ლექსიკონი ამ სიტყვას განმარტავს შემდეგნაირად: 1. ძველ რომში: მოედანი, სადაც იმართებოდა სახალხო კრებები და სხვა თავყრილობები. 2. (გადატ.) ადგილი, სადაც იმართება შეკრება, გამოსვლები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, 3. ფართო წარმომადგენლობითი კრება.

მაშასადამე, ლათინური სიტყვა „ფორუმი“, ქართულად ითქმის: საკრებულო, სათათბირო, საფიხვნო, საბჭო. ერთის ნაცვლად ოთხი სიტყვა გვაქვს. ვთქვათ, სიტყვა „საბჭო“ არ მოგვწონს, მისი „საბჭოურობის“ გამო, ინებეთ სხვა ქართული სიტყვები: „საფიხვნო“, „სათათბირო“, „საკრებულო“...

სხვათაშორის „საბჭო“ შესანიშნავი ქართული სიტყვაა, წუნი არ დაედება, ტყუილ-უბრალოდ შევიძულებთ; ბჭობა, ბჭე, სადაც „იბჭობა“ ქვეყნის პედი! — განა უკუსაგდები სიტყვებია? მათი საბჭოურობა ჩვენი ბრალია, ქართულ ენას, თვით სიტყვებს, ბრალი არ მიუძღვით! ეროვნული მოძრაობის მესვეურნი „საბჭოს“ ჯერ „სათათბიროს“ ამჯობინებდნენ, ბოლოს კონგრესზე შეჩერდნენ. რატომ? „ეროვნული საბჭო“ რითია ნაკლები „ეროვნულ კონგრესზე“? უფრო ქართულია,

უფრო დამკვიდრებულია, ნაცნობია ქართველი ერისათვის.

კარგით, მშვენიერი ქართული სიტყვა „საბჭო“ არ გვინდა, „სოცეტმა“ შეგვაძულა სამუდამოდ! სხვა ქართული სიტყვები განვიხილოთ: **ს ა ფ ი ხ ვ ნ ო**.

ერთი წამით გავისხენოთ რა არის სიტყვა „საფიხვნო“. ეგებ სწორედ ის არის, რაც გვინდა. ეგებ სულმთლად ერსადერთია და შეუცვლელი „საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი“ (გახსოვთ ალბათ სკალის მერხიდან!).

ჩვენი ცნობილი მეცნიერები ამ სიტყვას ასე განმარტავენ: „ერის შესაკრები ადგილი, ყრბლობის ადგილი“, (ალ. ლლონტი), „ადგილი სოფელში სადაც თავს იყრიან და ბასობენ“ (ალ. ჭინჭარაული).

„როცა საფიხვნოდ დავსდოდით, ვსთქოვდით, რაც გადაგვხდენია (ვაჟა). ა, ბატონო, ძველ რომში ადგილს, სადაც იმართებოდა სახალხო კრებები და თავყრილობები, თუ ეწოდებოდა „ფორუმი“, ასეთსავე ადგილს, საქართველოში თურმე ეწოდებოდა **ს ა ფ ი ხ ვ ნ ო**.

ნუთუ ეს სიტყვა არ უნდა გამოგვეყენებინა „ეროვნული ფორუმისათვის“?

„ეროვნული საფიხვნო!“ — თანამედროვე ქართველს, რა თქმა უნდა, ყურს სჭრის, მეტისმეტად ფშავურად მიაჩნია და ფორუმს ამჟობინებს, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ იქ არის, — საფიხვნოში ბოლოს და ბოლოს ჩვენ იმას — საფიხვნოს მივაკითხავთ, სხვა გზა არ არის, ხომ დაამტკიცა ცხოვრებამ!..

ვთქვათ, დავეთანხმეთ, თანამედროვე ქართველის „სპონსორიან, შტაბ-ბინა, ასოციაციურ“ მეტყველებას, დავიწუნეთ „საფიხვნო“, როგორც კუთხური სიტყვა და საერთაშორისო სიტყვა, ყველასათვის გასაგები „ფორუმი“ ვამჟობინეთ.

სათათბირო? საკრებულო? — რას ვემართლებით ამ სიტყვებს? ისინი ხომ შეუმცდარად გამოსატავენ იმას, რისი თქმაც გვინდა „ეროვნული ფორუმით“?

გნებავთ, სათათბიროსაც შეველიოთ. მას კონსტიტუციური შემაგრება სჭირდება, საგანგებო ტერმინის ფერი გადაჰკრავს. „ეროვნული საკრებულო“ ჰქვია იმას, რასაც „ეროვნული ფორუმი“ დავარქვით, ქვეყანა არ დაქცეულა! — სიტყვა „ფორუმი“ მაინც შემოსული იყო ენაში და ვიხმარეთო —

მეტყვიან. სწორია, სიტყვა შემოსული იყო, მაგრამ ჩვენ ის „დავამკვიდრეთ“, ისეთ კონტექსტში და ისეთ დროს ვიხმარეთ, მთელმა საქართველომ აიტაცა, ისე ელოლიავებოდა როგორც მშობლიურს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული მოძრაობის მესვეურების დამოკიდებულება ქართული ენისადმი. მათ ყოველ სიტყვას კანონის ძალა აქვს. ერთ დღეს, ერთ რომელიმე მიტინგზე მარჯვედ ითქმება უცხო სიტყვა, იმას ხალხი აიტაცებს, შემოვა, დამკვიდრდება და შემდეგ მწერლობას დასჭირდება საუკუნეები მის გასაძეველად. საქმე იქამდეა მისული, რომ პარტიის ზოგიერთი ლიდერი საგაზეთო წერილის ქვეშ ლექსიკონს ურთავს, ხოლო ქართულ გაზეთებს სხვათა ენით ნათლავენ, ქართულ სიტყვებს ვერ პოულობენ და უცხო სიტყვებს არქმევენ.

მაგ., შეიძლება ქართულ გაზეთს ერქვას „შანსი“ — არ შეიძლება. იმიტომ რომ „შანსი“ არ არის ქართული სიტყვა. შანსი ფრანგული სიტყვაა, ქართულ მეტყველებაში შემოსულია რუსულის გზით. რაც მთავარია, ქართულში ამ სიტყვამ შინაარსი იცვალა, თავდაპირველი მნიშვნელობით თითქმის არ იხმარება, ხოლო ის აზრი, რაც მან ქართულში შეიძინა, არ არის ისეთი, გაზეთს დავარქვათ. პირიქით, ის დღეს ქართულში სრულიად „უზნეო“ სიტყვაა, მაგ., „შანსიანი კაცი“ გახლავთ საბჭოთა უზნეო საქმოსანი, რომელიც იკადრებს: აფერისტობას, ქურდობას, გარყვნილებას, ყალბ გარიკებას და ა. შ.

არის ასეთი გამოთქმა „შანსი მაქვს“ — ერთი მნიშვნელობა ამ გამოთქმისა გახლავთ სწორედ სიტყვის პირვანდელი გაგება, შეესაძლებლობა მაქვს, შემიძლია. მაგრამ მეორენაირი გაგებაა — ბევრი ფული მაქვს, დიდი ნაცნობობა მყავს... ე. ი. უზნეო შეესაძლებლობა მაქვს. ამ გამოთქმის პორნოგრაფიული ვარიანტიც არსებობს — „ერთი მეტრო შანსი მაქვს“, თან უკან გაიშვებენ ხელს — ე. ი. კუდი მაქვს ერთი მეტრო. აი, ასეთი საძაგელი სიტყვაა ქართულში „შანსი“.

ახლა საკითხავია, რატომ დაერქვა ასეთი საძაგელი სიტყვა, თანაც უცხო სიტყვა ქართულ გაზეთს? რუსულის გამ-

ლენით. რუსულ ენაში შანსს სწორედ ის შინაარსი, ის აზრი გააჩნია, რა აზრითაც, რა გაგებითაც დაერქვა ქართულ გაწეთს (არის ერთი შანსი!) — აი, ამისთვის!

გ. პეტრიაშვილს მე მხარი დავუჭირე, არა იმიტომ, რომ კ. მარჯანიშვილს თაყვანს არ ვცემდი, ქართული ენის დაცვისათვის დავდექი მის მხარეს. ქართული ენა კი დიდ კოტე მარჯანიშვილზეც მაღლა დგას და თვით ეროვნულ მოძრაობაზეც. ეროვნული მოძრაობა ემსახურება ეროვნულ წმიდა სამებას: ენა, მამული, სარწმუნოება. ენით იწყება! ის მარად პირველია, არაფერი არ არის მასზე ძვირფასი ჩვენთვის.

გ. პეტრიაშვილმა ამხილა არა მარტო ის: ქართულ გაზეთს „შანსი“ რომ არ უნდა დავარქვათ, არამედ ისიც, თუ რატომ არქმევენ ქართულ გაზეთს „შანსს“. ჩვენი გონების რუსული წყობა, — წყობილება რუსული, ამხილა.

„შანსავიკები“, „შანსიანი“ ჟურნალისტები (სომ ხედავთ რა საწყენია ეს ეპითეტები! — რა თქმა უნდა, თქვენ ეს ეპითეტები არ გეკუთვნით, მეტი ზემოქმედებისათვის დავწერე). ახალ გამოცემასაც გვთავაზობენ, ახალი უცხო სიტყვით „ფენომენი“ არ შეიძლება. ნამდვილად არ შეიძლება! ტრადიცია მაინც უნდა ჰქონდეს უცხო სიტყვას გაზეთს რომ დაარქვა. ოცინ წლებში საქართველოში მრავალი დასახელების გაზეთი გამოდიოდა, რომელიმე გაზეთს ერქვა „შანსი?“ ან თუნდაც ფრანგული პრესა, ან რუსული ლიტერატურა იცნობს ამ დასახელების გაზეთს ან ჟურნალს? რაიმე ჟურნალისტური ტრადიცია, თუნდაც ისეთი, როგორც „ექსპრესსა“ აქვს — აქვს? — არა აქვს, რომც ჰქონდეს, (სადღაც სააგენტო არსებულა!) ამერიკაში, ინგლისსა და საფრანგეთში, ერთად სამივე ქვეყანაში გამომავალ ყველა გაზეთს, „შანსი“ რომ ერქვას, ქართულ გაზეთს „შანსს“ მაინც ვერ დავარქმევთ.

რაც ძალზე გულსატკენია, ამ საქმეში წილი უდევთ ძალზე ნიჭიერ და კარგ ჟურნალისტებს, ყოველ შემთხვევაში მათი გვარები სწერია „ფენომენის“ სარედაქციო კოლეგიაში. ჩემი ღრმა რწმენით, კოლეგიის წევრებს, გაზეთ „შანსის“ რედაქტორს, საერთოდ, ფორუმ-პლატფორმა-სპონსორის მთქმელებს ასეთ დარჯაკში ალბათ არ გაუტარებიათ უცხო

სიტყვები. უბრალოდ, აიღეს და დაარქვეს გაზეთს შემოსული, დამკვიდრებული სიტყვა. ხოლო ეროვნული მოძრაობის მეთაურებსა და მონაწილეებს არ სცალიათ ცალკეული სიტყვებისთვის ლექსიკონებში იქექონ, უცებ, სახელდახელოდ, მიტირებულ, უნდა წარმოსთქვა სიტყვა, იქვე უნდა მიიღო რეზოლუცია, იქვე, იმ წამს, უნდა გადაწყვიტო „პლატფორმა“ დაწერო თუ „მრწამსი“, არ გახსოვს ძველი ქართული შესანიშნავი სიტყვა და წერ უცხო სიტყვას — პლატფორმას. უცხო სიტყვა უფრო გახსოვს იმიტომ, რომ ის გიტრიალებს თავში, ის გესმის ყოველ წამს შორმხედში (ტელევიზორში). შორმხედი უფრო მეტს გელაპარაკება დღელამეში, ვიდრე საკუთარი დედა, შვილი, ოჯახის რომელიმე წევრი. შორმხედმა კააშუქა რუსეთის სესიის მიმდინარეობა, „პლატფორმა“ მთელი დღის განმავლობაში ოცდაათჯერ გითხრა, რეპორტაჟი გადმოსცა ყრილობიდან, „პლატფორმა“ ოცდაათერთმეტჯერ გითხრა, სად არის შენი საცოდავი „მრწამსი“? სადღაც წიგნებში მიმაღულია, ეგებ ოდესმე ვინმემ იხმაროს კიდევ, ვინმე შორმხედითაც გამოვიდეს და „მრწამსი“ თქვას, მაგრამ ის იქნება ერთი, ხოლო „პლატფორმის“ მთქმელი მილიონია. მილიონჯერ ნათქვამი უფრო გახსოვს, ის უფრო მკვიდრად გიზის გონებაში და როცა დაგვირდება, „პლატფორმა“ გაგახსენდება, „მრწამსი“ კი არ გაგახსენდება.

სახალხო ფრონტის პირველ ყრილობაზე ნოდარ ნათაძემ რამდენჯერმე იხმარა სიტყვა „პლატფორმა“, ერთ-ერთი სხდომა მე მიმყავდა და მეც, უნებურად, გავიმეორე „პლატფორმა“. დარბაზიდან მოგვწერეს: „ბატონო მწერლებო, რატომ ხმარობთ უცხო სიტყვას. პლატფორმა ქართულად ბ ა ქ ა ნ ი ა, ბ ა ქ ა ნ ი ხ მ ა რ ე თ ო. დაგვცინეს. მე, რა თქმა უნდა, უმაღლ გამოვაქვეყნე ეს წერილი. დარბაზში ხარხარი ატყდა. სამწუხარო ის არის, რომ ორივე ჩვენ, მე და ნოდარ ნათაძე, ამ საქმის სპეციალისტებად ვითვლებით, ორივენი ქართული ენის სიწმინდისათვის ვიბრძვიით, რაც თავს მოვესწართ.

მაგრამ მთლად უიმედოდ მაინც არ უნდა ვიყოთ, იმავე ყრილობაზე, იმავე სხდომაზე, კვლავ დარბაზიდან მოგვწერეს: რას მიედ-მოედებით პლატფორმა ქართულად მ რ წ ა მ-

ს ი ა თ. ე. ი. ქართველის გონებიდან ჯერ მოლად ამოშან-  
თული არ ყოფილა „მრწამსი“, ჯერ შეიძლება შეველა!

ეგებ ვინმემ მითხრას: რა უჭირს იყოს ესაში „პლატ-  
ფორმაც“, მრწამსიც, ამით სინონიმები იზრდება, ენა მდიდ-  
რდებაო. ამ აზრს ვერ დავეთანხმები, ენა კი არ მდიდრდებ-  
ა, ნავციანდება. ისევ გაზეთ „შანსს“ უნდა დავუბრუნდე; იქ  
დაამკვიდრეს მეგრული სიტყვა „მარებელი“, არ ვიცი რა  
მოტივით შეცვალეს „მაჭანკალი“ „მარებელით“... გაზეთის  
მუშაკებს ეგებ სხვათა სიტყვად მიაჩნიათ. ლექსიკონებში  
ამის კვალი არ ჩანს. თუ ასეა, მოსათმენია. ძალზე მეეჭვება  
ასე იყოს.

ეს ხერხი, ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრები-  
სა, დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ ყველაზე მარჯვდ  
შემოიღო და დაამკვიდრა არა მარტო თავის შემოქმედება-  
ში, საერთოდ, ახალ ქართულ ლიტერატურაში. ამ ხერხს,  
ამ მეთოდს, — ძველი ქართული ენის ლექსიკიდან, დიალექ-  
ტებიდან, ქართველური ენებიდან ამოეკრიფა საერთო ქარ-  
თული ენის მარგალიტები — დიდი ოსტატობით ასრულებდა  
თვითონ. „შანსის“ ახალგაზრდა ჟურნალისტებს ამდენს ვერ  
მოვთხოვთ, მაგრამ თუ რა წესით უნდა ავიღოთ მეგრულიდან  
და სვანურიდან სიტყვები, შევახსენებ. როცა ქართულში  
გვაქვს ისეთი შესანიშნავი სიტყვა, როგორიცაა „მაჭანკალი“,  
არა მარტო სიტყვა, ქართული ლიტერატურის მიერ შექმნი-  
ლია მაჭანკლის განუმეორებელი ტიპები. „მაჭანკალი“ ქარ-  
თველი კაცის სულსა და გულში ზის დიდი ხანია, სულხან  
საბადან მოკიდებული დიდ ქართულ ლიტერატურაში მკვიდ-  
რობს, არ არის საჭირო ახალი სიტყვის შექმნა ან შემო-  
ტანა. სხვათაშორის „მაჭანკალს“ ქართულში მოეძებნება არა-  
ნაკლები შესატყვისები: შუამავალი, გამრიგებელი, მაშვა-  
ლი... ეს სიტყვები შესაძლოა უფრო ძირძველი ქართული  
სიტყვებია, ვიდრე მაჭანკალი. სულხან საბა მაჭანკალს, ანუ  
მაჭანკალს ასე განმარტავს: სიძვის შუამავალი. მაშასა-  
დამე სულხან საბას დროს მაჭანკალი უკვე შესულია  
ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, უკვე დამკვიდრებულია  
ენაში, მაგრამ შუამავალი უფრო ნაცნობია, უფრო გასაგებია,  
აღბათ უფრო ადრე არსებობდა ენაში, ერმაც უკეთ ეს სიტ-

ყვა იცის — ასე შეიძლება წავიკითხოთ სულხან საბას განმარტება.

„მარებელსაც“ აქვს ალბათ დიდ ქართულ ენაში შემოსვლისა და ქართული სიტყვების: მაჭანკლის, შუამავლის, გამრიგებლის, მაშვლის გვერდით დგომის უფლება, მაგრამ არა ისე, რომ მან ეს სიტყვები გააძევეს და ქართულ გაზეთში მთავარი როლი ითამაშოს — მთელი გვერდი დაიკავოს. მეგრული ენის მცოდნე ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა ქართულ ენაში შემოიტანეს ბევრი ასეთი სიტყვა, მაგრამ, არა ჯიქურ, სიფრთხილით, ყურთა სმენის გამახვილებით. სადღაც, რომელიღაც ლექსში, რომელიღაც მოთხრობაში გაიელვა მაგ., სიტყვა „წყურგილე“, ქართულმა ენამ ის მაინცდამაინც ვერ მიიღო და დარწა იმ ლექსში, იმ მოთხრობაში, შეიძლება „წყურგილე“ ქართულ სიტყვებს ბოლოს და ბოლოს გვერდითაც კი ამოუდგეს, მაგრამ მოკრძალებით შორს უნდა დადგეს, აუცილებლობის შემთხვევაში შეენაცვლოს დედა სიტყვებს: წყაროს, რუს, ფშას...

დიდ ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ულამაზეს და უმშვენიერეს „წყაროს“ — „წყურგილე“ ვერ შეეცინება, მეტოქეობას ვერ გაუწევს.

მწერლებმა წყურგილე ალბათ კოლორიტიისთვის, მრავალფეროვნებისთვის შემოიტანეს, მაგრამ განა წყურგილე შეიძლება წყაროს მაგივრად ვიხმართ?

წყართ ქართულ მწერლობას საღვთო წიგნებიდან მოჰყვება, „ვეფხისტყაოსანში“ უკვე „წყაროს თვალიც“ იპოვება: „თვალთა, ვითა წყართს თვალი ცრემლი ველთა მოადინეს“.

ქართულ ენას გამორჩეულად უყვარს სიტყვა „წყარო“ და მისგან მრავალ სიტყვას, სიტყვათწყობილებას ქმნის. თავწყარო, წყაროს თვალი, ცხრა წყარო, წინწყარო, ცივწყარო.... წყაროს შესატყვისებიც (სინონიმები) ბლომად მოეპოვება: ნაკაფი, ნაკადული, ბინული, რუ, ფშანი, ფშა....

საყურადღებოა ისიც, რომ ქართული ენა ანსხვავებს წყაროს, მდინარის პირას, მდინარესთან ახლოს, მიწიდან ამომდინარს, მას სულხან საბა ფშას ეძახის, კლდიდან გადმომდინარს — ზანჩქერს, მაღალი კლდიდან გამომდინარს —



დანჩქერს, „ხოლო ლოდნართა მსქერვალისა — გოჩ-გოჩანას. სადა წყნარად და არა ლუბრჰად დიან — მონი-ოს, სადა მსქერვალი დაწყნარდების და ერთსა ადგილსა დადრმავდების — მთრევი; დანჩქერი ღრმად ჩაიჭრების და ამოდულილივით ზე ამოიჭრების — ზვირთი; სადა მონიო წყალი ჩაიღლარჭება — ჭევლი“. აი, ასე იცნობენ წყაროს და მის ნაირსახეობებს დიდი ქართველი სიტყვისმოქმედნი, სულხან საბა, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, შოთა რუსთაველი....

ასეთი ტრადიცია აქვს წყაროს.

ასლა ვიკითხოთ რა არის წყურგილე. თვით მეგრულ-ში წყურგილე-წყურგილი, — წყაროა, სწორედ ის წყარო, რომელიც მდინარის ნაპირას, მდინარესთან ახლოს, ამოდის მიწიდან, ე. ი. ქართულად ის არის — ფშა. წყურგილე ორი სიტყვისაგან შედგება, კომპოზიტია, საფიქრებელია რომ ის შედარებით ახალი წარმოშობისაა, უფრო ძველი უნდა იყოს „სკური“. სიტყვა-სიტყვით: წყურგილი = ჭა + ცივი. ქართულს მისი პირდაპირი თარგმანიცა აქვს — ცივწყარო.

ხოლო თვით წყურგილე, ჭაცვივ განა წყაროს შეედრება, მეტოქეობას გაუწევს მას?!

ქართული ენა უსაზღვროდ მდიდარი ესაა, რა თქმა უნდა, წყურგილე და მარებელი, თვით კონსოლიდაცია და ასოციაცია მას ვერაფერს დააკლებს, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს. ყოველი სიტყვა დიდი ყურადღებით და დაკვირვებით უნდა შემოვიტანოთ.

მიტირებებზე სიტყვებს ენათმეცნიერები არ წარმოსთქვამენ, უცხო სიტყვათა მოზღვაება კი გრძელდება.

არა მგონია ქართული ენის დასაცავად აუცილებელი იყოს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორობა. ან მაინც-დამაინც მწერლობა. ყოველ ქართველს შეუძლია ცოტა მეტი დაკვირვებით იხმაროს უცხო სიტყვა, ცოტა მეტი დაატანოს ჭკუას ძალა და ენის წვერზე მომდგარი პირველი სიტყვა არ წამოიძახოს და არ დაწეროს. მეტიც, დღეს უმეტესობა ქართველობისა უმაღლესდამთავრებულია, დარწმუნებული ვარ ბევრ მათგანს შეუძლია ახალი სიტყვის შექმნა, მით უფრო ქურნალისტებს, მათ ევალებათ კიდევ ასეთი სამუშაოს

ჩატარება. მაგ., ცნობილია, რომ სიტყვა „თანამგზავრი“ ქართველმა ჟურნალისტებმა შექმნეს და დაამკვიდრეს. სიტყვა „ჟანგბადი“ ამ საუკუნის დასაწყისში შექმნა ჟურნალისტმა, პროფესიით აფთიაქარმა ი. ალხაზიშვილმა. სულ ასლახან ტელეხედვამ სიტყვა „სპონსორს“ გამოუძებნა მშვენიერი ქართული შესატყვისი: „მეოხე“.

ეროვნულ მოძრაობაში ყოველ რიგით წევრს შეუძლია მსგავსი საქმიანობის გაწევა. თორემ რა გამოვა: ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ათასობით ადამიანი, ათასობით შემოიტანს უცხო სიტყვას — ხოლო თითო-ოროლა მწერალი, თითო-ოროლა სიტყვას გააქართულებს, როდის-ღა მიიღწევა ქართული ენის სიწმინდის დაცვა?

ქართული ენა ქართველმა ერმა უნდა დაიცვას, საერთო სახალხო საქმიანობად, ყველას საქმედ უნდა გადავაქციოთ ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა. შედეგს მხოლოდ მაშინ მივიღებთ.

### სიტყვა თქმულ მწერალთა კავშირში 1972 წ. მ. ა. შეპარდნაქესიან შეხვედრის დროს ქართული ენის დასაცავად

უძრობის ხანაში, შენიღბული ტირანიის დროს, კრემლ-მა, სუსლოვის მეთაურობით, მიზნად დაისახა ქართველი ერის გარუსება დაჩქარებული ტემპით.

პარტია ანხორციელებდა იმას, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ეწერა: „განლილი კომუნისტური მშენებლობა ნიშნავს ახალ ეტაპს სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში, რასაც ახასიათებს ერების შემდგომი დაახლოება და მათი სრული ერთობის მიღწევა“... (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961 წ.).

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერთა სრული ერთობის მიღწევა, ანუ „სლიანიე“, სხვა არაფერია, თუ არა გარუსება.

ამ მიზნისკენ ისწრაფოდა მთელი საბჭოთა კავშირი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც პირველი მტკიცე ნაბიჯი 1972 წ. გადადგა აქეთკენ, როცა რუსული ენის საყოველთაო სწავლება გამოაცხადდა. აი, რას გვაუწყებდა მაშინ ვაზეთი „კომუნისტი“: „რუსული ენა – ლენინის ენა, ოქტომბრის ენა, დიდი რუსი ხალხის ენა დიადი და მძლავრია. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ენაა და ეს ენა უნდა იცოდეს რესპუბლიკის თვითეულმა მცხოვრებმა. ასეთია ამოცანა, ასეთია ცხოვრების მოთხოვნა“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუჟანაძის დროინ-

დელი სალდაფონური მოღვაწეობა შეიცვალა ახალი „მეცნიერულად დასაბუთებული“ საქართველოს გარუსების უცილებლობის თეორიით.

მე თავიდანვე წინ აღვუდექი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას მეცნიერულად დაესაბუთებინარუსული ენის უპირატესობა და განსაკუთრებულობა.

ახალდანიშნულ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შევახსენე—რუსული ენის საყოველთაო სწავლებით კი არა, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვით უნდა დაგეწყოთ მოღვაწეობა-მეთქი.

აი, ეს სიტყვაც.

პარტიის, ხალხისა და საქმის ინტერესი მთხოვს თავისუფლად და საქმიანად განვიხილო პარტიული პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, საქართველოს პარტიული აქტივის კრების ანგარიშის ის ნაწილი, სადაც საუბარია ინტერნაციონალიზმზე და ხალხთა მეგობრობაზე. ანგარიში გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“.

ვფიქრობ, რომ ან ეს ანგარიში არ გამოხატავს პარტიული აქტივის კრების მთელ შინაარსს, ან დაშვებულია სწორედ ის შეცდომა, რის წინააღმდეგ თითქოს უნდა ებრძოლა რესპუბლიკის პარტიულ აქტივს.

გაზეთში ვკითხულობთ, რომ მოსკოვის საიუბილეო სხდომაზე აღუნიშნავთ შემდეგი: „საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო და ზიზღის მომგვრელია ამპარტავნული აზრი ერთი ხალხის მეორეზე უპირატესობის შეასახებ და მით უმეტეს ეროვნული თუ რასობრივი განსაკუთრებულობის ბოღვითი იდეები“.

ღიახ, ჩვენ გვასწავლიდნენ. ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის დემოკრატიული პრინციპით წარმართვას, უპირატესობა არც ერთს ერს, თანაბარი უფლებით ერთად, ძმურად ცხოვრებას.

გაზეთ „კომუნისტში“ კი ვკითხულობთ: „...რესპუბლიკაში ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობაში წამყვანი ადგილი უკავია ხალხთა მეგობრობის იდეების და განსაკუთრებით რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და

ძმობის განმტკიცების იდეის პროპაგანდას, რომლებსაც ისტორიული ფესვები საუკუნეებში აქვთ გადგმული“.

შემდეგ დასაბუთებულია ეს „განსაკუთრებულობა“ შემდეგნაირად: „ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვაფასებდეს დიდი რუსი ხალხის პროგრესულ ისტორიულ მისიას საქართველოს მიწა-წყალზე. მხოლოდ რუსეთთან, საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამ იხსნა ჩვენი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან“.

როგორც ზემოთ მოვახსენეთ, პარტია თითქოს გადაჭრით იბრძვის ყოველგვარი განსაკუთრებულობის წინააღმდეგ და ამ დროს განსაკუთრებით რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მოთხოვნა ცოტა არ იყოს უხერხული მეჩვენება. ეს სამართლიანი მოთხოვნაც არ არის, რა დააშავეს ებრაელმა, სომეხმა ხალხებმა. ქართველი, ებრაელი, სომეხი ხალხების მეგობრობას ხომ არა ნაკლები ისტორიული ფესვები აქვთ. რა დააშავა უკრაინელმა ხალხმა, რომლებთან მარადაც იშვიათი, ლამაზი მეგობრობა გვაკავშირებს გურამიშვილის მიერ დაფუძნებული. რა დააშავეს ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, სხვა მოძმე ერებმა... ღმერთმა დამიფაროს პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლის ცნობილი ჩვენი საყვარელი ადამიანების სამშობლოსა და ხალხზე მე, ქართველმა მწერალმა აუცი ვთქვა, მაგრამ ჩემთვის ამგვარი ინტერნაციონალიზმი გაუგებარია, სხვა არა იყოს რა, ეს ხომ პატიოსანი აზრიც არ არის. იქნებ მე ვაზვიადებ, იქნებ ის ერთი აბზაცია არაზუსტი, იქნებ უნებლიე შეცდომაა დაშვებული. სამწუხაროდ, მთელ ამ ანგარიშს ზედმეტად გადაკრავს რუსი ხალხის განსაკუთრებულობის სურვილი. მომყავს კიდევ ერთი მაგალითი:

„რუსული ენა — ლენინის ენა, ოქტომბრის ენა, დიდი რუსი ხალხის ენა დიადი და მძლავრია. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ენაა. და ეს ენა უნდა იცოდეს რესპუბლიკის თვითეულმა მცხოვრებმა. ასეთია ამოცანა, ასეთია ცხოვრების მოთხოვნა!“

ჩემთვის გაუგებარია გამოთქმა „რუსული ენა — ლენინის ენა“, ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს? ვერმანული ენა მარქსის ენაა, ხოლო ბერძნული რომ პლატონის ენაა, ამით რა

დასკვნამდე მივალთ? დიადი და მძლავრი არ არის ეს ესე-  
ბი?..

მსოფლიოში ყველაზე აღიარებული ენა მართო რუსული  
არ არის, ასეთი ენები ბევრია. რა საჭიროა ასეთი გამო-  
ცალკევება, ყველაზე აღიარებული ენა სხვა არის და საერ-  
თაშორისო ენა სხვა.

ამოცანა კი, რომელიც აქტივის კრებამ ქართველ ხალხს  
დაუსასა, მე ვფიქრობ დიდი ხანია გადაწყვეტილია. რუსული  
ენა რესპუბლიკის თვითეულმა მცხოვრებმა იცის.

ნუთუ აქტივის კრება ყოველი ქართველისაგან მოითხოვს  
რუსული ენის სრულყოფილ ცოდნას?!

პირიქით, ხალხს ქართული დაავიწყდა, თორემ რუსული  
ესმით კიდევ და მშვენივრადაც ლაპარაკობენ. მე მოვიტან  
ორ ტიპიურ მაგალითს, თუ როგორ გადაავიწყდათ ქართული  
დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში და აღმოსავლეთ  
საქართველოს, აგრეთვე, ბევრ რაიონში.

ენგურჭესში სოფელ ფოცხოეწერში მე და ერთი ახალ-  
გაზრდა — ადგილობრივი მკვიდრი თაღოვანი კაშხალის მშე-  
ნებლობას ვათვალიერებდით.

— ენგური სადღაა? — ვეკითხები ახალგაზრდას.

— იქ აბუადნოი ტუნელია გაკეთებული და შიგ შედის  
ენგური — მიხსნის ახალგაზრდა.

— რა გვირავია ასეთი, რომ ენგურს ამაგრებს, — ჩემ-  
თვის ვთქვი მე.

— კრუგომ ბეტონია, პადოშიც ბეტონისა აქვს — მითხრა  
ახალგაზრდამ.

პადოში ალბათ რაღაცა საინჟინრო ტერმინია-მეთქი და  
ახალგაზრდას ახსნა ვთხოვე.

— პადოში არ იცი რა არის? — გაუკვირდა მას — პოლია  
გაკეთებული, ჟელეზნობეტონის პოლი — ამიხსნა.

— ის რა არის? — მალლა ზეცაში ავიხედე დაბნეულმა.

— ის კაბელკრანია. აქეთ რომ არის ის, — მოსტია ვოზ-  
დუშნი

— ამ სიმაღლის ხიდზე ადამიანი გადადის?

— კი, გადადის, ხომ ხედავ პერილები აქვს გაკეთებული.

— გასაგებია, — სევდიანად ვუთხარი მე — ამ მიდამოებს

რა ჰქვია? მთებისა და ენგურის ჭალებისკენ გავიშვირე ხელი.

— ამას, კრუგომ, რასაც ხედავ, პრავი ბერევი ჰქვია, — მომიგო მან.

თავზარი დამეცა.

— თქვენ აქაური ხართ თუ არა?

— აქაური ვარ, აბა სადაური ვარ!

ახლა კი აღვშოფოდი.

— მერე შენი სოფლის სახელი როგორ დაგავიწყდა? ფოცხოეწერი არ ჰქვია ამ სოფელს?

— ახლა პრავი ბერეგია, ფოცხოეწერს აღარავინ ეძახის.

მეორე მაგალითი. ამ მაგალითს მე მსოვიტან გიორგი ნატროშვილის ერთ-ერთი საუკეთესო წერილიდან „სიტყვა და დედამიწა“.

„კოლმეურნეობის თავმჯდომარე (თავის მდივანს მიმართავს):

— მისწერე რაიონის სოფულტექნიკას: პერედსკი გვინდა, კონიჩესკი, ტრაინიკი...

ბრიგადირი (ეხვეწება საწყობის გამგეს):

— შენი ჭირიმე, შკვორენი უნდა მომცე.

— გამოაწერინე კანტორაში და მოცემ.

— ნუთუ არ იცი, რა ჰქვია ქართულად შკვორენს?

არ იცის. მაგრამ ის კი იცის, რომ არიან ვიღაც მოცლილი ადამიანები, რომლებიც სხედან სადღაც, თავიანთ კაბინეტებში და ჩვენს საწვალეებლად იგონებენ რაღაც ქაჯურ სიტყვებს. ასე ფიქრობს. ამიტომ მისი პასუხიც ირონიით სავსეა:

— რა ჰქვიან? ერქმევა ალბათ ჭლიპურტა, ან ცქრიალა, სულ ერთია, მაგას არავინ არ იხმარებს, რათ გინდა თუ კაცს ვერ გააგებინებ!

ასე ფიქრობს, ფიქრობს იმიტომ, რომ ტვინის განძრევა ეზარება, თორემ არაფერია უფრო ადვილად წარმოსათქმელი, ვიდრე ის სიტყვა. რაც ქართულად შეორენ ან შკვორენს ჰქვიან. ათასეული წლების მანძილზე არ ყოფილა არცერთი დღე, როცა ქართველ გლეხკაცს ეს თუ მეტჯერ არა, ათჯერ

მანც არ ესხენებინოს. ეს სომ ტაბიკია, თავტაბიკი და უიმისოდ გლეხკაცი ფესს ვერ გადაადგამდა“.

აი, ასე მეტყველებს ჩვენი ამერ-იმერი. ახლა ვნახოთ შიგ შუაგულ თბილისში რა ამზავია.

ეს დიალოგი, რომელსაც ახლა წაგიკითხავთ, საბურთალოში ჩავიწერე, საბურთალო მე განგებ ავიღე, ავლაბარსა და ორთაჭალაში რა ენაზე მეტყველებენ, დიდი ხანია ცნობილია.

დილით, ადრე, საბურთალოს ოთხსართულიან კუბოებივით ჩამწკრივებულ სახლებს შორის ახალგაზრდა დედა ძუძუთა ბავშვს დაასეირნებდა. ერთგან მეორე სართულის ფანჯარაში თავი გადმოჰყო ლამაზმა ქალმა და ბავშვიან ქალს მიესალმა.

— პრივეტ, დარაგაია, როგორა ხარ?

— ნიჩევო, თქვენ როგორა ხართ? — ქვევიდან ჰკითხა ქალმა.

— ისე რა, ყივიომ... დაასეირნებ?

— რა ვქნა, ახლა კოკლუში ჭირს, ყოველთვის რაღაცა ჭირს, უტას პრიამო, გააჭირა საქმე, — შესჩივლა ბავშვიანმა მეზობელს.

— ნამეტანი სემეინაია გახდი, აი... გამოიარე. ეს რამხელა გაზრდილა — ქალი ბავშვს შორიდან გაეთამაშა.

— ნანა, ნანოჩკა!.. — ხელი დაუქნია.

დედამ ბავშვს პატარა ხელი აუწია და უთხრა:

— დასვიდანია, ქენი, დედა, დასვიდანია...

ფანჯრიდან ქალმა დაუძახა:

— დასვიდანია, ნანა, დასვიდანია.

— უთხარი დასვიდანია, რა მოგივიდა — გაუჯავრდა დედა.

ბავშვმა როდის-როდის დაუქნია ქალს ხელი, ძალით დაქნევინეს დასვიდანია“.

როგორც ვხედავთ დასავლეთ საქართველოში ხალხს საკუთარი სოფლის სახელი დავიწყნია, კახელ გლეხს ტაბიკის სახელი, თბილისში ძუძუთა ბავშვს რა ენაზე ებუღბულებიან ისეც სომ გნახეთ, ახლა ერთი თვალის გადავლებით გავინ-



სენოთ, თუ როგორი მუდმივი კავშირი აქვს ქართველ ხალხს რუსულ ენასთან. რუსულ ენას ყველა ქართველი სწავლობს 9 წლის ასაკიდან. (ეს მაშინ, 16 წლის წინათ, დღეს 6 წლის ასაკიდან სწავლობენ!) სიკვდილამდე.

რუსულ ენაზე საქართველოში გამოდის ათასობით ჟურნალ-გაზეთი და წიგნი, გახსნილია უამრავი რუსული სკოლა, უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გვაქვს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტები და კათედრები. მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში ფაბრიკა-ქარხნებში, თვით ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში წარმოება რუსულ ენაზეა.

ხოლო ყოველი ქართველის ოჯახში დგას ტელევიზორი რუსული ენის დიდი პროპაგანდისტი.

ყოველივე ამის შემდეგ კვლავ რუსული ენის სწავლები-საკენ მოწოდება, მტკიცე მოთხოვნა ყოველმა ქართველმა ტურგენევივით იცოდეს რუსული ენა სამართლიანი მოთხოვნა არ არის.

მინდა გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი: ჩვენი რესპუბლიკა უმაღლესდამთავრებულთა ე. წ. დიპლომიანთა რესპუბლიკა გახდა, მაგრამ იშვიათად თუ იპოვით კარგ ექიმს, კარგ ინჟინერს, კარგ აგრონომს, კარგ პედაგოგს.

რატომ მოხდა ეს? რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ასალგაზრდას ყველაფერს ვასწავლით გარდა მშობლიური ენისა, მშობლიური ისტორიისა, ამიტომ მისი აზროვნება შეზღუდულია, მკვდარია, რალაც იცის, მაგრამ გამოთქმა უჭირს, საბოლოოდ ცუდი სპეციალისტია.

როგორც დიდი ილია გვასწავლის: მშობლიური ენა და ისტორია გონების საზრდოა. უიმისოდ ვერც სხვა ენას სწავლის ადამიანი და ვერც ექიმობასა და ინჟინრობას.

იქნებ ჯობდა გაზეთ „კომუნისტს“ ჯერ ქართული ენის საფუძვლიანი სწავლებისაკენ მოეწოდებინა და შემდეგ მოეთხოვა რუსული ენის საყოველთაო შესწავლა.

ახლა ჩვენი პატივცემული სტუმრის ყურადღება უნდა მივაპყრო ერთ მთავარ საკითხზე; არსებობს ძალზე სერიოზული და თითქმის გაბატონებული თეორია, რომ ჩვენს დროში კანონზომიერ მოვლენად იქცა ერების დაახლოება და

ენების შერწყმა (Сближение და Слияние), რომ ეს მოვლენა თანდათან გაძლიერდება და თანდათან წარმოიშობიან ჯერ ორენოვანი ენები, შემდეგ საერთო ნაციონალური (Межнациональный) ენის ჩამოყალიბება დაიწყება და ბოლოს კომუნიზმში ხალხები ილაპარაკებენ ერთ ენაზე. ეს ენა იქნება რუსული ენის მსგავსი, ოღონდ ახალი ენა.

ამ თეორიით ქართველ ხალხს ვეუბნებით შემდეგს: თქვენ გელით შესანიშნავი მომავალი, თქვენ იცხოვრებთ კომუნიზმში, ე. ი. იცხოვრებთ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მოთხოვნილებების მიხედვით გექნებათ საჭმელ-სასმელი. ჩასაცმელი-დასახურავი, ბინა, ავეჯი, მანქანა, ყველაფერი ის, რაც დღეს გაკლიათ, ოღონდ არ გექნებათ ენა, არ იქნებით ქართველი, დაკარგავთ ეროვნულ თავისებურებას, დაკარგავთ საქართველოს.

ენების განვითარების ისტორია ამის არავითარ საბუთს არ იძლევა. ისტორიას არ ახსოვს სხვადასხვა ენების შერწყმით (თუ არ ასიმილაციით, ე. ი. ძალით) ერთი ენა წარმოიშობილყოს. პირიქით, ერთი ფუძე ენიდან წარმოიშობა მრავალი ენა. მაგალითად: ქართული ფუძეენიდან წარმოიშვა შემდეგი ენები: მეგრული, სვანური, ლაზურ-ჭანური შესაძლეთა მთელი იბერიულ-კავკასიური ენებიც კი. სლავური ენიდან წარმოიშვა რუსული, უკრაინული, ბელორუსული, პოლონური ჩეხური, სლოვაკური და სხვა. ხალხური ლათინური ენიდან წარმოიშვა რომანული ენები: იტალიური, ფრანგული, პროვანსული, პორტუგალიური, ესპანური, კატალონიური და სხვ...

არსებობს ისეთი მოსაზრებაც რომ საერთოდ ყველა ენა ერთი ენიდან წარმოიშვა.

მაშასადამე, ქართული ენა სხვა ენას არ შეუერთდება, ქართველი ერი არავის შეერწყმის და შეერთვის.

თუ საერთაშორისო არენაზე ქართველი ხალხი დღესდღეობით ისე აქტიურად არა ჩანს, როგორც სხვა მოწინავე ერები ჩანან, ეს პესიმიზმის წყარო არ უნდა იყოს, უნდა გვახსოვდეს დიდი ილიას ბრძნული შეგონება: „ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს: იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავის სულის ღონეს, თავის სულის ბგერას, თვით

ზნობითს და გონებითს აღმატებულობას, თვის ვინაობას, თვის თვისებას... თუნდ ღრთათა ბრუნვას ერი განეყოს, და-ერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია სოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ, და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს“.

დაძინებულის ისტორიის იმედით, ხალხთა ნამდვილი, თანასწორუფლებიანი ძმობისა და მეგობრობის იმედით, ქართული ენის უკვდავების იმედით, ქართველი ხალხის პატიოსანი შრომისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის სამართლიანი ბრძოლის იმედით შეიძლება აშენო აწმყო და იმედი გქონდეს მომავლისა.

## ძართული ენა სახელმწიფო ენაა

დიდი ქართული ენის უფლებამოსილებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ასე აისახა: ქართული ენა სახელმწიფო ენაა.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ საქართველოში ქართულ ენაზე უნდა მუშაობდნენ სახელმწიფო დაწესებულებანი: საქართველოს კ. პ. ც. კ. მთელი აპარატი, მინისტრთა საბჭო, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები.

ქართულ ენაზე უნდა ტარდებოდეს ყრილობები, პლენუმები, აქტივის კრებები, დიდი სახალხო შეკრებები თუ სხვა ღონისძიებები, დაწესებულებაში წარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზე.

სამწუხაროდ, რაც საჭკოთა ხელისუფლება არსებობს, ეს ასე არ ხდება; ქართულ ენაზე არ მუშაობენ საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სამინისტროები და უწყებები.

ამ დაწესებულებების მუშაკებსა და მათ ხელმძღვანელებს თითქოს ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველი ხალხი ირჩევს მათი რიგებიდან. ქართველი ხალხის მიერ „არჩეული“, აი, ეს „სახალხო“ მთავრობა წერს, კითხულობს და მუშაობს სხვა ხალხის ენაზე.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია ირღვევა წლების განმავლობაში და ამას მოთმინებით შეჰყურებს ქართველი საზოგადოება.

ქართული ენა იდევნება საქართველოდან. ფაბრიკა-ქარხნებშიც კი პარტიული კრებების ჩატარება რუსულ ენაზე დაიწყეს, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე კარგა ხანია სხვათა ენა გვესმის, ფოსტა-ტელეგრაფი ხომ არც იკადრებს ქართულ ენაზე მიწერ-მოწერას.

მამ, როგორ-ღაა ქართული ენა სახელმწიფო ენა?

რასაკვირველია, არავითარი ქართული სახელმწიფო არ არსებობს და არც მისი სახელმწიფო ენა გაგვანია, მაგრამ რაც წიგნებში მიმალულა, რაც აქამდე ტანჯვით მოუტანია ქართველ ხალხს, რასაც ოჯახებში შეუფარებია თავი და საყველპუროდ იხმარება, ისიც ხელიდან გვეცლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საკუთარ კონსტიტუციას ხელვეყფთ, არ ვასრულებთ იმას, რაც შიგ გვიწერია. ქართულის ნაცვლად სახელმწიფო ენად ვაქციეთ რუსული ენა. რუსულ ენაზე მუშაობს ზემოთჩამოთვლილი სახელმწიფო დაწესებულებები. ქართული ენა ქცეულა სამეზობლო, საოჯახო, პატუა ენად და მალე იქაც ჩაინავლება, ჩაიფერფლება. ქართულ ენასა და ცხოვრებას შორის გაჩნდა კონფლიქტი, ქართული ენა დაუპირისპირდა ადამიანის ყოველდღიურ საჭიროებას.

ვთქვათ, ქართველმა ყმაწვილმა დაამთავრა ქართული საშუალო სკოლა, შემდეგ ქართული საინჟინრო სასწავლებელი, შეისწავლა ინჟინრობა ქართული ენა ამის შემდეგ არსად გამოადგება. ქართული ენა, ქართული სწავლა-განათლება ხელისშემშლელი აღმოჩნდება მისთვის. ის ხომ ვერ დაწინაურდება ცხოვრებაში, ვერ იქნება ხელმძღვანელი, ვერ იმუშავებს ტრესტში, სამინისტროში, ცენტრალურ კომიტეტში, იქ რუსული ენის კარგ მცოდნეებს (მაშასადამე რუსული სკოლის კურსდამთავრებულებს) ამოიჩვენენ, რუსულ წარმოებას რუსულად განსწავლულნი უკეთ გაუძღვებიანო.

იმ ჩვენს ყმაწვილს ქართული ენის გამო რაკი ასეთი გასაჭირი დაადგება, რასაკვირველია, შეცდომას აღარ გაიმეორებს და შვილებს მაინც აღზრდის ისე, როგორც ამას ცხოვრება მოითხოვს. რუსულ სკოლას მიაკითხავს. ეს ნელი, მშვიდობიანი, ძმური და მეგობრული გარუსების პროცესი კარგა ხანია დაწყებულია. ასე ნელ-ნელა, ძმურად და მეგობრულად გვეცლება ხელიდან რუსთაველის დიდი ქართული ენა და ალბათ ერთ მშვენიერ დღეს შინაც რუსულ ენაზე ავჟღურტულდებით.

აი, სანამდე მიყვავართ ჩვენი საკუთარი კონსტიტუციის ხელყფას და აბუჩად აგდებას.

მაინც ვინ, კონკრეტულად ვინ არღვევს კონსტიტუციის

ამ შესანიშნავ მუხლს, ვინ არის მიზეზთა მიზეზი? პასუხი უბრალოა და ყველასთვის ნათელი — რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. პირველი კონსტიტუციიდან დღემდე ვისაც კი უმუშავია საქართველოს კომუნისტური პარტიის ც.კ. პირველ მდივნად, მინისტრთა საბჭოსა და პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, ყველას ბრალი მიუძღვის ამ საქმეში.

როგორც ჩანს, მრავალსაუკუნოვანმა მონობამ სულიერად ისე გარყვნა ქართველი ხალხი, რომ ერთი ადამიანიც კი ვერ გაგზავნა მთავრობაში, ვინც არ იქნებოდა დესპოტი, მკვლელი, მომხვეჭელ-მტაცებელი, კარიერისტ-მლიქვნელი, მშიშარა, ცრუ და ა. შ...

კეთილსინდისიერი, ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანი თითქოს მიწამ ჩაყლაპათ, არა და არ ჩანს სათავეში. ცოტნე დადიანობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ საკუთარი კონსტიტუციის კანონები დაიცვას ადამიანი. არ უნდა იყოს მშიშარა, მლიქვნელი, კარიერისტი მორჩა და გათავდა, ეს კმარა. ამ კანონების დაცვის აუცილებლობაც კონსტიტუციაში გვიწერია. „სსრ კავშირის მოქალაქე ვალდებულია იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს“. ეს სიტყვები კონსტიტუციაში რომ არ გვეწეროს, აღზრდილი ადამიანი ალბათ ისედაც იგრძნობს ამგვარ ვალდებულებას. ჩვენი ეროვნული უბედურება ის გახლავთ, რომ საქართველოს არ ეღირსა ერთი ისეთი ხელმძღვანელი, ვისაც უნარი შესწევდეს იღვაწოს პატიოსნად, კეთილშობილურად, რაინდულად იფიქროს ქართველ ერზე, საქართველოს ხვალინდელ დღეზე და არა თავისთავზე.

ქართული ენისათვის ბრძოლა დიდი ბრძოლაა. რაკი საქართველოს მთავრობას ამის უნარი არ შესწევს, რაკი ქართველი მწერლები უდღეურები აღმოჩნდნენ, ქართველი ერი იწყებს ბრძოლას, ერი მოითხოვს თავის ქვეყანაში თავის ენაზე წერას და მეტყველებას. კონსტიტუციის დაცვას, ქართული ენის თავისუფლებებში აღდგენას, ნამდვილ სახელმწიფო ენად მის გამოცხადებას და გადაქცევასაც ე. ი. კონსტიტუციური უფლებების არა მარტო ქალაქებში არსებობას, არამედ ცხოვრებაში გატარებას.

სიტყვა, თქმული მწერალთა კავშირში 1978 წ.  
ზვიად გამსახურდიას დასაცავად

პატივცემულო მწერლებო!

უკვე შვიდი თვე გავიდა, რაც დაპატიმრებულია დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, მწერალი და მეცნიერი ზვიად გამსახურდია. ამბობენ, გამსახურდია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰყავთ და საეჭვო ნემსებს უკეთებენო. ზოგი ამბობს, შიმშილობა გამოაცხადათ, ზოგი დაბეჯითებით ამტკიცებს მოკვდაო.

ნუ თუ ქართველი მწერლები ისე დაკნინდნენ და დაეცნენ, რომ ამბის გაგებაც კი არ სურთ, თუ რა სჭირს მათ კოლეგას.

ნუ თუ ქართველ მწერლებს იმის ძალა და უნარი არ შესწევთ გაიგონ მაინც ცოცხალია თუ მკვდარი მწერალი.

მე, პირადად, ზ. გამსახურდიასა და მისი თანამებრძოლების ბედი ძალზე მაშფოთებს. ამის თაობაზე პროტესტის წერილები გავგზავნე მრავალ დაწესებულებაში, მაგრამ ამაოდ. პასუხი არსაიდან არ მიმიღია. ერთ წერილს ახლა წაგიკითხავთ:

საპარტიველოს სსრ პ რ ო კ უ რ ო რ ს ლ ი რ ი  
თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე ს

ქართველი ერი შეძრწუნებულია, თავზარდაცემული და გულმოკლული თავისი დიდი მწერლის შვილის ზვიად გამსახურდიას შეპყრობით. ტერორი და შიში სუფევს მწერლობასა და ინტელიგენციაში. სუკის აგენტებმა დააშინეს მწერ-

ლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, ამიტომ ხმას ვერავინ იღებს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც კაგებებს ჯურ-ღმულებში იტანჯებიან ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა. არ ვიცით რა მოვლით, რას უმზადებენ მათ.

ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ მსგავსი უსამართლობა მწერლობას თავს არ დასტეხია. დააპატიმრეს მწერალი, თანამოკალმე, მეგობარი და ჩვენ, მწერლებს, ღონე არ შეგვწევს ვიკითხოთ მაინც, რატომ მოხდა ეს საზარელი ფაქტი, გამოსწორდება თუ არა თქვენს რაც მოხდა?!

რამდენიმე ხნის წინათ ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას დასაცავად წერილი გავუგზავნე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცეკას გენერალურ მდივანს ლ. ბრეჟნევს, მაგრამ არავითარი პასუხი იქიდან არ მიმიღია. ალბათ სუკის აგენტებმა ჩაიგდეს ხელში ჩემი წერილი და თბილისის არ გასცილებია. სწორედ სუკის მუშაკების არაადამიანური, მუხანათური საქციელის გამოც დავწერე არა ერთი პროტესტის წერილი, მაგრამ კვლავ ამოდ.

როგორც ცნობილია, თვითგამოცემის ჟურნალში „ოქროს საწმისში“ ჩემი ნებართვის გარეშე გამოქვეყნდა ჩემი სიტყვა თქმული მწერალთა კავშირში ე. შევარდნაძესთან შეხვედრის დროს.

ამის გამო მე დამიბარეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში და მრისხანედ დამიწყეს დაკითხვა. მე მათ მტკიცედ ვუთხარი: არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის ამ საქმეში, არავითარ ახსნა-განმარტებას არ დავწერ. თუ მაიძულებთ, გავიმეორებ იმას, რაც თავის დროზე გააკეთა პაოლო იაშვილმა. საჯაროდ, სახალხოდ მოვიკვავ თავს.

იაშვილის ხსენებამ წონასწორობა დააკარგვინა კაგებებს იმდროინდელ „განთქმულ მოღვაწეებს“, დამიწყეს აბუჩად აგდება — როგორ თუ იაშვილს შეეძარეო, ბოლოს ამიყვირდნენ, მაგიდაზე მუშტებს სცემდნენ, ციხით მემუქრებოდნენ. მუქარისა და ტერორის ქვეშ დამაწერიინეს ახსნა-განმარტება. ის არა, რასაკვირველია, რაც მათ უნდოდათ. (ავაზაკობას ჩემი კალამი არ წერს.) მათი ბრალდებები: ვითომ შეთქმულების მონაწილე ვარ, ვითომ ამ სიტყვის თქმა ვილაცამ დაზავალა, ვითომ ანტისაბჭოთა საქმიანობას ვწევი, გა-



ვაქარწყლე, უარყყავი. თვით ის ფაქტი, რომ უდანაშაულო ადამიანს დაუნდობლად მომექცნენ უშიშროებაში, რალცა მაინც რომ დამაწერინეს, ჩემს აღშფოთებას და პროტესტს იწვევს, კაგებეს მუშაკების ამ თავგასულობის შესახებ პროტესტის წერილი გავუგზავნე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ე. შევარდნაძეს, მაგრამ პასუხი იქიდანაც არ მიმიღია. პირიქით, დამიბარეს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და დაჟინებით მოითხოვეს ჩემგან გავმიჯნოდი ზ. გამსახურდიასა და მის თანამებრძოლებს. ასეთი საქციელი არ მივიჩნიე საკადრისად, არ გავაკეთე ეს. მართალია, ჩემი წერილი „ოქროს საწმისში“ შემთხვევით მოხვდა, მაგრამ რაკი გამოქვეყნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მე და ოქროსსაწმისელები თანამოაზრენი ვართ. ძირითად საკითხებში ერთ აზრს ვადგავართ, ერთი იდეა გვაერთიანებს.

რისთვის იბრძვიან ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე ბ. ბეჟუაშვილი, თ. ჯანელიძე და მათი თანამებრძოლები?

1) ქართული ენისათვისა საქ. სსრ რესპუბლიკაში კონსტიტუციით ქართული ენა სახელმწიფო ენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ყველა დაწესებულება ქართულ ენაზე უნდა მუშაობდეს. ყველა დოკუმენტი ქართულ ენაზე უნდა იწერებოდეს. ამ ენაზე უნდა მეტყველებდეს და წერდეს ყველა პარტიული თუ საბჭოთა მუშაკი, მათ შორის საქ. კ. პ. ც. კ. პირველი მდივანიც ე. შევარდნაძეც და თქვენც საქ. სსრ პროკურორიც.

ეს უფლება მოგვანიჭა ჩვენ რევოლუციებმა, მამა-პაპათა დაღვრილმა სისხლმა და ბოლოს ორმა კონსტიტუციამ.

ამ იდეისთვის ზ. გამსახურდიასთან ერთად ვიბრძოდი და მომავალშიც ვიბრძოლებ, მაშინაც კი როცა ცისეში ჩამაგდებთ და სულის ამოხდას დამიპირებთ.

2) კულტურის ძეგლთა დაცვა ყოველი ქართველის წმინდათაწმინდა მოვალეობაა. ეს კანონებში გვეწერა და დღესაც გვიწერია, კონსტიტუციაშიც ჩაგვიწერეს, მაგრამ საშველი მაინც არ ჩანს.

ზ. გამსახურდია და მისი მეგობრები თავგამეტებით იბრძოდნენ ძეგლების დასაცავად. ამ საქმეში მეც მათთან ვარ.

3) ადამიანის უფლებების დაცვა ადამიანის მოვალეობაა. პირუტყვი ან მცენარე, ან სხვა რამ ბუნებაში ვერ დაიცავს ადამიანს. ადამიანი ისევ ადამიანმა უნდა დაიცვას, თუ ის უსამართლოდ დაჩაგრეს. ნუთუ შეიძლება ამ დიად იდეაში კრიმინალი იპოვოს პროკურორმა და დააპატიმროს ადამიანის უფლების დამცველი?

ყველა ამ საკითხში მე მათ ვეთანხმები, მხარს ვუჭერ და მომავალშიც მათთან ვიქნები.

არის კიდევ ერთი საკითხი, მთავარი საკითხი, ეს გახლავთ ქართველი ხალხის გაქრობის, გადაშენების პრობლემა, რაც საბედისწეროდ გვაწუხებს გაჩენის დღიდან ყველა ქართველს. ესეც ჩვენი საერთო სატკივარია. შეუძლებელია, ამ საკითხებს მწერალი გაემიჯნოს. პირიქით, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ზ. გამსახურდიასა და მის მეგობრებს მხარში ამოვუდგე და მათთან ერთად ვიბრძოლო, ამ პრობლემათა გადასაჭრელად.

ჩემის ღრმა რწმენით ეს ახალგაზრდები იბრძვიან თავიანთი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის. შესაძლოა, ისინი ცდებიან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მათი სურვილი, მისწრაფება, იდეა, კეთილშობილურია და ვაჟკაცური.

ადამიანის გადარწმუნებისათვის ათასი ხერხი და მეთოდი არსებობს. რატომღაც მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. ზ. გამსახურდია ერთხელაც კი არ გაუფრთხილებიათ, ერთხელაც არავის უსაუბრია მასთან მშვიდობიანად. მოულოდნელად შეიპყრეს და ციხეში გააქანეს. მას შემდეგ სამარისებური სიჩუმეა. სანამდღე უნდა გაგრძელდეს ასე, ცოცხალია თუ მკვდარი არ უნდა გავიგოთ?

პირდაპირ დაუჯერებელია, წარმოუდგენელია, როგორ, რანაირად, რა სინდისითა და რა შუბლით შეუძლია საქართველოს დღევანდელ მთავრობას ციხეში ქურდებთან, ბანდიტებთან, მექრთამეებთან, ნაძირალებთან და ავაზაკებთან შეაგდოს კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ძე ზვიად გამსახურდია.

როგორც მწერალს, მოქალაქეს მტკიცედ მწამს, რომ

ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებით დაშვებულია მძიმე შეცდომა, რომლის გამოსწორება ალბათ ძალზე გაუჭირდება საქართველოს დღევანდელ მთავრობას.

პატივცემულო პროკურორო! თუ ზვიად გამსახურდიას, და მერაბ კოსტავას სასამართლო შედგება, გთხოვთ ეს წერილი წაკითხულ იქნეს ამ სასამართლოზე, ან გამოყენებული სამართალდაცვის წესითა და რიგით.

ოდნავ დამახინჯებასაც კი მოჰყვება ჩემი სასტიკი პროტესტი.

ჩვენში ყველა პატრიოტია, პატრიოტი არა ვარო — ჯერ არავის უთქვამს. მაგრამ თუ ამ „პატრიოტებს“ ჰკითხავთ: რას ნიშნავს პატრიოტობა, შეიძლება იმგვარი პასუხი მიიღოთ, თმები ყალყზე დაგიდგეთ, გული მოგიკვდეთ, სასო წარგეკვეთოთ და ხელიც კი ჩაიქნით.

ზოგს პატრიოტობა იოლი საქმე ჰგონია, პატრიოტი ყველაა, სამშობლო ყველას უყვარსო — ასე ფიქრობს, ზოგს პატრიოტობად მიაჩნია სუფრაზე სადღეგრძელოების წარმოთქმა და მორჩა, წერტილსაც აქ სვამს, ეს არის მისი პატრიოტობის ანაბანა.

სატირალი ის გახლავთ, რომ ზოგი ამგვარ პატრიოტობასაც კრძალავს, პატრიოტული სადღეგრძელოს თქმის ნებასაც არ იძლევა. რა საკვირველია, სუფრის პატრიოტობა გერაფერიშვილი პატრიოტობაა, მაგრამ სამშობლო თუ სიმთვრალეშიც არ გაგვასხენდა, მაშ, სულ მთლად ლეშად ვქცეულვართ და ყროლის სუნი აგვდენია!

ვინც სუფრის პატრიოტებს იწუნებს, ფიქრობს: პატრიოტი მე ვარ, გეგმა გადაჭარბებით შევასრულეო. უფრო შორსაც შეიძლება წასვლა: თუ დღეს ქართველ კაცს ცოლ-შვილი მაძლრად ეგულება, ეს მიაჩნია ვაჟკაცობად, ქართველობად და პატრიოტობადაც კი. ხოლო თუ კი ღმერთმა ინება და სამიოდ შვილი გააჩინა მაშინ ხომ ტრაბახითა და ბაქა-ბუქით ყურებს გამოგიჭედავს — სამშობლოს სხვაზე ერთით მეტ შვილს ვუზრდი, ცოტნე დადიანიც მე გახლავართ და თორნიკე ერისთავიცო.

ილია ჭავჭავაძის შემკვიდრენო! ნუთუ სირცხვილით ლოყები არ გეწვიოთ და ყურები არ გიხურთ, როცა ასეთი ხურდა პატრიოტებით ივსება საქართველო, უფრო მეტიც, ხურდა პატრიოტებს ვინლა დაეძებს, ავაზაკი „პატრიოტები“ მოეფი-

ნენ მთასა და ბარს, პატრიოტები ვართო გაიძახიან, სინამ-  
დვილემი კი შვილებს რუსულ სკოლებში ზრდიან, პირისც  
რუსეთისაკენ უჭირავთ, დედაწულიანად რუსდებიან, რადგან  
გარუსებით უკეთ განახორციელებენ თავიანთ სანუკვარ იდე-  
ალს; დაწინაურდებიან ცხოვრებაში, მოიკალათებენ ცეკაში  
ან მინისტრთა საბჭოში და ცხოვრებაც განაღებულა. იმათ  
ყველაფერი აქვთ: ბინაც, მანქანაც, ხელფასიც...

ამ ჯურის პატრიოტებიც ბლომად გვყავს, მაგრამ ისინი  
„პატრიოტობენ“ მაინც, ასე თუ ისე თავიანთ თავს „პატ-  
რიოტებს“ ეძახიან, თუმცა ამ ნათელ გრძნობასთან ისევე  
შორს არიან, როგორც ცა და მიწა ერთმანეთთან.

არიან სხვა ჯურისა და ჯილაგის სუფთა წყლის გადაგ-  
ვარებული საბჭოთა „ქართველები“. მათ სიტყვა „პატრი-  
ოტს“ ვერ უხსენებთ. ჰგონიათ, რომ პატრიოტობა დანაშაუ-  
ლია, ან უკეთეს შემთხვევაში ჩამორჩენილობა მაინც, ეში-  
ნიათ კიდევ ამ სიტყვისა. მოწინავე ადამიანები ვართ, ტუ-  
რისტული საგზურებით საზღვარგარეთ დავდივართ, პატრი-  
ოტობა (საშარო საქმე) რა შავ ქვად და შავ ჭირად გვინ-  
დაო.

ქვევრს ჩასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს, თუ, რა საკ-  
ვირველია, ცარიელია. უკანასკნელ ხანს დაბეჯითებით ჩას-  
ძახიან ქვევრს: პატრიოტობა პროვინციალობა და ბნელეთის  
მოციქულობააო და აჰა, იმანაც ამოსძახა, დაუდასტურა ჩამ-  
ძახებელს; რა დროს პატრიოტობა, ეგ ხომ ძველია, დღეს  
ჩვენ ახალი თანამედროვე იდეები გვაღელვებსო.

სიცარიელე ზოგიერთი ქართველის მემკვიდრეობითი  
თვისებაა, ასე რომ არ იყოს, არ ამოსძახებდა, ჩუმად იქნე-  
ბოდა მაინც, თავისთვის მიდგებოდა კუთხეში ქვევრივით.  
რაკი ცარიელია ჩუმად ყოფნაც არ ძალუძს, — უნდა ამოიძა-  
ხოს, ექო გამოსცეს. სისულელეს ჩასძახიან, სისულელე უნ-  
და ამოიძახოს.

არიან სულ მთლად წყალწადებული ქართველის ძენი.  
მათ, საერთოდ, არ გაუგონიათ სიტყვა „პატრიოტი“. ან თუ  
გაუგონიათ, ერთ ყურში შეუშვიათ და მეორედან გამოუშ-  
ვიათ. სამშობლოზეც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მათთვის  
სულ ერთია საქართველოში იცხოვრებენ თუ ყირგიზეთში,

ქართულად ილაპარაკებენ თუ ჩინურად ოღონდ ფული იშოვონ, ქონება მოიხვეჭონ, იყიდონ მანქანები, აგარაკები, ატარონ დრო და ტკბილად იცხოვრონ. სხვა მათ არაფერი აღარღებთ.

საქმე ისე წახდა, ქართველობა ისე გადაგვარდა, პატრიოტობას ჩამორჩენილობას და პროვინციალობას ეძახიან რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთებიც კი. პატრიოტობას კლავენ ზევიდან და ქვევიდან. ისეთი შემაზრზენი სურათი იხატება, თითქოს ერთ მშვენიერ დღეს ქართველები ქვებით მიესევინან თითო-ოროლა შემორჩენილ პატრიოტებს და ხიდის ყურში არამზადებივით ჩაქოლავენ.

წარსულში, სულ ახლო წარსულში პატრიოტობას საყრდენი ხალხში ჰქონდა. პატრიოტული გრძნობა ოჯახებში სუფევდა. ილია ჭავჭავაძის ტიტანური პატრიოტიზმი უბირლელთ ღუნიას მხრებს ეყრდნობოდა. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს“ — სახალხო პატრიოტიზმი გახლდათ. ლელთ ღუნიას დღეს საქართველოში ვერ იპოვით. ერს იმედი დაკარგული აქვს. ბედს შერიგებულია. არავის სჯერა ლელთ ღუნიაობამ რამე შედეგი გამოიღოს. საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი დანაშაულად მიაჩნია. არ სჯერა ამ იდეისა. იქნებ იმის სჯერა, რომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება ოქტომბრის რევოლუციამ მოგვიტანა, საამური ცხოვრება გვაქვს და უფრო უკეთესი გვექნება კომუნიზმის დროს? არა, ამ იდეასაც ეჭვით უყურებს. იქნებ მესამე უნდა, რაღაც ახალი, უფრო სრულყოფილი და უფრო დიადი. საუბედუროდ ამაზეც „არა“ უნდა ვთქვათ. არ გააჩნია ქართველს დღეს ასეთი იდეა და სურვილიც არა აქვს ამაზე იფიქროს. ხალხში კი არა, დღეს ქართველ მწერლებსა და მეცნიერებშიც გაძნელებდა ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც ქართველი ერის ბედზე იფიქრებს დღეში ოუნდაც ერთ საათს მაინც,

ნათქვამია რაც ერთი, ის ბერით. ლელთ ღუნიას საქართველომ ილია ჭავჭავაძე წარმოშვა, დღევანდელმა საქართველომ კი ის მწერლები და მეცნიერები აღტკინებულები რომ მისცვივდნენ ზ. გამსახურდიას და მის თანამებრძოლო და პირველი ლაფი ესროლეს.

თავზარდამცემია, სულის შემძვრელია ამის გახსენება.

ჩვენი ერის სულიერი სიღატაკე და მონური ზნედაცემულობა უფრო შორს არასოდეს წასულა.

ქართულ მწერლობას და მეცნიერებას უარესი შავი დღეც ახსოვს. მეცნიერებიც გაუჟღეჭიათ და მწერლებიც უთრევიათ ფეხით, მაგრამ ეს ჩაუდენიათ არამზადებსა და სისხლისმსმელებს. თუ თითო-ოროლა მწერალსაც და მეცნიერსაც გასვრია ხელი უდანაშაულო სისხლის დანასევაში, მათთვის იუდა გვიწოდებია და სანაგვეში გვისვრია. რაღა უნდა ვთქვათ დღეს, როგორ ვიმართლოთ თავი, ან როგორ დავმალეთ ჩვენი სიგლახე, როცა ბევრი ქართველი მართლა იუდასებურად იქცევა?!

ზვიად გამსახურდიამ ერთი და ორი ქართველი კი არა, მთელი ზნედაცემული საქართველო ამხილა: მწერლობა, მეცნიერება, ინტელიგენცია, ხალხი ამხილა, გამოამზეურა საერო-სახალხო უკეთურობანი. სათითაოდ გვიოხრა ყველას: თქვენ პატრიოტები კი არა, მხდალები ხართ, მონები ბრძანდებით და კირთებაში უნდა ამოგხდეთ მონური სულიო.

მაშ, ვინაა პატრიოტი? სადღაა სამშობლოსათვის მებრძოლი გმირი?

ხომ შეიძლება ისტორიის ბორბალი იმდაგვარად დატრიალდეს, რომელიმე ბატონთაგანი თვისთონ შედგეს ტრიბუნაზე და იკითხოს: გინდათ თუ არა ქართველებო, თავისუფლება, დამოუკიდებლობაო. რას მივუგებთ?.. ნუ თუ „არას“ შევაგებებთ და თხუნელასავით სოროში ჩავძვრებით, როგორც გვჩვევია. დიახ „არას“ — ამოიძახებს დღევანდელი ქართველი, რადგან მონობას შეჩვევია, შეთვისებია, შეწვეულ ჭირს ამჯობინებს შეუჩვეველ სიკეთეს. ვინ იცის დამოუკიდებლობამ იქნებ უარესობა მოგვიტანოსო, იფიქრებს და ხელებს გაასავსავებს, არა, არ გვინდა, ბატონო, ეს დამოუკიდებლობა, ისევ ძველებური ყოფა გვიჩვენიაო. ასეთია საერთო განწყობილება, ასეთ ღრმა სულიერ ქვესკნელში ძინავს ქართველის გულსა და გონებას. ძალზე ძნელია მისი გამოღვიძება. ის დიდი ზარი ჩვენმა წინაპრებმა, დიდი ილიას მეთაურობით რომ რეკეს, კარგა ხანია დადუმებულია, ეროვნული თვითშეგნება ჩამკვდარია, ამორეცხილია ქართველის გულიდან და გონებიდან. პატრიოტი — სამშობლოს

თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანი კი არა, ჩვეულებრივი პატიოსანი ადამიანი სანთლით საძებარია. პატიოსნება და პატრიოტიზმი კი განუყოფელია ერთმანეთისაგან. თუმიცა პატიოსნებაც ძალზე მცირე სიკეთეა პატრიოტისათვის, პატრიოტობა ზნეობრივ სრულყოფას საჭიროებს. მრავალი სათნოება ღვთაებრივიცა და ადამიანურიც, ერთად თავმოყრილი, ქმნის ჭეშმარიტი პატრიოტის სახეს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ მლიქვნელი დავით აღმაშენებელი, ან ცუდლუტი ილია ჭავჭავაძე, შეიძლება ამის წარმოდგენა?..

როცა მიიღო საქართველო გავაჭრებულ-გამლიქვნებულ-გაცუდლუტებულთა, ძნელია ხალხს პატრიოტობა მოთხოვო. ქართველი ხალხი ზნეობრივად უნდა აღსდგეს. უსამშობლობამ, უღმერთობამ და უზნეობამ გადაგვარების გზისკენ ადვილად წაიყვანა ერი. დღეს უკვე ენაც წამხდარია, ერიც დაცემულია და წმინდა ტაძარიც ჩირქწაცხებული.

აი, სწორედ ქართველი ერისათვის ასეთ კრიტიკულ დროს გამოჩნდნენ პირველი მოწამენი, პირველმა ვარსკვლავებმა სწორედ უკუნეთში დაიწყეს ჭიატი და იმედი ჩავვისახეს. ასე იყო ძველთაგანვე. საქართველოს მკვდრეთით აღდგომა ასე ხდებოდა. არაბობის, სპარსობის თუ მონღოლობის მრავალსაუკუნოვან წყვდიადში უცებ გაიღვებდა რომელიმე დიდი მოწამის ნათელი სახე. ვაჟკაცურად მარტოკა გამოვიდოდა ბრძოლის ველზე, სამსხვერპლოზე საკუთარ სიცოცხლეს მიიტანდა, სამშობლოსათვის ლოცვას ადავლენდა და სულს უფალს ჩააბარებდა.

თურმე ისტორია მეორდება, „რაც ერთხელ ცნოვლად სულს დააჩნდების“, წარხოცვა შეუძლებელია. დაიწყო პირველი წამებანი, წაიყვანეს პირველი მოწამენი, ხვალ და ზეგ სხვებსაც წაიყვანენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერაც უცემს საქართველოს სასიცოცხლოდ მაჯა, სულ მთლად განწირული არ ვყოფილვართ.

ახლა მთავარია, როგორმე დაჩქარდეს ქართული სულის მკვდრეთით აღდგომა, გაიღვიძოს ეროვნულმა თვითშეგნებამ, დაძლეულ იქნას ქართველ „ძმათა“ მიერ დატოვებული საუკუნო შიში და კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებებზე —



გამოყოფის თავისუფლებაზე ვიმსჯელოთ უშიშრად სალად და ნათლად.

თუ მთელი ქართველი ხალხი ერთსულ და ერთხორც შეიკვრება, თუ ლელთ ღუნიები მომრავლდება და პატრიოტიზმი იქცევა კვლავ სახალხო გრძნობად, მაშინ მას დიდი ძალმოსილება მიენიჭება, მაშინ ადვილად ვერავის წაიყვანენ ციხეში სამშობლოს სიყვარულისთვის. გაშლილ სუფრაზე პატრიოტობა ადვილია, აი, სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს ვინ არის ჭეშმარიტი პატრიოტი. ეროვნული დროშა ერთხელ მაღლა ატაცებული არ უნდა დაიხაროს, ყოველი ქართველის მოღვაწეობას საფუძვლად სამშობლო უნდა დაედვას. მხოლოდ სამშობლო, სხვა არაფერი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს არა საკუთარი თავისა და ცოლშვილისათვის, არამედ სამშობლოსათვის. ამისთვის უნდა იღვწოდეს არა ერთი და ორი თავზეხელაღებული ქართველი, არამედ ყველა, მთელი ამერ-იმერი, აი, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ შედეგზე. შედეგი კი არ დააყოვნებს.

1978 წ.

სიტყვა თქმული მწიგანთა კავშირში,  
კონსტიტუციის პრეპარატის განხილვისას, 1978 წ.

II აპრილს

ვიდრე კონსტიტუციის პროექტზე ვილაპარაკებდე, მინდა ნათელი მოვფინო მწერალთა კავშირის ერთერთი მდივნისა და ჩემს დამოკიდებულებას.

უკვე ორჯერ გამოვიდა პატივცემული მდივანი ჩემს წინააღმდეგ მწერალთა კავშირში და დამრიგებლური დინჯიტონით, ცოტა ქედმაღლურად, ცოტა ირონიულად ჩემს მოსაზრებებს დაუპირისპირდა, ყველა საკითხზე საბოლოო, „ამომწურავი“ პასუხი მომცა.

კერძოდ, როცა მე ზვიად გამსახურდიას' დასაცავად გამოვედი, მან საპასუხო სიტყვაში ზვიად გამსახურდიას ვაჟკაცობა დაუწუნა. თუკი მწერალთა კავშირის წესდებას არ ვასრულებთ, ვაჟკაცობა უნდა გვეყოს და წავიდეთ მწერალთა კავშირიდან — დაახლოებით ასე ბრძანა.

ხოლო როცა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის თაობაზე ჩემი მოსაზრებანი გამოვთქვი, საპასუხო სიტყვაში მე არ ვიცი რამდენად ღრმა იყო წულეისკირის გამოსვლა... მაგრამო... — ასე ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება.

ეს კიდევ არაფერი, პატივცემულო, ბატონო მდივანო, თქვენ ნახევრად ცინიკური, ირონიული დამოკიდებულება გაქვთ მწერალთა კავშირის სხვა წევრებისადმიც. ხოლო ყველაფერ ამას საფუძვლად უდევს, თქვენი ბუნებიდან, ხასიათიდან გამომდინარე მეტად მცდარი, მწერალთა კავშირისათვის, საერთოდ, ყოველი ქართველი მწერლისთვის მავნე მოსაზრება და დამოკიდებულება პატრიოტული გრძნობისადმი, სამშობლოსადმი.

მე თქვენ, კაბინეტში, ჩვენი პირველი შეხვედრისას, მი-

თხარით: არ გინდა ეს ილია ჭავჭავაძეობა. აი, სათავე ჩვენი უბედურებისა, აი რატომ უწუნებთ თქვენ ზ. გამსახურდიას ვაჟკაცობას, რატომ გაქვთ ირონიული დამოკიდებულება ჩემდამი და სხვებისადმიც.

პასუხი, ბატონო მდივანო, თქვენ იქვე მიიღეთ, მაგრამ როგორც ჩანს, საჯარო პასუხიც აუცილებელია, საჯაროდ უნდა გაირკვეს ვის რა უნდა და ვინ რისთვის მოსულა მწერალთა კავშირში.

მე, პირადად, ილია ჭავჭავაძეობა ძალიან მინდა, შეუძლებელია ქართველ მწერალს, ზნეობრივად სპეტაკ და შეურყვნელ ადამიანს, ილია ჭავჭავაძეობა სასაცილოდ ეჩვენებოდეს. ყველას უნდა ჰქონდეს ეს სურვილი, ვინ როგორ შეიძლება ამას, ეს სხვა საკითხია.

ვ ა ი ი მ მ წ ე რ ლ ი ს ბ რ ა ლ ი, ვ ი ს ა ც მ დ ი ვ ნ ო ბ ა უ ნ დ ა, თორემ ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის უმაღლესი იდეალია.

შემთხვევით არ ჩამოვადგე მდივანზე სიტყვა.

მწერალთა კავშირის მდივანი წესდებით უნდა აირჩეს ზღენუმზე მწერალთა კავშირის გამგეობის წევრთაგან.

მე პლენუმის წევრი გახლავართ, მაგრამ ასეთი პლენუმი მწერალთა კავშირში არ ჩატარებულა.

ჩვენი მდივანი გამგეობის წევრი კი არა, მწერალთა კავშირის წევრიც არ იყო, როცა მწერალთა კავშირის მდივნად დ ა ნ ი შ ნ ე ს.

ახლა მე გეკითხებით თქვენ, პატივცემულო მდივანო: ზვიად გამსახურდიას ბრალი დაედო იმაში, რომ მან არ შეასრულა მწერალთა კავშირის წესდება და გაირიცხა მწერალთა კავშირიდან, თქვენ კი იმ წესდების არც ერთ მუხლს არ დავერასრულებთ, ვერ აკმაყოფილებთ, მწერალთა კავშირის მდივანი კი ბრძანდებით. ვაჟკაცობას და გმირობას თავი რომ დავანებოთ, ეს ზნეობრივი საქციელია?

უფრო მეტსაც გეტყვით, როცა მე ჩემი გაოცება საჯაროდ გამოვთქვი, ამიხსნეს: ეს როგორ არ იცი, ასეთი წესი გვაქვს, ერთი მდივანი ყოველთვის ზევიდან ინიშნებაო. სამწუხაროდ ვიცი. ერთი კი არა, ყველა მდივანი ზევიდან ინიშნება. ჭეშ-

მართი, დემოკრატიული კენჭისყრა არასდროს გვექონია და, როგორც ჩანს, არც გვექნება. წესდების დარღვევა, ძალადობა და თვითნებობა წესად გვექცა.

ბუნებრივია, ისეთ უღონო მწერლობას, ვისაც თავისი შინაური საქმეები ვერ მოუგვარებია, თავისი წესდება და ავტორიტეტი ვერ დაუცავს, არავინ ჰკითხავს კონსტიტუციის პროექტში რაიმე ცვლილების შეტანას.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია უკვე ხელთა გვაქვს და ახლა ამ ე. წ. პროექტში ზოგიერთი სიტყვის შეცვლა და გადაადგილება თუ შეიძლება, სხვა არაფერი. თანაც უნდა გვახსოვდეს რომ სიტყვა „ხმარების“ უკან დგას სიტყვა „Употребление“, მრისხანე სიტყვა! უძლეველი სიტყვა! თურმე მთელი საქართველო დაესია, მაგრამ ძვრა ვერ უყო ადგილიდან. სხვა სიტყვით მისი შეცვლა არ მოხერხდა, არც მოხერხდება..

ნეტა მართლა ეს ერთი სიტყვა გვტკენდეს გულს, ამ ერთ სიტყვაზე ეკიდოს კონსტიტუციის აკარგი და სხვა მანკი არაფერი სჭირდეს!

დავიწყოთ იქიდან, რომ ქართველი ერის საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი და უწმინდესი კანონი ხალხის სახელით გამოცხადებული ქარტია რუსულ ენაზე იწერება.

რატომ იწერება რუსულ ენაზე და მერე სათარგმნი რად გვიხდება ჩვენი საკუთარი კონსტიტუცია, განა საკუთარი ენა არ გაგვანია?.. თუ ქართულად დაიწერა, რად შეიქმნა ამდენი დავა-კამათი სიტყვა „Употребление“-ს გარშემო? ქართულ კონსტიტუციაში რუსული სიტყვა როგორღა გაჩნდა? ეს ხალხს უნდა განემარტოს.

ნუთუ მურვან ყრუს ღროინდელი საქართველოდან წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს? მაშინ ჰაბიბ იბნ მასლამამ ქართველობას „დაცვის სიგელი“ არაბულ ენაზე დაუწერა, თუმცა ერი იაკობ ცურტაველის ენაზე მეტყველებდა.

მსგავსი რამ დღესაც თუ ხდება საქართველოში, ეს უნდა ვიცოდეთ. შიშველი სიმართლე გვინდა, შეუფერადებელი მწარე სიმართლე!

კულტუროსან ერებს, ვისაც საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ენა და, ისტორია ჰქონია, კონსტიტუცია ყოველთვის მშობ-

ლიურ ენაზე დაუწერიათ. ჩვენი კონსტიტუცია კი სხვათა ენაზე იწერება, ეს რუსთაველის ენა ჰქონდეს და საკონსტიტუციო ენას სხვაგან დაეძებდეს დაუშვებელია.

ახალი კონსტიტუციის პროექტს სწორედ მშობლიურობა აკლია. თითქოს უცხო ხალხის შექმნილია, უცხო ნიადაგზე და ფუძეზეა აშენებული.

კონსტიტუციის პროექტი რამდენჯერმე გადავიკითხე ყურდღებით, არსად, არც ერთ თავსა თუ მუხლში, ვერ ვიპოვე „ქართველი ერი“, ან, თუ ვნებავთ, „ქართველი ხალხი“.

კონსტიტუცია ხომ უნდა ასახავდეს სინამდვილეს. ერთი საუკუნის შემდეგ ჩვენი შთამომავლები როცა ამ კონსტიტუციას ხელში აიღებენ, არ იკითხავენ, საქართველოს მიწა-წყალზე 1978 წ. ვინ ცხოვრობდა, ეს კონსტიტუცია ვისი, რომელი ხალხის ძირითადი კანონია?

ქართველი ხალხი ჯერჯერობით ცხოვრობს საქართველოს მიწა-წყალზე, თანაც ვახლავთ ნაციონალური უმრავლესობა, მამასადამე, ეს სათანადოდ უნდა აისახოს კონსტიტუციაში. კონსტიტუციის პროექტში ეს ასე არ არის. ერის ვინაობა, ვინც კონსტიტუციას აცხადებს, უფრო ხშირად გამჟღავნებულია კონსტიტუციის შესავალ ნაწილში (პრეამბულა) წაგიკითხავთ ჩვენი კონსტიტუციის სწორედ ამ ნაწილს: „ხელმძღვანელობს რა კომუნისტების მაღალი იდეალებით და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად, რომელმაც დაამკვიდრა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები, დაადგინა მოქალაქეთა უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას“.

აჰა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი! ვიდაც ახალი ხალხი მოსულა ქართულ მიწაზე? ხომ შეიძლება ეს ხალხი იყოს რუსიც, სომეხიც, თურქიც, არაბიც... იქნებ ქართველები აიყარნენ და სხვაგან წავიდნენ საცხოვრებლად?

ახლა გთავაზობთ ამ წინადადების ჩემულ ვარიანტს და

შემდეგ ერთად გავარჩიოთ ვაი რისგან გეჭირს... „ქართველი ხალხი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ხალხებთან ერთად, აცხადებს ამ კონსტიტუციას“.

შევადართო: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას“.

ჩემეულ წინადადებაში ასახულია სინამდვილე: ნათქვამია, რომ საქართველოს მიწა-წყალზე, როცა ეს კონსტიტუცია იწერება, ცხოვრობს ქართველი ერი — ნაციონალური უმრავლესობა! ცხოვრობენ სხვა ხალხებიც, ინტერნაციონალური რესპუბლიკაა, ქართველები და სხვა ხალხები ერთად აცხადებენ თავიანთ ძირითად კანონს.

პროექტში კი ქართველი ხალხი საერთოდ უგულებელყოფილია, არ ჩანან სხვა ხალხებიც. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი — ასეთი ერთი ხალხი ბუნებაში არ არსებობს და კონსტიტუციაშიც მისი ასე ჩაწერა ჩემის აზრით, ქართველი ხალხისთვის მიუღებელია.

იქნებ მე ახირებული კაცი ვარ, ნაციონალისტური, ბნელი აზრები ამკვიატებია. გადავხედოთ სხვა ხალხების კონსტიტუციებს. გადავათვალიეროთ კონსტიტუციათა კლასიკური ქვეყნის, საფრანგეთის, 1946, 1954 წწ. კონსტიტუციები. ამ კონსტიტუციათა წინათქმებში (პრეამბულა) სწერია. „ფრანგი ხალხი აცხადებს“... „ერი აცხადებს სოლიდარობას და თანასწორობას ყველა ფრანგისა“ და ა. შ.

მაგრამ ბურჟუაზიულ კონსტიტუციებს თავი დავანებოთ და სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციებს გადავაგლოთ თვალი: „ჩეხები და სლოვაკები ორი მოძმე ხალხი...“ ვკითხულობთ ჩეხოსლოვაკიის 1948 წ. 9 მაისის კონსტიტუციაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი თავის პირველი მუხლი ასე იწყება: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანელი ერის სოციალისტური სახელმწიფოა“. ე. ი. როცა წინათქმაში ვერ გაამჟღავნეს თავიანთი ეროვნული ვინაობა, მაშინ საგანგებო მუხლი შეიტანეს კონსტიტუციაში.

მე არ გადამიკითხავს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა

და ხალხის კონსტიტუცია, თუ სადმე ეს ასე არ არის, თუ არ ჩანს ვისი, რომელი ხალხის უფლებებსა და თავისუფლებაზე მოგვითხრობს ქვეყნის ძირითადი კანონი, ასეთი კონსტიტუცია მაგალითად არ გამოგვადგება.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში უსათუოდ უნდა ეწეროს სიტყვა „ქართველი“, უნდა ჩანდეს, რომ ქართველი ერი კვლავაც ეროვნული უმრავლესობაა და თავის მიწაწყალზე ცხოვრობს.

თავზარდამცემი იყო ჩემთვის ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლის წაკითხვა, როგორც ცნობილია, ძველს, დღეს უკვე სანატრელ კონსტიტუციაში ქართული ენა სახელმწიფო ენად იყო გამოცხადებული. ეს ხალხს რევოლუციის მონაპოვრად მიაჩნდა და ამაყობდა ამით. ახალ პროექტში ამის სანაცვლოდ გეთავაზობენ ქართული ენის „ხმარების უზრუნველყოფას“.

ჯერ გადავხედოთ ისტორიას: რუსეთში მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, მენშევიკურმა მთავრობამ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა, და მიიღო თავისი კონსტიტუცია, ამ კონსტიტუციის მე-4 მუხლში ვკითხულობთ: საქართველოს სახელმწიფო ენებრივი ენა არის ქართული ენა.

ახლა გადავშალოთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, დამტკიცებული საბჭოების პირველი ყრილობის მიერ 1922 წლის 2 მარტს, თავი II, მუხლი 6. „საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა. ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა რეზიდენციად — ქ. ტფილისი. შენიშვნა: ეროვნული უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულს, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“.

ყველაზე სრულად, ნათლად და ლაკონურად ქართული ენის უფლებამოსილებანი ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ 1937 წ. კონსტიტუციაში: მუხლი 156. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში.

მუსლი 157. კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე“.

როგორც ვხედავთ, სამ კონსტიტუციაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, ლენინის სიცოცხლეში, ლენინის გარდაცვალების შემდეგაც, სტალინის სიცოცხლეში, სტალინის გარდაცვალების, დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრების შემდეგაც, საქართველოს კონსტიტუციაში იცვლებოდა თითქმის ყველა მუხლი, არ იცვლებოდა მხოლოდ ეს: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. არ იცვლებოდა იმიტომ, რომ შეცვლა არ შეიძლებოდა. უსამართლობაა, უკანონობაა, მთელ ერს წაართვა ენა. ამ კონსტიტუციებში ქართულ ენას მინიჭებული ჰქონდა ის უფლებები, რაც მას ეკუთვნოდა, ხელყოფას ვერავინ ბედავდა. მართალია, ძვირფასი სიტყვები მხოლოდ ქაღალდზე გვეწერა, ვისაც ევალებოდა მისი შესრულება, არ ასრულებდა, მაგრამ ეს ფარატიანა ქაღალდიც იმედს იძლეოდა, კანონი იცავდა ქართულ ენას. უმაღლესი კანონი — კონსტიტუცია ქართველი ერის სულისკვეთებას გამოხატავდა.

და აი, შეიცვალა ეს კანონი!

ვნახოთ რას გვთავაზობენ სამაგიეროდ, როგორ შეიცვალა ქართული ენის უფლებამოსილებანი კონსტიტუციის ახალ პროექტში. ეს მუხლი დღეს უკვე ზეპირად იცის მთელმა საქართველომ, მაგრამ მე მაინც უნდა მოვიტანო სრულად და თქვენთან ერთად გავჩხრიკო გულდაგულ: „საქართვე-



ლოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმა-  
რებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულ-  
ტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელ-  
მწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და  
დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე,  
უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე  
სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.  
რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმა-  
რებაში არ დაიშვება“.

სამწუხაროდ, ამავე მუხლით ამ სტრიქონებიდანვე ნათ-  
ლად ჩანს, რომ რუსული ენის პრივილეგია დაშვებულია და  
ქართული ენის შეზღუდვაც „უზრუნველყოფილია“. კონსტი-  
ტუციურად გაფორმდა ის უკანონობა და უსამართლობა, რა-  
საც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-  
მიტეტი და მთავრობა იქმნოდა ათეული წლების მანძილზე,  
კონსტიტუციაში ეწერა ქართული ენა სახელმწიფო ენააო,  
თვითონ წერდნენ და მეტყველებდნენ რუსულ ენაზე, — სა-  
ხელმწიფო ენად რუსული ენა თვითონ ვაქციეთ. შედეგმაც  
არ დააყოვნა — სინამდვილე კონსტიტუციაში აისახა.

თუ საქართველოში ბაბილონის გოდოლის არსებობას  
დავუშვებთ, 15-ე მუხლის მეორე ნაწილი მაშინაც კი გაუ-  
გებარი დარჩება მლიქნელობაში გაუვარჯიშებელი ტვი-  
ნისათვის. „საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგა-  
ნოსა და დაწესებულებაში, თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო-  
ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე უზრუნველყოფილია თავისუფალი  
ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც  
მოსახლეობა სარგებლობს“.

„აგრეთვე სხვა ენებში“ იგულისხმება ალბათ, აფხაზური,  
ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და ა. შ.

განა უფრო სამართლიანი და, თუ გნებავთ „ლენინური“ არ  
იქნებოდა რომ დაგვეწერა... თავისუფალი ხმარება აფხა-  
ზური, ოსური, აგრეთვე სხვა ენებისა“... რასაკვირველია  
მაგრამ მაშინ ხომ მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა, ორენოვ-  
ნება ვერ დაკანონდებოდა.

ალბათ ახალი კონსტიტუციის ავტორებს ასსოვთ ლენინ-

ნის ცნობილი წერილი „საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა“. ამ წერილში ლენინი რუსული ენის სავალდებულო სწავლების წინააღმდეგია. „ვისაც თავისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენის ცოდნა სჭირდება, მას უკახოდაც შეისწავლიან. — წერს ლენინი. — ხალხ ძალდატოება (ჯოხი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს. იგი დაბრკოლებს დიადი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია, — გაამწვავებს მტრობას“. ეს პრივილეგია მას ცხოვრებამ მიანიჭა და ჩვენი აქტიურობა ვერაფერს შემატებს, პირიქით გააღვივებს „შუღლს და ურთიერთგაუგებლობას“ (ლენინის სიტყვებია).

სიმართლე ეს არის, ამხანაგებო, აქ თვლის მოხუცვა შეუძლებელია.

ამიერიდან ქართულ ენას საქართველოში ისეთივე უფლება ენიჭება, როგორც ემიგრანტულ ქართველობას ებოძა თავის დროზე, საფრანგეთში. ქართველ ემიგრანტებს არავინ უკრძალავს ქართული ენის ხმარებას, გაზეთებსაც სცემენ, ჟურნალებსაც, შინაც ქართულად ლაპარაკობენ და ეკლესიაშიც ქართულად ლოცულობენ, მაგრამ მათი კონსტიტუცია ფრანგულ ენაზეა დაწერილი, მომავალშიც ფრანგულ ენაზე დაიწერება, ისინი საფრანგეთის მოქალაქენი არიან — სახელმწიფო ენა ფრანგულია.

ამბობენ, რომ ძველ კონსტიტუციაში რაც ეწერა, ის არ იყო სამართლიანი. სახელმწიფო ენად ერთი ენის გამოცხადება მეორეს სზღუდავსო. რუსული ენის მაგალითი მოჰყავთ, საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რსფსრ-ის კონსტიტუციაშიც კი რუსული ენა სახელმწიფო ენად არ არის გამოცხადებულიო. ამით გვამშვიდებენ, გულს გვიკეთებენ.

რუსული ენა სახელმწიფო ენაა არა მარტო რსფსრ რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში! — რეალობა ასეთია, და თუ ეს კონსტიტუციაში არ სწერია ჩვენთვის ვერაფერი ნუგეშია.

ვერც სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციები გამოგვადგება იმედად და ცისკრის ვარსკვლავად. მოძმე რესპუბლიკათა ენათა შორის ქართული და სომხური ენები ერთ-ერთი უძ-

ველესი, უნიკალური ენებია. ამ ენებს ორიათასწლიანი ისტორია აქვთ, საკუთარი ანბანი გააჩნიათ, საკუთარი ლიტერატურა და დიდი კულტურა. შოთა რუსთაველისა და მოსე ხორენაცის ენები გახლავთ, მაგრამ გარემოებათა გამო, ბედის ტრიალის გამო სწორედ ამ ენებს ემუქრება დაღუპვა.

თუ უკრაინელი ან ბელორუსი მშობლიურ ენაზე არ ილაპარაკებს მათ ფუძეენას -- სლავურს გადაშენება მაინც არ უწერია. სლავური იფურჩქნება და ჰყვავის მთელ საბჭოთა კავშირში, არც თურქულენოვან, სპარსულენოვან ერებს აწუხებთ ჩვენსავით გადაგვარების შიში, თუ უზბეკურს რუსული გააძევეს უზბეკეთიდან, ფუძეენა — თურქული იცოცხლებს თავის სამშობლოში — თურქეთში, ტაჯიკური — სპარსეთში. ქართულსა და სომხურს კი (განსაკუთრებით ქართულს!) საყუდარი სხვაგან არსად ეგულებათ, უკან დასახვევი გზა აღარსადა აქვთ, ან უნდა იბრძოლონ, ან საფლავი თავის მიწაში უნდა გაითხარონ.

ასეთი ტრაგიკული ბედი არგუნა მათ ისტორიამ. ამიტომ თავის სამშობლოში ემიგრანტული უფლებებით სუფევა ამ ენებს ვერ დააკმაყოფილებთ, ეკუთვნით და უნდა მიენიჭოთ ის უფლებები, რაც კულტუროსან ენებს შეჰფერით, რაც ჰქონდათ წარსულში და დროთა უკუღმართობის გამო დაკარგეს.

როცა ქართულ და სომხურ ენებს ასე გამოვყოფთ, არ მავიწყდება ლენინის შრომებიც, მისი გაფრთხილებაც მარადის ჩამესმის ყურში: „სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას“. ყველაფერი ეს ასეა, რასაკვირველია! სამართლიან საზოგადოებაში თანასწორობა უნდა სუფევდეს, — სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ ერებსა და ენებს თავისებურებანი გააჩნიათ, სოციალური საზომით მათი გათანასწორება სამართლიანი ვერ იქნება, რუსული ენა რომ პუშკინის და ტოლსტოის ენაა, ეს ერთი რომელიმე საუკუნის, ერთი რომელიმე თაობის თუ გნებავთ, ერთი რომელიმე რევოლუციის მონაპოვარი როდია, ის ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მისთვის მრავალწლიანი დიდი ომები გადაიხადა რუსეთმა, მოხდა აჯანყებები, რევოლუციები, დაიღვარა თაობების სისხლი.

რუსული ენა რუსი ხალხის უფრო დიდი მონაპოვარია, ვიდრე რევოლუციის შედეგად მოპოვებული სოციალური თანასწორობა.

რა დიდი უსამართლობა იქნებოდა თუ კი რუსი ხალხის ამ დიდ მონაპოვარს არად ჩავთვლიდით და თანასწორუფლებიანობის პრინციპით მთელს რუსეთში ყირგიზულს ან ბაშკირულს გავაბატონებდით.

ამხანაგებო, სამწუხაროდ, ახალ კონსტიტუციაში ასეთი ძირეული ცვლილებები, სულაც არ გახლავთ შემთხვევით ან დროებითი მოვლენა. იგი გაპირობებულია წინასწარ დასახული პროგრამით. როგორც ვიცით, ეს პროგრამა ითვალისწინებს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერთა ურთიერთდაახლოებას და მათი სრული ერთობის მიღწევას, რუსული ენის ბაზაზე საერთო-ნაციონალური ენის ჩამოყალიბებას.

ამ მიზნისაკენ გადაიდგა ნაბიჯი, ფრთხილი მაგრამ მტკიცე ნაბიჯი გადაიდგა. არ მგონია, ეს ნაბიჯი სამართლიანი იყოს.

ბუნება მრავალფეროვნებას მიეღობის, მრავალგვარობა მისი თვისებაა: ცა, მიწა, მცენარე, წყალა, ადამიანი, ჭიანჭველა... მრავალსახეობა მას სიდიადეს ანიჭებს. ადამიანთა შორისაც ეს კანონი მოქმედებს; ჩინელი რომ არავის ჰგავს ქვეყანაზე და თავის ენაზე მეტყველებს, რუსი რომ ეთიოპიელისაგან განსხვავდება, პატარა კავკასიაში მცხოვრები ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი, სამი სულ სხვადასხვა შვილია ბუნებისა, გონიერ ადამიანს ეს სხვადასხვაობა უნდა მოსწონდეს. ეროვნებები, მათი ენები და ლიტერატურები კაცობრიობის სიმდიდრეა.

წავიდა ის დრო, როცა „მტიკავოი ბოის“ რომანტიკით ვიყავით განმსჭვალული. დღეს მსოფლიო კონფლიქტები მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით წყდება. ხალხები ისე წარმართავენ თავიანთ ცხოვრებას, როგორც თვითონ სურთ. პაპუასებსაც კი მისცეს დამოუკიდებლობა.

წარსულის საზარელმა გაკვეთილებმა ადამიანს ჭკუა ასწავლეს. დაიცბრო აღგზნებული სული და არსებულს უფრო

ლმობიერად, უფრო სიყვარულითა და ყურადღებით შეხე-  
და.

რამდენიმე წლის წინათ გააფთრებული კამათი ავეტეხე  
სოფლის მეურნეობის მუშაკებს იმის გამო, რომ კამეჩს  
უპირებდნენ გადაშენებას, როგორც წამებუნიანს. კამეჩი ტყი-  
დან გამოიყვანეს ჩვენსა წინაპრებმა. მოაშინაურეს, მოაჯი-  
შეს და რა უფლება გაქვს წარსულის მონაპოვარს წყალმა  
ჰყრით-მეთქი. ისიც ხომ ცნობილია, რომ მეცნიერები თავ-  
გამოდებით იცავენ მარტო რქებს ბუნებას ისინი სი-  
ლამაზეს ჰმატებენ, არ უნდა მოვსპოთ.

აღმაშფოთებელია ჩვენს დროში ერებისა და ენების მოსპო-  
ბაზე ფიქრიც კი. თუნდაც ფრახილად, ფაქიზად გადაიდგეს  
ამ მიზნისაკენ ნაბიჯი, მაინც არაგონივრული, არაჰუმან-  
ური საქციელია, შთამომავლობა არ გვაპატიებს ასეთ  
ნაბიჯს.

მწერალი მებრძოლი არ არის, შემქმნელია. ავია თუ კარ-  
გი, მაინც ქმნის — ღვთისაგან ასეა დაწესებული. მაგრამ  
ქართველ მწერალს, დღეს იქნება თუ ხვალ, ბრძოლის ველ-  
ზე გასვლა არ ასცდება. ქართველმა მწერალმა ჯერ უნდა  
იბრძოლოს, თავისი თვითმყოფობა უნდა დაამკვიდროს, შექ-  
მდგე შექმნას, როგორც ოდითგანვე: ცალ ხელში ხმალი უნდა  
გვეჭიროს და ცალშიც კალამი.

უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ: საქართველოს ახალმა  
კონსტიტუციამ ქართველი ერის დაჩქარებულ  
ტემპით გარუსება დააკანონა, ქართველი მწერა-  
ლი ვალდებულია ხმა აიმაღლოს. ბრძოლა თუ არ შეუძლია,  
ტაში მაინც არ უნდა დაუკრას, — ეს რა სიკეთე გიქნიათ, რა  
მოწყალება გაგიღიათ ქართველი ხალხისათვის, ქართული  
ენის „ხმარების“ ნებას რომ იძლევიით.

ხალხი აღშფოთებულია, არც ერთი მწერალი, არც ერთი  
მეცნიერი, მხატვარი, მუსიკოსი, კინოსა თუ თეატრის მოღ-  
ვაწე, არც ერთი ადამიანი ქართული წერა-კითხვის მცოდ-  
ნე, არ მეგულება, კონსტიტუციის ეს მუხლი, რომ მოსწონ-  
დეს, სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთები, რადიო და ტელე-  
ვიზია არ გამოხატავენ ხალხის ნებას, ვისაც სხვა აზრი აქვს,

იმას გვერდს უკლიან, ან ტრიბუნას არ აძლევენ. ხალხს უმაღლავნ სიმარაქლეს.

მოვიტან ერთ მაგალითს. 1978 წ. 31 მარტის ნომერში გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს „ქართველ მწერალთა ხმას“, პირველ გვერდზე დასტამბულ ამ მცირე უწყებაში ვკითხულობთ შემდეგს: „ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას მიეძღვნა მწერალთა კავშირში გამართული მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ჟორჯოლიანმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პოეტი მორის ფოცხიშვილი, მწერლები იონა ვაკელი, რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ წულეისკირი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი. მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები“.

შეიძლება კალმის წვედრმა ამაზე მეტი სიცრუე დაწეროს? — პარტიიდან წავალ, თუ ასეთ კონსტიტუციას მიიღებენ-მეთქი — აი, რა ვთქვი მე ამ მიტინგზე.

ისეთ ვითარებას გვიქმნიან გულში ერთი ვიფიქროთ, საჯაროდ კი მეორე ვთქვათ, ე. ი. ვიცრუოთ. როცა ერთი ან ორი ადამიანი ცრუობს, ეს მოსათმენია, მაგრამ როცა მთელი საზოგადოება, მთელი ერთობა აღმავლობს ცრუობს თავისი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებით, რადიოთი და ტელევიზიით, საზარელი სახილველია და მოსასმენი. ასეთ დროს, მწერლობას მართებს სწორედ გამოიჩინოს ზნეობრივი სიმტკიცე, მორალური სისპეტაკე, მოიკრიბოს სულიერი ძალები და თქვას სიმართლე, თუნდაც ჯვარს აცვან ამ სიმართლისათვის.

მაშასადამე, ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას, არ შეესაბამება ჩვენს

კულტურას და ისტორიას, შეუფერებელია წესიერი საზოგადოებისათვის.

როგორ მოვიქცეთ? სულ მთლად ამოღება რა შედეგს მოგვცემს? „ხმარების უზრუნველყოფას“ აჯობებს, რასაკვირველია, მაგრამ უდედანოდ დარჩენა მაინც გარდუვალია. ერთადერთი სასურველი და შეუცვლელი ვარიანტი გახლავთ ძველი, 1937 წლის კონსტიტუციის 156-157 მუხლები, სადაც მეტად ნათლად და სხარტად არის ჩამოყალიბებული ქართული ენის უფლებამოსილებანი.

ამბობენ, რომ ძველი კონსტიტუციის ამ მუხლების აღდგენა არ შეიძლებაო. ჩანს გვაძალებენ, თავს გვახვევენ, ხალხისთვის მიუღებელ კანონებს გვიწერენ. მაშინ უნდა ვიკითხოთ თუ რისი უფლება გვაქვს, რისი მოთხოვნა შეგვიძლია. შეგვიძლია კი დაძალებული მუხლის უარყოფა?

ჩავიხედოთ ისევ კონსტიტუციაში: ერთ-ერთი მთავარი უფლება გახლავთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. ეს უფლება ნაღმივით დევს საბჭოთა კავშირის ყველა კონსტიტუციაში. მისი ხმამაღლა წაკითხვაც კი შიშის ზარს სცემს თვით წამკითხველს. ასეთი შიშისმომგვრელი უფლებები გახლავთ საქართველოს სსრ მოქალაქეთა სხვა უფლებანი და თავისუფლებანი: მაგალითად, თავისუფალი კენჭისყრის (რეფერენდუმის), სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების უფლებანი.

თუ ქართულ ენას წაგვართმევენ, ეგებ დაგვჭირდეს ამ უფლებების გახსენება და გამოყენება. შიში, რომელიც ამ უფლებებს თან ახლავს, უნდა დავძლიოთ, უკვე არსებული კონსტიტუციური უფლებები დაგვეხმარება გავიგოთ ხალხის ნება. უნდა თუ არა ხალხს მშობლიური ენა არ ჰქონდეს. მოსწონს თუ არა შერწყმა და შეერთება სხვა ერთან. თვით პარტიას უნდა აინტერესებდეს, თავისი ხალხის გუნება-განწყობა, ეგებ თვითონ დაშორდა ხალხს და მის ნებას უკვე აღარ გამოხატავს. იქნებ ქართველი ხალხი, საქართველოს სს რესპუბლიკა მომწიფდა ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც; სახელმწიფოებრივადაც და მას უკვე აღარ

შეპყერის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უფლებები.

როგორც ვიცით, საქართველოს სს რესპუბლიკა, ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიული ქვეყანა გახდა, ხშირად მის მრეწველობასა და სოფლის მეურსეობას, ევროპის ცნობილ სახელმწიფოებს უტოლებენ, ხოლო უმაღლესდამთავრებულთა რიცხვით, კულტურის დონით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებსაც ამოუყენებთ ხოლმე.

ეგებ რესპუბლიკამ განვითარების მართლა ისეთ ზღვარს მიაღწია, როცა უკვე მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩარჩოები ეცოტავება, ჭეშმარიტი სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს უფლებები აუცილებელია მისი შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის. ეგებ თვით ცხოვრებამ, საზოგადოების განვითარების კანონებმა მიგვიყვანეს აქამდე. საბჭოთა საქართველოში საზოგადოების განვითარება წარმართა არა კონსოლიდაციისაკენ, შერწყმა-შერევისაკენ, არამედ დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისაკენ.

ეგებ შემთხვევითი არ არის ის ამბები, რაც ბალტიისპირეთში, უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში ხდება უკანასკნელი წლების მანძილზე. ეგებ ამ რესპუბლიკებს ესახებათ სწორედ დამოუკიდებელი განვითარების პერსპექტივა, ეს რესპუბლიკები მომწიფდნენ დამოუკიდებლობისათვის.

თუ სულ მთლად ობიექტური და გულახდილი ვიქნებით საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში შეინიშნება განვითარების მეორე — შერწყმა-შერევის კონსოლიდაციის გზაც.

საბჭოთა კავშირი ვრცელი ქვეყანაა, მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, წარსულში სხვა ქვეყნებიდან მოსული დაბალი კულტურის ერები. მათი შერწყმა-შერევა უფრო მაღალი კულტურის ხალხთან ბუნებრივი პროცესია. მაგრამ უძველესი ისტორიისა და კულტურის ერებს სომხებსა და ქართველებს, ვინც თავის მიწა-წყალზე ცხოვრობს ფეხმოუცვლელად ორიათასი წლის მანძილზე, თავისი ძვირფასი მატერიალური კულტურის ძეგლებით, საკუთარი ენით, დიდი სულიერი კულტურით, შინ მიეჭრე და ენა წაართვა იმ მიზნით, რომ



უნდა შემერწყა და შემერიო, სრულ ერთობას უნდა მივაღწიოთო, გაუგონარ უსამართლობად მიმაჩნია.

დროთა განმავლობაში, თანდათან ალბათ უფრო მკვეთრად გამოიკვეთება ორივე ტენდენცია, ალბათ უფრო მკაფიო და ხელშესახები გახდება გამოყოფაცა და შერწყმაც, მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ პროგრამასაც შემოგვთავაზებენ. ჯერჯერობით კი არავითარი „გასვლის უფლება“ არც ერთ რესპუბლიკას არსაიდან არა აქვს, „თავისუფალი რეფორენდუმის“ „სიტყვისა და კრების უფლებანიც“ მხოლოდ ქალაქებში გვიწერია. არც ამ კონსტიტუციის ავკარგს გვკითხავს არავინ. არც კონსტიტუციაში ჩახედვა და უფლებების ძებნა უშველის უნოდ დარჩენილ ქართველ ერს. ამ სიტყვის თქმაც ალბათ არ არის სიკეთის მომტანი, მაგრამ რადგანაც განგებამ ადამიანად გაგვანინა და არა პირუტყვად, მხოლოდ საკვებმომპოვებელი ვერ ვიქნები, ტკივილი და მწუხარება სიტყვებით უნდა გამოვხატო. საკუთარი სინდისი და რწმენა უნდა გადავარჩინო. შევინარჩუნო ღირსება, მოვიდრიკო თავი, განზე გავდგე და ეს ხ ა ტ ო ლ ო გ ი უ რ ი ლ ო დ ი ნ ი თ დ ა ვ ე ლ ო დ ო გ ო დ ო ს. ეს არის და ეს ჩემი გამოსვლის მიზანი. სხვა რა შემიძლია?!

ამ ოციოდე წლის წინათ, როცა პარტიის რიგებში შევდიოდი, საქართველოს სსრ კონსტიტუციაში გარკვევით ეწერა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართული ენაა, რომ ჩვენ ქართველები ვართ და გვევალება ქართული ენის აყვავება-გაფორმებისათვის ზრუნვა.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შეძლებისდაგვარად ქართული ენისათვის ზრუნვას შევალიე, უკეთესი საზრუნავი არაფერი მქონია და არც მზურს რომ მქონდეს. თუ კი პარტია ამის საშუალებას მომიხპობს, თუ ქართულ ენას არ აღუდგება თავისი კუთვნილი ძველი უფლებები, ასეთ კონსტიტუციას მხარს ვერ დაუჭერ და ვერც იმ პარტიის რიგებში დავრჩები, ვინც ქართულ ენას ასე მოექცა.

ამსანაგებო, მე ვერაინ დამწამებს განზე განდგომას და პირში წყლის ჩაგუბებას. ყველა სიასლეს, რაც ჩვენს ცხოვრებაში ბოლო დროს მოხდა, შეძლებისდაგვარად გაზოგებ-

მაურე. დავწერე ნარკვევები — „მუხა, ვაზი და საქონელი“, შემდეგ ეს ნარკვევები ცალკე წიგნადაც გამოვაქვეყნე.

ამ წიგნში აღწერე თუ როგორ ლაფავს სულს მეცხოველეობა დღევანდელ საქართველოში, კოლხებს მეტი ცხვარძროხა ჰყავდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როცა ურარტუელები ესხმოდნენ თავს, ვიდრე დღეს ჰყავთ-მეთქი, მაშინ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება მეცხოველეობაზე არც არსებობდა.

გამოვუცხადე მძიმე ომი ენგურჰესის ხელმძღვანელებს, კერძოდ, პარტიული კომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტების მდივნებს, რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მდივნებს, მეცხოველეობის ტრესტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ბოლოს თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. შევარდნაძეს ვუთხარი, თუ როგორ დაავიწყდათ საკუთარი სოფლის სახელი ენგურჰესელ ახალგაზრდებს.—ფოცხოეწერს პ რ ა ვ ი ბ ე რ ე გ ს რ ო მ ეძახიან, თუ როგორ დგას გარუხების გზაზე მთელი საქართველო.

ეს იყო შვიდი წლის წინათ. წინასწარ მითხრა გულმა ის, რაც დღეს კონსტიტუციაში გვიწერია.

ჩემთვის ამ მეტად მძიმე ომში ვცდილობდი ვყოფილიყავი ობიექტური, სამართლიანი, გულწრფელი, პირდაპირი. მოურიდებლად გამომქონდა უკეთურებანი სააშკარაოზე, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მაგ. ანაკლიის მეკამეჩეობის მეურნეობაზე. დავწერე კრიტიკული ნარკვევი.

ამ ნარკვევის გამო ათას საჩივარს და ბრალდებას გავეცი პასუხი. თითქოს დამნაშავე ვიყავი, სულ თავს ვიცავდი. გავიდა ორი წელი, სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა შეამოწმეს ანაკლიის მეკამეჩეობა და მილიონობით ზარალი აღმოაჩინეს, დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს, სახელმწიფო ზარალი კი, რასაკვირველია, ზარალად დარჩა. თავის დროზე ჩემთვის რომ მხარი აებათ, მილიონებს ვერ წაგლეჯდნენ ხალხს და ქვეყანას ანაკლიელები.

ასევე, საზარელი სურათი დამხვდა ენგურჰესში. მათი სიტყვით, იქ უნიკალურ კაშხალს აგებდნენ, უნიკალურ გვი-

რაბებს, ყველა საინჟინრო ნაგებობას ვითომ ძვირფასსა და კარგს, მაგრამ მთელი ყურადღება მიჰყრობილი იყო ბ ე ტ ო - ნ ი ს ა კ ე ნ , ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს კ ი დ რ ო არ რჩებოდათ, ისეთ პარტიის კრებასაც დავესწარი, სადაც პარტიიდან გარიცხეს პარტიის ორი წევრი ჯღარაკვა და ცირდავა (ამ კრების ოქმის ამონაწერიც ჩემთან ინახება) უგზო-უკვლოდ გადაკარგვისათვის. საინტერესო ის არის, რომ მათი საკითხი იხილებოდა გაუჩინარებიდან ორი წლის შემდეგ, როცა კრებამ პარტიული კომიტეტის მდივნის დაჟინებული წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება ჯღარაკვა პარტიიდან გავრიცხვოთ, წამოდგა ერთი მუშა და დინჯად იკითხა: კაცო, მკვდარი არ იყოს, არ შევრცხვეთო.

ამ შეკითხვამ თავზარი დასცა ყველას, მაგრამ პასუხის გაცემა არავის შეეძლო.

კიდევ ერთი ფაქტი 1974 წ. აპრილის თვეში, ახალი ბინიდან გამოასახლეს ცეცხლფარეში რამინ გულუა და შეასახლეს შემდუღებელი შელჩკოვი მ. პ. რამინ გულუას მაშინ ჰყავდა ცოლი და ცხრა თვის ბავშვი. მიზეზი ვიკითხე, შელჩკოვი გამოძახებული მუშაა, სხვა მშენებლობებიდან როცა კარგი სპეციალისტი ჩამოდის, ბინებს ურიგოდ ვაძლევთო. რამინ გულუა ბინის მთხოვნელთა რიგში იდგა 1971 წლიდან. მე დავინტერესდი ამ ფაქტით და მთელი კვირის განმავლობაში ვიძიებდი თუ რა უპირატესობა ჰქონდა შელჩკოვს გულუასთან შედარებით. გულუასაც მეხუთე თანრიგი აღმოაჩნდა, შელჩკოვსაც. ისიც ცოლშვილიანი იყო და ეს-ეც.

დავიწყე ძიება, თუ რატომ გამოიძახეს შელჩკოვი, ჰქონდა თუ არა მას რაიმე ისეთი ცოდნა, რაც აუცილებელი უნდა ყოფილიყო ენგურჰესისათვის. გაირკვა შემდეგი. ბინებს ანაწილებდა ვინმე უტკინა ალექსანდრა ანდრეევნა, შელჩკოვის მეუღლე გახლდათ ამ უტკინას და, დამ გამოიძახა ციმბირიდან თავისი და დასიძე და ბინა უბოძა, რაგორც შეუცვლელ სპეციალისტებს. რაკი თავისუფალი ბინა არ ჰქონდათ, ახალშესახლებული ქართველი გამოასახლეს და რუსი შეასახლეს.

ლიტერატურას ფაქტების ზერეღე აღწერა არ უყვარს, არ

ჰყოფნის მას მსოლოდ აღწერა, როგორც ვიცით, ჩვენ რესპუბლიკაში დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა მექრთამეობას, ქურდობას, მტაცებლობას, პროტექციონიზმს, მუქთახირობას, უზნეობასა და ამორალიზმს.

მწერალს აინტერესებს უფრო მეტი, თუ რატომ ხდება ქურდობა, თუ რა აიძულებს ადამიანს საცისოდ გასწიროს თავი და ქრთამი აილოს. მწერალმა ღრმად უნდა ჩაიხედოს ადამიანთა გულებში, ყოველმხრივ უნდა გააშიშვლოს და დღის სინათლეზე გამოიტანოს ნამდვილი სიმართლე.

როგორც კი ამ სიმართლეს დავუწყებებნა, ჩემს წინაშე აღიმართა დაუძლეველი კედელი. როგორ, განა ენგურჰესზე არ მოიძებნებინა დადებითი ადამიანები! — მესმოდა ყოველის მხრიდან, — ასახე შრომის რომანტიკა, ასახე ჩვენს რესპუბლიკაში „მომხდარი სასიკეთო ძვრები“.

ბოლოს უფრო მკაცრ ზომებსაც მიმართეს და მე მივანებე ენგურჰესს თავი.

დამთავრდა ჩემი შვიდწლიანი მძიმე ომი. დამთავრდა იმით, რითაც დავიწყე, ქართული ენის დასაცავად ავიღე ხელში ფარ-ხმალი და სწორედ ქართული ენა წამართვეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცდა და მოწადინება როგორც დიდი ილია იტყოდა, სულ ტყუილ-ბზუილი გამოდგა. ისლა დამრჩენია წავიდე პარტიიდან, მონაწილეობა მაინც არ მივიღო იმ საქმეში, რაც არ მწამს და არ ვეთანსებები. „წავიდე პარტიიდან“ — რა ამაყად უღერს ეს სიტყვები! ე. ი. ღირსეული წევრი ხარ კოლექტივისა! ნურას უკაცრავად! — ამ სიტყვების თქმის უფლება არა აქვს პარტიის წევრს. ასეთ უფლებას კომუნისტს არავინ აძლევს. წესდება მსოლოდ გარიცხვას ითვალისწინებს. არამზადასავით უნდა გაგრიცხონ მსოლოდ და მსოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი აზრი გაგაჩნია.

რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ხვედრი, ასეთი უფლებანი და თავისუფლებანი მოგვეპოვება!

როცა ასეთ ნაბიჯს ვდგამ, მე მესმის ჭეშმარიტ პატრიოტთა გულისძგერა, მათი საყვედური ყურში ჩამემის, — წინამასწარა გამოვდივარ, ჯიუტი და თავკერძა. უნდა გამიგოთ,

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ მე არავის ვეჯიბრები სამშობლოს სიყვარულში, არც ღაფნის გვირგვინს მიველტვი, არც ეკლისას.

ვგავარ იმ ჭეშმარიტ ძორწმუნეს, ვინც ფარისეველივით მღვდლის დასანახავად კი არ ლოცულობს, მარტოდმარტოდგას ხალხში, წელში მოხრილი, ძირს მიწას კოცნის, მაღლა ღმერთს ევედრება, მართლა სწამს უფლისა, ამქვეყნიური არაფერი ესმის, კვამლივით შეერთვის ზეცას.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

1979 წ. 13 აპრილს გ. ნატროშვილმა და ა. ბაქრაძემ მიმიყვანეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან გ. ენუქიძესთან. გ. ენუქიძემ მაგიდასთან მიგვიწვია და გ. ნატროშვილს უთხრა: ამბობენ, რომ ნოდარ წულეისკირი სტუდენტებს მოუწოდებს 14 აპრილს დემონსტრაციაზე გამოვიდნენო.

როცა ყველანი სახტად დავრჩით და უაზრო, სასაცილო ლულული დავიწყეთ, გ. ენუქიძემ უფრო ცხადყო სათქმელი და პირდაპირ განმიმარტა: იმასაც ამბობენ, თითქოს სტუდენტებში დადიოდი და სტუდენტებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებდიო.

დღეს ალბათ თქვენთვის და გ. ენუქიძისთვისაც ცხადია, რომ მე არასოდეს არავისთვის არაფრისაკენ მომიწოდებია, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, მას შემდეგ სტუდენტებთან არავითარი კავშირი არ მქონია, მაგრამ ხომ იყო წუთები, საათები, დღეები, როცა ეს ჭორი იწამეთ და მისი შემოწმება დაგჭირდათ?

საკითხავია, ვინ თხზავს ამგვარ ცილისწამებას, ვის შეჰყავს შეცდომაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი? მწერალთა კავშირსა და უნივერსიტეტში ასეთ ცილისწამებას ვერ შეთხზავდნენ. შესაძლოა ვინმე წამქეზებელს ლიქნით ეთქვა: მოგვამორეთ ეს წულეისკირი მისი ნააზრევი სტუდენტობაზე ავად შემოქმედებსო, სტუდენტებში დადიოდა და სტუდენტებს აჯანყებდაო — ამას თვით მლიქვნელ-წამქეზებელი ვერ იტყოდა. ვერც მწერალი — დამსმენი გაბედავდა ცენტრალური კომიტეტის ამგვარ მოტყუებას.

მაშასადამე, ჩნდება ეჭვი, რომ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა შეიყვანა შეცდომაში ცენტრალური კომი-

ტეტი და მისი მდივნები. ფრიად სამწუხარო ფაქტი გახლავთ არამართო ჩემთვის, თვით ცენტრალური კომიტეტისთვისაც, პირადად თქვენთვისაც.

რა გამოდის? — უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი თხზავს ჭორებს, ცილისწამებებს და თქვენ, ცენტრალური კომიტეტის მდივნები იძულებულნი ხართ ეს ჭორები და ცილისწამებები ამოწმეთ, ე. ი. ერთი უზარმაზარი სახელმწიფო დაწესებულება, რომლის შენახვა მშრომელ ხალხს მილიონები უჯდება, ატყუებს მეორე ასეთსავე უდიდეს სახელმწიფო დაწესებულებას — ცენტრალურ კომიტეტს. განა შეიძლება ამაზე შორს წავიდეს სახელმწიფო აპარატების და მათი მუშაკების ზნეობრივი დაცემა და დაკნინება? რაც მთავარია, თქვენ არავითარ ზომებს არ ღებულობთ, ან არ გაქვთ ეს უფლება. რა საკვირველია, ამის შემდეგ სასაცილოა პროტესტების და საჩივრების წერა, მაგრამ მთლად უმოქმედოდ, უბრძოლველად ვერ ჩავუვარდები ურჩხულს ხახაში.

ჩემ კი არ ვაჯანყებ ქართველ ახალგაზრდობას და სტუდენტობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აჯანყებს ის დადგენილებები და ბრძანებები, რომლებიც მოსკოვიდან მოდის და სახელმძღვანელოა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ამ ბრძანებებს, ელიუტინის იქნება ის თუ სხვა ვინმესი, არ წერენ პატიოსანი ადამიანები, თუ დიდმპყრობელური შოვინისტური მიზნები არ ამოძრავებთ, რატომ ექჩარებათ პატივცემულ მოსკოველ „მეგობრებს“ ქართველი ახალგაზრდების გარუსება? ქართველი სტუდენტი საკურსო ნაშრომს ქართულ ენაზე დაწერს თუ რუსულ ენაზე, ნუთუ ამას საქართველოს მთავრობა ვერ გადაწყვეტს?.. ან ყრმას რუსულის სწავლებას საბავშვო ბაღიდან დავაწყებინებთ თუ დედის მუცლიდან კრემლს ასე დაბეჯითებით რატომ აინტიერესებს?

უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა და ცენტრალურმა კომიტეტმაც ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ სწორეთ იმ დამპყრობელ-შოვინისტებს და არა ქართველ მწერლებს, რომლებიც იცავენ მხოლოდ თავიანთ თვითმყოფობას, საკუთარ ენასა და მეობას.

მე არ წამიკითხავს ელიუტინის ბრძანება, არც თქვენი

დამოკიდებულება ვიცი ამ ბრძანებისადმი. ამბობენ, რომ თქვენი მეცადინეობით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი არ ეთანხმება ამ ბრძანებას და მაინც თუ განხორციელდება იგი, — ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში რუსულ ენაზე შემოიღებენ სწავლებას, სექტემბერში რუსულ ენაზე შეუდგებიან მეცადინეობას, დაუფარაჟად უნდა მოგახსენოთ, რომ მოსალოდნელია დიდი სახალხო მღელვარება და ამ მღელვარების ერთერთი მონაწილე მეც ვიქნები. ქართველი ერი ვერ დაუშვებს, ვერ შეურიგდება ვერც ერთ რუსიფიკატორულ ნაბიჯს მეოცე საუკუნის საქართველოში.

წერილის დასაწყისში მე დავწერე სიტყვა „მიმიყვანეს“, ეს მე შემთხვევით არ დამიწერია. გ. ნატროშვილმა შინ მომაკითხა მანქანით და ცენტრალურ კომიტეტში წამიყვანა. გ. ენუქიძის მისაღებში ა. ბაქრაძე დაგვხვდა. (როგორც შემდეგ გამოირკვა, ისიც გამოძახებული ყოფილა). ცენტრალური კომიტეტის მდივანი მათი თანდასწრებით მესაუბრა. ასეთი „მიყვანა“ და მოწმეების თანდასწრებით ჩემთან ე. წ. „საუბარი“ წესად ექცათ „ამხანაგებს“ მწერალთა კავშირსა და ცენტრალურ კომიტეტში. ეჭვსა და უნდობლობას, პატიმარივით განუწყვეტელ დაკითხვებს საზღვარი არ უნდა დაედოს?

რა საკვირველია, ა. ბაქრაძეცა და გ. ნატროშვილიც ჩემთვის ახლობელი და ძვირფასი ადამიანები არიან, მათი მოწმეობა კი არ მაწუხებს, შეურაცხმყოფელია უდანაშაულოდ დაბარება, დაკითხვა და ცილისწამება.

გ. ენუქიძე არ უნდა იყოს ის ადამიანი, ვისაც ჩემთან მოწმედ თუ ჭკუის დამრიგებლად გ. ნატროშვილი დასჭირდება. წესით და რიგით უნდა მიცნობდეს მე გ. ენუქიძე. ჩვენ ერთ დროს ვსწავლობდით უნივერსიტეტში, ერთხანს ერთადაც ვმუშაობდით კინოსტუდიაში, იყო ჩვენი რაიკომის მდივანიც. როცა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა, დამიბარა და მთავარი რედაქტორობა შემთავაზა. ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ, დღეს კი მე მასთან მისაყვანი ვარ და ჩემთან საუბარი მოწმეების გარეშე არ შეიძლება.



მიზეზი? მიზეზი გახლავთ ჩემი სიტყვა კონსტიტუციის პროექტის განხილვისას მწერალთა კავშირში თქმული. აი, ამ სიტყვის გამო დამიწყეს ეჭვით ყურება, დაბარებები და დაკითხვებიც ამ სიტყვის გამო დავიმსახურე, ყოველი შეხვედრა თვით მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებთანაც კი უსათუოდ ვინმეს თანდასწრებით ხდება. ხელმძღვანელი „ამხანაგები“, ზოგჯერ თანამოკალმეებიც თხზავენ ჩემზე ათასგვარ ჭორს, ამბობენ, რომ მე კარიერისტი ვარ, ცრუპატრიოტი, პატივმოყვარე. ბოლო ხანს დაბეჯითებით ამტკიცებენ ჩემს უნიჭობას, უნიჭო რომ ვარ ამიტომ ვპატრიოტობ, რომ საჭიროა ნიღაბი ამხადონ და ა. შ.

ასეთი საქციელი პარტიული ამხანაგებისაგან და, განსაკუთრებით მწერლებისაგან, საკადრისი არ არის. მე ბრალი კი არა, ღვაწლი მიმიძღვის კონსტიტუციის შეცვლაში, ქართული ენის გადარჩენაში.

გავიხსენოთ ამ ამბის ისტორია: კონსტიტუციის პროექტის განხილვისას მე წამოვყენე ძირითადად ორი წინადადება: 1. პროექტში არ ეწერა, არსად არ იყო ნახსენები, თუ ვინ აცხადებს საქართველოს კონსტიტუციას, მოვიასოკვე პრეამბულაში ჩაეწერათ „ქართველი ხალხი“ და 2. 75-ე მუხლი დარჩენილიყო ისე, რაგორც ძველ კონსტიტუციაში ეწერა: ქართული ენა სახელმწიფო ენაა.

ორივე ეს შეცდომა გასწორდა.

კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლის გამო პირველად სმა აიმაღლა აკაკი ბაქრაძემ, მისი მტკიცე მოთხოვნა მე ავიყვანე ახალ სიმაღლეზე, როცა საჯაროდ გამოვაცხადე, პარტიიდან წავალ თუ ასეთ კონსტიტუციას მიიღებენ-მეთქი.

ერთ მხარეს აღმოჩნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი და ზოგიერთი სარედაქციო დაწესებულება, მეორე მხარეს მე და აკაკი ბაქრაძე. ჩვენს მოვითხოვდით ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ჩვენ გვარწმუნ-

ნება, რომ ეს შეუძლებელია, რომ მათ იპოვეს ერთადერთი გამოსავალი — რესპუბლიკის ენა ქართული ენაა.

14 აპრილს, როცა ჩემი და აკაკი ბაქრაძის წინადადებას შესანიშნავი ქართველი სტუდენტობის მეთაურობით, მთელმა ქართველმა ერმა დაუჭირა მხარი, კრემლი იძულებული გახდა უკან დაეხია, ირწმუნა ჩვენი სიმართლე, პირველად საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, ხალხის ხმას მიუგდო ყური, ძალით კი არ დაამკვიდრა უსამართლობა, როგორც ამას ადრე სჩადიოდა, კეთილი სამართლიანობა ამჯობინა. ხალხმა ისიც იცის, რომ ამ საქმეში თქვენი დეკლარაცია დიდია, გადამწყვეტ წუთებში გამოიჩინეთ კეთილგონიერება და გააკეთეთ ის, რაც გევალებოდათ.

როგორც ცნობილია, კრემლი ასეთ დროს უკან იშვიათად იხევს. ხრუშჩოვმა და მჟავანაძემ ქართველ ახალგაზრდებს ტყვეა დაუშინეს მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ სანაპიროზე იკრიბებოდნენ და ლენინ-სტალინის პარტიაზე ლექსებს ამბობდნენ. რასაკვირველია, ასეთი გაკვეთილის შემდეგ 14 აპრილის ყველა მონაწილე დაბეჯითებით, უეჭველად, უსათუოდ ელოდა მთავრობის სასახლის წინ ტყვეის დაშენას და დახვრეტას ისე, როგორც რამდენიმე წლის წინ კავშირგაბმულობის სახლის წინ დაიხვრიტა ათობით უდანაშაულო სტუდენტი. უფრო მეტიც: თქვენი მუშაკები მთელი ერთი კვირა აფრთხილებდნენ ხალხს, განსაკუთრებით სტუდენტობას, 14 აპრილს ახალი კონსტიტუციის მიღების დღეს ქუჩაში არ გამოხვიდეთ, თორემ ტყვეას გვესვრიან, ჩვენ, ადგილობრივი ხელისუფალნი, ვერ დაგიცავთ. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი, მისი საუკეთესო ნაწილი მაინც გამოვიდა საკუთარი ენის დასაცავად. აი, ასეთ მძიმე, უმძიმეს და უსაშინლეს წუთებში მიღებულ იქნა ის ერთადერთი პატიოსანი გადაწყვეტილება, რამაც განადგურებას, და მიწასთან გასწორებას თქვენც გადაგარჩინათ და ჩვენც. რაც მთავარია, გადარჩა ქართული ენა. რუსთაველის ენის კონსტიტუციური მოკვდინება აღარ გაფორმდა.

მიღებულ იქნა არა ის კონსტიტუცია, რომელსაც თქვენ, საქართველოს მთავრობა, მიწერალთა კავშირის პრეზიდენტში და სხვა მრავალი დაწესებულება უჭერდა მხარს, არამედ ის

კონსტიტუცია, რომელსაც მხარი დაუჭირა ჯერ ორადორმა საწყალმა მწერალმა, ხოლო შემდეგ მთელმა საუკეთესო ახალგაზრდობამ. აქედან რა დასკვნის გამოტანა შეიძლება, — გაჭირვების ჟამს მტკიცე, თავდადებული, პატიოსანი ადამიანები აღმოჩნდნენ არა თქვენი თანამებრძოლები, არა თქვენი მინისტრთა საბჭოს, არა თქვენი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, არა თქვენი ბიუროს წევრები, არა ჩვენი, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები, არამედ პირველ ყოვლისა, ა. ბაქრაძე და მე, ხოლო შემდეგ სხვები.

როცა ამ სიტყვებს ვწერ, ვინმეს ღვაწლს ქართული ენის წინაშე კი არ ვაკინებ, ქართულ მწერლობას უფრო ღვაწლმოსილი ადამიანებიც ჰყვანან, ვიდრე ჩვენა ვართ, თვით პრეზიდიუმის წევრებს შორისაც იპოვებიან ისინი, მაგრამ ქართული ენის სანაგვეში გადაგდებას ყველაზე თამამად, ყველაზე პირველად გაბედულად და თავგანწირვით ჩვენ აღვუდექით წინ: მე, აკაკი ბაქრაძე და სტუდენტობა. ამ ფაქტის უარყოფა უსამართლობა და უზნეობაა. აღიარებას კი არ მოვიტხოვ, არც ბიუროს წევრობა მინდა, რა საკვირველია, ბრალსაც არავის ვდებ, არავის ვამტყუნებ, მაგრამ როცა აქეთ გვესმიან თავს, როცა აქეთ გვიცხადებენ უნდობლობას, თავიანთი ჭკუით აქეთ გიპირებენ „ნიღბის ახდას“, რათა თავიანთი სილაჩრე, უზნეობა და უწესობა შეგასოცონ, აი, მაშინ იძულებული ვარ კალამი ავიღო და ეს სტრიქონები ვწერო.

მაინც რამ გააბოროტათ ასე? რა დავუშავე პატივცემულ „მეგობრებს“ ასეთი პარტიიდან გარიცხვა და სამსახურიდან გაგდება რომ მომინდომეს, სახელის გატეხვას და ლაფის გადასხმას რომ ეშურებიან? არაფერი. ვინც სამშობლოს სახელი ახსენა, ყველა უნდა გაათახსირონ — ასეთია ამოცანა.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა ქართველმა სალხმა ჩაატარა დიდი პოლიტიკური აღმავლობით, გამოიჩინა შესაშური ერთიანობა და სიმტკიცე, რაც მთავარია, პირველად შეეცადა კონსტიტუციური უფლებების გამოყენებას და შესძლო კიდევ ამ უფლებათა გამოყენება. მაშასადამე, მოხ-

და დიდი ისტორიული მოვლენა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მსგავსი რამ არავის სმენია.

„მასების იდეურ წინამძღოლებს“ უნდა შეეძლოთ უკვე მომხდარი საზოგადოებრივი მოვლენის შეფასება. მათ 14 აპრილი არა თუ წინასწარ ვერ განსჭვრიტეს, უკვე მომხდარი ვერ შეაფასეს, შეცდომად მიიჩნიეს ახალგაზრდობის მღელვარე გამოსვლა ქართული ენის დასაცავად და ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი აითვალისწინეს.

ნიღაბი უნდა აეხადოთ იმათ, ვინც ქართული ენის კონსტიტუციურ მოკვდინებას ხელი მოაწერა.

მე არაფერი მჭირს ნიღბის ასახდელი, ქართული ენა, ვინც სკამზე გაცვალა, სწორედ ისინი ამკვიდრებდნენ საქართველოში უზნეობას და უკეთურებას მრავალი წლების მანძილზე. ამზადებდნენ სულიერ გარყვნას და სრულ გადაგვარებას: მექრთამეობის დაძვინდრებას, ბიუროკრატიზმის გაფურჩქვნას, პატიოსანი შრომის სრულ უარყოფას და ქედწახრილი მონობის აპოლოგიას, მშობლიური ენისა და ისტორიის დავიწყებას და გარუსების იდეის დანერგვას.

ვინ გაავერანა და გააპარტახა მზიური საქართველო, ვინ ჩაძირა უზნეობის ჭაობში, ვინ მოკლა სულიერად, ვინ გადააგვარა და დააკნინა ქართველი კაცი „სპეკულიანტ პრაკლიატიდ“ — საბჭოთა ხელისუფლებამ, სხვამ არავინ.

მე არ მცალია და მოწოდებულიც არა ვარ ნიღაბი აეხადო უშუალოდ იმათ, ვინც 1921 წლიდან დღემდე საბჭოთა ხელისუფლების მძლავრობას განახორციელებდნენ საქართველოში, ვინც დალუპვის კარამდე მიიყვანა საქართველო და ქართველობა, თორემ ჩემი დღევანდელი მდევნელ-შემავიწროებელნი უსათუოდ აღმოჩნდებოდნენ საბრალდებო სკამზე.

მე არაფერსა გთხოვთ, არაფერი მჭირდება, არავის დასჯას არ მოვითხოვ. ყველაფერი ამის მოთმენაც შეიძლება, ქართველ მწერლებს უარესი დღე ახსოვთ, მიხეილ ჯავახიშვილ ავით ფეხით რომ არ მათრევენ საპყრობილის დერეფანში, ამისთვისაც მადლობას გწირავთ, მაგრამ ერთი რამ კი მანდა დაბეჯითებით გითხრათ: თუ მთლიანად არ შეიცვალა საშწერლო ამინდი, მწერალთა კავშირი არ გადაიქცა აზროვ-

ნების თავისუფლების, პატიოსნების, გულწრფელობის, სამართლიანობის, ობიექტურობის ტრიბუნად, ზნეობრივად თუ არ აღსდგა მწერლობა, თუ არ განთავისუფლდა იგი მეურვეობისაგან და დიქტატისაგან, მნიშვნელოვან ნაწარმოებს ვეღარ მიიღებთ. სულ ტყუილად გგონიათ თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს, ქართული კულტურის რენესანსი თქვენი მოსვლით დაიწყო საქართველოში. დღევანდელ საქართველოში სასაცილოა რენესანსზე საუბარი. შეუძლებელია მონას რაიმე კულტურა ჰქონდეს. ყველაზე დიდი უზნეობა სწორედ ის არის, ხელთ არაფერი გვაქვს და ვავიძახით საქართველოში რენესანსიანო.

ერი ამჩნევს ჩვენს უზნეობას, მწერლობის მერყეობას, მათს სულიერ სილატაკეს, არ ენდობა მათ, დასცინის, საზრელ ფუნავარიებსა და სხვ. რტულეს ანზავს მათზე. არ სჯერათ მათი, დარწმუნებულია, რომ მწერალი მატყუარაა.

14-მა აპრილმა ბევრი ჩვენი უარული წყლული გამოამზეურა, საკუთარ სულშიც ჩაგვახედა, შეამოწმა ჩვენი რაობა და ვინაობა.

რა სამწუსართა და შემამფოთებელი იმის გაგება, რომ მწერლობას, ერის სულიერ მოძღვართ, დემონსტრაციაზე გამოსული ახალგაზრდობა არ უჯერებდა: „კვატკეებთ, მოვზავნილები ხართ, არ გჯერა, თქვენი“ — ეძახდნენ მათ.

რამ გამოიწვია მწერლის სახელის ასეთი დაცემა-დაკნინება?.. მრავალთაგან ერთს მაგალითის მოვიტან: როცა ზ. გამსახურდიას რესპუბლიკის ყველა გაზეთი თავს დაესხა, „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოიჩინა განსაკუთრებით თავი, — გამოაქვეყნა ეკლესიის მამათა კოლექტიური წერილი „არა ცილი სწამო“. როგორც კი წერილი გამოქვეყნდა, მივედი რელიჯიაში და აღმფოთება საჯაროდ გამოვთქვი, ღვთის მსახურნი მეტად შეუფერებლად, უღვთოდ ლანძღვდნენ ზ. გამსახურდიას, უწოდებდნენ მას იულას, პარანოიკს, მამბუღარს, ჩირქიან კაცს, კარიერისტს, სექტანტს და ა. შ. ეკლესიის მამათა ნაწერს ეს წერილი არ ჰგავდა. ასე არ წერდნენ ჩვენი ეკლესიის მსახურნი: იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, კრიგოლ ჰანძთელი, მთაწმინდელნი და გარეჯელნი.

„ზ. გამსახურდიას ოინებსა და ხრიკებს დასასრული არა აქვს, — წერდნენ. დღევანდელი სულიერი წინამძღოლნი, — მისი საეკლესიო „განმანახლებლობა“ ესაა მხოლოდ და მხოლოდ სექტანტი კარიერისტიკისა და რენეგატის ბინძური საქმე, რომელსაც ხალხი არ ააცდენს კაენის წყევლას და იუდას სირცხვილს“.

ღვთის მსახურთა მძვინვარებას კიდე-განი არ ჰქონდა, — „არამზადა“, „მანიაკი...“ „ძნელია ერთი სახელი მოეძებნოს, ერთ სიტყვაში გამოიხატოს“, — წუხდნენ სალანძღავ სიტყვათა უკმარობას მღვდელმთავარნი, — „როცა განკითხვა და ცილისწამება, შური და სიძულვილი, ყველა ერთად, ერთდროულად, ერთი უწმინდური კაციდან მოედინება. მოედინება ვითარცა წლობით დანაგუბარი ჭუჭყიანი და აყროლებული წყალი, რომელიც ირგვლივ ყველასა და ყველაფერს აბინძურებს, სიმშვიდე-სიმყუდროვეს არღვევს და პატიოსან ადამიანებს მოსვენებას და ცხოვრების ხალისს ართმევს“..

ყველაფერი ეს ჩვენს თვალწინ ხდებოდა: წერილის გამოქვეყნებაც, ნაძარცვი სატებით ვაჭრობაც. ხალხს ჯერ ისიც არ დავიწყნია, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა 1937 წ. დაადგინა: მისეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებულიო. ეს დადგენილება და ამის მსგავსი სხვა უამრავი დადგენილება ინახება ჩვენს არქივებში და ესეც შესანიშნავად იცის ხალხმა. მ. ჯავახიშვილის იუბილე კი ისე გადავიხადეთ, ვითომ მწერალთა კავშირს არ დაედგინოს მ. ჯავახიშვილი ფიზიკურად განადგუროთო.

ყველაფერი ამის მხილველმა და მოწმე ხალხმა გასაკვირი არ არის ეჭვით დაუწყოს ცქერა მწერალთა კავშირს და, საერთოდ, ყველა მწერალს, არ დაუჯეროს მათ, არ ენდოს მათ სიტყვას.

ზნეწამხდარი მწერალი ვერაფერს შექმნის ზნეობრივს. უზნეო, ლაზღანდარა მონათა ლიტერატურა ქართველ ერს არ ჰქონია, თუმცა უმეტესი სიცოცხლე მონობაში გაუტარებია.

მეთცე საუკუნის ქართულ მწერლობაში თუ რამ ფასეუ-

ლი შეიქმნა, ოცდაათიან წლებამდე და ოცდაათიან წლებში დაიწერა. 1937 წელს დადუმდნენ ჭეშმარიტი მუზეები, დაიხურა ქართველი ერის სულიერი საგანძური, შეწყდა შემოქმედებითი ცხოვრება. ძალმომრეობის ბნელეთში შთაინთქა ერის გენია.

სამწუხაროდ, ეს პროცესი, სხვადასხვა სახითა და ვარიანტით დღესაც გრძელდება. მწერალთა კავშირი კაგებეს ფილიალად გადააქციეს, მწერალი ქედწახრილ მონად, მოირავლდნენ დამსმენი მწერლები, მლიქვნელი მწერლები, ორპირი მწერლები, მომხვეჭელი მწერლები. როცა უზნეობას, უსამართლობას წინ აღუდგები, შეებრძოლები უპრინციპობას, ლაჩრობასა და სხვა უკეთურობებს, შეგიძულებენ, პირად მტრად გთვლიან და იწყება მრავალწლიანი დევნა.

დასასრულ, ერთ რამეს გთხოვთ დაბეჯითებით: თუ თქვენც არ შეგიძლიათ შეაფასოთ 14 აპრილი, გგონიათ, რომ ქართული ენისათვის თავის გადადება დანაშაულია, უბრძანეთ რომ შემისპყრონ და ციხეში ჩამსვან, ეს უფრო კეთილშობილური, ჰუმანური საქციელი იქნება, ვიდრე ჩემი სახელის გატეხვა, შევიწროება, დაშინება, ზეზეურად მოკვლა და ამისთვის ამდენი ჯაფის გაწევა. ნებაეთ ამერიკის დაზვერვის აგენტობა დამაბრალონ, ნებაეთ ნატახტარის წყლის მოწამვლა, 14 აპრილისათვის ციხეში დაჯდომაც და სიკვდილიც ჩემთვის იქნება განსორციელებული, სრულქმნილი ბედნიერება, უმაღლესი ნეტარება, როგორც რუსთაველი იტყოდა: „შერთვა ზესთ მწყობრთა-მწყობრისა“.

## საქართველოს ნუ გამოვდებთ შარაზი

(სიტყვა, წარმოთქმული 1987 წლის 26 მაისს, მშობალთა  
კავშირში კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის პრეზიდენტის  
ავტორიტეტთან შეხვედრის დროს)

კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის თა-  
ობაზედ პირველი სიტყვა თქვა აკაკი ბაქრაძემ, რასაც მოჰ-  
ყვა აზრთა სხვადასხვაობა გაზეთ „ლიტერატურულ საქარ-  
თველოში“, — ნელნელა გაბედეს და კამათიც წამოიწყეს. და-  
ბეჩავებული, დაგლახაკავებული, გარეთ გაგდებული სიმარ-  
თლე შინ შემოიყვანეს..

სამწუხაროდ, ეს კამათი მოულოდნელად შეწყდა. სიმარ-  
თლე ძველებურად კვლავ კარში გააგდეს. ხალხს სიტყვა  
ძველებურად კვლავ პირშივე ჩაუწყვიტეს. აზრი ჩანასახშივე  
მოსპეს. რატომ? რა მოხდა?.. თუ პარტიის ცენტრალური კო-  
მიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბანოვის მოხ-  
სენება იანვრის პლენუმზე სახელმძღვანელოა თქვენთვის, იმ  
მოხსენებაში გარკვევით სწერია: „საბჭოთა საზოგადოებაში  
არ უნდა იყოს კრიტიკისათვის დახურული ზონები“. რახან  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამ-  
ბობს ამას, ე. ი. „დახურული ზონები“ საბჭოთა სინამდვი-  
ლეში არსებულა. ერთერთ ასეთ ზონაში შევარდა ჩვენი გა-  
ზეთი და ხმაც ამიტომ გააკმენდინეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური  
კომიტეტის აპრილისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტი-  
ლებათა შესაბამისად, საჯაროობა, საბჭოთა საზოგადოების  
შემდგომი დემოკრატიზაცია, სოციალისტური თვითმმართვე-  
ლობის გაღრმავება მოითხოვდა ჩვენგან არა კამათის შეწყ-  
ვეტას, არამედ საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის



პროექტების საჯარო, სახალხო განხილვას. აკრძალვები და საკითხის ზემოდან გადაწყვეტა თითქოს ეწინააღმდეგება პარტიის დღევანდელ მოთხოვნებს.

კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა არ არის წამოწყებული ხევისა და ფშავ-ხევსურეთის ასალორპინებლად, როგორც პროექტის ავტორები ირწმუნებიან და ზოგიერთ სხვა ავტორსაც ჰგონია მოჩვენებითი, დროებითი სიკეთე, — საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლების მშენებლობა, გზებისა და ხიდების გაყვანა, სასტუმროების აგება, მარაღაც მოწყობა მშენებლობას, მაგრამ იმ სახლებსა და სასტუმროებში სხვები იცხოვრებენ და არა ფშავლები და ხევსურები. უკეთეს შემთხვევაში, სადაც ერთი ფშაველი დაიდებს ბინას, ათი უცხოთომელიც იქვე დაემკვიდრება. ეს თავისთავად მოხდება, როგორც ენგურკესში მოხდა, — თვით მშენებლობა მოითხოვს, დიდ მშენებლობათა სპეციფიკა გვაიძულებს კვალიფიციური მუშახელი სხვა მშენებლობებიდან გამოვიძახოთ.

საქართველოში არავინ დაიზარტებს ჩამოსვლას, ყველა სიამოვნებით ჩამოვა, ოცი-ოცდახუთი წელი გაგრძელდება მშენებლობა. ჩამოსულ კაცს ცოლ-შვილი ჩამოჰყვება, ან აქ დაოჯახდება, ბინა, საბავშვო ბაღი, სკოლა დასჭირდება. ამენდება მუშათა „პასიოლკები“ თავიანთი რუსული სკოლებითა და საბავშვო ბაღებით.

ახალგაზრდობას მთასა და კლდე-ღრეში მოსწყინდება დღენიადაგ შრომა და, ბუნებრივია, მოგვთხოვს დასვენებას, გართობას. ხატობაში ის არ წამოვა, — „ტანცლაშადკას“ გამართავს. ვაჟა-ფშაველას ენას სხვა ენა შეცვლის, კიდევ ბევრი რამ შეიცვლება აქ ოცი წლის მანძილზე და, ბოლოს, ფშაველი თვითონ ვერ იცნობს თავის სამშობლოს, ხევსური კიდევ — თავისას.

კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა ემსახურება არაკეთილ იდეას, — საქართველოს ნელ კვდომას, არყოფნას მისას, ან სხვად ქცევას.

საქართველოს ნელი კვდომა დიდი ხანია დაწყებულია. როცა ჭამა-სმამი, ძმობასა და მეგობრობაში, სიამ-ტკბილობაში კვდები, სიკვდილი შეუმჩნეველია. ზოგჯერ ვამჩნევთ

კიდევ, მაგრამ ვერ ვიჯერებთ, ისე როგორც დედის სიკვდილს, ვერ იჯერებს შვილი. ღაკი ახლა, ამ წუთას, სული გვიდგას, სვალინდელ დღეს აღარ დავეძებთ, იგებ გადავრჩეთ, ვფიქრობთ და გულუხვად ვიძლევით. ნელი კვდომის ნებას — „რა უჭირს, იყოს ერთი რუსთავი, — გუნებაში ვამბობთ, — ერთიც ენგურპესი, ერთიც ჟინვალპესი...“ და ა. შ.

ერთ მუჭა მიწაზე რამდენი რამ დაეტიოს! ქართველი კაცი თავს დასტრიალებს და დაცოდვილებს ზედ ამ ერთ მუჭა მიწაზე. მარცვალსაც შიგ თესავს, ვაზსაც ახარებს, მოჰყავს ჩაი, ციტრუსები, ხილი....

იმ ერთ მუჭა მიწაში დევს ჩვენი განძი — დავათის სტელა! ნაქალაქარებიც იქ მარხია, ნამდვილი საქართველოც იქ არის, მიწაში. იმ ერთ მუჭა მიწას გვართმევენ!

სამწუხაროდ, ჩვენს ინჟინრობას არ ესმის ან არ უნდა გაიგოს ამ მშენებლობის არსი და მიზანი.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ რევაზ სიგუა, ნიკოლოზ სვანიშვილი და ომარ ქუცნაშვილი გვარწმუნებენ: განცვიფრებას იწვევს, — წერენ ისინი, — ვ. ლიჩელის მიერ მოყვანილი ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ა. ბოხოჩაძისეული აზრი. ასეთი პრეტენზიული განცხადება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და სინამდვილეს არ შეეფერება. მომავალი რკინიგზის მაგისტრალის გასწვრივ განლაგებულ არქეოლოგიურ ძეგლებს „განადგურება“ კი არა, დროული გამომზეურება ელითო. უნდა აღინიშნოს, — წერენ ისინი — რომ არც ერთი ისტორიული და კულტურული ძეგლი არ ხვდება მომავალი რკინიგზის მშენებლობის ზოლში, მათ შორის ძალისის ნაქალაქარიც საკმაოდ შორსაა (2—3 კმ) რკინიგზის ტრასიდანო.

დიდი მადლობა, ბატონო ინჟინრებო და მთავარო ინჟინრებო, რომ ზედ არ გადაუარეთ ძალისის ნაქალაქარს და ორი-სამი კილომეტრით მაინც მოშორდით, მაგრამ განცვიფრებას იწვევს არა ა. ბოხოჩაძისეული, არამედ თქვენი აზრი — თქვენ საქართველოს ზედ გულზე უნდა დაადგათ ფეხი და წარბიც არ გიტოკავთ. ძალისის ნაქალაქარიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით სწორედ რომ მოსა-

ლოდნელია მეორე ძალისი მაგრამ თქვენთვის, როგორც ჩანს, ეს არაფერია.

რკინიგზის მშენებლობის დირექციის უფროსი გივი ბალანჩივაძე კვლავ „ლიტერატურულ საქართველოში“ უდრ-ტვინველად წერს: „მაგისტრალი გაივლის ქსანს, წილკანს, საგურამოს, ბულაჩაურს, ჟინვალს, თვალისს, ჩარვალს, ფშავსა და ბარისახოს...“ გაივლის და მეტი არაფერი? წალეკავს გულისგულ საქართველოს! სადაც ყოველ ნაბიჯზე მოსალოდნელია ახალი ვანის ნაქალაქარი, ახალი ძალისი და არქეოპოლისი... გაივლის და ჩანთქავს მათ, ისე როგორც ჟინვალქვსმა ჩანთქა აურაცხელი განძი ქართული!

თუ ჩვენ ასეთ რკინიგზას დაგვაძალებდნენ, ქართველ ინჟინრებს ამბობება უნდა მოეხდინათ, უნდა დაეტოვებინათ თანამდებობები და დაეხიათ დიპლომები.

ვაი, რომ არ გვყვანან ქართველი ინჟინრები ჩვენ ქართველ ინჟინრებს დიდი ხანია არ ვზრდით და შედეგს დღეს ვიმკით.

ამბობება და დიპლომების დახვევა კი არა, თურმე სულ მთლად სატანური პროექტიც ჰქონიათ, პირველი პროექტით საუღელტეხილო რკინიგზა იწყებოდა მცხეთიდან და ჯვრის მონასტრის ქვემოთ გადიოდა გვირაბი ეს ტელეეკრანიდან ითქვა. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. რა ვუწოდოთ ამას, რა დავარქვათ, როგორ შევაფასოთ?

თხუნელას ისეთი გვირაბის გაყვანა შეუძლია, ვერცერთი პოლიტექნიკურ ინსტიტუტდამთავრებული ვერ შეედრება. თხუნელისაგან გვირაბგამყვანი ინჟინერი ალბათ უნდა განსხვავდებოდეს იმით მაინც, ჯვრის მონასტრის ქვემოთ არ გაიყვანოს გვირაბი.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი კარგი ინჟინერიც მეგულება, ბევრი პატრიოტული თაოსნობაც გვახსოვს მათგან. ჩემი აღშფოთება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ საუღელტეხილო რკინიგზის პროექტის ავტორების მოღვაწიობით.

ქართველი ხალხის წინაშე პასუხი უნდა აგონ იმ დაწესებულებებმა, განსაკუთრებით საინჟინრო დაწესებულებებ-

მა, ვისაც შეცდომაში შეჰყავს რესპუბლიკის სელმძღვანელებს და ხალხი.

გასაკვირი ის კი არ არის, რომ საუღელტეხილო რკინიგზას გვაშენებინებენ, — საბჭოთა სახელმწიფო არც არაფერს გვკითხავს, ისე ააშენებს, რაც მოესურვება. განა ასე არ აშენდა ჩერნობილი და მცხეთის რეაქტორი?.. გვკითხა ვინმემ რაზე?

გასაკვირი ის გახლავთ, რომ ქართველი ინჟინრები წარბეუხბრელად გვიმტკიცებენ ტელეეკრანიდან: რკინიგზა იმიტომ გაგვყავს, რუსეთიდან პური უნდა შემოვიტანოთო. თურმე 1 600000000 (მილიარდ ექვსასი მილიონ მანეთს) იმიტომ ხარჯავს საბჭოთა კავშირი, პური ქართველებს მოკლე გზით მოგვაწოდოს.

ვინც ასეთი სიცრუის სათქმელად მოსულა ქვეყნად, ნება მიბოძეთ, იმ ადამიანებს არაფერი დავუჯერო, არც არაფერი ვაწამო მათი. როცა დიდ საქმეს ვეჭიდებით, მსოფლიოში ყველაზე რთულ საინჟინრო ნაგებობას ვაგებთ; დიდ ცოდნასთან ერთად, პატიოსანი, სუფთა ხელები და მართალი გული გვჭირდება. წინ ოცდამეერთე საუკუნეა. კავკასიონი, ქართლის ველი, მტკვრისა და არაგვის სანახები, ფშავ-ხევსურეთი და სევი, — ქართველთათვის ღვთით ბოძებული სპოთხე! — შთამომავლობას ისე უნდა გადავცეთ, როგორც ჩვენ გვებოძა.

ნუ მოვსპობთ იმას, რისი შექმნაც შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია. ნუ დავარღვევთ დიდ წესრიგს ბუნებისას. ნუთუ არ გვყავს სტიქიური უბედურებანი: ზვავები, წყალდიდობები, ქარიშხლები, მიწყვრები... დაანებეთ თავი საქართველოს ბუნებას, კავკასიონი ჰქონდეს კაცობრიობას როგორც ნაკრძალი

ნუ შევჯლიგინდებით ყველგან, სადაც სიწმინდეა და სისუფთავე. ნუ გადავაგვარებთ მთებში ჩარჩენილ საქართველოს. ბარისახოს ბოგდანოვკად ნუ გადავაქცევთ, ლაშარის გორზე „ტანცლაშადკას“ ნუ გავმართავთ, ვაჟა-ფშაველას შთამომავლებს ნუ ავალაპარაკებთ ენგურქვისის ენაზე: „აქ აბვადნოი ტუნელია გაკეთებული...“

საქართველოს ნუ გამოვდებთ შარაზე!..

მრავალსაუკუნოვანმა მონობამ ქართველი ხალხი ყველაფერს წეაგუა და წეაჩვია, დღეს ის ყველაფერზე თანახმაა. წყალი მაინც არ წავართვათ მას, თუნდაც ეს ნებართვა ადვილად მიიღოთ მისგან. საზარელი ფაქტი პირველმარევაზ ჯაფარიძემ ამხილა და მეც ვიმეორებ მას.

მილიონიან ქალაქს — თბილისს, ე. ი. მილიონ ადამიანს (ოცდამეერთე საუკუნეში კიდევ უფრო მეტს!) არსემკვთარაგვის სუფთა წყალს.

ენგურჰესის მშენებლობაზე, როგორც მაშინ ჩვენი გაზეთები ტრაბახობდნენ, მუშაობდა თორმეტი ათასი, ოთხმოცდახუთი ეროვნების ადამიანი, კავკასიის საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობაზე იმუშავენ კიდევ უფრო მეტი.

ჯერ მშენებლობის ჭუჭყი, შემდეგ რკინიგზისა და მატარებლების ნაფთი და მაზუთი, მრავალათასიან მშენებელთა, მგზავრთა და რკინიგზის მომსახურეთა მიერ ბუნებრივად წარმოქმნილი სიბინძურე, სასტუმროების, საცხოვრებელი სახლების, რკინიგზის ტუალეტების ნარეცხი წყალი ჩაედინება არაგვში.

აი, ეს ინტერნაციონალური ფეკალური არაგვი (ჩვენს მიერ „გაწმენდილი“) უნდა დალიონ ოცდამეერთე საუკუნის ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა.

ზოგმა მწერალმა იცის, რომ მე კინოფილმი „მონანიების“ ერთერთი ავტორი ვარ. ამ კინოფილმის სიუჟეტი ჩემს თავში დაიბადა. დაიბადა ამ სახით: „სიცოცხლეში ნუ ჩავიდნთ ისეთ სიავეს, სიკვდილის შემდეგ საკუთარი შვილი იძულებული გახდეს საფლავიდან ამოგვთხაროს“.

სიტყვა თქმული მწერალთა კავშირში ტირანიის :  
წინააღმდეგ, „მძლავრის“ განხილვის დროს  
1987 წ. 19 თებერვალს

უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც დღეს აქ მობრძანდა და მონაწილეობა მიიღო ჩემი წერილის განხილვაში.

მადლობა მომხსენებელს ასეთი მოწადინებული, მრავალმხრივ საყურადღებო მოხსენებისათვის.

მადლობა კამათში გამოსულებს, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, პუბლიცისტიკის სექციას.

ახლა ორიოდ სიტყვა თვით „მძლავრის“ თაობაზე:

„მძლავრი“ არ არის უბრალო საგაზეთო წერილი, მრავალი წლის ჩემი ნაფიქრ-ნააზრევია. ერთგვარი კონსპექტია ვრცელი ნაწარმოებისა, რომელზეც მრავალი წელია ვმუშაობ და ალბათ კიდევ გაგრძელდება ეს მუშაობა.

როცა „მძლავრი“ გამოქვეყნდა, მას მითქმა-მოთქმა მოჰყვა. აქ ეს მწერალი იგულისხმება, იქ თანამდებობის პირია დახატული...

რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ჩემი მიზანი უფრო შორს გამიზნულია, უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე რომელიმე ჟურნალის რედაქტორის, ან გამომცემლობის დირექტორის კრიტიკა.

წერილი „მძლავრიცა“ და რომანი „აფთარიც“, რომელსაც ახლა ვწერ, მიმართულია ტირანიის წინააღმდეგ, არა რომელიმე ერთი ტირანის, საერთოდ ტირანების, ტირანულის, ტირანიით შეპყრობილი ადამიანთა ჯგუფების, მთელი საზოგადოების წინააღმდეგ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, კინოფილმ „მონანიებას“ საფუძვლად უდევს ამ რომანის სიუჟეტი, ფილმსაც უკანასკნელ ვარიანტამდე „აფთარი“ ერქვა.

ჩემთვის დიდი ომი, ამ ათიოდე წლის წინ წამოწყებული, ტირანიის წინააღმდეგ, მართალია, ანონიმურად! — თავიდანვე შეთანხმებულ იქნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. დღეს იმ იდეას მთლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი უჭერს მხარს. ასე რომ რასაც მე აქ ვიტყვი, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის, არც ჩემთვის, არც არავისთვის.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი სიმართლის თქმის იშვიათ მაგალითებს იძლევა. პირდაპირ გვეხვეწება სიმართლე თქვითო.

სწორედ მისი წყალობით გაიკვლია გზა „მონანიება“ თორემ საქართველოში ის ორჯერ იყო აკრძალული.

რაკი ჩვენ სიმართლის ბოლომდე თქმის ნება გვაქვს მოცემული, ცოტადენი მაინც ხომ უნდა ვთქვათ?..

მე თქვენ გაგაცნობთ ერთ საბუთს, რაც ჩვენს არქივებში გულმოდგინედ ინახება. ის არ არის საიდუმლო დოკუმენტი, ახალი, თქვენთვის უცნობი, იქ არაფერი სწერია, მხოლოდ საჭიროა ახლებური თვალთ შევხედოთ მას და ვთქვათ ის ცოტა სიმართლე...

### „ოქმი № 5

საქართველოს საბჭოთა მფარეზების კავშირის პრეზიდიუმის  
სსდომისა მფარეზთა აბტომან ვრთად. 1937 წლის  
17 აგვისტო

მ ო ს მ ი ნ ე ს 1 — ინფორმაცია გამომჟღავნებულ ხალხის მტერ მიხ ჯავახიშვილის შესახებ.

მიხ. ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების, გარეწრების სროვის მონაწილე აღმოჩნდა. ეს ურყევი ფაქტებით იქნა დადასტურებული. ეს არავის არ გააკვირვებს, რადგანაც მიხ. ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უაღრესად თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს, უსაზღვროდ გაცოფებულს პროლეტარული რევოლუციის მიღწევებისადმი მტრობით და

სიძულვილით. ცნობილია, რომ მის. ჯავახიშვილს საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური „მოღვაწეობისა“. ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წიაღში აღზრდილი იგი პტრულად დაუსვდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გაშარჯვებას და საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო კონტრრევოლუციური კლასების აატონობის რესტავრაციისათვის წარმოებულ ბრძოლაში...

...მ. ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ უნდა იქნას მწერალთა კავშირის რიგებიდან და აღვილი დედამიწის ზურგიდან.

და ა დ გ ი ნ ე ს — მისეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხული იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული.“

წესიერი ადამიანისათვის ძნელია ამ სიტყვების წაკითხვა და დაჯერება. საქართველოს მწერალთა კავშირმა დაადგინაო — ამ ოქმში სწერია თეთრით შავზე — მეოცე საუკუნის ერთერთი უდიდესი მწერალი მისეილ ჯავახიშვილი ფიზიკურად განადგურდესო. ე. ი. საქართველოს მწერალთა კავშირს 1937 წლის 17 აგვისტოს დაუდგენია ქართული მწერლობის გაუქმება, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანიათ თავისთავისთვის. ის ტყვია, რომელიც ერთხელ ჰკრეს შუბლში ილია ჭავჭავაძეს, თვითონ მწერლებს დაუხლიათ საკუთარი თავისთვის.

არა მგონია ამ ფაქტს, სადმე, რომელიმე სხვა ქვეყანაში, სხვა დროში, დედამიწის ზურგზე, ანალოგი მოეძებნოს...

რასაკვირველია, მწერლის დასჯა, მოკვლა, ციხეში ჩადება, ტანჯვა-წამება, სამშობლოდან გაძევება, არ გვიკვირს, მაგრამ როცა მწერლებს თვითონ გამოაქვთ საკუთარი სასიკვდილო განაჩენი, — აღვირაშვებული მძლავრობა მწერლობაზედ სწორედ ეს განლავთ!

მისეილ ჯავახიშვილს არაფერი დაუშავებია ხალხისთვის, სამშობლოსთვის, არც არავისთვის, პირიქით, მიუძღვის უდიდესი ღვაწლი ქართული მწერლობის წინაშე, მეოცე სა-



უკუნის ქართული მწერლობის შემქმნელი, ილია ჭავჭავაძის დიდი ეროვნული იდეალების გამგრძელებელი ამ საუკუნეში კონსტანტინე გამსახურდია და მიხეილ ჯავახიშვილია.

არ შეიძლება საფლავში მშვიდად იწვეს მიხ. ჯავახიშვილის მკვლელი, ხოლო მწერლის საფლავი არც ვიცოდეთ სად არის.

მთელი ეპოქაა როგორ გაულიტეს ტიციანი, პაოლო, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე... მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

გაგაცნობთ კიდევ ერთ დოკუმენტს, — ალექსანდრე ქურასბედიანის ოთხასგვერდიან გამაუქვიერებელ წიგნს „სექსუალური წელი თვითპატიმრობაში“.

მე არ ვიცი ეს ადამიანი ვინ არის. წიგნი წასაკითხად გადამომცა ქურასბედიანის ნათესავმა როგორც „მონათობის“ ერთერთ ავტორს.

ამ წიგნში მოსაზრობილია იმათი ამბავი, ვინც ოცდაწვიდმეტეში ცოცხალი გადარჩა.

წიგნის მიხედვით ალექსანდრე ქურასბედიანი გაქცეულა საქართველოდან, როცა დ წყებულა დაპატიმრებები, როცა გაუგია, რომ „ქვემო სვანეთისთვის, საქართველოში ყაზბეგის შემდეგ ყველაზე პატარა რაიონისთვის, დასაპატიმრებულთა ლიმიტად 150 კაცი მიუციათ.

ცნობილი ქართველი იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოწაფე, ახალგაზრდა ქურასბედიანი 16 წელი იმალებოდა, სვანეთში კი არა, თბილისსა და მოსკოვში. თურმე ამიტომ ვერ იპოვეს.

დღე კარებდაგმანულ ბნელ ოთახში იწვა და ეძინა, ღამეს გარეთ ათევდა, ვინაიდან ღამით მთელთა და მჭერების მოსვლას.

„დამალვის ეს მეთოდი მე გამოვიგონე, — წერს ა. ქურასბედიანი თავის წიგნში — როგორც მე მაცნობეს, 1953 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც დაპატიმრებული ვიყავი სწორედ ამ წლიდან, ჩემი დამალვის ეს ახალი მეთოდი ცნობად და აღსარიცხად, ჩემს სურათთან ერთად, მოსკოვში გაუგზავნიათ კრიმინალისტიკის ინსტიტუტს.

ში. შენი გვარი, სახელი და სურათი ცნობილი გახდება მსოფლიო ბანდიტების გვერდითაჲს.

1956 წელს ალ. ქურასბედიანს მოუსწრო ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა და გაანთავისუფლეს.

გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით.

ალექსანდრე ქურასბედიანის წიგნი მხატვრული ნაწარმოები არ არის. აღწერილია მხოლოდ ფაქტები. რა თქმა უნდა, არის შეცდომები, ლაღი, გამართული ქართულითაც არ არის დაწერილი. ამ სახით მისი გამოქვეყნება ალბათ გაჭირდება. მაგრამ წიგნს აქვს ერთი დიდი ღირსება — მართალი წიგნია.

ის არ იწერებოდა დასაბეჭდად, ავტორს არ ემინოდა ცენზურის, რედაქტორის, სხვათა და სხვათა, ამიტომ მოვლენები აღწერილია ობიექტურად, ისე, როგორც იყო იმდროინდელი სოფელიცა და ქალაქიც დანახულია შეულამაზებლად.

ასეთ წიგნებს ხალხი მაღავს, კინოფილმ „მონანიების“ გამარჯვებამ ადამიანებს იმედი ჩაუსახა და ამიტომ გამოაჩინეს. ეს წიგნი პირველი მერცხალია, სხვაც გამოჩნდება.

ჩემის აზრით ეს წიგნები იშვიათი განძია ისტორიკოსებისათვის, ადამიანის (ხალხის) ნამდვილი, შეულამაზებელი ისტორია ხომ ამ წიგნებში სწერია.

ასეთ წიგნებს გაფრთხილება, სახელმწიფოებრივად თუ არა, უწყებრივად მაინც მოპოვება — შესყიდვა და შესწავლა სჭირდება. ეს წიგნები იშვიათ სამსახურს გაუწევს მწერალს, ისტორიკოსს, სოციოლოგს, ეთნოგრაფს, იურისტს და ა. შ.

ახლა წიგნის დედააზრის თაობაზედ: ან უნდა მომკვდარიყავი მიხეილ ჯავახიშვილივით, ან ალექსანდრე ქურასბედიანივით, ნადირივით მარადიულ შიშსა და ძრწოლაში უნდა გეცხოვრა.

ალექსანდრე ქურასბედიანს 1937 წლის ოქტომბერში, სამეულმა დაუსწრებლად გამოუტანა სიკვდილის განაჩენი.

მწარეა ასეთი განაჩენი. ამ ქვეყანაზე არაფერი დაგიშავებია და უცებ ციხე, კატორღა, სიკვდილი...

სულაც არ მიკვირს თუ ადამიანმა თავს უშველა და გა-

იქცა. სხვა რა უნდა ექნა? გასაკვირია სხვა რამ: როგორ შეიძლო დამალვა, თექვსმეტი წელი თავი როგორ შეინახა.

ახლა დავსვათ კითხვა, რატომ მიესაჯა უდანაშაულო ადამიანს სიკვდილით დასჯა. ვინ იყო ამ თვითნებური სიკვდილით დასჯების ავტორი?.. ბერია და სტალინი? — ზერელე პასუხია. ასე რომ ყოფილიყო ჩვენს ბედს ძალეი არ დაჰყეფდა. მათ სიკვდილთან ერთად აღიგვებოდა პირისაგან მიწისა უსამართლობა, უკანონობა, თვითნებობა, მძლავრობა. აღარ არიან ისინი მაგრამ ჩვენ ცხოვრებაში კვლავაც მძლავრობს უკანონობა, უსამართლობა, თვითნებობა.

ამიტომ „მონანიების“ სცენარის წერისას წინააღმდეგი ვიყავი ვინმე გვეგულისხმა ვარლამ არავიძეში. მე საფლავიდან ყოველთვის ვთხრიდი მხოლოდ და მხოლოდ არავისა და არავიძეთის ტირანს ვარლამ არავიძეს.

1937 წელს სიკვდილის განაჩენი უსამართლოდ გამოუტანეს მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, სანდრო ახმეტელს, ევგენი მიქელაძეს, და სხვებსა და სხვებს... მაგრამ გადარჩნენ გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და სხვები და სხვები.

დღეს როგორც მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენებებიდან ჩანს, უსამართლოდ სიკვდილმისჯილი ვართ ყველანი, ვინც კი დედამიწაზე ვცხოვრობთ და არავინ გადავრჩებით, არც ერთი ადამიანი, არც ერთი სულდგმული, აი, სანამდე მიგვიყვანა ტირანიამ ანუ მძლავრობამ, მთელი მსოფლიოს დასაპყრობად აღძვრის სურვილმა.

არავინ ვიცით საიდან რა მოსკდება, ჩერნობილი გაგვითეთრებს სისხლს, თუ რადიაქტიული წყალდიდობა და ზვავები დაგვახრჩობს, ან სულ მთლად ჩამოწვება წყვდიადი ხმელის და წყლის გამყინვარებით, წყვდიადში ჩანთქმით მივაბარებთ სულს უფალს.

გულუბრყვილობაა იმის ფიქრი: მე თუ დავწერ ტირანის წინააღმდეგ რომანს, ვინმეს გარდავქმნი, ან რაიმეს შეეცვლი, მაგრამ გულხელდაკრეფაც არაფერს შველის. თავიანთ თავს მაინც დავანახებ დღევანდელ მძლავრებს, შიშს გაუზღენ, რომ მოგკვდები, საფლავიდან მეც არ ამომთხარონო.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ენის წიაღში . . . . .	3
სიტყვისა განგერა . . . . .	41
გ ა ლ ბ ი ს ა ს ი ტ ე ვ ა . . . . .	70
ორი ვარსკვლავი სციხნარე . . . . .	70
ვლახის სიტყვაი . . . . .	78
ვეფხვის პოეზია . . . . .	83
მარგალიტების მთქსეული . . . . .	86
წყარო არტისტობისა . . . . .	88
ღაშენდერადა ანას . . . . .	91
ტრატუნსდან სასწიგლო სიტყვა . . . . .	94
არა სიკცდელა მსცესაჲ . . . . .	107
ს ი ტ ყ ვ ი ს ა ყ ო ფ ა . . . . .	124
მილაკრი . . . . .	124
ღუდა ენა . . . . .	148
ავ-ყოანი და ანასუნი . . . . .	172
მტერი შორიდან არ ხავა . . . . .	186
თეთრი სახახლესი . . . . .	192
ტრადიცია თუ უტრადიცია . . . . .	196
სოფლის სამკაული . . . . .	202
უფერულობა . . . . .	211
„სისატურა“ ზესი დაწერულა . . . . .	213
სოფელი ზვენი გულობუხარი . . . . .	219
ჩეძი ქართულის მასწავლებელი . . . . .	266
რებლივა გ. გაჩეჩილაძის წერაღის გამო . . . . .	273
პასუხი „კრიტიკის“ რედაქციას . . . . .	280
როგარ ვებრძოლთა ჩარკოქანიას . . . . .	283
მცირე რებლივა ბატონ ჯარჯ ჰაუიტს . . . . .	287
მწერლებას ზაქაფვისა და ქარაუფს ენის ზედ მიყოფებს თაობა- ზედ. . . . .	291
ქართული ენა დავიკეთ არა სიტყვით, არამედ საქმით . . . . .	297
ახალიაობის იმედი . . . . .	302
საუკუნის დანაშაული . . . . .	305
ეროვნული გმირი . . . . .	310
პასუხი „ლიტერატურულ საქართველოს“ შეკითხვებზე . . . . .	313

პასუხი „ცისკრის“ შეკითხვებზე . . . . .	322
ლიტერატურული მოხანობა . . . . .	336
ქართული ენა ყველაზე მაღლა დგას . . . . .	354
პამოუქმეყნებელი სიტყვები . . . . .	363
სიტყვა თქმული მწერალთა კავშირში, 1972 წ. ქართული ენის და- საცავად . . . . .	363
ქართული ენა სახელმწიფო ენაა . . . . .	372
სიტყვა თქმული მწერალთა კავშირში 1978 წ. . . . .	375
ვინ არის პატრიოტი . . . . .	380
სიტყვა თქმული მწერალთა კავშირში, 1978 წ. II აპრილს . . . . .	385
საქართველოს კომპარტის ცენტრალურ კომიტეტის პირველ მდი- ვანს . . . . .	406
საქართველოს ნუ გამოვდებთ შარაზე . . . . .	416
„მელავრის“ განხილვისას წარმოთქმული სიტყვა . . . . .	422

მხატვარი ჯ. ზენაიშვილი  
მხატვრული რედაქტორი მ. ზენაიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე  
კორექტორები: თ. ფირცხალავა, დ. ფირცხალავა ნ. ლომაძე  
გამომცემი ნ. ხავთასი

ს. ბ. — 6104

მაბარდა წარმოებას 3.09.90 წ. ხელმოწერილია საბეჭდად .17.10.90 წ.  
ფორმატი 84 X 108<sup>1</sup>/<sub>2</sub>. საბეჭდი ქალაქი საწიგნე საეურნაღე. პირობითი  
ნაბეჭდი ფურცელი 22,68. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18,02.  
პირობითი საღეზავ გატარება 22,68. ტირაჟი 10.000 ეგზ.

შეკვეთა № 1321

ფასი 8 მან.

**ЦУЛЕИСКИРИ НОДАР АЛЕКСАНДРОВИЧ**

**БОРЬБА С САТАНОИ**

(На грузинском языке)  
Издательство «Мерани»  
пр. Руставели, 42.  
Тбилиси 1990